ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული
სამართლის, რომანისტიკის (რომის კერძო სამართლის) და
სამართლის ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

მარინა გარიშვილი
მარიამ ხოფერია

რომის სამართალი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2013

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013

© მ. გარიშვილი, მ. ხოფერია

ISBN 978-9941-10-798-6

სარჩევი

წინათქმა 9

შესავალი 11

თავი I. რომის სამართლის ისტორიული სისტემები 14

I. ცივილური სამართალი (ius civile) 15

II. პრეტორული სამართალი (ius praetorium) 15

III. ხალხის სამართალი (ius gentium) 16

IV. ბუნებითი სამართალი (ius naturale) 21

თავი II. რომის სამართლის წყაროები 22

I. არქაული პერიოდის ძირითადი თავისებურებანი (ქრ. შობამდე 753-367წწ.) 23

§1. Consuetudo (ჩვეულებითი სამართალი) 26

§2. Lex (leges) (კანონი) და plebiscita (პლებისციტები) 29

ა) Lex (leges) – კანონი 29

ბ) Plebiscita – პლებისციტები 35

§3. სარჩელი, როგორც სამართლის წყარო 35

§4. იურისტების მოღვაწეობა, როგორც სამართლის წყარო 37

§5. Iurisprudentia (რომაელი სამართალმცოდნეთა საქმიანობა) 42

§6. სამართლის სხვა წყაროები 53

ა) Iudicatum (სასამართლო პრეცედენტი) 53

ბ) Senatusconsultum (სენატუსკონსულტი) 54

გ) Edicta magistratuum (მაგისტრატების ედიქტები) 56

დ) Constitutiones principum (იმპერატორების კონსტიტუციები) 59

II. წინაკლასიკური პერიოდი (ქრ. შობამდე 367-17 წწ.) 62

III. კლასიკური პერიოდი (ქრ. შობამდე 17 წ. – ქრ. შობის 235 წ.) 69

IV. პოსტკლასიკური პერიოდი (IV-V სს.) 75

V. იუსტინიანეს პერიოდი (527-565 წწ.) 80

VI. რომის სამართალი და მისი რეცეფცია ევროპაში 82

§1. გლოსატორთა საქმიანობა 83

§2. კანონისტები 85

§3. „VII მუხლი“ 86

VII. საერთო სამართალი და მოქმედი რომაული სამართალი 86

§1. კომენტატორები — *consiliatores* 87

§2. ჰუმანისტები 88

§3. ბუნებითი სამართლის თეორია 88

§4. სამართლის ისტორიული სკოლა (გერმანული) 89

§5. XIX საუკუნის პანდექტისტები 91

VIII. რომაული იურისპრუდენცია და მოქმედი იურიდიული სისტემები 91

§1. სამოქალაქო კოდექსები 92
§2. ინდივიდუალური სამართალი. საერთო სამართალი და
სამართალწარმოების სამართალი 93
თავი III. რომის სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტების
განვითარების ძირითადი ეტაპები და თავისებურებანი 97
I. Civitas წარმოშობა. Res-ების პერიოდი 98
§1. Res (ცნება) 100
§2. Domus (ოჯახი) 102
§3. პატრი და პატრიის კრებები 103
II. პატრიციულ-პლებეური civitas-ი და რესპუბლიკა 105
§1. პატრიციატი 109
§2. პლები 114
§3. პლების კრებები 115
III. პრინციპატის ეპოქა (ქრ. შობის I-V სს.) 119
§1. პრინციპატი (Principatus) 119
§2. დომინატი (Dominatus) 125
თავი V. უფლების დაცვა 131
I. ადამიანთა ორგანიზაცია ძველ რომში 131
II. პროცესის ცნება, სახეები და სტადიები ძველ რომში 134
III. Legis actiones (ძველწესიერი პროცესი) 137
IV. Per formulas agere (ფორმულარული პროცესი) 143
§1. ფორმულის ნაწილები 146
§2. პროცესუალური საბუთები 149
§3. Plus petitio (პრეტენზიის გადამეტება) 150
§4. Exceptio (ინდექციის შემცველი ფორმულა და პირთა
პრივილეგირებით შედგენილი ფორმულა) 152
§5. Ekzekucia (აღსრულება) და praescriptio (პრესკრიფცია) 154
V. პროცესუალური წარმომადგენლობა 158
VI. Iudicium დაკვეთაზე უარის თქმა) 160
VII. Litis contestatio (დავის საგნის დადგენა) 163
VIII. პარტიების კონკურენცია 167
IX. Iudicium (საბოლოო გადაწყვეტილება) 170
X. იძულებითი წარმოება 172
XI. Extra ordinem cognitio (ექსტრაორდინალური პროცესი) 177
XII. პოსტკლასიკური პროცესი 182
თავი V. პირები სტატუსი რომის სამართალში 186
I. Servi (მონები) 187
II. Libertini (გაანთავისუფლებულები) 199
III. Peregrini (უცხოელები) 202

IV. Personae alieni iuris (სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირები) 207
V. Capitis deminutio (უფლებაუნარიანობის დამცრობა) 212
VI. Persona (პირი) 215
ა) Sexus (სქესი) 216
ბ) Aetas (ასაკი) 217
გ) Sanitas (ჯანმრთელობა) 218
დ) Gentilitas (ნათესაობა) 219
ე) სამოქალაქო თემისადმი (civitas) კუთვნილება და საცხოვრებელი ადგილი (domicilium) 223
ვ) Adfinitas (მოყვრობა) 225
VII. Colonus (კოლონი) 225
VIII. Universitates (იურიდიული პირები) 227
IX. წარმომადგენლობა 230
თავი VI. ძველი რომის საოჯახო სამართალი 235
I. Familia et gentilitas (ოჯახი და ნათესაობა) 235
II. Sponsalia et nuptiae (ნიშნობა და ქორწინება) 237
III. Concubinatus (კონკუბინატი) 244
IV. Dos (მზითევი) 245
V. Adoptio (შვილება) 252
VI. Divortium (ქორწინების შეწყვეტა) 253
VII. Paterfamilias (ოჯახის უფროსი) 258
VIII. Tutela et cura (მზრუნველობა და მეურვეობა) 263
თავი VII. რომის სანივთო სამართალი 269
I. ქონება 270
II. Res (ნივთები) 271
§1. Res extra commercium (ბრუნვიდან ამოღებული ნივთები) 275
§2. Res corporales et res incorporales (სხეულებრივი და უსხეულო ნივთები) 276
§3. Res mobiles et res immobiles (მოძრავი და უძრავი ნივთები) 276
§4. Familia et pecunia 278
§5. Res mancipi et res nec mancipi (მანციპირებადი და არამანციპირებადი ნივთები) 279
§6. Genus et species (გვარობითი და ინდივიდუალური ნივთები) 281
§7. გაყოფადი და გაუყოფადი ნივთები 287
§8. გამოყენებადი და გამოუყენებადი ნივთები 287
§9. მარტივი და რთული ნივთები 288
§10. ძირითადი და დამატებითი ნივთები 288
§11. საკუთვნებელი (Accessio) 289
§12. Fructus (ნაყოფი) 289

III. საკუთრება 291
§1. საკუთრების უფლება 291
√§2. საკუთრების უფლების შინაარსი 292
§3. Communio (condominium – თანასაკუთრება) 293
§4. საკუთრების შეძენის საშუალებები 295
ა) Occupatio (ოკუპაცია) 297
ბ) Thesaurus (განძი) 298
გ) Specificatio (გადამუშავება) 299
§5. საკუთრების უფლების შეძენა ხელშეკრულებით 301
ა) Mancipatio (მანციპაცია) 302
ბ) In iure cessio 303
გ) Traditio (გადაცემა) 303
§6. საკუთრების უფლების სახეები 304
ა) Dominium ex iure Quiritium (კვირიტული საკუთრება) 304
ბ) პერეგრინების საკუთრება 304
გ) პროვინციული საკუთრება 305
დ) Res sua in bonis (ბონიტარული ანუ პრეტონული საკუთრება) 306
ე) საკუთრება იუსტინიანეს სამართლით 306
§7. Usucapio (შეძენა ხანდაზმულობით) 307
§8. საკუთრების უფლების მართლზომიერი შეზღუდვა 309
§9. საკუთრების უფლების დაცვა, ინტერდიქტები 311
IV. Possessio (მფლობელობა) 315
V. Servitutem (სერვიტუტი) 319
§1. სერვიტუტის ცნება და ძირითადი ნიშნები 319
§2. სერვიტუტის წარმოშობა 321
§3. სერვიტუტის სახეები 322
§4. სასოფლო (საადგილმამულო) სერვიტუტი 323
§5. სასოფლო სერვიტუტის სახეები 324
§6. საქალაქო (საადგილმამულო) სერვიტუტები 324
§7. პირადი სერვიტუტები 325
§8. სერვიტუტის შეწყვეტა 328
§9. სერვიტუტის დაცვა 329
§10. დაცვის სხვა საშუალებები 330
VI. Surepficies et emphyteusis (სუპერფიციუმი და ემფითევზისი) 331
§1. სუპერფიციუმი 331
§2. ემფითევზისი 333
თავი VIII. ძველი რომის მემკვიდრეობითი სამართალი 339
I. Ab intestato, successio legitima (კანონით მემკვიდრეობა) 340

II. Successio testamentaria (ანდერძით მემკვიდრეობა)....349
თავი IX. ძველი რომის ვალდებულებითი სამართალი....358
I. ვალდებულების ცნება....361
II. ვალდებულებათა კლასიფიკაცია....365
III. ვალდებულების შინაარსი....368
IV. ვალდებულების წარმოშობის წყარო....369
§1. ვერბალური კონტრაქტი....371
ა) Stipulatio et obligatio verbis-ის კლასიკური სტრუქტურა....374
ბ) სტიპულაციის შინაარსი და მისი სახეები....377
გ) Acceptilatio (ვალის გადახდის აღიარება)....378
დ) სტიპულაციის დასასრული....379
ე) Transcriptio nominem (საკრედიტო ვალდებულებების გადაწერა)...380
ვ) Chyrographa (სუბიექტური) და Synographa (ობიექტური საკრედიტო დოკუმენტები)....382
ზ) ბათილი და არარა სტიპულაციები....383
§2. განუსაზღვრელი ობიექტის სტიპულაცია....385
§3. Novatio (ნოვაცია)....386
§4. რწმუნებულება ანუ პირადი უზრუნველყოფა....389
§5. Intercessio (ინტერცესია)....391
§6. პირადი რწმუნებულება იუსტინიანეს სამართალში....392
§7. Operarum iurata promissio....393
§8. Nomen transcripticium (ლიტერალური კონტრაქტი)....393
§9. Re (რეალური კონტრაქტები)....393
§10. *Consensu* (კონსესუალური კონტრაქტები)....395
V. Re (რეალური კონტრაქტები)....396
§1. Mutuum, mutui datio — (სესხი)....397
§2. Foenus nauticum, pecunia traiecticia (საზღვაო სესხი)....399
§3. Commodatum (სესხი)....400
§4. Depositum (შენახვის ხელშეკრულება)....403
§5. Fiducia (ფიდუციალური ხელშეკრულება)....405
§6. Pignus datum (გირავნობა)....406
§7. კეთილსინდისიერი სარჩელები და ხელშეკრულებები....407
VI. ბრალი ხელშეკრულებაში....408
VII. Consensu (კონსესუალური ხელშეკრულება)....410
§1. Emptio-venditio (ყიდვა-გაყიდვა)....412
§2. Mandatum (დავალების ხელშეკრულება)....424
§3. Societas (ამხანაგობის ხელშეკრულება)....428
§4. Locatio _ conductio (ქირავნობა, იჯარა)....431
VIII. Quasi ex contractu (კვაზი კონტრაქტები)....435

§1. Negotiorium gestio (სხვისი საქმის დავალების გარეშე წარმოება)... 436
§2. Solutio indebiti (უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ფსევდო ხელშეკრულება) ... 437
IX. Pacta (პაქტები) ... 439
X. Delictum (დელიქტი) ... 446
§1. Delictum ცნება და პირობები ... 447
§2. Furtum (ქურდობა) ... 452
§3. Rapina (ძარცვა) ... 456
§4. Damnum iniuria datum (ზიანის მართლსაწინააღმდეგო მიყენება)... 457
§5. Iniuria (პიროვნების შეურაცხყოფა) ... 460
XI. Quasi ex delicto (კვაზიდელიქტები) ... 462
თავი X. ძველი რომის სისხლის სამართალი ... 465
I. მოძღვრება სისხლის სამართლის კანონზე მისი წარმოშობის შესახებ საკითხის დასმით იწყება ... 473
II. სისხლის სამართლის პრინციპები ... 480
§1. კანონიერების პრინციპი ... 480
§2. მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი ... 481
§3. ბრალეულობის პრინციპი ... 482
§4. სამართლიანობის პრინციპი ... 483
§5. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი ... 484
§6. დასჯადობის გარდაუვალობის პრინციპი ... 486
III. დანაშაული რომის სამართალში ... 487
IV. ბრალი ... 489
§1. შერაცხადობა ... 491
§2. დანაშაულის ობიექტური მხარე ... 492
§3. დანაშაულის ჩადენის სტადიები ... 493
§4. დანაშაულში თანამონაწილეობა ... 494
§5. დანაშაულებრივი ქმედების გამომრიცხავი გარემოებანი ... 496
V. სასჯელი ... 500
§1. სასჯელის ცნება და მისი მიზნები ... 500
§2. სასჯელის დანიშვნა. დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობის პრობლემა ... 502
§3. სასჯელიდან გათავისუფლების წესი, შეწყალება ... 504
§4. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავისებურებანი ... 505
ბიბლიოგრაფია ... 508

წინათქმა

რომის სამართლის საფუძვლების ახალი სახელმძღვანელო შექმნილია, თსუ იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, ასოცირებული პროფესორის მარინა გარიშვილის მიერ რომის სამართლის საფუძვლებში წაკითხული სალექციო კურსის და ასისტენტ-პროფესორის მარიამ ხოფერიას მიერ წაყვანილი სასემინარო მეცადინეობის მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად. ავტორებმა გაითვალისწინეს როგორც ქართველ ავტორთა სახელმძღვანელოების, ისე ევროპული რომანისტიკის მიღწევანი და მკითხველს მრავალი სიახლე შესთავაზეს, როგორც ნაშრომის სტრუქტურული აგებულებისა და მასში სასწავლო მასალის განთავსების, ასევე გამოყენებული მეთოდოლოგიის სახით. თვით სახელმძღვანელოს სახელწოდებაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი მიზანია არამხოლოდ რომის კერძო სამართლის ინსტიტუტების, არამედ, ზოგადად, ძველრომაული სამართალგანვითარების შესწავლა-გააზრება. დასახული მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს, პროფესორ ნუგზარ სურგულაძის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი ძველრომაული სამართლის წყაროები: კერძოდ, გაიუსის ინსტიტუციები, იუსტინიანეს ინსტიტუციები და იუსტინიანეს დიგესტები, რომლებსაც სტუდენტები სალექციო კურსის მოსმენისა და დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში დამხმარე ლიტერატურის სახით გამოიყენებენ, სახელმძღვანელოში განხილული მასალის შესავსებად.

აღნიშნული სახელმძღვანელო ქართულ ენაზე შექმნილი ყველაზე სრულყოფილი ნაშრომი გახლავთ, რომელშიც, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის და ძველ რომაელ იურისტთა მიერ საკუთარ თხზულებებში ჩამოყალიბებული იურიდიული სენტენციების გამოყენებით, არქაული, წინაკლასიკური, კლასიკური, პოსტკლასიკური და იუსტინიანეს სამართალშემოქმედების ეპოქების გათვალისწინებით, განხილულია, სამართლის წყაროთა, საჯარო და კერძო სამართლის მრავალი ინსტიტუტის თანმიმდევრული ევოლუცია. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს სავალდებულო იურიდიული ტერმინების, სასწავლო მასალის თითოეული თავის შესავალ ნაწილში განთავსება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერმინოლოგიის სრულყოფილ შესწავლას.

რომის სამართლის საფუძვლების აღნიშნული სახელმძღვანელო განკუთვნილია სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის, აგრეთვე ძველი რომის სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის შესწავლით დაინტერესებული ფართო წრისათვის.

ავტორები ღრმა პატივისცემას და მადლიერებას გამოხატავენ სახელმძღვანელოს სარედაქციო ჯგუფის და გამომცემელთა მიმართ, რომელთა თავგამოდებული და დაუღალავი შრომის შედეგად, უმოკლეს დროში, შესაძლებელი გახდა აღნიშნული ნაშრომის გამოცემა. გარდა ამისა, ავტორები მიესალმებიან კოლეგების მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს და ნაშრომის ხელახალი გამოცემის დროს, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებენ მათ.

მარინა გარიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მარიამ ხოფერია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანი და დანიშნულება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის რომის სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპებისა და თითოეული ეტაპისათვის დამახასიათებელი სახელმწიფო მექანიზმის თავისებურებანის შესწავლა არის. აგრეთვე, რომის საჯარო (*ius publicum*) და კერძო სამართლის (*ius privata*) ძირითადი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და ევოლუციის პროცესის გაცნობა. იმის დადგენა, თუ რამ განაპირობა რომის სამართლის რეცეფცია, ძირითადი დებულებების დამკვიდრება და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. განათლებული იურისტისათვის სპეციალური ტერმინოლოგიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა სავალდებულოა. იურიდიულ ტერმინთა უმრავლესობა კი ლათინური წარმოშობისაა: *iustitia, iurisprudentia, servitutes, ususfructus, occupatio, obligatio, contractus, testamentum, consensu, conventio, advocatus, respublica, consul, censor, delicta* და სხვა.

„ყველა გზა რომში მიდის" – ნათქვამია ერთ ხატოვან გამონათქვამში. რომში მიმავალ მრავალრიცხოვან გზათა შორის, უძველესი *Via Latina* – ლათინური გზა ყველაზე ცნობილი იყო. იგი ქალაქში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ლათინური კარიბჭის მხრიდან შედიოდა და კარაკალას თერმების მახლობლად *Via Appia* – აპიუსის გზას უერთდებოდა. ორივე მაგისტრალს სახელგანთქმული პალატინისაკენ (*Septimontium*-ს ანუ შვიდბორცვიანთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი რომაული ბორვცისკენ) მივყავართ. პალატინის ბორცვის უკან, მარადიული ქალაქის გული – რომაული ფორუმია. რომაულ ღვთაებათა ტაძრების უმრავლესობა აქ არის თავმოყრილი, მათ შორის: დიოსკურიების, კონკორდიის, სატურნინუსის სალოცავები[1] და რომაელთათვის ყველაზე საყვარელი და სათაყვანებელი ქალღმერთის – ვესტას ტაძარი. ფორუმი საბაზრო და სავაჭრო რიგების მოედანიც იყო, სადაც მთელი სამყაროდან

[1] სატურნინუსის სალოცავში განთავსებული იყო სახელმწიფო ხაზინა და არქივი, აგრეთვე ტაბულარიუმი – რომის სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტაციის – გასანთლული ხის დაფების, პაპირუსის გრაგნილებისა და პერგამენტის საცავი. Нисембаум. Москва, Via Latina ad ius (Латинская дорога к праву). Москва, Юристь, 1996, 3.

წამოსული საქონელი მოგზაურობას ასრულებდა.[2] ამავდროულად, ფორუმი ტემპერამენტით აღსავსე, საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი იყო. სწორედ ამ მოედანზე ხდებოდა ის მოვლენები, რომლებმაც მსოფლიო ისტორიის შემდგომ განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. აქვე აღიმართა როსტრები – ორატორთა ტრიბუნა, რომელსაც ნადავლის სახით ხელში ჩაგდებული მტრის ხომალდების ცხვირები (*rostra*) ამშვენებდა. ფორუმის ამ ნაწილიდან მიმართავდნენ ხალხს სახელგანთქმული ორატორები — აპიუს კლავდიუსი უსინათლო, კატონი უფროსი, გაიუს იულიუს კეისარი, ჰორტენზიუს ჰორტალუსი. აქედან ისმენდა რომაელი ხალხი დიდი ციცერონის მგზნებარე გამოსვლებს. აქვე გამოფინეს მისმა ჯალათებმა სიკვდილით დასჯილი მჭევრმეტყველის მოკვეთილი თავი და ხელები (მარკუს ანტონიუსის ბრძანებით.)

ცივილიზაციის შემდგომი ისტორია ფორუმის სულისკვეთებით განიმსჭვალა. მან თანაბრად შეითვისა სამყაროსთვის ჩვეული სიკეთე და ბოროტება, მოვლენათა ლოგიკა და მისტიურობა, ადამიანთა სიდიადე და ფუჭი განცდები. ამ მოედანზე იყო განთავსებული საბჭოს შენობა – კურია, რომელშიც რომაული სენატი სხდომებს მართავდა. აქვე იყო სახალხო კრებების ჩატარების ადგილი – კომიციებიც, სადაც უმაღლეს თანამდებობის პირებს ირჩევდნენ და ხალხი უმნიშვნელოვანეს კანონებს აძლევდა ხმას. ფორუმი ტრიბუნის ადგილადაც იქცა. სწორედ აქედან მიმართავდნენ პლებს *tribuni plebis*,[3] მომავალში კი — კურულის სავარძელში მსხდომი, კონსულები, პრეტორები და კურულის ედილები. ფორუმმა სახელი იმითაც გაითქვა, რომ მასზე გამოფინეს უძველესი *Leges duodecim tabularum*.[4]

რომის სახელმწიფოებრიობის ისტორიის განუყოფელ ნაწილად, ძველი სამყაროს უდიდესი მონაპოვარი – რომის სამართალი იქცა. მის გარეშე თანამედროვე ცივილიზაციების კერძო სამართლის არსებობა სრულიად წარმოაუდგენელია. სწორედ რომის სამართ-

---

[2] ბრიტანეთიდან-ინდოეთამდე და ევროპის ჩრდილოეთიდან – ჩრდილოეთ აფრიკამდე. იქვე.

[3] ხალხის ტრიბუნი. Нисембаум. Москва, Via Latina ad ius (Латинская дорога к праву). Москва, Юристъ, 1996, 3.

[4] ხის ფირფიტებზე ამოტვიფრული კანონთა ტექსტი, რომლის ორიგინალი განადგურდა, გალების მიერ რომის დარბევისას. იქვე.

ლის გავრცელებით, რომაელებმა სამყარო მეორეგზის დაიპყრეს. ამიტომაც დამკვიდრდა მოსაზრება, რომ რომმა სამგზის დაიპყრო მსოფლიო. პირველად – ლეგიონების მეშვეობით, მეორედ – საკუთარი სამართალგანვითარებით, მესამედ კი მსოფლიო რელიგიის, ქრისტიანობის, შემოღება-გავრცელებით.

რომის კერძო სამართლის (*ius privatum*) განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა რომაული თემის, *civitas Romani* სამართალი, *ius civile* და რომის იმპერიაში შემავალი მრავალრიცხოვანი ხალხის სამართალი, *ius gentium*. მათი დეფინიციების უმრავლესობა სწორედ რომის ფორუმზე დადგინდა. ხოლო *comitia*-ზე არჩეული თანამდებობის პირები – *praetor* (პრეტორი), *censor* (ცენზორი), *aediles* (ედილი), *quaestor* (ქვესტორი) რომის სამართლის მოთხოვნათა უპირობო აღსრულებასა და სამართალდამრღვევთა მკაცრ დასჯას უზრუნველყოფდნენ.

თავი I. რომის სამართლის ისტორიული სისტემები

რომის სამართლის საფუძვლების სახელმძღვანელოში ასახულია ძველი რომის სამართლებრივი სისტემა, რომლის საფუძველზეც ძველ რომაელებსა და რომში მცხოვრებ უცხოელებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდებოდა. რომის სახელმწიფოს ფარგლებში სამართლის სისტემას ერთ მთლიანობად განიხილავდნენ. ძველი რომაელები იურიდიული ინსტიტუტების სხვადასხვა ასპექტს მხოლოდ იმ სოციალური როლის მიხედვით ადგენდნენ, რომელშიც სამართლის სუბიექტები გამოდიოდნენ და რომელ საზოგადოებრივ ავტორიტეტსაც უზრუნველყოფდა ადამიანთა შორის ტიპურ კავშირთა ნორმატიული ხასიათი. თანამედროვე სამართალი კი კერძო და საჯარო სამართალს ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს. თუ საქმე ცალკეულ პირთა – *privates*[5] ინდივიდუალურ თუ საოჯახო ინტერესებს ეხებოდა, მაშინ სახეზე კერძო ურთიერთობები იყო, ხოლო სუბიექტების ფორმალიზებული ნება, რომელიც მათ კავშირებს განსაზღვრავდა, კერძო კანონად[6] ითვლებოდა. როდესაც საკითხი რომაელი ხალხის, კვირიტების, საერთო ინტერესებს[7] ეხებოდა, მაშინ ამ ურთიერთოებების, ანუ საჯარო ინტერესების, ნორმატიულ საფუძველს მთელი ხალხის ფორმალიზებული ნება – საჯარო კანონი (*lex publica*) წარმოადგენდა.

ურთიერთობის მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით, რომაული სამოქალაქო თემის (*civitas*) სამართალი (*ius civile*), რომაელთათვის მკაცრად ეროვნული, კვირიტული სამართალი იყო. ამასთან, ზოგადსავალდებულო და საჯარო მნიშვნელობის თვალსაზრისით, ის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლებსა და ფარგლებს განსაზღვრავდა. ნორმაშემოქმედებითი წესები აღნიშნული

---

[5] სიტყვიდან privus – განცალკევებული, რაიმეს უქონელი. Римское частное право, под ред. Новицкого И.Б. и Перетерского И.С., Москва, Юриспруденция, 2002, 14.

[6] lex privata – კერძო კანონი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 97; Чезаре Санфилиппо. Курс римского частного права, Москва, Норма. 2008. 62.

[7] Populus Romanus Quiritium. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008. 62.

ნორმატიული სისტემის საფუძველზე წესრიგდებოდა, რომელიც მოიცავდა: რელიგიურ რიტუალებს, მმართველობის საყოველთაო-სახალხო ორგანოების (სენატი და მაგისტრატურა) საქმიანობას, მართლზომიერი მოთხოვნების სასამართლო დაცვის ფორმებს, უცხოელებთან ურთიერთობის პრინციპებს, პირის სტატუსის შეცვლის წესებს, რომაული მოქალაქეობისა და ქორწინების განსაზღვრის ნორმებს, მოქალაქეთა შორის (როგორც სიცოცხლეში, ისე მათი გარდაცვალების შემდეგ) ქონებრივი ურთიერთობის (სანივთო, ვალდებულებითი, მემკვიდრეობითი სამართალი) მყარ ფორმებს.

I. ცივილური სამართალი *(ius civile)*

უძველეს რომაულ სამართალს, ერთ-ერთი მკვიდრი ტომის – კვირიტების (*Quirites*) სახელწოდების მიხედვით, კვირიტული სამართალი ეწოდებოდა. ეს სახელწოდება უძველეს გარიგებებში ტერმინად დამკვიდრდა და განსაკუთრებით იმ შემთხვევებში გამოიყენებოდა, როდესაც საქმე ნივთზე საკუთრების უფლებას[8] ეხებოდა. მოგვიანებით, სამართლის ამ სისტემას ცივილური სამართალი (*ius civile*) ეწოდა, რითაც რომის მოქალაქეთა სამართლის მკაცრად ეროვნულ ხასიათს (სამართლის ვიწრო გაგებით) გაესვა ხაზი. საკანონმდებლო დონეზე ცივილური სამართლით კერძო სამართლის ვიწრო ეროვნული სისტემა რეგულირდებოდა. ფართო გაგებით, ცივილური სამართალი ყველა კომენტარს მოიცავდა, რომელიც რომაელმა იურისტებმა, XII დაფის კანონთა სისტემასთან ერთად შექმნეს.

II. პრეტორული სამართალი *(ius praetorium)*

სამართლის ცივილური სისტემის თანადროულად, თანდათანობით სამართლის ახალი სისტემა – პრეტორული სამართალი[9] ანუ

---

[8] dominium ex iure Quiritium – საკუთრება კვირიტული სამართლის მიხედვით. Римское частное право, под ред. Новицкого И.Б. и Перетерского И.С., Москва, Юриспруденция, 2002, 14.

[9] ius practorium – პრეტორული სამართალი. იქვე, 14-15.

თანამდებობის პირთა სამართალი[10] ჩამოყალიბდა. დროის კვალობაზე, მონათმფლობელური სისტემისა და ეკონომიკის განვითარების შედეგად, გაბატონებული სოციალური ფენის ხელში ვაჭრობითა და მევახშეობით მიღებულმა კაპიტალმა და მსხვილმა საადგილმამულო საკუთრებამ მოიყარა თავი. შედეგად, სოციალური დაპირისპირება გამწვავდა. ძველი ცივილური სამართლის დადგენილებები, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობას ვეღარ აკმაყოფილებდა. აღნიშნული ხარვეზები სასწრაფო აღმოფხვრას საჭიროებდა, რომლის გამოსწორებაც სასამართლო მაგისტრატებმა – პრეტორებმა ითავეს.

პრეტორული სამართალი თანმიმდევრულად იქმნებოდა. რასაც შედეგად მოჰყვა ძირითადად პრეტორული ედიქტების საფუძველზე შექმნილი მთელი რიგი ახალი ინსტიტუტები, რომლებიც სამართლებრივი დაცვის ახალი საშუალებებით აღიჭურვა. ცივილური სამართალი პრეტორული სამართლის სისტემას არც ცვლიდა და არც აუქმებდა, პირიქით, მის პარალელურად იქმნებოდა და მასთან ერთად არსებობდა.

III. ხალხის სამართალი *(ius gentium)*

ცივილური სამართალი მხოლოდ რომის მოქალაქეების მიმართ გამოიყენებოდა. ის პირები, რომლებიც რომაულ თემს არ განეკუთვნებოდნენ, მტრებად[11] ითვლებოდნენ და სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარებოდნენ. წარმოებისა და სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის განვითარების კვალობაზე, უცხოელების ძირითადი კერძო უფლებების (საკუთრების უფლება, ხელშეკრულების დადების უფლება, მემკვიდრეობის მიღება და სხვა) აღიარება და დაცვა სავალდებულო გახდა. ამის საფუძველზე სამართლის ახალი სისტემა, ხალხის სამართალი (*ius gentium*) შეიქმნა.

ცივილური სამართალი არა მარტო პრეტორულ სამართალს, არამედ სამართლის კიდევ ერთ სახეს – ხალხის სამართალს უპირისპირდებოდა. რომის სამართლის ისტორიაში ეს სისტემა

[10] ius honorarium – თანამდებობის პირთა სამართალი. იქვე, 14.

[11] hostes – მტერი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003. 15.

ყველაზე ორიგინალური მოვლენა გახლდათ.

ისტორიული განვითარების შედეგად ამ სისტემაში სხვადასხვა ელემენტი გაერთიანდა. თავდაპირველად, ხალხის სამართლის ცნებაში ის უძველესი სამართალი მოიაზრებოდა, რომლის მიხედვითაც უცხო თემებთან რომაელთა ურთიერთობები წესრიგდებოდა. კერძოდ, ქორწინების საკითხი (*ius conubii*) და ვაჭრობის უფლება (*ius commercii*). მოგვიანებით, სამართლის ამ სისტემამ შეითვისა ის ჩვეულებითი სამართალი, რომელიც პრაქტიკულად გამოიყენებოდა სავაჭრო ურთიერთობებისას. ეს იყო ზოგადი ხასიათის, კერძოდ, ყოველგვარი ფორმალურობისაგან თავისუფალი სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის გარიგებები, ლათინთა კავშირის წევრთა ტომობრივი მსგავსება და მჭიდრო ეკონომიკური კავშირები. საბოლოოდ, რომაელთა მსოფლიო ბატონობამ, ხალხის სამართლის მეშვეობით, იმპერიის სხვადასხვა ნაწილში მოქმედი სავაჭრო ინსტიტუტები ერთიან სამართლებრივ სისტემაში მოაქცია.

ხალხის სამართალი (*ius gentium*) უნივერსალური სამართლის სინონიმი გახდა, რომელიც, ერთი მხრივ, ცივილურ სამართალს (*ius civile*-ს), ხოლო, მეორე მხრივ, რომის იმპერიის საქონელბრუნვაში მონაწილე ხალხის ეროვნული სამართლის სისტემებს დაუპირისპირდა. ვინაიდან ხალხის სამართლის ნორმებს რომაელი პრეტორი მხოლოდ რომში იყენებდა, ეს სისტემა კვლავ რომში მოქმედ სამართლად რჩებოდა.

თუ პრეტორი მიიჩნევდა, რომ მოდავე მხარის ინტერესები სამართლიანი იყო, მაგრამ ცივილური სამართლის ნორმებით მისი დაცვა ვერ განხორციელდებოდა, მაშინ პრეტორი ფაქტებზე დამყარებულ[12] სასარჩელო ფორმულას გასცემდა. ეს უკანასკნელი საერთაშორისო ვაჭრობისა და საქონელბრუნვის ჩვეულების პრინციპს ეფუძნებოდა. ამგვარად, სამართლის ახალი სისტემა ჩამოყალიბდა, რომელიც ყოფით პირობებს სრულად შეესაბამებოდა. ის სასამართლო მაგისტრატების პრაქტიკული საქმიანობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შემუშავდა და ხშირად სავაჭრო ჩვეულებებს ეფუძნებოდა.

მკაცრად ფორმალური და ნაკლებად მობილური ცივილური სამართლისგან განსხვავებით, ხალხის სამართალი უკეთ და

[12] in factum conceptae – ფაქტებზე დამყარებული. Римское частное право. под ред. Новицкого И.Б. и Перетерского И.С., под ред., Москва, Юриспруденция, 2002, 15.

სწრაფად შეეწყო მზარდ სოციალურ მოთხოვნებს. ძირძველი ტრადიციებისაგან თავისუფალი, ხალხის სამართლით განვითარებული სავაჭრო ურთიერთობები წესრიგდებოდა, რომლის მონაწილე მხარეები რომაელები და სხვა ერის წარმომადგენლები იყვნენ. ამრიგად, *ius gentium* უნივერსალურ სამართლად იქცა იმ თვალსაზრისით, რომ კომერციული ურთიერთობის დასარეგულირებლად, სავაჭრო ბრუნვის ნემისმიერი მონაწილე მხარის მიმართ (მიუხედავად მათი მოქალაქეობისა) გამოიყენებოდა.

ცივილური სამართლისა და ხალხის სამართლის ურთიერთსაპირისპირო დუალიზმი მათ შერწყმას ვერ განაპირობებდა. რომაული საზოგადოება სამართლის უნიფიცირების პროცესით იყო დაინტერესებული, რომელიც დაპყრობილი ქვეყნების ყველა ოლქში სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის გაფართოებას ესწრაფვოდა. აღნიშნული პროცესის წარმატებით განვითარებას, პერეგრინებისათვის რომის მოქალაქეობის მინიჭება უწყობდა ხელს. საბოლოოდ, პრეტორული სამართლის, ჩვეულებითი სამართლისა და, ზოგადად, იურისპრუდენციის აქტიურმა ძალისხმევამ, ხალხის სამართლისა და ცივილური სამართლის შერწყმა განაპირობა.

განვითარებული *ius civile*-ს მხარდაჭერითა და თანადგომით, პრეტორული სამართალი საზოგადოებრივ ყოფაში, ფაქტობრივად, *ius gentium*-ის პრინციპებს ამკვიდრებდა.

სასაქონლო-სავაჭრო ურთიერთობის წიაღში, ამავე მიმართებით მოქმედი, ახალი ჩვეულებითი სამართალი განსაკუთრებით ხელს უწყობდა ხალხის სამართლის განვითარებას. ქრ. შობამდე 50 წლით ადრე ხსენებული სამართლის ახალმა ახსნა-განმარტებამ – (*nova interpretatio iuris*) წინა პლანზე იურიდიული გარიგების ყველაზე არსებითი ელემენტის – ნების მნიშვნელობა წამოსწია. ხალხის სამართლის განვითარების მეორე არსებითი ფაქტორი ე.წ ექსტრაორდინალური კოგნიცია[13] აღმოჩნდა.

განსაკუთრებული სიმკაცრითა და ფორმალიზმით ცივილური სამართალი საოჯახო-მემკვიდრეობით ურთიერთობებზე ზემოქმედებდა, რასაც ხალხის სამართლაზე ვერ ვიტყვით. სამაგიეროდ, მოძრავი ქონების ბრუნვის ფართო სფერო *ius gentium*-ის გავლენით ვითარდებოდა. რომაელმა იურისტებმა *ius gentium*-ის სწრაფი

[13] დავების გადაწყვეტის თავისუფალი ფორმა. Римское частное право, под ред. Новицкого И.Б. и Перетерского И.С., Москва, Юриспруденция, 2002, 16.

განვითარების მაჩვენელად, მისი რეგულირების სფეროში, მონობის ინსტიტუტის შეტანა მიიჩნიეს. *Ius gentium*-ი განსაკუთრებულ ზეგავლენას სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ახდენდა, რის შედეგადაც, ცივილური სამართლისაგან განსხვავებული, ახალი ტიპის ხელშეკრულებები შეიქმნა, რომლებიც, ყოველგვარი საზეიმო რიტუალებისა და ფორმალობების გარეშე, სადა, მარტივ შეთანხმებებს ეფუძნებოდა. ხალხის სამართლის ზეგავლენა *ius civile*-ზე ორმხრივი იყო: 1. დადგენილი ინსტიტუტები *ius civile*-მ წრაფად შთანთქა; 2. ამავდროულად, ძველი ცივილური სამართლით გათვალისწინებული ნორმები ხალხის სამართალში აისახა. რომაული ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, აღნიშნული პროცესი სულ უფრო ვითარდებოდა; ამის გამო თავად რომაელები *ius gentium*-სა და *ius civile*-ს თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. *Ius gentium*-ის შესახებ თეორიული შეხედულებების შემუშავებაზე დიდი გავლენა ბერძნული ფილოსოფიის დოქტრინამ, კერძოდ, არისტოტელეს მოძღვრებამ მოახდენა, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავდა ბუნებით და კანონიერ – პოზიტიურ სამართალს.[14] რომაელმა იურისტებმა აღნიშნული დოქტრინის სრულყოფა-განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. თუმცა, მათთვის *ius gentium*-ი ყოველთვის წმინდა რომაულ და არა უცხო სამართლის სისტემად მიიჩნეოდა.

თეორიულად, რომაელი იურისტები სამართალს ორ სფეროდ – ცივილურ და ხალხის სამართლად – ყოფდნენ. ამ დაყოფას ციცერონიც იზიარებდა. სამართლის დაყოფის თვალსაზრისით, ახალი საფუძვლები შემოიტანა გაიუსმა, რომელსაც ცივილური სამართალი კანონმდებლობის ნაყოფად მიაჩნდა და იგი მას ბუნებითი გონის[15] მიერ შექმნილ *ius gentium*-ს უპირისპირებდა.

რომაელ იურისტთა მიერ შემქნილი ახალი თეორიის თანახმად, ხალხის სამართალი არა ცივილურ სამართალს უპირისპირდებოდა, არამედ ბუნებით სამართალს (სტოელთა ფილოსოფიის მიხედვით), რომლის თანახმადაც, ბუნებითი სამართლით ყველა

---

[14] ius naturale. ius legitimum – ბუნებითი და კანონიერი სამართალი. იქვე, 18.

[15] ratio naturalis – ბუნებითი გონი. Римское частное право. под ред. Новицкого И.Б. и Перетерского И.С., Москва. Юриспруденция, 2002, 17.

ადამიანი თანასწორია.[16] პრინციპატის ხანაში სამართლიანობა[17] ცივილურ სამართალთან ერთად, ხალხის სამართალს დაუპირისპირდა. *Ius aequum*-ით (სამართლიანი სამართალი ანუ *aequitas*) მკაცრი სამართალი (*ius strictum*) ხორციელდებოდა. იურისტთა პრაქტიკულ საქმიანობაში სამართლიანობის პრინციპი დამკვიდრდა. მართალია, იურისტები ისეთ სიბოროტაზე ხუჭავდნენ თვალს, როგორიც მონობა და მეპატრონეების მიერ თავისუფალი გლეხობის ექსპლუატაცია იყო, სამართლიანობის პრინციპს მაინც აქტიურად ამკვიდრებდნენ. აღნიშნული პრინციპი სამართლის სფეროში, კანონის წინაში ყველას უდავო თანასწორობით, ცივილური სამართლის მოთხოვნათა სიმკაცრეს ამსუბუქებდა. დიდი ხნის განმავლობაში კერძო სამართლის სფეროში სამართლიანობის პრინციპი იურისტების მიერ, წმინდა ემპირიული (შემეცნებითი) და პრაქტიკული მოსაზრებებით, გონებისა და სამართლიანობის მზარდ მოთხოვნილებებისადმი ლტოლვად აღიქმებოდა. რესპუბლიკის ბოლო პერიოდში კი, საკუთრების უფლება ბუნებითი სამართლიანობის პრინციპს ეფუძნებოდა. ამის შესახებ ხაზგასმითაა აღნიშნული დიგესტებში:[18] ბუნებით სამართლიანობას ისე არაფერი შეესაბამება, როგორც სამართლით დადგენილი მესაკუთრის ნება. სამართლიანობის პრინციპთან აბსოლუტურ შეუსაბამობად განიხილებოდა რაიმე სარგებლის მოტყუებით[19] მიღება, რომლის საპირისპიროდაც კეთილსინდისიერება *bona fides* მიიჩნეოდა. ასეთი პრინციპით პრეტორის ედიქტის მიღებისას მოქმედებდნენ, რითაც აიხსნება, ედიქტსა და პრეტორული სამართლის მრავალ დებულებაში *ius aequum*-ის არსებობის სიხშირე. პრეტორული სამართლის მრავალ დებულებას ედიქტის კომენტატორები სწორედ სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე განმარტავდნენ.

[16] iure naturae omnes homines aequales sunt. იქვე.

[17] aequitas. იქვე.

[18] D. 41.1.1pr. Digesta Iustiniani. T. VI, Полутом 2. книги XLI- XLIV. ответст редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 11.

[19] dolus – რაიმე სარგებლის მიღება მოტყუებით. Римское частное право, под ред., Новицкого И.Б. и Перетерского И.С., Москва, Юриспруденция, 2002, 18.

IV. ბუნებითი სამართალი *(ius naturale)*

Ius gentium-ის ზემოაღნიშნული გაგება რომაელმა იურისტებმა იმდენად განავრცეს, რომ რესპუბლიკის ხანის ბოლო პერიოდში, არსობრივად, იგი *ius naturale*-ს დაუახლოვეს. ციცერონი პირველი იყო, ვინც ბუნებითი სამართალი ზნეობის მოთხოვნად განსაზღვრა. მისი მტკიცებით, სამართალი ბუნების მიერ დადგენილ უცვლელ ზნეობასა და კანონს ემყარებოდა.

ულპიანეს აზრით, ხშირ შემთხვევაში, კერძო საკუთრების უფლებაც ბუნებით სამართალს ეფუძნებოდა. ბუნებითი სამართლის შესახებ მისი შეხედულება ყველაზე სრულყოფილი იყო და ფართო გაგებით აღიქმებოდა. ულპიანეს თანახმად, ბუნებითი სამართლის მოთხოვნა, ზოგადად, სიცოცხლეზე ვრცელდებოდა, ხოლო ხალხის სამართლის მოქმედების არეალი მხოლოდ ადამიანებით იფარგლებოდა. დიგესტებში ვკითხულობთ: ხალხის სამართალი ვრცელდება მთელ კაცობრიობაზე. ამდენად, იოლი გასაგებია, რომ იგი განსხვავდება ბუნებითი სამართლისაგან, რომელიც ყველა სულიერზე ვრცელდება, ხალხის სამართალი კი მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობებს მოიცავს.[20]

[20] D. 1.1.1.4., რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 60.

თავი II. რომის სამართლის წყაროები

თანამედროვე გაგებით, სამართლის წყარო სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საკუთარი ნების გამოხატვის ფორმას გულისხმობს. შესაბამისად, სამართლის წყაროებში ასახულია ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაციის ოფიციალური, სახელმწიფოებრივი ნება. იგი ერთნაირად მისაღები და სავალდებულოა როგორც საზოგადოების ყველა ფენის, ისე სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისათვის. თანამედროვე სამართლით, სამართლის ძირითადი წყაროებია: ჩვეულება და ჩვეულებითი სამართლი, ნორმატიული აქტები, სასამართლო და იურიდიული პრეცედენტები, დოქტრინა, სამართალშეგნება და სამართლებრივი იდეოლოგია. თუმცა, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სამართლის წყაროს მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების გამო, ზემოჩამოთვლილი, სამართლის ძირითად წყაროებად ყოველთვის როდი განიხილებოდა. ძველ რომში ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სამართლის წყაროთა დიდი მრავალფეროვნება, მათი როლისა და სავალდებულო ძალის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას წარმოშობდა. ძველი რომის ცივილიზაციის ისტორიის შესწავლამ, სამართლის ისტორიკოსებს შესაძლებლობა მისცა სამართალგანვითარების შემდეგი პერიოდები გამოეყოთ:

არქაული ხანა – ქრ. შობამდე 753-367 წწ.

წინაკლასიკური პერიოდი – ქრ. შობამდე 367წ.-დან ქრ. შობის 17 წ.

კლასიკური იურისპრუდენციის ეპოქა – ქრ. შობის 17 წ. – ქრ. შობის 235 ან 305 წწ.

პოსტკლასიკური პერიოდი – IV-V სს.

VI საუკუნის ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე დიდის სახელსა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ე.წ. იუსტინიანეს სამართალშემოქმედება ცალკე განხილვის საგანია. ეს პერიოდი მოიცავს იუსტინიანეს მმართველობის ხანას – 529-535 წლებსა და შემდეგ, თითქმის 30 წლის განმავლობაში ე.წ. იუსტინიანეს კრებულში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების, ანუ სამართლებრივ (საკანონმდებლო) ნოვაციათა ეპოქას, რომლის შედეგად იუსტინიანეს საკანონმდებლო კრებულის კიდევ ერთი, მეოთხე ნაწილი, ე.წ. ნოველები შეიქმნა. ამრიგად, ძველი რომის სამართლის

წყაროთა შესწავლა მიზანშეწონილია სწორედ აღნიშნული პერიოდების მიხედვით, ვინაიდან თითოეული მათგანი, მომდევნო ეპოქასთან შედარებით, მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება.

I. არქაული პერიოდის ძირითადი თავისებურებანი (ქრ. შობამდე 753-367წწ.)

Ius civile – ცივილური სამართალი; Ius gentium – ხალხის სამართალი; ius sacrum – რელიგიური სამართალი; ius commercium – სავაჭრო სამართალი; pontifices – ქურუმი; interpretatio pontificium – ქურუმის განმარტება; familia – ოჯახი; fides – ერთგულება; legisactiones – კანონიერი სარჩელი; aequum – სამართლიანი; fas – რელიგიური წესრიგი; ius dicere, iuris dictio – სასამართლო ხელისუფლება; curia — კურია; comitia curiata – კურიის სახალხო კრება; leges regiae – რექსების კანონები; populus — ხალხი; comitia centuriata – ცენტურიის სახალხო კრება; res publica – სახალხო კრებების სუვერენიტეტი, რესპუბლიკა; lex publica, lex rogata – საჯარო კანონი; lex privata – კერძო კანონი; consul – კონსული imperium – უზენაესი ძალაუფლება; patricii – პატრიციები; plebs — პლებეები; civitas – თემი; hostes – მტერი.

ქრ. შომაბდე 753-367 წწ. ის სიმბოლური თარიღებია, რომლებიც ძველ რომაელთა საზოგადოების სამართლებრივი ორგანიზაციის ტრადიციებს ასახავს. აღნიშნული ტრადიციები ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან იღებს სათავეს, როცა აპენინის ნახევარკუნძულზე იტალიკების ტომები არ ცხოვრობდნენ და მდინარე ტიბროსის სანაპიროებზე, ლაციუმის პატარა ოლქში, მოკრძალებული კოლონია არსებობდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ძველ რომაელთა მსოფლმხედველობა და მათი სამართლებრივი ინსტიტუტები ერთბაშად ვერ შეიცვლებოდა. აღნიშნულ ეპოქაში, ზოგადად, რეტროსპექტიული[21] და ესქატოლოგიური[22] მსოფლმხედველობის ნიაღში,

[21] როსპექტიული მხედველობა, ანუ ძველ დროში ჩამოყალიბებული, ობიექტის განვითარების ტექნიკური, ეკონომიკური ტენდენციები, რითაც განისაზღვრება მისი განვითარების სტრატეგია.

[22] რელიგიურ შეხედულებათა და წარმოდგენების სისტემა სამყაროს დასას-

საგნობრივი ინტერესები დგინდებოდა და სამყაროს ინდივიდუალურად აღმქმელი ცალკეული ადამიანის ღირებულება იკიდებდა ფეხს. ამავე ეპოქის დასაწყისში თუ რომაელები ჯერ კიდევ დიდ პატრიარქალურ ოჯახებად ცხოვრობდნენ და წინაპართა კულტს[23] აღმერთებდნენ, ქრ. შობამდე IV საუკუნეში საზოგადოება მცირე ოჯახებად დაიყო. გვარი ცალკეულ ინდივიდს აღარ შთანთქავდა, პირიქით, ხელს უწყობდა მისი შთამომავლობის გამრავლებას მცირე ოჯახური კოლექტივის სახით. ძველი რომაული ერთობის განვითარება იმ სტადიას ასახავდა, როდესაც ადამიანს საკუთარი თავი ვერ წარმოედგინა საოჯახო ორგანიზაციის გარეშე, რომელსაც, დროის მიხედვით, დიდი წინაპარი, მამამთავარი განსაზღვრავდა, ხოლო სივრცით – ოჯახის სამკვიდრო ტერიტორია. ამ უკანასკნელის საზღვრებში იყო მოქცეული წმინდა ადგილებიც, ანუ მათი სათაყვანებელი წინაპრების საფლავები. ოჯახის სამფლობელოს საზღვრებს მიღმა მთელი გარესამყარო რომაელებს უწმინდურ ძალად წარმოედგინათ. სასაქონლო გაცვლა-გამოცვლა არა ეკონომოკური, არამედ მხოლოდ საკომუნიკაციო მნიშვნელობისა იყო, ამა თუ იმ ოჯახის წევრებთან პირადი კონტაქტების დამყარების მიზნით. უცხო გვარის წევრებს მტრებად აღარ მიიჩნევდნენ და შინაურებად ღებულობდნენ. ამრიგად, უცხოსთან კონტაქტით, პირი, სამართლებრივ ასპექტში, საკუთარ თავს იძენდა. ასეთი კავშირების ერთგულების გარანტი მაგიური და რელიგიური საშუალებები (ფიცი, ტოტემის გაცვლა, მისნობა) იყო.

ყოველივე ამით გარკვეულ რიტუალებს მიეცა დასაბამი, რომლებმაც სხვადასხვა ეკონომიკური ურთიერთობა განაპირობა. საგნობრივი ინტერესების განვითარებას რიტუალების სპეციალიზაციაც მოჰყვა. სარიტუალო ცერემოენიებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ რომაელებს ჰქონდათ და ნაწილობრივ იმ ლათინურ თემებს, რომელთაც რომაელებთან გარკვეული სახის გარიგებების დადების უფლება მიეცათ. ძველი რომაული საზოგა-

---

რულის, ცოდვის გამოსყიდვის და იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ. აგრეთვე ღვთისმეტყველების დარგი, რომელიც აღნიშნული წარმოდგენების სისტემას შეისწავლის ამა თუ იმ რელიგიური დოქტრინის ფარგლებში.

[23] adgnatus proximus – წინაპართა კულტთან ასაკით ყველაზე ახლოს მდომი, ოჯახის უხუცესი წევრი; ოჯახის უფროსი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 14.

დოებიდან უცხოელების, ანუ მტრების განდევნამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა უძველესი რომაული სამართლებრივი სისტემის კარჩაკეტილობა. სარიტუალო ცერემონიების სიწმინდესა და ტრადიციით დადგენილ წესებს ქურუმების საგანგებო კოლეგია – იცავდა. ძველი რომის რელიგიურ და საერო ცხოვრების წესებსაც, ახალი ვითარების შესაბამისად, ისინი განკარგავდნენ, ანუ ამა თუ იმ ნორმისა თუ ინსტიტუტის სახეს ეს კოლეგია ერთობლივად ადგენდა.

ამრიგად, ყოფითი პირობების შეცვლამ სამართლის ნორმატიულ სტაბილურობასა და მონაცვლეობაზე გავლენა ვერ მოახდინა. ქურუმთა კოლეგია 15 პონტიფიკოსის – ფლამინები (უზენაესი ღმერთების უმაღლესი ქურუმები), ქალღმერთ ვესტას ქალწული ქურუმების – ვესტალებისა და *rex sacrorum*-ისაგან შედგებოდა. ყოველწლიურად პონტიფიკოსები თავიანთი კოლეგიის ერთ-ერთ წევრს კერძო სამართლის შესწავლას ავალებდნენ. აღნიშნულ ეპოქაში, რელიგიური ნორმების შესამაბისად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სავალდებულო და მისაღები იყო (*aequum, ius*). თუმცა, ეს გარემოება სამართლისა და რელიგიის ზუსტ ანალოგიას როდი ნიშნავდა. ჯერ კიდევ რომულუსის დროს, რომის სამართლის ისტორიულად ადრეულ ეტაპზევე, განსაკუთრებული სასამართლო ხელისუფლება ჩამოყალიბდა, რომლითაც აღიჭურვენ *rex*-ები. კერძო დავათა და კონფლიქტთა განხილვისას, რექსი სამართლით *ius (ius dicere)* ხელმძღვანელობდა და სამართალდამრღვევისათვის სანქციას აწესებდა. ქცევის ზოგადი წესების დადგენისას, *rex* (შესაძლოა პონტიფიკოსებთან ერთად) საკანონმდებლო ხელისუფლებასაც ახორციელებდა. შემდეგ ის ახალ ნორმებს კურიის სახალხო კრებაზე წარადგენდა, რომელიც ამ წესებს (*lex curiata*) მხოლოდ იწონებდა. *Rex*-ის კანონების შესახებ ცნობებს გვიანდელი პერიოდის ავტორები გვაწვდიან.

ქრ. შობამდე 509 წელს, რექსების განდევნის შემდეგ, ახალი პერიოდი იწყება. სასამართლო ხელისუფლება და საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ორ უმაღლეს ინსტიტუტს – კონსულსა და სენატს (არისტოკრატიულ საბჭოს) მიენიჭა. კანონების მიღება მხოლოდ სენატის მიერ მათი მოწონებისა და კომიციებში ვოტირების პროცედურის გავლის შემდეგ (*auctoritas patrum*) ხდებოდა. რესპუბლიკის (*res publica*) დამყარება ხალხის სუვერენი-

ტეტის გამარჯვებასა (*populus* აქედან *publicum*) და რომის სამოქალაქო თემად *civitas* (მოქალაქეთა ერთობლიობად) გადაქცევას მოწმობდა. ტრადიციულად, ამ პროცესის დასაბამად მიჩნეულია ეტრუსკული რექსების ეპოქა, რომლებიც რომში ქრ. შობამდე VI საუკუნეში ზეობდნენ. სერვიუს ტულიუსის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, მოსახლეობა ქონებრივი ცენზის მიხედვით ახალ სამხედრო-ადმინისტრაციულ (ცენტურიებად) დაყოფას დაექვემდებარა და ახალი სახის სახალხო კრებები (*comitia centuriata*) დაწესდა. გადმოცემის თანახმად, ეტრუსკი რექსები ქვეყანას ტირანულად მართავდნენ. მათ საგვარეულო არისტოკრატია დაიმორჩილეს, რითაც კომიციების პოლიტიკური მნიშვნელობა დიდწილად ამაღლდა. რეფორმის შემდეგ, რექსების განდევნა კანონზომიერი მოვლენა და საგვარეულო არისტოკრატიის ერთგვარი რევანში იყო. სახელმწიფოში უმაღლეს თანამდებობებზე არჩევის უფლება მხოლოდ სენატორებს (*patres*) და მათი შთამომავლებს (*patricii*) ჰქონდათ; არაპატრიციებს ასეთი უფლება არ გააჩნდათ. ამრიგად, ქრ. შობამდე VI საუკუნეში რომის საზოგადოება ორ ფენად – პატრიციებად (*patricii*) და პლებეებად (*plebs*) გაიყო. ორი საუკუნის განმავლობაში მათ შორის შეურიგებელი პოლიტიკური დაპირისპირება პლებეების გამარჯვებით დასრულდა. მათ საკუთარი მაგისტრატის, პლებსის ტრიბუნის[24] არჩევას მიაღწიეს. თუმცა, მათ კონსულების თანაბარი უმაღლესი ძალაუფლება არ გააჩნდათ. მაგრამ სხვა ნებისმიერი მაგისტრატის განკარგულებასა და მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებაზე, *veto*-ს უფლება მოიპოვეს. ასევე საერთო სახალხო კრებებზე საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მიენიჭათ. აღსანიშნავია, რომ პლებსის ტრიბუნის ძალაუფლება მხოლოდ ქალაქი რომით იფარგლებოდა. ახლა ცალ-ცალკე განვიხილოთ სამართლის თითოეული წყარო.

§1. ჩვეულებითი სამართალი

Mos Romanum – რომაული ჩვეულება; mores maiorum – წინაპართა ნაანდერძევი; consuetudo – ჩვეულებითი სამართალი; mos regio-

[24] tribuni plebis – პლებსის ტრიბუნი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 17.

nis – ადგილობრივი ჩვეულება, სამართლის ნორმის ანალოგიით გამოყენება.

სამოქალაქო ბრუნვაში მუდმივად გამოყენებულ სამართლის ნორმას, რომელიც ხალხის რწმენას ეფუძნება ჩვეულებითი სამართალი ეწოდება. ჩვეულებითი სამართალი სამართლის ის სახეა, რომელსაც ადამიანების გონივრული ქცევის წესად მიიჩნევენ. ცნებიდან გამომდინარე, ჩვეულებითი სამართლის წყარო, სახელმწიფო წყობილებისაგან დამოუკიდებელი, სახალხო გონია. ამიტომ, ჩვეულებითი სამართალი შეიძლება განვითარდეს წინაისტორიულ ხანაში. იმისათვის რომ, ჩვეულებით სამართალს სამართლის წყაროს ფუნქცია მიენიჭოს და მოქმედებდეს როგორც სამართლებრივი სისტემა, იგი სამ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: 1. გარკვეული წესის ხანგრძლივად, უწყვეტად მოქმედება და მისი დაცვა; 2. ხალხის სამართლებრივი მრწამსი; 3. იმპერატორ კონსტანტინეს კონსტიტუციის მიხედვით, არსებულ (მოქმედ) კანონს უნდა ავსებდეს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას და მხოლოდ საკანონმდებლო ხარვეზს აღმოფხვრავდეს.

წესისამებრ, ასეთი მოთხოვნით იგულისხმებოდა შემდეგი: ჩვეულებითი სამართლის ნორმები დასაშვები იყო *praeter legem*-ის და არა *contra legem*-ის პირობებში, ანუ ჩვეულებითი სამართლის ნორმას უნდა ჰქონოდა სუპლეტორული (ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა) და არა დეროგაციული ძალა.[25]

ძველ რომში ჩვეულებას, ჩვევას *mos Romanum* ეწოდებოდა. წინაპართა ანდერძს, დანაბარებს კი – *mores maiorum*, ხოლო ჩვეულებით სამართალს — *consuetudo* ეწოდებოდა, რომელიც სამართლის ნორმის ანალოგიით, ერთ რომელიმე მხარეში დადგენილი ჩვეულებით (*mos regionis*) ცალკეული პირების თვითნებური ქცევის შესაძლებლობას, ქცევის ზოგადსავალდებულო სტანდარტით ზღუდავდა და სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შემთხვევითი გარემოებებისაგან დაცვას უზრუნველყოფდა. კერძოდ, პარტნიორი მხარის უსუსურობისა, თუ მისი მხრიდან ფიზიკური ძალის უხეში გამოყენებისაგან თავდაცვის მიზნით, ერთი კონკრეტული სამართლებრივი სივრცის პირები თანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ.

[25] Барон. Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2005, 57.

ამ წესისადმი მორჩილება, „თავისიანი"-ის „უცხოსგან" და სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა – არამონაწილეთაგან, ანუ სუბიექტების არასუბიექტებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას იძლეოდა. ამგვარი დამოკიდებულების საფუძველზე ჩამოყალიბდა შეხედულება აბსტრაქტული პარტნიორის, ანუ ადამიანთა იმ ერთობლიობის შესახებ, რომელიც ყოველდღიურ ურთიერთობაში ქცევის მსგავსი წესებით ხელმძღვანელობდა. საკუთარ წრეში ამა თუ იმ ჩვეულ ქცევაზე ადეკვატური რეაქციის მოლოდინი და იმედი, ქცევის ასეთი წესების დადგენას განაპირობებდა და თაობიდან თაობისთვის გადაცემის აუცილებლობას განსაზღვრავდა; ეს კი, თავის მხრივ, რომაელთა საზოგადოებაში ჯეროვანი ქცევის შესახებ შეხედულებათა ახალი სისტემის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ეს სისტემა არა მარტო ყოველდღიურ (ჩვეულებრივ) ქცევებში მოქმედებდა, არამედ ენობრივ ფორმაშიც (ზეპირსიტყვაობასა თუ წერილობით დოკუმენტებში) აისახა და პოზიტიური სამართლის ფორმას წარმოადგენდა. კოდიფიკაციამდე ნორმად ქცეული ტრადიციის მემკვიდრეობითობას უზრუნველყოფდნენ პონტიფიკოსები, რომელთაც წინაპართა ნაანდერძევის დაცვა-გაფრთხილება დაევალათ. კერძოდ, პონტიფიკოსების კომპეტენციაში საზოგადოებისათვის ურთიერთობის დადგენილი წესების ზუსტად გადაცემა, მისი მოთხოვნების განვითარების კვალობაზე, ზოგადსავალდებულო წესების მუდმივად, ადეკვატურად დადგენა-განახლება შედიოდა, მზარდ საზოგადოებრივ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, მათვე ევალებოდათ განვითარებული საზოგადოებისათვის ქცევის დადგენილი წესების სათანადო ფორმით ახსნა-განმარტება. დაწერილი კანონების შექმნის შემდეგაც ამ ტექნიკამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვეულებების ავტორიტეტით შეინარჩუნა. მათი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ პონტიფიკოსები და გვიანდელი პერიოდის საერო იურისტები სწორედ მათ იყენებდნენ იმ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომელთა გამოტანა კანონის საფუძველზე შეუძლებელი იყო.

წინაპართა ნაანდერძევით გათვალისწინებული ნორმები XII დაფის კანონებში არ ასახულა. ეს ფაქტი სამართლებრივი ურთიერთობის უძველესი ფორმების სიმტკიცეზე მიუთითებს (რიტუალები და ინსტიტუტები). XII დაფის კანონების ინტერპრეტაციით

ამ ნორმათა უმრავლესობა, გარკვეული ცვლილებებით, ცივილური სამართლის შემადგენელ ნაწილად აღიქმებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ *mores*-ის დიდი ნაწილი XII დაფის კანონების ინტერპრეტაციით მნიშვნელოვნად შეიცვალა და ამის შემდეგ ისინი ცივილური სამართლის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა.

იურიდიული თვალსაზრისით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ტერმინი ჩვეულება. ქრ. შობამდე I საუკუნეში მოღვაწე პრეტორები მას ჩვეულებითი სამართლის ახალი ნორმატიული ელემენტის აღსანიშნავად იყენებდნენ. ცივილური სამართლის გაგებით, წინაპართა ნაანდერძევის ფუნქცია უფრო კონსერვატიული ხასიათისაა, ჩვეულება კი სიახლის წყაროდ, *ius civile*-ს ერთგვარ სახეობად წარმოჩინდება. ციცერონის თანახმად, ჩვეულებითი სამართალი არის დაუწერელი კანონი, რომელიც ეფუძნება ჩვეულებას ან ადამიანთა შორის შეთანხმებას და თითქმის, საყოველთაო მოწონებით სარგებლობს, უწინარესად მას ვიცავთ, როგორც წინაპართა ნაანდერძევსა და ერთგვარად, ბუნებითი სამართლით ნაკარნახევ კანონებს.

ამრიგად, ჩვეულებითი სამართლის ერთადერთი სპეციფიკური ნიშანი მისი დაწერილი ფორმით არარსებობა გახლავთ.

§2. Lex (leges) (კანონი) და plebiscita (პლებისციტები)

ა) Lex (leges) – კანონი

Populus – ხალხი; lex publica – საჯარო კანონი; lex rogata – კომიციებში ვოტირებული (ხმის მიცემით მიღებული კანონი); privilegium – განსაკუთრებული ნორმა; provocatio ad populo – კომიციებში აპელაცია-პროვოკაცია; leges perfecta – კანონიერების პრინციპი, სრულყოფილი სახის კანონები; leges minus quam perfecta – ნაკლებად სრულყოფილი სახის კანონები; leges imperfecta – არასრულყოფილი სახის ნაკლოვანი კანონები.

თანამედროვე სამართლის თეორიის თანახმად, კანონის ცნება შემდეგნაირადაა განმარტებული: კანონი არის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, განსაკუთრებული წესით მიღებული, უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმა-

ტიული აქტი, რომელიც აწესრიგებს (არეგულირებს) საზოგადოებრივი ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს მხარეებს (სფეროებს).

ძველ რომში სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს დაწერილი ფორმის კანონი წარმოადგენდა. გაიუსის ინსტიტუციების 1.3. თანახმად, lex est quod populus iubet atque constituit – კანონი არის ის, რაც ხალხმა ბრძანა და დაადგინა.[26]

ძველი რომაელები კანონის (*lex*) – პოზიტიური სამართლის უზენაესი და ყველაზე სრულყოფილი ფორმის კრიტერიუმად, სახალხო კრების მიერ მის მიღებას მიიჩნევდნენ. პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ ასპექტით ხალხი (*populus*) განიხილებოდა *civitas*-ად (სუვერენული კოლექტივი). პრაქტიკულად, კანონი მთელი რომაელი ხალხის[27] წარმომდგენი სახალხო კრების (*comitia*) მიერ დამტკიცებული და დადგენილი უნდა ყოფილიყო: *...populi appellatione universi cives significatur* – სახელდებით ხალხი – ყველა მოქალაქე იგულისხმებოდა.[28]

საკუთარი ინტერესების დასაცავად, კანონის მიმღები სუვერენული უფლებებით აღჭურვილი ხალხის ნება, კანონს რომის სამართლის ოფიციალურად დადგენილ (პოზიტივაციის) ძირითად ფორმად გარდაქმნიდა, ვინაიდან კანონი, მოქალაქეთაგან (*cives*) მომდინარე სამართალად – ცივილურ სამართლად აღიქმებოდა.

ხალხის – სამართლის ნორმის შემოქმედისა და თემის (*cives*) – მისი ადრესატის საყოველთაობა განსაზღვრავდა ასეთი ნორმის უნივერსალურად გატოლებად ხასიათს. იმის მიუხედავად, რომ კანონის ტექსტის ჩამოყალიბება სპეციალისტების მიერ უნდა მომხდარიყო, კანონი არის ზოგადი მოთხოვნა, გამოცდილ კაცთა გადაწყვეტილება, იმ დანაშაულის დათრგუნვა, რომელიც ჩადენილი იქნება ან თვითნებობით, ან უცოდინრობით, ანუ რესპუბლიკის ზოგადი ფიცი.[29] ამგვარად, ტექსტში სახალხო კანონის განმასხ-

---

[26] Gai.,1.3. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო პროფ. ნუგზარ სურგულაძემ. თბილისი, 2011, 9.

[27] cives romani – რომაელი ხალხი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма., 2003, 89.

[28] Gai.,1.3. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო პროფ. ნუგზარ სურგულაძემ თბილისი, 2011, 9.

[29] D.1.3.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი

ვავებელი ნიშნებია აღნიშნული: 1. პროფესიონალთა[30] მონაწილეობა ცხადყოფს, რომ მათ ჰქონდათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება; 2. *lex*-ი, როგორც სამართლის ფორმა, ზოგად ხასიათს შეესაბამებოდა; 3. კანონები მთელი სამოქალაქო საზოგადოებისა[31] და ყველა მოქალაქისთვის[32] დგინდებოდა და მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობის შედეგს ითვალისწინებდა. ამდენად, ქცევის გაუაზრებლობასა და უმეცრებას გამორიცხავდა, როგორც ნორმის შესაძლო დარღვევის ან უგულებელყოფის მიზეზს. კანონები უზრუნველყოფდნენ სამართლის სიზუსტესა და სიცხადეს. მათივე დანიშნულება იყო მოქალაქეთა და მმართველთა თვითნებობის გამორიცხვა.

რომის სამართლის ისტორიის აღწერისას, პომპონიუსი ერთმანეთს უპირისპირებს პოზიტიური სამართლის თავდაპირველ არარსებობასა და რომულუსის მიერ კანონთა გამოცემა-დადგენის პრაქტიკას,[33] სახალხო კრებებზე დამტკიცების სახით. მისი აზრით: ჩვენი სამოქალაქო თემის საწყის პერიოდში ხალხმა საკუთარი ცხოვრება განსაზღვრული კანონის, განსაზღვრული სამართლის გარეშე წარმართა; ყველაფერი რექსების მიერ გაცემული სახელისუფლო განკარგულებებით იმართებოდა. რექსების კანონები გამოიცემოდა ეტრუსკული დინასტიის ზეობის პერიოდში. მათი გამოცემა დიდი პონტიფიკოსის – პაპირიუსის მიერ განხორციელდა და სრულიად კანონზომიერად იწოდა *ius civile Papirianum*-ად. კანონთა გამოცემა კი რექსთა საკანონმდებლო საქმიანობის დასრულებას დაუკავშირდა, რის გამოც, ტრადიციულად, ეს მოვლენა რესპუბლიკის პერიოდის დასაწყისად ითვლება. ამ პერიოდს პომპონიუსი სამართლის გაურკვევლობის ახალ მდგომარეობად ახასიათებს.

XII დაფის კანონების შექმნითა და გამოქვეყნებით ვითარება კარდინალურად შეიცვალა. პლებსის დაჟინებული მოთხოვნით, ქრ. შობამდე 451 წელს შეიქმნა საკანონმდებლო კომისია, რომლის შემადგენლობაში ათი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი რო-

---

კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 79.

[30] iuris prudentes – სამართალმცოდნეები.

[31] communis sponsio – სამოქალაქო საზოგადოება. Дождев Д.В., Римское частное право, Москва. Норма. 2003, 90.

[32] commune praeceptum – ყველა მოქალაქე. იქვე, 91.

[33] leges curiatae. იქვე.

მაელი (*decem viri*) შევიდა, აპიუს კლავდიუსის ხელმძღვანელობით. კომისიის მიზანი სამართლის ნორმების მოწესრიგება და მათში სიცხადის შეტანა იყო. დაახლოებით ორწლიანი მუშაობის შემდეგ, კომისიამ XII დაფის კანონები *(Leges duodecim tabularum)* შექმნა, რომელთა ვოტირება ცენტურიალურ კომიციებში მოხდა, ქრ. შობამდე 449 წელს. XII დაფის კანონები იქცნენ, შემდგომი პერიოდის, რომაული სამართალგანვითარების ძირითად საფუძვლად, მთელი საჯარო და კერძო სამართლის წყაროდ (*fons omnis publici privatique ... iuris*).[34] უამრავი ჩვეულება (*mores*) და კურიატული კანონი[35] იქნა სისტემატიზირებული და წერილობითი ფორმით დაფიქსირდა, საყოველთაო მნიშვნელობის, ერთგვაროვან საჯარო კანონში (*lex publica*). ყველა ნორმა, რომელიც არ შევიდა კოდექსში, ძალადაკარგულად ჩაითვალა და გაუქმდა.

XII დაფის კანონები სისტემატიზირებულია თემატური პრინციპით:

I-II-III დაფები სამოქალაქო პროცესს, პირთა სტატუსებს, უფლება და ქმედუნარიანობის საფუძვლებს აწესრიგებენ;

IV-V დაფები საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს, მამის ხელისუფლების საფუძვლებს იხილავენ;

VI-VII დაფები სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნორმებს შეიცავენ;

VIII-IX დაფები სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს, დანაშაულსა და სასჯელის დადგენის საფუძვლებს აწესრიგებენ;

X დაფა საკრალური რიტუალების რეგულაციას ეხებოდა.

თუმცა, მალევე გაირკვა, რომ კანონმდებლებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარი ცვლილებანი ვერ გაითვალისწინეს და კიდევ ორი დაფის დამატება გახდა საჭირო. ასე შეიქმნა XI და XII დაფები, რომლებშიც პირველი ათი დაფისათვის გათვალისწინებული ცვლილება-დამატებები შევიდა.

კომისიის მიერ შედგენილი კანონები, კომიციებში ვოტირების შემდეგ, სპილენძის დაფებზე (ფირფიტებზე) ამოტვიფრეს და საყოველთაო გაცნობის მიზნით ფორუმზე გამოფინეს. ამ აქტით ნორმატიული სისტემის ერთიანობასა და პოზიტიურ სამართალში და-

---

[34] Titus Livius, 3,24.6.. Графский В.Г., Всеобщая история права и государства, Учебник для ВУЗов. 2-ое издание, Москва, Норма, 2005, 189-190.

[35] leges regiae – კურიატული კანონი. იქვე, 93.

ძლეულ გაურკვევლობას გაესვა ხაზი.

ჩვენამდე მოღწეულია როგორც ამონარიდები XII დაფის კანონებიდან, ისე მათ საფუძველზე შედგენილი სარჩელების ფორმულები. ქრ. შობამდე III-II საუკუნეების მიჯნაზე კანონთა ტექსტი და *legis actiones* სექსტუს ელიუსმა გამოაქვეყნა, რომლის ნაშრომი შემდგომი პერიოდის ფილოლოგიურ და იურიდიულ კომენტარებს დაედო საფუძვლად. XII დაფის კანონების შესახებ ჩვენი ცოდნა ძველი დროის მეცნიერთა და იურისტთა ნაშრომებით არის განმტკიცებული. კერძოდ: მარკუს ტულიუს ციცერონის (*Cicero*), პლინიუს უფროსის (*Plinius*), ტიტუს ლივიუსის (*Livius*), დიონისე ჰალიკარნასელის (*Dionysius*) და სხვების თხზულებებით.

თუ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა წესი კანონის სახეს მიიღებდა, სამართლის გარკვეულობის იდეა განუხორციელებელი დარჩებოდა.[3] XII დაფის კანონებით სამომავლოდ ისეთი სახის საკანონმდებლო ინიციატივა იკრძალებოდა, რომელიც კანონის გვერდის ავლისა და ცალკეულ პირთა სასარგებლოდ, განსაკუთრებული ნორმების მისაღებად იქნებოდა მიმართული.[4]

XII დაფის კანონები პოზიტიური სამართლის შეცვლის საკანონმდებლო პროცედურასაც ითვალისწინებდა. ტიტუს ლივიუსის რედაქციით, ჩვენამდე მოღწეულ XII დაფის კანონების თანახმად: „რაც არ უნდა დაადგინოს ხალხმა საბოლოოდ, ეს იქნება დადგენილი სამართალი." ამ დადგენილებით ნათელია, რომ ყოველი ახალი კანონი ძველს კი არ აუქმებდა, არამედ, პირველ ყოვლისა, იცავდა არსებულ (მოქმედ) კანონს, რომლის გაუქმებასაც ისეთივე პროცედურა ესაჭიროებოდა, როგორიც მისი მიღებისათვის იყო დადგენილი.[5] რომის სამართალში XII დაფის კანონები ძირითად საკანონმდებლო აქტად რჩებოდა, ამიტომ მას, საგანგებო დაზუსტების გარეშე, ხშირ შემთხვევაში უბრალოდ *leges*-ად იხსენიებდნენ. მოგვიანებით, ცივილური სამართალი სწორედ XII დაფის კანონთა ინტერპრეტაციის საფუძველზე დაიხვეწა და განვითარდა. ამის გამო, რომაული სათემო-სამართლებრივი სისტემა ფორმალურად მთლიანად ამ კოდექსს დაეფუძნა.

მომდევნო, ანუ რესპუბლიკის პერიოდში, კანონებისათვის ხმის მიცემა კომიციებში ხდებოდა. ცივილური სამართლისაგან განსხვავებით, მათ *leges rogatae* ეწოდა და ისინი 1. ან რეაგირებას ახდენდნენ ფართოდ გავრცელებულ სოციალურ ცვლილებებზე და

ამის გამო პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენდნენ (მათი მთავარი შედეგი იყო ის სოციალური კომპრომისი, რომლის შედეგადაც XII დაფის კანონები შეიქმნა), 2. ან XII დაფის კანონებში ჩადებული პრინციპები ახალ ურთიერთობებზე ვრცელდებოდა, რითაც არსებული ხარვეზების კორექტირება ხდებოდა. პირველ ჯგუფს განეკუთვნებოდა: 1. *lex Canulea*, რომლის საფუძველზეც ქრ. შობამდე 443 წ., XII დაფის კანონების მიღებისთანავე, პატრიციებსა და პლებეებს შორის ქორწინების აკრძალვა გაუქმდა; 2. *lex Poetelia Papiria*, რომლის ძალითაც ქრ. შობამდე 326 წ. კრედიტორს აეკრძალა, თვითნებურად, პირადად გასწორებოდა ვალაუვალ მოვალეს; 3. მევახშეობის შემზღუდავი კანონები; 4. ქრ. შობამდე II საუკუნის აგრარული კანონები, რომლებიც მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ახალ წესს ადგენდნენ; 5. ქორწინების შესახებ ავგუსტუსის კანონები, რომლებიც საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის მრავალ ინსტიტუტს შეეხო. აღნიშნულ კანონთა მიზანი სამართლის სისტემის ლოგიკის განვითარება იყო და არა მისი რეფორმირება.

Lex სამი ნაწილისგან შედგებოდა: 1. *praescriptio* – რომელშიც სახალხო კრების წინაშე საკანონმდებლო ინიციატივით გამოსული მაგისტრატის სახელი, იმ პირველი კომიციის შეკრების თარიღი, რომელშიც მან კენჭი იყარა და იმ პირველი მოქალაქის სახელი იწერებოდა, რომელმაც ამ მაგისტრატს ხმა მისცა; 2. *rogatio* – რომელშიც ხმის მისაცემად გამოტანილი კანონპროექტის ტექსტი ეწერა; 3. *sanctio* – დასკვნითი ნაწილი, რომელიც იმ მითითებას შეიცავდა, რომ კანონს არ ჰქონდა იურიდიული ძალა, თუ ის *leges sacratae* (წმინდა კანონები), პლებსის სასარგებლოდ მიღებულ კანონს ან სხვა, ადრე მიღებულ აქტს ეწინააღმდეგებოდა.[36]

კანონთა მეორე ჯგუფს განეკუთვნებოდა კანონები, რომლებმაც მარგინალური ცვლილებები დაამკვიდრეს. მათთვის დამახასიათებელი ნორმათა შეზღუდული ქმედითობა იყო. კანონში მითითებული სანქციის მიხედვით, რომაელი იურისტი ულპიანე ერთმანეთისაგან კანონთა სამ სახეს განასხვავებდა: 1. *leges perfectae* – სრულყოფილი სახის კანონები, რომლებიც აკრძალული აქტის ბათილობას გულისხმობდა; 2. *leges minus quam perfectae* – ნაკლებად

[36] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо. Римское частное право: казусы, иски, институты, Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 64.

სრულყოფილი სახის კანონები, რომლებიც სამართალდარღვევისათვის სასჯელს (ძირითადად, ჯარიმას) ადგენენ, თუმცა, აკრძალული აქტს ძალადაკარგულად არ მიიჩნევდნენ; 3. *leges imperfectae* – არასრულყოფილი სახის კანონები, რომლებიც საერთოდ არ ითვალისწინებდნენ სანქციას: არც აქტის ბათილად ცნობის, არც მისი გამოყენების გამო სასჯელის დაწესების სახით.[37]

ბ) *Plebiscita* – პლებისციტები

თავდაპირველად, პლებსის სახალხო კრების (*consilium plebis*) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები – პლებისციტები (*plebiscita*) სავალდებულო მხოლოდ პლებისისათვის იყო. „ოდესღაც, პატრიციების მტკიცებით, მათ პლებისციტებით ვალდებულებები არ ეკისრებოდათ, რაკი ისინი გამოიცემა მათი მოწონებისა და მხარდაჭერის გარეშე".[38] თუმცა, ქრ. შობამდე 287 წ., ჰორტენზიუსის კანონით, *leges populi*-ს მსგავსად, ისინი მთელი რომაელი ხალხისათვის სავალდებულოდ შეიქნა; ჰორტენზიუსის კანონის თანახმად, პლებისციტები კანონებს გაუთანაბრეს. ის *leges populi*-გან მხოლოდ მისი მიღების ფორმით განსხვავდებოდა, თუმცა, *leges* ყველა არსებითი მახასიათებლით შეესაბამებოდა.

§3. სარჩელი, როგორც სამართლის წყარო

Legis actiones – კანონისმიერი სარჩელები – legis actio – კანონისმიერი სარჩელი; pars iuris – სამართლის ნაწილი; formae agendi – სასარჩელო ფორმის ნორმატიული მნიშვნელობა.

კერძო პირთა შორის წარმოქმნილი დავის შემთხვევაში, სუბიექტის სამართლებრივად დაცვა, განსაკუთრებული საჯარო ხე-

[37] იქვე.

[38] olim patricii dicebant plebiscitis se non teneri, quia sine auctoritate eorum facta essent, Gai.,1.3. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011. 9; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 95.

ლისუფლების, სასამართლოს, მეშვეობით ხორციელდება. სამართლის ერთი სუბიექტი, მეორე სუბიექტის მიმართ, კანონზე დაფუძნებულ საკუთარ პრეტენზიას ამტკიცებდა და სასამართლოს წინაშე თავად პრეტენზიის მართებულობას ასაბუთებდა. მისი მიზანი კანონთა დებულების საფუძველზე, საკუთარი უფლებამოსილების აღიარების მიღწევა იყო. კანონის ნორმები ქმედითობას, რაელურად არსებული, დაცვის საშუალებებით იძენდნენ. თავის მხრივ, სასამართლო დევნის მუქარაც ხელს უწყობდა პირის უფლებების განხორციელებას, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

ტერმინი *legis actio* არა იმდენად *lex populi* სარჩელის ფორმალურ წყაროზე უთითებდა, რამდენადაც თვით სარჩელის ფიქსირებულ ხასიათზე: *lege agere* ნიშნავდა *certis verbis agere* – ფიქსირებული განცხადებით ვეძიოთ დაცვა სასამართლოში, გარკვეული სიტყვების წარმოთქმით (*lex privata* – კერძო კანონი), რომლის ტექსტი, როგორც კანონის სიტყვები, უცვლელად რჩებოდა.

პონტიფიკოსები კანონის ფორმალურ მხარეს მკაცრად იცავდნენ, თუმცა დროის შესაბამისი ახალი მნიშვნელობის მინიჭებით, ნორმის ქმედებას კანონით გაუთვალისწინებელ ურთიერთობებზეც ავრცელებდნენ.

ძველი სასამართლო პროცესის მონაწილენი იძულებულნი იყვნენ ზუსტად დაეცვათ სარჩელით ფიქსირებული სიტყვები – სასარჩელო ფორმალიზმი, რაც კიდევ უფრო განამტკიცებდა სასამართლოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის რწმენას. თავის მხრივ, სასამართლოც ამავე კანონით იყო შებოჭილი (ის სანქციას ადგენდა მისი მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში). სამართლის ფორმის მატერიალური და პროცესუალური ასპექტების თანხვედრა, უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრულობას უზრუნველყოფდა და ყველა მსგავსი ურთიერთობის თანაბარი დაცვის გარანტი იყო. სასარჩელო ფორმალიზმი სამართლის ღრმა ცოდნას გულისხმობდა. სასამართლოში საქმის წაგება არასწორად შედგენილი სარჩელის გამო, თითქმის წარმოუდგენელი იყო, ვინაიდან, ასეთ სარჩელს, როგორც არარსებულს (ბათილს), განსახილველადაც არ იღებდნენ.

სასამართლო პროცესის ორ ნაწილად დაყოფით, მოსამართლესთან საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში ხვდებოდა, თუ მიიჩნევდნენ,

რომ ღირდა სასამართლო მაგისტრატს განეხილა დავა. გაიუსის დროინდელ სასამართლო პროცესში *per formulas* სარჩელს პრეტორი იძლეოდა და საქმეს მოსამართლესთან გზავნიდა. სამაგიეროდ, კანონისმიერი სარჩელის დროს საქმის სათანადო გაფორმება და მაშასადამე, სარჩელის შინაარსის გაფორმება, სასამართლო პროცესის პირველ ფაზას უსწრებდა წინ.

ქრ. შობამდე IV საუკუნეში დადგენილი კანონისმიერი სარჩელები, როგორც ცივილური სამართლის შემადგენელი ნაწილი, კანონის ტოლფასად აღიქმებოდა. სწორედ ამან განაპირობა, კანონის დარად, სარჩელის ფორმულათა გამოქვეყნება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, კანონისმიერი სარჩელები, როგორც პოზიტიური სარჩელის ფორმა, არსებითად განსხვავდებოდა კანონისგან: კანონი ზოგადსავალდებულო და საყოველთაო იყო, სარჩელი მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა მას იყენებენ (*forma agendi*). ამ ფორმის დამოუკიდებელი მნიშვნელობა, გარდა მისი გამოყენებითი დანიშნულებისა, პონტიფიკოსების ახსნა-განმარტებითი საქმიანობით, ანუ პოზიტიური სამართლის სხვა წყაროს – იურისტთა ავტორიტეტით იზღუდებოდა.

§4. იურისტების მოღვაწეობა, როგორც სამართლის წყარო

Responsa prudentium – სამართალმცოდნეთა პასუხები; auctoritas prudentium – სამართალმცოდნეთა ავტორიტეტი; cavere – გარიგებებისა და სარჩელების ფორმის შედგენა; agere – სასამართლოში საქმის წარმოება; respondere – კონსულტაციებზე პასუხის გაცემა; exemplum – ანალოგიური კაზუსი; controversia – დავა, უთანხმოება; ius controversum – სამართალი, იურისტებს შორის დავის ობიექტი; auctoritas principis – პრინცეფსის ავტორიტეტი; ius respodendi ex auctoritate principis – პასუხების მიცემის უფლება პრინცეფსის; ავტორიტეტის საფუძველზე; ius publice respodendi – პასუხების მიცემის უფლება საჯაროობის საფუძველზე; iuris consultus — იურისკონსულტი; iura – იურიდიული ლიტერატურა; leges – იმპერატორის კონსტიტუციები.

გაიუსის თანახმად, „სამართალმცოდნეთა პასუხები არის მო-

საზრებანი და შეხედულებები იმ პირებისა, ვინც უფლებამოსილია შექმნას სამართალი".[39] იურიდიული ცოდნის მქონე პროფესიონალი პირებისათვის სამართალშემოქმედებითი ფუნქციების მინიჭება პოზიტიური სამართლის არსებობის პრაქტიკულ მოთხოვნათა ბუნებრივი შედეგი იყო.

პომპონიუსის აზრით, „სამართლის მცოდნე პირების გარეშე სამართალი ვერ იარსებებს, მათი მეშვეობით სამართალი მუდმივი სრულყოფის საგანი იქნება".[40] *Ius*-ის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, სრულყოფისა და ადეკვატურობის თვალსაზრისით, სამართლის ნორმის პოზიტიურ ფორმასთან მუდმივი შესაბამისობით უნდა განვითარებულიყო. ასეთი სრულყოფის გარანტი კი იმ პირთა პროფესიული საქმიანობა იყო, რომელთაც სპეციალური იურიდიული ცოდნა ჰქონდათ და სამართლის სისტემის ფუნქციის უზრუნველსაყოფად, სამართალშეგნების ერთგვარ სამეცნიერო ორგანოს ქმნიდნენ. სამართლის სისტემის სრულყოფის პროცესი სამართალშემოქმედების ყველა ელემენტს მოიცავდა. იურისპრუდენციის თავისებურებას სისტემის შინაგანი მთლიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა; ნორმის ზოგადი და ფორმალური დებულებების კონკრეტული აზრითა და ქმედითობით შევსება.

რომაული სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა, მოსამართლეთა და ადვოკატთა (რომლებიც კერძო პირები იყვნენ) მწირი იურიდიული განათლება სამართალმცოდნეთა ავტორიტეტს უაღრესად განადიდებდა. ეს კი იმას მოწმობდა, რომ სწორედ იურისტების მოსაზრებებისა და შეხედულებების საფუძველზე შემუშავებული სამართალი და სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული მათი სიტყვები სამართლის ყველა დარგის ზოგად ნაწილად (*pars iuris*) იქცა და მას სამოქალაქო სამართალი – *ius civile* ენოდა.

---

[39] Responsa prudentium sunt sententia et opiniones eorum quibus permissum est iura condere, Gai., 1.7. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 10; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 100.

[40] Constare non potest ius, nisi sit aliquis iuris peritus, per quem possit cottidie in melius produci. D.1.2.2.13. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 67-68.

სამართალმცოდნეების პროფესიული საქმიანობა სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა: *cavere, agere, respondere.*

Cavere ანუ სარჩელების, გარიგებებისა და ანდერძის შედგენას ნიშნავდა. სამართალმცოდნეების *cavere* ფუნქცია მაგისტრატებისა და მოსამართლეებისთვის დახმარების გაწევა იყო. გამონაკლისი იყო, როცა ახალი სარჩელის ავტორი თავად მაგისტრატი გახლდათ. რესპუბლიკის პერიოდში სამართალმცოდნეები მოსამართლეთა *consilium*-ებზე ხშირად მონაწილეობდნენ, თვითონ მოსამართლეობდნენ. პრეტორის საბჭოს წევრები იყვნენ და თვითონ ხდებოდნენ პრეტორები. სამართალმცოდნეების წყალობით მრავალი სასამართლო გადაწყვეტილება, მომავალი სასამართლო პროცესებისათვის სამაგალითო იყო, ხოლო ახალი სარჩელი კი ედიქტთა ნაწილად იქცა. მაგრამ, აღნიშნულ ორგანოებში იურისტების სამართალშემოქმედებითი საქმიანობა არ უნდა გავაიგივოთ საკუთრივ იურისპრუდენციასთან, როგორც პოზიტიური სამართლის განსაკუთრებულ ფორმასთან. მაგალითად, *actio Rutiliana*, რომელიც გამოჩენილი იურისტის პუბლიუს რუტილიუს რუფუსის[41] სახელითაა ცნობილი; აღნიშნული სარჩელი პუბლიუსის პრეტორობის დროს იქნა შემოღებული (ქრ. შობამდე 118 წ.) და იურისკონსულტის პროფესიულ *cavere*-დ არ მიიჩნევა. იგივე ითქმის *actio Publiciana*-ზე, *actio Serviana*-სა და ა.შ.

Agere სასამართლოში საქმის წარმოება იყო, როცა იურისტი მხარის დაცვის ფუნქციებს საკუთარ თავზე იღებდა და ადვოკატად გამოდიოდა. დიალოგში „ბრუტუსი", ციცერონს პუბლიუს რუფუსს რუტილიუსი (პოლიტიკური მოღვაწე), კვინტუს მუციუსი (პონტიფიკოსი) ორატორებად ჰყავს წარმოდგენილი. მოგვიანებით, სამართალმცოდნეების *agere* საქმიანობა ადვოკატებისა და პროფესიონალი ორატორებისთვის პასუხის გაცემით იფარგლებოდა.

იურისკონსულტისთვის ყველაზე ტიპური ფუნქცია კერძო პირებისა და მათი წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებზე აზრის გამოთქმა და პასუხების გაცემა, ანუ *respondere* გახლდათ. სასამართლო კამათში მოპოვებული ავტორიტეტით, ზოგჯერ სამართალმცოდნეების აზრი მოსამართლის ნებაზე უშუალო ზემოქმედებას ახდენდა და მას ზღუდავდა; ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ სასამართლო სხდომებზე სამართალმცოდნეების უშუა-

[41] ქრ. შობამდე 105 წ., კონსული.

ლო მონაწილეობა სავალდებულო არ იყო. ავტორის აუთენტუროობის გარანტი საგანგებო ბეჭედი, მოსამართლისადმი გაგზავნილი იურისტის პირადი წერილი, ან კონსულტაციის დროს დამსწრე პირთა მოწმეობა იყო. ყველაზე ხშირად სამართალმცოდნეებს კონსულტაციისათვის ორატორ-ადვოკატები მიმართავდნენ; ასეთ შემთხვევაში, სამართალმცოდნეთა ფუნქცია, სიტყვიერი პაექრობის გასამართად, მათთვის ***hastas ministrant*** – „შუბის მიწოდება" იყო. არგუმენტაციის სამართლებრივ საფუძვლად ***mores, leges, exempla*** (ანალოგიური შემთხვევები პრაქტიკიდან) გამოიყენებოდა. თუმცა, სასამართლოსთვის თავად იურისკონსულტის აზრიც სავალდებულო ძალის მქონედ მიიჩნეობდა. სასამართლო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს არა მარტო არსებული პასუხი (***responsa***), არამედ ადრე გამოთქმული ის მოსაზრებაც წარმოადგენდა, რომელიც არამხოლოდ აღიარებული, არამედ იურიდიული ვითარებისთვის ნიმუშად იყო მიჩნეული.

პონტიფიკოსების მიერ კოლეგიურად გაცემული პასუხისაგან განსხვავებით (რაც უთანხმოების დაძლევის საშუალებას იძლეოდა და სამართლის გარკვეულობას უზრუნველყოფდა), სამართალმცოდნეების, როგორც კერძო პირთა მიერ გაცემული პასუხები, აზრთა შესაძლო სხვაობის – ***controversia***-ს შემთხვევაში, უხერხულობას ქმნიდა. აზრთა მუდმივი ჭიდილი სარჩელის სამართლიანობასა და გადაწყვეტილების აქტუალობას უზრუნველყოფდა. გარკვეულ საკითხთა შესახებ აზრთა ერთიანობა ყველასთვის სავალდებულო წესს ადგენდა, ხოლო აზრთა სხვაობის შემთხვევაში, მოსამართლეს რომელიმე იურისტის მოსაზრების არჩევა შეეძლო. კონკრეტული იურისტის მოსაზრებისათვის უპირატესობის მინიჭება, საბოლოოდ, იურისპრუდენციის ავტორიტეტს განამტკიცებდა.

პრინციპატის რეჟიმმა პრაქტიკოსი იურისტების სამართალშემოქმედებითი საქმიანობა გარკვეულწილად შეზღუდა. იმპერატორი ავგუსტუსი პირველი იყო, ვინც პომპონიუსის მითითებით დაადგინა, რომ მხოლოდ „***Ius respodendi ex auctoritate principis*** – თვით პრინცეფსის ავტორიტეტის საფუძველზე"[42] იურისტებს პასუხების გაცემა შეეძლოთ. ეს განსაკუთრებული პრივილეგია იყო,

[42] D.1.2.2.49. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 78.

რომელსაც მრავალი იურისტი გაგებით მოეკიდა. თუმცა, ამ წესში ნეგატიური ხასიათის გარკვეული ცვლილებები იმპერატორმა ტიბერიუსმა შეიტანა. მან იურისტ მაზურიუს საბინუსს პასუხების საჯაროდ გაცემის უფლება – *ius publice respodendi* მიანიჭა. ცვლილებათა ლოგიკურობა ასე წარმოგვიდგება: უწინ, ავგუსტუსის დროს, საჯაროდ კონსულტაციის მიცემის უფლებას პრინცეფსი არ ანიჭებდა, თუმცა, საკუთარ ცოდნაში დარწმუნებული პრინცეფსი ყველა შეკითხვაზე პასუხს იძლეოდა, მაგრამ ბეჭდით არ ამოწმებდა. ამის შემდეგ, იმპერატორის თანხმობა საჯარო მოვალეობა იყო; ხოლო, მოგვიანებით, ამ მოვალეობამ პრივილეგიის სახე მიიღო.[43]

ადრიანეს იმპერატორობის დროს იურისტები *consilium principis*-ში აუცილებლად შედიოდნენ. იმპერატორი დიოკლეტიანეს (306 წ.) ტახტიდან გადადგომამდე, ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ იმპერატორის კანცელარიის მუშაობის სტილსა და ტექნიკაზე. თუმცა, ეს ფაქტი პოზიტიური სამართლის წყაროდ, სამართალ-მცოდნეთა ავტორიტეტად, არ განიხილებოდა.

დომინატის ეპოქაში (როცა განათლებული იურისტები პრაქტიკულ საქმიანობას აღარ ეწეოდნენ და მხოლოდ სწავლებით იყვნენ დაკავებულნი) სამართალმცოდნეთა პასუხები მხოლოდ დაწერილი სამართლის სახით, კლასიკური პერიოდის თხზულებებსა და გვიანდელი პერიოდის გადამუშავებული ნაშრომების კომპილაციებში ე.წ. *iura*-ში (იმპერატორთა კონსტიტუციებისგან განსხვავებით, *leges*-ის სახით) არსებობდა. სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების დროს, მათზე კვლავ უთითებდნენ; თუმცა, სამეცნიერო აზრის მკვეთრად დაცემის შემდეგ, „ძველი" იურისტების მოსაზრებებთან შეპირისპირება დიდ გაუგებრობას იწვევდა.

კლასიკოსთა მოსაზრებების სავალდებულო ძალა უპირობო კრიტერიუმად მიიჩნეოდა. დასავლეთ იმპერიის მმართველის ვალენტინიანე III-ის მიერ, 426 წ. 7 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი „ციტირების შესახებ". ამით იმ ხუთი ყველაზე ცნობილი და, დროის კვალობაზე, ყველაზე თანამედროვე იურისტის ვინაობა დადგინდა,

[43] postea hoc coepit beneficium dari – შემდეგ ეს უფლება პრივილეგიის სახით ენიჭებოდა. D.1.2.2.49. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 78.

რომელთა მოსაზრებებსაც, სხვებთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭათ. ეს იურისტები იყვნენ: პაპინიანე, პაულუსი, ულპიანე, მოდესტინუსი და გაიუსი. მათ მოსაზრებათა შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, საქმის გადაწყვეტა მოსამართლის მიერ ხმათა უმრავლესობით ხდებოდა; თანაბარი „ხმების" შემთხვევაში – გადამწყვეტი პაპინიანეს აზრი იყო. აღნიშნული ვითარების არარსებობის შემთხვევაში კი, მოსამართლეს საქმის საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტის უფლება ენიჭებოდა. აღმოსავლეთ რომის იმპერიაში კანონი „ციტირების შესახებ" თეოდოსიუს II-ის მიერ 438 წ. გამოცემული კოდექსით დამკვიდრდა, მოგვიანებით კი, 529 წელს, იუსტინიანე დიდის Novus Codex-ში შეიტანეს.

§5. Iurisprudencia (რომაელ სამართალმცოდნეთა საქმიანობა)

1. ავგუსტუსი ოქტავიანე (გაიუს იულიუსი ოქტავიანე ავგუსტუსი) (ქრ. შობამდე 63 წლის 23 სექტემბერი – ქრ. შობის. 14 წლის 19 აგვისტო) რომის იმპერატორი ქრ. შობამდე 27 წლიდან. გაიუს იულიუს კეისრის ძმის შვილიშვილი, კეისრის მიერ შვილად აყვანილი. პრინციპატის სახელწოდებით ცნობილი პოლიტიკური რეჟიმის ფუძემდებელი. გაიუსი იურისპრუდენციის განვითარებას ყოველმხრივ უწყობდა ხელს. მისი ინიციატივით სამოქალაქო (კერძო) სამართლის რამდენიმე კანონი მიიღეს. ავგუსტუსის საკანონმდებლო საქმიანობის მიზანი სახელმწიფო და სამართლის სისტემის დახვეწა, რომის სამართლის ინსტიტუტებისა და საზოგადოების ზნეობის სრულყოფა იყო. ავგუსტუსის მმართველობის პერიოდი – ხელოვნების აყვავების ჟამია; ამ დროს მოღვაწეობდნენ: პოეტები – ვერგილიუსი, ჰორაციუსი, პროპერციუსი, ისტორიკოსი – ტიტუს ლივიუსი. ავგუსტუსის დროს რომში აშენდა მშვიდობის საკურთხეველი, ავგუსტუსის ფორუმი, მავზოლეუმი მარსის ველზე და სხვა.

2. ავლუს გელიუსი (დაიბადა დაახლოებით 130 წელს) რომაელი მწერალი. მის ვრცელ ნაშრომში „ანტიკური ღამეები"[44] მრავალი ცნობაა მოცემული ისტორიის, ლიტერატურის, მითოლოგიის, სამართლისა და ფილოსოფიის სფეროდან. მოძღვრებისა და სა-

[44] რომელთაგანც ჩვენამდე, 20 წიგნად, ნახევარზე მეტმა მოაღწია.

თავგადასავლო მოთხრობების სახით შედგენილი ნაშრომი დიალოგის ფორმითაა დაწერილი. მასში უხვადაა ციტატა რომაელი იურისტების იმ თხზულებებიდან, რომლებიც სხვა წყაროებში ნახსენები არაა.

3. გაიუსი (დაახლოებით ქრ. შობის 117/138-180/192 წ.წ) ბიოგრაფიული ცნობები გაიუსის შესახებ ისევე უცნობია, როგორც მისი ნამდვილი სახელი. მან შექმნა: კერძო სამართლის კლასიკური სახელმძღვანელო *Institutiones Provinciale* (32 წიგნად ანტონინუს პიუსის მმართველობის დროს) და გამოკვლევა *Ad Q. Mucium*, რომლებიც ციტირებულია იუსტინიანეს დიგესტებში. საინტერესო და სიმბოლურია გაიუსის „ინსტიტუციების" – *„Institutionum iuris civilis commentarii"* ბედიც: შუა საუკუნეებში მათი დიდი ნაწილი დაიკარგა; XIX საუკუნემდე ამ ნაშრომთა მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწია; სხვა ნაშრომებში კი ინსტიტუციების შესახებ შემონახულია ცნობები ან მათი გადამუშავებული ვარიანტი. კერძოდ, გაიუსის შესახებ ცნობებს გვაწვდის ბოეციუსი, ხოლო გაიუსის ეპისტოლე ალარიხის ბრევიარიარიუმშია შესული. 1816 წელს ვერონის ბიბლიოთეკაში გერმანელმა ისტორიკოსმა ბერტოლდ გეორგ ნიბურმა წმ. იერონიმეს წერილებთან ერთად პალიმფსესტში გაიუსის სრული ხელნაწერი აღმოაჩინა. შემდეგ მანუსკრიპტის ატრიბუტი ცნობილმა გერმანელმა ცივილისტმა, სამართლის ისტორიული სკოლის ფუძემდებელმა ფრიდრიხ კარლ ფონ სავინიმ ითავა. რესტავრაციის პროცესში სხვადასხვა ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად, ინსტიტუციების ხელნაწერი მნიშვნელოვნად დაზიანდა, რამაც ინსტიტუციების გამოცემას შეუშალა ხელი. 1934 წელს, ძველეგვიპტურ პაპირუსებში აღმოჩენილი ინსტიტუციების ახალი ნაწყვეტების მეშვეობით, ტექსტში არსებულ ხარვეზთა აღმოფხვრა მოხერხდა.

4. იავოლენუსი პრისკუს ოქტავიუს ტიდიუს ტოსიანე (ქრ. შობის I ს.) გამოჩენილი რომაელი იურისტი და სახელმწიფო მოღვაწე. *Consul* (86 წ.), იმპერატორების – ტრაიანესა და ადრიანეს მრჩეველი, სამართლის მასწავლებელი. იავოლენუსმა ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერა შეიქმნა (ოთხი პროვინციის ნაცვალი იყო). როგორც იურისტი, იავოლენუსი ორიგინალური, შემოქმედებითი ნიჭით გამოირჩეოდა. მისი შექმნილია: *Epistulae, Libri ex Cassio, Libri ex Plautio, Libri ex posterioribus Labeonis* (ლაბეონის ტექსტების კრებული). იავოლენუსის მოსწავლე გახლდათ იულიანე, ხოლო

ცელსუს საბინუსის გარდაცვალების შემდეგ, იგი საბინიანელთა სკოლას ჩაუდგა სათავეში.

5. იულიანე ლუციუს ოქტავიუს კორნელიუს ემილიანე (დაახ. II ს.) გამოჩენილი რომაელი იურისტი და სახელმწიფო მოღვაწე. იგი დაიბადა ქ. გადრუმეტში (ჩრდილო აფრიკა) დაახლოებით 100 წ. მისი მასწავლებელი ცნობილი იურისტი, ტრაიანესა და ადრიანეს მრჩეველი იავოლენუს პრისკუსი იყო, რომელიც ხელმძღვანელობდა საბინიანელთა სკოლას. იულიანე იყო გერმანიის, ესპანეთისა და აფრიკის პრესიდი (ნაცვალი). 148 წლიდან კონსული. მრავალი წლის განმავლობაში გახლდათ იმპერატორების – ადრიანეს, ანტონინუს პიუსის, მარკუს ავრელიუსისა და ლუციუს ვერუსის მრჩეველი. იავოლენუსის შემდეგ, საბინიანელთა სკოლას იულიანე ჩაუდგა სათავეში. სამართლისა და სახელმწიფოს წინაშე იულიანეს ყველაზე დიდი დამსახურება მუდმივი ედიქტის[45] დამუშავება და რედაქტირება იყო, რომელშიც სისტემატიზირებული და უნიფიცირებულია წინა ეპოქების პრეტორული სამართლის დებულებანი.

6. იუსტინიანე I დიდი (482-565 წწ.) აღმოსავლეთ რომის იმპერიის იმპერატორი 527-565 წწ. უზომოდ დიდია სამართლის ისტორიის სფეროში მისი დამსახურება. დღესდღეობით ჩვენ ხელთ არსებულ უტყუარ და მრავალფეროვან ცნობებს რომის კერძო სამართლის შესახებ, სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ. იუსტინიანე I-მა სამოქალაქო კანონმდებლობის კრებული – *Corpus Iuris Civilis* შექმნა. იუსტინიანეს ცხოვრებისა და პიროვნების შესახებ ცნობები რამდენადაც მრავალრიცხოვანია, იმდენადვე არაერთგვაროვანია. იუსტინიანეს მმართველობის დროს რომის იმპერიის ორივე ნაწილის ხელახალი გაერთიანებით, ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერე განმტკიცდა. მისი ზეობის დროს, ბიზანტიის იმპერატორი იტალიაში – ოსტგუთებს, ესპანეთში – ვესტგუთებს, ჩრდილო აფრიკაში – ვანდალებს ებრძოდა.

თუმცა კი, როგორც „იუსტინიანეს ინსტიტუციების" შესავალშია ნათქვამი, „იმპერატორის დიდება არა მარტო იარაღის ძალით უნდა დამშვენდეს, არამედ კანონის ძალითაც, რათა ქვეყანას როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის ჟამს სამართლიანად მართავდეს". სწორედ ამ მიზნით, იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით, მეცნიერ-იურისტთა ჯგუფმა ტრიბონიანეს ხელმძღვანელობით, ჯერ იმ-

[45] Edictum perpetuum – მუდმივი ედიქტი.

პერატორის მიერ გამოცემული კანონები (კლასიფიცირებული და სისტემატიზირებული), 529 წელს, იუსტინიანეს კოდექსის სახით გამოაქვეყნა, შემდეგ იუსტინიანეს დიგესტები (ფრაგმენტები 39 რომაელი იურისტის თხზულებებიდან – 50 წიგნად) და იუსტინიანეს ინსტიტუციები (სამართლის ოფიციალური ელემენტარული სახელმძღვანელო) გამოსცა. კრებულის სამი ნაწილის ძალაში შესვლის შემდეგ, 529 წლიდან მოყოლებული იმპერატორის მიერ გამოცემული ბრძანებები და განკარგულებები ერთ კრებულად გააერთიანეს და მას ნოველები უწოდეს.

იმპერატორი იუსტინიანე დიდი ორგანიზატორული ნიჭითა და ინტრიგების გზით, საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების უზადო უნარით გამოირჩეოდა. მის მოღვაწეობას ხელოვნებისა და მეცნიერებისადმი სიყვარული[46] წითელ ზოლად გასდევს; შეურიგებელი დოგმატიზმი, რაც ნათლად გამოვლინდა ერეტიკოსების უმოწყალო დევნასა, ათენის ნეოპლატონური აკადემიის აკრძალვასა და გაუქმებაში. იმპერატორ იუსტინიანესა და მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დედააზრი იყო: „ახალი, ისეთივე დიდი და ძლევამოსილი რომის აღორძინება, როგორიც ძველი რომი იყო, მაგრამ არა წარმართული, არამედ ქრისტიანული რომისა."

7. კლავდიუსი აპიუს კეკუს (ქრ. შობამდე 450 წ.) ცნობილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და იურისტი. კლავდიუსი პატრიციებისა და დეცემვირების მეთაური იყო. მან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დეცემვირთა კომისიის მუშაობაში; მისი რჩევების შედეგად მრავალი დებულება შევიდა XII დაფის კანონებში. გადმოცემის თანახმად, კლავდიუსმა საკუთარი ხელისუფლება ბოროტად გამოიყენა და პატივი აყარა ვირგინიას; ეს ფაქტი დეცემვირთა ძალაუფლების დაცემის საბაბი შეიქმნა.

8. ლაბეონი მარკუს ანტისტიუს (დაახლოებით ქრ. შობამდე 45 წ. – ქრ. შობის 10/21 წწ.) ავგუსტუსის დროინდელი ყველაზე გამოჩენილი რომაელი იურისტი, რომელიც ცოდნისმოყვარეობით, ორიგინალური აზროვნებითა და ნოვატორობით არამარტო სამართლის სფეროში გამოირჩეოდა, არამედ მონათესავე მეცნიერებებშიც. ტრებაციუს ტესტას მოწაფე. ლაბეონი თავისი მრწამსით რესპუბლიკელი გახლდათ. პრინციპატის მიმართ თავის სიძულვილს

[46] იუსტინიანე I დიდის ზეობისას კონსტანტინოპოლში წმ. სოფიას დიდებული ტაძარი ააგეს.

იგი არ მალავდა. თუმცა, ლაბეონის პირადი და სამეცნიერო ავტორიტეტის გამო, ავგუსტუსი მაინც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მას. მომდევნო პერიოდის ყველა გამოჩენილი იურისტი ლაბეონის შრომების ციტირებას ახდენდა. ლაბეონმა მიაღწია პრეტორობას, თუმცა, უარი თქვა კონსულობაზე და მთლიანად სამართალმცოდნეობის სრულყოფა-განვითარებაზე მუშაობდა: 6 თვის განმავლობაში რომში სამართალს ასწავლიდა, 6 თვე კი საკუთარ მამულში ნაშრომებს ქმნიდა. ლაბეონმა დაწერა 40-მდე ნაშრომი (ჩვენამდე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწყვეტებმა მოაღწია), მათ შორის: *Ad Legem XII tabularum, Ad edictum,* (პრეტორული ედიქტის პირველი კლასიკური კომენტარები), *De iure pontificio, Epistulae, Responsa, Pithana.* ლაბეონის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ნაშრომები უცნობმა ავტორმა გამოსცა (*libri posteriores*).

9. მოდესტინუსი ჰერენიუს (ქრ. შობის 226-244 წწ.) „კლასიკური პერიოდის" ერთ-ერთი უკანასკნელი იურისტი, ულპიანეს მოსწავლე იყო. ავტორი სამართლის სხვადასხვა დარგის ნაშრომებისა, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, დამხმარე სახელმძღვანელოს ან პრაქტიკული კომენტარის მნიშვნელობა ჰქონდათ. მოდესტინუსი რომში *praefectus vigilimus* მოვალეობას ასრულებდა. *Vigilis* იყო ძველი რომის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი, რომელიც ღამის საათებში საპოლიციო სამსახურის ფუნქციებსაც ასრულებდა. ამრიგად, სახანძრო რაზმისა და საპოლიციო სამსახურის უფროსის მოვალეობა *praefectus praetoria*-ს შემდეგ, ფაქტობრივად, მეორე თანამდებობა იყო; მასვე ევალებოდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის იურისდიქციაც. გარდა ამისა, ცნობილია, რომ მოდესტინუსი სამართალს ასწავლიდა მაქსიმინუს უმცროსს (იმპერატორ მაქსიმინუს თრაკიელის ვაჟს, რომელიც, 238 წელს, ჯარისკაცთა ამბოხის დროს, მამასთან ერთად აკვილეუსის ალყის დროს მოკლეს).

239 წელს იმპერატორმა მარკუს ანტონინუს გორდიანუს მესამემ მას *ius respodendi*-ს, ანუ იურიდიულ საკითხებზე დასკვნების მიცემის უფლება უბოძა. მოდესტინუსმა შექმნა ნაშრომები სამართლის ყველა დარგში, იგი წერდა როგორც ლათინურ, ისე ბერძნულ ენებზე. მისი თხზულებები მოსამართლე და სამართლის შემსწავლელთათვის პრაქტიკული სახელმძღვანელოები უფრო იყო, ვიდრე თეორიულ-კვლევითი ხასიათის შრომები. მოდესტი-

ნუსმა დაწერა შემდეგი შრომები: *Regulae, Responsa, Pandectae, De praescriptionibus*. მოდესტინუსის ნაშრომებმა (პაპინიანუსის, პავლუსის, გაიუსისა და ულპიანეს ნაშრომებთან ერთად), „ციტირების შესახებ“ 426 წლის კანონით, ციტირების უფლება მოიპოვეს და საქმეების განხილვის დროს სასამართლოში უაპელაციო უპირატესობით სარგებლობდნენ.

10. მარცელუსი ლუციუს ულპიუს (ქრ. შობის II ს.) ცნობილი რომაელი იურისტი. მარცელუსი იმპერატორების ანტონინუს პიუსისა და მარკუს ავრელიუსის მრჩეველი გახლდათ. თანამედროვეთა შორის იგი, სრულიად დამსახურებულად შორსმჭვრეტელ და გონიერ ანალიტიკოსად ითვლებოდა. მარცელუსმა იულიანეს მრავალი დებულება კრიტიკულად გადაამუშავა და ზოგიერთი მათგანი უარყო. მარცელუსის თხზულებები, კერძოდ, მისი „დიგესტები“ 31 წიგნად, ძალზე პოპულარულ ნაშრომად ითვლებოდა; პავლუსი, ულპიანე, მოდესტინუსი, მარციანე, ტრიფონინუსი მათ ხშირად იყენებდნენ, ხოლო კვინტუს ცერვიდიუს სცევოლამ ამ თხზულებათა კომენტარები შეადგინა.

11. პაულუსი იულიუს (II საუკუნის ბოლო – III საუკუნისის დასაწყისი) ცნობილი რომაელი იურისტი, სცევოლას მოწაფე. დიგესტების მთელი მოცულობის თითქმის ერთ მეექვსედს პაულუსის თხზულებათა ნაწყვეტები შეადგენს. 426 წელს იმპერატორებმა თეოდოსიუს II-მ და ვალენტინიანე III-მ გამოსცეს კანონი, რომლის თანახმადაც, სასამართლოებს პაულუსის ნაშრომთა ციტირების უფლება და ამ ნაშრომების საფუძველზე სასამართლო დავების განხილვის უფლებამოსილება ეძლეოდათ. პაულუსი იყო ადვოკატი, მოგვიანებით – პრეტორიანელთა გვარდიის პრეფექტის ასესორი (თანამდებობის პირის თანაშემწე). ამ დროს პრეფექტის თანამდებობა პაპინიანეს ეკავა. შემდეგ პაულუსმა *magister memoriae*-ს მაღალი თანამდებობა დაიკავა (განაგებდა პრინცეფსის დღიურს, იწერდა მის მოხსენებებს და განკარგავდა მის კორესპონდენციას) და პაპინიანესთან ერთად საიმპერატორო საბჭოს წევრი გახდა; იმპერატორ ალექსანდრე სევერუსის მმართველობის დროს, თავის კოლეგა ულპიანესთან ერთად, იგი *praefectus praetoriae* გახდა. პაულუსმა შექმნა 86 თხზულება 319 წიგნად, რომელთა შორისაცაა ნერაციუსის, იულიანეს, პაპინიანეს, სცევოლას შრომებისადმი მიძღვნილი შენიშვნები (*Notae*), *Ad Plautium*, *Ad Sabinum*-ის კომენტარები.

პაულუსის მთავარი ნაშრომი *Ad edictum* ერთდროულად პრეტორული სამართლის ნორმათა კომენტარიცაა და მათი უზოგადესი ფორმულირებაც. პაულუსისეული ფრაგმენტების იმ ნაწილების გარდა, რომლებიც იუსტინიანეს დიგესტებშია, ნაწილობრივ შემორჩენილია მისი ნაშრომი *Sententiae ad filium*,[47] რომელიც მოდევნო საუკუნეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა; პაულუსის რჩევა-დარიგებებმა ასევე, კანონის ძალა შეიძინა. აღნიშნულ ნაშრომში პაულუსი სამართლის ზოგად სისტემასა და მის ცალკეულ დებულებებს მოკლედ და გასაგებად აყალიბებს.

12. პაპინიანე ემილიუს (დაახლოებით 146-212 წწ. დაიბადა სირიის ქ. ჰემეზაში) ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მეცნიერ-იურისტი, რომლის სიღრმისეულმა აზროვნებამ და ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, იგი II-III საუკუნეების გამოჩენილ სამართალმცოდნეთა ლიდერად აქცია. „ციტირების შესახებ" 426 წლის კანონის საფუძველზე, ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, ყველა სხვა ავტორის მოსაზრებასთან შედარებით, პაპინიანეს მოსაზრება უპირატესობით სარგებლობდა. სავარაუდოდ, პაპინიანე იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსს ენათესავებოდა, რომელსაც ცოლად მისი და ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, კვინტუს ცერვიდიუს სცევოლას სკოლაში სეპტიმიუს სევერუსი და პაპინიანე ერთად სწავლობდნენ. სევერუსის მმართველობის დროს პაპინიანემ *praefectus praetoriae*-ს თანამდებობა მიიღო. სეპტიმიუსის მემკვიდრის – იმპერატორ კარაკალას დროს, პაპინიანემ უარი განაცხადა კარაკალას მიერ უმცროსი ძმის – გეტასა და მისი მომხრეების მკლველობის გამართლებაზე, რითაც იმპერატორი გადაიმტერა; 212 წელს კარაკალას ბრძანებით პაპინიანე დაქირავებულმა მკვლელმა მოკლა.

პაპინიანეს მთავარი ნაშრომებია *Quaestiones* 19 წიგნად და *Responsa*, რომლებიც სტილისტურად იმდენად რთული იყო, კაზუისტური მასალით კი იმდენად მდიდარი, რომ სამართლის სკოლაში მესამე წელს ისწავლებოდა (ამ სკოლის მსმენელებს „პაპინიანელებსაც" უწოდებდნენ).

13. პომპონიუსი სექსტუს (ქრ. შობის IIს.) ცნობილი რომაელი იურისტი, იულიანეს თანამედროვე. სამართლის სფეროში პომპონიუსი, ძირითადად, პედაგოგიურ და ლიტერატურულ საქმი-

[47] შვილებისადმი მიცემული რჩევა-დარიგებანი.

ანობას ეწეოდა. იგი აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთი ნაყოფიერი შემოქმედთაგანია. მან შექმნა: ჩვენამდე მოღწეული პრეტორული ედიქტის ყველაზე ვრცელი კომენტარი (დაახლოებით 150 წიგნად). პომპონიუსის ედიქტი რომის სამართლის ისტორიის ყველაზე ვრცელ და პოპულარულ ნაშრომად ითვლება. ფორმალურად საბინიანელთა სკოლის მიმდევარი, პროკულიანელთა სკოლის შეხედულებებსაც არ უარყოფდა.

14. რუფუსი სერვიუს სულფიუს (ქრ. შობამდე დაახლოებით 106-43 წწ.) ცნობილი რომაელი იურისტი და სახელმწიფო მოღვაწე, აკვილიუსისა და ლუციუსის მოწაფე, კონსული (51 წ.), პროკონსული აქეაში (46-45 წწ.). კვინტუს მუციუს სცევოლასთან ერთად, სერვიუს რუფუსი რესპუბლიკური სამართალმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლებოდა; სამართლის თანმიმდევრული მეთოდისტი, იმავდროულად, კარგი პრაკტიკოსი, შესანიშნავი ორატორი, პედაგოგი (10-ზე მეტი მოსწავლე გამოზარდა) და ძალზე ნაყოფიერი ავტორი, რომელმაც შთამომავლობას დაუტოვა: დაახლოებით 180 წიგნი, მრავალრიცხოვანი გამოსვლები სასამართლო სხდომებზე, პრეტორული ედიქტის პირველი, ძალზე მოკლე კომენტარი და სხვა ნაშრომები, კერძოდ: *De dotibus, De sacris detestands, Reprehensa Scaevolae, Responsa*, რომლებიც მისმა მოწაფეებმა ავფიდიუს ნამუსამ, ალფენუს ვარუსმა და სხვებმა გამოსცეს.

15. რუფუსი რუტილიუს პუბლიუს (ქრ. შობამდე 158 წ. ?) გამოჩენილი რომაელი იურისტი, პუბლიუს მუციუსის მოწაფე, კონსული (105 წ.). 92 წელს ქვეყნიდან გაძევება მას უსამართლოდ მიუსაჯეს. რუფუსი სახელგანთქმული რესპოდენტი გახლდათ. მისი დაწერილია: *actio formula Rutiliana* და (შესაძლოა) *constitutio Rutiliana*. გარდა ამისა, რუფუსის შესახებ ცნობილია, რომ იგი გატაცებული იყო ორატორული ხელოვნებითა და ისტორიის კვლევით.

16. საბინუს მაზურიუს (ქრ. შობის I ს.) რომის სამართლის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მოღვაწე, რომლის სახელსაც, პოსტკლასიკური ტრადი-ციით, საბინიანელთა სკოლის – სამართლის მეცნიერების ახალი მიმდინარეობის დაარსება უკავშირდება. იგი ატეიუს კაპიტონის მოწაფე გახლდათ. საბინუსის ერთგული თანამოაზრე მისი მოწაფე კასიუს ლონგინუსი იყო. საბინუსი წარმოშობით უბრალო ოჯახიდან იყო, თავს ირჩენდა იმ

ჰონორარებით, რომლებსაც მოწაფეები უხდიდნენ. 50 წლის ასაკში მხედრის ცენზის მიღებას იგი იმპერატორ ტიბერიუსს უმადლოდა, რომელმაც მხედრების წოდების წარმომადგენელთაგან, პირველად საბინუსს დართო ნება გაეცა კვალიფიციური პასუხები; პროფესიულ დონეზე გადაეწყვიტა ის სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც არსებულ საკანონმდებლო აქტებში სათანადოდ ასახული არ იყო. საბინუსის შეხედულებებზე გარკვეული გავლენა მუციუს სცევოლა პონტიფიკოსის იდეებმა მოახდინა, რასაც თავად მაზურიუს საბინუსის მთავარი ნაშრომის *Ius civile*-ს სახელწოდებაც მოწმობს, რომელიც სცევოლას თხზულების სახელწოდების იდენტურია.

17. სცევოლა პუბლიუს მუციუს (ქრ. შობამდე 133 წ.) დიდი ქურუმი და კონსული; მისი გონიერების, სამართლის ღრმა ცოდნისა და სასამართლო დავების განხილვის დროს მიუკერძოებლობის გამო, სცევოლა-მამა ციცერონმა დიდ და ჭეშმარიტ იურისტად აღიარა. პომპონიუსმა პუბლიუს მუციუს სცევოლას (მარკუს იუნიუს ბრუტუსსა და მარკუს მანილიუსთან ერთად) ცივილური სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებელი უწოდა. სცევოლა-მამამ სამოქალაქო სამართლის სფეროს 10 წიგნი მიუძღვნა; დიდი ქურუმი, ქურუმების კოლეგიის პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე მეტად, იურიდიულ კომპეტენტურობაზე ზრუნავდა, რითაც სამართლის სეკულარიზაციას შეუწყო ხელი.

18. სცევოლა კვინტუს მუციუს კონსული (ქრ. შობამდე 95 წ.) და დიდი ქურუმი (ქრ. შობამდე 84 წ.). უმწიკვლო რეპუტაციით სცევოლა-შვილის სახელმა და ავტორიტეტმა მამის დიდება დაჩრდილა. მან ბრწყინვალე ფილოსოფიური განათლება მიიღო. კვინტუს მუციუს სცევოლამ სამართლის სფეროში ღრმა ცოდნითა და ორატორული ხელოვნებით დიდი პოპულარობა მოიპოვა. სასამართლოში მის გამოსვლებს ახალგაზრდა ციცერონი უსმენდა. სცევოლა-შვილმა ლუციციუს-მუციუსის კანონების შედგენაში მიიღო მონაწილეობა. სამართლის ისტორიის თვალსაზრისით, მისი უდიდესი დამსახურება გახლავთ ის, რომ მან პირველმა სამართლებრივი აქტები არა ქრონოლოგიურად, არამედ სისტემურად ჩამოაყალიბა, რაზეც მისი თხზულების *De iure civili*-ის 18 წიგნში მოცემული სამოქალაქო სამართლის ძირითადი ცნებები მეტყველებს.

19. ტრიფონინუსი კლავდიუს (ქრ. შობის II-III სს.) რომაელი

იურისტი. პაპინიანესა და პაულუსის თანამედროვე. მათთან ერთად სწავლობდა კვინტუს ცერვიდიუს სცევოლას სამართლის სკოლაში. ტრიფონინუსი სეპტიმიუს სევერუსის საიმპერატორო საბჭოს წევრი იყო. საბჭოს სხდომებზე განხილულ საკითხებზე საბოლოო დასკვნები, როგორც *quaestor sacri patatii*-იმ, ჩამოაყალიბა ნაშრომში *Disputationes*.

20. ტრიბონიანე (542/546 წწ.) გამოჩენილი ბიზანტიელი იურისტი. იუსტინიანეს დროინდელი სახელმწიფო მოღვაწე. ეკავა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები.[48] ტრიბონიანე იუსტინიანეს სამოქალაქო სამართლის კრებულის შექმნის ინიციატორი და კოორდინატორი გახლდათ. *Codex*-ზე მუშაობისას, იგი მხოლოდ კომისიის წევრობას დასჯერდა. 530 წლიდან კი, ფაქტობრივად, ყველა სამუშაოს თავად ხელმძღვანელობდა და თანამშრომლებსაც საკუთარი შეხედულებისამებრ არჩევდა. ტრიბონიანემ კომისიას გადასცა საკუთარი უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც იმ დროისათვის ხელმიუწვდომელ, იშვიათ გამოცემებს შეიცავდა. სამართლის წინაშე ტრიბონიანეს ღვაწლზე ტერმინი – „ემბლემათა ტრიბონიანე" აშკარად მეტყველებს.

21. ტრებაციუს გაიუს ტესტა (გარდაიცვალა ქრ. შობის I საუკუნის დასაწყიში) ლაბეონის მასწავლებელი, გვიანდელი რესპუბლიკის ერთ-ერთი ცნობილი რომაელი იურისტი, რომლის ნაშრომმა ჩვენამდე მოაღწია. მისი ცალკეული გამონათქვამები კი სხვა ავტორების თხზულებებმა შემოგვინახა. ტესტა მხედართა წოდების წარმომადგენელი იყო. იგი მეგობრობდა ციცერონთან (რომელმაც კეისარს გააცნო), ჰორაციუსთან, ავგუსტუსის მრჩეველი იყო. სწორედ ამ უკანასკნელის მმართველობის დროს ტრებაციუს ტესტას ავტორიტეტი ძალზე ამაღლდა, რაც მისმა სამართლის სიღრმისეულმა ცოდნამ და ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ განაპირობა.

22. ულპიანე დომიციუს (დაახ. II საუკუნის II ნახევარი) გამოჩენილი რომაელი იურისტი, წარმოშობით სირიელი. პავლუსის მს-

[48] magister officiorum – უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები. Памятники Римского права. Институции Юстиниана. Перевод Д.Расснера, Под ред..Кофанова Л.Л., Томсинова В.А., Москва, Зерцало, 1998, 5; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо. Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского. ответ. ред. Л.Л.Кофанов. Москва, Статут, 2005, 59.

გავსად, ულპიანეს პრეტორიანელთა გვარდიის პრეფექტ პაპინიანესთან ასესორის თანამდებობა ეკავა. მოგვიანებით, საიმპერატორო კანცელარიის უფროსი,[49] ხოლო ალექსანდერ სეველუსის მმართველობის დროს *praefectus preatoriae* იყო. ულპიანე ახალგაზრდა იმპერატორის, ალექსანდერ სეველუსისა და მისი დედის – მამეას ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ. მას თავად იმპერატორიც დიდ პატივს სცემდა. ულპიანე, სამხედრო ვალდებულებისა და იმპერატორის ერთგულების მომხერე, ვერ ეგუებოდა ყოვლისშემძლე პრეტორიანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა თავგასულობას. ამ უმართავი ძალისადმი მისი პრინციპული დამოკიდებულება, საბოლოოდ, ტრაგიკულად დასრულდა. 228 წელს იგი პრეტორიანელებმა იმპერატორ ალექსანდერ სეველუსის თვალწინ მოკლეს.

ულპიანეს გრანდიოზული ნაშრომი ეკუთვნის – *Ad edictum*, პრეტორული სამართლის კომენტარი 83 წიგნად, აგრეთვე თხზულებები: *Ad Sabinum de appellationibus, De fideicommissus* და ცალკეულ კანონთა კომენტარები. ჩვენამდე მოაღწია ულპიანეს შრომებმა *Iber singularis regularum*-ის 29 თავმა (სამართალ-მცოდნეობის შესასწავლად). მკვლევართა თანახმად, ულპიანეს თხზულებებში სტოელთა იდეების ზეგავლენა იგრძნობა. ამას კი კანონთან შედარებით ზნეობრივი ნორმებისათვის უპირატესობის მინიჭება მოწმობს.

23. ფლორენტინუსი (ქრ. შობის II ს.) რომაელი იურისტი, რომელმაც ვრცელი ნაშრომი – *Institutiones* დაწერა. ჩვენამდე მის შესახებ მცირე ცნობებმა მოაღწია. იუსტინიანეს დიგესტებში მოცემული ფრაგმენტების თანახმად, ღრმა ფილოსოფიური აზროვნებითა და ორატორული ნიჭით გამორჩეულ იურისტს, სამართლის რთული ცნებებისა და დებულებების მარტივად ახსნის უნარიც შესწევდა. კერძოდ, ნაშრომში – *De status hominum* ფროლენტინუსს გენიალურად აქვს განმარტებული თავისუფლებისა და მონობის არსი.

24. ციცერონი მარკუს ტულიუს (ქრ. შობამდე 106-43 წწ.) უდიდესი რომაელი ფილოსოფოსი, ორატორი, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, იურისტი. რესპუბლიკური წყობის მომხრე და რესპუბლიკელთა ერთ-ერთი უკანასკნელი გამოჩენილი იდეოლოგი გახლდათ. პოლიტიკური უიღბლობის გამო, იგი არაერთხელ განიდევნა რომიდან. ციცერონს ბედი არ სწყალობდა. ერთ-

[49] magister serinius – საიმპერატორო კანცელარიის უფროსი.

პიროვნული მმართველობის იდეური მოწინააღმდეგე, მარკუს ანტონინუსმა პროსკრიპციულ სიებში შეიტანა.

საზოგადოების წინაშე წარმოთქმული ციცერონის სიტყვები დღემდე ორატორული ხელოვნების ნიმუშად რჩება. ფილოსოფიაში ეკლექტური შეხედულებების მომხრეს – სტოიციზმის, აკადემიზმისა და ეპიკურეიზმის სიმბიოზი, იმავდროულად საჯარო და კერძო სამართლის სფეროში სამართლის მთელი რიგი ფუძემდებლური პრინციპების შემუშავების საშუალებას აძლევდა.

ციცერონის ყველაზე ცნობილი ნაშრომებია: „ორატორისადმი", „სახელმწიფოს შესახებ", „კანონების შესახებ", „კეთილისა და ბოროტის საზღვრების შესახებ", „მოვალეობათა შესახებ" და სხვა. როგორც რესპუბლიკური წყობილების იდეოლოგი, ციცერონი[50] რომის სიძლიერესა და მის უძველეს კანონს[51] განადიდებდა. ციცერონის სახელგანთქმულ ტრილოგიაში (*De oratore, Orator, Brutus*.) სასამართლო და პოლიტიკური ორატორის – *perfectus orator* სრულყოფილი სახეა აღწერილი.

§6. სამართლის სხვა წყაროები

ა) Iudicatum (სასამართლო პრეცედენტი)

Auctoritas res iudicatae – სასამართლო გადაწყვეტილების ავტორიტეტი; exemplum — პრეცედენტი.

რომის სამართლის განვითარების თვალსაზრისით, იურისკონსულტების (*iuris prudentes*) ინტენსიურმა სამართალშემოქმედებითმა საქმიანობამ, ფაქტობრივად, სასამართლო პრაქტიკის როლი და მნიშვნელობა დასცა. დიგესტებში მოყვანილია კალისტრატუსის (ქრ. შობის II-III სს. რომაელი იურისტი) აზრი,[52] რომ იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის მოთხოვით, კანონში რაიმე საეჭვოს

[50] იმ დროისათვის ახლებური აზროვნების გამო homo novus-ს უწოდებდნენ. Ниссмбаум М., Via Latina ad ius (Латинская дорога к праву). Москва, Юристь, 1996, 255-256.

[51] De respublica, De legibus – რომის სიძლიერე და მისი უძველესი კანონი. იქვე.

[52] D.1.3.38. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები. ნიგნი პირველი, ნიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 85.

ან სხვაობის არსებობის შემთხვევაში, კანონის ძალა მინიჭებოდა იმ ჩვეულებას ან ავტორიტეტულ საქმეს, რომელთა საფუძველზეც სასამართლოში საქმე წყდებოდა. ეს არის რომაულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული ერთადერთი ტექსტი, რომელიც სასამართლო პრეცედენტისთვის სავალდებულო ძალის მინიჭებასა და კანონთან მის გათანაბრების აუცილებლობაზე (როგორც ავტორიტეტულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე) მეტყველებს. ამ ტექსტიდან ირკვევა რომ, ანალოგიური შემთხვევების მოწესრიგების მიზნით, სასამართლო გადაწყვეტილებათა მაგალითად მიღების პრაქტიკა (*ad exempla*) ძველ რომში საკმაოდ გავრცელებული იყო და იმპერატორის ნებას არ ექვემდებარებოდა.

რესპუბლიკის პერიოდის რიტორიკულ თხზულებებში, *iudicatum*-ი სამართლის იმ სხვა წყაროებისა და მტკიცებულებათა საშუალებებთან ერთად იხსენიება, რომლებსაც სასამართლო სხდომებზე ადვოკატები იყენებდნენ. თუმცა, როგორც გაირკვა, დიგესტებში კალისტრატუსის ტექსტი პავლუსის ხსენებულ ტექსტთან ერთადაა მოცემული.[53] პავლუსის ტექსტში საუბარია პროვინციული სამართლის შესახებ; პავლუსი წერს, ინტერპრეტაციის დროს, ეჭვის არსებობისას, მსგავსი შინაარსის შემთხვევის გადაწყვეტა, სასამართლომ პროვინციული თემის ჩვეულების (ადგილობრივი სამართალი) სიღრმისეულად შესწავლის შედეგად უნდა მოახდინოს.

ამრიგად, კალისტრატუსის ფრაგმენტში მოხსენიებული სეპტიმიუსს სევერუსის რესკრიპტი, ეძღვნება პროვინციულ სასამართლო პრაქტიკას, სადაც განვითარებული იურიდიული აზროვნება არ არსებობდა და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის კომპენსირება ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლისა და პრეცედენტის interpretatio-ს ხარჯზე ხდებოდა.

ბ) Senatusconsultum (სენატუსკონსულტი)

Senatusconsultum – SC – სენატის გადაწყვეტილებები/დადგენილებები; *Quaestiones extraordinariae et quaestiones perpetuae – საგანგებო და მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის სასამართლო; oratio principis – პრინცეფსის სიტყვა სასამართლოში.*

[53] D.1.3.37. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 85.

Senatusconsultum (SC) ხალხის მონაწილეობის გარეშე მიიღებოდა; აქედან გამომდინარე, ქმედითობის თვალსაზრისით, *leges*-თან მისი გათანაბრება, უდავოდ გამოიწვევდა იმ კონცეპტუალურ სირთულეს, რომელიც გაიუსის ტექსტშია ასახული: *Senatusconsultum est, quod senatus iubet atque constituit: idque legis vicem optinet quamvis fuerit quaesitum* – სენატის დადგენილება არის ის, რაც სენატმა ბრძანა და დაადგინა; მას აქვს კანონის ძალა, თუმცა, ამის შესახებ ბევრს დაობდნენ.[54] ქრ. შობის II საუკუნემდე SC-ს კანონის ძალა არ გააჩნდა და ამიტომ *ius civile*-ს შექმნაში უშუალო მონაწილეობას ვერ იღებდა.

სენატს ჰქონდა ორი შესაძლებლობა: ნორმატიულ ვითარებაზე შუალობითი გავლენის მოსახდენად, სასურველი კანონის მიღება დაევალებინა მაგისტრატისთვის, ან პრეტორისაგან – ედიქტში ცვლილებების შეტანა. ზოგჯერ სენატი მაგისტრატისაგან სისხლის სამართლის განსაკუთრებული სასამართლოს – *quaestiones extra ordinariae* – შექმნას ითხოვდა. ამგვარი დაწესებულება მუდმივმოქმედი ვერ იქნებოდა. მისი შექმნა კანონის მიღებას საჭიროებდა, ხოლო სენატუსკონსულტს კანონის ძალა არ გააჩნდა. ამდენად, მოქალაქეს ხალხისთვის აპელაციით მიმართვის უფლება ყოველთვის ჰქონდა. ქრ. შობამდე II საუკუნეში ძველ რომში სერიოზული პოლიტიკური და სამართლებრივი კრიზისი წარმოიშვა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ სენატმა მსგავსი საგანგებო სასამართლო გადაწყვეტილებების შეზღუდვის თავიდან აცილება მოისურვა.

პრინციპატის პერიოდში, კომიციების როლის დაცემის შედეგად, სენატის ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო იმპერატორის ხელში სენატუსკონსულტი პრეტორის ედიქტზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი შეიქნა. მართალია, ქრ. შობის I საუკუნეში სენატუსკონსულტს, *ius civile*-თან მიმართებით, კანონის ძალა ჯერ კიდევ არ გააჩნდა და მხოლოდ პრეტორულ სამართლის (*ius honorarium*) ჩამოყალიბებაზე ახდენდა გავლენას, ქრ. შობის II საუკუნიდან მისი როლი იმდენად გაიზრდა,

[54] Gai., 1.4. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 10; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 114.

რომ ცივილური სამართლის ტოლფასი შედეგი მიიღო, რაც კანონთან მის გათანაბრებაზე მეტყველებდა.

გ) Edicta magistratuum (მაგისტრატების ედიქტები)

Ius edicendi – ნორმის დადგენისა და გამოქვეყნების უფლება; edictum – ედიქტი; iurisdictio – სასამართლო უფლებამოსილება; officium – თანამდებობრივი მოვალეობანი; interdictum — ინტერდიქტი; edictum perpetuum – მუდმივი ედიქტი; edicta repentina – ერთჯერადი ედიქტი; decretum — დეკრეტი; denegatio actionis – სასარჩელო დაცვაზე უარის თქმა; edictum provinciale – პროვინციული ედიქტი; aediles curules – კურულის ედილები; praefecti — პრეფექტი; praesides provinciale – პროვინციის გუბერნატორები; praefecti — პრეფექტი.

უმაღლესი სამხედრო და საჯარო ხელისუფლების[55] მქონე რომაელ მაგისტრატებს *imperium*-სა და *iurisdictio*-ს განხორციელება (თანამდებობრივი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, ზოგადსავალდებულო ქცევის წესების დადგენა და გამოცემა), ედიქტის სახით, შეეძლოთ. ქრ. შობამდე 242 წ. მართლმსაჯულების[56] განხორციელების უფლება ქ. რომის მმართველობაზე პასუხისმგებელ პრეტორსა[57] და პერეგრინების პრეტორს[58] მიენიჭათ. *Ius dicere* იყო სამოქალაქო სასამართლო განხილვის[59] პირველი სტადია, რომლის დროსაც საქმის არსი დგინდებოდა და შესაბამისი პროცესუალური საშუალებები განისაზღვრებოდა. საკუთარი უფლების[60] საფუძველზე, პრეტორი მოსამართლეს იმ საფუძველს უთითებდა, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელს გადაწყვეტილე-

[55] imperium – საჯარო ხელისუფლება. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо. Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов. Москва, Статут, 2005, 47.

[56] iurisdictio – მართლმსაჯულება. იქვე, 48.

[57] praetor urbanus – ქ. რომის მმართველობაზე პასუხისმგებელი პრეტორი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 24.

[58] praetor peregrinus – პერეგრინების პრეტორი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо. Римское частное право, казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов. Москва, Статут, 2005. 48.

[59] in iure – სასამართლო განხილვა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 117.

[60] ius, iuris dicendi – საკუთარი უფლება. იქვე.

ბა უნდა გამოეტანა. პრეტორის გადაწყვეტილება განისაზღვრებოდა *ius civile* იმ ნორმებით, რომლებიც ამა თუ იმ ურთიერთობის დასადგენად გამოიყენებოდა. საკუთარი *imperium*-ის საფუძველზე, პრეტორს დაცვის სპეციფიკური საშუალებების გათვალისწინება და საქმის დამოუკიდებელი განხილვაც შეეძლო. ასეთი ექსტრაორდინალური პროცესები სამართლის სისტემის განვითარებას უწყობდა ხელს, აგრეთვე, *ius civile*-თი გაუთვალისწინებელი ურთიერთობების ოფიციალურ დონეზე დაცვისა და აღიარების შესაძლებლობას იძლეოდა. გარდა პრეტორებისა, რომლებიც ზოგადი *iurisdictio*-თი სარგებლობდნენ, სპეციალური იურისდიქცია კურულის ედილებსაც მიენიჭათ. ეს უკანასკნელნი იყვნენ მაგისტრატები, რომლებიც ქ. რომში წესრიგის დაცვაზე იყვნენ პასუხისმგებელნი, განსაკუთრებით კი ბაზრებში.[61] საკუთარი *officium*-ის ფარგლებში *ius edicendi* ჰქონდა ედილსაც. იგი გამოსცემდა ედიქტებს, რომლებიც არა მარტო მართლმსაჯულების, არამედ კერძო სამართლის, და განსაკუთრებით – *edicta iurisdictionis* ეხებოდა.

მაგისტრატების ედიქტებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრ. შობამდე II საუკუნეში, *lex Aebutia*-ს გამოცემით შეიძინა. დამკვიდრდა ახალი სახის პროცესი – *per formulas*, რომელიც *legis actiones* პროცესთან თანადროულად მოქმედებდა. აღნიშნულის შედეგად, *ius civile*-თი გაუთვალისწინებელი ურთიერთობების დაცვა პრეტორსაც შეეძლო. ამისთვისაც იგი არა ექსტრაორდინალურ, არამედ ჩვეულებრივ სამოქალაქო-სამართლებრივ საშუალებებს იყენებდა.

ქრ. შობამდე 17 წ. *legis actiones* პროცესის გაუქმებით, სამოქალაქო პროცესუალური საშუალებების შექმნის თვალსაზრისით, მაგისტრატების ედიქტმა თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვა. ჩამოყალიბდა ახალი, განსა-კუთრებული ნორმატიული სისტემა – მაგისტრატების ანუ პრეტორული სამართალი.[62] ამ უკანასკნელს *ius civile*-თვის პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

---

[61] cura urbis – მაგისტრები, რომელბიც წესრიგის დაცვაზე იყვნენ პასუხისმგებელნი, განსაკუთრებით კი ბაზრებში. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 47.

[62] ius honorarium ანუ praetorium – მაგისტრატების ანუ პრეტორული სამართალი. Римское частное право, под. ред. Новицкого И.Б. и Перетерского И.С., Москва, Юриспруденция, 2002, 14-15.

პრეტორული დაცვის განსაკუთრებულ საშუალებებს მოქალაქე თუ არ გამოიყენებდა, იგი ცივილური სამართლის ნორმის ანაბარა რჩებოდა. პრეტორულმა სამართალმა კი *ius civile*-ს ინსტიტუტების მოდიფიკაციას მატერიალურადაც შეუწყო ხელი. თავდაპირველად, პრეტორთა მიერ ედიქტების შესრულება ღირსების[63] საკითხად იქცა და *dignitas*-ზე[64] იყო დამოკიდებული. პრეტორს შეეძლო უარი ეთქვა მისივე ედიქტით გამოცხადებულ სარჩელზე[65]. ასევე, ერთი წლის განმავლობაში გამოეცა ახალი ედიქტი, რომელიც თანამდებობაზე მისი დანიშვნის დროს გამოცემული ედიქტის საპირისპირო იქნებოდა. ე.წ. ერთჯერადი სახის ნაჩქარევი ედიქტისაგან[66] განსხვავებით, წლის დასაწყისში გამოცემული ედიქტი პრეტორის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ძალას ინარჩუნებდა და მუდმივ ედიქტად[67] იწოდებოდა. ქრ. შობამდე 67 წ. პლებისის ტრიბუნის კორნელიუსის მიერ გამოცემული კანონით, პრეტორს, *edictum perpetuum*-ის გარდა, სხვა აქტებით მართლმსაჯულების განხორციელება აეკრძალა. მართლმსაჯულების სფეროში *edicta repentina*-ს გაუქმებამ, ცალკეულ შემთხვევებში, პრეტორის მიერ არაორდინალური გადაწყვეტილებების[68] მიღებაზე გავლენა ვერ მოახდინა. ამასთანავე, ედიქტის (ან კანონის) წინააღმდეგ წასვლა პრეტორს არ შეეძლო. მას მხოლოდ დადგენილი სამართლის ფარგლებში მოქმედება და ახალ ურთიერთობებზე *bonum et aequum*-ის ძირითადი პრინციპების გავრცელება ევალებოდა. ქრ. შობის II საუკუნეში, როცა *senatusconsultum*-ს კანონის ძალა მიეცა, იმპერატორის კანცელარია საგრძნობლად გააქტიურდა, კერძო სამართალი *ius civile*-ს ფარგლებში განვითარდა, ედიქტი კი არსებითად შეიზღუდა და მისი განვითარების პროცესიც შეჩერდა. იმპერატორ ადრიანეს ინიციატივით, პრეტორული სამართლის საბოლოო სისტემატიზაცია ამგვარი ვითარების ლოგიკური შედეგი იყო. 131 წ. იმპერატორმა კვესტორებს სალვიუს იულიანესა და სერვიუს კორნელიუსს პრე-

[63] fides – ღირსება. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 119; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 47.

[64] ტრადიციულ ნარმოდგენაზე. იქვე, Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 119.

[65] denegare actionem – ედიქტით გამოცხადებული სარჩელი, იქვე.

[66] edicta repentina – ერთჯერადი სახის ნაჩქარევი ედიქტი, იქვე.

[67] edictum perpetuum – მუდმივი ედიქტი, იქვე.

[68] decretum – არაორდინალური გადაწყვეტილებები, იქვე.

ტორული ედიქტების საერთო რედაქტირება დაავალა. ამ ამოცანის შესასრულებლად სათანადო ცოდნა მხოლოდ იულიანეს ჰქონდა. ამდენად, მან თითქმის მთელი სამუშაო შეასრულა. იულიანეს რედაქციით გამოცემულ ედიქტს „*Edictum perpetuum*-ი“ ეწოდა (თუმცა სრულიად ახალი მნიშვნელობით). ამიერიდან, მაგისტრატებს კოდიფიცირებულ ტექსტში მხოლოდ აუცილებელი ხასიათის დამატებების შეტანა შეეძლოთ.

ამრიგად, პაპინიანეს თანახმად, პრეტორული სამართალი არის ის, რაც ცივილური სამართლის გაუმჯობესების, მასში დამატებებისა თუ ცვლილებების შეტანის მიზნით, ცივილური სამართლის საჯარო სარგებლიანობის ასამაღლებლად, პრეტორებმა ბრძანეს.[69]

დ) Constitutiones principum (იმპერატორების კონსტიტუციები)

Lex generalis – ზოგადი მოქმედების ნორმა; decretum – სასამართლო გადაწყვეტილება; rescriptum – ცალკეული კაზუსის გადაწყვეტა; subscriptio – კერძო პირის მოთხოვნით (საპასუხოდ) გამოტანილი გადაწყვეტილება; epistula – თანამდებობის პირის მოთხოვნაზე საპასუხო გადაწყვეტილება; translatio imperii – ძალაუფლების გადატანა.

ულპიანეს აზრით, პრინცეფსის გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს, რადგან ხალხი იმპერატორს მთელ ხელისუფლებას, პრინცეფსის ხელისუფლების შესახებ გამოცემული კანონით, გადასცემს.[70]

ამ ტექსტში, ფაქტიურად, პრინციპატის, როგორც პოლიტიკური რეჟიმის, არსია ჩამოყალიბებული. პრინცეფსი, როგორც კანონმდებელი, ხალხის სინონიმია. მას მაგისტრატის მსგავსად (რომელსაც ხალხმა გარკვეული ვადით *imperium*-ი გადასცა) არ ევალება თანამდებობრივი ფუნქციების განხორციელება, არამედ სახალხო ნებას სამისდღეშიოდ გამოხატავს. III საუკუნეში ჩამო-

[69] D.1.1.7. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 61-62

[70] D.1.4.1.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 86.

ყალიბებულ პრინციპატის რეჟიმის გამამართლებელ კონცეპტუალურ ტრადიციას, ძალაუფლების გადატანის (*translatio imperii*) იდეა ნათლად ასახავს. პომპონიუსი პრინცეფსს *populus*-ის სადარ სუვერენად ახასიათებს.[71] მისი აზრით, პრინცეფსის მდგომარეობა პოზიტიური სამართლის პირველადი წყაროს ტოლფასია. საკანონმდებლო უფლებამოსილებებს იგი საკუთარი სახელისუფლო სტატუსის მიხედვით ქმნიდა. პომპონუსის თანახმად, ასეთი ცვლილება რომის სახელმწიფოს ბუნებრივი განვითარების შედეგი იყო, რომელიც თავისთავად სამართლის დადგენის საშუალებათა შემცირებასა და ამ უფლება-მოსილების ერთი პირის ხელში მოქცევას ითხოვდა. *Constitutio principis*-ით გამოხატული ახალი სუვერენის ნება კანონს, როგორც პოზიტიური სამართლის ფორმას, მართლზომიერად იცავს. პომპონიუსის აზრით, ის, რაც თავად პრინცეფსმა დაადგინა, კანონის მაგივრად შესრულდება.[72]

ულპიანეს თანახმად, პრინცეფსის ნება და ხელისუფლება ხალხისას უთანაბრდება, იმპერატორის კონსტიტუცია თავად კანონია.[73]

პრინცეფსის კონსტიტუციასა და კანონს შორის განსხვავება-თანაფარდობა მარციანუსის ტექსტშია მოცემული: „წერილობითი ფორმით დადგენილი პირობები, რომლებიც ეწინააღმდეგება იმპერატორის ედიქტს, ან კანონს, ან კანონის ძალის მქონე აქტებს...“ დაუწერლად ითვლება.[74] ასეთი დამოკიდებულება იმპერატორის კონსტიტუციას პოზიტიური სამართლის იმ სხვა ფორმებისგან განასხვავებდა, რომელთაც შეიძლება კანონის მასშტაბები მი-

---

[71] D.1.2.2.11. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 67.

[72] quod ipse prinseps constituit pro lege servetur – რაც თავად პრინცეფსმა დაადგინა, კანონის მაგივრად შესრულდება. D.1.2.2.12. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 67.

[73] legem esse constat – კონსტიტუცია თავად კანონია. D.1.4.1.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 67.

[74] condiciones contra edicta imperatorum aut contra leges aut quae legis vicem optinent scriptae... pro non scriptis habentur – „წერილობითი ფორმით დადგენილი პირობები, რომლებიც ეწინააღმდეგება იმპერატორის ედიქტს, ან კანონს, ან კანონის ძალის მქონე აქტებს...“ D.28.7.14. Digesta Iustiniani. T. V, книги XXVIII-XXXII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 181-182.

ვუსადაგოთ და ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუცია საკუთარი თავის კრიტერიუმი იყო. ამ ლოგიკის გამოხატულებაა ცნობილი მაქსიმა – პრინცეფსი კანონისგან თავისუფალია.[75]

ფორმის მიხედვით, იმპერატორის კონსტიტუციები იყოფა: 1. *Edicta* – ზოგადი მოქმედების ნორმა; 2. *Decreta* – სასამართლო გადაწყვეტილება, ჩვეულებრივ, ქვედა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებაზე აპელაციის პასუხად; 3. *Rescripta* – ცალკეული კაზუსის გადაწყვეტა, რომელიც, თავის მხრივ, *subscriptiones*-ად და *epistulae*-დ იყოფოდა. იმის მიხედვით, კერძო თუ თანამდებობის პირის შეკითხვის საპასუხოდ იყო გაცემული.

III საუკუნის ბოლომდე საიმპერატორო სამართალშემოქმედების სხვა ფორმებს შორის *rescripta* დომინირებდა. რომის პოზიტიური სამართლის სტრუქტურაში *rescripta* ხშირად *responsa prudentium*-თან ერთად იხსენიებოდა და კერძო სამართლის ცალკეულ პრობლემათა გადაჭრით *ius controversum*-ში თავისი წვლილი შეჰქონდა. პოსტკლასიკურ ეპოქაში (კონსტანტინეს გამეფებასთან ერთად) *rescripta*-მ ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგა. სამაგიეროდ, კონსტანტინეს პერიოდიდან კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში მნიშვნელოვანი როლი *edicta*-მ შეიძინა და ის *leges generales*-ი გახდა. ამ პერიოდში სასამართლო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი სწორედ იმპერატორის კონსტიტუციები[76] იყო. კლასიკური პერიოდის იურისტების მოსაზრებას[77] მაშინ მიმართავდნენ, როცა საკანონმდებლო მოთხოვნა არ გააჩნდათ.

იმპერატორის კონსტიტუციების კერძო კრებულების შექმნის დიდმა ინტერესმა ისეთი მნიშვნელოვანი აქტების შექმნა განაპირობა, როგორიცაა დიოკლეტიანეს დროს შედგენილი *Codex Gregorianus* და *Codex Hermogenianus*. 428 წ. აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველმა თეოდოსიუს II-მ სამართლის წყაროების ზოგადი სისტემატიზაცია მოახდინა. 438 წ. ძალაში შევიდა *Codex Theodosianus*-ი, რომელშიც კონსტანტინეს შემდეგ გამოცემული კონ-

[75] princeps legibus solutus est – პრინცეფსი კანონისგან თავისუფალია, D.1.3.31. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 84.

[76] leges – იმპერატორის კონსტიტუციები. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 125.

[77] iura – იურისტების მოსაზრება, იქვე.

სტიტუციები გააერთიანეს. 528 წ. აპრილში აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა იუსტინიანემ ახალი კოდექსის, *Novus Codex*, შექმნა ბრძანა, რომელიც 529 წლის აპრილში ძალაში შევიდა. იუსტინიანემ ძველ კოდექსებს მოუყარა თავი. 439 წლის შემდგომ მიღებული ახალი კონსტიტუციებიც დაურთო და მათ *Novellae constitutiones* უწოდა. აღნიშნულმა კოდექსმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

II. წინაკლასიკური პერიოდი (ქრ. შობამდე 367-17 წწ.)

Praetor urbanus – ქალაქის პრეტორი; praetor peregrinus – პერეგრინების პრეტორი, per formulas agere – ფორმულარული პროცესი; edictum praetorium – პრეტორული ედიქტი; edictum tralaticium – ედიქტის მონაცვლეობა — მემკვიდრეობითობა; ius praetorium – პრეტორული სამართალი; ius honorarium – მაგისტრატების სამართალი; iuris prudentes — იურისპრუდენცია; responsa – იურისტების პასუხები; ius gentium – ხალხის სამართალი; divisio-definitio – სარჩელის სისტემატიზაცია; pars iuris – სამართლის მეცნიერება; aequitas – სამართლიანობა.

ქრ. შობამდე 367 წელს ტრიბუნ ლიცინიუს სტოლონუსისა და მისი კოლეგა სექსტიუს ლატერანუსის ინიციატივით მიღებული კანონით[78] დადგინდა: ერთ-ერთ კონსულად აუცილებლად პლებსის წარმომადგენელი უნდა არჩეულიყო. ამ მონოპოლიური უფლების დაკარგვას პატრიციები ვერ შეეგუენ და იმავე კანონით, კომპენსაციის სახით, ქ. რომის მმართველობის სისტემაში უმაღლესი მაგისტრატის ახალი თანამდებობის – ქალაქის პრეტორის[79] შემოღება მოითხოვეს. ქალაქის პრეტორი კონსულის უმცროსი თანაშემწე და შესაბამისი *imperium*-ით აღჭურვილი პირი უნდა ყოფილიყო. პრეტორი მართლმსაჯულებას[80] განახორციელებდა. აღნიშნუ-

[78] lex Liciniac-Sextiae – ტრიბუნ ლიცინიუს სტოლონუსისა და მისი კოლეგა სექსტიუს ლატერანუსის ინიციატივით მიღებული კანონი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 46.

[79] preator urbanus – ქალაქის პრეტორი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 24.

[80] iurisdictio – პრეტორის მართლმსაჯულება. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо,

ლი მაგისტრატურის შემოღება, ფაქტობრივად, მმართველობის სისტემიდან სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციურ გამოყოფას ნიშნავდა. ასეთმა ცვლილებამ სასამართლო პროცესის ახალი ფორმის ჩამოყალიბება და მთელი რომაული სამართლის სისტემის თანდათანობითი გარდაქმნა გამოიწვია. ამრიგად, ეს ცვლილებები შეიძლება არა კონსტიტუციური სამართლის, არამედ სამოქალაქო სამართლის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად შევაფასოთ. სწორედ აღნიშნული ფაქტია რომის სამართლის არქაული პერიოდის დასასრულად და ე.წ. წინაკლასიკური პერიოდის დასაწყისად მიჩნეული.

ტრადიციის თანახმად, რომში მცხოვრები მოსახლეობის წოდებრივი გათანაბრება ქრ. შობამდე 287 წელს მიღებულ ჰორტენზიუსის კანონს[81] უკავშირდება. ამ კანონით პლებსის სახალხო კრებების გადაწყვეტილებებს[82] კანონის ძალა მიენიჭათ და ყველა მოქალაქისთვის სავალდებულო გახდა. ფორმალურ-კონსტიტუციური თვალსაზრისით, ასეთი ცვლილება პლებსისათვის პრივილეგიის მინიჭება იყო. ეს იყო იძულების წესით გამოწვეული. მთელი ხალხისათვის სავალდებულოდ მხოლოდ ერთი წოდების ნება იქცა მაშინ, როცა პატრიციებს ასეთი უფლება არ გააჩნდათ. მსგავსი არაპროპორციულობა მაგისტრატურების მიმართაც შეინიშნებოდა. ამიერიდან, რომის რესპუბლიკაში თუ პლებეებს ნებისმიერი თანამდებობის დაკავება შეეძლოთ, საკუთრივ პლებეების მაგისტრატურის (მათ შორის კი უმთავრესი ტრიბუნი იყო) დაკავების უფლება მხოლოდ პლებეებს ენიჭებოდათ. ანუ, ამ თვალსაზრისით, ისინი წოდებრივ უპირატესობას ინარჩუნებდნენ. არსებითად, პატრიციატი სახელმწიფოს ერთადერთი უმაღლესი წოდება აღარ იყო. პლებეების ელიტამ პატრიციატთან აღრევა მოახერხა. პატრიციებისა და პლებეების ზედა ფენამ კი საზოგადოების ახალი

Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут. 2005, 48.

[81] lex Hortensia – ქრ. შობამდე 287 წელს მიღებული ჰორტენზიუსის კანონი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут. 2005, 46.

[82] plebiscita – პლებსის სახალხო კრებების გადაწყვეტილებები. Gai., 1.3. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, თბილისი, 2011, 9-10; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут. 2005, 46.

უმაღლესი წოდება – ნობილიტეტი[83] შექმნა.

სახელმწიფო წყობილების ოლიგარქიული ხასიათი გაბატონებული სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ აქტივობას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს და ინტერესთა მემკვიდრეობითობის ჰარმონიულ თანხვედრას იწვევდა. ამას შედეგად რომის რესპუბლიკის აყვავება მოჰყვა. მოგვიანებით, ამგვარმა ვითარებამ ამავე რეჟიმის სწრაფი რღვევა და დაცემა განაპირობა.

რესპუბლიკის პერიოდში რომის გაბატონებამ ევროპის, აფრიკის და აზიის უზარმაზარ ტერიტორიებზე კონსტიტუციური ცვლილებები გამოიწვია. ქრ. შობამდე VI საუკუნის ბოლოს ლაციუმზე დაკარგული ბატონობა რომმა კვლავ დაიბრუნა. ქრ. შობამდე IV საუკუნეში ცენტრალური იტალია დაიპყრო და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებისაკენ აიღო გეზი, სადაც 264 წლიდან მის უშუალო მეტოქეს, კართაგენს, დაუპირისპირდა. ე.წ. „პუნიკურ ომებში" მიღწეული წარმატებებით ახალ დაპყრობილ ტერიტორიებზე რომის ბატონობასა და ძალაუფლებას საფუძველი ჩაეყარა. ამ ტერიტორიებზე რომის პროვინციები[84] შეიქმნა. პროვინციათა მმართველებად პრეტორის მსგავსი სასამართლო ფუნქციებით აღჭურვილი პროკონსულები და პროპრეტორები[85] დაინიშნენ. ქრ. შობამდე II საუკუნის შუა პერიოდისათვის რომს თანასწორი მოწინააღმდეგე უკვე აღარ ჰყავდა.

წინაკლასიკური პერიოდი ახალი ფორმის გარიგებებისა და სამართლის ახალი მეცნიერების ჩამოყალიბების ხანაა. მკაცრად დაცულ სარიტუალო ფორმათა გარეშე დადებული ხელშეკრულებები მხოლოდ მხარეთა ნების გამოვლენას ეფუძნებოდა და პრეტორის დაცვას ექვემდებარებოდა. თუ გარიგება მხოლოდ რომაელ მოქალაქეთა შორის იდებოდა, მაშინ ისინი ქალაქის პრეტორს მიმართავდნენ. ქრ. შობამდე 242 წლიდან თუ გარიგების ერთ-ერთი მხარე უცხოელი იყო, საქმეს პერეგრინების სპეციალური პრეტორი[86] განიხილავდა. პრეტორი საქმის არსს ადგენდა, რის შესა-

[83] nobilis – ნობილიტეტი – საზოგადოების ახალი უმაღლესი წოდება. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 82; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 25.

[84] provinciae – პროვინციები. იქვე, 26.

[85] proconsule et propraetore – პროკონსულები და პროპრეტორები.

[86] preator peregrinus – პერეგრინების სპეციალური პრეტორი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с

ბამისადაც, თუ მოსარჩელის მიერ მოყვანილი ფაქტები სარწმუნო იყო, ბრძანებას გასცემდა მოსამართლისადმი (ანუ იმ კერძო პირისადმი, რომელიც, მოდავე მხარეების მიერ შეირჩეოდა), რათა მას საქმეზე გადაწყვეტილება გამოეტანა. პრეტორის მხრიდან, კერძო მოსამართლისათვის სასამართლო ფუნქციების დელეგირება, განსაკუთრებული ბრძანების[87] სახით ხდებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო განხილვის ახალ, პრეტორულ სახეს, ფორმულარული პროცესი[88] ეწოდა.

თანამდებობის დაკავების შემდეგ, ყოველი ახალი პრეტორი ედიქტს გამოსცემდა. *Edictum*-ით გაცხადებული იყო, მისი მაგისტრატობის პერიოდში, რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა მოიპოვებდა დაცვის უფლებას. ამგვარად, ედიქტის ზოგადი დებულებები და მასში მოყვანილი სასარჩელო ფორმულები, ცალკეულ საქმეზე გამოტანილი დეკრეტებისაგან[89] განსხვავებით, დროში განსაზღვრული სიმტკიცით გამოირჩეოდნენ. ყოველ ახალ მაგისტრატს მომდევნო წელს, წინამორბედის ედიქტში ცვლილება შეჰქონდა. თუმცა, ედიქტის შინაარსის მემკვიდრეობითობა (*edictum tralaticium*), ზოგადად, შენარჩუნებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ პრეტორი ფლობდა *imperium*-ს და შეეძლო იძულების წესით უზრუნველეყო მისი იურისდიქციის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, მას *lex publicae*-ს (იგულისხმება XII დაფისა და სხვა კანონები) საწინააღმდეგო მოქმედების უფლება მაინც არ გააჩნდა.

სამოქალაქო პროცესის ორგანიზება და პრეტორის სამართალშემოქმედებითი საქმიანობისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, კარდინალურ ცვლილებებს ითხოვდა, რაც ქრ. შობამდე II საუკუნის მეორე ნახევარში ებუციუსის კანონით[90] განხორციელდა. ფაქტობრივად, ამით საფუძველი ჩაეყარა სასამართლო მაგისტრატის რეფორმატორულ ინიციატივას. მომდევნო ასი წლის განმა-

---

испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 48.

[87] formula – განსაკუთრებული ბრძანება. იქვე, 53.

[88] per formulas – ფორმულარული პროცესი. იქვე, .41.

[89] decretum – ცალკეულ საქმეზე გამოტანილი დეკრეტები. Дожлев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 119.

[90] lex Aebutia – ებუციუსის კანონი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 51.

ელობაში რომაული სამართლის სისტემა მნიშვნელოვნად გართულდა. გარდა *ius civile*-ს ინსტიტუტებისა, შეიქმნა პრეტორული სარჩელების სისტემა, რომელთა მეშვეობითაც მკაცრი სამოქალაქო სამართლით[91] გაუთვალისწინებელი და მისი დებულებების საწინააღმდეგო ურთიერთობების დაცვაც გახდა შესაძლებელი. მხარეთა მიერ პროცესის ერთ-ერთი სახეობის არჩევის შემდეგ, გადაწყვეტილების შეცვლა მათ იმ შემთხვევაშიც ეკრძალებოდათ, როცა პარალელური სისტემა უფრო სასურველი შედეგის იმედს იძლეოდა.

ამრიგად, პროცესუალური საშუალებებით პრეტორმა გადალახა *ius civile*-ს შეუთავსებლობა, რომელიც სოციალური ურთიერთობების შეცვლა-გართულებით იყო განპირობებული. პრეტორული დაცვის საშუალებებისთვის მიმართვა კერძო პირებს ეხმარებოდა ახალ, პრეტორული ედიქტის დებულებებზე დაფუძნებულ, სამართლებრივ ურთიერთობათა აგებაში. პრეტორულმა[92] ანუ მაგისტრატების სამართალმა[93] რომის სამართლის სისტემა არა მხოლოდ პროცესუალური, არამედ მატერიალური თვალსაზრისითაც მთლიანად შეცვალა.

ქრ. შობამდე 17 წ. გამოცემულმა ავგუსტუსის კანონმა გააუქმა მართლ-მსაჯულების განხორციელება (*leges Iuliae de iurisdictione*) *per legis actiones* პროცედურის საფუძველზე.

პრეტორის სამართალშემოქმედების სრულყოფა რომის სამართლის მეცნიერების ჩამოყალიბების პერიოდს დაემთხვა. რესპუბლიკის პერიოდში ტერმინი სამართლის სპეციალისტი-მცოდნე რომაელ სამართალმცოდნეს (*iuris prudentes*), *pontifices*-გან არა იმდენად საერო თანამდებობით, რამდენადაც არისტოკრატიული მდგომარეობით განასხვავებდა. ამ დროის იურისტები ძირითადად, პონტიფიკოსები, ექს-მაგისტრატები იყვნენ, ხოლო სამართალმცოდნეობის პერმანენტულობა უშუალოდ პონტიფიკოსების საქმიანობას უკავშირდებოდა. ამ ფაქტზე, კონსულის თანამდებობაზე მყოფი პირველი პლებეი პონტიფიკოსის – ტიბერიუს კორუნკა-

---

[91] ius strictum – მკაცრი სამოქალაქო სამართლი. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 60, 67.

[92] ius praetorium – პრეტორული სამართალი. Римское частное право, под ред. Новицкого И.Б. и Перетерского И.С., Москва, Юриспруденция, 2002, 14.

[93] ius honorarium – მაგისტრების სამართალი. იქვე, 15.

ნიუსის საქმიანობაც მოწმობს, რომელიც დამსწრეებს სამართლის საკითხებზე კონსულ-ტაციებს ინდივიდუალურად აძლევდა. სწორედ იურისპრუდენციის აყვავების პერიოდში, რომმა მკაცრად ეროვნული სამართლის სარიტუალო ფორმები დაძლია და პერეგრინებისთვის ხელმისაწვდომი ახალი ფორმის კონტრაქტები შეიმუშავა. ამ სამართლებრივი კონსტრუქციების საყოველთაო ხასიათი იმ შეხედულებაში აისახა, რომლის თანახმადაც, ეს ნორმები ყველა ხალხისათვის, ეროვნული და მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად, საყოველთაო მნიშვნელობის იყო. ასე მიეცა დასაბამი ხალხის სამართალს (*ius gentium*). *Ius gentium*-ით დადგენილი გარიგებები სხვადასხვაგვარი კომერციული ურთიერთობისას გამოიყენებოდა. მათ ორივე პრეტორის სასამართლო დაცვით სარგებლობის უფლება მოიპოვეს. ამ თაობის იურისტების საქმიანობამ სამართლებრივი აზრის პროგრესი გამოიწვია. ისინი არისტოტელეს დიალექტიკას გაეცნენ, რომელიც შესასწავლი საგნის ანალიზისა (საფუძვლების მიხედვით დაყოფა) და სინთეზის (შემეცნებით კატეგორიებში რეკონსტრუქცია) მეთოდებს ეფუძნებოდა. ამან სამართლებრივი ინსტიტუტების, გვარობით ნიშნით[94] რელევანტურ დაყოფას[95] შეუწყო ხელი, რაც რომაული იურისპრუდენციის ძირითად მეთოდოლოგიად იქცა.

რომაელი ფილოსოფოსები და სამართალმცოდნეები პოზიტიური სამართლისა და სამართლიანობის ურთიერთდაპირისპირების იდეას არისტოტელეს დაესესხნენ. ოფიციალურად დადგენილი სამართლისაგან განსხვავებულ სამართლიანობას მათ *aequitas* უწოდეს. თავდაპირველად, თუ სამართალი[96] და სამართლიანობა[97] სინონიმებად ითვლებოდა და მისაღების, მართებულის იდეას

---

[94] genera – გვარობითი ნიშანი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов. Москва, Статут, 2005, 89;

Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 30.

[95] divisiones – რელევანტური დაყოფა. იქვე.

[96] ius – სამართალი. Санфилиппо Ч.,. Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 61; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 62.

[97] aequum – სამართლიანობა. Римское частное право, под ред. Новицкого И.Б. и Перетерского И.С., Москва, Юриспруденция, 2002, 17-18; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 67.

შეესაბამებოდა (ახალ დროში *ius*-ი განიხილებოდა იმ დადგენილ და უმკაცრეს რაიმედ, რომელიც მოვლენათა ბუნებრივ წესრიგს საერთოდ არ პასუხობდა), *aequum*-მა უფრო ეთიკური (ზნეობრივი) მნიშვნელობა შეიძინა და სიტყვებით *bonum et aequum*[98] აღინიშნებოდა.

სამართალმცოდნეების[99] მთავარი საქმიანობის მიზანი კანონის არსისა და მოვლენათა ბუნებრივი წესრიგის[100] მოთხოვნათა ურთიერთშესატყვისობის უზრუნველყოფა გახლდათ. კონკრეტულ საკითხებზე იურისკონსულტების გადაწყვეტილებები სასამართლოსთვის სავალდებულო ძალას სამართლიანობის პრინციპთან შესაბამისობის შეთხვევაში იძენდნენ. ამრიგად, ცალკეულ შემთხვევაში, სამართლიანობის დადგენა ან ქცევის წესებით მისი გამოხატვა მათთვის *ius civile*-ს ტოლფასი იყო. მათ მიერ *iuris gentium*-ით შემუშავებული ხელშეკრულებები, რომლებიც *ex bono et aequi* სარჩელების დაცვით სარგებლობდა, განახლებული *ius civile*-ს განუყოფელი ნაწილი გახდა. ციცერონის აზრით, სამოქალაქო სამართალი არის ერთი სამოქალაქო თემის წევრთათვის დადგენილი სამართლიანობა, ნივთის კუთვნილების განსაზღვრის უზრუნველსაყოფად.[101]

წინაკლასიკური პერიოდიდან ჩვენამდე მოაღწია ქვაზე ან ბრინჯაოს ფირფიტებზე დაწერილმა საკანონმდებლო ნორმებმა. ესაა სენატის დადგენილებები, რომაული[102] და მუნიციპალური[103] კანონები. მათი უმრავლესობა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავს. რომის სამართლის შესწავლის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბრინჯაოს დაფის 9

---

[98] bonum et aequum – ნიშნავს: „კეთილი და სამართლიანი". Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 53; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 32.

[99] prudentes – სამართალმცოდნეები.

[100] naturalis ratio – ბუნებრივი წესრიგი. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008. 65.

[101] ius civile est aequitas constituta eis qui eiusdem civitatis sunt, ad res obtinendas... – სამოქალაქო სამართალი არის ერთი სამოქალაქო თემის წევრთათვის დადგენილი სამართლიანობა, ნივთის კუთვნილების განსაზღვრის უზრუნველსაყოფად. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 33.

[102] leges rogatae – რომაული კანონები. იქვე, 35.

[103] leges datae – მუნიციპალური კანონები. იქვე.

ნატეხს, რომლებიც, ერთი მხრივ, ქრ. შობამდე 121 წელს მიღებულ *lex Cecilia repetundarum*-ს, ხოლო მეორე მხრივ, ქრ. შობამდე 111 წელს მიღებულ *lex agrarian*-ს შეიცავენ.

Lex Cecilia repetundarum მექრთამეობისთვის ადგენს სასამართლო დევნის ახალ წესს, რომლის ძალითაც, პროვინციის მკვიდრს, პირადად ან საკუთარი პატრონის, რომის მოქალაქის შუამდგომლობით რომაელი მაგისტრატის მექრთამეობაში დადანაშაულება შეეძლო. *Lex agraria* საზოგადოებრივ მინდვრებზე[104] მიწათსარგებლობის ახალ წესებს ადგენდა. ამ კანონის თანახმად, ყველა სახის კერძო მფლობელობა[105] კერძო საკუთრებად[106] იქცა, ხოლო სხვადასხვა კატეგორიის მიწაზე რენტა-გადასახადი[107] დაწესდა.

III. კლასიკური პერიოდი (ქრ. შობამდე 17 წ. – ქრ. შობის 235 წ.)

Princeps — პრინცეფსი; consilium principis – პრინცეფსის საბჭო; praefectus praetoria – პრეტორიანელთა პრეფექტი; praefectus Urbi – ქალაქის პრეფექტი; provinciae Caesaris – საიმპერატორო პროვინციები; provinciae populi Romani – სენატის პროვინციები; schola, secta – სამართლის (მეცნიერული) სკოლა; Sabiniani – საბინიანელები და Proculiani — პროკულიანელები; institutiones — ინსტიტუციები; nota – lema, შენიშვნა; problemata – პრობლემური ლიტერატურა, responsa, digesta, epistulae.

ქრონოლოგიურად, რომის სამართლის კლასიკური პერიოდი სამოქალაქო ომში გამარჯვებულ ოქტავიანე ავგუსტუსის მიერ დამკვიდრებული ახალი პოლიტიკური რეჟიმის, პრინციპატის პერიოდს, უკავშირდება. ხოლო პრინციპატის დაცემა და დასასრული იმპერატორ ალექსანდერ სეველუსის გარდაცვალებას (235 წ.). ამ დროს მთელი ქვეყანა ხანგრძლივმა პოლიტიკურმა კრიზისმა – ე.წ. „ჯარისკაცთა იმპერატორების ეპოქამ" მოიცვა. ქრ. შობამდე 27 წ.

---

[104] ager publicus – საზოგადოებრივი მინდვრები. იქვე, 36.

[105] possessiones – კერძო მფლობელობა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 36.

[106] ager privatus – კერძო საკუთრება. იქვე.

[107] vectigal – სხვადასხვა კატეგორიის მიწაზე რენტა. იქვე.

ოქტავიანემ ექსტრაორდინალური (საგანგებო) უფლებამოსილებანი მოიხსნა და სენატს განუცხადა, რომ რესპუბლიკური წყობის აღდგენა სურდა. სახელმწიფოში პირველი პირის – პრინცეფსის განსაკუთრებული სტატუსი გულისხმებოდა: მეამბოხე პროვინციებისა და იქ განლაგებული ჯარების მართვას; „ავგუსტუსის" ტიტულის იმ საგანგებო *imperium*-ს, რომლითაც ოქტავიანე, მისი მოლვაწეობით კმაყოფილმა სენატმა დააჯილდოვა. ამ ვითარებას ავგუსტუსი თავის პოლიტიკურ ანდერძში აღწერს – *„Res gestae Divi Augusti"*.[108] იგი წერს: ამის შემდეგ მე ყველაზე დიდი ავტორიტეტი გამაჩნდა, თუმცა, მაგისტრატურაში ჩემი ძალაუფლება, ჩემივე კოლეგების სტატუსს სულაც არ აღემატებოდა".

ქრ. შობამდე 27 წელს ავგუსტუსმა საკონსულტაციო საბჭო[109] შექმნა, რომელიც აღნიშნული საქმეების განხორციელებაში სენატს ცვლიდა. ქრ. შობამდე 23 წელს ავგუსტუსმა კონსულატზე უარი განაცხადა. მან პროვინციების ერთი ჯგუფისა[110] და იქ განლაგებული ჯარების მართვის უზენაესი ხელისუფლება მიითვისა, რაც, ფაქტობრივად, ყველა დანარჩენი პროკონსულის[111] ხელისუფლებას აღემატებოდა და ფუნქციონალური შეუზღუდაობით[112] გამოირჩეოდა. პოზიტიური სახის ამ ხელისუფლებას მან პლებეების ტრიბუნის მუდმივი ხელისუფლება[113] შეუთავსა და ოფიციალურად ეს მოვალეობაც მოიხსნა. ამის შემდეგ, მართალია, ავგუსტუსი ტრიბუნად აღარ ითვლებოდა, მაგრამ მას ნებისმიერი მაგისტრატის გადაწყვეტილებაზე *veto*-ს ანუ „აკრძალავ" დადება შეეძლო. ამ პერიოდიდან მოყოლებული ახალი პოლიტიკური რეჟიმი საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

სახელმწიფო მმართველობის ასეთმა სტრუქტურამ, სენატთან, ყველაზე ეფექტურ პოლიტიკურ თანამშრომლობას შეუწყო ხელი და იმპერიის მმართველობის ახალი სისტემის ორგანიზება

---

[108] Res gestae Divi Augusti – ღვთაებრივი ავგუსტუსის ქმედებანი საკვირველნი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 53.

[109] consilium principis – პრინცეფსის საკონსულტაციო საბჭო. იქვე, 56.

[110] imperium proconsulare – პროვინციების ერთი ჯგუფი. იქვე, 55.

[111] Maius – პროკონსული. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 54.

[112] infinitum – ფუნქციონალური შეუზღუდაობა. იქვე.

[113] tribunicia potestas – პლებეების ტრიბუნის მუდმივი ხელისუფლება. იქვე, 52.

უზრუნველყო. ქრ. შობამდე 16 წელს ახალი ადმი-ნისტრაციული სტრუქტურა შეიქმნა – საქალაქო პრეფექტურა.[114] მის სათავეში მდგომ პირს – ქალაქის პრეფექტს[115] – თავად იმპერატორი ნიშნავდა. ქ. რომში არსებულ წესრიგზე ქალაქის პრეტორი[116] აგებდა პასუხს. მისსავე საპოლიციო კომპეტენციას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო ფუნქციები დაემატა.

ქრ. შობამდე 2 წ. ავგუსტუსმა პრეტორიანელთა პრეფექტის თანამდებობა[117] შექმნა, რომელიც საგანგებო ჯარის, პრეტორიანელთა კოჰორტის[118] მეთაური იყო. ეს ჯარი ქ. რომში იყო განლაგებული. პრეტორიანელთა პრეფექტი იტალიის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულ ჯარებს სარდლობდა. ქ. რომში იგი იმპერატორის მარჯვენა ხელი იყო. ამით მან განუსაზღვრელი ძალაუფლება მოიპოვა, კერძოდ, რომის ფარგლებს გარეთ მართლმსაჯულების განხორციელება შეეძლო. სამოქალაქო საქმეებზე პრეტორიანელთა პრეფექტი ყველა პროვინციისათვის უზენაესი სასამართლო ინსტანცია იყო. ხოლო იმპერატორის ქვეყანაში არყოფნის დროს,[119] მისი იურისდიქცია სისხლის სამართლის საქმეებზეც ვრცელდებოდა. გარდა ქ. რომისა, სეპტიმიუს სევერუსის დროს მისი ძალაუფლება მთელს იტალიაზე გავრცელდა. 235 წ. ალექსანდერ სევერუსის კონსტიტუცია, პრეტორიანელთა პრეფექტის ბრძანებულებათა ნორმატიულ მნიშვნელობას[120] იმ პირობით აღიარებდა, თუ კანონს არ ეწინააღმდეგებოდა. მოგვიანებით, ბიუროკრატიული საწყისები უფრო განმტკიცდა. სევერუსების მმართველობის დროს, სისხლის სამართლის საქმეებზე ექსტრაორდინალური სასამართლო პროცედურის დამყარებით,

[114] praefectura Urbi – საქალაქო პრეფექტურა. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 55.

[115] praefectus Urbi – ქალაქის პრეფექტი. იქვე.

[116] praetor Urbi – ქალაქის პრეტორი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты. Перевод с испанского, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 55.

[117] praefectus praetoriae – პრეტორიანელთა პრეფექტის თანამდებობა. იქვე.

[118] cohors praetoriae – პრეტორიანელთა კოჰორტა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 40.

[119] vice sacra – იმპერატორის ქვეყანაში არყოფნის დრო. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 41.

[120] formae – ბრძანებულებათა ნორმატიული მნიშვნელობა. იქვე.

სენატმა სასამართლო ფუნქციები დაკარგა. პრინციპატის ეპოქაში რომმა ახალი, მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიპყრო.

ქრ. შობამდე 29 წ. ავგუსტუსმა შემოიერთა ეგვიპტე, რითაც ახალი კატეგორიის საიმპერატორო პროვინციებს[121] ჩაეყარა საფუძველი, რომლებიც, *provinciae populi Romani* – სენატის პროვინციებისგან განსხვავდებოდა.

იმპერიაში მშვიდობის სიმყარე ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურმა შერწყმამ, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებამ განაპირობა. იმპერიის შიდა კომუნიკაციების ინტენსიურმა განვითარებამ სახელმწიფო სულ უფრო ჰომოგენური გახადა. ამ პროცესის აპოგეად იმპერატორ კარაკალას მიერ ქრ. შობამდე 212 წელს გამოცემული ედიქტი[122] ითვლება, რომლის თანახმად, იმპერიის მრავალმილიონიანი მოსახლეობა რომის მოქალაქეთა უფლებებს იძენდა. ამ დროიდან მოყოლებული, სხვაობა *ius civile*-სა და *ius gentium*-ს შორის, მხოლოდ აკადემიური მნიშვნელობისღა იყო.

ქრ. შობამდე 17 წ. ავგუსტუსის კანონმა – „კერძო პირთა შორის დავების სასამართლო წესით განხილვის შესახებ"[123] *per legis actionem* პროცესი გააუქმა. ამიერიდან, მატერიალური თვალსაზრისით, სამოქალაქო პროცესის[124] ფორმის ერთობლიობა, სამართლის ინსტიტუტების შესაბამის უნიფიკაციას ითხოვდა. ქრ. შობის I საუკუნეში დადებული გარიგებების უმრავლესობა, მართალია, *ius gentium*-ს ეფუძნებოდა, მაგრამ მაინც *ius civile*-ს დონეზე იქნა აღიარებული. მკაცრ ცივილურ[125] სამართალში იმპერატორის მოთხოვნებს არსებითი ხასიათის ცვლილებები შეჰქონდა. განსაკუთრებით ეს პირის უფლებების, საოჯახო და მემკვიდრეობითი

---

[121] provinciae Caesaris – ახალი კატეგორიის საიმპერატორო პროვინციები. იქვე, 40.

[122] Constitutio Antoniniana – ქრ. შობამდე 212 წელს გამოცემული ედიქტი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 58.

[123] lex Iulia iudiciorum privatorum — კანონი „კერძო პირთა შორის დავების სასამართლო წესით განხილვის შესახებ". იქვე, 56.

[124] per formulas – სამოქალაქო პროცესი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 41.

[125] ius strictum – მკაცრი ცივილური სამართალი. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 60-64.

სამართლის, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სფეროებს ეხებოდა. იმპერატორები იურისტიების პოლიტიკურ კარიერას ხელს უწყობდნენ. საბოლოოდ, ამ თანამშრომლობას იურისტების *consilium principis*-ის საქმიანობაში მონაწილეობა მოჰყვა შედეგად. ასევე, მათ პრეტორიანელთა პრეფექტის თანამდებობის დაკავების უფლება მოიპოვეს.

სასამართლოს სისტემის პროგრესი უშუალოდ დამოუკიდებელ სამართალმცოდნეთა მოღვაწეობას უკავშირდებოდა. ავგუსტუსის დროიდან მოყოლებული, მათი ავტორიტეტის[126] ამაღლებაზე თვით იმპერატორები ზრუნავდნენ. რესპუბლიკის ბოლოს ორი იურისტი დაწინაურდა: ატეიუს კაპიტონი და მარკუს ანთისტიუს ლაბეონი. კაპიტონი ტრადიციულ შეხედულებებს ემხრობოდა. მისი თხზულებები საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა. ლაბეონი კერძო სამართლის პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომით გამოირჩეოდა. მას ეკუთვნის ქ. რომის პრეტორის მიერ შედგენილი ედიქტის კომენტარები. ამ ორი ცნობილი პიროვნების პოლიტიკური ანტაგონიზმი ხსნის, თუ რატომაა კლასიკური პერიოდის ორი სამართლის სკოლის შექმნის ტრადიცია, მაინცდამაინც, მათ სახელთან დაკავშირებული. იგულისხმება, პროკულიანელთა და საბინიანელთა სკოლები. II საუკუნეში მცხოვრები ცნობილი იურისტი ფლორენტინუსი[127] არც ერთ სკოლას მიეკუთვნებოდა. მან შექმნა *Institutiones* თორმეტ წიგნად. ტერმინი „*institutio*"[128] მიუთითებს დაწყებითი ცოდნის საფუძვლების[129] ჩამოყალიბებასა და ამისათვის ელემენტარული ხასიათის სამუშაოების შესრულებაზე. იმავდროულად, რომაელმა იურისტმა, გაიუსმა, დაიწყო მოღვაწეობა. მისი ნაშრომი, „*Institutiones*" (ოთხ წიგნად), ჩვენამდე სრულყოფილად მოღწეული ერთადერთი კლასიკური თხზულებაა. გაიუსის ნაშრომი ანტონინუს პიუსის მმართველობის დროს დაიწერა და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. „ინსტიტუციების" ზოგადი სტრუქტურა ასეთია: პირები, ნივთები, ვალდებულებები,

---

126 auctoritas principis — პრინცეფსის ავტორიტეტი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 41.

127 Florentinus – იურისტი ფლორენტინუსი.

128 institutio – „განათლება". Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма. 2003, 45.

129 elementa – დაწყებითი ცოდნის საფუძვლები. იქვე.

სარჩელები. გაიუსისეული მოდელი იუსტინიანეს ინსტიტუციებისა და ნაპოლეონის კოდექსისთვის (1804 წ.) მისაღები გახდა. ისევე როგორც, მათ საფუძველზე შექმნილ თანამედროვე სამოქალაქო კოდექსებისთვის. კლასიკური პერიოდის იურისტები წინამორბედთა ნაშრომების კომენტარებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათ შორის, *ius civile*-ს ზოგად შრომებსა, თუ ცალკეული საკითხების შესახებ ფუნდამენტური მონოგრაფიების ავტორთა თხზულებებს.

კომენტარებისგან უნდა განვასხვაოთ შენიშვნები.[130] ამ ჟანრის თავისებურება ის გახლავთ, რომ ჩანაწერი უშუალოდ სხვა იურისტის ნაშრომის ტექსტში კეთდებოდა. ხოლო შენიშვნებს არა მხოლოდ პირადი ქმნილებების მინდვრებზე, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომების საარქივო ასლებზეც უთითებდნენ.

პრეტორული ედიქტის კომენტარები[131] სამართალმცოდნეების (*prudentes*) ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვეულებრივ, კომენტირებას ქალაქის პრეტორის ედიქტი ექვემდებარებოდა. ყველაზე ვრცელი კომენტარები (150 წიგნამდე) პომპონიუსს ეკუთვნის, რომლის ციტირებას კომპილატორების გარდა, სხვა ავტორებიც ახდენდნენ. პაველუსმა ედიქტის კომენტარები 78 წიგნად დაწერა.

იურისკონსულტთა პრაქტიკული, პროფესიული საქმიანობის ამსახველი ჟანრი, *responsa*, კონსულტაციები, პასუხები იყო, რომელშიც უშუალოდ კლასიკური ეპოქის სამართლებრივი აზრის აყვავებაა ასახული.

Digesta – ესაა ცალკეულ გადაწყვეტილებათა კრებული და *responsa*-ს ჟანრის ყველაზე განზოგადებული სახე.

Epistulae[132] იურიდიული კონსულტაციის სახეობა იყო, რომელიც ახლობელი ადამიანის შეკითხვის პასუხად გაიცემოდა.

Quaestiones,[133] საკუთრივ *responsa*-საგან, განსახილველ საკითხთა ხელოვნურობით განსხვავდებოდა. ასეთ ვითარებას ცალკეული ინსტიტუტის ან პრინციპის დეტალურად შეწსავლის მიზნით, თავად იურისტი ან მისი მოწაფე წარმოიდგენდა.

---

[130] notae – შენიშვნები. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 52.

[131] Ad edictum – პრეტორული ედიქტის კომენტარები. იქვე, 54.

[132] Epistulae – წერილები. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 60.

[133] Quaestiones – შეკითხვები. იქვე.

IV. პოსტკლასიკური პერიოდი (IV-V სს.)

Dominatus – დომინატი; ტეტრარქია; coloni – კოლონატი, decuriones – დეკურიონები, pars imperii – იმპერიის ნაწილი; constitutio – იმპერატორის ბრძანება; praeceptores – პროფესორი.

ქრონოლოგიურად, პოსტკლასიკური პერიოდი კლასიკური ხანის დასასრულითა და იუსტინიანეს მმართველობის პერიოდის დასაწყისით განისაზღვრებოდა. ტრადიციულად, ამგვარი პერიოდიზაცია ამ ეპოქისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ასახავს. იგი იმ მკვეთრ განსხვავებას გულისხმობს, რომელიც რომის სამართლის კლასიკურ პერიოდსა და მის შემდგომ ეტაპზე (დაცემა-გადაგვარების დროს) არსებობდა. III საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული ნახევარსაუკუნოვანი ზოგადი კრიზისი, რომელმაც მთელი რომაული საზოგადოება მოიცვა, რომის სამართლის ისტორიაზეც აისახა. გვიანდელი რომის ეპოქაში, დიდი პოლიტიკური (დომინატის ჩამოყალიბება), კულტურული (ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება) და სამართლებრივი ძერები მოხდა, რამაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ევროპის სახე განსაზღვრა.

284 წელს ილირიულმა ლეგიონებმა ტახტზე იმპერატორი დიოკლეტიანე დასვეს, რომელიც არ დაკმაყოფილდა ერთპიროვნული ხელისუფლების დამკვიდრებით. მან მთელი იმპერიის მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია მოახდინა და დასავლეთ პროვინციების მმართველად ყველაზე ერთგული სარდალი – მაქსიმიანე დანიშნა. შემდგომში პროვინციების მმართველთა თანაშემწეებად კიდევ ორი პირი – გალერიუსი (რომელიც მის პირად მოადგილედ ითვლებოდა) და კონსტანციუს ქლორუსი (რომელიც მაქსიმიანეს თანაშემწე იყო) გამოცხადდა. დიოკლეტიანე და მაქსიმიანე ავგუსტუსებად იწოდებოდნენ. მათ მიერ შვილად აყვანილი თანაშემწეები კი – კეისრებად. დადგინდა, რომ ავგუსტუსის გარდაცვალების შემდეგ, ტახტის მემკვიდრედ მისი უშუალო თანაშემწე კეისარი ცხადდებოდა, რომელიც თავადაც ახალ კეისარს შვილად იყვანდა. *Lex de imperio* გაუქმდა, მონარქიამ რესპუბლიკური საფარველი საბოლოოდ ჩამოიშორა. ოთხთა მმართველობის აღნიშნულ სისტემას ტეტრარქია ეწოდა. ეს სისტემა იმპერიის დაყოფას არ გულისხმობდა (უზენაესი ხელისუფლება დიოკლეტიანემ შეინარჩუნა),

მაგრამ მან მმართველობის დეცენტრალიზაცია გამოიწვია.

ადმინისტრაციული რეფორმის განხორციელების შედეგად, შემცირებული მოცულობის პროვინციები, დიოცეზები, შეიქმნა. მათ სათავეში პრეტორიანელთა პრეფექტისადმი დაქვემდებარებული ვიკარიუსები იდგნენ. ჩამოყალიბდა ახალი ბიუროკრატიული ინსტიტუტები; ხოლო, კონსულატმა და პრეტურამ უწინდელი მნიშვნელობა დაკარგეს. დიოკლეტიანემ ახალი საგადასახადო სისტემა შემოიღო და იმპერიის მთელ ტერიტორიაზე გადამხდელთა ზედმიწევნით ზუსტი აღწერა ჩაატარა. მან ჩაუყარა საფუძველი პროფესიული კასტების შექმნას და დაადგინა, რომ სამხედრო მოსამსახურეთა ვაჟიშვილები მამის საქმეს უნდა გაჰყოლოდნენ. მემკვიდრეობითი მოიჯარეების – კოლონების[134] მიწაზე სამართლებრივი მიმაგრება მოხდა. ამის შედეგად იმპერატორ თეოდოსიუს I-ის მმართველობის დროს მოსახლეობის ეს კატეგორია, ფაქტობრივად, ყმა-გლეხებად იქცა. გარდა ამისა, მუნიციპალური საბჭოების – კურიების წევრობა მემკვიდრეობითი გახდა. კურიების წევრები, ანუ დეკურიონები,[135] მათ მიერ განკარგულ ოლქებში გადასახადების აკრეფაზე პასუხს საკუთარი ქონებით აგებდნენ. თუმცა, საფინანსო პოლიტიკა უშედეგოდ დასრულდა. ქრისტიანების დევნაც, რომელიც, გარკვეული პერიოდის სჯულშემწყნარებლობის შემდეგ, 303 წელს კვლავ განახლდა, წარუმატებელი აღმოჩნდა.

305 წ. დიოკლეტიანემ ტახტი დატოვა. მან მაქსიმიანეც – იმპერიის დასავლეთ ნაწილის მმართველი, აიძულა გადამდგარიყო. 306 წ., კეისარ კონსტანციუსის გარდაცვალების შემდეგ, ჯარისკაცებმა ავგუსტუსად მისი ვაჟი – კონსტანტინე გამოაცხადეს. 312 წელს, მაქსიმიანეს ვაჟიშვილ მაქსენციუსზე სამხედრო გამარჯვების მოპოვების შემდეგ, იმპერიის დასავლეთ ნაწილზეც კონსტანტინეს ძალაუფლება გავრცელდა. 313 წ. კონსტანტინემ მილანის (მედიოლანის) ედიქტი გამოსცა, რომლის თანახმად, ქრისტიანობა სხვა რელიგიებს გაუტოლდა, ქრისტიანულ ეკლესიებს ჩამორთმეული ქონებაც დაუბრუნდა. 324 წ., აღმოსავლეთის ავგუსტუს – მაქსენციუსზე გამარჯვების შემდეგ, კონსტანტინეს ქრისტიანულ-ფილური ხელისუფლება მთელი იმპერიის ტერიტორიაზე გავრცელდა.

[134] coloni – კოლონები. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 283.

[135] decuriones – დეკურიონები. იქვე, 67.

325 წ., იმპერატორის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით, ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა. ამ უკანასკნელმა სამების ერთმორწმუნეობის შესახებ მართლმადიდებლური დოგმატი განამტკიცა, ხოლო ერეტიკოსობას ბრძოლა გამოუცხადა. ამ ღონისძიებით ქრისტიანული ეკლესია იდეოლოგიურადაც იმპერატორის ხელისუფლებას დაემორჩილა. 380 წ. თეოდოსიუს დიდმა გამოსცა მილანის (მედიოლანის) ედიქტი, რომელიც, ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების დოგმატების საფუძველზე, მოქალაქეებისგან ქრისტიანობის მიღებას ითხოვდა. 391 წ. მან ყველა წარმართული ტაძარი დახურა და განდეგილთა დევნა დაიწყო.

კონსტანტინემ წარმატებული საფინანსო რეფორმა გაატარა. მან მოსახლეობის დაბეგვრის სისტემა გააუმჯობესა, სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლება ერთმანეთისგან გამიჯნა. პრეტორიანელთა პრეფექტისათვის ძალაუფლების ჩამორთმევით, მან არმია კიდევ უფრო გააძლიერა, დედაქალაქი ბიზანტიონში გადაიტანა, რომელსაც შემდგომში კონსტანტინოპოლი ეწოდა.

395 წ.-დან, იმპერატორ თეოდოსიუს დიდის გარდაცვალების შემდეგ, ორი დიოცეზის – დაკიისა და მაკედონიის გამო, იმპერიის ორ ნაწილს[136] შორის დავა სულ უფრო მკვეთრ ხასიათს იძენდა. ამით, თეოდოსიუსის მიერ მოწვეული, ალარიჰის ვესთგუთებმა ისარგებლეს. 410 წ. მათ რომი აიღეს და გაძარცვეს. 425 წ. ტახტზე იმპერატორი ვალენტინიანე III-ე ავიდა და დროებითმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ დაისადგურა. თუმცა, ამანაც ვერ იხსნა *pars Occidentis*-ი გენზერიჰის ვანდალებისა და ატილას ჰუნების (451-452 წწ.) შემოსევისგან. მათ აფრიკა, გალია და ჩრდილოეთ იტალია დაარბიეს და დაიპყრეს. 455 წ. ვანდალებმა კუნძული სარდინია დაიკავეს და რომზე ვერაგული თავდასხმა განახორციელეს. ბარბაროსებთან კავშირის დამყარების პრაქტიკამ და მათმა მოწვევამ რომაელთა სამსახურში, რომის დასავლეთი ნაწილის პოლიტიკური სიმტკიცე მკვეთრად შეასუსტა. ეს 476 წ. პოლიტიკური გადატრიალებით დასრულდა. ოდოაკრმა, ბარბაროსთა ბელადმა ტახტიდან ნორჩი უზურპატორი, რომულუს კონსტანტინუსი, ჩამოაგდო და კონსტანტინოპოლში იმპერატორ ზენონთან გაგზავნა.

[136] pars imperii – იმპერიის ორი ნაწილი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов Москва, Статут, 2005, 59.

ოდოაკრმა სანაცვლოდ იტალიის მმართველობა ითხოვა. 480 წ. იმპერატორ ზენონის მიერ კანონიერ მმართველად აღიარებული, იულიუს ნეპოტი, გარდაიცვალა. მალე დასავლეთ იმპერიისგან გადარჩენილი ნაწილი, იტალია, თეოდორიხის ოსთგუთების მეშვეობით გაათავისუფლეს. ოდოაკრი ჩაიკეტა რავენაში, სადაც 493 წ. იგი მოკლეს. ამ ხნის განმავლობაში, რომში კონსულთა არჩევნები კვლავ გრძელდებოდა. ადმინისტრაციულ ძალაუფლებას *praefectus urbi* ახორციელებდა. თეოდორიხმა უზენაესი მხედართმთავრის თანამდებობა მიიღო და *rex*-ის წოდება შეინარჩუნა.

V საუკუნის ბოლოს, გალიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი და ესპანეთი ვესთგუთების სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. სამხრეთ-აღმოსავლეთი გალია – ბურგუნდების სამეფოში, ხოლო გალია მდ. ლუარას ჩრდილოეთით – ხლოდვიგის ფრანკთა სამეფოს შემადგენლობაში მოექცა.

პოსტკლასიკური ეპოქის სამართალგანვითარება ბიუროკრატიზმის განმტკიცებას, სახელმწიფოს ფეოდალიზაციასა და პიროვნების დამოუკიდებლობის დაცემას ასახავდა. კონსტანტინეს დროიდან მოყოლებული, როცა პოზიტიური სამართლის ძირითადი ფორმა – იმპერატორის კონსტიტუცია[137] ედიქტად (ზოგადი მოქმედების ნორმები – *generalis*) იქცა, მკვეთრად გაუარესდა კანცელარიის მუშაობის ხარისხი. კანონების იურიდიული და ენობრივი ფორმა კლასიკური პერიოდის ნიმუშებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. სამართლის სამეცნიერო განვითარებისა და პრაქტიკოს-მოხელეთა მომზადების დონის დაცემის გამო, პოსტკლასიკური ეპოქა ვულგარიზმის სახელითაა ცნობილი. ამ ეპოქის იურისტები ინტელექტუალური დამოუკიდებლობით ვერ დაიკვეხნიდნენ: წინამორბედთა სამეცნიერო მემკვიდრეობის ავტორიტეტი ძალზე დიდი იყო. ამ ეპოქის სამართალმცოდნეები, მათი პერიოდის პოზიტიური სამართლის სტაბილიზაციისა და უნიფიკაციის მიზნით, ზოგადი დებულებებით ხელმძღვანელობდნენ: ან კლასიკური პერიოდის სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებს მოცულობითი შემცირება ხდებოდა, ან კომპილაციების გადამუშავება.

IV საუკუნის დასასრულიდან, იურიდიულ სკოლებში, სამართლის სფეროში ე.წ. კლასიკური ტენდენცია განვითარდა. ამ სკოლათა წარმომადგენლები კლასიკური პერიოდის ავტორიტეტ-

[137] constitutio – დადგენა, დაწესება.

ულ მეცნიერთა ნაშრომებს იყენებდნენ. თუმცა ამგვარი ტენდენციისათვის კლასიკური მემკვიდრეობისადმი ისტორიული მიდგომა უცხოა. პირიქით, იურიდიული სკოლის პროფესორები (*praeceptores*) ბერითში (ბეირუთი), კონსტანტინოპოლში, ალექსანდრიასა და რომში ცდილობდნენ დაედგინათ ისეთი კანონი, რომელიც სამართლის მეცნიერების უზენაეს გამოვლენად მიიჩნეოდა. პრაქტიკული მოსაზრება პროფესორებს აიძულებდა, სევერუსთა ეპოქის იურისტთა ნაშრომებსა და გაიუსის „ინსტიტუციებზე" გაემახვილებინათ ყურადღება.

წესისამებრ, იურისტს მხოლოდ კლასიკური მემკვიდრეობის შეთვისების შემდეგ შეეძლო იმპერატორის კონსტიტუციისათვის მიემართა. მომზადება ელემენტარული ნაშრომების (გაიუსის შრომები) შესწავლით იწყებოდა. სწავლების მეორე წელს მსმენელი (სავარაუდოდ, ულპიანეს კომენტარების საფუძველზე) – ედიქტს, ხოლო მესამე წელს პაპინიანეს ნაშრომებს სწავლობდა. პრაქტიკული საკითხების გაცნობა მხოლოდ სწავლების მეოთხე წელს იყო შესაძლებელი. აღნიშნულ ნაშრომთა შესწავლა დამოუკიდებლად ხდებოდა და ძირითადი სასწავლო მასალა პავლუსის ნაშრომები იყო. სწავლების მეხუთე წელს, ინდივიდუალური დამრიგებლების ხელმძღვანელობით, კონსტიტუციების შესწავლა იწყებოდა. პროფესორები კონსტი-ტუციებისა და მოქმედი სამართლის კომენტირებას თავს არიდებდნენ. მათთვის უფრო მნიშვნელოვანი სტუდენტებისთვის იმ კლასიკურ ნორმათა ახსნა-განმარტება გახლდათ, რომლებიც აღარ გამოიყენებოდა და თანამედროვეობასთან მხოლოდ ნაწილობრივ იყო ადაპტირებული.

პოსტკლასიკური პერიოდიდან ჩვენამდე ქრისტიან იმპერატორთა კონსტიტუციების კრებულის მნიშვნელოვანმა ფრაგმენტებმა (ალარიხის 506 წ. კოდექსის დიდი ნაწილი) მოაღწია, რომლებიც 429-438 წწ., იმპერატორ თეოდოსიუს II-ის ინიციატივით მომზადდა. ამ ეპოქის კერძო სამართლის ძირითადი წყარო თეოდოსიუსის კოდექსია.[138]

[138] Codex Theodosianus — თეოდოსიუს II-ის კოდექსი. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 57.

V. იუსტინიანეს პერიოდი (527-565 წწ.)

Corpus Iuris Civilis – სამოქალაქო სამართლის კრებული; Digesta seu Pandectae – დიგესტები ანუ პანდექტები; Codex – კოდექსი; Novellae constitutiones – ნოველები, კოდიფიკაცია, ინტერპოლაციები.

იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობის დროს იურიდიული კულტურისა და იურიდიული განათლების აღორძინება, სახელმწიფო მნიშვნელობის დონეზე, იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში შეინიშნებოდა. უპირატესობა იუსტინიანეს დროინდელ კლასიციზმს მიენიჭა. იმპერატორი და მისი კანცელარია ნორმატიული სტაბილურობის დამკვიდრებას ცდილობდნენ. მათ ამ მიზნით, იურიდიული სამეცნიერო ტრადიციის გათვალისწინებით, მრავალი კლასიკური ინსტიტუტი აღადგინეს, რომელთა საფუძველზეც ძველი კონტრავერზები და წინააღმდეგობები იქნა დაძლეული. მთელ რიგ გარიგებებში[139] ძველი რიტუალების გაუქმება იმაზე მიუთითებს, რომ ეს გარიგებები მოქმედ ინსტიტუტებად აღიქმებოდა და კანონმდებელი კლასიკურ მემკვიდრეობას ერთ მთლიან სისტემად განიხილავდა.

იუსტინიანეს სამართლებრივი პოლიტიკისა და მისი ინიციატივით განხორ-ციელებული სამართლის კოდიფიკაციის მეშვეობით, ევროპულმა კულტურამ კლასიკური პერიოდის რომაელი იურისტების ტექსტები და იმპერატორების კონსტიტუციები შეინარჩუნა. მოგვიანებით, კოდიფიკაციის ტექსტებს – *Corpus Iuris Civilis*[140] დასავლეთ ევროპაში სწავლობდნენ. ის ოფიციალურ სახელმძღვანელოს – *Institutiones* წარმოადგენდა. იგი 532 წელს გაიუსის, ფლორენტინუსის, მარციანუსის, ულპიანესა და სხვათა *Institutiones* საფუძველზე იქნა შედგენილი. 530-533 წლებში საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ კლასიკოსთა თხზულებების ანთოლოგია – *Digesta*[141] მოამზადა. 534 წელს იმპერატორთა კონსტიტუციების

[139] mancipatio, emancipatio, cretio. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 74.

[140] Corpus Iuris Civilis – სამოქალაქო სამართლის კრებული. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005. с.71-72; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 57-58.

[141] Digesta – კრებული. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право:

კრებული – *Codex* ძალაში შევიდა.

იუსტინიანეს ინსტიტუციებმა ჩვენამდე IX და X საუკუნეების ხელნაწერთა სახით მოაღწია. პრეტორული ედიქტის წესის მიხედვით, იუსტინიანეს კოდექსში ადრეანეს დროიდან მოყოლებული იუსტინიანეს მმართველობამდე (534 წ. ჩათვლით) არსებული იმპერატორების კონსტიტუციებია გაერთიანებული.

კონსტიტუციების ტექსტი, ხშირ შემთხვევაში, შემცირებული სახითაა მოცემული. ადრეული ეპოქის კონსტიტუციების ტექსტი გადამუშავებული და რედაქტირებულია. მოძველებული ან გაუქმებული ტერმინები და დებულებები ამოღებულია. ტექსტს შემდგენელთა მიერ ჩამატებული შენიშვნები – ინტერპოლაციები ერთვის.

კოდექსთან უშუალო კავშირშია კოდიფიკაციის შემდეგ იუსტინიანეს მიერ შექმნილი ახალი კონსტიტუციები – *Novellae Constitutiones*, რომელთთაგანაც ზოგიერთის მიზანი კერძო სამართლის ინსტიტუტების გარდაქმნაა. მაგალითად: ვალდებულების შესრულების პირადი გარანტია, ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა.

იუსტინიანეს კოდიფიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია *Digesta*. სწორედ ამ გამოცემამ შემოგვინახა კლასიკური იურიდიული ტექსტები, რის საფუძველზეც XI საუკუნიდან მოყოლებული, იტალიაში რომის სამართალი ევროპელ იურისტთა მუდმივი მეცნიერული შესწავლის ობიექტად იქცა. 530 წლის ბოლოს, იმპერატორმა იუსტინიანემ გამოსცა კონსტიტუცია – *Deo Auctore*, რომლის თანახმადაც, საგანგებო საკოდიფიკაციო კომისია შეიქმნა. მას სათავეში იმ დროის საუკეთესო იურისტი – ტრიბონიანე ჩაუდგა. კომისიის წევრები იყვნენ: ბერითიდან, პროფესორი დოროთეუსი[142] და კონსტანტინოპოლიდან, პროფესორები ანატოლიუსი,[143] თეოფილუსი[144] და კრატინუსი.[145] მათ თანაშემწეებად 11 იურისტი დაენიშნათ. სამი წლის განმავლობაში კომისიამ 1535 წიგნი წაიკითხა. მათი შესწავლა იურიდიულ თხზულებათა ტექსტებით ხდებო-

---

казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005,.72; Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 57-58.

[142] Dorotheus – პროფესორი დოროთეუსი. Памятники Римского права. Институции Юстиниана. Перевод Д. Расснера. Под ред. Л.Л.Кофанова, В.А.Томсинова. Москва, Зерцало, 1998, 5.

[143] Anatolius – პროფესორი ანატოლიუსი. იქვე.

[144] Theophilus – პროფესორი თეოფილუსი. იქვე.

[145] Cratinus – პროფესორი კრატინუსი. იქვე.

და, რომელთა საფუძველზეც 50 წიგნის ანთოლოგია შედგა. ეს უკანასკნელი 432 თემატურ თავად დაიყო.

დიგესტებში მოცემულია ამონარიდები 38 იურისტის 275 თხზულებიდან, რომელთაგანაც თითოეულ ამონარიდში თხზულებების ავტორთა სახელებია მითითებული.

VI. რომის სამართალი და მისი რეცეფცია ევროპაში

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ევროპა განსაკუთრებულ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ რეალობად ყალიბდებოდა. მთლიანობაში, ევროპა, რომაული, ქრისტიანული და გერმანული კულტურის ელემენტების ერთიანობით შექმნილი ფენომენია. ცნების თვალსაზრისით, ეს შუა საუკუნეებში ჩასახული ისტორიისა და კულტურულ-პოლიტიკურ იდეათა ერთიანი ქმნილებაა. 800 წ., რომის პაპმა – ლეონ III-მ, ფრანკთა მეფე შარლ დიდი შობის დღესასწაულზე იმპერატორად აკურთხა. ერთგვარად, პოლიტიკური და იურიდიული თვალსაზრისით, ეს ფაქტი ევროპის იმპერიული იდეების რეალიზებას ნიშნავდა.

იმპერატორის (მონარქის) ხელისუფლება[146] და რომის პაპის საღვთო ძალაუფლება,[147] შუა საუკუნეების ახალი პოლიტიკური წყობის მკვიდრი საყრდენი ძალა იყო. დასავლეთ იმპერიის აღდგენის შემდეგ, მსოფლიოში სამი ცივილიზაცია თანაარსებობდა: დასავლურ-ქრისტიანული, ბიზანტიური და ისლამური. ბერძნულ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად, ერთ-ერთი ფაქტორი რომის სამართალი იყო, რომელიც ევროპის კულტურის ერთიან იდეას ქმნიდა. ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში რომანისტული ტრადიციის აღდგენა იმპერატორ იუსტინიანეს *Corpus luris Civilis*-ს უკავშირდებოდა. XII საუკუნიდან, კოდექსის გავრცელებით, რომის სამართალი მეორედ დაიბადა. ევროპის დასავლეთში რომის სამართლის შენარჩუნება ვესთ-

[146] regalis potestas – იმპერატორის (მონარქის) ხელისუფლება. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 120.

[147] sacrata auctoritas – რომის პაპის საღვთო ძალაუფლება. იქვე.

გუთების სამართალმა[148] ანუ ალარიხის კოდექსმა[149] (506 წ.) და ვესთგოთურმა კანონმდებლობამ განაპირობა. XII საუკუნეში, ევროპაში რომის სამართლის რეცეფცია — რომის კერძო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების დამკვიდრება-ადაპტაცია შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში, ადგილობრივი სამართლებრივი ტენდენციების გათავალისწინება-შერწყმით – მნიშვნელოვანწილად ბოლონიელ გლოსატორთა საქმიანობამ და მათ მიერ სამართლის, როგორც იმპერიული სამართლის, გაიდეალებამ განაპირობა. მათი აზრით, საღვთო რომის იმპერია რომის უშუალო მემკვიდრე და უფლებამონაცვლე იყო. ევროპისათვის რომის სამართლის გაცნობისა და რეგიონში გავრცელების მიზნით, კანონისტებმა (კანონიკური სამართლის ავტორებმა) გარკვეული საქმიანობა განახორციელეს, კომენტატორებმა კი ზოგადევროპული სამართალი შეიმუშავეს.

§1. გლოსატორთა საქმიანობა

გლოსატორები თავისუფალი ხელოვნების სკოლის მასწავლებლები იყვნენ, სადაც გრამატიკასა და რიტორიკასთან ერთად, იურისპრუდენციასაც ასწავლიდნენ. ამ სახელდებას დასაბამი ტერმინიდან „გლოსა" მიეცა, რაც იუსტინიანეს *Corpus Iuris Civilis* ტექსტთა ველებზე გაკეთებულ შენიშვნებსა და ახსნა-განმარტებებს ნიშნავდა.

იურიდიული ცოდნის შესწავლას საფუძველი „ხელოვნების მაგისტრმა"[150] ირნერიუსმა (დაახ. 1055-1130 წწ.) ჩაუყარა. დიგესტების აღმოჩენის შემდეგ, მან სამართლის შესწავლა ცოდნის დამოუკიდებელ სფეროდ აქცია. ამასთან, სქოლასტიკური ლოგიკისა და გრამატიკის წესების გამოყენებით მას სამეცნიერო ხასიათიც შესძინა. უბრალო ხელოვნების სკოლაში ცნობილ კერძო სასწავლებელს – ბოლონიის უნივერსიტეტს მიეცა დასაბამი. აქ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები იურიდიულ განათლე-

[148] Lex Romana Wisigothorum – ვესთგუთების სამართალი. იქვე.

[149] Breviarum Alaricanum – ალარიხის კოდექსი. იქვე.

[150] magister artium – ხელოვნების მაგისტრი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов. Москва, Статут, 2005, 121.

ბას იღებდნენ. ბოლონიის უნივერსიტეტში რომაული კულტურის იდეა და რომის სამართლის იმპერიული კონცეფცია აღორძინდა. დასავლეთის იმპერიას, რომის იმპერიის უშუალო მემკვიდრესა და უფლებამონაცვლეს უნდა ეხელმძღვანელა იდეით: სამართალი ერთია, რადგან ერთია იმპერია.[151]

ირნერიუსის მემკვიდრეებად ოთხი პროფესორია მიჩნეული: ბულგარუსი, მარტინუსი, ჰუგო და იაკობი. *Glossa Magna/Ordinaria* ანუ „დიდი (ჩვეულებრივი) გლოსა" კი აკურსიუსმა შეადგენა.

როგორც ძველ რომში, ისე შუა საუკუნეებში იურისტი რიგითი მოქალაქე, კერძო პირი, იყო. თუმცა ამ ორი პერიოდის იურისტები ერთმანეთისგან სოციალური წარმომავლობითა და მათ მიერ გამოყენებული მეთოდებით განსხვავდებოდნენ. მცოდნე რომაელი იურისტი რომაელ მოქალაქეებს რჩევებს აძლევდა. იგი პრეტორებსა და სხვა მაგისტრატებს კონსულტაციას უწევდა და ასე ქმნიდა სამართალს. ამის შემდეგ, მას პრინცეფსის სამსახურში იწვევდნენ, რითაც იგი ოფიციალური პირი ხდებოდა. გლოსატორი მასწავლებელი იყო, რომელიც განვითარებული იურიდიული სისტემის არარსებობისა და ადგილობრივი სტატუსების უსისტემო გამოყენების გამო, უნივერსალური სამართლის შემდგომ განვითარებას, დიგესტებში მოცემული იურისპრუდენციის პრინციპების საფუძველზე ეწეოდა. გლოსატორთა აზრით, იურიდიული ცოდნის საწყისად, უშეცდომო წიგნად და ყოველივე ჭეშმარიტის წყაროდ ირნერიუსისა და გლოსატორების ტექსტი მიიჩნეოდა, რომელიც სრულყოფილებით გამოირჩეოდა და წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს არ შეიცავდა. ამ ვითარებამ იურისპრუდენციაში ფილოლოგიური და ლოგიკურ-დიალექტიკური მეთოდების გამოყენება განაპირობა, რითაც მანამდე მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეები და თეოლოგები სარგებლობდნენ.

აქედან გამომდინარე, შუა საუკუნეების იურისტები მხოლოდ ტექსტის განმმარტებლები როდი იყვნენ. ისინი აკეთებდნენ რომაელი იურისტების პასუხთა კომენტარს; თემატურად მწყობრი თხზულების სახით, სისტემური ხასიათის ნაშრომებს ქმნიდნენ. მაგალითად, ე.წ. *Summae*, რომელშიც თავმოყრილ პრობლემათა[152]

---

[151] unum esse ius, cum unum sit imperium – სამართალი ერთია, რადგან ერთია იმპერია. იქვე.

[152] quaestiones – საკითხები. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное

დადებითი და უარყოფითი პასუხები: „თანახმა ვარ“ და „წინააღმდეგი ვარ“ განიხილებოდა.

ამრიგად, კლასიკოსების დროის *ars*-იდან,[153] სამართალი იქცა *scientia*-ად,[154] რომლის განვითარება-სრულყოფა უნივერსიტეტებში ხდებოდა. ამდენად იგი, ახალი შეხედულებებისა და მიდგომებისთვის ხელმისაწვდომი იყო.

§2. კანონისტები

რომაული კანონის[155] წინაშე „ღვთის კანონის“[156] უპირატესობა, თანასწორობისა[157] და ქრისტიანული სამართლიანობის[158] პრინციპები, ახალ სამართალზე სწორედ კანონისტების მეშვეობით, გადამწყვეტ გავლენას ახდენდნენ. მეორე მხრივ, ანტიკური სამყაროს კულტურული ტრადიციების დამცველი და გამავრცელებელი სწორედ ეკლესია გახლდათ. თავისუფალი ხელოვნებისა და სამართლის ორივე დარგის (სამოქალაქო და კანონიკური) შესწავლისა და სწავლების ცენტრები ეკლესია-მონასტრებსა და სამეფო საყდრებში განთავსდა. კანონისტების მიერ შექმნილი კანონები საერო იურისდიქციასაც ეხებოდა. მათ მიერ შემუშავებული ახალი დოქტრინები და გადაწყვეტილებები, მართალია, რომაული სამართლისაგან განსხვავდებოდა, მაგრამ ახალ სამართალზე მაინც დიდ გავლენას ახდენდა. კერძოდ, ის მოქმედებდა სტიპულაციების, ხელშეკრულებებისა და არაფორმალური შეთანხმებების (პაქტები), ჩუქების, დაპირების, მფლობელობისა და მემკვიდრეობის, სასამართლო განხილვისა და გამოძიების მიმართ

право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов. Москва, Статут, 2005, 122.

[153] ars – ხელოვნება. იქვე.

[154] scientia – მეცნიერება. იქვე.

[155] lex Romana – რომაული კანონი. იქვე.

[156] lex Dei – ღვთის კანონი. იქვე.

[157] honestas – თანასწორობა. იქვე.

[158] acquitas cristiana – ქრისტიანული სამართლიანობა. იქვე.

§3. „VII მუხლი“

შუა საუკუნეებში, რომის სამართლის რეცეფციის თვალსაზრით, დიდი მნიშვნელობა ალფონს X-ე ბრძენის დროს შედგენილ კოდექსს ენიჭებოდა, რომლის შემუშავება მამამისის – ფერდინანდ III-ის დროს დაიწყო და 1263 ან 1265 წელს დასრულდა. კოდექსის რედაქციაზე დიდი გავლენა გლოსატორებმა – აკურსიუსმა, აგაიმ, განსაკუთრებით – იაკობმა (რომლის გავლენა ზედმიწევნით აისახა მე-3 მუხლზე), დეკრეტალისტებმა და კანონისტებმა, კასტილიის იურიდიულმა დოკუმენტებმა მოახდინეს. კოდექსი ცნობილია „კანონთა წიგნის“ ან „კანონთა კრებულის“ სახელწოდებით. სახელდება მისი შემადგენელი წიგნებისა თუ მუხლების რაოდენობამ განსაზღვრა. მე-7 მუხლი განსაკუთრებით ღირებულია. 1-ელ მუხლში სამართლის წყაროებსა და საეკლესიო საკითხებზეა საუბარი, მე-2 მუხლში – საჯარო სამართალზე, მე-3 მუხლში – სასამართლო ორგანიზაციასა და სამართალწარმოებაზე, მე-4 და მე-6 მუხლებში სამოქალაქო სამართლის ნორმებია ჩამოყალიბებული, ხოლო მე-7 მუხლში – სისხლის სამართალი. აღნიშნულმა კოდექსმა კასტილიური და ესპანურ-ამერიკული სამართლის რომანიზაციაზე დიდი გავლენა მოახდინა. ევროპაში რომის სამართლის რეცეფციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ სწორედ ეს კრებული უნდა განიხილებოდეს, რადგან ევროპელ და ამერიკელ იურისტთა სამართლებრივი შეხედულებები სწორედ მის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

VII. საერთო სამართალი და მოქმედი რომაული სამართალი

კომენტატორები[159] ევროპული საერთო სამართლის ფუძემდებლებად მიიჩნევიან, რომელთა ახსნა-განმარტებითმა კრებულებმა შუა საუკუნეების პერიოდის სამართალი განავითარა და თანამედროვე სამართალს საფუძველი ჩაუყარა. ისინი პრაქტიკული

[159] consiliatores – კომენტატორები. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 124.

მიზნების მქონე ახალი იურისპრუდენციის ჩამოყალიბებისას, გლოსატორების მსგავსად, რომის სამართლის ძირითადი პრინციპების თანამედროვე სამართლისთვის მორგებას ცდილობდნენ. ასეთ ტრადიციას იტალიური მეთოდი[160] ეწოდა. იგი მიზნად სარგებლის მოტანას და მისი პრაქტიკული დანიშნულების განხორციელებას ისახავდა, რითაც ფრანგი იურისტების მიერ შემუშავებული გალური[161] მეთოდების კულტურული ანუ ჰუმანისტური ტენდენციებისგან განსხვავდებოდა.

§1. კომენტატორები — ცონსილიატორეს

ევროპული იურისპრუდენციის რეალური ფუძემდებლები კომენტატორები ანუ პრაქტიკოსები არიან. მათ იუსტინიანეს სამართალი საერთოევროპულ სამართლად აქციეს. კომენტატორთა შორის გამოირჩეოდა ბოლონიასა და პერუჯაში მოღვაწე პროფესორი – ბარტოლო. მასზე, გადმოცემის თანახმად, ამბობდნენ: „არავინაა იურისტი, თუ არა ბარტოლოს მიმდევარი".[162]

კომენტატორებმა სისტემური იურიდიული დოქტრინა შექმნეს. მათ გლოსატორთა მეთოდოლოგია, სქოლასტიკური დიალექტიკისა და ლოგიკის მეშვეობით, იურისტის პროფესიულ იარაღად აქციეს. იურიდიული სისტემის შემუშავებისას, მათ კანონიკურ და რომაულ სამართალს, ასევე საერთო სამართალსა და ადგილობრივ (რეგიონალურ) სამართალშემოქმედებას შორის არსებული წინააღმდეგობები წარმატებით დაძლიეს. მათი შეხედულების თანახმად, საერო საქმეებისთვის საერთო სამართალი[163] გამოიყენებოდა; კანონიკური სამართალი მხოლოდ სასულიერო საქმეების მოგვარებისას მოქმედებდა. მოქმედი სპეციალური სამართლის ნორმები, ადგილობრივი კანონმდებლობის სახით, საერთო სამართალს ექვემდებარებოდა და იურიდიული ძალა მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გააჩნდათ.

---

[160] mos italicus – იტალიური მეთოდი. იქვე, 125.

[161] mos gallicus – გალური მეთოდი იქვე.

[162] „nemo iurista nisi Bartolista". Мануэль Хесус Гарсия-Гарридо. Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов. Москва. Статут, 2005, 124.

[163] ius commune – საერო საქმეებისთვის განკუთვნილი საერთო სამართალი. იქვე, 124.

§2. ჰუმანისტები

XVI საუკუნეში საერო აზროვნება, თავისი ახალი ფორმით, აღორძინების ხანის დედააზრით – ჰუმანიზმით გამოვლინდა. ჰუმანიზმის მსოფლგაგების ცენტრში ადამიანი დგას, როგორც თავისუფალი პიროვნება. ევროპის ქვეყნებში, თითოეული სახელმწიფოსათვის ნიშანდობლივი ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური პირობების მიუხედავად, აღორძინება და ჰუმანისტური მოძრაობა, ძირითადად, ერთი ხაზით მიმდინარეობდა. ეს იყო ბრძოლა შუა საუკუნეების მსოფლმხედველობისა და კათოლიკური ეკლესიის, როგორც უძლიერესი ფეოდალის, იდეოლოგიის წინააღმდეგ.

აღორძინების ეპოქა ანტიკური კულტურის, სამართლის, ფილოსოფიისა და ლიტერატურისადმი დიდი ინტერესით ხასიათდება. კომენტატორებისათვის ნიშანდობლივი პრაქტიკული ტენდენციებისგან განსხვავებით, საფრანგეთში ჰუმანისტების კულტურული მიმდინარეობა, ისტორიას საერო მეთოდებით სწავლობდა და ძირითადი ისტორიული მოვლენების რელიგიურ-უტილიტარულ შეხედულებებისაგან გათავისუფლებას ცდილობდა. ჰუმანისტები დიდად აფასებდნენ კლასიკურ იურისპრუდენციას. ისინი სამართლის წყაროების გათავისუფლებას ყველა იმ მოდიფიკაციისგან ცდილობდნენ, რომელსაც იუსტინიანესეული კანონმდებლობის კომპილატორები და შუა საუკუნეების პერიოდის გლოსატორები უხვად იყენებდნენ. ამ მიზნით საკუთარ კვლევებში მათ არა მარტო იუსტინიანეს კოდექსის წინამორბედი სამართლის წყაროები, არამედ სალიტერატურო ტრადიციაც გამოიყენეს. მართალია, ჰუმანისტებმა „სამართლის ისტორია“ ვერ შექმნეს, მაგრამ მათ მიერ გამოკვლეულმა ანტიკური პერიოდის სამართლის წყაროებმა რომის სამართლის შესწავლას მეცნიერული ხასიათი შესძინა. მათ შეიმუშავეს ე.წ. პროფესორთა სამართალი, რომელიც, იურისტთა დიდი მასიდან ცალკე მდგომი, მცირერიცხოვანი მეცნიერ-იურისტთა ჯგუფის პრეროგატივად იქცა.

§3. ბუნებითი სამართლის თეორია

XVII-XVIII საუკუნეებში, განმანათლებლობის ეპოქაში მოქმედი

ბუნებითი სამართლის სკოლა, ადამიანის ბუნებისა და გონების შესაბამისი და ყველა ხალხისათვის საერთო, უნივერსალური სამართლის სულისკვეთებაზე დაფუძნებულ, სოციალურ ეთიკას აღიარებდა. ადამიანის საქმიანობათა სფეროში ბეკონის, დეკარტის, ნიუტონის საბუნებისმეტყველო აღმოჩენების პრაქტიკულმა გამოყენებამ ბუნებითი კანონები საზოგადოებრივ ცხოვრებაზეც გაავრცო. თეოლოგიისა და შუა საუკუნეების ისტორიული მრწამსის პოსტულატების უარყოფის შემდეგ, მათ ახალი, ზოგადი ცნებებისა და პრინციპების სამართლის სისტემის შემუშავება დაიწყეს. რეფორმაციისა და კონტრრეფორმაციის იდეებით, ასევე საფრანგეთის რევოლუციის შედეგებით შთაგონებული ბუნებითი სამართლის თეორიის იდეოლოგები, უზენაეს ღირებულებად ადამიანთა შორის თანასწორობასა და სამართლიანობას მიიჩნევდნენ. ამ სკოლის იურისტთა ყველაზე დიდ წარმომადგენლებად აღიარებულნი არიან ჰუგო გროციუსი (საერთაშორისო სამართლისა და გონის სამართლის მეთოდოლოგიის ფუძემდებელი), სამუელ პუფენდორფი, ქრისტიან თომაზიუსი და ქრისტიან ვოლფი. ენციკლოპედისტები იურისტებისთვის ჩვეულ, კაზუისტიკის მეთოდს აკრიტიკებდნენ, რომელიც ანალოგიით მსჯელობისას და პრეცედენტის საფუძველზე გამოიყენებოდა. ამგვარი მეთოდი, მათი აზრით, სამართლებრივი გაუგებრობებისა და გაურკვევლობის წყარო იყო, მოქალაქეთა შორის კი უიმედობას აღვივებდა.

ბუნებითი სამართლის სკოლა რომის სამართალს *ratio scripta*-დ[164] განიხილავდა. იურისტები კვლავ რომანისტიკის ცნებებით ხელმძღვანელობდნენ, ხოლო სამართლამცოდნეთა ნაშრომებს უსისტემობის გამო აკრიტიკებდნენ. რომაული სამართლებრივი დოქტრინისადმი ამგვარი დამოკიდებულებით, განსაკუთრებით ფრანგი მეცნიერები დომა და პოტიე გამოირჩეოდნენ, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ნაპოლეონის 1804 წლის კოდიფიკაციაზე.

§4. სამართლის ისტორიული სკოლა (გერმანული)

XIX საუკუნის დასაწყისში სამართლის ახალი მეცნიერებისა და „მოქმედი" რომის სამართლის მიმართ, ახლებური დამოკიდებულე-

[164] დანერილი გონი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 127.

ბა კვლავ ნათლად გამოიკვეთა. მხედველობაში გვაქვს გერმანიის სამართლის ისტორიული სკოლა და ამ სკოლის დამაარსებლის, ფონ სავინის, მოღვაწეობა. სავინის ნაშრომით – „რომის სამართლის მოქმედი სისტემა“, რომის სამართალი ევროპული კულტურის საფუძვლად და მის განუყოფელ ნაწილადაა აღიარებული. იგი სამართალს ორი განსხვავებული – ისტორიული და სისტემური – კუთხით განიხილავდა. პირველ შემთხვევაში, სამართალი ხალხის სულისკვეთების ბუნებრივ და სპონტანურ გამოვლინებად, ხელოვნების, ენისა და ფოლკლორის მსგავს, ავთენტურ ფენომენად აღიქმება. თუმცა ხალხის ნება და მისი სულისკვეთება არა თავად ხალხის, არამედ განათლებული იურისტების, მეცნიერებისა და მოსამართლეების მიერაა გამოხატული. საკუთარი ერის ისტორიის შესწავლა იურისტის მოვალეობაა, რათა იურიდიული მემკვიდრეობა სათანადოდ განსაზღვროს და ამით ეროვნული სულისკვეთების განახლება-შენარჩუნებას შეუწყოს ხელი.

სისტემის თვალსაზრისით, სამართალი მეცნიერული რაციონალიზმისადმი დაქვემდებარებული ცნებებისა და პრინციპების ერთობლიობაა. ინდუქციისა და დედუქციის მეთოდების გამოყენება, კი იურიდიული დოგმატიკის სისტემურობის გარანტი.

სამართლის სფეროში კანტის მიერ შემუშავებული ახალი სამეცნიერო კონცეფციის გამოყენებამ და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ცენტრად ქცევის იდეამ, პროფესორთა სამართლის (იურისტების სამართლისაგან განსხვავებით) შექმნა განაპირობა. საკითხი ეხება 1810 წ. გახსნილ ბერლინის უნივერსიტეტს, სადაც პროფ. ჰუმბოლდტმა, სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად, სავინიც მიიწვია. გლოსატორთა შემოქმედების გათვალისწინებით, სავინიმ უპირატესობა ჰუმანისტებს მიანიჭა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ კომენტატორები და მათი მიმდევრები, ***usus modernus*** მეთოდით, ჭეშმარიტი სამართლის კეთილშობილურ პრინციპებს არღვევდნენ. სავინის იმის გამოც აკრიტიკებდნენ, რომ, რეალურად მის მიერ შექმნილი რომის სამართლის მოქმედი სისტემა სხვადასხვა ეპოქის ელემენტებისაგან შედგებოდა და ფაქტობრივად, არც ერთ ეპოქაში მოქმედებდა. არქაულ და კლასიკურ სამართალს მოქმედი სამართლის სტატუსი ხელოვნურად მიენიჭა, რამაც იგი ზოგადი თეორიის დოგმად აქცია.

§5. XIX საუკუნის პანდექტისტები

პანდექტური სამართლის[165] ფუძემდებლებმა ინტერპრეტაციის მეშვეობით მეცნიერება და იურიდიული დოგმატიკა – *Corpus iuris* შეიმუშავეს. ეს იყო ე.წ. „ცნებების იურისპრუდენცია", ანუ პანდექტისტიკა (სახელწოდება პანდექტების სისტემური შესწავლიდან მომდინარეობს). პანდექტისტიკას საფუძველი ჩაუყარეს: რ. პუხტამ და ისეთმა ცნობილმა რომანისტებმა, როგორებიც იყვნენ ვაგნეროვი, დერნბურგი და ვინდშაიდი. პანდექტისტები იურიდიული მეცნიერების პოზიტივისტურ მიმდინარეობას მფარველობდნენ. მათი აზრით, სამართლებრივი წესრიგი იურიდიული პრინციპებისა და ნორმების სრული და ჩაკეტილი სისტემაა. ამის გამო მათ კაზუსების არსებობა, ცნებებისა და დოგმების სისტემაში მიუღებლად მიაჩნდათ, რადგან მათი გადაწყვეტის ხერხებს იურისტები (მის ხელთ არსებული საშუალებებით), სამართლის ნორმით გაუთვალისწინებელ შემთხვევაშიც (ფორმალურ-ლოგიკური პროცედურების გამოყენების გარეშე) ადვილად ავსებდნენ და იძიებდნენ.

VIII. რომაული იურისპრუდენცია და მოქმედი იურიდიული სისტემები

სამოქალაქო კოდექსების შექმნისა და ძალაში შესვლის შემდეგ რომის სამართლის აქტუალიზაციის პრაქტიკული ტენდენცია, ანუ იტალიური მეთოდი განხორციელებულად მიიჩნიეს. თუმცა იმის მტკიცება, რომ იურისტებს რომის სამართლის მიმართ ინტერესი გაუნელდათ – უსაფუძვლოა. რომის სამართლის სიცოცხლისუნარიანობას დღემდე არსებული მრავალი ისტორიული და დოგმატური მიზეზი ცხადყოფს. რომის სამართლის ცნებები და პრინციპები სამოქალაქო კოდექსებში დღემდე შენარჩუნებულია. ეროვნული სამართლებრივი სისტემების შეფასების მყარ საფუძვლად და ამოსავალ წერტილად მათი საერთო რომანისტიკული წყაროები უნდა გამოვიყენოთ, ისევე, როგორც ეს ახალი საერთოევროპუ-

[165] usus modernum pandectarum – პანდექტების თანამედროვე გამოყენება. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо. Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 129.

ლი სამართლის შექმნისას ხდება. თანამედროვე სამართლისაგან განსხვავებით, სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე შექმნილი რომაული იურისპრუდენცია, კონსულტაციების ფორმით განხორციელებულ თავისუფალ საქმიანობას წარმოადგენდა. საერთო სამართლის განმმარტებელთა და კომენტატორთა ნაშრომებზეც იგივე ითქმის. სამართალმცოდნეობის შემოქმედებითი თუ საინტერპრეტაციო ბუნების მიხედვით, თანამედროვე იურიდიულ სისტემათა დახურულ და ღია ფორმებს განასხვავებენ. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს შემდეგი: რა პრინციპითაა შექმნილი სამართალი, ცოცხალი (პრეცედენტული) თუ წერილობითი ფორმით (ერთ კრებულში სისტემურად ჩამოყალიბებულ ნორმათა წესით). ანგლო-საქსონური პრეცედენტული სამართლის სისტემა სამართლის ღია ტიპის ნიმუშია, ხოლო სამოქალაქო კოდექსებში ასახული სამართალი დახურულ მოდელს განეკუთვნება. აღნიშნული სხვაობა ამ ორი სისტემის ერთმანეთისაგან მკვეთრად გასამიჯნად არ გამოდგება, ვინაიდან დღესდღეობით საკანონმდებლო სამართალი ორივე სისტემას იყენებს. გარდა ამისა, ეს ორი სისტემა წარსულის მკაცრად ისტორიულ კრიტერიუმებს ყოველთვის ვერ დაეყრდნობა.

რომაული იურისპრუდენცია სამართლის შემოქმედებით განვითარებას გამუდმებით უწყობდა ხელს და სხვადასხვა იურიდიულ სისტემაზე ახდენდა გავლენას. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსებისა და ანგლო-საქსონური „საერთო სამართლის" მიმართება რომის სამართალთან, მიზანშეწონილია, ცალ-ცალკე განვიხილოთ.

§1. სამოქალაქო კოდექსები

ბუნებითი სამართლის თეორიის მიმდევართა დოქტრინა და მათი პოსტულატები, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის შესახებ სამოქალაქო კოდექსების შექმნასა და გამოცემას უწყობდა ხელს. 1804 წელს ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსის შექმნით საკოდიფიკაციო საქმიანობამ საფრანგეთში უმაღლეს დონეს მიაღწია (თუმცა მსგავსი სამოქალაქო კოდექსები მანამდე ბავარიასა და პრუსიაშიც არსებობდა). საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა უარი განაცხადეს ოთხ, მათი აზრით, ძალზე კაზუისტურად, ან პირიქით, აბსტრაქ-

ტულად შედგენილ პროექტზე. ორ უკიდურესობას შორის მიღწეული კომპრომისის შედეგად, ფრანგული სამოქალაქო კოდექსი საკანონმდებლო ტექნიკის ნიმუშადაა მიჩნეული, რომელიც მოგვიანებით სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსთა მისაბაძ მაგალითად იქცა. ფრანგულმა კოდექსმა არამხოლოდ ევროპის, არამედ ამერიკის კოდიფიკაციებზეც მოახდინა ზეგავლენა. ნაპოლეონის კოდექსი მთლიანად რომის სამართლის პრინციპებს ეფუძნებოდა, რამაც მისი წარმატება განაპირობა. XIX საუკუნის დიდმა ფრანგმა იურისტებმა – ობრიმ და რომ იურისპრუდენციისა და დოქტრინის ურთიერთზემოქმედების დადგენით, ახალი კანონმდებლობა ძალზე გონივრულად და გაბედულად განმარტეს.

1900 წლამდე გერმანიის სამოქალაქო სჯულდება ძალაში ვერ შედიოდა ისტორიული სკოლის წინააღმდეგობის გამო. გერმანული სამოქალაქო სჯულდება პანდექტისტიკის ყველაზე სრულყოფილი და დამახასიათებელი ქმნილებაა, რომელიც სამართლის ისტორიული სკოლის საქმიანობის მიწურულს შეიქმნა და რომის სამართლის დასასრულზე მიუთითებს. კოდექსის ზოგადმა ნაწილმა და იურიდიული გარიგების დოქტრინამ თანამედროვე ცივილისტიკაზე მნიშველოვანი ზეგავლენა მოახდინა.

§2. ინგლისური სამართალი. საერთო სამართალი და სამართლიანობის სამართალი[166]

სამართლის ამ სისტემისათვის ნიშანდობლივია განსაკუთრებული და სპეციფიკური თავისებურებები, რითაც იგი კონტინენტური სამართლებრივი სისტემების რომანისტული ტრადიციებისგან არსებითად განსხვავდება. აღნიშნული სისტემით ერთმანეთისაგან საკანონმდებლო სამართალსა[167] და პრეცედენტულ სამართალს[168] განასხვავებენ.

[166] common law and equity – საერთო სამართალი და სამართლიანობის სამართალი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 133.

[167] Statute law – საკანონმდებლო სამართალი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 134.

[168] Common law – პრეცედენტული სამართალი. იქვე.

XI საუკუნეში ნორმანთა შემოსევის შემდეგ, როცა ინგლისის დამპყრობელმა – უილიამმა ქვეყანაში ბატონყმური სისტემა და ცენტრალიზებული ადმინისტრაცია შემოიღო, დასაბამი მიეცა საერთო სამართლის (*Common law*) ისტორიას. სამართლებრივი რეფორმების განსახორციელებლად, არსებული სამართლისა და მართლმსაჯულების დაცვის უფლებამოსილებანი მეფემ საკუთარ თავზე აიღო. სასამართლო ხელისუფლების ცენტრს სამეფო კარის სასამართლო[169] წარმოადგენდა, სადაც ადგილობრივ სასამართლოებში განხილული საქმეების გადასინჯვა ხდებოდა. მეფის სასამართლო ხელისუფლება შერიფის მიერ ხორციელდებოდა. ე.ი. იმ მოხელის მეშვეობით, რომელიც სასამართლო-ადმინისტრაციული ფუნქციებითა და გამსვლელი სასამართლო სხდომების[170] წარმართვის უფლებით იყო აღჭურვილი. სამართალწარმოება სასამართლო ბრძანებების[171] სისტემით ხელმძღვანელობდა. ბრძანება, ტიპური და მკაცრად განსაზღვრული ფორმულების გამოყენებით, პერგამენტზე ლაკონურად შედგენილი განსაკუთრებული წერილობითი საბუთი იყო, რომელიც სამეფო კანცელარიაში მიიღებოდა. ფორმულათა შესადგენად განსაზღვრული კრებულებით ხელმძღვანელობდნენ და ამისთვის გასამრჯელოს იღებდნენ. მეფე სასამართლო ბრძანებებისა და მათ საფუძველზე გაცემული სარჩელების მეშვეობით კერძო სამართლის სფეროში კანონებს ადგენდა (იმდენი სარჩელი იყო, რამდენიც ბრძანებათა ფორმულა). სწორედ ამიტომ, ინგლისური საერთო სამართალი იმთავითვე პოზიტიური იყო და ყოველთვის დაუწერელ, ჩვეულებით სამართლად მიიჩნეოდა. ხოლო რომის სამართალი, რომელიც უნივერსიტეტებში ისწავლებოდა, წიგნიერ და იდეალურ სამართლად განიხილებოდა.

სამართლიანობის სამართლის[172] ცნებაში სასამართლო სისტემა იგულისხმებოდა, რომელიც საერთო სამართალს (*Common law*) უპირისპირდება და ლორდ-კანცლერის სასამართლოში[173] მოქმედებ-

---

[169] Curia regis – სასამართლო ხელისუფლების ცენტრი – სამეფო კარის სასამართლო. იქვე.

[170] Justice in Eyre – სასამართლო სხდომები. იქვე.

[171] writs ან brevia – სამართალწარმოების სასამართლო ბრძანებები. იქვე.

[172] Equity – სამართლიანობის სამართალი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 135.

[173] Court of Chansery – ლორდ-კანცლერის სასამართლო. იქვე.

და. მართლმსაჯულების განხორციელების თხოვნით, ქვეშევრდომები პეტიციით უშუალოდ მეფეს მიმართავდნენ. მეფე გზავნიდა მოთხოვნას სამეფო საბჭოსა[174] და კანცლერთან, რომელიც სამეფო სინდისის მცველად[175] ითვლებოდა. სამართლიანობის ცნებაზე დაფუძნებული სასულიერო პირის – კანცლერის იურისდიქციის მიზანი მოპასუხის სინდისის განწმენდა იყო.

სამართლიანობის სამართლის მიზანი მართლმსაჯულების არსებითი და არა ფორმალური განხორციელება იყო. ამიტომ, სამოქმედოდ ორ ხერხს იყენებდნენ. ერთი – ეს იყო, რეალური აღსრულება,[176] რომელიც ხორციელდებოდა აღსრულების შესახებ დადგენილების გამოცემის განსაკუთრებული ფორმით. მეორე, რაიმე ქმედების[177] სასამართლო აკრძალვით, რაც ზიანის მიმყენებელისათვის გარკვეული ქმედების განმეორებით ჩადენას კრძალვდა.

სამეფო იურისდიქციამ პირველი გამარჯვება, სამართლიანობის სამართლის უპირატესობის შესახებ ბრძანებულების გამოცემითა და საერთო სამართალსა და სამართლიანობის სამართალს შორის წინააღმდეგობის დაძლევით, მოიპოვა. თუმცა მათ შორის დაპირისპირება კვლავ გრძელდებოდა. *Common law*-ს ფარგლებში მოქმედი მოსამართლეები ვესტმინსტერის სასამართლოების მიმართ კანცლერის სასამართლოს სააპელაციო ინსტანციად გადაქცევას არ იწონებდნენ.

რაც შეეხება რომის სამართლის რეცეფციის მნიშვნელობას ინგლისური სამართლის ევოლუციის პროცესში, ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ მომენტზე: 1. ეკლესიის, უპირველესყოვლისა, ბენედიქტელთა ორდენისა და გლოსატორთა დოქტრინის გავლენაზე. რომანისტიკის ზემოქმედების კვალი ტერმინოლოგიაში, ინგლისური სამართლის ანალიზისა და მისი სამართლის სისტემად გადაქცევის პროცესში, რომის სამართლის ცნებების გამოყენებაში შეინიშნება; 2. XVI საუკუნეში რომის სამართლის რეცეფციამ გად-

---

[174] King's Council – სამეფო საბჭო. იქვე.

[175] keeper of the King's conscience – სამეფო სინდისის მცველი. იქვე.

[176] specific performance – რეალური აღსრულება. იქვე.

[177] in iunction – რაიმე ქმედება. Мануэль Хесус Гарсия-Гаррило, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005. 135.

ამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. გერმანიაში ქორწინების საკითხში საეპისკოპოსო სასამართლოებმა რომაულ-კანონიკური დოქტრინა აღიარეს, ხოლო ინგლისური საერთო სამართლის გამარჯვებას იურისტთა წოდებისა და მათი წარმომადგენლის – კოკის პიროვნული ავტორიტეტი უზრუნველყოფდა, რითაც ინგლისური ჩვეულებითი სამართალი რომის სამართლის დებულებების გამოყენებას უგულებელყოფდა; 3. მესამე მომენტი სამართლის თეორიას და არა პრაქტიკას ეხებოდა. ამაში დიდი წვლილი ინგლისელი მოაზროვნის – ჯონ ოსტინის თხზულებებსა და სამართლის ისტორიკოსის – მეიტლენდის შრომებს მიუძღვის.

კაზუსებიდან გამომდინარე, პრინციპებისა და ნორმების შექმნის თვალსაზრისით, მიუხედავად განსხვავებული კრიტიკისა და განვითარების განვლილი გზისა, რომაულ და ინგლისურ იურისპრუდენციას ბევრი რამ აქვთ საერთო. კერძოდ, საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებების კაზუისტური ხასიათი, ტექნიკის გამოყენება. ისიც აღსანიშნავია, რომ იურისტთა და მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე დიდ გავლენას ინტუიცია ახდენდა, რომელიც, ლოგიკური და სისტემური კრიტერიუმების მიუხედავად, სამართლიანობის პრინციპს ეფუძნებოდა.

თავი III. რომის საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარების ძირითადი ეტაპები და თავისებურებანი

რომში მოქმედ იურიდიულ დებულებებათა ერთობლიობას რომის სამართალი ეწოდება. სამართლის ეს ტიპი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ვითარდებოდა, რომელიც ისტორია 13 საუკუნეს მოიცავს – ქრ. შობამდე 753 წლიდან ქრ. შობის 565 წლამდე, ანუ იმპერატორ იუსტინიანეს გარდაცვალებამდე გაგრძელდა.

რომის სამართლის გამოყენების ისტორია მხოლოდ აღნიშნული ქრონოლოგიური პერიოდით როდი იფარგლება. შემდეგ სხვადასხვა ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, შუა და ახალ საუკუნეებში მოქმედმა, რომის სამართლებრივმა სისტემამ ჩვენს დრომდეც მოაღწია. ამიტომ ამბობენ: რომის სამართალი ხელმეორედ დაიბადაო.

მიუხედავად იმისა, რომ რომანისტთა, ანუ რომის სამართლის მკვლევართა, ინტერესის ძირითადი ობიექტი რომის მოქალაქეთა ურთიერთობების მომწესრიგებელი კერძო სამართალია, დღეს-დღეობით მრავალი სამეცნიერო ნაშრომი კვლავაც რომის საჯარო სამართლის, რომაული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას ეძღვნება. ასეთი სახის გამოკვლევებში აუცილებელია ისტორიული მონაცემების გათვალისწინებაც, ვინაიდან რომის კერძოსამართლებრივი ინსტიტუტების ევოლუციის პროცესი რომში მოქმედ პოლიტიკურ სისტემასა და სამართალშემოქმედებით ტრადიციას მჭიდროდ უკავშირდებოდა. რომის პოლიტიკურმა რეჟიმმა, მმართველობის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, რამდენიმე ეტაპი განვლო. კერძოდ: 1. რექსების ეპოქა – ქრ. შობამდე 753-510 წწ; 2. რესპუბლიკის პერიოდი – ქრ. შობამდე 510-27 წწ; 3. პრინციპატისა – ქრ. შობამდე 27 წ.-ქრ. შობის 284 წ. და 4. დომინატის ეპოქა – 284-565 წწ.

ბოლო ორი ეტაპი იმპერიული მმართველობის ორი განსხვავებული ფორმაა. საკუთრივ რომის იურიდიული სისტემის განხილვისას, თითოეული ეტაპისათვის, ნიშანდობლივი არსებითი თავისე-

ბურებების გათვალისწინებით, რამდენიმე ეტაპს განასხვავებენ; ესენია: 1. არქაული – ქრ. შობამდე 753-367 წწ.; 2. წინაკლასიკური – ქრ. შობამდე 367-130 წწ.; 3. კლასიკური – ქრ. შობამდე 130 წ. – ქრ. შობის 235 წ. ესაა ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც, თავის მხრივ, სამ ეტაპად იყოფა: ა) ადრეული კლასიკა – ქრ. შობამდე 130-30 წწ.; ბ) განვითარებული კლასიკა – ქრ. შობამდე 30 წ. – ქრ. შობის 130 წ.; გ) გვიანდელი კლასიკა – 130-235 წწ.; 4. პოსტკლასიკური – 235-527 წწ.; 5. იუსტინიანეს პერიოდის სამართალი – 527-568 წწ.

რომის სამართლის ისტორიის პირველი, არქაული ანუ კვირიტული სამართლის პერიოდი დროში ემთხვევა რექსებისა და რესპუბლიკური სახელმწიფო წყობილების ადრეულ და კლასიკურ პერიოდებს. კლასიკური სამართლის პირველი ეტაპი გვიანდელი რესპუბლიკის ეპოქას შეესაბამება, ხოლო კლასიციზმის მეორე და მესამე ეტაპები – პრინციპატის ხანას (იმპერიის პირველ ეტაპს), ანუ რომის იმპერიის ტერიტორიული გაფართოების პერიოდს.

რომის სამართლის ისტორიის პოსტკლასიკური და იუსტინიანეს პერიოდები შეუზღუდავი მონარქიული მმართველობის – დომინატის ხანას შეესაბამება.

I. Civitas წარმოშობა. Rex-ების პერიოდი

Civitas – ქალაქ-სახელმწიფო; Senatus Populus que Romanus (SPQR) – სენატი და რომაელი ხალხი; ager publicus – სახელმწიფო მიწები.

სახელმწიფოებრიობის თანამედროვე კონცეფციების (სახელმწიფოს შესახებ თეორიების) გამოყენება ძველრომაული თემის მიმართ თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან დიდია მოდერნისტული თეორიების გავლენის ქვეშ მოქცევის საშიშროება. ძველი რომაელებისათვის პოლიტიკური ერთობა რომაული თემის მოქალაქეებისაგან განუყოფელი იყო. შესაბამისად, რომაული თემის წევრები საკუთარ თავს *Populus Romanus*-ს უწოდებდნენ. ოფიციალურ დოკუმენტებსა და ლეგიონერთა სამკერდე ნიშნებზე პირველ ადგილზე სენატი იყო: *Senatus Populus que Romanus (SPQR).*

ცნებით *respublica* საზოგადოებრივი საქმეები ან საზოგადოებრივი ქმედებები აღინიშნებოდა. პრინციპატის ეპოქაში რომაულ *libera res publica*-ს იმპერატორის *potestas*-ი დაუპირისპირდა. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, პრიმიტიულ რომაულ პოლიტიკურ ორგანიზაციას ყველაზე უკეთ ტერმინი – „ქალაქ-სახელმწიფო" – შეესაბამება. ეს იყო ერთგვარი ციტადელი, რომლის კედლებს შიგნითაც ხელისუფლების საქალაქო და ქალაქს დაქვემდებარებული ტერიტორიების ადმინისტრაციული ორგანოები იყო განთავსებული. თანამედროვე გამოკვლევებით შესაძლებელია იმის განცხადება, რომ რომის სახელმწიფო თანმიმდევრული სინოიკიზმის (ახლო მდებარე დასახლებათა ურთიერთშერწყმის) საფუძველზე ჩამოყალიბდა.

რომი შვიდ ბორცვზე განლაგებული რამდენიმე დასახლების გაერთიანებით შეიქმნა. შესაბამისად, ამ ადგილს *Septimontium*-ი ანუ შვიდბორცვიანი (ავენტინუსი, პალატინუსი, კაპიტოლიუმი, კვირინალისი, ვიმინალისი, ესკვილინუსი და კელიუსი) ეწოდა. მოგვიანებით, ქალაქს გალავანი შემოავლეს, რომელიც მოსახლეობას მტრის თავდასხმისაგან იცავდა. ამ ბორცვთაგან ერთ-ერთს, კაპიტოლიუმი შემდეგი გარემოების გამო ეწოდა: ბორცვზე იუპიტერის ტაძრის ასაგებად საძირკველის გათხრისას, მდ. ტიბროსის სანაპიროებზე მუშებმა ადამიანის თავის ქალა აღმოაჩინეს. მეტად ხელსაყრელი სავაჭრო გზების[178] კვეთაზე, მკვიდრი პრიმიტიული სასოფლო თემი, ქალაქ-სახელმწიფო[179] ნიშან-მახასიათებლებს თანდათანობით იძენდა. გალავანშემოვლებული უძველესი *civitas*-ის ტერიტორიაზე,[180] მრავლად იყო წმინდა ადგილები, სადაც სხვადასხვა მაგიური და რელიგიური რიტუალები ტარდებოდა. აქვე მთავრობის რეზიდენცია მდებარეობდა, ასევე, საგანგებო ადგილე-

---

[178] via Salaria, via Latina, via Appia – ცენტრალური სავაჭრო გზები. Нисембаум М., Via Latina ad ius (Латинская дорога к праву). Москва, ЮРИСТЬ, 1996, 3; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 41.

[179] civitas – ქალაქ-სახელმწიფო. Дождев Д.В., .Римское частное право, Москва, Норма, 2003, 16; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 41.

[180] pomoerium – უძველესი ქალაქ-სახელმწიფოს ტერიტორია. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 42.

ბი – სახალხო კრებების ჩასატარებლად.

მითის თანახმად, უძველესი დასახლება რომულუსის სახელს უკავშირდება, მანვე დაუდგინა ქალაქს თავდაპირველი საზღვრები (ე.წ. *Roma quadrata*). ქალაქს საჯარო მიწები და საძოვრები,[181] მტრის შემოსევებისაგან დაუცველი სოფლები და მიწათმოქმედთა განცალკევებით მდგომი ქოხები ერტყა გარს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების თანახმად, *civitas*-ის გარშემო საფორტიფიკაციო სამუშაოები პერმანენტულად, ლათინების თემებით დასახლებული სოფლების გაერთიანებით, მიმდინარეობდა. თავდაპირველად, რომი ალბა-ლონგას[182] კოლონია იყო. აქვე დაბადებულა ქალღმერთ ვესტას ქურუმი ქალი – რეა სილვია, ტყუპი ძმის – რომულუსისა და რემუსის – დედა.

ამრიგად, რომი საერთო მმართველობას დაქვემდებარებული საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის კონგლომერატს, ციცერონის თანახმად, *coetus hominum iure sociali*-ს, წარმოადგენდა.[183]

პრიმიტიული civitas-ის მმართველობის ორგანოები იყო:

ა) Rex (რექსი)

Rex sacrorum – საღვთო რიტუალები; interrex – შუალედური ფუნქციებით აღჭურვილი რექსი; regifugium – რექსის გაქცევა; quando rex comitia vit fas – ფორმულა, რითაც რექსი ღვთის ნებას აქვეყნებდა.

რექსი[184] უზენაესი სამხედრო და პოლიტიკური ბელადი იყო, რომელიც, ხალხის სურვილის არსებობის შემთხვევაში, მოქალაქეთა საკრალური წარმომადგენლის ფუნქციასაც ასრულებდა. აქედან გამომდინარე, რექსი ანუ ბელადი,[185] რელიგიურ-მაგიური

[181] ager publicus – საჯარო მიწები და საძოვრები. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 42.

[182] Alba Longa – ალბა-ლონგას კოლონია. იქვე.

[183] Cicero – ციცერონი.

[184] rex – უზენაესი სამხედრო და პოლიტიკური ბელადი, რექსი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 42.

[185] ductor – ბელადი, რექსის შესატყვისი. იქვე.

რიტუალების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი იყო. მის მაგიურ და ზებუნებრივ უნარს პირადი ქარიზმა კიდევ უფრო აძლიერებდა. ხალხის მისადმი მორჩილებასა და ხელისუფლების უზენაესობას რექსის ზებუნებრივი ძალისადმი რწმენა შთააგონებდა. რომაელებს რექსი ღვთის ნების აღმსრულებლად მიაჩნდათ, რომლის ნებასაც ხალხს ქურუმები ამცნობდნენ. ისინი მომავალს ზეციურ მოვლენებზე დაკვირვებით, მსხვერპლად შეწირული ცხოველების შიგნეულობისა და ფრინველთა ფრენის[186] მიხედვით წინასწარმეტყველებდნენ.

გადმოცემის მიხედვით, რომს მართავდა შვიდი რექსი: რომულუსი (*Romulus*), ნუმა პომპილიუსი (*Numa Pompilius*), ტულუს გოსტილიუსი (*Tullus Gostilius*), ანკუს მარციუსი (*Ancus Marcius*), ტარკვინიუს პრისკუსი (*Tarquinius Priscus*), სერვიუს ტულიუსი (*Servius Tullius*) და ტარკვინიუს ამაყი (*Tarquinius Superbus*). პირველი ოთხი რექსი ლათინთა და საბინთა წარმომადგენელი იყო, ხოლო ბოლო სამი კი – ეტრუსკთა ტომის.

რესპუბლიკის პერიოდში რომმა რექსების ხელისუფლებისათვის ნიშანდობლივი რუდიმენტები შეინარჩუნა. ლათინი რექსები რომს სენატთან თანხმობით მართავდნენ, სამაგიეროდ, ხალხის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ეტრუსკმა რექსებმა თავიანთი დესპოტიზმით ხალხი დაიპირისპირეს. ბოლო რექსს – ტარკვინიუსს ამაყს, რომაელები განუდგნენ, აუჯანყდნენ და განდევნეს.

ეტრუსკთა დინასტიის რექსებმა უზენაესი ხელისუფლების[187] შემდეგი სიმბოლოები შემოიღეს: სპილოს ძვლისგან დამზადებული სამეფო ტახტი, პორფირის სამოსი – ტოგა[188] და წკეპლებით შეიარაღებული პირადი მცველები.[189] მაგრამ რომაელი *rex*-ი არავითარ შემთხვევაში იგივდება მეფესთან. ასე რომ, მათი ზეობის ეპოქა არასწორად მიიჩნიეს მონარქიული მმართველობის პერიოდად.

---

[186] auspicium, augurium – შეწირული ცხოველების შიგნეულობა და ფრინველთა ფრენა, რომელთა მიხედვით ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ. იქვე, 43.

[187] imperium – უზენაესი ხელისუფლება. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 14.

[188] toga – პორფირის სამოსი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 43.

[189] lictores – პირადი მცველები. იქვე.

ბ) სენატი

Senex – მხრცოვანი; Senatus – სენატი; patres – სენატორები; tribus – ტრიბა; gens – გვარი; sacra gentilicia – წმინდა რიტუალის აღსრულება; interregnum – რექსის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების აღსრულება სენატორების მიერ.

თავდაპირველი სენატი (*Senatus*) უხუცესთა საბჭო იყო, რომელიც რექსს ისეთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პრობლემების გადაწყვეტაში ეხმარებოდა, როგორიც იყო, მაგალითად, ომისა და ზავის საკითხი. გადმოცემის თანახმად, რომულუსმა თავად დააარსა სენატი, რომლის შემადგენლობაშიც 100 სენატორი შეიყვანა. დროის კვალობაზე, მათი რიცხვი გაიზარდა და ტარკვინიუს პრისკუსის მმართველობის დროს მათმა რიცხვმა 300 მიაღწია. შესაძლოა, სენატორთა რიცხვი განისაზღვრებოდა იმ *patres* რაოდენობით, სენატში ადგილის დაკავების უფლება რომ მოიპოვეს. სენატორთა ეს წოდება (*patres*) იმას მოწმობს, რომ სენატი გვართა მეთაურების წრიდან იქმნებოდა. გვარი (*gens*) იყო იმ რამდენიმე მონათესავე ოჯახის გაერთიანება, რომელსაც საერთო წინაპარი ჰყავდა. *Civitas*-ის შექმნის თვალსაზრისით, ოჯახის,[190] გვარისა და ტომის[191] ფუნქციის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა რომანისტიკაში. ოჯახის წევრებს ერთმანეთთან სისხლით ნათესაობა აკავშირებდათ. ოჯახი უძველესი სოციალური ორგანიზმია. ოჯახთა კავშირი, რომელსაც საერთო წინაპარი[192] ჰყავდა ნათესავთა ერთობას – გვარს ქმნიდა. გვარის წევრები საერთო საგვარეულო სახელს ატარებდნენ და ყველა წევრისათვის ერთნაირ წმინდა რიტუალებს[193] აღასრულებდნენ. რექსის გარდაცვალების შემდეგ მთელი ძალაუფლება სენატორთა ხელში[194] გადადიოდა, რომლებიც ახალ რექსს ირჩევდნენ.

---

[190] familia – ოჯახი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 14.

[191] tribus – ტომი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 43.

[192] patres gentis – საერთო წინაპარი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 43.

[193] sacra gentilicia – წმინდა რიტუალები.იქვე.

[194] interregnum – სენატორთა ხელთ ძალაუფლების გადასვლის აღმნიშვნელი ტერმინი. იქვე.

გ) ხალხი და სახალხო კრებები

პირველ საუკუნეებში ხალხი ორი ფენის – პატრიციებისა და პლებეებისაგან შედგებოდა. პრივილეგირებულ ფენას პატრიციები წარმოადგენდნენ. მათზე კლიენტები და გააზატებულები იყვნენ დამოკიდებულნი. პატრონისა და კლიენტის ურთიერთობების შესახებ ცნობები მოცემულია დიონისე ჰალიკარნასელთან, რომლის მტკიცებითაც პატრონატის ინსტიტუტი რომულუსმა შემოიღო. პატრონი კლიენტს იურიდიული ხასიათის რჩევებს აძლევდა და მას სხვა პირთა უკანონო დევნისაგან იცავდა. თავის მხრივ, საჭიროების შემთხვევაში, კლიენტი პატრონის დახმარების ვალდებულებას საკუთარ თავზე იღებდა. მაგალითად, მისი ქალიშვილების გათხოვებისას ან პატრონის ტყვეობდან გამოსყიდვისას, კლიენტს საკუთარი პატრონის სასამართლო ხარჯები ან საჯარო ჯარიმები უნდა გადაეხადა. პატრონს და კლიენტს ერთმანეთის წინააღმდეგ სასამართლოში მოწმედ გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ. კლიენტს არ შეეძლო ხმის მიცემა იმ კანდიდატურის წინააღმდეგ, რომელსაც პატრონი მხარს უჭერდა.

პატრიციების ფენა შედგებოდა იმ 100 ოჯახისგან (*familia*), რომელიც რომის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ (პატრიციების შთამომავლები იმავე წოდებას განეკუთვნებოდნენ). პატრიციების ოჯახები – გვარად, გვარები კი ტომებად ერთიანდებოდნენ. პატრიციები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით შეუზღუდავად სარგებლობდნენ. აღნიშნულ უფლებებს პლებეების (*plebs*) ფენა მოკლებული იყო. თანასწორობისა და საზოგადოების ერთიანი პატრიციულ-პლებეური მაღალი ფენის – *nobilis* შესაქმნელად პლებეები, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ. სახელმწიფოს რესპუბლიკური წყობის დროს ნობილიტეტი გაბატონებულ ფენას წარმოადგენდა. საგანგებო კრებების ე.წ. კომიციების (*comitia*; *cum+ire*: შეკრება) სხდომებზე ხალხს იწვევდნენ. სახალხო კრების უძველეს სახეს კურიის კრება[195] წარმოადგენდა, რომელიც მოქალაქეებს კურიების მიხედვით აერთიანებდა. 30 კურიად დაყოფილი მოსახლეობა სამ ტრიბად ერთიანდებოდა. თავდაპირველად, კურიის კრების კომპეტენცია –

[195] comitia curiata – სახალხო კრების უძველეს სახე – კურიის კრება. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 14.

lex curiata de imperio (რომლის ძალითაც რექსს სახელისუფლებო უფლებამოსილება ენიჭებოდა) მხარდაჭერა და *adrogatio*[196] გახლდათ. ცენტურიის კომიციები[197] ბოლოსწინა ეტრუსკელმა რექსმა სერვიუს ტულიუსმა შექმნა. აღნიშნული კომიცია რომაელი ჯარის ახალ სტრუქტურას ეფუძნებოდა, რომელიც, ჯარისკაცთა ქონებრივი სტატუსის მიხედვით, ხუთ კატეგორიად იყოფოდა. რომის ჯარისა და სახალხო კრებების რეფორმატორად სერვიუს ტულიუსია მიჩნეული. ლათინთა და საბინთა „მონარქიის" პირველ ეტაპზე ჯარის შეკრება გვარების მიხედვით ხდებოდა. წლის განმავლობაში ჯარში, პატრიციებისა და კლიენტებისაგან, რომელ წევრს უნდა ემსახურა, ამას გვარი ადგენდა. აქედან გამომდინარე, ჯარში კავალერია დომინირებდა. ბრძოლის ჰოპლიტური ტაქტიკის შემოღებით, ცხენოსანთა რიგები შემცირდა. ჰოპლიტები[198] (მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი) – ასი მეომრისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები – ცენტურია[199] იყო, რომლებიც მკაცრად იცავდნენ საბრძოლო მწყობრსა და სამხედრო დისციპლინასა, რაც მათ ბრძოლისუნარიანობას განამტკიცებდა.

სამხედრო რეფორმის გატარებისას, ქონებრივი ცენზის მიხედვით, სერვიუს ტულიუსმა მოქალაქეები 5 ჯგუფად დაჰყო. პირველი, უმაღლესი ჯგუფის წევრობისათვის სავალდებულო იყო 100 000 სისტერციის (ფულადი ერთეული) ქონა, მეორესათვის – 75 000, მესამე და მეოთხისათვის – შესაბამისად, 50 000 და 25 000, ხოლო ბოლო – მეხუთე ჯგუფს 12 000 სისტერციის ქონა მოეთხოვებოდა. მოქალაქეთა თითოეული კატეგორია ვალდებული იყო ცენტურიის განსაზღვრული რაოდენობა გამოეყვანა (მაგალითად, პირველ კატეგორიას 30 ცენტურიის გამოყვანა ევალებოდა).

[196] adrogatio – შვილად აყვანის ერთ-ერთი სახე. D.1.7.1.1. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 97; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 239; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 312.

[197] comitia centuriata – ცენტურიის კომიციები. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 17.

[198] hoplitas – ჰოპლიტები. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 239; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 44.

[199] centuriae – ცენტურია, ასი მეომრისგან შემდგარი სამხედრო რაზმები. იქვე.

მხედრობას[200] 18 ცენტურია გამოჰყავდა, ხოლო დამხმარე ჯარი (მუშები, მუსიკოსები და *proletarii*) კიდევ 5 ცენტურიას ქმნიდა. ამგვარად, ცენტურიების საერთო რიცხვი 193 შეადგენდა.

ცენტურია, ერთდროულად, სამხედრო ერთეული და პოლიტიკურ-ფისკალური გაერთიანება იყო, ანუ მათ სახალხო კრებაზე ხმის მიცემის უფლება ჰქონდა. ხმის მიცემისას, პირველობა მოქალაქეთა ყველაზე შეძლებულ ფენას ენიჭებოდა, ვინაიდან ცენტურიათა ყველაზე დიდი რაოდენობა (30 ცენტურია) ამ ფენას გამოჰყავდა. ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვების შემდეგ (მოქალაქეთა პირველი ფენა, ცხენოსნებთან ერთად, 98 ცენტურიას შეადგენდა. ისინი პირველები აძლევდნენ ხმას და სახალხო კრებებზე ხმათა უმრავლესობას იღებდნენ) ხმის მიცემის პროცედურა წყდებოდა. გარდა ამისა, ცენტურია მოსახლეობის გადა-სახადებით დაბეგვრასა და მათ ადმინისტრირებას უწყობდა ხელს.

II. პატრიციულ-პლებეური ცივიტას-ი და რესპუბლიკა

Comitia curiata – კურიის კრება; comitia centuriata – ცენტურიის კრება; comitia tributa -ტრიბის კრება; plebs – მდაბიო ხალხი; nobilis – წარჩინებული; centuriae – ცენტურიები; hoplitas – მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი; equites – მხედრები; proletarii – უქონელნი.

გადმოცემის თანახმად, ტარკვინიუსების გვარის უკანასკნელი რექსი ქრ. შობამდე 510 წელს რომიდან განდევნეს და ერთწლიანი უფლებამოსილების ვადით, მაგისტრატის თანამდებობა შემოიღეს. კოლეგიის წევრი – მაგისტრატები უმაღლესი სამხედრო და პოლიტიკური ხელისუფლებით აღჭურვილი პირები იყვნენ. ქრ. შობამდე 451 წელს შეირჩა ათი მოქალაქე[201], რომელთაც XII დაფის

[200] equites – მხედრობა. იქვე.

[201] decemviri legibus scribundis – შერჩეული ათი მოქალაქე, რომელთაც XII დაფის კანონების რედაქტირება დაევალათ. D.1.2.2.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 64-65; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 17.

კანონების რედაქტირება დაევალათ. საკანონმდებლო საქმიანობა, პატრიციებსა და პლებეებს შორის ურთიერთობების უკიდურესი გამწვავებისა და პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, ორი წელი გაგრძელდა. XII დაფის კანონების გამოქვეყნების შემდეგ, ხალხმა კონსულების არჩევა აღარ ისურვა და მმართველობა კონსულის ძალაუფლებით აღჭურვილ სამხედრო ტრიბუნებს[202] გადასცა, რომელთაც ჯარების სარდლობის უფლება მოიპოვეს. ქრ. შობამდე 367 წელს ლიცინიუსისა და სექსტიუსის კანონით[203] კონსულატი – რესპუბლიკური რომის სახელმწიფო წყობილების უმაღლესი ორგანო, საბოლოოდ დამკვიდრდა.

ანტიკური პერიოდის ცნობების ინტერპრეტაციისას, ისტორიკოსთა აზრი ორად იყოფა: ერთი ნაწილის თანახმად, რომში ტარკვინიუსების განდევნის შემდეგ, პოლიტიკური სისტემის რეფორმირება მკვეთრად, რევოლუციური მეთოდებით განხორციელდა. ისტორიკოსთა მეორე ჯგუფის (უმრავლესობის) აზრით, რეფორმა მდოვრედ, თუმცა თანამიმდევრულად მიმდინარეობდა. თავდაპირველად, შესაძლოა ყოველწლიურად, აირჩეოდა მხოლოდ ერთი უმაღლესი პრეტორი (*praetor maximus, prae+ire* – ჯარის წინამძღოლი, მხედართმთავარი), რომელსაც, დამხმარედ (სავარაუდოდ, ჯარების სარდლებად) უმცროს პრეტორებს[204] უნიშნავდნენ.

რომის რესპუბლიკური სახელმწიფო წყობილების საწყისი ეტაპი პატრიციებსა და პლებეებს შორის გამუდმებული და მკვეთრი ურთიერთდაპირისპირებით ხასიათდებოდა. პრივილეგირებული პოლიტიკური უფლებების მუდმივად ბოროტად გამოყენებით, პატრიციების გაბატონებული ფენა პლებეების გაღიზიანებას იწვევდა. პროტესტის ნიშნად, პლებეები რომს ტოვებდნენ და სეცე-

---

[202] tribuni militum consulari potestate – კონსულის ძალაუფლებით აღჭურვილი სამხედრო ტრიბუნები. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 239; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 45.

[203] lex Liciniae et Sextiae – ლიცინიუსისა და სექსტიუსის კანონი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 24.

[204] praetores minores – უმცროსი პრეტორი. D.1.2.2.27. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 71; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 24.

სიებს,[205] ანუ რომიდან მათ სათაყვანებელ წმინდა მთაზე ორგანიზებულ გაქცევას, მიმართავდნენ. პატრიციები სამხედრო სამსახურს მხოლოდ პლებეებს ავალდებულებდნენ, ვალაუვალ პლებეებს სავალო კაბალაში ამყოფებდნენ. აღნიშნული, პირველი სოციალური კონფლიქტის მიზეზი გახდა. ქრ. შობამდე 494 წ. პლებეებმა მიაღწიეს, რომ პატრიციებმა მათ მიერ არჩეული თანამდებობის პირები – *tribuni plebis* აღიარეს.

პლებსის ტრიბუნებს მაგისტრატების გადაწყვეტილებებზე *veto*-ს დადების უფლება მიეცათ. ღვთაებრივი კანონის[206] ძალით, პლებსის ტრიბუნი ხელშეუვალობით[207] სარგებლობდა. მის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებაში მხილებული პირი კანონგარეშედ[208] ცხადდებოდა. მალე პლებეებმა პოლიტიკური მოთხოვნებიც წამოაყენეს. მათ პატრიციებს პლებსის ტრიბუნის უფლებამოსილებათა[209] აღიარებას, ტრიბუნისათვის *veto*-ს უფლების, პლებსის სახალხო კრებაზე მიღებული გადაწყვე-ტილებისთვის[210] იურიდიულად სავალდებულო ძალის მინიჭება მოსთხოვეს. ვალერიუსისა და ჰორაციუსის კანონის[211] მიღებით, ტრიბუნი, *civitas*-ის ხელშეუვალობის მქონე უფლებამოსილ მაგისტრატად იქცა. ქრ. შობამდე 445 წ. კანულეუსის კანონით[212] პატრიციებსა და პლებეებს შორის

---

[205] secessio – სეცესიები. D.1.2.2.20. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 69; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо. Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва. Статут, 2005, 239; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003. 45.

[206] lex sacrata – ღვთაებრივი კანონი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо. Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва. Статут. 2005, 239; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003. 46.

[207] sacrosanctae – ხელშეუვალობა. იქვე.

[208] homo sacer – კანონგარეშედ გამოცხადება. იქვე.

[209] potestas tribunicia – კანონგარეშედ გამოცხადება. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 17.

[210] plebiscita – სახალხო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება. იქვე, 25; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 60.

[211] leges Valeriae-Horatiae – ვალერიუსისა და ჰორაციუსის კანონი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 239; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 46.

[212] lex Canulca – კანულეუსის კანონი. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 186; Бартошек М. Римское право, Понятия, термины,

ქორწინების აკრძალვა გაუქმდა. ქრ. შობამდე 367 წ. პლებეების კონსტიტუციური მოთხოვნები საბოლოოდ დაკმაყოფილდა. ლიცინიუსისა და სექსტიუსის კანონის[213] თანახმად, ორი კონსულიდან ერთ-ერთი აუცილებლად პლებსის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. პუბლილიუს ფილონის კანონითა[214] და ჰორტენსიუს კანონით,[215] პლებსის სახალხო კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს კომიციების მიერ დადგენილი, კანონის ძალა მიენიჭა.

პატრიციულ-პლებეური მმართველობის მქონე *civitas*-ის საფუძველზე აღმოცენებულმა ახალმა სახელმწიფო წყობამ, ქრ. შობამდე III-II საუკუნეებში განვითარების მწვერვალს მოაღწია. მმართველობის ამ ტიპის სახელმწიფო ორგანოები იყო: მაგისტრატურა, სენატი და სახალხო კრებები.

ძველი ბერძენი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის პოლიბიოსის თანახმად, რომის სახელმწიფო წყობილება შერეული ტიპის სახელმწიფო ფორმაა, რომელიც არისტოტელეს მიერ განსაზღვრულ მონარქიის, არისტოკრატიისა და დემოკრატიის ცნებაში არ ჯდება. ერთი მხრივ, თუ კონსულის უფლებამოსილებას განვიხილავთ, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ რომი – მონარქიაა. სენატის უფლებამოსილებათა განხილვის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის არისტოკრატიული წყობის მქონეა, ხოლო მრავალრიცხოვანი ხალხის პოლიტიკურ უფლებებსაც თუ გავითვალისწინებთ, ვიფიქრებთ, რომ რომი დემოკრატიული სახელმწიფოა. იმდროინდელ რომში სენატისა და პატრიციული მაგისტრატურის ბატონობის დიდი ხნის განმავლობაში, მმართველობის სფეროში მონაწილეობის მისაღებად, პლებეების ბრძოლის მიუხედავად, რომის სახელმწიფო წყობა მაინც არისტოკრატიული ნიშნებით ხასიათდებოდა. მეორე მხრივ, შეუძლებელია ხელისუფლებათა აღნიშნული თანაფარდობა ხელისუფლებათა დანაწილების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება)

определения, Москва, 1989, 184.

[213] lex Liciniae Sextiae – ლიცინიუსისა და სექსტიუსის კანონი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 24.

[214] lex Publilia Philonis – პუბლილიუს ფილონის კანონით. Бартошек М. Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 195.

[215] Plebiscita Hortensia – ჰორტენზიუს კანონით. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 25.

Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 60.

თეორიის მიხედვით აიხსნას. ერთი რამ ფაქტია: რომის სახელმწიფო წყობის სისტემით, პოლიტიკური ინსტიტუტების ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთკონტროლი ხორციელდებოდა. მუდმივმოქმედი ორგანო – სენატი (*Senatus*), უფლებამოსილებათა ერთწლიანი ვადით არჩეულ მაგისტრატებზე, არსებით გავლენას ახდენდა. იმავდროულად, საზოგადოებრივი საქმეების[216] საერთო მმართველობასაც უჭერდა მხარს.

§1. მაგისტრატურა

Veto – აკრძალვა; imperium – ძალაუფლება; auspicia – ფრინველებსა და ცხოველებზე დაკვირვება; imperium militiae – სამხედრო ძალაუფლება; imperium domi – ხელისუფლება ქვეყნის შიგნით; provocatio ad populum – ხალხისადმი მიმართვა; praetor maximus – უმაღლესი პრეტორი; collega minor – უმცროსი თანაშემწე; praetor peregrinus – უცხოელების პრეტორი; quaestorae parricidii – კვესტორების თანაშემწეები; quaestores aerarii – სახაზინო კვესტორები; cura urbis – ქალაქის ზედამხედველობა; cura ludorum – თამაშებზე ზედამხედველობა; cura morum – ზნეობაზე ზედამხედველობა; cura annonae – სურსათ-სანოვაგეზე ზედამხედველობა; tribuni plebis – პლებსის ტრიბუნი; intercessio – ტრიბუნის მიერ ვეტოს გამოყენების უფლება სხვა მაგისტრატების გადაწყვეტილებებზე; ius auxilii – მოქალაქეთა დაცვის უფლება; ius agendi cum senatus – სენატის მოწვევის უფლება; ius agendi cum plebe – პლებსის კრების მოწვევის უფლება; lectio senatus – სენატის დაკომპლექტება.

რესპუბლიკური მაგისტრატურის ძირითადი ნიშნებია: 1. არჩევითობა; 2. კოლეგიალობა; 3. თანამდებობაზე ყოფნის ერთწლიანი ვადა; 4. უსასყიდლობა; 5. ანგარიშვალდებულება.

წესის თანახმად, მაგისტრატები კომიციებში ერთწლიანი ვადით და კოლეგიალობის პრინციპით აირჩეოდნენ. მათ ჰქონდათ თანაბარი უფლებამოსილებანი, ასევე კოლეგის გადაწყვეტილებაზე *veto*-ს დადების უფლება. დიდ ხარჯებთან დაკავშირებული სამსახურის

[216] res publica – საზოგადოებრივი საქმეები. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 98.

მიუხედავად, მაგისტრატობა უსასყიდლოდ იყო. თანამდებობის დაკავებისას, ისინი დებდნენ ფიცს, რომ კანონის შესაბამისად[217] იმოქმედებენ. მაგისტრატი, რომელიც საკუთარ ძალაუფლებას ბოროტად იყენებდა, მექრთამეობაში ბრალდებული პირის[218] მსგავსად ისჯებოდა.

კურიატულ კანონთა[219] და აუსპიციით[220] ანუ ღვთის ნების ახსნა-განმარტების უფლებით, რომაელ კონსულებს უზენაესი ხელისუფლება (*imperium*) ეძლეოდათ. *Imperium*-ი ანუ უზენაესი ხელისუფლება ენიჭებოდა უფროსს მაგისტრატებს – კონსულებს, დიქტატორებს, პრეტორებსა და სამხედრო ტრიბუნებს. ერთმანეთისგან განასხვავებენ *imperium*-ის ორ სახეს: *imperium militiae* – რომის საზღვრებს გარეთ ჯარის სარდლობის უფლება და *imperium domi* – უმაღლესი სამოქალაქო ხელისუფლება ქ. რომის საზღვრებში, სადაც მოქალაქეთათვის სასჯელის შეფარდება იზღუდებოდა მხოლოდ რომაელი ხალხისადმი აპელირებით,[221] რომელიც ბრალდებულს სახალხო კრებისათვის მიმართვის უფლებას აძლევდა.

თ. მომზენის კლასიფიკაციის თანახმად, მაგისტრატურები იყოფადა ორ სახეობად: ჩვეულებრივი[222] და განსაკუთრებული,[223] თავის

---

[217] nihil contra leges fecissent – ფიცის დადება კანონის შესაბამისად მოქმედების თაობაზე. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 47.

[218] crimen repetundarum – მექრთამეობაში ბრალდებული პირი.

[219] lex curiata – კურიატულ კანონი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 147.

[220] auspicia – ღვთის ნების ახსნა-განმარტების უფლება. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 15.

[221] provocatio ad populum – მოქალაქეთათვის სიკვდილით დასჯის შეფარდების შეზღუდვა ხორციელდებოდა რომაელ ხალხისადმი აპელირებით. D.1.2.2.23. რომის სამართლის ძეგლები. ოუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 69; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 47; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 265.

[222] ordinariae – ორდინალური, მაგისტრატურის ჩვეულებრივი სახე. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 47 ; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 265.

[223] extra ordinem – ექსტრაორდინალური, მაგისტრატურის განსაკუთრებული სახე. იქვე.

მხრივ, ჩვეულებრივი მაგისტრატურა მუდმივმოქმედ და გარკვეული შესვენებების შემდეგ ამოქმედებულ ორგანოებად იყოფოდა.

მუდმივმოქმედი მაგისტრატურები:

1. კონსულატი.[224] რომში ერთი წლის ვადით არჩეული ორი კონსული იყო. მათი თანამდებობაზე ყოფნის ერთ წელს მათივე სახელი ეწოდებოდა. კონსულები ახორციელებდნენ *imperium*-ს, ანუ უზენაეს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას. სამკერდე ნიშანსა და რექსის სიმბოლოებს ატარებდნენ: ემოსათ პორფირის ტოგა და თან ლიქტორები დაჰყვებოდათ. დამნაშავისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლება მხოლოდ კონსულს ენიჭებოდა. სიკვდილმისჯილს – ე.წ. *provocatio*-ს წესით ამ განაჩენის გასაჩივრება ცენტურიის სახალხო კრების მიმართ მხოლოდ ქ. რომის ფარგლებში შეეძლო. თუ აღნიშნულ სასჯელს პროვინციაში გამოიტანდნენ, ის საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

2. პრეტურა. პრეტორი უზენაესი ხელისუფლებით აღჭურვილი მაგისტრატი[225] იყო. ლიცინიუსისა და სექსტიუსის კანონებში პრეტორი კონსულის უმცროს თანაშემწედ[226] არის მოხსენიებული. იმავე კანონით, პრეტორს მართლმსაჯულების[227] განხორციელების ფუნქციაც მიენიჭა, განსაკუთრებით, აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან მართლმსაჯულების ინსტიტუციურად გამოყოფის შემდეგ. ქრ. შობამდე 242 წ. შემოიღეს ახალი თანამდებობა – უცხოელების პრეტორი,[228] რომელსაც რომაელ მოქალაქეებსა და

[224] consul – D.1.2.2.16. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 68.

[225] praetor maximus – პრეტორი, რომელიც უზენაესი ხელისუფლებით აღჭურვილი მაგისტრი გახლდათ. D.1.2.2.27. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 71; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 24.

[226] collega minor – კონსულის უმცროს თანაშემწედ მოხსენიებული პრეტორის აღმნიშვნელი ტერმინი. იქვე.

[227] iurisdictio – პრეტორის მართლმსაჯულება. იქვე, 25.

[228] praetor peregrinus – თანამდებობა – უცხოელების პრეტორი. D.1.2.2.28. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები,

უცხოელებს შორის სასამართლო დავების განხილვა-გადაწყვეტა დაევალა.

3. კვესტურა. კვესტორი იყო კონსულის თანაშემწე,[229] რომელსაც, უმთავრესად, სახელმწიფო დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა და დანაშაულის გამოძიება ევალებოდა. გარდა ამისა, კვესტორებს, დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სახელმწიფო ხაზინისა და სხვა სახის საზოგადოებრივი ქონების დაცვაც ევალებოდათ,[230]

4. ედილიტეტი. თავდაპირველად, ედილები[231] პლებსის ღვთაებათა კულტს ზედამხედველობდნენ. მოგვიანებით, მათ რომში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა,[232] ქალაქის ხორბლითა და სარჩო-სანოვაგით მომარაგება[233] და თამაშების ორგანიზება[234] დაევალათ.

5. პლებსის ტრიბუნატი.[235] თავდაპირველად, პლებსის ტრიბუნები, პატრიციების წინააღმდეგ სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლაში, პლებეების „რევოლუციური" ბელადები იყვნენ. პატრიციატი იძულებული გახდა, მაგისტრატების მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, პლებსის ტრიბუნის ვეტოსა[236] და მოქალაქეთა დაცვის,[237] ასევე სენატისა და პლებსის კრებების

ნიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 71; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 26.

[229] quaestores parricidii – კონსულის თანაშემწე. D.1.2.2.23. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 69.

[230] quaestores aerarii – სხვა სახის საზოგადოებრივი ქონების დაცვა. D.1.2.2.23. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 69.

[231] aediles – ედილები. D.1.2.2.21. იქვე, 69

[232] cura urbis – საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. იქვე.

[233] cura annonae – სარჩო-სანოვაგით მომარაგება. იქვე.

[234] cura ludorum – თამაშების ორგანიზება. იქვე.

[235] tribuni plebis – D.1.2.2.20. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 69.

[236] intercessio – პლებსის ტრიბუნის ვეტო. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 17.

[237] ius auxilii – მოქალაქეთა დაცვა. Бартошек М., Римское право., Понятия, термины, определения, Москва, 1989, 167.

მოწვევის უფლებაც[238] ელიარებინა.

6. ცენზურა ორდინალური, მაგრამ არა პერმანენტული მაგისტრატურა იყო. ყოფილი კონსულები 18 თვის ვადით აირჩეოდნენ ცენზორებად,[239] რომელთა მოვალეობაც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, ქონებრივი ცენზის მიხედვით, მოქალაქეების აღწერა და მათი სათანადო კატეგორიებში განწესება გახლდათ. ცენზორი აკომპლექტებდა სენატს,[240] ზედამხედველობდა მოქალაქეთა ზნეობას.[241] თუ მოქალაქე უზნეო ქმედებას ჩაიდენდა, მას რიცხავდნენ მოქალაქეთა სიიდან, მის მიერ ჩადენილ უღირს ქმედებაზე წერილობითი მითითებით.

მაგისტრატურის მეორე – ექსტრაორდინალური სახე დიქტატორის ინსტიტუტი იყო.

საგანგებო ვითარების დროს კონსულები ნიშნავდნენ დიქტატორს,[242] რომლის უფლებამოსილება მხოლოდ ექვსი თვით განისაზღვრებოდა. ამ დროის განმავლობაში ის იყო ერთპიროვნული ხელისუფალი, რომლის კომპეტენციაშიც უზენაესი სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია[243] შედიოდა. დიქტატურის დროს მოქალაქეთა ყველა უფლება შეჩერებული იყო.

რამდენიმე მაგისტრატურის ერთი პირის ხელში მოქცევა დაუშ-

---

[238] ius agendi cum senatus, cum plebe – სენატისა და პლებსის კრებების მოწვევის უფლება. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 48.

[239] censor – ცენზორი. D.1.2.2.17. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 68.

[240] lectio senatus – ცენზორის მიერ სენატის დაკომპლექტება. Бартошек М., Римское право. Понятия, термины, определения, Москва, 1989, 178.

[241] cura morum – ხალხთა ზნეობის ზედამხედველობა. იქვე, 96

[242] dictator – საგანგებო მაგისტრატი, რომლის უფლებამოსილება მხოლოდ ექვსი თვით განისაზღვრებოდა. D.1.2.2.18. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 68.

[243] imperium militiae et imperium domi – უზენაესი სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია. D.1.2.2.27. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 71; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 48.

ვებელი იყო. ქრ. შობამდე 180 წ. ვილიუსის კანონით[244] დადგინდა: ერთი და იგივე პირი, იმავე ან სხვა თანამდებობაზე ხელმეორედ მხოლოდ ორი წლის შემდეგ აირჩეოდა. ამავე კანონით, განისაზღვრა მაგისტრატობის შემდეგი იერარქია:[245] კვესტურა, ედილიტეტი, პრეტურა, კონსულატი. ცენზორად და დიქტატორად მხოლოდ ყოფილი კონსული დაიშვებოდა.

§2. სენატი

Senatus – სენატი; senex – სენატორი; patres – მამები; conscripti – მიწერილნი.

სენატი (*senatus*) იყო რესპუბლიკური რომის უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობითი და სათათბირო ორგანო, რომლის წევრებადაც სენატორი (*senex*) – პატრიციები (ე.წ. *patres* – მამები, რომლებსაც *clarissimi*-ც[246] ეწოდებოდათ, რაც მათ ბრწყინვალე წარმომავლობასა და ხარისხს გულისხმობდა) და სენატორი – პლებეები (ე.წ. *conscripti* – მიწერილნი) აირჩეოდნენ.[247]

სენატის კომპეტენციაში შედიოდა: ომის გამოცხადება და ზავის დადება; რელიგიური ცერემონიალის აღსრულებაზე ზედამხედველობა; საზოგადოებრივი ფინანსების განკარგვა და მხედართმთავრების დანიშვნა. ეს მოწმობს, რომ სენატის ფუნქცია მხოლოდ სათათბირო უფლებამოსილებით არ იფარგლებოდა. მაგისტრატების ხელისუფლება დროით იყო შეზღუდული, ხოლო მუდმივმოქმედი სახელმწიფო ორგანო სენატი, კომიციების მიერ მიღებულ კანონებს საკუთარი *auctoritas*-ით ამტკიცებდა, *senatusconsultum*-ით კი საკანონმდებლო საქმიანობას ახორციელებდა. სენატორთა რიცხვი პერმანენტულად იზრდებოდა და III საუკუნის დასაწყისში ათასს მიაღწია.

---

[244] lex Villia annalis – ვილიუსის კანონი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения. Москва, 1989, 199.

[245] cursus honorum – მაგისტრატობის იერარქია. იქვე, 96-97.

[246] D.27.10.5. Digesta Iustiniani. T. IV. книги XX- XXVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 773.

[247] D.1.10.12.1. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 115

§3. სახალხო კრებები

Plebiscita – პლებისციტები; consilia plebis – პლებსის კრება; magistratus maiores – უმაღლესი რანგის მაგისტრატები; magistratus minores – დაბალი რანგის მაგისტრატები; ius agendi cum populo – კომიციების მოწვევის უფლება; ius agendi cum plebe – პლებსის კრებების მოწვევის უფლება; optimates – ოპტიმატები; populares – პოპულარები; nobilitas – წარჩინებული; ordo equister – მხედართა წოდება; consul sine collega – კონსული კოლეგის გარეშე.

თავდაპირველად, მაგისტრატების არჩევა და კანონპროექტისათვის ხმის მიცემა ცენტურიის სახალხო კრების კომპეტენცია იყო. მაგრამ რეფორმების გატარებამ და მოქალაქეთა სოციალურ ჯგუფებად, შედარებით სამართლიანმა – ქონებრივი ცენზის მიხედვით დაყოფამ, ტრიბის კომიციებისათვის ცენტურიის კრებების უმაღლესი ფუნქციების ნაწილის გადაცემა განაპირობა.

მოგვიანებით, კანონის ძალის მქონე *plebiscita*-ს პლებსის კრება[248] იღებდა. უმაღლესი მაგისტრატების[249] – კონსულების, ცენზორების, პრეტორების არჩევა ცენტურიალური კომიციის კომპეტენცია იყო. ტრიბების კომიციები ყველაზე დაბალი რანგის მაგისტრატებს[250] – ედილებსა და კვესტორებს ირჩევდნენ, პლებსის კრებებზე კი – პლებსის ტრიბუნებს. პლებსის კრებებზე მაგისტრატებად მხოლოდ მოქმედი მაგისტრატების მიერ წარმოდგენილ პირებს ირჩევდნენ.

კანონპროექტისათვის ხმის მიცემის დროს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მხოლოდ მოქმედ მაგისტრატებს ჰქონდათ. სახალხო კრება უფლებამოსილი იყო მათი ინიციატივა მიეღო ან საერთოდ უარეყო. მათ მისი შეცვლა, შევსება ან ნაწილობრივ მიღება, არ შეეძლოთ. კომიციების მოწვევის უფლება[251] უმაღლეს

[248] consilia plebis – პლებსის კრება. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 49.

[249] magistratus maiores – უმაღლესი მაგისტრატები. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 49.

[250] magistratus minores – დაბალი რანგის მაგისტრატები. იქვე.

[251] ius agendi cum populo – კომიციების მოწვევის უფლება. იქვე.

მაგისტრატებს, ხოლო პლებსის კრებების[252] – პლებსის ტრიბუნებს ჰქონდათ.

სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების დასრულებისთანავე, რომმა აქტიური დაპყრობითი ომების პოლიტიკა დაიწყო, რის შედეგადაც იმ დროისათვის ცნობილ, თითქმის მთელ გეოგრაფიულ სივრცეზე გაბატონდა. მეორე პუნიკური ომის შემდეგ (ქრ. შობამდე 220 წ.), დაახლოებით ქრ. შობამდე 168 წ. მიმდინარე ომების შედეგად, რომის სახელმწიფო მსოფლიო იმპერია გახდა. ქრ. შობამდე II საუკუნიდან რომის სახელმწიფო წყობილება, ახალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებით განპირობებულმა, ღრმა კრიზისმა მოიცვა. უპირველეს ყოვლისა, ძველი *civitas*-ის ადმინისტრაციული ორგანოები მსოფლიო იმპერიის მმართველობის სფეროში წამოჭრილ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა. უმაღლეს თანამდებობაზე ხანმოკლე ვადით პირთა არჩევა სახელისუფლო სტრუქტურებს არაეფექტურს ხდიდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე დაპყრობილი პროვინციების სამხედრო მმართველობას ეხებოდა. სახელმწიფოს კონსტიტუციურ მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა, ერთი მხრივ, ძველი სენატორული არისტოკრატიასა და სავაჭრო ოპერაციებით გამდიდრებული მხედართა წოდებას შორის დაპირისპირება და მეორე მხრივ, ოპტიმატებისა[253] და პოპულარების[254] ურთიერთქიშპი. პრიმიტიულ აგრარულ ეკონომიკას სწრაფად ენაცვლებოდა მონების შრომაზე დამყარებული ინტენსიური ლატიფუნდისტური მეურნეობა. გამუდმებული ომების შედეგად საკუთარ მიწებს კარგავდა წვრილ მესაკუთრეთა ფენა – ჯარისა და სახალხო კრებების მთავარი წყარო. ამის შესახებ მოგვითხრობს პლუტარქეს „ბიოგრაფიების" ის თავი, რომელიც ტიბერიუს გრაკქუსის მოღვაწეობას ეძღვნება. კერძოდ, ეტრურიის ველების შემოვლისას, მან აღმოაჩინა, რომ გლეხების მიერ მიტოვებული მიწის ნაკვეთების დიდ ნაწილს სენატორული არისტოკრატიის მონები ამუშავებდნენ. აღნიშნული ვითარება მორალური სიმტკიცის დაქვეითებაზე მეტყველებდა. პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი სრულუფლებიან მოქალაქეთა რაოდენობისა და დაპყრობილი ტერიტორიების (პროვინციების)

[252] ius agendi cum plebe – პლებსის კრებები.
[253] optimates – ოპტიმატები. იქვე, 50.
[254] populares – პოპულარები. იქვე.

მოსახლეობის რაოდენობის დისპროპორციის შეუქცევადი გაზრდაც იყო. კრიზისული პერიოდის სხვა ეპიზოდთა შორის ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ძმები გრაქჰუსების მიერ შეთავაზებული აგრარული რეფორმა. ამ მოვლენამ სახელმწიფოში მძვინვარე პოლიტიკური ქიშპი კიდევ უფრო გაამწვავა.

პოლიტიკური სიმშვიდის რღვევის კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს შეურიგებელი დაპირისპირება მმართველ ოლიგარქიასა (სენატორული *nobilitas*) და მხედართა წოდებას[255] შორის. სამხედრო ბელადებსა და სენატს შორის დაუსრულებელმა კონფლიქტმა ერთპიროვნული ხელისუფლების კრიზისი განაპირობა. რომის სახელმწიფო სისტემა საჭიროებდა სიახლეს, პოლიტიკურ ანუ კონსტიტუციურ რეფორმას ან ანტიკონსტიტუციურ ქმედებას – სახელმწიფო გადატრიალებას. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გაიუს მარიუსმა გადადგა. რომაული ჯარის შემადგენლობაში, დაქირავებული ჯარის ნაწილების შეყვანით მან კონსულობა მოიპოვა. ქრ. შობამდე 104-100 წწ. სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ, კორნელიუს სულამ, განუსაზღვრელი ვადით, თავი დიქტატორად გამოაცხადა და სენატორული ოლიგარქიის რეჟიმის აღდგენა დაიწყო. პლებსის ტრიბუნების გავლენის შემცირების მიზნით, მან აღადგინა ძველი პრინციპი, რომლის თანახმადაც, პლებსის კრების გადაწყვეტილებას კანონის ძალა მხოლოდ სენატის მიერ დამტკიცების შემდეგ ენიჭებოდა. მან ტრიბუნს ჩამოართვა სხვა მაგისტრატურის დაკავების უფლება, ხოლო *veto*-ს უფლება გაავრცელა იმ საჩივრებზე, რომელსაც, შეურაცხყოფის მსხვერპლად ქცეული ან მაგისტრატის მიერ, საკუთარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად, დაზარალებული მოქალაქე მოწინააღმდეგის მიმართ შეიტანდა.

სულას რეფორმები მალევე გაუქმდა. სახელმწიფო კვლავ მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა და სამოქალაქო ომის საფრთხემ მოიცვა. თავდაპირველად, პროკონსულის საგანგებო უფლებამოსილებანი მიანიჭეს პომპეუსს, რომელმაც ქრ. შობამდე 52 წ. თავი ერთპიროვნულ, „კოლეგის გარეშე" კონსულად[256] გამოაცხადა. შემდეგ

[255] ordo equister – მხედართა წოდება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 234.

[256] consul sine collega – „კოლეგის გარეშე" კონსული. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов,

კეისარის, პომპეუსისა და კრასუსის პაქტით პირველი ტრიუმვირატი შეიქმნა, რაც საჯარო ხელისუფლების გადანაწილებას ნიშნავდა. კრასუსის დაღუპვის შემდეგ ოპტიმატების ლიდერ პომპეუსსა და პოპულარების ბელად კეისარს შორის დაპირისპირებამ თავი იჩინა. პროვინციაში საკუთარ ლეგიონებთან მყოფმა კეისარმა კონსულობას ვერ მიაღწია. ასევე არ გაითვალისწინეს მისი ინტერესები, რის გამოც სახალხო კრებებში მონაწილეობაზე პლებსის ტრიბუნებს უარი ეთქვათ. ამან სენატსა და კეისარს შორის საბოლოოდ გაამწვავა დამოკიდებულება, რომელმაც, დემოკრატიული წყობილების აღდგენის საბაბით, იტალიის საზღვარი გადმოლახა. მის წინააღმდეგ ოლიგარქიული რეჟიმის დამცველმა პომპეუსმა გაილაშქრა. გამარჯვების მოპოვების შემდეგ, კეისარმა ცეზალპიური გალიის, სიცილიისა და სხვა პროვინციების მკვიდრთ რომის მოქალაქეობა უბოძა, რითაც მათ სწრაფ რომანიზაციას შეუწყო ხელი. რამდენიმე წლის განმავლობაში კონსულად, ცენზორად, მუდმივ დიქტატორად არჩეულმა კეისარმა ტრიბუნის ძალაუფლება[257] კანონდარღვევით მიინიჭა. კეისარი გრძნობდა სახელმწიფო რეფორმების გატარების აუცილებლობას, რის გამოც, მოძველებული სახელმწიფო სისტემის რეორგანიზების მიზნით, გადამჭრელი ზომები მიიღო. კეისრის რეფორმები ოქტავიანეს გარდაქმნების დასაწყისად მიიჩნევა. რომის იმპერიის უზენაესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა[258] დიქტატორმა იგდო ხელთ. მთელი იმპერიის ადმინისტრაციული მმართველობა კი იტალიური მოდელის შესაბამისად, *lex Iuliae municipalis*-ის[259] საფუძველზე გარდაიქმნა. კეისრისათვის *imperator perpetuum* წოდების მინიჭებამ მაგისტრატებზე, სენატსა და სახალხო კრებებზე მისი უზენაესი ხელისუფლება განამტკიცა. ქრ. შობამდე 44 წლის მარტის თვის დღესასწაულის – იდების[260] დროს, კეისრის

Москва, Статут, 2005, 52.

[257] tribunicia potestas – ტრიბუნის ძალაუფლება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 315.

[258] gestio rei publicae – იმპერიის უზენაესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 53.

[259] lex Iuliae municipalis. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 64.

[260] ides, idus – ძველრომაული კალენდრის მიხედვით, მარტის, მაისის, ივლისის, ოქტომბრის მეთხუთმეტე დღის და ყველა დანარჩენი თვის – მეცამეტე დღის

რეფორმატორული და მმართველობითი დიქტატორული ხელისუფლება დაემხო. თუმცა კეისრის მკვლელებმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს: წარსულის დაბრუნება, სენატორული ოლიგარქიის ბატონობის აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. მარკუს ანტონიუსის, ოქტავიანესა და ლიპიდუსის შემადგენლობით ახალი ტრიუმვირატი შეიქმნა. ქრ. შობამდე 31 წელს აქციუმის კონცხთან (საბერძნეთი), მარკუს ანტონიუსთან ბრძოლაში, ოქტავიანემ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა და სახელმწიფოს ახალ პოლიტიკურ წყობას – პრინციპატს ჩაუყარა საფუძველი.

III. მსოფლიო იმპერია (ქრ. შობის I-V სს.)

§1. პრინციპატი (Principatus)

Princeps – პირველი; restaurator rei publicae – რესპუბლიკის ამაღორძინებელი; res gestiae divi Augusti – ღვთაებრივი ავგუსტუსის მმართველობა; consensus universorum – მოქალაქეთა საყოველთაო თანხმობა.

მას შემდეგ, რაც ოქტავიანემ კეისრის მკვლელები დასაჯა და საკუთარი მტრებიც დაამარცხა, რომის ისტორიაში ახალ პოლიტიკურ სისტემას მიეცა დასაბამი. ძველ რესპუბლიკური პოლიტიკურ წყობას ახალი სახელმწიფოებრივი რეჟიმი მხოლოდ გარეგნულად უთანაბრდებოდა. თანამედროვე ტერმინოლოგიის თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო რესპუბლიკური წყობის არა რევოლუციური დამხობა, არამედ მისი თანდათანობითი რეფორმირება. ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარებისა და მისი კონსოლიდაციის პერიოდში, ავგუსტუსის ძირითადი მიზანი რესპუბლიკის აღდგენა[261] გახლდათ. ავტობიოგრაფიაში *Res gestiae divi Augusti* ავგუსტუსი წარმოგვიდგება იმ ახალგაზრდა მხედართმთავრად, რომელმაც ჯარი საკუთარი სახსრებით დაიქირავა, რა-

დასახელება. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, 1996,191.

[261] restaurator rei publicae – რესპუბლიკის აღდგენა, აღორძინება. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 53.

თა „შეთქმულთა მირ ჩაგრული სამშობლო გაეთავისუფლებინა". (ავტობიოგრაფიული ხასიათის ჩანაწერები ანკარასა და ანტიოქიაში აღმოჩენილმა წარწერებმა შემოგვინახა. ხსენებული მემუარები ავგუსტუსმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერა. შესაძლოა, ჩანაწერები ამოტვიფრული ყოფილიყო იმ მარმარილოს ფილებზე, რომლებითაც მარსის ველზე აღმართული მისი მავზოლეუმი მოაპირკეთეს). მარკუს ანტონიუსის დასამარცხებლად სენატმა ოქტავიანეს პრეტორის *imperium*-ი უბოძა და სენატში მიიღო. ქრ. შობამდე 43 წ. ოქტავიანე კონსულად აირჩიეს, ხოლო ქრ. შობამდე 32 წელს „იტალიასა და პროვინციებში" შეთქმულთა წინააღმდეგ საბრძოლველად[262] განსაკუთრებული უფლებამოსილებანი მიანიჭეს. მოქალაქეთა საყოველთაო თანხმობით,[263] ქრ. შობამდე 31 წელს მოპოვებული გამარჯვების ნიშნად, ოქტავიანეს რესპუბლიკის აღმაღორძინებელი უწოდეს. ამიერიდან, მას ყოველწლიურად ირჩევდნენ კონსულის თანამდებობაზე, ხოლო პრივილეგიის ნიშნად სენატში *princeps*-ობა (პირველი სენატორი) უბოძეს. ქრ. შობამდე 27 წლის 13 იანვარს, სენატის საზეიმო სხდომაზე ოქტავიანემ განაცხადა, რომ ამიერიდან დაასრულებდა მშვიდობისმყოფელ მისიას, სახელმწიფო საქმეებზე უარს იტყოდა და მთელ ძალაუფლებას რომაელ ხალხსა და მის სენატს გადასცემდა. სენატის დაჟინებული მოთხოვნით, ოქტავიანემ „გულმოწყალება გამოიჩინა" და კონსულობის შენარჩუნებასა და განდგომილი პროვინციების დასამორჩილებლად მინიჭებულ საგანგებო *imperium*-ზე, თანხმობა განაცხადა. სენატმა მას *Augustus* წოდება მიანიჭა, რის შედეგად ოქტავიანეს *Imperator Caesar Augustus*-ს უწოდებდნენ. *Imperator* სამხედრო მეთაურს ნიშნავდა (ამ წოდებით ლეგიონები მხედართმთავარს მიმართავდნენ). *Caesar* – მისი შვილადამყვანის, იულიუს კეისრის სახელი იყო. *Augustus* – რომის ახალდამაარსებელი, ანუ ახალი რომულუსი (ქალაქის დაარსებასთან დაკავშირებული რელიგიური რიტუალი *augustum*, *augurium*) იყო. სენატის მიერ მიღებულ

---

[262] coniuratio Italiae et provinciarum – „იტალიასა და პროვინციებში" შეთქმულთა წინააღმდეგ ბრძოლის გამომხატველი ტერმინი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 86.

[263] consensus universorum – მოქალაქეთა თანხმობა. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 54.

პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე თავად ავგუსტუსი წერდა: „ამიერიდან, საკუთარი *auctoritas* წყალობით, მე ყველაზე მაღლა ვიდექი, თუმცა ჩემი *potestas*, მაგისტრატურაში მოღვაწე, კოლეგების ძალაუფლებას არ აღემატებოდა". სწორედ *auctoritas* წყალობით, ანუ ყველას მიერ აღიარებული პირადი პრესტიჟის და არა *potestas*, ანუ მაგისტრატის ხელისუფლების საფუძველზე, მიღწეულ იქნა კომპრომისი მმართველობის ახალ, ავტორიტარულ წესსა და სახალხო-არისტოკრატიულ-რესპუბლიკურ რეჟიმს შორის. თ. მომზენის მტკიცებით, პრინციპატი, როგორც ორხელისუფლებიანობა, იყო ისეთი რეჟიმი, რომლის დროსაც ძალაუფლება გამიჯნული იყო პრინცეფსსა და სენატს შორის. აქედან გამომდინარე, ავგუსტუსს საუკეთესო წესრიგის ფუძემდებელი[264] უწოდეს.

სახელმწიფო ხელისუფლების ახალი მოწყობის პირობებში პრინცეფსს *imperium proconsulare maius et infinitum* და *tribunicia potestas*[265] მიენიჭა. პირველი წოდებით ჯარის უზენაესი მხედართმთავრობა და საიმპერიო პროვინციების მმართველობის უფლება იგულისხმებოდა. *Tribunicia potestas*-ით კი, პრინცეფსს მაგისტრატების მიერ გამოცემულ ნებისმიერ აქტზე, *veto* (*intercessio*) დადების შესაძლებლობას და პლებსის სახალხო კრებების მოწვევის უფლებას[266] ანიჭებდა. მოგვიანებით, ქრ. შობამდე 44 წ. კეისრის მიბაძვით, ოქტავიანემ პლებსის ტრიბუნის თანამდებობაზე, დადგენილი პროცედურის გარეშე, საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. თუმცა მარკუს ანტონიუსის პროტესტის გამო, ტრიბუნის თანამდებობაზე ოქტავიანეს უარი ეთქვა. ქრ. შობამდე 36 წ. ოქტავიანეს პლებსის ტრიბუნის ღვთაებრივი ხელშეუვალობა[267] მიენიჭა, ხოლო 30 წელს – ტრიბუნის სამისდღეშიო ძალაუფლება.[268] მან ტრიბუნის უფლებამოსილებას პროკონსულის თანამდებობა[269] შეუთავსა, რითაც

---

[264] optimi status auctor – წესრიგის ფუძემდებელი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 53.

[265] imperium proconsulare maius et infinitum და tribunicia potestas.იქვე, 54.

[266] ius agendi cum plebe – პლებსის სახალხო კრების მოწვევის უფლება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 315.

[267] sacrosanctitas – ხელშეუვალობა. იქვე.

[268] tribunicia potestas vitalicia – ტრიბუნის სამისდღეშიო ძალაუფლება. იქვე.

[269] imperium proconsulare – პროკონსულის თანამდებობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 147.

უძველესი და მყარად მოქმედი პრინციპი დაირღვა: ერთი პირის ხელში სამოქალაქო[270] და სამხედრო[271] ხელისუფლების შეთავსების დაუშვებლობა. რომში შესვლის დროს, პროკონსულებისაგან განსხვავებით, პრინცეფსს ჯარის სარდლობის უფლებამოსილების მოხსნა არ მოეთხოვებოდა. ტიბერიუსის დროიდან მოყოლებული, პრინცეფსს ტრიბუნის ხელისუფლების გავრცელება მთელი იმპერიის ტერიტორიაზე შეეძლო. ქრ. შობის II საუკუნიდან ტრიბუნებს აღარ ირჩევდნენ. თუმცა ცნობები ამ თანამდებობის შესახებ IV და V საუკუნეებში გამოცემულ იმპერატორთა კონსტიტუციებშია შემორჩენილი.

შიდასახელმწიფოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის დამკვიდრების შემდეგ, ავგუსტუსის მოღვაწეობით პროვინციების რომანიზაციის ხანგრძლივ პროცესს მიეცა დასაბამი. მან ეგვიპტე რომაელი ხალხის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, ხოლო მისი მმართველობა საკუთარ თავზე აიღო. რომის მოქალაქის საპატიო მდგომარეობისა და მისი უფლებების გათვალისწინებით, ავგუსტუსი პროვინციის მცხოვრებლებს რომის მოქალაქის ტოლფას უფლებებს ინდივიდუალურად ანიჭებდა. პროვინციებში კი რომის მსგავს მმართველობის სისტემას ამკვიდრებდა. ყველაზე მდიდარ პროვინციებს, მათი შემორიგების საბაბით, პრინცეფსი უშუალოდ საკუთარ ხელისუფლებას უქვემდებარებდა (საიმპერატორო პროვინციები), ხოლო დანარჩენი პროვინციები სენატის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში (სენატის პროვინციები) რჩებოდნენ.

პროვინციების პირველ სახეობას ავგუსტუსის ლეგატი-პროპრეტორები[272] მართავდნენ, მეორეს – პროკონსულები. თუმცა თითოეულ მათგანს თანამდებობაზე პრინცეფსი ნიშნავდა. მუნიციპალური მმართველობის რეჟიმსაც[273] რომაული სტრუქტურა ჰქონდა: მაგისტრატები, სენატი, კომიციები. მუნიციპალური საბჭოები[274] 100 წევრისაგან შედგებოდა. ისინი ყოფილი მაგისტრა-

---

[270] imperium domi – სამოქალაქო ხელისუფლება. იქვე.

[271] imperium militiae – სამხედრო ხელისუფლება. იქვე.

[272] legati Augusti pro praetore – პროვინციების პირველი სახეობის მმართველები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 200.

[273] municipia – მუნიციპალური მმართველობის რეჟიმი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 220.

[274] ordo decurionum – მუნიციპალური საბჭოები. იქვე.

ტების რიგებიდან აირჩეოდნენ. საქმიანობის კოლეგიალური წესით წარსამართავად მაგისტრატებს მუნიციპიებში ერთი წლის ვადით ირჩევდნენ.

პრინციპატის პერიოდში იმპერიული ბიუროკრატია ჩამოყალიბდა. პრინცეფსმა საკუთარი უფლებამოსილებანი თანამდებობის პირებს იერარქიულობის მიხედვით გადასცა, რომლებიც საქმიანობის საფასურად გასამრჯელოს იღებდნენ. ყველაზე დიდი გავლენითა და ძალაუფლებით პრეტორები სარგებლობდნენ: 1. სამხედრო ფუნქციებით აღჭურვილი, *praefectus praetorio*[275] იმპერატორის პირად გვარდიას სარდლობდა; 2. რომში პოლიციასა და სისხლის სამართლის სასამართლოს *praefectus urbi*[276] ხელმძღვანელობდა; 3. ღამის საათებში სიმშვიდის უზრუნველმყოფ სამსახურს *praefectus vigilum*[277] ხელმძღვანელობდა. მასვე ექვემდებარებოდა ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური; 4. სურსათით უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს – *praefectus annonae*, ბაზრების კონტროლიც ევალებოდა; 5. საფოსტო სამსახურის უფროსი *praefectus vehiculorum* იყო.

იმპერატორის პირადი კანცელარიის[278] ძირითადი ფუნქციები იყო: იმპერატორის სახელით ოფიციალური მიმოწერა, იმპერატორის ქონების განკარგვა, საკადრო საკითხების გადაწყვეტა, პრინცეფსის იურისდიქციას დაქვემდებარებულ სასამართლო დავათა განხილვა. შესაბამისად, იმპერატორის კანცელარია (*scrinia*) ოთხ განყოფილებად იყოფოდა: 1. *ab epistulis* – პრინცეფსის ოფიციალური კორესპონდენციის განყოფილება; 2. *a rationibus* – იმპერატორის ქონების მართვის განყოფილება; 3. *a cognitionibus* – პრინცეფსის იურისდიქციას დაქვემდებარებული სასამართლო

[275] praefectus praetorio – D.1.11. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 116-117.

[276] praefectus urbi – D.1.12. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 118-120.

[277] praefectus vigilum – D.1.15. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 123-125.

[278] scrinia – იმპერატორის პირადი კანცელარია. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 56; Дождев Д.В., Римское частное право. Москва Норма. 2003, 40.

დავების განმხილველი განყოფილება; 4. *a libellis* – არზებისა და აჯების განმხილველი განყოფილება.

იმპერატორ ადრიანეს მმართველობის დროს სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზაციის პროცესი დასრულდა. შეიქმნა საიმპერატორო საბჭო,[279] ანუ განსაკუთრებული სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში მაღალჩინოსანი მოხელეები და გამოჩენილი იურისტები შედიოდნენ. (ამრიგად, პრინციპატი იყო შენიღბული, შელამაზებული რომაული იმპერია, რომლის დროს, რესპუბლიკური პერიოდის სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები არსებობას ფორმალურად განაგრძობდნენ, თუმცა რეალური ძალაუფლება მხოლოდ პრინცეფსისა და მისი უახლოესი გარემოცვის ხელში იყო თავმოყრილი.)

ახალი რეჟიმის ყველაზე რთული საკითხი, ქვეყნის პირველი პირის ხელისუფლების მემკვიდრეობითობის პრობლემა, ვერც ავგუსტუსის პოლიტიკურმა გენიამ გადაწყვიტა და ვერც მისი მემკვიდრეების გონიერებამ. ქარიზმატულობის ტრადიციული რწმენისა და *rex*-ის დროს ტახტის მემკვიდრეობითობის დინასტიური ფორმისადმი რომაელთა სიძულვილის გამო, ხელისუფლების მონაცვლეობის პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი იყო და მუდმივ პოლიტიკურ კრიზისებსა და გადატრიალებებს უწყობდა ხელს.

კონკრეტული ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, საიმპერატორო ტახტის მემკვიდრის დანიშვნა სამი წესით ხდებოდა: 1. იმპერატორის მიერ მის სიცოცხლეშივე მემკვიდრის დანიშვნა, ანუ *cooptatio*; 2. სენატის შეხედულებისამებრ მემკვიდრეს დანიშვნა; 3. ლეგიონების მიერ ამა თუ იმ პირის იმპერატორად გამოცხადება. როგორც წესი, პრინცეფსები მემკვიდრედ შვილადაყვანილს ასახელებდნენ. მაგალითად, კეისარმა მემკვიდრედ ოქტავიანე დაასახელა. სენატი იმპერატორის არჩევანს ყოველთვის არ ეთანხმებოდა. თუმცა, ავგუსტუსის მემკვიდრე „დინასტიებში", ხშირი იყო ინსტიტუციური კრიზისი, რის გამოც იულიუს-კლავდიუსების დინასტიის რამდენიმე იმპერატორი – ტიბერიუსი, კალიგულა, კლავდიუსი საკუთარი ნათესავებისა და პრეტორიანელთა მსხვერპლი გახდა; სხვებმა – მაგალითად, ნერონი – სიცოცხლე თვითმკვლელობით

[279] consilium principis – საიმპერატორო საბჭო. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 39; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 56.

დაასრულეს. ფლავიუსებსა და ვესპასიანეს ლეგიონები უჭერდნენ მხარს. ტიტუსის გარდაცვალების შემდეგ, ლეგიონერებმა იმპერატორის ტახტზე დასვეს დომიციანე, რომელმაც ასევე ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. ანტონინუსების დინასტიის იმპერატორებმა – ნერვამ, ტრაიანემ, ადრიანემ, ანტონინუს პიუსმა, მარკუს ავრელიუსმა და კომოდუსმა იმპერიის განდიდებით, მშვიდობის დამყარებითა და შვილადაყვანის სისტემის მკაცრი დაცვით (ყველამ არა) გაითქვეს სახელი. როდესაც იმპერატორი აღნიშნულ პრინციპს უგულებელყოფდა და მამიდან შვილზე, ტახტის მემკვიდრეობას ანიჭებდა უპირატესობას, სახელმწიფოში კვლავ პოლიტიკური კრიზისი და ანარქია ისადგურებდა. სწორედ ასე მოხდა მაშინ, როცა მარკუს ავრელიუსმა ტახტის მემკვიდრედ საკუთარი ვაჟიშვილი – კომოდუსი დაასახელა, რომელიც თავისივე ტირანული მმართველობის მსხვერპლი შეიქნა. ალექსანდერ სევერუსის მკვლელობის შემდეგ, სახელმწიფო ხანგრძლივმა პოლიტიკურმა კრიზისმა და ანარქიამ მოიცვა, რამაც პრინციპატის ეპოქას ბოლო მოუღო.

§2. დომინატი (Dominatus)

დომინატის სახელით ცნობილი ახალი პოლიტიკური სისტემის ეპოქაში, პრინცეფსი[280] მბრძანებლად[281] იქცა, ხოლო მოქალაქეები (*civis*) ქვეშევრდომები[282] გახდნენ.

დომინატის დროს იმპერატორი აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მმართველი იყო. სახელმწიფოში დამკვიდრებული სისტემა, პრინციპატის ავტორიტარული დემოკრატიიდან დომინატის პერიოდის აბსოლუტურ და თვითმპყრობელურ მონარქიამდე, რომის

[280] princeps – სენატორთა შორის პირველი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 258; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 57; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 38-39.

[281] dominus – მბრძანებელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989,113; 57; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 57; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 66-67.

[282] subditi – ქვეშევრდომები. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 57.

პოლიტიკური სისტემის ხანგრძლივი ევოლუციის შედეგი იყო.

ქვეყანაში მმართველობის ახალი პრინციპები III საუკუნეში, სახელმწიფოს მმართველობის სისტემის უმწვავესი კრიზისის დროს შემოიღეს, რასაც ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ცვლილებები კიდევ უფრო აღრმავებდა. აღნიშნული ვითარება პრიმიტიული აგრარული ეკონომიკის, მძიმე საგადასახადო სისტემისა[283] და სასოფლო რაიონების მუდმივი დანაწევრების სრული კრახის შედეგი იყო. ფულადი ერთეულის ემისიას გამუდმებით მიმართავდნენ კარაკალა და სხვა იმპერატორები. თუმცა სახელმწიფოში მძვინვარე ინფლაციას ეს ვერ შველოდა. საყოველთაო სიღარიბისა და სულიერ ფასეულობათა ღრმა კრიზისის ვითარებაში, სახელმწიფოში გადამწყვეტი მნიშვნელობა პოლიტიკურ ფაქტორებს ენიჭებოდა. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, სამხედრო არისტოკრატიის უზომო ბატონობა. მათ პოლიტიკოსებს საკუთარი ნება თავს მოახვიეს და ფაქტობრივად, მმართველობის ყველა სფეროში თვითნებობა დაამკვიდრეს. ქვეყნის მდგომარეობაზე უარყოფითად საგარეო ფაქტორებიც აისახებოდა, კერძოდ, ბარბაროსთა გამუდმებული შემოსევები და რომის არმიაში მათი (გერმანელების, აღმოსავლეთის ხალხისა და მომთაბარე არაბების) მიღება. კლასიკური რომაული ცივილიზაციისადმი მტრულად განწყობილმა ელემენტებმა თანდათანობით მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვეს, რაც უარყოფითად აისახა რომის სახელმწიფოზე და მისი ცივილიზაციის დაქვეითება, შემდეგ კი დაცემა გამოიწვია. 212 წელს იმპერატორმა მარკუს ავრელიუს ანტონინუს კარაკალამ მთელი იმპერიის თავისუფალ მოსახლეობას რომის მოქალაქეობა მიანიჭა, რამაც რომის მოქალაქეთა (*cives romani*) პრივილეგირებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეასუსტა. რომის მოქალაქეები რომის იმპერატორის ქვეშევრდომებად იქცნენ. რომის იმპერატორებმა, აღმოსავლური მონარქიებისათვის დამახასიათებელი, მმართველობის დესპოტური ფორმა დაამკვიდრეს. სეპტიმიუს სევერუსმა *dominus*-ის წოდება მიიღო. დიონ კასიოსის თანახმად, იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსმა საკუთარ შვილებს ანდერძად დაუბარა: „გაამდიდრეთ ჯარისკაცები და საფრ-თხეზე ნუღარ იფიქრებთ“.

ზოგმა იმპერატორმა სენატორებად ბარბაროსები დანიშნა და

---

[283] annona – Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 48.

სასახლის კარზე აღმოსავლურ-დესპოტური რიტუალები შემოიღო. 239-284 წწ. რომის იმპერია უმწვავესმა პოლიტიკურმა კრიზისმა და ანარქიამ მოიცვა, რასაც მოწმობს ის, რომ ამ დროის განმავლობაში საიმპერატორო ტახტი, ერთი მეორეს მიყოლებით, 22 პირმა დაიკავა. მათი უმრავლესობა სახელმწიფოში გამეფებულ ქაოსს შეეწირა. მშვიდობიანობის ხანმოკლე პერიოდი ილირიული წარმოშობის მხედართმთავარმა – ავრელიანემ დაამყარა. მისი ბრძანებითაც ფულის მონეტებზე მისი ტიტული – მეფე და ღმერთი (*dominus et deus*)[284] იყო ამოტვიფრული. ამით იგი აღმოსავლეთის მონარქებს ბაძავდა. მკაცრი წესრიგის დამყარებას, იმპერიის ძლევამოსილებასა და რომაული გმირული სულისკვეთების აღდგენას შეეცადა მეორე ილირიელი მხედართმთავარი დიოკლეტიანე (284-305 წწ.). მან საკუთარ ხელისუფლებას საკრალური ხასიათი მიანიჭა და მოითხოვა, რომ მისთვის იუპიტერის ვაჟი – იოვიუსი (*Iovius*) ეწოდებინათ.

რომის არმიის რეფორმირების შედეგად დიოკლეტიანემ სწრაფი რეაგირების კორპუსი – *exercitus praesentialis* შექმნა, რომელსაც მტრის შემოსევა საზღვარზევე უნდა უკუეგდო. ინფლაციის შესაჩერებლად მან ედიქტი – *edictum de rerum venalicium* გამოსცა, რომლითაც დიოკლეტიანემ პირველადი მოხმარების საგნებზე, მომსახურების სფეროს და სატრანსპორტო საშუალებებზე, მინიმალური ფასები დაადგინა. გარდა ამისა, მან მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა იმპერიული მმართველობის სფეროშიც. მან ხელისუფლების იერარქიული პირამიდა შექმნა, რომლის უმაღლესი პირი თავად იმპერატორი იყო, ე.წ. *officia palatina,*[285] ცენტრალური მმართველობის ორგანოებად იქცა, ხოლო *quaestor sacri palatii,*[286] ერთგვარად, იუსტიციის მინისტრი იყო. *magister officiorum* – პროვინციის მოხელეთა უფროსი იყო. *Comes sacrarum largitationum*-ი[287]

---

[284] dominus et deus – მეფე და ღმერთი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 58.

[285] officia palatina – დეოკლეტიანეს რეფორმით შექმნილი, ცენტრალური მმართველობის ორგანოთა სისტემა. იქვე.

[286] quaestor sacri palatii – ღვთაებრივი სასახლის მცველი. იქვე, 59.

[287] comes sacrarum largitationum – ფინანსტა მინისტრი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 77.

და *comes rerum privatarum*-ი,[288] შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსებსა და იმპერატორის ქონებას განაგებდნენ. მსხვილი საჯარისო შენაერთების მეთაურებად იმპერატორმა რამდენიმე თანამდებობა – *magistri militum* შემოიღო. ერცელი იმპერიის ფარგლებში, მმართველობის სისტემის რეორგანიზაციის მიზნით, დიოკლეტიანემ ე.წ. ტეტრარქიის სისტემა[289] შექმნა. მან იმპერია ორ ნაწილად დაყო – აღმოსავლეთ რომისა და დასავლეთ რომის იმპერიებად. ისინი, თავის მხრივ, ოთხ – აღმოსავლეთი, ილირია, იტალია და გალია პრეფექტურად[290] დაიყო. ეს უკანასკნელნი – დიოცეზებად,[291] ხოლო დიოცეზები – პროვინციებად.[292] პრეფექტურებს პრეფექტები (*praefectus*) მართავდნენ, დიოცეზებს – ვიკარიუსები[293] (*vicarius*), ხოლო პროვინციებს – რექტორები[294] (*rector*). რომში სულ 101 პროვინცია იყო. იმპერიის თითოეულ ნაწილს ავგუსტუსი (*Augustus*) მართავდა, რომელსაც მემკვიდრის შვილად აყვანა შეეძლო. ასეთ მემკვიდრეებს „კეისრები" ეწოდებოდათ. აღმოსავლეთ რომის იმპერიას დიოკლეტიანე განაგებდა, მისი რეზიდენცია ნიკომედიაში მდებარეობდა. დასავლეთ იმპერიას, რომლის დედაქალაქიც მილანი (მედიოლანი) იყო, მმართველად მაქსიმიანე დაენიშნა. მაგრამ ხელისუფლების მემკვიდრეობითობის პრობლემა ვერც ამ ღონისძიებებმა გადაჭრა. 305 წ., იმპერატორ დიოკლეტიანეს ტახტიდან ნებაყოფლობით გადადგომის შემდეგ, ხელისუფლებისათვის ბრძოლა ახალი ძალით გამწვავდა.

იმპერატორმა კონსტანტინემ, მეტოქის – მაქსენციუსის დამარ-

---

[288] comes rerum privatarum - კეისრის პირადი ქონების ზედამხედველი. D.1.19. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, თბილისი, 2012, 139-140; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 77.

[289] ტეტრარქიის სისტემა. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 59; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 67.

[290] პრეფექტურა. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 59; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003,59.

[291] დიოცეზი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 110.

[292] პროვინცია. იქვე, 263-264.

[293] ვიკარიუსი. იქვე, 326.

[294] რექტორი. იქვე, 271.

ცხებით იმპერია კვლავ გააერთიანა. იმპერატორ კონსტანტინეს, რომელიც სახელმწიფოს 307-337 წწ. მართავდა, რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინუსი ნოვატორად და უძველესი ინსტიტუტების რეფორმატორად იხსენიებს. კონსტანტინეს 313 წლის მილანის (მედიოლანის) ედიქტით – „ქრისტიანული რელიგიის მიმართ რჯულშემწყნარებლობის შესახებ“, ქრისტიანობა თანდათანობით იმპერიის ოფიციალურ რელიგიად, ხოლო ღვთაებრივი სამართალი – მონარქიის პოლიტიკურ საყრდენად იქცა. სახელმწიფოს დედაქალაქი კონსტანტინემ ბიზანტიონში გადაიტანა, რომელსაც მოგვიანებით კონსტანტინოპოლი ეწოდა. კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, მისმა ვაჟებმა იმპერია კვლავ ორ ნაწილად გაყვეს. 395 წ., როცა იმპერატორმა თეოდოსიუს I-მა სახელმწიფოს აღმოსავლეთი ნაწილის მართვა თავის ერთ ვაჟიშვილს – არკადიუსს, ხოლო დასავლეთი ნაწილის კი – მეორე ვაჟს, ჰონორიუსს დაავალა. იმპერიის გაყოფა საბოლოოდ დასრულდა. დასავლეთ რომის იმპერია ბარბაროსთა გამუდმებულ შემოსევას განიცდიდა. 476 წ. ბარბაროსების სამხედრო ბელადმა – ოდოაკრმა დასავლეთ რომის უკანასკნელი იმპერატორი რომულუს ავგუსტულუსი დაამხო, რითაც დასავლეთ რომის იმპერიის ისტორია დასრულდა.

აღმოსავლეთ რომის – ბიზანტიის იმპერია კიდევ თითქმის 1000 წლის განმავლობაში განაგრძობდა არსებობას და ის დაეცა თურქოსმალოთა შემოსევისა და 53-დღიანი ალყის შედეგად, იმპერიის დედაქალაქის – კონსტანტინოპოლის, დაკავების შემდეგ, 1453 წლის 28 მაისს.

ბიზანტიაში ვითარდებოდა რომის სამართალი, რომელმაც განვითარების მწვერვალს იმპერატორ იუსტინიანე I დიდის (*Magnus*) მმართველობის დროს (527-565 წწ.) მიაღწია.

იუსტინიანე დაიბადა ილირიის პროვინციაში (რომელმაც იმპერიას რამდენიმე იმპერატორი მისცა) ტერენსიუმის მხარეში, გლეხი საბაციუსის ოჯახში. იუსტინიანე მთიელისა და მიწათმოქმედისათვის დამახასიათებელი სულიერი სიმტკიცით გამოირჩეოდა. იგი ბიზანტიონში ჩამოიყვანა და აღზარდა ბიძამ (დედის ძმამ) – იუსტინემ, რომელიც იმპერატორ ანასტასიოსის გვარდიაში მსახურობდა. ანასტასიოსის გარდაცვალების შემდეგ, ტახტი იუსტინემ დაიკავა. მან თანამმართველად დისშვილი დანიშვნა და იუსიტინიანეც უწოდა. იუსტინიანემ ცირკის მოცეკვავე ქალ – თეოდორაზე

იქორწინა, რომელსაც იუსტინემ, დისშვილთან ერთად, *Augusta*-ს ტიტული უბოძა. იუსტინიანეს სანუკვარი ოცნება რომის იმპერიის ძველი დიდებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იყო. იუსტინიანეს მმართველობის მკვიდრი საყრდენი ქრისტიანული იდეოლოგია და სამართლებრივი „კლასიციზმი" იყო.

თავი IV. უფლებათა დაცვა

I. სასამართლო ორგანიზაცია ძველ რომში

რომში სასამართლო სახელმწიფო ორგანოდ შედარებით გვიან იქცა. ამ მხრივ საწყისია ქრ. შობამდე 149 წელი, როდესაც ადრე არსებული *decemviri stlitibas iudicandis*[295]-ის პარალელურად, მუდმივი სასამართლოები – *Quaestiones perfectuae*[296] დაარსდა. დეცემვირების სასამართლოს დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა. მათი მეშვეობით მხოლოდ მოქალაქეობასა და თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეები განიხილებოდა.

ადრეულ ხანაში, აგრეთვე 105 მსაჯულის შემადგენლობით ცენტუმვირების სასამართლო[297] არსებობდა. მათ ტრიბების მიხედვით, თითოეული ტრიბადან სამ-სამი კაცის ოდენობით ირჩევდნენ. ისინი, ძირითადად, მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ დავებს განიხილავდნენ. ამგვარად, ძველ რომში მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული სადავო საქმეების განხილვას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მუდმივი სასამართლო პროვინციებში გამოძალვისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ კანონის (*crimen repetundarum*) საფუძველზე შეიქმნა. შემდგომში, ამ სასამართლოების განსჯადობას „რომის ხალხის დიდების შეურაცხყოფის" საქმეები დაექვემდებარა. ეს უკანასკნელი, სახელმწიფო ღალატს გულისხმობდა. ამავე სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა: მკვლელობის, ძალადობის, სიყალბის, არჩევნების დროს ამომრჩეველთა მოსყიდვის, სახაზინო ქონების ქურდობის საქმეებიც.

სულას დიქტატორული მმართველობის დროს, სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩამდენთა სათანადოდ დასჯის მიზნით, მრავალი მკაცრი კანონი გამოიცა. აღნიშნულ საქმეთა განსახილველად ცალკეული სასამართლოებიც შეიქმნა.

თავდაპირველად, მოსამართლეები საზოგადოების უმაღლესი

---

[295] decemviri stlitibas iudicandis. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 101.

[296] Quaestiones perfectuae. იქვე, 266.

[297] centumviri. იქვე, 66.

ფენის წარმომადგენლები იყვნენ. პირველი მოსამართლეები უმაღლესი ქურუმები – პონტიფიკოსები გახლდნენ. ისინი, ძირითადად, სენატორთა ფენას განეკუთვნებოდნენ. ცნობილმა გაიუს გრაკქუსმა სასამართლოებში მოღვაწეობის ნება მხედართა წოდების წარმომადგენლებსაც დართო. მალე სასამართლოები, უპირატესად, მხედრების ხელში აღმოჩნდა. ქრ. შობამდე 70 წლამდე რომის საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლები სასამართლოებში მონაწილეობის უფლების მისაღებად ბრძოლას განაგრძობდნენ. საბოლოოდ, იმას მიაღწიეს, რომ მოსამართლეებს სენატორების, მხედრების და ტრიბუნთა ფენიდან ირჩევდნენ. ყოველ წელს პრეტორი რამდენიმე ასეული კაცის სიას ადგენდა. სასამართლო პროცესი ამ სიის მიხედვით უნდა გამართულიყო. ფიცის მიღების შემდეგ, მაგისტრატი რამდენიმე ათეულ მოსამართლეს ნიშნავდა. ამ დროს სახელმწიფო-საჯაროობის საწყისი სასამართლო პროცესზე ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. სამართალში მიცემა კვლავინდებურად კერძო საქმედ ითვლებოდა. ესა თუ ის პირი პრეტორს თხოვნით მიმართავდა, რომ სასამართლო პროცესზე ბრალმდებლის სახით დაეშვათ. რა თქმა უნდა, მას ბრალდებულის ვინაობაც უნდა დაესახელებინა. ბრალდებულს დაკითხვისათვის იძახებდნენ. სასამართლო პროცესზე საქმის განხილვა-გამოძიება დაახლოებით 30-100 დღის შემდეგ ინიშნებოდა.

სასამართლოზე როგორც ბრალდებულის დასაცავ, ისე მის წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვებს ისმენდნენ. ხდებოდა მოწმეთა დაკითხვა და წარმოდგენილი საბუთების განხილვა. მხოლოდ ამის შემდეგ, ხმათა უმრავლესობით გამოჰქონდათ განაჩენი. გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში ბრალდებულს მკაცრ სასჯელს უფარდებდნენ. ძველი ჩვეულების თანახმად, ბრალდებულს სახალხო კრებისადმი აპელირების (*provocatio*) უფლება ეძლეოდა. სასამართლო განხილვის დროს პროცესზე მონაწილედ პლებსის ტრიბუნიც დაიშვებოდა.

მწვავე პოლიტიკური ვითარების გამო, ბრალმდებელის და ბრალდებულის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, მოსამართლეთა სიმპათია და ანტიპათია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. ამის გამო სასამართლოები, მეტწილად, პოლიტიკური კონფლიქტების განმხილველის ფუნქციას ასრულებდნენ.

სასამართლოს სტატუსის განსაზღვრაზე დიდი გავლენა რომის

სახელმწიფოს მონარქიზაციის შემდგომმა პროცესმა მოახდინა. თუ რესპუბლიკის პერიოდში საქმეებს მაგისტრატების მიერ დანიშნული მოსამართლეები განიხილავდნენ, მართლმსაჯულების ფუნქციები, თანდათან, თავად სახელმწიფო თანამდებობის პირების – პრეტორების, ხელში აღმოჩნდა და წარმოიშვა *extra ordinem* -სასამართლო პროცესის ახალი სახე.

ქრ. შობის II საუკუნის იურისტის სექსტუს პომპონიუსის ჩამონათვალში მოცემულია იმ თანამდებობის პირთა სია, რომელთაც გასამართლების უფლება ენიჭებოდათ. მართლმსაჯულებას რომში პლებეების 10 ტრიბუნი, 18 პრეტორი, 6 ედილი ახორციელებდა.[298] რომის იმპერიის პროვინციებში მოსამართლის ფუნქციას პრესიდები[299] (*praesidis* – თავი, თავმჯდომარე – მეფისნაცვლები და მათი მოადგილეები) ასრულებდნენ.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი საქმის, მაგალითად, სახაზინო საქმიანობასთან დაკავშირებული დარღვევის გარჩევა სახაზინო და საიმპერატორო ქონების მმართველ მოხელესაც შეეძლო.[300] ქალაქებში მოსამართლის ფუნქცია დაკისრებული ჰქონდათ დუოვირებს,[301] რომელთაც სამთავრობო მოხელეები უფლებებს თანდათანობით უზღუდავდნენ. რომში საზოგადოებრივი ინტერესების კერძო დაცვის პრაქტიკაც არსებობდა. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად რომის ყველა მოქალაქეს ბრალმდებლად გამოსვლის უფლება ჰქონდა. ჯარისკაცებსა და უფლებააყრილებს[302] ასეთი უფლებები არ გააჩნდათ. ისეთი სახის საქმეების შემთხვევაში, რომლებიც მისი „უდიდებულესობის შეურაცხყოფას" ეხებოდა, ბრალმდებლებად გამოსვლა ჯარისკაცებს, ქალებსა და

---

[298] D.1.2.29-34. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი. 2012, 71-72.

[299] D.1.8.1-21. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი. 2012, 132-141.

[300] D.1.9.1-3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი. 2012, 139-140.

[301] duoviri – დუოვირი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 114.

[302] famosus – უფლებააყრილები. იქვე, 130.

მონებსაც შეეძლოთ.[303]

ქრ. შობის II საუკუნის რომაელი იურისტის პავლუსის თხზულების მეშვეობით, ჩვენამდე მოაღწია წერილობითი ბრალდების სანიმუშო ფორმულამ: ამა და ამ პირის კონსულობის დროს, ამა და ამ პრეტორთან ლუციუს ტიციუსმა, იულიუსის კანონის თანახმად, მრუშობაში დასდო ბრალი მევიას, რომელმაც ამა და ამ თვეს, ამა და ამ პირის კონსულობის დროს, ამა და ამ ქალაქის, ამა და ამ სახლში იმრუშა გაიუს სეიუსთან.[304]

იმპერიის პერიოდის რომის სასამართლომ თანდათან დაკარგა საქვეყნო თანხმობისა და იმ ადგილის ფუნქცია, სადაც თავისუფალ აზრს და მჭერმეტყველთა პაექრობას ასპარეზი ეძლეოდა. ერთმმართველობისა და დიქტატორული რეჟიმის შედეგად, სასამართლო პროცესებს პოლიტიკური მნიშვნელობა დაეკარგა. შესაბამისად, ემოციებს სულ უფრო მცირე ყურადღება ეთმობოდა და სამართლის ყოველმხრივი და ზუსტი ცოდნა, აგრეთვე მისი ახსნა-განმარტება და კონკრეტულ ვითარებასთან მორგების უნარი გაცილებით არსებითი იყო.

II. პროცესის ცნება, სახეები და სტადიები ძველ რომში

Actio – სარჩელი; actor – მოსარჩელე; reus – მოპასუხე; actiones in rem, legis actio sacramento in rem – სანივთო სარჩელი; actiones in personam, legis actio sacramento in personam – პირადი სარჩელები; litis contestatio – პროცესის დადგენა; iudicatum – სასამართლო გადაწყვეტილება.

პირის უფლების დაცვა სამართლის არსებობისა და სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. სუბიექტური იურიდიული გარემოებების სუბსტანციური (მატერიალური) ასპექტის გაცნობის შემდეგ, რომის სამოქალაქო

[303] D.48.4.7.1;D Digesta Iustiniani. T. VII, Полутом 2. книги XLVIII-L, ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 37; D.48.2.8. Digesta Iustiniani. T. VII, Полутом 2. книги XLVIII-L, ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 19.

[304] D.48.2.3. Digesta Iustiniani. T. VII, Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 15-17.

პროცესის ძირითადი ინსტიტუტები უნდა განვიხილოთ.

ინდივიდუალურ დონეზე სამართლებრივი მოთხოვნა, როგორც სოციალური ქცევის ნორმატულობის გამოხატულება, ზოგადად, დადგენილ წესებთან კონკრეტული მოთხოვნის აუცილებელ შესაბამისობას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტი სამართლის სუბიექტთა დაცვის ფორმას იმის მიხედვით იძენს, თუ რამდენად შეესაბამება მათი პრეტენზია, ზოგადად დადგენილი ქცევის წესებს. ანუ განიხილება თუ არა სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი დავა სამართლის ნორმის მიუკერძოებელი ინტერპრეტატორის მიერ. თანაც, დავის გადაწყვეტა მხოლოდ დადგენილი ზოგადსავალდებულო წესებით უნდა მოხდეს. რომაული პროცესის განსაკუთრებულ თავისებურებაზე სწორედ მისთვის დამახასიათებელი დისპოზიციურობის პრინციპი მეტყველებს. მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაული სასამართლო დევნას მხოლოდ კერძო ინიციატივის საფუძველზე ექვემდებარებოდა. მაშინაც კი, როცა სახელმწიფო სამართლის სუბიექტს უფლებების რეალიზაციაში ეხმარებოდა, სახელმწიფო ინდივიდის ინტერესებს ნარმოადგენდა. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობით სახელმწიფო თავად სუბიექტის შემცვლელად ან მის დამხმარედ გამოდიოდა.

პირის დაუკმაყოფილებელი ინტერესი სარჩელის[305] სახით ფორმდებოდა. სარჩელი არის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი პრეტენზია, რომელიც მართლწესრიგითაა აღიარებული. სასამართლო პროცესი მოსარჩელე პირის პრეტენზიის დასაბუთებული აღიარებით იწყება. მეორე მხარე – მოპასუხე, მოვალე იყო, შეესრულებინა სასამართლოს მიერ დაკისრებული ის ვალდებულებები, რომელსაც მოსარჩელე მისგან ითხოვდა, რათა არსებული ურთირთობის ექვივალენტურობა აღდგენილიყო. ვინაიდან მოსარჩელემ მოპასუხის მხრიდან გარკვეული მოქმედების განხორციელებას სასამართლო ჩარევის გარეშე ვერ მიაღწია, ვალდებულების აღსრულება მოპასუხეს იძულების წესით

[305] D.44.7.51. Digesta Iustiniani. T.VI. Полутом 2. книги XLI-XLIV, ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 559; Gai., 4.1; 4.9. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ.სურგულაძემ, თბილისი, 2012, 183-184.

ეკისრებოდა. ფორმასა და შინაარსს შორის არსებული შეუსაბამობა სამართლებრივი სანქციით კომპენსირდებოდა. თუმცა ფორმით გაუთვალისწინებელი ინტერესი აუცილებლად დასაბუთებული უნდა ყოფილიყო, რათა მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა მომხდარიყო. წარმოიქმნებოდა ახალი სამართლებრივი ვითარება, რომელშიც ურთიერთობის აქტიური მხარის ახალი ინტერესი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ, სარჩელით (*actio iudicati*) დაკმაყოფილდებოდა. აგრეთვე, პირიქით, სასამართლო გადაწყვეტილებისადმი სუბიექტური ინტერესის შესაბამისობა სრულფასოვნად ითვლებოდა, თუ სამართლებრივი მოთხოვნით უფლებათა აღიარება და აღდგენა იგულისხმებოდა.

ამრიგად, გარკვეულ ფარგლებში, *iudicatum*[306] – უფლებათა აბსტრაქტულ აღდგენასა და ნების თავისუფლების გამოხატვას წარმოადგენდა. პირის უფლებათა დაცვისა და რეალიზაციის რომაული პროცესი, ინდივიდების თანასწორობითა და დამოუკიდებლობით ხელმძღვანელობდა.

მატერიალურ ასპექტში ძირითადი უფლებების (აბსტრაქტული ან შეფარდებითი) სარჩელები შესაბამისად ორ ჯგუფად: სანივთო და პირად სარჩელებად იყოფა.

გაიუსის აზრით, *In personam actio est, qua agimus cum aliquo, qui nobis vel ex contractu vel ex delicto obligatus est, id est cum intendimus dare, facere, praestare, oportere* – პირადი სარჩელის საფუძველზე, ჩვენ ვაწარმოებთ პროცესს მათ წინააღმდეგ, ვისაც ხელშეკრულებით ან დელიქტით ჩვენს სასარგებლოდ რაიმე ევალება, ანუ როცა პრეტენზიით ვაცხადებთ, ჩვენი პრეტენზიის თანახმად, ან რაიმე უნდა გადმოგვცენ საკუთრებაში, ან რაიმე შეგვისრულონ, ან რაიმეთი უზრუნველგვყონ.[307]

In rem actio est, cum aut corporalem rem intendimus nostram esse, aut ius aliquid nobis competere veluti utendi aut utendi fruendi, eundi agendi

---

[306] iudicatum – სასამართლო გადაწყვეტილება. Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2005,.282; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 214; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 172.

[307] Gai.,4.2. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2011, 183.

aquamve ducendi vel altius tollendi prospiciendive; aut cum actio ex diverso adversario est negativa – სანივთოა სარჩელი, როცა პრეტენზიას სხეულებრივი ნივთის კუთვნილებაზე, ან უფლებაზე ვაცხადებთ, მაგალითად, რაიმეთი სარგებლობის უფლება, სარგებლობისა და ნაყოფის მიღების უფლება, ვინმეს ტერიტორიაზე გავლის, საქონლის გადარეკვის, წყლის გაყვანის უფლება, ან უფლება გარკვეულ სიმაღლეზე მაღალი შენობის აგების აკრძალვისა მეზობლისათვის, ან პირუკუ, როცა სარჩელი მოწინააღმდეგის უფლებას უარყოფს.[308]

სანივთო სარჩელის წარდგენისას, მოსარჩელე სანივთო უფლებებზე პრეტენზიას აცხადებდა. ამ შემთხვევაში, მოპასუხე შეიძლება ნებისმიერი პირი ყოფილიყო. გარკვეულობა მხოლოდ პროცესის დადგენის დროს მიიღწეოდა.[309] პირადი სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, (სარჩელი ვალდებულებათა შესახებ) პასუხს მხოლოდ კრედიტორის მოვალე, კონკრეტული პირი აგებდა, რომელიც კრედიტორის წინაშე იყო ვალდებული.[310]

In personam-ის პროცესში მოგების შემთხვევაში, მოსარჩელეს მოთხოვნა წყდებოდა და მოსარჩელე სასამართლო გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული ახალი უფლების სუბიექტი ხდებოდა. *In rem*-ი სარჩელის დროს მოსარჩელეს შეეძლო დარჩენილიყო იმავე უფლებების სუბიექტად, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდა.

III. Lege agere (კანონისმიერი პროცესი)

Legis actio – კანონიერი სარჩელი; lex privata – კერძო კანონი; in iure – მოსამართლეობის ფუნქციით აღჭურვილი მაგისტრატის წინაშე წარმართული პროცესის სტადია; vindicatio – ვინდიკაცია; festuca – სარიტუალო კვერთხი; iudex – ნაფიცი მოსამართლე; apud iudicem – მოსამართლესთან საქმის განხილვის სტადია; aeris confessio – ვალის აღიარება; arbiter – არბიტრი; secum dictio – მოვალის წაყვანა კრედიტორის სახლში; vindex – დამცველი; manus iniectio pro iudicato – ხელის დადება სასამართლო გადაწყვეტილების ანალოგიურად; sponsor – რწმუნებული; depensum – რწმუნებულის მიერ, ძირითადი მოვალის მაგიერ, ვალის გადახდა; manus inectio

[308] Gai.,4.3. იქვე, 183.
[309] Gai.,4.7. იქვე, 183.
[310] Gai.,4.8. იქვე, 183.

pura – ხელის დადება უფლებებში დამცრობის გარეშე; condictio – კონდიქციური სარჩელი.

Lege agere (სარჩელის კანონიერი ფორმით წარდგენა)[311] ნიშნავდა *certis verbis agere* – სასამართლოში სარჩელის წარდგენას გარკვეული სიტყვებით, როდესაც, სარჩელი იმ კანონის სიტყვების შესაბამისად იყო შედგენილი, რომელსაც ეფუძნებოდა. კანონი, რომელსაც მოსარჩელე წარმოთქვამდა, იყო კერძო კანონი, რომელიც სუბიექტის ნების ავტონომიურობასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგად-სავალდებულო წესებისადმი მის შესაბამისობას გამოხატავდა.

კანონიერ სარჩელთა[312] შორის უძველესი *legis actio sacramento in rem*[313]-ი იყო. ფიცზე დაფუძნებული სანივთო სარჩელი ცნობილია გაიუსის დაწერილებითი აღწერით. სასამართლო პრეტორის წინაშე წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე ხორციელდებოდა. მოწინააღმდეგე მხარეები სარიტუალო კვერთხსა[314] და სადავო ნივთს (ან დიდი ნივთის შემთხვევაში, მის მცირე ნაწილს) იღებდნენ ხელში და მორიგეობით შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამდნენ: ვაცხადებ, რომ კვირიტული სამართლის ძალითა და მისი დებულებების საფუძველზე, ეს ნივთი მაინც ჩემია. როგორც ვთქვი, ისეა, ესეც შენ, მე უკვე მოვახდინე ვინდიცირება.

ნივთზე უფლების დამტკიცების დროს, ჩვეულების თანახმად, მონას კვერთხს აღებდნენ. თითოეული მოწინააღმდეგის მტკიცებით, კვირიტული სამართლის (წმინდა რომაული თემის განსაკუთრებული უფლება) საფუძველზე, მონა მას ეკუთვნოდა და კუთვნილების საფუძველს (*causa*) ასახელებდა. პრეტენდენტები, სცენაზე მყოფი მსახიობების მსგავსად, საკუთარ პრეტენზიებს სიმბოლოების ენაზე აყალიბებდნენ, რითაც განზოგადებისათვის სავალდებულო აბსტრაქცია მიიღწეოდა. პროცესის ამ სტადიაზე საქმეში დამსწრე მაგისტრატი ერეოდა, რომელიც მხარეებს მონის გათავისუფლებისაკენ მოუწოდებდა. მაგისტრატის ჩარევა მოწმობდა, რომ დავა აბსურდამდე იყო მისული. ერთსა და იმავე

---

311 Gai.,4.11. იქვე, 185.

312 Gai., 4. 104, იქვე, 217.

313 Gai.,4.12-13. იქვე, 185.

314 festuca – სარიტუალო კვერთხი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 131.

ნივთზე ერთდროულად სხვადასხვა პირის განსაკუთრებული და ექსკლუზიური უფლება დაუშვებელი იყო. ამ ფორმით მხარეთა დაპირისპირება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას გამორიცხავდა. შემდეგ ის მხარე, რომელიც პირველი ახდენდა ვინდიცირებას, მოწინააღმდეგეს მოუწოდებდა პრეტენზიის საფუძველი დაესახელებინა. ფიცი იდებოდა გარკვეულ თანხაზე, რომელიც დავის წაგების შემთხვევაში, სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხებოდა.

ნივთზე გაცხადებული პრეტენზიების იდენტურობა ერთ-ერთი მხარის სიცრუეზე მეტყველებდა. ამიტომ, ვინდიკაციის მართებულობაში ეჭვის შეტანა სრულიად კანონზომიერი იყო. ამის გამო, პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან და არა ნივთზე უფლებასთან დაკავშირებული პროცესი, საქმის გამოძიებაში გადაიზრდებოდა ხოლმე. წმინდა ფიცს არა ნივთზე უფლების, არამედ სარიტუალო პრეტენზიის გაცხადების გამო დებდნენ. ვინაიდან, საქმე არა სანივთო ურთიერთობების დარღვევას, არამედ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ეხებოდა.

პროცესის შემდგომი განვითარება უკვე პირადი სარჩელის – *legis actio sacramento in personam*[315]-ის სახეს იძენდა, რომლის შესახებაც წყაროებში არსებული ინფორმაციის სიმწირის გამო, მეცნიერებს დღემდე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. თუმცა, ერთი რამ ნათელია: აღნიშნული სასამართლო პროცესის სახე ფიცს ეფუძნებოდა და მართლსაწინააღმდეგო (დაუსაბუთებელი) მოთხოვნის წამომყენებელი პირის (რომელმაც კერძო კანონი (*lex privata)* ანუ ნორმატიულად მნიშვნელოვანი ფორმა არამართლზომიერად გამოიყენა) პასუხისმგებლობას ადგენდა.

ამრიგად, თავდაპირველად, მხოლოდ ნივთის თაობაზე აღძრული კონკრეტული (პირადი მოთხოვნის სახით) სასამართლო დავა, შემდგომში სამართალდარღვევის შესახებ – *iniuria* პროცესში გადადიოდა. შესაბამისად, სამართალდამრღვევი (უსაფუძვლოდ მოდავე) მხარის პასუხისმგებლობის საკითხი დგებოდა, ვინაიდან ეს მხარე წმინდა ფიცის გამტეხად მიიჩნეოდა.

მოგვიანებით, სადავო საქმეში მონაწილე შუამავლების

[315] Gai.,4.12-13. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2011, 185.

მიმართაც პროცესის ორ ფაზას – *in iure et apud iudicem*[316] განასხვავებდნენ. კერძოდ, თუ არსებული სამართლებრივი პრეტენზია სასამრთლო მაგისტრატის წინაშე გაცხადდებოდა, *in iure* სტადიაზე დავის ფორმალიზებული განხილვა და საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა ხდებოდა. აღნიშნულ ფუნქციას მოსამართლე ახორციელებდა. სასამართლო პროცესის ამავე სტადიაზე დავის საგნის დადგენა უნდა მომხდარიყო. ამ მომენტიდან დავის საგანზე მხარეებს მხოლოდ პროცესუალური უფლებები გააჩნდათ, ვინაიდან მატერიალური უფლებები უკვე სხვა, პროცესუალურ დონეზე იყო გადასული. აღნიშნული მომენტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. სასამართლო პროცესის (ინტერესთა კონფლიქტის განსაკუთრებული ფორმალური გამოხატვა) სპეციფიკა ამ პროცედურით მიღწევადი, სამართლებრივად მოწესრიგებული ურთიერთობების აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხის მაჩვენებელი იყო. ეს სასამართლო პროცესზე მონაწილეთა სამართლებრივ ურთიერთობას უზრუნველყოფდა. მოტივების მიუხედავად, კონფლიქტის მონაწილე მხარეთა საქმის სასამართლოში განხილვის დროს, ისინი საზოგადოების შუამავლად გამოსვლას ითხოვდნენ. ამიტომ მხარეები აუცილებლად იმავე პირობებში უნდა ჩაეყენებინათ, რაც მსგავს ვითარებაში საზოგადოების სხვა წევრების მიმართ გაითვალისწინებოდა. ცალკეული პირის მოთხოვნა საყოველთაო აღიარებას იძენდა და სწორედ ეს გახლდათ პროცესის, როგორც დარღვეული უფლების დაცვის განსაკუთრებული საშუალების მნიშვნელობა.

სასამართლო ფუნქციების დანაწილება ჯერ კიდევ XII დაფის კანონების დროს იყო ცნობილი. მაშინ მხედველობაში მიიღებოდა განსაკუთრებული სარჩელი – *legis actio per iudicis postulationem*, „მოსამართლის გამოთხოვის მეშვეობით".[317] ასეთ შემთხვევაში, საჯარიმო თანხის გადახდა ხაზინის სასარგებლოდ არ ინიშნებოდა. სადავო საგნის დადგენის შემდეგ, პროცესის მონაწილეები მაგისტრატისგან მოსამართლის დანიშვნას ითხოვდნენ. პროცე-

[316] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 172-175.

[317] Gai.,4.17ა. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2011, 188.

სის პირველ სტადიაზე გამარტივება განპირობებული იყო იმით, რომ *legis actio*-ს აღნიშნული სახე, მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ვერბალური ვალდებულებიდან[318] წარმოშობილი უფლებების დასაცავად ან საერთო სამკვიდროს, ან თანასაკუთრების განაწილების დროს დაიშვებოდა.

Sponsio-დან (*stipulatio*-ს უძველესი ფორმა) წარმოქმნილი ვალის მოთხოვნით მოსარჩელე მოპასუხეს ეუბნებოდა: ვამტკიცებ, რომ ფიცით გამტკიცებული დაპირების საფუძველზე, შენ ჩემთვის ათი ათასის მოცემა გმართებს: გეკითხები, ადასტურებ ამას, თუ უარყოფ?[319] თუ მოპასუხე წარმოთქვამდა – *aio*, პროცესი დასრულებულად ითვლებოდა, ვინაიდან სასამართლოში ვალის აღიარება სასამართლო გადაწყვეტილების ტოლფასი იყო. ხოლო, თუ მოპასუხე სადავო საგანს – ვალს უარყოფდა, მოსარჩელე პრეტორს მოსამართლის დანიშვნის თაობაზე თხოვნით მიმართავდა. პროცესი ახალ სტადიაზე გადადიოდა, რომლის შედეგადაც მოსამართლე მოპასუხეს ან გაამტყუნებდა და ვალის გადახდას დააკისრებდა, ან გაამართლებდა.

გაიუსის ტექსტში მოცემული სხვაობა ნაფიც მოსამართლესა – *iudex*[320] და მომრიგებელ არბიტრს – *arbiter*[321] შორის უძველეს მოვლენად ითვლება. ფართოდ გავრცელებული ჰიპოთეზის თანახმად, მოსამართლისაგან განსხვავებით, არბიტრის ფუნქცია, მიყენებული ზარალის მოცულობის დადგენა იყო (დავის ქონებრივი შეფასება – *litis aestimatio*). ამ უკანასკნელს, პირადი სარჩელების შემთხვევაში, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

უძველეს დროში აღსრულების საშუალებას *legis actio per manus iniectionem* (ხელის დადების მეშვეობით) წარმოადგენდა,[322] რო-

[318] ex stipulatio – ვერბალური ვალდებულება.

[319] ex sponsione me mihi ex milia daro oportere aio: id postulo aias an negas? Gai.,4.17ა1. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 359.

[320] iudex. Gai.,4.15. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 186.

[321] arbiter. იქვე

[322] Gai.,4.21-22-23. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 189-190.

მელიც XII დაფის კანონებით დადგენილ შემთხვევებში, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან აღიარებული ვალის გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში გამოიყენებოდა.

თუ ვალაუვალ მოვალეს დამცველი – *vindex*[323] არ გამოუჩნდებოდა, მას პირადი სტატუსის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა,[324] კრედიტორის სახლში მისი მიყვანიდან მესამოცე დღეს *secum ductio*[325] დგებოდა. პირადი თავისუფლების დაკარგვის შემდეგ, დამონებულ პირს საკუთარი სახელით თავის დაცვა აღარ შეეძლო. სასამართლო პროცესზე მას დამცველი უნდა გამოეყვანა. ხელის დადება სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისას (*sacramento in personam,* ან *per iudicis postulationem* პროცესის დროს) ხდებოდა და საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ფორმით დასტურდებოდა, როგორც მოვალის კრედიტორისადმი განსაკუთრებული პირადი დამოკიდებულების ვალდებულება, რისგანაც მოვალეს ვალის გადახდაც აღარ ათავისუფლებდა. სწორედ ვალაუვალი მოვალის გამოსასყიდად დაცვის აუცილებლობა დგებოდა, რის შემდეგაც მოვალე დამცველზე დამოკიდებული ხდებოდა.

აღსრულების საშუალების შემდეგ ფორმად *legis actio per pignoris capionem*[326] ითვლებოდა. XII დაფის კანონებით გათვალისწინებული ამ ფორმით, მსხვერპლად შესაწირი ცხოველის საყიდელი ფასის ანაზღაურება იგულისხმებოდა. აღნიშნული ფორმა ასევე იმ შემთხვევაშიც გამოიყენებოდა, თუ მესაკუთრეს სამსხვერპლო ნადიმის გასამართად ტვირთის მზიდავი ცხოველების დაქირავება ესაჭიროებოდა.

გირაოს მიტაცება *certa verba* სიტყვების წარმოთქმით ხდებოდა. ამ ფორმის განსაკუთრებული თავისებურებები თვით რომაელებშიც იმის ეჭვს ბადებდა, თუ რამდენად იყო ის *legis actio*-ს ფორმა, რადგან პროცედურას მაგისტრატი არ ესწრებოდა. სავარაუდოდ, პირი, რომელსაც *pignoris capio* ენიჭებოდა, ღმერთების ან რომაელი ხალხის სახელით მოქმედებდა, რითაც, თავისთავად, ვითარება

---

[323] vindex. Gai.,4.25. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 190.

[324] capitis deminutio maxima – პირადი სტატუსის დაკარგვის საფრთხე. იქვე, 190-191.

[325] secum ductio – მოვალის წაყვანა კრედიტორის სახლში. იქვე, 190-191.

[326] legis actio per pignoris capionem – გირაოს მიტაცების მეშვეობით. იქვე, 191.

საჯარო ხასიათს იძენდა.

სასამართლო სარჩელის ახალი სახეობა იყო – *legis actio per condictionem*, რომლის საფუძველზეც საკუთრების უფლების გადატანასთან (*dare*) დაკავშირებით, ვალდებულების შესრულება მოითხოვებოდა. სარჩელის ეს სახეობა ქრ. შობამდე III საუკუნის დასასრულს *lex Salia*-ს საფუძველზე მიიღეს. გამოყენების სფეროზე მისივე სახელდება – პირადი სარჩელი საკუთრების გადატანის შესახებ, მიუთითებდა. ამ სარჩელის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენდა პრეტენზიის აბსტრაქტული, causa-საგან დამოუკიდებელი ფორმულირება: მე ვამტკიცებ, რომ შენ ათი ათასი უნდა მომცე: მე გეკითხები, ადასტურებ შენ ამას, თუ უარყოფ?[327] უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განცხადებიდან 30 დღის შემდეგ მოპასუხეს სასამართლოში იძახებდნენ. ეს პერიოდი, რომელიც ქრ. შობამდე IV საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისში *lex Pinaria*-ს საფუძველზე დადგინდა, პროცესის სტადიებს შორის ვადას აღნიშნავდა.

IV. Per formulas agere (ფორმულარული პროცესი)

Centum vires – ცენტუმვირების სასამართლოები; formula – სასარჩელო ფორმულა; concepta verba – ფორმულის ფიქსირებული შინაარსი; datio iudicem – მოსამართლის დანიშნა; mors litis – დავის შეწყვეტა პროცესის კანონიერი ხანგრძლივობის გადამეტების (გადაცილების) გამო; traditio iudicii – apud iudicem სტადიაზე ფორმულაში შეტანილი ცვლილება; mutatio iudicii – მოსამართლის შეცვლა; sibi non liquere – მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმა საქმის გაურკვევლობის გამო.

ქრ. შობამდე II საუკუნის მე-3 მეოთხედში ებუციუსის კანონით[328]

---

[327] aio te mihi ex milia dare oportere: id postulo aias an negas. Gai.,4.172. რომიოს სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 359.

[328] lex Aebutia – ებუციუსის კანონი. Gai.,4.30. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 192;

სასამართლო პროცესის ახალი სახე – ფორმულით (*per formulas*)[329] ანუ დადგენილი სიტყვებით (*per concepta verba*),[330] დადგინდა. ეს კანონი, რომელსაც გაიუსი და ავლუს გელიუსი იხსენიებენ, აღნიშნული სასამართლო პროცესის საკანონმდებლო ბაზას ქმნიდა. უძველესი ცნობები ამ ფორმულის შესახებ *lex latina tabulae Bantinae*-ში გვხვდება (ქრ. შობამდე 133 – 118 წწ., სავარაუდოდ, ქ. ბანტიუსის (სამხრ. იტალია) სტატუტი).

პარალელური საპროცესო საშუალებების შექმნა ებუციუსის კანონის მიღებამდე, გაცილებით ადრე დაიწყო. თუმცა, სწორედ (ამ კანონით მიენიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა პრეტორულ პროცესს. რის შემდეგაც, არა მარტო ცივილურ სარჩელზე უარი, არამედ მხარეთათვის ახალი წესების შეთავაზებაც პრეტორის ნებაზე იყო დამოკიდებული. პროცესის ორივე ფორმა – *legis actiones et per formulas* თანაარსებობდა. მაგრამ, ქრ. შობამდე 17 წ. *lex lulia iudiciorum privatorum*-მა (და მუნიციპალიტეტებისთვის დადგენილი მსგავსი კანონი) ლეგისაქციური პროცესი გააუქმა.

(ძველი სარჩელები განსახილველად მხოლოდ მაშინ მიიღებოდა, თუ საქმე ცენტუმვირების სასამართლოში უნდა განსჯილიყო და მოთხოვნა პრეტორის წინაშე საკრამენტალური ფორმით უნდა გამოთქმულიყო, ანდა ზიანის მიყენების მუქარის[331] შემთხვევაში. თუმცა, ამ უკანასკნელის დროს, პრეტორული სტიპულაციის გამოყენება შესაძლებელი იყო და საფრთხის შემქმნელი მეზობლისაგან დაპირების მიღება, რომ ის შესაძლო ზიანით მიყენებულ ზარალს აანაზღაურებდა. გაიუსის თანახმად, რომაელები უპირატესობას პრეტორული დაცვის საშუალებებს ანიჭებდნენ.

(*Per formulas* პროცესიც ორი სტადიით იყო წარმოდგენილი: ა) *in iure* და ბ) *apud iudicem.*)

Litis contestatio და *datio iudicii* შემდეგ, ქრ. შობამდე IV საუკუ-

---

Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 27.

[329] Gai.,4.30. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 192.

[330] per concepta verba. იქვე.

[331] damnum infectum – ზიანის მიყენების მუქარა. Gai.,4.31. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 192.

ნეში, პინარიუსის კანონის თანახმად,[332] პრეტორი მოდავე მხარეებს 30 დღის შემდეგ მოსამართლეს უნიშნავდა, რომელიც ერთი დღის შემდეგ მოპასუხეს მოუწოდებდა სასამართლოში – *apud iudicem* (ლეგისაქციური ან ფორმულარული პროცესის მეორე სტადია ნაფიცი მოსამართლის წინაშე, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება საქმეზე, ყველა წარმოდგენილი მტკიცებულების შემოწმების შემდეგ) გამოცხადებულიყო) თუ მოპასუხე სასამართლოში არ გამოცხადდებოდა, ნაშუადღევს, XII დაფის კანონების თანახმად, მოსამართლეს განაჩენი სასამართლოში გამოცხადებული მხარის სასარგებლოდ გამოჰქონდა.

Lex Iulia, iudicia legitima-სადმი, დავის სასამართლო განხილვის მაქსიმალურ ვადად 18 თვეს ადგენდა, ხოლო, *iudicia legitima*-სთვის პრეტორის თანამდებობაზე ყოფნისთვის ერთწლიანი ვადა იყო გათვალისწინებული. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, *litis contestatio* ძალას კარგავდა, ანუ სახეზე იყო „დავის გარდაცვალება" (*mors litis*), რაც მოსარჩელის მოთხოვნის გაქვითვას გულისხმობდა. თუ მოპასუხე პროცესს შეგნებულად აჭიანურებდა, მისი ქმედება მოსამართლის მიერ აღიკვეთებოდა. პროცესის ამ სტადიაზე დაიშვებოდა დავის მონაწილე პირის შეცვლა (გარდაცვალების გამო ან *cognitor et procurator* დანიშვნისას), რასაც მაგისტრატის მიერ ფორმულაში ცვლილების შემოტანა მოყვებოდა, მაგრამ არა ახალი *litis contestatio*-ს დადგენა. საჭიროების შემთხვევაში, პრეტორი მოსამართლეს ცვლიდა. ეს კი მხარეთა თანხმობას ითხოვდა. თუ მოპასუხე წინააღმდეგი იქნებოდა, ეს დაცვაზე უარის თქმად[333] განიხილებოდა. პროცესის ერთიანობაზე მოსამართლის შეცვლა ზეგავლენას არ ახდენდა, რადგან *litis contestatio* უცვლელი იყო.

რომში მოსამართლე კერძო პირი იყო, რომლის საქმიანობა სასამართლო მაგისტრატის *imperium*-სა და მის *iussum iudicandi*-ზე (მოსამართლისათვის გაცემული ბრძანება მის მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანად) იყო დამოკიდებული. საკუთარი ძალაუფლების საფუძველზე, პრეტორს საქმის ნარმოების (პროცესის) შეჩერება და მოსამართლისათვის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის აკრძალავა შეეძლო. პროცესში ჩარევის შესაძლებლობა

[332] Iex Pinaria – Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 194.

[333] indefensio – დაცვაზე უარის თქმა.

სხვა პრეტორსაც ჰქონდა, რომელიც კოლეგის გადაწყვეტილებაზე *veto* უფლებით (*intercessio*) იყო აღჭურვილი.

§1. ფორმულის ნაწილები

Praeiudicium – წინასწარი სასამართლო პროცესი, რომელზეც პირის უფლების დადგენა ხდებოდა; bona fides – კეთილსინდისიერება; iudicium bonae fidei – კეთილსინდისიერი სარჩელები; formula arbitraria – განსაკუთრებული ფრაზა, რომელიც iudicia arbitraria სარჩელის ფორმულაში იყო შეტანილი; arbitrum (iussum) de restituendo – მოსამართლის მიერ მოპასუხისადმი გაცემული ბრძანება, რათა მას მოსარჩელის მოთხოვნა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე დააკმაყოფილოს; contumacia – სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობა; litis aestimatio – დავის შეფასება.

ცნობილია ფორმულის შემდეგი ძირითადი ნაწილები (*partes formulae*): *adiudicatio, intentio, demonstratio, condemnatio* (Gai.,4.39).[334]

1. *Adiudicatio* (მინიჭება) გვხვდება მხოლოდ ისეთი სახის სარჩელებში, რომლებიც თანასაკუთრებისა და საზღვრების განაწილების თაობაზე დგებოდა. სარჩელის ამ ნაწილით მოსამართლეს ამცნობდნენ, თანამესაკუთრეთაგან თუ რომელს რა ოდენობის წილი ეკუთვნოდა.

2. *Intentio*-ში (ინტენცია) – მოსარჩელეს მოთხოვნა იყო ჩამოყალიბებული, ანუ პრეტენზია.[335] ეს ნაწილი იწყება სიტყვებით: „თუ გაირკვა, რომ (დადასტურდა, რომ)." და დასახელებული იყო ის უფლება, რომელსაც მოსარჩელეს მოთხოვნა ეფუძნება.

3. *Demonstratio*-ში (დემონსტრაცია) – ჩამოყალიბებული იყო საქმის არსი (შემადგენლობა), ჰიპოთეზა. ის იწყებოდა კავშირით quod – „ვინაიდან" და სახელდებოდა ის ფაქტები და გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელეთა უფლებები და მოპასუხეს

[334] Gai.,4.39. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 195; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов. Москва, Статут, 2005, 59; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 190-194.

[335] desiderium suum – პრეტენზია.

მოვალეობები (გარიგებები) განისაზღვრებოდა.

4. *Condemnatio*-თი (კონდემნაცია) – მოსამართლეს მოპასუხის დასჯის ან გამართლების უფლებამოსილება ენიჭებოდა.

Per formulas პროცესით წაგებულს, მოგებული მხარის სასარგებლოდ მხოლოდ ფულადი თანხის გადახდა ევალებოდა. დაუშვებელი იყო მოპასუხის მიმართ ისეთი გადაწყვეტილების გამოტანა, რომლითაც მას გარკვეული მოქმედების შესრულება ან სადავო ნივთის ნატურით გადაცემა ევალებოდა. აღნიშნული სახის მოთხოვნის წამოყენება სუბიექტის ავტონომიურობას და უშუალოდ რომის *ius privatum*-ის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. ფულადი თანხის მინიჭების განსაკუთრებული პრინციპი – *condemnatio pecuniaria*, რომელიც სასამართლო პროცესის პრეტორული ფორმით დამკვიდრდა, მხარეთა ფორმალური თანასწორობის პრინციპის უშუალო შედეგი იყო. იგი სამართლებრივ თავისუფლებას ყველაზე ნათლად ასახავდა.

Condemnatio სინტაქსურად *intentio*-ს უკავშირდებოდა და მის გარეშე ძალა არ ჰქონდა. ხოლო *intentio*, პირიქით, ფორმულის სრულიად დამოუკიდებელი ნაწილი იყო და უფლების კონსტატაციას (*praeiudicium*) უკავშირდებოდა.[336] ეს უკანასკნელი სასამართლო განხილვებზე დასტურდებოდა. სწორედ *intentio* ასახელებდა ფაქტს, რომელზეც სასამართლოს საბრალდებო დასკვნის და გადაწყვეტილების გამოტანა იყო დამოკიდებული. ამასთანავე, მხედველობაში მიიღებოდა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ფაქტის არსებობასთან იყო დაკავშირებული გარკვეული შედეგის დადგომა და მხარეთა შორის იურიდიული ხასიათის ურთიერთობის მოგვარება. ინტენციის მთავარ ნორმატიულ წყაროდ პრეტორული ედიქტი მიიჩნეოდა. თუმცა, ფორმულის შედგენაც სწორედ ფაქტის საფუძველზე ხდებოდა (*formula in factum concepta*), ანუ თუ *intentio*-ში *ius civile*-ს მიერ აღიარებული ფაქტი იყო მოყვანილი, ფორმულა სამართლის საფუძველზე (*formula in ius concepta*) იქმნებოდა.

In factum conceptae ფორმულები პრეტორული დაცვის განვითარებაში უძველესი სტადიის თავისებურებას ასახავდა, როცა პრეტორი, საკუთარი *imperium*-ით, მოსამართლისაგან ითხოვდა,

---

[336] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 59; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 192.

მხედველობაში მიეღო ის ფაქტიც, რომელსაც *ius civile* არ აღიარებდა. ამასთან მიმართებით, არაფერია ნათქვამი იმ *ius*-ის შესახებ, რომელზეც *actor*-ი საკუთარ მოთხოვნას აფუძნებდა და არც ცივილური მოვალეობაა (*reus oportere*) მითითებული.

სარჩელს *in ius consepta* ფორმულის სახე მხოლოდ მაშინ ჰქონდა, როცა მოსარჩელეს მოთხოვნა *ius civile*-ს ეფუძნება. კეთილსინდისიერი სარჩელები (*iudicia bonae fidei)* საოცარი მოქნილობითა და მოსამართლის ძალზე ფართო უფლებამოსილებით გამოირჩეოდა. ასეთი სარჩელის მეშვეობით მოსარჩელე გარიგებიდან არა მარტო დადებითი ინტერესის დაკმაყოფილებას ითხოვდა, არამედ იმ შედეგის დადგომასაც, რომელიც დამატებით შეთანხმებებს ეფუძნებოდა. ამ უკანასკნელთა დადება შესაძლებელი იყო როგორც ხელშეკრულების დადების მომენტში, ისე მოგვიანებითაც. ამავე დროს, მოსარჩელეს, ხელშეკრულების დადებისას, ნებელობითი ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ამის შესახებ მითითება შეეძლო, თანაც სპეციალური სასარჩელო უარყოფის (*exceptio pacti, doli, metus*) გამოუყენებლადაც. აღნიშნული სარჩელები კონსესუალური და რეალური კონტრაქტებიდან წარმოშობილ უფლებებს, სამეურვეო პირის (*actio tutelae*) და, ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, ცოლის სამზითვო უფლებებს (*ius actio rei uxoriae*) იცავდნენ.

Iudicia arbitraria-ს შემთხვევაში მოსამართლე ფართო უფლებამოსილებით სარგებლობდა. *Iudicia arbitraria* სარჩელის ის სახეობაა, რომლის ფორმულა მოცემული იყო საგანგებო ფრაზით, რომელსაც, *intentio*-ს შემდეგ, *condemnatio*-ს წინ ურთავდნენ ხოლმე. ფორმულის ტექსტში ასეთი ფრაზა ყველა სანივთო სარჩელში და ზოგიერთ პირად სარჩელშიც (*actio aqua pluviae arcendae, actio Fabiana, actio Calviciana*) გვხვდება.[337]

აღნიშნული საგანგებო ფრაზის საფუძველზე, თავდაპირველად, მოსამართლე არკვევდა, ჰქონდა თუ არა მოსარჩელე მხარეს მითითებული უფლება – *pronuntiatio de iure*. უფლების დადასტურების შემთხვევაში, ბრძანების შემცველი ფრაზით, დადგენილ ვადამდე მოპასუხეს მოსარჩელისათვის ნივთის გადაცემა

[337] D.4.2.10.1; Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 417. D.6.1.68. Digesta Iustiniani. T.II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 181; D.7.6.5.4a. Digesta Iustiniani. T.II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 277.

– *iussum de restituendo* ევალებოდა. მას მოსარჩელის თანხმობა პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა. ფორმულის შესაბამისად, მოსამართლე ვალდებული იყო გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოეტანა. ხოლო, თუ მოპასუხე უარს აცხადებდა (ან ბრალდებად არ მიიჩნევდა სადავო ფაქტს), მისი ქმედება სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობად განიხილებოდა და იმით ისჯებოდა, რომ დავის შეფასება (*litis aestimatio*) სადავო ნივთის ღირებულებით ხდებოდა. ნივთის ღირებულებას, თავისთავად, მოსარჩელე დაფიცებით აცხადებდა.

§2. Condemnatio-ს საშუალებები

Condemnatio certa – განსაზღვრული კონდემნაცია; Condemnatio incerta – განუსაზღვრელი კონდემნაცია.

კონდემნაციაში მითითებული მინიჭების მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს *intentio*-ში მოცემულ ფორმულირებას. იმის მიხედვით, იყო თუ არა განსაზღვრული დასახელებული თანხა, განასხვავებდნენ *condemnatio certa*-ს (განსაზღვრულ) და *condemnatio incerta*-ს (განუსაზღვრელ) კონდემნაციას. *Condemnatio* მხოლოდ მაშინ იყო განსაზღვრული, თუ *intentio*-ში ფულის გარკვეული ოდენობა (მხოლოდ განსაკუთრებით კონდიქციურ სარჩელში – *condictio certae pecuniae*) იყო მითითებული.[338] ასეთ ფორმულირებას იმ შემთხვევაში ადგენდნენ, როცა მოსარჩელეს მოპასუხისთვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ჰქონდა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ეს იყო – განუსაზღვრელი კონდემნაცია. ფორმულის ამ ნაწილის განუსაზღვრელობა ორი სახისა იყო: 1. ზოგჯერ მოსამართლისგან ითხოვდნენ მოპასუხის მიმართ ისეთი გადაწყვეტილების გამოეტანას, რომლითაც ამ უკანასკნელს გარკვეულ ოდენობაზე მეტი თანხა არ უნდა გადაეხადა. მოსამართლე უფლებამოსილი

[338] Gai.,4.43. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 196; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 59; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 192.

იყო ისეთი გადაწყვეტილება გამოეტანა, რომელშიც მოპასუხეს ნაკლები თანხის გადახდას ავალდებულებდა; 2. თუმცა, უფრო ხშირად მოსამართლეს ასეთი ზუსტი შეზღუდვის განსაზღვრა არ მოეთხოვებოდა. მას მხოლოდ მოპასუხისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა უნდა დაედგინა.

§3. Pluris petitio (მოთხოვნის გადამეტება)

Intentio incerta – განუსაზღვრელი ინტენცია; pluris petitio re – მოთხოვნის გადამეტება ობიექტის მიმართ; pluris petitio tempore – მოთხოვნის გადამეტება დროის მიმართ; pluris petitio loco – მოთხოვნის გადამეტება ადგილის მიმართ; pluris petitio causa – მოთხოვნის გადამეტება საფუძვლის მიმართ; intentio certa – განსაზღვრული ინტენცია; actio certi ან condictio – სარჩელი განსაზღვრულის შესახებ ან კონდიქციური სარჩელი; lis dividua – განაწილებული დავა; falsa demonstratio – ცრუ დემონსტრაცია.

მოსამართლეს ფიქსირებული ხასიათის მოთხოვნით მიმართავდნენ. თუ ჩამოთვლილი ფაქტებით ვერ დადასტურდებოდა, რომ მოპასუხეს მართლაც მართებდა ის, რასაც მისგან მოსარჩელე ითხოვდა, მოსამართლე ვალდებული იყო გამამართლებელი განაჩენი გამოეტანა. სამართლით დადგენილზე[339] მეტის მოთხოვნა, უფლების დაკარგვას იწვევდა. ვინაიდან, ერთსა და იმავე საქმეზე განმეორებითი სარჩელის შეტანა დაუშვებელი იყო, განუსაზღვრელი ინტენციის შემთხვევაში, გადამეტებული მოთხოვნის წარდგენა შეუძლებელი იყო. მით უფრო, თუ მისანიჭებელი ობიექტის ოდენობა განსაზღვრული არ იყო.

Pluris petitio გამოიყენებოდა ობიექტის, ვადის, ადგილისა და სამართლებრივი საფუძვლის მიმართ: *re, tempore, loco, causa.*[340]

1. *Pluris petitio re* – დასაშვებზე მეტი თანხის ოდენობის ნივთის მოთხოვნისას;

---

[339] pluris petitio – სამართლით დადგენილი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 248.

[340] Gai.,4.53ა. რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 200.

2. *Pluris petitio tempore* – დადგენილ ვადამდე მოითხოვებოდა ის, რისი გადახდაც სავალდებულო იყო;

3. *Pluris petitio loco* – დანაპირების შესრულება სხვა ადგილზე მოითხოვებოდა;

4. *Pluris petitio causa* ალტერნატიული ვალდებულების შემთხვევაში გამოიყენებოდა, ანუ როდესაც სტრუქტურით გათვალისწინებული, ვალდებულების არჩევანის უფლებას (*ius variandi*) კრედიტორი მოვალეს ართმევდა.[341]

თუ გარკვეული ინტენციის მქონე სარჩელის ფორმულით იმაზე ნაკლები მოთხოვნა იყო მითითებული, რისი უფლებამოსილებაც მოსარჩელეს ჰქონდა, მეორე წელს მას პროცესის სხვა პრეტორთან განმეორება შეეძლო, რომლის დროსაც ის დანარჩენს ითხოვდა. ამ შემთხვევაში პროცესი არა განმეორებითი, არამედ გაყოფილი იყო. თუ *condemnatio*-ში წარმოდგენილი მოთხოვნის გადამეტება მხოლოდ პრეტორის მითითებებზე იყო დამოკიდებული, მოსამართლე ვალდებული იყო მოპასუხისათვის იმაზე მეტის გადახდა დაეკისრებინა, ვიდრე ამას მოსარჩელე *intentio*-თი ითხოვდა. ამ შემთხვევაში პრეტორი მოპასუხეს ეხმარებოდა. ხოლო მოსარჩელე გამოდიოდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით,[342] რათა ამის შემდეგ მაინც მიემართა სასამართლოსათვის მართებული კონდემნაციით.

თუ დემონსტრაციაში მითითებულია (საჭიროზე) მეტი ან ნაკლები მოთხოვნა და სასამართლო განხილვის უსაგნობის გამო, საქმე პირვანდელ მდგომარეობაში რჩება.[343] სწორედ ასეთ შემთხ-

---

[341] Gai.,4.53ბ. რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 201.

[342] in integrum restitutio – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა. Gai.,4.57. რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 202; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 278-279.

[343] Fi in demonstratione plus aut minus positum sit, nihil in iudicium deducitur, et ideo res in integro manet: et hoc est quod dictur falsa demonstratione rem non perimi. Gai.,4.58. რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 202.

ვევაში იგულისხმება: ცრუ დემონსტრაციის გამო საქმე უქმდება.[344] თუმცა, ლაბეონის აზრით, თუ *demonstratio*-თი მოთხოვნის ნაწილი მითითებული იყო, ის ცრუ დემოსტრაციად არ მიიჩნეოდა.[345]

§4. Formulae ficticiae (ფიქციის შემცველი ფორმულა) და პირთა მონაცვლეობით შედგენილი ფორმულა

Fictio – ფიქცია; fictio iuris – ცივილური სტატუსის მქონე ფიქცია.

Intentio-თი პრეტორს მოსამართლისგან ისეთი ქმედებების შესრულების მოთხოვნა შეეძლო, რომელთა არსებითი იურიდიული ფაქტი, თითქოსდა, რეალურად არ არსებობდა, ან პირიქით, ასეთი ფაქტი ნამდვილად არსებობდა. პირველ შემთხვევაში ფიქცია პოზიტიური იყო, მეორე შემთხვევაში – ნეგატიური.

პოზიტიური სამართლის სრულყოფის თვალსაზრისით (*adiuvare ius civile*), ფიქცია პრეტორის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი იყო. ზოგჯერ, ფიქცია პრეტორული სარჩელის[346] შექმნის მიზნით გამოიყენებოდა. თუმცა, როგორც წესი, ფიქცია ტიპური სარჩელის დანამატი იყო, რათა სასარჩელო დაცვა მიენიჭებინათ იმ პირისათვის, რომელსაც მკაცრი სამართლით[347] ამის უფლება არ გააჩნდა. ანდა იმ პირის გასასამართლებლად, ვინც *ius civile*-ს თანახმად, დასჯას ექვემდებარებოდა. მაგალითად, პრეტორული სამართლის საფუძველზე (*bonorum possessor*), სამკვიდროს მისაღებად მოწვეუ-

[344] Gai.,4.58. იქვე.

[345] Gai.,4.59. რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 203; DD.19.1.3. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 655-657; D.3.3.78.1. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005,363; D.13.6.17.4. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005,197.

[346] actio Publiciana – პრეტორული სარჩელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 42; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 59; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 197.

[347] ius strictum – მკაცრი სამართალი.

ლი პირის დასაცავად. პრეტორი მას აძლევდა სარჩელს, რომლითაც მოსამართლე ვალდებული იყო მოსარჩელე მემკვიდრედ ეცნო. აღნიშნული ფიქციის გარეშე, პრეტორულ მემკვიდრეს სამკვიდროს მოთხოვნა არ შეეძლო, ვინაიდან, *ius civile*-თი იგი მემკვიდრე არ იყო.[348]

მსგავსი ფორმულის შედგენა მოითხოვებოდა უმემკვიდრეოდ დარჩენილი ვალაუვალი მოვალის უფლებამონაცვლის (*bonorum emptor*) მიმართ, რომელიც ასეთი მოვალის მემკვიდრედ ფიქტიურად ცხადდებოდა.[349]

ყველაზე ძველი ცივილური სარჩელის ფორმა იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა, თუ სამართალდარღვევის[350] ერთ-ერთი მხარე უცხოელი იყო, რომელზეც რომის ცივილური სამართალი არ ვრცელდებოდა. ასეთ შემთხვევაში, ფორმულაში იწერებოდა ფიქცია: „*Si civis Romanus esset* – ის, რომ რომის მოქალაქე ყოფილიყო".[351] სავარაუდოდ, აღნიშნულ პრაქტიკას პერეგრინების პრეტორის სასამართლოთი მიეცა დასაბამი. საგულისხმოა, რომ დასახელებულ შემთხვევებში სტატუსის ფიქცია, როგორც ურთიერთობათა დაცვის პროცესუალური საშუალება, მაშინ გამოიყენებოდა, როცა პრეტორი, მატერიალური სამართლის თვალსაზრისით, უძლური იყო: *ius civile-ს* თანახმად, მას უფლება არ ჰქონდა პირი მემკვიდრედ ან რომაელ მოქალაქედ გამოეცხადებინა.

როცა ერთი პირისათვის მინიჭებული უფლება მეორე პირს გადაეცემოდა, ან ერთი პირის პასუხისმგებლობა მეორე პირს ეკისრებოდა, გამოიყენებოდა ფიქციის განსაკუთრებული ფორმა – პირთა მონაცვლეობა. აღნიშნულ ფიქციას იმ შემთხვევაში მიმართავდნენ, როცა იურიდიული აქტი ვრცელდებოდა ისეთი პირის წინააღმდეგ, რომელსაც ეს ქმედება ჩადენილი არ ჰქონდა. მაგალითად, როდე-

---

[348] Gai.,4.34. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 193.

[349] Gai.,4.35. იქვე, 193-194.

[350] ex delicto – სამართალდარღვევა.

[351] Gai.,4.37. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 194-195.

საც გარიგება ხელისუფლებაში მყოფი პირის[352] ან მეურვის[353] მიერ იყო დადებული. ასეთ შემთხვევაში, *demonstratio*-ში ან *intentio*-ში პრეტორი ერთ პირს (ხელისუფლებაში მყოფ პირს ან მეურვეს) უთითებდა, ხოლო *condemnatio*-ში მეორეს – ოჯახის უფროსს[354] ან მეურვეობაში მყოფს.[355]

§5. Exceptio (ექსცეპცია)[356] და praescriptio (პრესკრიპცია)[357]

Exceptiones peremptoriae – მუდმივი ექსცეპციები; exceptiones dilatioriae – დროებითი ექსცეპციები; replicatio – შესაგებელის უარყოფა; praescrptio pro actore – უარყოფითი პირობა, რომელიც ფორმულაში ინტენციის წინ იწერება და დავის საგანს მოსარჩელის სასარგებლოდ ზღუდავს.

Praescriptio pro reo უარყოფითი პირობა იყო, რომელიც ფორმულის დასაწყისში, ინტენციის წინ იწერებოდა და დავის საგანს მოპასუხის სასარგებლოდ ზღუდავდა. თუ ეს პირობა ნამდვილი აღმოჩნდებოდა, დავის საფუძველი[358] უქმდებოდა. ეს პროცესუალ-

---

[352] persona alieni iuris – ხელისუფლებაში მყოფი პირი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 244.

[353] tutor – მეურვე. იქვე, 316-318.

[354] paterfamilias – ოჯახის უფროსი. იქვე, 239.

[355] pupillus – მეურვეობაში მყოფი. იქვე, 266.

[356] exceptio. Gai.,4.115-121. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 220-222; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 244; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 59; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 194.

[357] praescriptio. Gai.,4.130-137. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 225-227; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 255-256; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 59; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 196.

[358] litis contestatio – დავის საფუძველი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 206.

ური თვალსაზრისით, სარჩელზე უარის თქმა[359] იყო. იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრატი სარჩელს უსაფუძვლოდ მიიჩნევდა, პროცესი ჩერდებოდა, თუმცა მის ქმედებას არც აუქმებდა და არც გამორიცხავდა. *Exceptio* პროცესუალური დათქმის განსაკუთრებული წესი იყო, რომლითაც მოპასუხე საერთოდ უარყოფდა მოსარჩელის უფლებას (მოპასუხის დაცვა), ან აწმყო დროში რაიმე ქმედების შესრულების თაობაზე მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა, ანუ ე.წ. შესაგებელი სარჩელი.

გარდა ფორმულის იმ ძირითადი ნაწილებისა, რომელთა გარეშეც ფორმულას იურიდიული ძალა არ გააჩნდა, არსებობდა დამატებითი ელემენტებიც, რომელთა მეშვეობითაც ერთ სასამართლო პროცესზე მხარეთა შესაგებელი მოთხოვნების წამოყენება ან სარჩელის ტიპური ფორმულით გათვალისწინებული გარემოებების მითითება დაიშვებოდა. ფორმულის ძირითად ტექსტს წინ სასარჩელო მოთხოვნა უძღვოდა. თავდაპირველად, *praescriptio* მოპასუხის ინტერესების სასარგებლოდ (*praescriptio pro reo*) დგებოდა და სასამართლო პროცესის დაწყება გარკვეული ფაქტების გამოვლენაზე იყო დამოკიდებული. თუ ფაქტები არ დადასტურდებოდა, მოსამართლისაგან *litis contestatio*-ს არარსებულად ცნობას ითხოვდნენ. მაგალითად, გარიგების დადებისას, მოპასუხის ინტერესების სასარგებლო მოთხოვნა (სასარჩელო უარყოფის ფუნქციით), განზრახვისგან თავის არიდების საშუალებას იძლეოდა, ანუ ეს იყო ე.წ. *exceptio doli* (*exceptio*-ს ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობა), რომელიც ინტერდიქტული წარმოებისას გამოიყენებოდა. იმ ახალი გარემოებების საფუძველზე, *exceptio*-ს სავალდებულო ძალას რომ ერთმეოდა, უარის თქმა *exceptio*-ზე მოსარჩელესაც შეეძლო. „დაე პროცესი ამ საქმეზე დადგენილად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვალოს, თუ გარიგება კეთილი სინდისის საფუძველზე დაიდო".[360]

მოგვიანებით, *praescriptio pro reo* შეცვალა *exceptio*-მ, რომელსაც მოპასუხის დაცვის ფუნქცია დაეკისრა. აკვილიუს გალუსის დროიდან მოყოლებული, მოწინააღმდეგის *dolus*-ზე მისათითებლად, მოსარჩელე *actio doli*-ს, ხოლო მოპასუხე *exceptio doli*-ს იყენებდა.

Praescriptio შენარჩუნებული იქნა როგორც მოსარჩელეს ინ-

[359] denegatio – სარჩელზე უარის თქმა. იქვე, 105.

[360] Ea res agatur, extra quam si ita negotium gestium est, ut stari eo non oporteat ex fide bona. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 211.

ტერესების დაცვის საშუალება – *praescriptio pro actore. Intentio*-ს წინ *exceptio*-ს ჩართვით *condemnatio*-ს ადგენდნენ.

დაცვის ეს საშუალება, *praescriptio pro reo*-საგან განსხვავებით, უფრო ქმედითი იყო, ვინაიდან, აღნიშნული ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, მოსამართლის გამამართლებელი განაჩენი საბოლოო იყო: *litis contestatio* იმგვარად აუქმებდა მოსარჩელის სარჩელს, რომ სასამართლო პროცესის განმეორებითი წამოწყების მცდელობა გამორიცხული იყო.

გაიუსისა და ულპიანეს თანახმად, შედავება შეიძლება ყოფილიყო დროებითიც და მუდმივი: *exceptiones dilatoriae* (*temporales*) *et exceptiones peremptoriae* (*perpetuae*). [361]

„Peremptoriae sunt quae perpetuo valent, nec evitari possunt, velut quod metus causa, aut dolo malo, aut quod contra legem senatusve consultum factum est, aut quod res iudicata est vel in iudicium deducta est, item pacti conventi quod factum est, ne omnino pecunia peteretur“ – მუდმივია შედავება, რომელსაც ყოველთვის გააჩნია მნიშვნელობა და მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია. მაგალითად, (შედავება) იმის თაობაზე, რომ გარიგება დაიდო დაშინებით, მოტყუებით ან კანონისა და სენატის დადგენილების გვერდის ავლით, ან იმის თაობაზე, რაც უკვე იყო განაჩენის ან სასამართლო განხილვის საგანი, ასევე არაფორმალური შეთანხმება იმის თაობაზე, რომ გადახდა საერთოდ არ იქნება მოთხოვნილი.[362]

Exceptio peremptoria არის სარჩელის გაუქმების პირობა, რომლის გამოყენება ყოველთვის და ნებისმიერი მოსარჩელის წინააღმდეგ შეიძლებოდა. თუ მოპასუხე ამ პირობას ფორმულაში არ შეატანინებდა, მაშინ პროცესის მიმდინარეობისას, მოპასუხეს შეეძლო სადავოდ ექცია მხოლოდ თავად გარიგების ხარვეზები. ხოლო ფორმულაში გაუთვალისწინებელი ფაქტის გამო, ყურადღების გამახვილება არ შეეძლო. თუ მოპასუხე შეცდომით *exceptio peremptoria*-ს არ გამოიყენებდა, ამ უკანასკნელს პრეტორი, ფორმულის

[361] D.44.1.3. Digesta Iustiniani. T.VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005,455-457; D.44.2.4. Digesta Iustiniani. T.VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 465.

[362] Gai.,4.121. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2011, 222

სწორად შედგენის მიზნით, პირვანდელი მდგომარეობით აღადგენდა.[363] თუ დროებითი უარყოფა[364] გამოყენებული არ იქნებოდა, მსგავსი დახმარება მოპასუხეს ვეღარ გაეწეოდა.

თუ მოსარჩელეს სურდა, რომ მოსამართლეს მხედველობაში მიეღო მოპასუხის სასარჩელო შედავების საწინააღმდეგო სხვა ფაქტი, პრეტორი მას *replicatio exceptio*-ზე შედავების უფლებას ანიჭებდა. კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნის წარდგენაზე უარის სათქმელად, მხარეები საპირისპირო რამეზე თანხმდებოდნენ. მსგავსი ფაქტების არაფორმალურობა მიუღებელს ხდიდა ზოგად პრინციპს იმის შესახებ, რომ საპირისპირო შეთანხმებით[365] ნინამორბედი შეთანხმება ბათილდებოდა. ამიტომ მოპასუხის მხრიდან წარმოდგენილი *exceptio pacti conventi* საგანგებო *replicatio*-თი უნდა გაეუქმებინათ.[366] *„Si non postea convenerit ut mihi eam pecuniam peteri liceret"*... თუ დათქმული არ იყო, რომ მოგვიანებით მე გამოთხოვის ნება მეძლევა... შესაბამისად, მოსარჩელის *replicatio*-ზე მოპასუხეს შეეძლო ახალი შედავებით – *duplicatio*-თი, ეპასუხა,[367] ხოლო მოსარჩელეს კი ახალი შედავების (*triplicatio*) უფლება ჰქონდა.[368] სარჩელი *praescriptio pro actore* მოთხოვნის საგნის დანაწევრების მიზნით გამოიყენებოდა. ასეთი დანაწევრება სავალდებულო იყო პერიოდული ხასიათის მინიჭებათა შემთხვევაში, მთლიანის მაგივრად, მოთხოვნის ნაწილის დროს, ასევე მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

ჩვეულებრივ, ვალის ნაწილის გადახდას ითხოვდნენ ნაწილობრივი გადახდის ვადის დადგომის შესაბამისად.[369] *Intentio incerta*-ს შემცველი სარჩელის წარდგენით კრედიტორს, ვალის დანარჩენი ნაწილის მიმართ, პროცესის განმეორების შესაძლებლობა

---

[363] Gai.,4.125. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 223.

[364] exeptio dilatoria – დროებითი უარყოფა. Gai., 4.122. იქვე, 222.

[365] conventio contraria – საპირისპირო შეთანხმება.

[366] Gai.,4.126. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 223-224.

[367] Gai.,4.127. იქვე, 224.

[368] Gai.,4.128. იქვე.

[369] Gai.,4.131. 225-226.

არ ეძლეოდა. ხოლო ამ შინაარსის *praescriptio*-ს მიხედვით: „დაე, საქმის საგნად ითვლებოდეს ვალდებულების ის ნაწილი, რომლის შესრულების ვადა უკვე დადგა",[370] *praescriptio*-ს აღნიშნული სახე ერთსა და იმავე საქმეზე სარჩელის პერიოდულად წარდგენის შესაძლებლობას იძლეოდა.

V. პროცესუალური წარმომადგენლობა

Cognitor et procurator ad litem – პროცესუალური რწმუნებულის ორი სახე; dominus litis – მარწმუნებელი პირი პროცესში; datio cognitori – რწმუნებულის სასამართლო პროცესში დანიშვნის შესახებ გაკეთებული განცხადება; actio iudicati utilis – ანალოგიის წესზე დაფუძნებული სარჩელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სასარჩელო მოთხოვნით; cautio de rato – პროკურატორის მიერ მოსარჩელის მხარეზე მოქმედებათა მოწონების საჯარიმო გარანტია; cautio iudicatum solvi – პროკურატორის მიერ მოპასუხის მხარეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საჯარიმო გარანტია; procurator in rem suam – საკუთარ საქმეში რწმუნებულად მყოფი.

In iure სტადიაზე მხარეებს წარმომადგენლების გამოყვანა შეეძლოთ.[371] ძველ რომში პროცესუალურ წარმომადგენელთა ორი სახეობა იყო: *cognitor et procurator ad litem*. *Cognitor* დანიშვნის შესახებ მოწინააღმდეგე მხარეს ატყობინებდნენ ცალმხრივი აქტით – *datio cognitori*-ით. *Cognitor*-ი საქმეს საკუთარი სახელით აწარმოებდა, ამიტომ გამოიყენებოდა ფორმულა, რომლითაც პირთა თანმიმდევრობა გადაადგილებული იყო: *intentio*-ში მარწმუნებლის სახელი აღინიშნებოდა, ხოლო *condemnatio* მიმართული იყო *cognitor*-ისკენ. თუ *cognitor*-ი მოპასუხის მხარეზე იყო, *intentio*-ში აღინიშნებოდა მარწმუნებელი პირის სახელი, ხოლო *condemnatio*-თი მინიჭებას ექვემდებარებოდა *cognitor*-ი. *Datio cognitoris* მეშვეო-

[370] Ea res agatur cuius rei dies fuit. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 215.

[371] Gai.,4.126. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011 212-214.

ბით მოთხოვნის განახლება[372] ხდებოდა. ამიტომ, თუ კოგნიტორი მოსარჩელის რწმუნებული იყო, მაშინ მისი მოთხოვნა, *litis contestatio* (სარჩელის გასაჩივრება, სასამართლოში არაბრალეულობის შესახებ განცხადებით) იქვითებოდა. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღინიშნებოდა კოგნიტორის სახელი და *actio iudicati* ან მის სასარგებლოდ, ან მის საწინააღმდეგოდ (თუ ის მოპასუხეს წარმოადგენდა) გაიცემოდა. თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული სარჩელის ანალოგიურ სარჩელს – *actio iudicati ulitis*, პრეტორი მარწმუნებელი მხარის სასარგებლოდ (ან საწინააღმდეგოდ) გასცემდა.

სასამართლო პროცესში პროკურატორობა მარწმუნებლის მოურავსაც (*procurator omnium bonorum* – მთელი ქონების მმართველს) შეეძლო. დაშვებული იყო, მარწმუნებლის ნებით, სპეციალურად დანიშნული პირის მოადგილის (*procurator ad litem*) მონაწილეობა, ბრძანების[373] ან დავალების[374] საფუძველზე. *Procurator ad litem*-ად ითვლებოდა ის პირიც, რომელიც სასამართლო პროცესში მონაწილეობის სურვილს, დავალების ან ბრძანების გარეშე, კეთილი ნებით განაცხადებდა. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში *litis contestatio*-თი მოთხოვნის გაქვითვა არ ხდებოდა, პროკურატორს ნებაყოფლობით უნდა მიეცა პირობა, რომ მარწმუნებელი პირი ხელახლა არ დაიწყებდა პროცესს განსაკუთრებული *cautio rem ratam dominum habiturum*-ით (ფიცი, რომ მარწმუნებელი მოიწონებს მის მოქმედებებს), რომელსაც *cautio de rato*-ც ეწოდებოდა. პრეტორული დაცვის აღნიშნული საშუალება, პირგასამტეხლოს შესახებ შეთანხმების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენდა: იმ შემთხვევაში, თუ რწმუნებულის ქმედებას არ მოიწონებდა *dominus litis*, რომელიც ხელახლა დაიწყებდა პროცესს (მას ამაზე სრული უფლება ჰქონდა), არშემდგარი პროკურატორი მოპასუხის სასარგებლოდ დაჯარიმდებოდა, რაც მთლიანად გააბათილებდა იმ დანაკარგს, რასაც მას საქმის წაგება უქადდა. თუ პროკურატორი მოპასუხეს წარმოადგენდა, მაშინ პროკურატორი (მოპასუხის ღირსეულ მოადგილედ მიჩნევის მიზნით) განსაკუთრებული *cautio*

---

[372] novatio – მოთხოვნის განახლება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 226.

[373] iussum – ბრძანება. იქვე, 162.

[374] mandatum – დავალება. იქვე, 212.

iudicatum solvi-ის (სასამართლო გადაწყვეტილების) აღსრულების გარანტიას იძლეოდა.

კოგნიტორად დანიშვნის შემთხვევაში, ასეთ *cautio*-ს თავად მარწმუნებელი პირი იძლეოდა. ლოგიკურია, რომ იგი იმავდროულად *actio iudicati utilis*-ს გამოც (მის წინააღმდეგ ან მის სასარგებლოდ, სასამართლო გადაწყვეტილების ანალოგიური სარჩელით) აგებდა პასუხს.

პროკურატორი საკუთარი სახელით ებმებოდა პროცესში. ასეთ შემთხვევაში, პრეტორი ადგენდა ფორმულას, რომელშიც პირთა თანმიმდევრობა გადაადგილებული იყო. თუმცა ამ შემთხვევაში მარწმუნებლის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, *actiones utilis*-ს პრეტორი არ გასცემდა.

პროკურატორისა და *dominus litis* ურთიერთობები დავალების ხელშეკრულებით ან იმ ურთიერთობით წესრიგდებოდა, რომელთა საფუძველზე პროცესში მონაწილე მხარე ბრძანებას იძლეოდა. წარმომადგენლობის ამ სახეობის მეშვეობით, სავალო მოთხოვნების ცესია (ანუ სხვა პირზე საკუთარი ვალის გადაკისრება) მიიღწეოდა. ასეთი პროცესის დროს პროკურატორი საკუთარი ინტერესების დამცველად – *procurator in rem suam* (საკუთარ საქმეში რწმუნებული პირი) გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოთხოვნა სხვის უფლებაზე (ან პასუხისმგებლობა სხვის ვალდებულებას ეფუძნებოდა, თუ ის მოპასუხის რწმუნებულად გამოდიოდა) იყო დაფუძნებული.

VI. Indefensio (დაცვაზე უარის თქმა)

Bona – ქონება; missio in bona – პრეტორის მიერ სხვა პირისათვის ქონების მფლობელობის უფლების მინიჭება; indefensio – დაცვაზე უარის თქმა; translatio possessionis – მფლობელობაში მხარეთა მდგომარეობის შეცვლა-მონაცვლეობა.

სასამართლო პროცესში მოპასუხის სავალდებულო მონაწილეობა გულისხმობდა მისი ქმედების ისეთ განსაკუთრებულ კვალიფიკაციას, რომელიც კონფლიქტის გადაწყვეტის სასამართლო ფორმის ჩაშლისაკენ იქნებოდა მიმართული. მხარეთა დამოუკიდე-

ბლობა, დავის პროცესუალური წესით გადაწყვეტისას, სამართლის ძირითადი პრინციპის უმნიშვნელოვანეს გამოვლინებად მიიჩნეოდა. სასამართლო პროცესზე მონაწილეობაზე უარის თქმა კი, პიროვნების ავტონომიურობის დაკარგვად იმ მოცულობით აღიქმებოდა, როგორიც იყო სასამართლო განხილვის საგანი. თუ მოპასუხე მხარე სისტემის იმ პირობებზე აცხადებდა უარს, რომელიც, სასამართლოს გადაწყვეტილების წინაშე, მხარეთა ფორმალურ თანასწორობას ადგენდა და იცავდა, იგი საკუთარ თავს საზოგადოების მიღმა აყენებდა იმ ზომით, რა ზომითაც სამოქალაქო პროცესი მას თვითნებობისა და თვითგასწორებისაგან იცავდა. ამ დონეზე პირის მონაწილეობას სამოქალაქო ბრუნვაში განასახიერებდა მისი ქონება,[375] რომელიც, დაცვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ინდივიდუალურად მიზანდაკარგულად აღიქმება, რადგან მის მეპატრონეს აღნიშნულ ქონებაზე სოციალურად აღიარებული ნება აღარ გააჩნდა.

ყოველივე ზემოთქმულის ლოგიკურ შედეგად, მოსარჩელის იმ უფლების კონსტატაცია იყო, რომელიც მას ამ ობიექტის განკარგვის შესაძლებლობას ანიჭებდა, მისივე ინტერესების ფარგლებში. ასეთი ქმედება, პრაქტიკულად, ადმინისტრაციული ხერხებით მიიღწეოდა: მოსარჩელე მოპასუხის ქონების ნაწილის – *missio in bona*-ს მფლობელი ხდებოდა და აღნიშნული ქონების აუქციონზე გატანისა და გაყიდვის უფლება ენიჭებოდა.

სასამართლო პროცესში მოპასუხის მონაწილეობა სავალდებულო იყო. მასში მონაწილეობაზე უარით, სოციალური ნორმებით აღიარებული მისი უფლებები, ეჭვქვეშ დგებოდა. დაცვაზე უარის თქმად[375] არა მარტო სასამართლოში გამოუცხადებლობა ან *litis contestatio* (დავის საგნის მიმართ) უთანხმოება კვალიფიცირდება, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებისადმი[377] დაუმორჩილებლო-

---

[375] bona – patrimonium-ის სინონიმი; ცალკეული პირის მთელი ქონება, სიკეთე, მათ შორის უფლებები და ვალდებულებები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 56.

[376] indefensio – დაცვაზე უარის თქმა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 150-151; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 223-224.

[377] iudicatum – სასამართლო გადაწყვეტილება. Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 282; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски,

ბაც. პროცესის შესაძლო ჩაშლისაგან თავის დაღწევის მიზნით, პროცესის პირველ სტადიაზე მოპასუხეს საკუთარი როლის განმტკიცებას და სასამართლო განხილვებში სანივთო სარჩელის წარდგენას სთავაზობდნენ. ამ მიზნით მოპასუხეს ევალებოდა: 1. რიგი ვალდებულებების საკუთარ თავზე აღება, სტიპულაციით გარანტიების მიცემის გზით – *sadisdatio* (*cautio*) *iudicatum solvi* (პროცესუალური გარანტიები). ასევე მისთვის სავალდებულო იყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უტყუარი გარანტიის მიცემა – *ob rem iudicatam*; 2. სასამართლო პროცესის განვითარების მიზნით, მოპასუხე პირობას იძლეოდა, რომ სასამართლო პროცესზე მისი მონაწილეობა კონსტრუქციული იქნებოდა – *ob rem bene defensam*; 3. თავის შეკავება ისეთი განზრახი ქმედებებისაგან, რომლებსაც პროცესის ჩაშლა[378] შეეძლოთ.

Indefensus-ად მიჩნეული პირის მიმართ მკაცრი სანქციები გამოიყენება, რომელთა გამკაცრების საფრთხე, დადგენილი მართლწესრიგის მოთხოვნათა დარღვევის სიმძიმის კვალობაზე, მატულობდა. სანივთო სარჩელების დროს პრეტორი შეგნებულად ცვლიდა მხარეთა მდგომარეობას მფლობელობაში, ე.წ. *translatio possessionis*, რადგან, მსგავსი სარჩელის შეტანის შემთხვევაში, დაცვაზე უარის მთქმელი მოპასუხე, სამომავლოდ, მტკიცების ტვირთის[379] მთელ სიმძიმეს საკუთარ თავზე იღებდა. თუ სადავო უფლების საგანი მოძრავი ნივთი იყო, მიზნის მიღწევა მოსარჩელის მიერ აღნიშნული ნივთის წაღების შესახებ, ბრძანებით ან ნივთის გაცემის შესახებ სარჩელით[380] ხდებოდა (იმის მიხედვით, იყო თუ არა სადავო ნივთი წარმოდგენილი სასამართლოში). თუ მოპასუხე სასამართლო გადაწყვეტილებას არ ემორჩილებოდა და ნივთს არ გადასცემდა,

институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 214; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 172; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 151.

[378] ob dolo malo – პროცესის ჩაშლა (ბოროტი განზრახვით ჩადენილი ყოველგვარი ქმედება, რომელიც სამოქალაქო ღირსებას და წესრიგს ეწინააღმდეგება). Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 112; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 224.

[379] onus probandi – მტკიცების ტვირთი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 232; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 224.

[380] actio ad exibendum – ნივთის გაცემის შესახებ სარჩელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 35.

პრეტორი მოსარჩელეს მოპასუხის მთელი ქონების მფლობელად[381] ცხადდებოდა, რათა მოწყობილიყო მოპასუხის ქონების აუქციონის წესით გაყიდვა.

VII. Litis contestatio (დავის საგნის დადგენა)

Datio iudicii – სასამართლო დაცვის მინიჭება; litis contestatio – სადაო საგნის ფიქსაცია; iussum iudicandi – ბრძანება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ; iudicium legitimum, iudicium imperium continens, ipso iure – თვით სამართლის ძალით; ope exceptiones – ექსცეფციის ძალით; exceptio rei iudicatae vel in iudicium deductae – ექსცეფცია იმის შესახებ, რომ საქმეზე უკვე იყო გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება ან უკვე დადგინდა პროცესი.

ფორმულის შედგენის შემდეგ, როცა პრეტორი მხარეთა მოლოდინის პასუხად, მათ პროცესუალურ საშუალებებს[382] მიანიჭებდა, მოსარჩელე და მოპასუხე (*dictare et accipere iudicium* – სასამართლო განხილვის შემოთავაზება და მიღება) შემოთავაზებულ ფორმულაზე თანხმობას აცხადებდნენ. სამი მხარის ასეთ შეთანხმებას *litis contestatio*[383] ეწოდებოდა. ეს სასამართლო პროცესის განვითარების ის განსაკუთრებული მომენტი იყო, რომლის შემდეგაც პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებში მოსარჩელისა და მოპასუხის ინტერესები ადეკვატურად ასახულად ითვლებოდა. ვინაიდან, ფორმულა მოსამართლისადმი (ვის სახელზეც შეადგინეს) გაგზავნილად ითვლებოდა, *datio iudicii*-ში მოცემული იყო ბრძანება მოსამართლისადმი – *iussum iudicandi*, რათა მას საქმეზე

[381] missio in bona – ქონების მფლობელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 217; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 152; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 223-224.

[382] datio iudicii – პროცესუალურ საშუალებები.

[383] litis contestatio – დავის საგნის დადგენა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 206; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 150-151; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 225-230.

გადაწყვეტილება გამოეტანა. ასეთი მოსამართლე კერძო პირი იყო, რომელსაც აღნიშნულ საქმეზე უფლებამოსილება ეძლეოდა. *Litis contestatio*-თი იქვითებოდა მოსარჩელის მოთხოვნის უფლება და გამოირიცხებოდა იმავე საგნის განმეორებითი სასამართლო განხილვის შესაძლებლობა (პრეკლუზიური ეფექტი). პრეკლუზიური ეფექტის გამოყენება დამოკიდებული იყო სასამართლო განხილვის ტიპზე. *Lex Iulia* სასამართლო განხილვის ორ ეტაპს ადგენდა: *1. iudiciorum privatorum – iudicia legitima*-ს და *2. iudicia imperia continentia*-ს. თუ პროცესი რომში იმართებოდა, რომაელ მოქალაქეთა შორის და ერთი მოსამართლის[384] წინაშე მიმდინარეობდა (თუ მოსამართლეც რომის მოქალაქე იყო), სასამართლო განხილვა *legitimum*-ად ითვლებოდა.

სასამართლო განხილვის ყველა დანარჩენი სახე, რომელიც რომში არ იმართებოდა, მაგრამ რეკუპერატორების შუამავლობით წარიმართებოდა და ერთ-ერთი მონაწილე რომის მოქალაქე არ იყო, *iudicia imperia continentia*-დ ითვლებოდა. ასეთი სასამართლო განხილვა მაგისტრატის ხელისუფლებაზე[385] იყო დაფუძნებული. ცხადია, *iudicia legitima* ნასესხები იყო *per legis actiones* პროცესის უძველესი ფორმიდან.

უძველეს დროში, *litis contestatio*-ს პრეკლუზიური ქმედება *ius civiles* საფუძველზე სამართლის ძალით[386] გამოიყენებოდა. *Per formulas* პროცესის დროს სარჩელის განმეორებითი შეტანა ან *ipso iure* ძალით, ან სასარჩელო უარყოფით[387] გამოირიცხებოდა, რადგან მოთხოვნა *litis contestatio*-ს საგანი უკვე იყო.

---

[384] iudex unus – ერთი მოსამართლის წინაშე. Gai.,4.103-107. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 217-218; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 226.

[385] imperia continentia – მაგისტრატის ხელისუფლება. Gai.,4.105-107. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 217-218.

[386] ipso iure – სამართლის ძალით. Gai.,4.108. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 218; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 226-228.

[387] ope exceptionis – სასარჩელო უარყოფის ძალით. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 226.

დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით სადავო საგნის განადგურება, მოპასუხეს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებდა. პირადი ხასიათის მოთხოვნები: საჯარიმო სარჩელები – მემკვიდრეობითი ხასიათისაა და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა მხედველობაში არ მიიღებოდა. *Litis contestatio*-ს დამაყოვნებელი (დამაბრკოლებელი) შედეგი მხარეთა მატერიალური უფლებების პროცესუალურ უფლებებად გარდაქმნას უკავშირდებოდა. *Litis contestatio*-ს განმაახლებელი მოტივი ვალდებულებით ურთიერთობებზე ვრცელდებოდა და მხოლოდ პირადი სარჩელის საფუძველზე საქმის განხილვის დროს[388] გამოიყენებოდა. სამართალმცოდნეები (*prudentes*) *litis contestatio*-ს ვერბალური სახის ხელშეკრულებებთან აიგივებდნენ და მისი შედეგის შესახებ დავებს სწორედ ამ საფუძველზე წყვეტდნენ.[389]

VIII. სარჩელების კონკურენცია

პირთა ალტერნატიული კონკურენცია, სარჩელების ალტერნატიული და კუმულაციური კონკურენცია; actiones in persecutoriae – ქონებრივი სარჩელები; actiones poenales – საჯარიმო სარჩელები; actiones mixtae – შერეული სარჩელები; infitiatio – ვალის უარყოფა; in duplum – ორმაგი ანაზღაურებით; in simplum – მარტივი ანაზღაურებით.

განმეორებითი პროცესის ჩატარებაზე სუბიექტური და ობიექტური შეზღუდვების დადგენა თავად მოთხოვნის ტოლფასი იყო. „*Bis de eadem re ne sit actio* – ერთ საქმეზე ორი პროცესის ჩატარება დაუშველია ".[390] ეს პრინციპი პირთა ან სარჩელთა კონკურენციის ცნებით იყო დაკონკრეტებული. თუ ვალდებულების პასიური მხ-

[388] actio in personam – პირადი სარჩელის საფუძველზე საქმის განხილვის პერიოდი. Gai.,4.12-13. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 185; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 33.

[389] D.45.1.83.1. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом I. книги XLX-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 77.

[390] Латинские юридические изречения. сост. Темнов Е.И., Москва, 1966, 90.

არე სოლიდარულად, რამდენიმე მოპასუხე პირის სახით იყო წარმოდგენილი, ასეთ საქმეზე სარჩელის შეტანა მხოლოდ ერთ-ერთი მოვალის წინააღმდეგ შეიძლებოდა: *„electa una via, non datur recursus ad alteram* – რაკიღა არჩეულია ერთი გზა, მეორის გამოყენება დაუშვებელია".[391] ამ პრინციპს პირთა ალტერნატიული კონკურენცია ეწოდებოდა. ზოგ შემთხვევაში, ერთი სახის ურთიერთობა რამდენიმე სარჩელით იყო დაცული. ყველა სარჩელის პარალელურად გამოყენების შესაძლებობა (სარჩელების კუმულაციური კონკურენცია), ან არჩევანის მიხედვით ამ საშუალებებათა გამოყენების აუცილებლობა (სარჩელების ალტერნატიული კონკურენცია) სარჩელის ხასიათით განისაზღვრება.

„Agimus autem interdum, ut rem tantum consequamur interdum ut poenam tantum, alias ut rem et poenam" – ზოგჯერ სარჩელი მხოლოდ ინტერესის დასაკმაყოფილებლად, ზოგჯერ კი მხოლოდ დასჯის მიზნით შეიტანებოდა, სხვა შემთხვევაში – საქმისა და დასჯის გამოც.[392]

თავდაპირველად, სარჩელები მხოლოდ ქონებრივ სარჩელებად[393] და საჯარიმო სარჩელებად[394] იყოფოდა. სარჩელთა პირველი სახეობა ალტერნატიული კონკურენციის, მეორე კი – კუმულაციური კონკურენციის წესს ექვემდებარებოდა. კუმულაციური კონკურენციის ნათელი მაგალითია ქურდობის[395] ჰიპოთეზა, როცა დაზარალებულს საჯარიმო სარჩელიც[396] ენიჭებოდა დამნაშავის დასასჯელად და არასაჯარიმო სარჩელიც – თავად მოპარული ნივთის გამოთხოვისათვის. ნებადართული იყო ორი სხვადასხვა ტიპის სარჩელის წარდგენა თითოეული დარღვევისათვის. ასე რომ, სარჩელების კუმულაციურ კონკურენციას პირთა კუმულაციური კონკურენციაც ახლდა. თუმცა, ნივთის გამოთხოვისას, პირის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი არასაჯარიმო სარჩელი მოპარული

---

[391] იქვე, 144.

[392] Gai.,4.6-8. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 184.

[393] actiones rei persecutoriae – ქონებრივი სარჩელები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 34.

[394] actiones poenales – საჯარიმო სარჩელი. იქვე.

[395] furtum – ქურდობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 138.

[396] actio furti – საჯარიმო სარჩელი. იქვე, 139.

ნივთის დაბრუნების შესახებ,[397] ან ნივთის გამოთხოვის შესახებ[398] მიიღებოდა. საჯარიმო სარჩელები მკაცრად პერსონალური ხასიათის იყო. ისინი მემკვიდრეობით არ გადაიცემა და არც მოპასუხე მრახის პროცესუალური წარმომადგენლობა დაიშვებოდა, რადგან ითვლებოდა, რომ დამნაშავის დასასჯელად დაზარალებულს განსაკუთრებული ინტერესი ამოძრავებდა.

მოგვიანებით, შერეული ხასიათის სარჩელები – *actiones mixtae* – შეიმუშავეს. მათი მიზანი, ერთდროულად, პირის დასჯაც და ზიანის ანაზღაურებაც იყო. თავის მხრივ, სარჩელების ეს სახეობა ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს განეკუთვნებოდა ის სარჩელები, რომელთა საფუძველზეც ნივთის ღირებულების ორმაგი ოდენობა მოითხოვებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე საკუთარ ვალს უარყოფდა,[399] სარჩელის შემდეგი სახეები გამოიყენებოდა: 1. სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ,[400] 2. ვალის გადახდის თაობაზე დავალების მიმცემი პირისათვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ[401] და სხვა. ამ ტიპის სარჩელები ზიანის მარტივი ანაზღაურების[402] მოთხოვნის, ანუ არასაჯარიმო სარჩელების მსგავსი იყო. ასეთ შემთხვევაში, კუმულაციურ კონკურენციაზე საუბარი ზედმეტი იყო.

IX. Iudicatum (სასამართლო გადაწყვეტილება)

Res iudicata – საქმე, რომელზეც სასამართლო გადაწყვეტილება გამოიტანეს; obligatio iudicati – სასამართლო გადაწყვეტილების

---

[397] condictio ex causa furtive – საჯარიმო სარჩელი მოპარული ნივთების დაბრუნების შესახებ. იქვე.

[398] rei vindicatio – ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 276; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 197.

[399] infitiatio – მოვალის მიერ საკუთარი ვალის უარყოფა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 152.

[400] actio iudicati – სარჩელი სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ. იქვე, 40.

[401] actio depensi – სარჩელი ვალის გადახდის თაობაზე დავალების მიმცემი პირისათვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ. იქვე, 38.

[402] in simplum – არასაჯარიმო სარჩელები, სარჩელი ზიანის მარტივი ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ. იქვე, 33.

საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება; actio iudicati – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ შეტანილი სარჩელი; auctoritas rei iudicatae – სასამართლო გადაწყვეტილების ნორმატიული ძალა.

სასამართლოს წინასწარი მოსმენის გარდა, სასამართლო განხილვა მთავრდებოდა ან *adiudicatio*-თი – მოსარჩელისათვის სადაო ნივთის გარკვეული ნაწილის მიკუთვნებით (თანასაკუთრების ან მემკვიდრეობის გაყოფის საქმეებში), ან *condemnatio*-თი – ყველა დანარჩენ საქმეებში, მოპასუხის მიმართ გარკვეული თანხის გადახდევინების მოთხოვნით.

მოსაზრება[403] მოსამართლის (კერძო პირის) დადგენილება იყო, გადაწყვეტილება რომელიც სავალდებულო ძალას მხარეთა შეთანხმებისა და მაგისტრატის ბრძანების[404] საფუძველზე იძენდა. *Sententia*-ს გამოტანით (მოპასუხის გამამტყუნებელი ან გამამართლებელი) სასამართლო განხილვის საგანი გადაწყვეტილად ითვლებოდა – *res iudicata.*[405]

Res iudicata dicitur, quae finem controversiarum pronuntiatione iudiciis accipit: quod vel condemnatione vel absolutione contingit – საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება გამოტანილად ითვლება, თუ მოსამართლის გამამტყუნებელი ან გამამართლებელი გადაწყვეტილებით დავა სრულდება.[406]

Iudicium legitimum-ში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება პროცესის გამარჯვებული მხარის ახალ უფლებად ხდებოდა, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ – *actio iudicati*-თ უნდა დაეცვათ. აღნიშნული უფლებით, რომელსაც

---

[403] sententia – მოსამართლის მოსაზრება. იქვე, 291; Gai.,1.7; 3.64,71. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 10, 139, 140-141; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 291; Морев М.П., Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 651.

[404] iussum iudicandi – მაგისტრატების ბრძანებები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 162.

[405] D.42.1.1. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 167.

[406] Mod., D.42.1.1. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 167.

წაგებული მხარის *obligatio iudicati* შეესაბამებოდა, იცვლებოდა მოთხოვნა, რომელიც სასამართლო განხილვის საგანი ხდებოდა. *Iudicium imperium continens*-ით გამოტანილი განაჩენის სავალდებულო ძალა პრეტორულ ედიქტს ეფუძნებოდა[407]და *in factum concepta* ფორმულიანი *actio iudicati*-თ იყო დაცული.

Actiones in personam-ით მოგებული მოსარჩელე ახალი პირადი უფლების სუბიექტი ხდებოდა. *Actiones in rem*-ით მოგება კი მას უწინდელი სანივთო უფლების სუბიექტად აქცევდა და მოპასუხის მიმართ გადახდევინების ახალი, განსაკუთრებული მოთხოვნის *litis aestimatio*-ს (სადავო ნივთის შეფასება) უფლებას ანიჭებდა. თუ მოპასუხე ნივთს დააბრუნებდა, *arbitrium de restituendo*-თი გამართლებას ექვემდებარებოდა.

სასამართლო გამორიცხავდა პროცესის განმეორებას როგორც გამამტყუნებელ, (ვინაიდან ის *exceptio rei iudicatae*-სათვის საფუძველი ხდებოდა), ანუ პრეკლუზიური ეფექტისას, ისე გამამართლებელ შემთხვევაში (ვინაიდან მიღებული გადაწყვეტილება მომდევნო სასამართლო განხილვის აუცილებლობას გამორიცხავდა), ანუ პრეიუდიციური ეფექტისას. მაგალითად, სერვიტუტის უფლების შესახებ სარჩელის[408] შემთხვევაში, საკუთრების უფლება მიკუთვნებულ ნაკვეთზე მოსარჩელეს აღარ უნდა ემტკიცებინა. ხოლო თუ სერვიტუტის უფლება უკვე სასამართლო განხილვის საგანი იყო, მოპასუხის უარი მხედველობაში აღარ მიიღებოდა. თანაც, *iudicatum*-ი ნებისმიერი მესამე პირის მიმართ მოქმედებდა. სერვიტუტის შესახებ სარჩელით და ზემოხსენებული მაგალითით მოყვანილ მოპასუხედ შეიძლებოდა გამოსულიყო სხვა პირი და არა ის, ვინც საკუთრების შესახებ უწინდელ სასამართლო პროცესში მხარედ იყო წარმოდგენილი. სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც რაიმე უფლების არსებობა უარიყოფოდა, ამავე უფლებიდან გამომდინარე ან მასზე დამოკიდებული ნებისმიერი უფლება, შეწყვეტილად ცხადდებოდა. ამ მოვლენას რომაელებმა *auctoritas rei iudicatae* – სასამართლო გადაწყვეტილების იურიდიულად სავალდებულო ძალა, უწოდეს.

---

[407] D.42.1.4.3. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 187.

[408] vindicatio servitutis – სერვიტუტის უფლების შესახებ სარჩელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 327.

X. ინტერდიქტული წარმოება

გარდა კერძო საქმის წარმოების[409] ჩვეულებრივი სასარჩელო წესისა, არსებობდა განსაკუთრებული ინტერდიქტული[410] წარმოებაც, რომელიც ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ სასამართლო მაგისტრატი, როგორც უზენაესი ხელისუფალი, მოქალაქეთა მიმართ ბრძანებებს გამოსცემდა. ინტერდიქტებს პრეტორები საქმის გამოძიების დროს გამოსცემდნენ, რის გამოც, ინტერდიქტები უპირობო და კატეგორიული ბრძანებები იყო, რომლებიც ჯარიმისა და გირაოს შეტანის სანქციას გასცემდნენ. ინტერდიქტული წარმოება პრეტორის აღმასრულებელი ხელისუფლების სახე იყო. გაიუსის აზრით, კლასიკურ ეპოქაში პრეტორის ინტერდიქტი გახდა პირობითი ბრძანება, რომლითაც ინტერდიქტული წარმოება იწყებოდა. ის სადავო საქმის განხილვის მომდევნო – სასამართლო წარმოების ეტაპის საფუძველი ხდებოდა და მმართველობის სფეროდან მართლმსაჯულების სფეროში უნდა გადასულიყო.[411]

ა) განასხვავებდნენ ინტერდიქტის შემდეგ სახეებს: 1. მარტივი და რთული ინტერდიქტები – *simplicia*, *duplicia* (იმის მიხედვით, ერთ მხარეს ეხებოდა, თუ ორივეს); 2. აღმკვეთი – *prohibitoria*; 3. აღდგენითი – *restitutoria*; 4. წარმდგენითი — *exhibitoria*.

ინტერდიქტის უპირატესობა ის იყო, რომ მოვალე მხარე ფაქტს უსიტყვოდ ემორჩილებოდა – ინტერდიქტში მითითებულ ფაქტს

---

[409] ordo iudiciorum privatorum – გარდა კერძო საქმის წარმოებისა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 234-235.

[410] interdictum – განსაკუთრებული ინტერდიქტული წარმოება. Gai.,4.126. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 228-234; Inst. Iust. 4.15. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 255-260; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 296; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 208; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989,155-159.

[411] Gai.,4.138-160. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 227-233.

არ ასაჩივრებდა და არც აღმკვეთი ინტერდიქტის დარღვევას ამტკიცებდა.

თუ პირი, ვის წინააღმდეგაც პრეტორი ინტერდიქტს გამოსცემდა, ამ უკანასკნელს, პრეტორის ოთახიდან გაუსვლელად გაასაჩივრებდა და მოსამართლის[412] დანიშვნას მოითხოვდა, მისი მოთხოვნა კმაყოფილდებოდა.

(ბ) რესტიტუციის[413] საფუძვლები იყო: 1. ქმედებით ან დაუდევრობით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი;[414] 2. რესტიტუციის გამამართლებელი საფუძველი იმ შემთხვევაში არსებობდა, როცა მოსამართლეს მიმართავდა მთხოვნელი: ა) *minor aetas* (არანაკლებ 25 წლის ასაკის პირი); ბ) *quod metus causa* (საფრთხის შემთხვევაში შიშის გამო); გ) *error* (შეცდომის შემთხვევაში); დ) *dolus malus* (ხშირ შემთხვევაში); ე) არ ყოფნისას (იშვიათ შემთხვევაში. მაგალითად, ტყეობისას). 3. დროული თხოვნა.)

რესტიტუციის ამოქმედებით ძალა ეკარგებოდა ფაქტს, რომლის საფუძველზეც ამა თუ იმ კონკრეტული ვითარების გამო, ახალი იურიდიული ურთიერთობები წარმოიშვა და ამ ურთიერთობების პირვანდელ მდგომარეობას აღადგენდა. რესტიტუციის მიმღები მოსარჩელე ვალდებული იყო მოპასუხისათვის იურიდიული ურთიერთობების გაქვითვიდან მიღებული სარგებელი დაებრუნებინა. კერძოდ, თუ მყიდველი მის მიერ გადახდილ საფასურს დაიბრუნებდა, მას გამყიდველისათვის ნაყიდი საქონლის დაბრუნება ევალებოდა.

---

[412] arbiter – მოსამართლე. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 50.

[413] restitutio in integrum – რესტიტუცია, პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 278-279; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 208; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 296-308.

[414] laesio – ქმედებით ან დაუდევრობით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 177; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 298-299.

XI. სააღსრულებო წარმოება

Ductio iussu praetoris – კრედიტორის სახლში მოვალის მიყვანა; addictus – პირი, რომლის მიმართ გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება მისი აღსრულების მოთხოვნით და რომელმაც სასამართლო გადაწყვეტილება არ შეასრულა; bonorum venditio – ვალაუვალი მოვალის ქონების აღწერა მისი საკონკურსო წესით გაყიდვის მიზნით; magister bonorum – კონკურსის ორგანიზატორი; venditio ad hasta – აუქციონი; bonorum emptor – ექსპროპრირებული მოვალის უფლებამონაცვლე; cessio bonorum – მოსარჩელესათვის ქონების ნებაყოფლობით დათმობა.

სასამართლო პროცესის შედეგად წაგებული პირი სასამართლო გადაწყვეტილებას თუ არ შეასრულებდა, მის მიმართ იყენებდნენ სადამსჯელო ღონისძიებებს, რომლებიც ან პირადად მასზე ან მის ქონებაზე ვრცელდებოდა. ქრ.შობამდე 17 წ. *lex Iulia iudiciorum privatorum*-ით გაუქმდა *manus iniectio*[415] ანუ სიმბოლური აქტი, რომელიც კრედიტორს მოვალის პირადად დაუფლების კანონიერ საშუალებას აძლევდა და პრეტორის ბრძანების საფუძველზე, პირადი დასჯის მხოლოდ ერთი ფორმა – *ductio iussu praetoris,*[416] შენარჩუნდა. სასამართლო პროცესის მოგებულს, პრეტორის გადაწყვეტილების[417] საფუძველზე, მოვალის მიყვანა შეეძლო საკუთარ სახლში, სადაც მას ბორკილებს ადებდა ან ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებას აიძულებდა. შედარებით გვიანდელი პერიოდის ცნობებით, *addictum*-ი სასამართლო ნორმებით არ წესრიგდებოდა, თუმცა მოვალის გათავისუფლება ვალის გადახდის (ან შესრულებული სამუშაოთი ვალის გაქვითვით) შემდეგ შესაძლებელი იყო.

---

[415] manus iniectio – ხელის დადება. Gai.,4,21-25. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 189-191; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, опре-деления, Москва, 1989, 211; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 240.

[416] ductio iussu praetoris – პრეტორის ბრძანების საფუძველზე მოვალის მიყვანა კრედიტორის სახლში. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 114; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 240.

[417] addictio – პრეტორის გადაწყვეტილები. იქვე, 21-22; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 240.

ამრიგად, პირადი სასჯელი გამოიყენებოდა პრაგმატული მოსაზრებით: მისი მეშვეობით მოვალის ნათესავებსა და მეგობრებზე ზემოქმედებით, მათი ახლობლის ვალის დასაფარად და *iudicatum*-ს აღსრულებისათვის.

სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ყველაზე გავრცელებული ფორმა, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, დამნაშავის ქონების *bonorum venditio*-ს[418] წესით გაყიდვა იყო. ვალაუვალი მოვალის ქონების საკონკურსო წესით გაყიდვით, მოვალე სამოქალაქო-სამართლებრივი კავშირების სისტემიდან ამოირიცხებოდა, რაც მის სამოქალაქო სიკვდილს (კერძო პირის, როგორც სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილის თავისებური ლიკვიდაცია) და სამოქალაქო ურთიერთობაში მისი სხვა უფლებამონაცვლე პირით ჩანაცვლებას იწვევდა.

დასჯა იწყებოდა პრეტორის საგანგებო დეკრეტის გამოცემით, რითაც სასამართლო პროცესის მომგები მხარე მოვალის ქონების მფლობელად ცხადდებოდა – *missio in bona* (*in possessionem*). თუმცა, ამ აქტის ჰიპოთეზად ედიქტი მაინც ითვალისწინებდა: დაცვაზე უარის თქმას; პირის მიმალვას სასამართლო დევნისაგან თავის არიდების მიზნით;[419] ასევე, უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი მოვალის სიკვდილს.[420]

მომდევნო 30 დღის (მოვალის სიკვდილის შემთხვევაში) შემდეგ, კრედიტორი საკონკურსო გაყიდვის წესით, სავარაუდო დღეს – *proscriptio bonorum*-ს[421] აცხადებდა. მოვალის ქონების მფლობელებად გახდომა სხვა კრედიტორებს მაშინაც კი შეეძლოთ, როცა სასამართლო გადაწყვეტილება მათი მოთხოვნით არ იყო გამოტანილი.

---

[418] bonorum venditio – საკონკურსო წესით გაყიდვა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 324-325; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 240.

[419] latitatio – სასამართლო დევნისაგან თავის არიდების მიზნით პირის მიმალვა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 177; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 240.

[420] cui heres non extabit – უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი მოვალის სიკვდილი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 241.

[421] proscriptio bonorum – ვალაუვალი მოვალის ქონების საუქციონო წესით გაყიდვის შესახებ განცხადება, რომელსაც მოვალე აკეთებდა, რათა კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა კრედიტორს შესძლებოდა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 263; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 241.

შემდეგ კრედიტორები ირჩევდნენ კონკურსის მმართველს,[422] რომელიც ადგენდა კონკურსის წესებს/წესდებას,[423] მოვალის ქონების აქტივებსა და პასივებს შორის თანაფარდობას და ჩასატარებელი კონკურსის პირობებს. პირველყოვლისა, მხედველობაში მიიღებოდა პირველი რიგის კრედიტორთა ინტერესები: ხაზინის,[424] ადგილობრივი ხელისუფლების, მეურვეობაში მყოფი პირების (თუ მოვალე მათი მეურვე იყო), დაკრძალვის ხარჯების კრედიტორების, სახლის სარემონტო სამუშაოების კრედიტორების მოთხოვნები. ასევე იმ კრედიტორთა ინტერესებიც, რომელთა მოთხოვნის საგანი მზითევი[425] იყო. აქტივების შესაბამისად განისაზღვრებოდა ის წილი, რომლის ფარგლებშიც უპირატესი კრედიტორების მოთხოვნები კმაყოფილდებოდა.

თუ პრეტორი *lex bonorum vendindorum*-ს მოიწონებდა, ის გაყიდვის სავარაუდო დღეს აცხადებდა. კონკურსის მმართველი, საკონკურსო წესით გაყიდვის დროს, წარმოადგენდა მოვალის მთელი ქონების ფასს, რომლის ოდენობა კრედიტორთა მოთხოვნილი თანხის ჯამით და არა ქონების საერთო ღირებულებით განისაზღვრებოდა, ვინაიდან კრედიტორთა დაკმაყოფილების მოვალეობა გამყიდველს ეკისრებოდა. წესისამებრ, ქონების სააუქციონო გაყიდვა „ჩაქუჩით"[426] – ღია აუქციონის ფორმით ხორციელდებოდა. გამარჯვებულად ის მყიდველი ცხადდებოდა, რომელიც ყველაზე მეტ ფასს შესთავაზებდა. თუმცა თუ მყიდველი ჩათვლიდა, რომ აქტივების ოდენობა არასაკმარისი იყო, მას შეეძლო ვალის მხოლოდ ნაწილის გადახდა, თანაც პრივილეგირებული კრედიტორებისათვის, რომლებიც (ასეთ პირობებში) კანონით დადგენილი რიგითობის გათვალისწინებით კმაყოფილდებოდნენ.

---

[422] magister bonorum – კონკურსის მმართველი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 324-325; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 241; Морев М.П. Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 700.

[423] lex bonorum vendundorum -კონკურსის წესები/წესდება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 324-325; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 241.

[424] fiscus – ხაზინა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 134.

[425] dos – მზითევი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 100-101.

[426] venditio ad hasta – სააუქციონო ჩაქუჩი.

მოვალის ქონების გაყიდვის თაობაზე გარიგება საუკეთესო წინადადების ავტორთან იდებოდა, რაც გამყიდველის სამოქალაქო სიკვდილის ტოლფასი იყო. გამოცხადებული ფასის გადახდა არ ხდებოდა, ვინაიდან, ფაქტობრივად, ქონების გამყიდველი არ არსებობდა, ხოლო მყიდველი მფლობელობას, საკონკურსო ქონების მმართველისაგან იძენდა. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის წესით გაყიდული ქონების მყიდველი[427] ნივთზე მფლობელობის უფლებას დაკარგავდა, იგი საკუთარ უფლებას *actio Publiciana*-თი იცავდა.

მოვალის უნივერსალური უფლებამონაცვლე ხდებოდა *bonorum emptor*-ი, რომლის წინააღმდეგაც კრედიტორთა სარჩელები იყო მიმართული. ამ სარჩელებს იგი პასუხობდა, მის მიერ შეძენილი ნივთის ღირებულების, შესაბამისი წილის მოცულობით.

ქონების ექსპროპრიაციას (ჩამორთმევა) თან სდევდა პატივის, ღირსების აყრა.[428] უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სასჯელის მიზეზი ვალაუვალობა არ იყო. თუ კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოვალეს არ შეეძლო, იგი *lex Iulia* კანონის საფუძველზე, დასჯისაგან თავის არიდების მიზნით, მოსარჩელეს საკუთარ ქონებას ნებაყოფლობით გადასცემდა.[429] თუ სასამართლო პროცესის ჩაშლა ან სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ქმედუუნარო პირის (*infans, furiosus, prodigus*) წარმომადგენლის არყოფნას უკავშირდებოდა, იძულებითი ანაზღაურება მხოლოდ ცალკეული ნივთების მიმართ[430] გამოიყენებოდა და მას პატივის

---

[427] bonorum emptor – აუქციონის წესით გაყიდული ქონების მყიდველი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 56; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 241.

[428] infamia – ღირსების აყრა. Бартошек М. Римское право. Понятия, термины, определения. Москва. Юридическая литература. 1989. 151; Морев М.П. Римское право. Учебное пособие. 2-ое издание. Москва. Издательско-торговая корпорация «Дашков и К». 2011, 702.

[429] cessio bonorum – ქონების საკუთარი ნებით გადაცემა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 65; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003,242; Морев М.П. Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 698-699, 701-702.

[430] bonorum distractio – იძულებითი ანაზღაურების გამოყენება მხოლოდ ცალკეული ნივთების მიმართ. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 111; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003,242; Морев М.П. Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 702-703.

აყრა (*infamia*) არ მოყვებოდა.

პრეტორი მხარეების მოსმენის შემდეგ გასცემდა სარჩელის ფორმულას, რომელშიც, მოდავე მხარეების თხოვნით, შესაძლებელი იყო ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ფორმულა იყო პრეტორის მიერ მოსამართლისადმი გაცემული ბრძანება, რომლითაც პრეტორი მას მოუწოდებდა გამოეტანა ისეთი გადაწყვეტილება, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა მითითებული პრინციპები. თანაც, მოსამართლეს, რომელიც კერძო პირი გახლდათ და სასამართლო ხელისუფლებით[431] არ იყო აღჭურვილი, აღნიშნულ საქმეზე საჭირო უფლებამოსილება ენიჭებოდა. ფორმულის შედგენას თან ახლდა დავის საგნის დადგენა.[432] საქმე მოსამართლეს გადაეცემოდა, რომელიც, თავის მხრივ, პრეტორის მოთხოვნათა შესაბამისად, ამოწმებდა ფაქტებს და სასამართლო გადაწყვეტილება (*iudicatum*) გამოჰქონდა.

ფორმულის შინაარსი წინასწარ იყო დადგენილი (ფიქსირებული შინაარსი – *concepta verba*). ედიქტის პრინციპული განახლება დროის მოთხოვნების გათვალისწინების საშუალებას იძლეოდა, რათა ახალი ურთიერთობებისათვის, პრეტორული დაცვის შესაბამისი საშუალებები მიეცათ. პრეტორის მიერ გაცემული პროცესუალური დაცვის ახალი ფორმები განვითარებული მართლშეგნების მოთხოვნებს ასახავდა. ფორმულის შედგენაში ორივე მხარე მონაწილეობდა. დაცვის პრეტორული ფორმების საფუძველზე, მხარეებს უფლება ჰქონდათ, მოწინააღმდეგის მიერ მოყვანილ ფაქტებზე, ფორმულაში საკუთარი შენიშვნები შეეტანათ. თუმცა, საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისადმი მკაცრი შესაბამისობა მთავარ პირობად რჩებოდა, რაც, თავის მხრივ, კონფლიქტის სპეციფიკის მოქნილობას ხელს სულაც არ უშლიდა.

---

[431] iuris dictio – სასამართლო ხელისუფლება.

[432] litis contestatio – დავის საგნის დადგენა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 206; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008150-151; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 225-230.

XII. Extra ordinem cognitio (ექსტრაორდინალური პროცესი)

Extra ordinem – დადგენილი წესრიგის მიღმა; cognitio – მოკვლევა; denuntiatio – სასარჩელო განცხადება; evocatio – სასამართლოში გამოცხადების უწყება; in ipsam rem – პირის იძულება ნივთის ნატურალურის სახით გადასაცემად; sumptus litis – სასამართლო ხარჯები; sportulae – სასამართლო ბაჟი; appellatio – აპელაცია; iudexa quo – მოსამართლე, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრება დასაშვებია; iudex ad quem – მოსამართლე, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით გადასინჯავს; litterae dimissoriae – სააპელაციო დოკუმენტები; pignus in causa iudicati captum – გირაო, რომელიც გამოიყენება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად.

კლასიკური პერიოდის იურისტები *extra ordinem* პროცესუალური საშუალებების შესახებ მოგვითხრობენ, რომლებსაც ისინი *per formulas* პროცესის განსაკუთრებული პროცედურისგან განასხვავებდნენ. ქრ. შობამდე 17 წ. კანონი *per formulas* პროცესს ითვალისწინებდა როგორც *ordo iudiciorum privatorum*-ს. კლასიკურ პერიოდში სასამართლო განხილვის ახალი ფორმები – *cognitio*, სულ უფრო მეტ მრავალფეროვნებას იძენდა, თუმცა მათ საერთო ნიშნები ჰქონდათ, რომელთა გარკვეული უნიფიცირებაც პოსტკლასიკურ პერიოდში მოხდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა 342 წლიდან *per formulas* წარმოება გაუქმდა და მხოლოდ *cognitio* პროცესი ორდინალურ სახეობად იქცა. სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა მაგისტრატის წინაშე; აღარ არსებობდა მოსამართლე – კერძო პირი და *in iure et apud iudicem* სტადიები. მოსამართლის გადაწყვეტილება სახელმწიფო ორგანოს ბრძანების ძალას იძენდა და მას უკავშირდებოდა (და არა *litis contestatio*-ს) პროცესის პრეკლუზიური შედეგი. ასეთი გადაწყვეტილების ძალა სასამართლო ინსტანციის იერარქიულობაზე იყო დამოკიდებული, რომლის უმაღლეს საფეხურზეც იმპერატორი იყო. ამ პერიოდში ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში აპელაციის შეტანა დაიშვებოდა. სასამართლო პროცესის დანიშვნაში მოპასუხე არ მონაწ-

ილეობდა და თუ იგი გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, მის მიმართ იძულებითი ღონისძიებები გატარდებოდა. სასამართლო პროცესის დროს ადმინისტრაციულმა თვითნებობამ იმძლავრა, რამაც პროცესუალური ფორმის სიმკაცრე მნიშვნელოვნად შეასუსტა. იმპერიის ეპოქაში, იმპერატორის აბსოლუტური ხელისუფლების განმტკიცება და კერძო საქმეზეც სამართალწარმოების საჯარო ხასიათი, უშუალოდ პირის ავტონომიურობის თანდათანობით დეგრადაციაზე მოწმობდა.

მოკვლევის (*cognitiones*) წარმოშობა ავგუსტუსის მმართველობასთან იყო დაკავშირებული, რომელმაც ჯერ კიდევ ქრ. შობამდე 30 წ. უზენაესი სააპელაციო სასამართლო ინსტანციის კომპეტენცია, სავარაუდოდ, იმ საქმეების მიმართ ხელთ იგდო, რომლებსაც მანამდე მაგისტრატები განიხილავდნენ. ამ პერიოდში *lex Iulia iudiciorum privatorum*-ის მიღებამდე, *extra ordinem*-ის ცნება საერთოდ არ გვხვდება. პირველი ინსტანციის მოსამართლის ფუნქცია ავგუსტუსმა ქრ. შობამდე 23 წ., *imperium proconsulare maius et infinitum*-თან ერთად მიიღო. ეს იყო უზენაესი პროკონსულარული ხელისუფლება, რომელიც ფუნქციონალურ და ტერიტორიულ შეზღუდვებს არ ექვემდებარებოდა. პრინცეფსს სასამართლო პროცესების დადგენა შეეძლო. ცხადია, *lex Iulia iudiciorum privatorum*-ი პრინცეფსის სასამართლო საქმიანობის სფეროს ზღუდავდა: პრინცეფსი მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავდა და სხვადასხვა *cognitiones*-ით, გამოტანილი განაჩანების სააპელაციო ინსტანცია გახლდათ. რომში *cognitiones*-ი იმ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად შემოიღეს, რომლებიც *per formulas* პროცესის სისტემას არ შეესაბამებოდა. თანდათანობით, სამოქალაქო საქმეთა დიდმა ნაწილმა – მათ შორის ისეთებმაც, რომელთა ფორმულა ედიქტით იყო შექმნილი, თავი მოიყარა *praefectus urbi*-ს სასამართლოში, რომელმაც III ს. დასასრულიდან ორდინალური სასამართლო მთლიანად გააუქმა. კლასიკური ეპოქის *cognitiones* სასამართლოში, მოსარჩელეს ზეპირი განცხადების[433] საფუძველზე მოპასუხის გამოძახებით იწყებოდა. მოსარჩელე საქმის არსს აყალიბებდა და მაგ-

[433] denuntiatio – მოსარჩელეს ზეპირი განცხადება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 105; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 162; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 245.

ისტრატთან გამოცხადების ვადას ადგენდა. ზოგჯერ, მოსარჩელეს თხოვნით, სასამართლო ფუნქციას – *evocatio*-ს (ან *denuntiatio ex auctoritate*-ს) – საჯარო ხელისუფლების ორგანო ასრულებდა. თუ მოპასუხე სხვა ქალაქში ცხოვრობდა, ამ ქალაქის ხელისუფალთ სასამართლო მაგისტრატი, მოპასუხის სასამართლოში გამოძახების თაობაზე[434], წერილობითი თხოვნით მიმართავდა. თუ აღნიშნულ მოთხოვნას მოპასუხე ყურად არ იღებდა, მაშინ მას საჯარო წესით *evocatio edictis*-ით იძახებდნენ. ასეთი ფორმით მოპასუხეს სამჯერ იძახებდნენ. თუ ეს საშუალებაც წარუმატებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ მაგისტრატი *edictum peremptorium*-ს გამოსცემდა, რითაც ურჩ მოპასუხეს, მის დაუსწრებლად, საქმის განხილვის საფრთხე ემუქრებოდა.[435] ის მოპასუხე, რომელიც სასამართლო მაგისტრატის ბრძანების დაუმორჩილებლობას გაბედავდა, მოსამართლის ავტორიტეტის შეურაცხმყოფლად[436] ცხადდებოდა. სასამართლოში გამოუცხადებლობით სასამართლოსადმი უპატივცემულობა,[437] თავდაპირველად, პროცესის ავტომატურ წაგებას იწვევდა, მოგვიანებით, კი საქმის დაუსწრებელი წარმოების დადგენის ძირითადი საფუძველი გახდა. ამავე დროს, მოსარჩელე სასამართლო პროცესს მხოლოდ მაშინ აგებდა, თუ მისი ქმედუუნარობა დადგინდებოდა ან განსახილველი საქმისადმი სასამართლოს არაკომპეტენტურობა გამომჟღავნდებოდა. მოსარჩელის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესის შეწყვეტას იწვევდა. მაგისტრატის წინაშე წარდგენის შემდეგ, მხარეები საქმის არსს თავისუფალი ფორმით აყალიბებდნენ. პროცესის ამ სტადიაზე მოპასუხეს შესაძლო უარის

---

[434] evocatio litteris – განცხადება მოპასუხის სასამართლოში გამოძახების თაობაზე. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 122-123; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 245.

[435] D.5.1.70-71. Digesta Iustiniani. T. II, книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 51.

[436] contumax – მოსამართლის ავტორიტეტის შეურაცხყოფა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 92; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 150.

[437] contumatia – სასამართლოსადმი უპატივცემულობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 92; Чезарс Санфилиппо. Курс римского частного права. Учебник. Москва. Норма. 2008. с. 150.

მიზეზი უნდა მოეყვანა,[438] მოსარჩელის მოთხოვნის მიმართ.[439] ამას მოყვებოდა *litis contestatio*, რომელიც დამაბრკოლებელ შედეგს იწვევდა. შემდეგ იგივე მაგისტრატი საქმეს ან თვითონ განიხილავდა, ან გადასცემდა დანიშნულ მოსამართლეს (*iudex datus*), რომლის არჩევაზეც მხარეები გავლენას ვერ ახდენდნენ. უკვე III საუკუნეში *condemnatio pecuniaria*-ს პრინციპი, *in rem* ტიპის სასამართლო განხილვისას, დაირღვა და ნივთის სავალდებულო გადაცემის *in ipsam rem* გადაწყვეტილება მიიღეს.[440] მოპასუხის მიმართ კიდევ ერთი სიახლე დაადგინეს: სასამართლო ხარჯების[441] დაფარვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოჰქონდა, რომელსაც საჯარიმო ხასიათი ჰქონდა და სასამართლო ბაჟის[442] სახით, სახელმწიფოს სასარგებლოდ გაიღებოდა. ასეთი პრაქტიკა განსაკუთრებით პოსტკლასიკური პერიოდის სასამართლო პროცესში განვითარდა.

Cognitio extra ordinem-თი სასამართლო პროცესის დროს გამოტანილი გადაწყვეტილება აპელაციას (*appellatio*) ექვემდებარებოდა, რომელიც პრინცეფსის სახელზე შეტანილი იმ საჩივრების პრაქტიკიდან განვითარდა, რომლებიც სასამართლოს მიერ გამოტანილ არასამართლიან გადაწყვეტილებებზე იწერებოდა. აპელაციების განხილვას იმპერატორი ქალაქის პრეტორს (თუ განაჩენი რომში იყო გამოტანილი), ან პრეტორიანელთა პრეფექტს (თუ საქმე ქ. რომის საზღვრებს იქით განიხილებოდა) ავალებდა. აპელაციის შეტანა უშუალოდ მოსამართლესთან განაჩენის გამოტანისთანავე ზეპირი ფორმით, ან მომდევნო დღეებში წერილობითი ფორმით

---

[438] exceptiones, praescriptiones – მოპასუხეს შესაგებელი. Бартошек М. Римское право. Понятия, термины, определения. Москва. Юридическая литература. 1989. 123, 255-256; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 245.

[439] petitum – მოსარჩელის მოთხოვნის მიმართ მოპასუხეს მიერ შესაძლო უარის მიზეზი მოყვანა. Бартошек М. Римское право. Понятия, термины, определения. Москва. Юридическая литература. 1989. 123, 244-245; Морев М.П. Римское право. Учебное пособие. 2-ое издание. Москва. Издательско-торговая корпорация «Дашков и К». 2011. 712

[440] condemnatio in ipsa rem . С.3,34,5. Морев М.П. Римское право. Учебное пособие. 2-ое издание. Москва. Издательско-торговая корпорация «Дашков и К». 2011. 712

[441] sumptus litis – სასამართლო ხარჯები. Морев М.П. Римское право. Учебное пособие. 2-ое издание. Москва. Издательско-торговая корпорация «Дашков и К». 2011. 712

[442] sportulae – სასამართლო ბაჟი. Бартошек М. Римское право. Понятия, термины, определения. Москва. Юридическая литература. 1989. 300

ხდებოდა. მოსამართლე მაგისტრატი, ვის განაჩენზეც აპელაცია (*iudex a quo*) შედიოდა, თავად წყვეტდა (ზოგჯერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით) აპელაციის საკითხს. აპელაციაზე უარის თქმა მოტივირებული იყო საჩივრის ფორმალური ხარვეზებით და მოპასუხის განზრახ სურვილით, გაეჭიანურებინა სასამართლო განაჩენის აღსრულება. თუ დადებითი გადაწყვეტილება მაინც გაიცემოდა, მოპასუხე მოსამართლისაგან სასამართლო უწყებას[443] იღებდა, რომელიც გარემოებათა გათვალისწინებით, საქმის არსის დაწვრილებით ჩამოყალიბების გარეშე, სააპელაციო მოსამართლეს[444] ეგზავნებოდა. სააპელაციო ინსტანციის მოსამართლის გადაწყვეტილებით, აპელაციით განაჩენის ძალაში შესვლის გადავადება ხდებოდა. თუ აპელაციაზე უარი არ იყო ნათქვამი, სასამართლო გადაწყვეტილება იცვლებოდა. თუ გადაწყვეტილება უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში (თვით პრინცეფსის მიერ) იყო მიღებული, მისი აღსრულება დაუყოვნებლივ ხდებოდა. ძალაში შესულ გადაწყვეტილებას პრეკლუზიური შედეგი ჰქონდა. სააღსრულებო სასამართლო პროცესის წარმოება ორდინალური პროცესისაგან, მხოლოდ წვრილმანი დეტალებით განსხვავდებოდა. თუ მოპასუხეს *in ipsam rem* მიესაჯებოდა, გადაწყვეტილების აღსრულება ძალის გამოყენებით ხდებოდა. ანტონინუს პიუსის მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვანი სიახლე შემოიღეს: მაგისტრატი საკუთარი *pignore capere* უფლების ძალით, ეპატრონებოდა მსჯავრდებელის ცალკეულ ნივთებს,[445] რომლებსაც სასამართლო პროცესის მოგებული მხარე მოგვიანებით საჯარო აუქციონის წესით ჰყიდდა. თუ მყიდველი არ გამოჩნდებოდა, სეპტიმიუს სევერუსისა და კარაკალას ედიქტით, ნივთები[446] სასამართლო პროცესის მოგებულ მხ-

[443] litterae demissioriae (a postoli) – სასამართლო უწყება. Бартошек М. Римское право. Понятия, термины, определения. Москва. Юридическая литература. 1989. 49 , 206; Д.В.Дождев. Римское частное право. Учебник для ВУЗов. Москва, Норма, 2003, 246

[444] iudex ad quem – სააპელაციო მოსამართლე. Морев М.П. Римское право. Учебное пособие. 2-ое издание. Москва. Издательско-торговая корпорация «Дашков и К». 2011.712; Д.В.Дождев. Римское частное право. Учебник для ВУЗов. Москва, Норма, 2003, 246

[445] pignus in causa iudicati captum – მაგისტრატი მსჯავრდებელის ცალკეულ ნივთებს ეპატრონებოდა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 247.

[446] D.42.1.15.3. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV, Ответ.

არეს გადაეცემოდა, ოღონდ იმ პირობით, თუ ნივთების საერთო ღირებულება ვალის ოდენობას არ აღემატებოდა.

XIII. პოსტკლასიკური პროცესი

Litis denuntiatio – სასამართლო ორგანოს ავტორიტეტით, სასამართლოში გამოძახება; principium litis – საქმის განხილვის პირველი სტადია; medium litis – საქმის განხილვის მეორე სტადია; praesumptio – პრეზუმფცია; praesumptio iuris tantum – შედარებითი პრეზუმფცია; praesumptio iuris et de iure – აბსოლუტური პრეზუმფცია.

IV-V საუკუნეებში წერილობითი ფორმით სასამართლოში გამოძახებას, მოსარჩელე სასამართლო ორგანოს მეშვეობით ახორციელებდა (*litis denuntiatio* კლასიკური პერიოდის *denuntiatio ex auctoritate*-ს ანალოგია). რეაგირების ნიშნად, მოპასუხე სასამართლოში გზავნიდა *contradictorii libelii*-ს, რომელიც სასამართლოს კანცელარიაში ინახებოდა. სასამართლოში გამოცხადება გამოძახებიდან ოთხი თვის ვადაში უნდა მომხდარიყო. VI საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოძახების ეს ფორმა *libelus conventionus*-ით შეიცვალა, რომელსაც სასამართლო მოპასუხეს მოსარჩელის ინიციატივით უგზავნიდა. მოსარჩელე მოსამართლეს მიმართავდა და მოპასუხის გამოძახებას ითხოვდა. ასეთ შემთხვევაში გამოძახება ხდებოდა მოსამართლის მიერ, რომელსაც ჯერ უნდა მიეღო გადაწყვეტილება, მიეცა თუ არა საქმისათვის მსვლელობა და შემდეგ სასამართლოში მოპასუხის გამოცხადების ვადას ადგენდა. მოპასუხის მიერ სასამართლოში გამოცხადებაზე უარის შემთხვევაში, გამოძახება სამჯერ მეორდებოდა (როგორც კლასიკური *cognitio*), შემდეგ პროცესი მის გარეშე ტარდებოდა. V-VI საუკუნეებში, სასამართლო პროცესის დაუსწრებელი წარმოების დროს, მოსარჩელისაგან საკუთარი უფლებების დამტკიცებას ითხოვდნენ. მოსარჩელის გამოუცხადებლობა პროცესის შეწყვეტას იწვევდა.

ამ ეპოქაში სასამართლო განხილვის პირველ სტადიაზე, რომელსაც *principium* (ან *primordium*) *litis*[447] ეწოდებოდა, მხარეები

редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 189-191.

[447] principium (ან primordium) litis – პოსტკლასიკური სასამართლო პროცე-

საკუთარ მოთხოვნებსა[448] და პრეტენზიას[449] წერილობით აყალიბებდნენ. ყველაფერთან ერთად, მოპასუხეს საქმეზე სასა-მართლოს არაკომპეტენტურობაზე მითითებაც ან ტერიტორიული ქვემდებარების (მოპასუხეს სასამართლოში გამოიძახებდნენ მხოლოდ მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) პრინციპის გათვალისწინების მოთხოვნაც შეეძლო. *Litis contestatio*-ს შემდეგ უარი აპელაციის სახეს იძენდა. იუსტინიანეს დროიდან მოყოლებული უარის მიღება პროცესის მეორე სტადიაზეც დაიშვებოდა. ამიერიდან, *litis contestatio*-ს შედეგად, მკაცრად პირადული ხასიათის მოთხოვნებმა იმდენად სრულყოფილი სახე მიიღო, რომ მათი მემკვიდრეობით გადაცემაც შესაძლებელი გახდა. პროცესის მეორე სტადიაზე[450] მხარეები საკუთარი მოთხოვნების მტკიცებულებებს წარადგენდნენ. ამ ეპოქაში მტკიცებულებათა იერარქიის დადგენის ტენდენციამ, რომელიც უკვე კლასიკურ *cognitiones*-ად ჩამოყალიბდა, აპელაცია შესაძლებელი გახადა და მან იმდენად სრულყოფილი სახე მიიღო, რომ სწორედ პოსტკლასიკურ პროცესში საბოლოოდ დამკვიდრდა ის პრინციპები, რომლებიც შუა საუკუნეების იურისტებმა თავიანთ მაქსიმებში ჩამოყალიბეს: „*actore non probante reus absolvitur*"[451] და „*in excipiendo reus fit actor*",[452] ანუ მტკიცების მთელი ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა. ამ პერიოდში პროცესუალური წესების არ-

---

სის პირველი სტადია. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 218-219.

[448] narratio – მხარეების მოთხოვნები (საქმის არსის აღწერა). Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 213; Морев М.П., Римское право, 2-ое издание, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 706.

[449] contradictio, responsio – პრეტენზია (მოპასუხის საპირისპირო მოსაზრება). Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 213; Морев М.П., Римское право, Учебное пособие, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 706.

[450] medium litis – პროცესის მეორე სტადია. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 220.

[451] actore non probante reus absolvitur – თუ მოსარჩელე საკუთარ მოთხოვნებს ვერ დაამტკიცებს, მოპასუხე გამართლდება. Латинские юридические изрегения, сост. Темнов Е. И., Москва, Юрист, 1996, 71.

[452] in excepiendo reus fit acto – სასამართლოს უარის შემთხვევაში, მოპასუხე მოსარჩელე ხდება. იქვე, 354.

სენალში გაჩნდა პრეზუმფციის[453] ცნება, რომელიც მტკიცებულების ტვირთის[454] განაწილებას უკავშირდებოდა. ნორმატიული წესის მიხედვით, ზოგიერთი ფაქტი მოსამართლის მიერ არარსებულად ითვლებოდა მანამდე, ვიდრე დაინტერესებული მხარე საპირისპირო მოსაზრებას არ დაამტკიცებდა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ფაქტი დამტკიცდებოდა, *onus probandi* მხარეთა შორის გადანაწილდებოდა. გარდა ამგვარი შეფარდებითი პრეზუმფციისა,[455] აბსოლუტური პრეზუმფციაც[456]არსებობდა, ვინაიდან ამ ეპოქაში წერილობით მტკიცებულებებს მიენიჭათ უპირატესობა მოწმის ზეპირ ჩვენებებთან შედარებით. მოწმის ჩვენებებს გარკვეული ტენდენციურობით განიხილავდნენ, რაც მაქსიმით – „ერთი მოწმე, არა მოწმე"[457] – გამოიხატებოდა. წერილობითი დოკუმენტის გაბათილების შემთხვევაში, მოწმეთა რაოდენობის გაზრდა სავალდებულო იყო. პროცესის ოქმების წერილობით[458] შედგენა იქნა შემოღებული, რაც დიდ დროს ითხოვდა და საქმის განხილვას არაგონივრულად აჭიანურებდა. უწინდელი *cognitio*-საგან განსხვავებით, პოსტკლასიკური პროცესის დროს მკვდარი პროცესის[459] ფორმა დამკვიდრდა. იუსტინიანეს დროს სასამართლო პროცესის შეწყვეტის ვადა დაადგინეს – *litis contestatio*-დან სამი წლის თავზე. თუმცა, მოსარჩელეს შეეძლო პროცესის გამეორება. ამ პერიოდის სასამართლო გადაწყვეტილებათა შინაარსი მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. მას შემდეგ, რაც გაუქმდა *litis contestatio*-ს პრეკლუზიური შედეგი, სასამართლო

---

[453] praesumptio – პრეზუმფცია. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 256; Морев М.П., Римское право, Учебное пособие, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 710.

[454] onus probandi – მტკიცების ტვირთი. Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 281.

[455] praesumptio iuris tantum – შეფასებითი პრეზუმფცია. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 256.

[456] praesumptio iuris et iure – აბსოლუტური შეფასებითი პრეზუმფცია. იქვე.

[457] testus unus, testus nulus – ერთი მოწმე, არა მოწმე. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 220; Морев М.П., Римское право, Учебное пособие, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 691.

[458] per litteras – პროცესის ოქმების წერილობითი ფორმა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 250.

[459] mors litis – პოსტკლასიკური პროცესის დროს მკვდარი პროცესი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 218.

პროცესის გამეორების შესაძლებლობა იმ გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, საქმის გადასინჯვის შესაძლებლობას დასაშვებად მიიჩნევდა.

დაბოლოს, ერთი სასამართლო განხილვის მიმდინარეობის დროს (*cognitio*-შიც), საქმის ცალკეულ საკითხებზე, რამდენიმე გადაწყვეტილების მიღება შეიძლებოდა ისევე, როგორც მთელ საქმეზე. საქმის განხილვის თითოეული ფორმა აპელაციის შეტანას ექვემდებარებოდა, რაც სასამართლო განხილვის ვადებს კიდევ უფრო ახანგრძლივებდა.

თავი V. პირთა სტატუსი რომის სამართალში

სამართლის სუბიექტები სამართლებრივ ურთიერთობებში აბსტრაქტული პირების (*personae*) სახით გამოდიან. პირის[460] სტატუსს სამართლის ნორმებით მოწესრიგებული, სამართლებრივ თვისებათა ის ერთობლიობა განსაზღვრავდა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში სუბიექტის მონაწილეობას უშუალოდ ასახავდა.

რაც უფრო მაღალი იყო პირის სტატუსი, მით სრულყოფილი იყო მისი უფლებაუნარიანობა – უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტად ყოფნის შესაძლებლობა; პირის უფლება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს მოიცავდა, აგრეთვე, იურიდიული აქტების რეალურად განხორციელების შესაძლებლობას – ქმედუნარია-ნობას. სამართლის სისტემის არსებობისა და ფუნქციობის თვალსაზრისით, ამ საკითხებს ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა. პირის უფლება მხოლოდ *ius civile*-ს მოქმედების სფეროს განეკუთვნებოდა. ასეთი შეზღუდვა პირდაპირ კვირიტების სამოქალაქო თემზე მიუთითებდა, რომელიც პირის სტატუსის განსაზღვრისას, საწყისი წერტილი იყო.

ბუნებითი სამართლით, ყველა ადამიანი თანასწორია; „სამოქალაქო სამართალი არ მიიჩნევს მონას სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად, მაგრამ ბუნებითი სამართლის თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორია".[461]

---

[460] persona – პირი. D.1.5.1-2-3-4. რომის სამართლის ძეგლები. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 87-93. Gai.,1.3. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 11; Inst. Iust. 1.3-4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 16-17; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 244; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Издво Р.Асланова «Юридический центр Пресс», 88;. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 224; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 74.

[461] D.50.17.32. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор

ისტორიულად განსაზღვრული ეროვნული სამართლებრივი სისტემის (*ius gentium*) თვალსაზრისით, გარკვეული შეზღუდვები მაინც მოქმედებდა: *ius civile* – ცალკეული სამოქალაქო თემის სამართალი – მონებისა და უცხოელების მიმართ, მაინც პრივილეგირებულ სამართალს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, სრულუფლებიან პირებად მხოლოდ *civitas* წევრები (*cives*) მიიჩნეოდნენ.

I. Servi (მონები)

Libertas – თავისუფალი მდგომარეობა; vindicatio in libertate – სარჩელი თავისუფლების შესახებ; postliminium – ტყვეობიდან დაბრუნებული პირის უფლებებში აღდგენა; deditio – მტრისათვის მოქალაქის გადაცემა; favor libertatis – თავისუფლებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; noxae deditio – სხვის ხელისუფლებაში მყოფი, დელიქტის ჩამდენი, პირის მოწინააღმდეგისათვის გადაცემა; actio noxalis – ნოქსალური სარჩელი; peculium – პეკულიუმი; manumissio vindicta – კვერთხის დადებით გაათავისუფლება; manumissio censu – ცენზში შეტანით გაათავისუფლება; manumissio testamento – ანდერძით გაათავისუფლება; manumissio inter amicos – მეგობრების წრეში გაათავისუფლება.

მონობა თავისუფალი მდგომარეობის საპირისპირო იყო. მონისა და თავისუფალი ადამიანის მდგომარეობა მათ შორის არსებულ სოციალურ ურთიერთდაპირისპირებას გამოხატავდა. რომაელთათვის თავისუფლება – არამონური მდგომარეობა, ანუ ნეგატიური მდგომარეობის საწინააღმდეგო პოზიტივი იყო. იუსტინიანეს ინსტიტუციებში მონობის სტატუსი თავისუფალი ადამიანის მდგომარეობასთანაა შეპირისპირებული. კერძოდ, იუსტინიანეს ინსტიტუციებში მოცემული განმარტების თანახმად: „ძირითადი დაყოფის საფუძველზე, რომლითაც პირთა უფლებები განისაზღვრება, ყოველი ადამიანი ან თავისუფალია, ან მონაა".[462]

Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 529.

[462] Inst. Iust. 1.3.3-5 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 16-17; D.1.5.4-5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი,

1. სიტყვიდან „თავისუფლება" (*libertas*) წარმოდგება სახელწოდება „თავისუფალნი" (*liberti*), ანუ პირის ბუნებრივი შესაძლებლობა აკეთებდეს იმას, რაც სურს, ცხადია, თუ ასეთი რამ ან ძალით, ან სამართლით არ იკრძალება.

2. ხალხის სამართლით მონობა არის ისეთი რამ, როდესაც ბუნების საპირისპიროდ, ერთი პირი მეორე პირის ბატონობას მორჩილებს.

3. ჩვეულებრივ, იმპერატორის ბრძანებით ტყვეებს ყიდიდნენ და არ კლავდნენ, სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ (*servare*), აქედან მიეცა დასაბამი სიტყვას „მონა" (*servus*).

4. მონებად ან იბადებიან, ან (შემდეგ) ხდებიან. მონებად იბადებიან ჩვენს მხევალთაგან შობილნი. ტყვედ ჩავარდნილნი მონებად ხდებიან ხალხის სამართლით, ან ცივილური სამართლით იმ შემთხვევაში, თუ ოც წელს გადაცილებულმა თავისუფალმა ადამიანმა, გასაყიდი ფასის გარკვეული ნაწილის მიღების მიზნით, საკუთარი თავის მონად გაყიდვას დათანხმდა. მონათა ორივე ტიპის მდგომარეობა იდენტური იყო.

საზოგადოების სამოქალაქო ორგანიზაციით როგორც თავისუფლების, ისე მონობის ინსტიტუტის შესაძლებლობა განისაზღვრებოდა. მონობა *ius gentium*-ის ინსტიტუტია, რომელიც წმინდა რომაულ მოვლენად არ ითვლებოდა. მონობას სამოქალაქო თემის წარმოშობა განაპირობებდა. მონა[463] პოლიტიკური საზოგადოების მიღმა იდგა, ის არც *ius civile*-ს და არც *ius gentium*-ს სუბიექტი იყო. სხვა ანტიკური სამართლებრივი სისტემების მსგავსად, რომის სამართალით, მონა ნივთად[464] ითვლებოდა. რომაული მონობის

ნიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი. 2012, 87-89; Gai.,1.4. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 11; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 292-294; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 88;2 Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 24.

[463] servus homo – მონა. იქვე.

[464] res – ნივთი. Inst. Iust.2.1.11. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 55; Gai.,2.1-27. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა,

სპეციფიკა ის იყო, რომ მებატონეებს მონები კვირიტული საკუთრების უფლების საფუძველზე ეკუთვნოდათ,[465] რომელიც მხოლოდ რომის მოქალაქეებისათვის იყო ხელმისაწვდომი. მონობის წყაროს, ანუ მონად ქცევის შესახებ ძირითადი ცნობები გაიუსის ინსტიტუციებშია შემონახული: „მონები ჩვენს საკუთრებაში გადადიან ან ცივილური სამართლის, ან ხალხის სამართლის საფუძველზე: ცივილური სამართლით – თუ, 25 წლის ასაკს გადაცილებული ნებისმიერი პირი საფასურის ნაწილის მიღების მიზნით, გაყიდვას დაექვემდებარება; ხალხის სამართლით თამახმად, ჩვენი მონები არიან მტრებთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილნი ან ჩვენი მონა-ქალების მიერ შობილნი. მონურ მდგომარეობაში გადასვლის ცივილურ ხერხად მიიჩნეოდა ის ვითარება, როცა მყიდველის მოტყუების მიზნით, მიმდობი ვინმეს შეაგულიანებს, რომ მან საკუთარი თავი მონად გაყიდოს, რათა შემდგომში გარიგება ბათილად გამოაცხადონ".[466] თუმცა, აღნიშნული გარიგება შეუქცევადად ცხადდებოდა: ჯერ ერთი, მოტყუებული მყიდველის მიმართ, პრე-

---

ნინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 57-61; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 274-276; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 298-301; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 253; Морев М.П., Римское право. Учебное пособие. 2-ое издание. Москва. Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 269; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 163-174.

465 dominium ex iure Quiritium – კვირიტული საკუთრების უფლების საფუძველზე. Inst. Iust.2.1.11. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, ნინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 55; Gai.,2.1-27. რომის სამართლის ძეგლები. ჩგაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, ნინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011. გვ.58-59; Gai.,4.16. რომის სამართლის ძეგლები. ჩგაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, ნინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011. 187; D.1.5.5.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012. 88; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 253.

466 Gai.,1.14-15,21ბ. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, ნინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 12-14.

ტორი თავისუფლების წინააღმდეგ განსაკუთრებულ სარჩელს – *exceptio vindicatio in libertatem* გამოსცემდა; მეორე, კანონთან გათანაბრებული ნორმატიული აქტებით, რომელთა საფუძველზეც პირის სტატუსი განისაზღვრებოდა, მოტყუებული პირის პირვანდელ მდგომარებაში აღდგენა გამოირიცხებოდა. ამის გამო, მოტყუებით საკუთარი თავის მონად გამყიდველი პირი მონობაში რჩებოდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პირის სტატუსი სხვა პირის საკუთრებაში გადასვლისთანავე განისაზღვრებოდა.

არა მარტო სამხედრო მოწინააღმდეგის, არამედ რომთან მეგობრობის ან სტუმართმოყვარეობის ხელშეკრულების არმქონე ნებისმიერი ხალხის წარმომადგენელი, რომელსაც ტყვედ ჩაიგდებდნენ, დამპყრობლის საკუთრება ხდებოდა.[467] სამხედრო გამარჯვების შემთხვევაში, სენატთან შეთანხმების შემდეგ, რომაელი მხედართმთავარი ტყვედჩავარდნილთა მონად გაყიდვას საჯაროდ მართავდა.[468]

ტყვედჩავარდნილი რომაელი *civitas*-ის წევრად აღარ ირიცხებოდა; იგი უცხოეთში გაყიდულ მონად ითვლებოდა.[469] ამ ჰიპოთეზით სპეციფიკური ინსტიტუტი – *postliminium,*[470] განისაზღვრებოდა. ტყვეობიდან დაბრუნებული რომის მოქალაქე დაკარგულ სტატუსს კვლავ იბრუნებდა. პირის ყველა უფლებამოსილება მას სრულად უბრუნდებოდა, გარდა მფლობელობისა და ქორწინებისა,[471] ვინაიდან მათი აღდგენა ხელახალი ნების გამოვლენას ითხოვდა.

---

[467] Gai.,1.4.14. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 12.

[468] venditio ad hasta an sub corona – რომაელი მხედართმთავარის მიერ მონის საჯაროდ გაყიდვა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 253.

[469] Gai.,1.129. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 39-40.

[470] postliminium – საზღვრის მეორე მხარიდან (ტყვეობიდან) დაბრუნება. სამართლებრივი პრინციპი, რომლის თანახმად პირები და ნივთები, რომლებიც მტრის ბატონობისგან საბოლოოდ გათავისუფლდნენ, ipso iure და უკუქცევითი ძალით უწინდელ უფლებებს იძენდნენ. D.49.15.Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 291-313; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 251.

[471] D.49.15.12.; 49.15.8. D· :sta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофан . Москва, Статут. 2005, 295, 297-304.

პირადი თავისუფლებისა და მოქალაქეობის დაკარგვა მაშინაც ხდებოდა, როცა სამხედრო მტრებს საკუთარ მოქალაქეს (*deditio*) თავად სახელმწიფო გადასცემდა. ამ პროცედურას ყველა ის მოქალაქე ექვემდებარებოდა, რომელმაც უცხოელი ელჩები შეგნებულად შეურაცხყო.

Ius gentium-ის მიხედვით, მონა ქალთან კანონიერი ქორწინება[472] დაუშვებელი იყო. ამიტომ, მისგან შობილი ბავშვი მონის სტატუსს იღებდა, ანუ ბავშვი მონად იბადებოდა. თუ ბავშვის ჩასახვის დროს ან ორსულობის პერიოდში, დედა მცირე ხნით თავისუფალი იყო, ბავშვი თავისუფალ მოქალაქედ იბადებოდა.[473] თავისუფლებისადმი ასეთი კეთილგანწყობა კლასიკურ პერიოდში დადგინდა.

რომში მონად ქცევის სხვა ცივილური წესებიც არსებობდა: 1. *iudicium publicum*-ით სიკვდილით დასჯის ან კატორღული სამუშაოების შესრულების სასჯელი მონად გაყიდვით[474] იცვლებოდა, ანუ სიკვდილმისჯილ ან კატორღულ სამუშაოებზე გამწესებულ პირებს სასჯელი მონად გაყიდვით ეცვლებოდათ. 535 წ. იუსტინიანემ იმ პირების მონად ქცევა, რომელთაც კატორღული სამუშაოები[475] ჰქონდათ მისჯილი, გააუქმა; 2. მონა ხდებოდა ის მოქალაქეც, რომელიც ვერ გაივლიდა პერიოდული ქონებრივ ცენზს (*in census*), ან რომელიც სამხედრო სამსახურს თაღლითურად აარიდებდა თავს; 3. კლავდიუსის დროს მიღებული სენატუსკონსულტის თანახმად, მონასთან მრუშობაში მხილებული თავისუფალი მატრონა, მონის მებატონის სამგზის გაფრთხილების მიუხედავად, მასთან აკრძალულ კავშირს თუ არ შეწყვეტდა, მონის მებატონის მხევალი

---

[472] iustum matrimonium – კანონიერი ქორწინება. D.1.5.5.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 88; Gai.,1.55. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 21; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 214-215.

[473] D.1.5.5.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 88.

[474] servus poenae – მონად გაყიდვა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 294; Дождев Д.В., Римскос частное право, Москва, Норма, 2003, 254.

[475] in metalum – კატორღული სამუშაოები. იქვე.

ხდებოდა. მონადქცეული ყოფილი მატრონას შვილები მონებად იბადებოდნენ. თუმცა, დედის მონობის მიუხედავად, ასეთი ქალის მიერ კანონიერ ქორწინებაში ჩასახული ბავშვი, თავისუფალ ადამიანად იბადებოდა[476]. სისხლის სამართლის დანაშაულის[477] ჩამდენი მონა, სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარებოდა და მას მხოლოდ, მაგისტრატის *imperium*-ის ან საკუთარი ბატონის *potestas*-ის გადაწყვეტილების საფუძველზე (სასამართლოს გარეშე), გამოტანილი მძიმე სასჯელი ეფარდებოდა. *Delictum*-ის ჩადენის შემთხვევაში, XII დაფის კანონების შესაბამისად, მონას დაზარალებულს გადასცემდნენ. თუ მონის ბატონი მონის დაცვას საკუთარ თავზე აიღებდა, (რითაც, არსებითად, ამ მონაზე საკუთრების უფლებას იცავდა), სასამართლო პროცესის წაგების შემთხვევაში, მონის ბატონს, თითქოს აღნიშნული *delictum*-ის უშუალოდ ჩამდენის მსგავსად, პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

აკვილიუსის კანონით[478] ნოქსალური სარჩელის წესი, მონის მიერ სხვა მესაკუთრისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაშიც[479] იგულისხმებოდა. თუ მონა ქურდობას განიზრახავდა და მას დანაშაულის ადგილზე დააკავებდნენ,[480] XII დაფის კანონების თანახმად,

---

[476] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 254-255.

[477] crimen – სისხლის სამართლის დანაშაული. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 66-68.

[478] lex Aquilia – აკვილიუსის კანონი. Inst. Iust.4.8.4 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 243-244; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 183.

[479] damnum iniuria datum _ მართლსაწინააღმდეგოდ ზიანის მიყენება. Gai.,4.216-219. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 179-181; XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII დაფა. 14 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2009, 73; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 66-68.

[480] furtum manifestum – აშკარა ქურდობა, ნაქურდალით ხელში დანაშაულის ადგილზე ქურდის დაკავება. Gai.,4.182-185. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011. 171-172; XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII დაფა. 14 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков

მას ჯერ როზგაევდნენ,[481] შემდეგ კი ტარპეას კლდიდან[482] აგდებდნენ (*praecipitatio*). მონისათვის სხეულებრივი ზიანის მიყენება *iniuria*-ად განიხილებოდა და ამ ქმედების ჩამდენი, მონის ბატონის სასარგებლოდ ჯარიმის გადახდით ისჯებოდა. XII დაფის კანონების თანახმად, სხეულის მძიმე ზიანის მიყენების შემთხვევაში,[483] მონისათვის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა, თავისუფალი ადამიანისათვის დადგენილ ჯარიმაზე, ორჯერ მეტი იყო.

მონის მოწმეობას, თუნდაც სამოქალაქო დავაზე, მხოლოდ იმ შეთხვევაში ჰქონდა ძალა, თუ გამოძიების დროს მისი ჩვენება წამებით მოიპოვებოდა (*quaestio*). მონას საკუთარი მებატონის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ევალებოდა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ერთი სახლი მისთვის უსაფრთხო ვერ იქნებოდა.[484]

ქრ. შობამდე 10 წ. მიღებულ *SC Silanianum*-ით დადგენდა, რომ ბატონის მკვლელობის შემთხვევაში, ყველა მონა, რომელიც მოკლულთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, დაკითხვას ექვემდებარება. თუ რომელიმე მონა საკუთარ უდანაშაულობას ვერ დაამტკიცებდა (მაგალითად, ძალზე საპატიო მიზეზით, ვერ დაეხმარა საკუთარ ბატონს), სიკვდილით ისჯებოდა. იმავე სენატუსკონსულტის საფუძველზე, თუ საკუთარი ბატონის მკვლელს, მონა ხელისუფალთ ნარუდგენდა, ის თავისუფალი ადამიანი ხდებოდა.[485]

კლასიკური პერიოდის რომის საზოგადოებაში, სტოელთა ფილოსოფიის იდეების გავლენით, მონისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და ეს კანონმდებლობითაც განმტკიცდა. იმპერატორ კლავდიუსის მმართველობის დროს გამოცემული *lex Petronia*-თი, ბატონს მონის თვითნებურად დასჯა (მისი მხეცებისათვის მიგდება) ეკრძალებოდა; დასაბუთებული ბრალდების შემთხვევაში, აღნიშნული სასჯელი დამნაშავეს სასამართლოთი ეფარდებოდა. მარკუს ავრელიუსისა და ლუციუს ვერუსის რესკრიპტით,

---

и К». 2009, 73.

[481] verberatio – გაროზგვა. იქვე.

[482] Saxum Tarpeium – ტარპეას კლდე. იქვე.

[483] os fractum – სხეულის მძიმე ზიანის მიყენება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 235.

[484] D.29.5.1. Digesta Iustiniani. T. V. Полутом 1. книги XXVIII-XXXII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2004, 297-305.

[485] D.29.5.3.1; 35.2.39.იქვე,305-311; Digesta Iustiniani. T. V. Полутом 2. книги XXXIII-XXXVI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 389.

მებატონეს მონების (მსგავსი წესით დასჯის მიზნით) გაყიდვაც აეკრძალათ. ამიერიდან სხვისი მონის მკვლელობა არა მხოლოდ ზიანის მიყენებად, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულად განიხილებოდა. იმპერატორ კლავდიუსის ედიქტით, საკუთარი მონის დაუსაბუთებელი მკვლელობაც დასჯადი იყო. ბატონის მიერ უყურადღებოდ მიტოვებული ავადმყოფი მონა თავისუფლდებოდა და მას ლათინთა მოქალაქეობა ენიჭებოდა.[486] ცნობილია, რომ იმპერატორმა ადრიანემ ერთ-ერთი მატრონა რომიდან ხუთი წლის ვადით გაძევებით დასაჯა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საკუთარი მონა ქალების უსაფუძვლო დასჯაში ამხილეს.[487] განსაკუთრებული შემწყნარებლობით იმპერატორ ანტონინუს პიუსის მიერ გამოცემული რესკრიპტი გამოირჩეოდა,[488] რომელიც მონათა უსაფუძვლო დასჯა-მკვლელობისათვის სასტიკ სასჯელს აწესებდა. ქრისტიანულ ეპოქაში, ანტონინუს პიუსის რესკრიპტის ნაწილი იმპერატორ კონსტანტინეს ედიქტით დადასტურდა, ამავე რესკრიპტის პრეამბულა მოხსენიებულია იუსტინიანეს ინსტიტუციებში.[489] ამ პერიოდში მონებისათვის ნათესაობისა და ოჯახის ყოლის უფლების მიცემა, ჰუმანიზმის იდეების პროგრესულობაზე მეტყველებს. მართალია, მონას არავითარი ქონება არ გააჩნდა, მაგრამ, უძველესი დროიდანვე, მეურნეობის განვითარების მიზნით, ქონების გარკვეული ნაწილი[490] მათ მართვის უფლებით გადაეცემოდა. პეკულიუმში შემავალი ნივთების თაობაზე, მონის მიერ დადებულ

---

[486] D.40.8.2. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 1. книги XXXVII-XL. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 673.

[487] D.1.6.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2012, 93-94.

[488] D.1.6.2 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები, შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 93-94; Gai.,1.53, რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 20-21.

[489] Inst. Iust.1.8.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 23.

[490] peculium – ქონების გარკვეული ნაწილი, რომელსაც მონას სამართავად გადასცემდნენ. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 241-242.

გარიგებაზე პასუხისმგებლობა მონის ბატონს ეკისრებოდა. ასეთი ვითარება მებატონისთვისაც ხელსაყრელი იყო, რადგან თუ მონა გააზატებას მოინდომებდა, მონის მიერ მებატონისათვის მოპარული ან გადამალული თანხებიდან, მებატონეს დიდი გამოსასყიდის მიღების შესაძლებლობა ეძლეოდა. გამოსასყიდის თაობაზე მონასა და მებატონეს შორის შეთანხმება მესამე პირებისათვის იყო მნიშვნელოვანი. *Peculium*-ი მებატონის საკუთრებაში რჩებოდა და მებატონეს ნებისმიერ დროს შეეძლო მისი მონისათვის ჩამოერთვა.

რომის სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტად მონის გათავისუფლება – გააზატება[491] ითვლება. თავისუფლების სტატუსის თაობაზე ფიქტიური სასამართლო პროცესის დროს, მონის ბატონი დამცველის განცხადებას[492] არ ეწინააღმდეგებოდა, რითაც, ფაქტობრივად, მონის გათავისუფლების პროცესში თანამონაწილეობდა. აღნიშნული სასამართლო პროცესი მონის გააზატებით სრულდებოდა. სარიტუალო კვერთხით[493] საგანგებოდ აღჭურვილ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო *adsertor in libertatem*-ის ფუნქციის შესრულება. მონის მიმართ, შეუზღუდავი განმკარგველის პოზიციის დაკავებით, დამცველი, ფაქტობრივად, მონის ბატონის სტატუსს (როგორც ვინდიკაციის შემთხვევაში) უტოლდებოდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, ვინდიკანტის პრეტენზია სხვა პირის კერძო უფლების უარყოფას კი არ აღნიშნავდა, არამედ საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა. ასეთ პირობებში, გააზატების პროცედურის დამსწრე მაგისტრატის მიერ წარმოთქმული თავისუფალი სტატუსის დადასტურება ყოფილი მონის პირად სტატუსს

---

[491] manumissio – გააზატება, მონობიდან გათავისუფლება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 212-213.

[492] manumissio vindicta – მონის გააზატება ფიქტიური სასამართლო პროცესის მოწყობით, რომელზეც adsertor in libertatem – დამცველის განცხადება კეთდებოდა. Gai.,1.18,38. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011. 12-18; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 212-213; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 252; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 258; Морев М.П. Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 160-163.

[493] festuca – სარიტუალო კვერთხი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 131.

საბოლოოდ ადგენდა და მისი გააზატების საკითხი გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებოდა.

მონის გააზატების სხვა წესებიც საჯარო ბუნების იყო: 1. ბატონის ბრძანებით მონის შეყვანა საცენზო სიებში, რომელსაც ხუთ წელიწადში ერთხელ ადგენდნენ;[494] 2. მონის გააზატება ანდერძის საფუძველზე, რომელიც თავდაპირველად კომიციებში მტკიცდებოდა ან ბრძოლისათვის მზადმყოფი ჯარის წინაშე წარმოითქმებოდა.[495]

ამგვარად, სამოქალაქო ერთობა, მხოლოდ პირის სტატუსის შეცვლის დასაშვები ფორმების დადგენით არ იფარგლებოდა. იმავდროულად, ის საჯარო ორგანოების მეშვეობით აკონტროლებდა მოქალაქეთა რანგში იმ პირთა შეყვანას, რომლებიც მანამდე ნივთებად ითვლებოდნენ. მებატონის ნების გამოვლინება, მონის მესაკუთრეობაზე უარის თქმით არ იზღუდებოდა და უშუალოდ დაქვემდებარებული, პირის სტატუსის შეცვლას ისახავდა მიზნად. ეს თავისებურება ძალზე ნათლად წინაკლასიკურ პერიოდში შემოღებულ გააზატების წესში გამოიხატა – გათავისუფლება მეგობრების წრეში.[496] გააზატების შესახებ გადაწყვეტილებას, ზე-

---

[494] manumissio censu – მონის გააზატება მისი სახელის საცენზო სიებში შეტანით. Inst. Iust.1.5.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002. 18; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 212-213; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 252; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 258; Морев М.П. Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 160-163.

[495] manumissio testamento – მონის გააზატება ბატონის ანდერძის საფუძველზე. Gai., 1.42.77. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 18,27; Inst. Iust.1.8.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 18; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 212-213; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 252; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 258; Морев М.П., Римское право, Учебное пособие, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 160-163.

[496] manumissio inter amicos – მონის გააზატება ბატონის მეგობრების თანდასწრე-

პირი ან წერილობითი ფორმით, აცხადებდნენ, რათა აღნიშნული აქტი ყრუ-მუნჯებისათვისაც გასაგები ყოფილიყო. შემდეგ, ამ გადაწყვეტილების შესახებ პატრონის მეგობრებს ატყობინებდნენ.

აღნიშნული აქტის სტრუქტურით ნათლად იკვეთება ორი ეტაპი: 1. ბატონის ნების გამოვლენა და 2. ამის შესახებ, მეგობრებისათვის შეტყობინება. თუმცა მებატონესთან, კეთილშობილების[497] საფუძველზე, დაკავშირებული მეგობრების როლი, მხოლოდ ფაქტის მარტივი დადასტურება-დამოწმებით როდი იფარგლებოდა; ისინი მებატონის ნების შესრულების გარანტიასა და გააზატებულის პირადი სტატუსის განსაზღვრის უზრუნველყოფას საკუთარ თავზე იღებდნენ. აღნიშნული აქტის კერძო ხასიათი მონის სტატუსის შეცვლას არ იწვევდა, თუმცა, ნდობის ფაქტორით, კეთილშობილებისა და მიცემული სიტყვისადმი ერთგულების პრინციპები, ფაქტობრივად, მონის მდგომარეობას თავისუფალი პირის სტატუსთან ათანაბრებდა (*in libertate morari*), რის გამო, ეს პროცესი შეუქცევადი იყო. კეთილსინდისიერების დარღვევის საშუალებას პრეტორი თავიდან იცილებდა, რადგან იგი არ უშვებდა ყოფილი მებატონისაგან გააზატებულის *vindicatio in servitutem*-ს, რომელიც, *ius civle*-თი, ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

ქრ. შობის 18 ან 19 წ. მიღებული *lex Iunia Norbana*[498]-თი, მსგავსი წესით გააზატებული პირები, ლათინურ მოქალაქეობას იღებდ-

---

ბით. Gai.,1.41. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 18; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 212-213; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 252; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 258; Морев М.П., Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 160-163.

[497] fides – კეთილშობილება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 131-132.

[498] lex Iunia Norbana – ქრ. შობის 19 წელს მიღებული კანონი, რომლის საფუძველზე გააზატებულებს latini Iuniani-ს სტატუსი მიენიჭათ. Gai.,1.22. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 14; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 192; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л. Кофанов, Москва, Статут, 2005, 228; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 260-261.

ნენ, რის გამო, კერძო ხასიათის მანუმისია, *ius civile*-ს თანახმად, ნამდვილი და მაშასადამე, სავალდებულო ძალის მქონე ხდებოდა. ქრ. შობამდე 2 წ., ავგუსტუსის დროს მიღებული *lex Fufia Caninia*[499]-თი, ანდერძის საფუძველზე მონათა გათავისუფლების კვოტა დადგინდა; კერძოდ, ათი მონიდან მხოლოდ ხუთის გათავისუფლება იყო შესაძლებელი, ხოლო მაქსიმუმი 500-დან 100 მონა იყო.[500] ქრ. შობის 4 წ. *lex Aelia Sentia*[501]-თი კრედიტორების საზიანოდ განხორციელებული[502] მანუმისია ბათილად ცხადდებოდა.[503] იმავე კანონით, 20 წლამდე პირის გააზატება, მხოლოდ *vindicta*-თი დაიშვებოდა; თანაც ბატონს, მონის გააზატების საფუძვლიანობა[504] ხუთი სენატორისა და ხუთი მხედრის (რომში) ან ოცი რომაელი მოქალაქისაგან (პროვინციებში) შემდგარი კრების[505] წინაშე უნდა დაემტკიცებინა. ასეთი გააზატების საფუძვლად სისხლით ნათესაობა ან ბატონის მიერ მონის საკუთარ პედაგოგად აღიარება, ან მონის მებატონის მეურნეობის მმართველად დანიშვნა, ან მონა ქალთან

---

[499] lex Fufia (ქრ. შობამდე 158 წელი)-Caninia (ქრ. შობამდე 2 წელი). Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 188.

[500] Gai.,1.42. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 18.

[501] lex Aelia Sentia. Gai.,1.47. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011. გვ.20; Inst. Iust.1.6.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 21; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 182.

[502] in fraudem creditoris -კრედიტორების საზიანოდ განხორციელებული. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 262.

[503] Gai.,1.13; 1.18,23. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2011, 11-13, 15.

[504] iusta causa manumissionis – მონის გააზატების საფუძვლიანობა. Gai.,1.19. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 13; Inst. Iust.1.6.5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 21; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 262.

[505] consilium -კრება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 89.

კანონიერი ქორწინების დადება მიიჩნეოდა.[506] ეს შეზღუდვები 30 წლამდე ასაკის გააზატებულებზეც ვრცელდებოდა, რომელთა მანუმისია, *causa probatio*-ს გარეშე, მათ *latini coloniarii*-ებად ხდიდა ხოლმე. ელიუს სენციუსის კანონის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი დამღადადებული მონების გააზატება, იარაღით დაპყრობილი უცხოელების (*peregrini dediticii*) სტატუსის მინიჭებით ხდებოდა. გაიუსი ასეთ სტატუსს, *pessima libertas*, ყველაზე ცუდ თავისუფლებას უწოდებდა, ვინაიდან მისი მფლობელი რომის მოქალაქეობას ვერასდროს იღებდა.[507]

კლასიკურ პერიოდში გააზატების ერთ-ერთ საშუალებად ფიდეიკომისი (*libertas fideicommissaria*) იქცა – საანდერძო დანაკისრის საშუალებით მოანდერძის მიერ მემკვიდრისათვის, მონის გააზატების მოთხოვნა. გააზატებულის ახალი პატრონი მოანდერძის მემკვიდრე ხდებოდა. თუ მემკვიდრე მოანდერძის ნებას არ შეასრულებდა, მონას საკუთარი უფლების დაცვა, საგანგებო პრეტორთან[508] საჩივრის შეტანით შეეძლო. ქრ. შობის 103 წ. გამოცემული *SC Rubrianum*-ით დადგინდა: თუ მემკვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებოდა, მონა, მაგისტრატის *pronuntiatio*-ს ძალით, თავისუფლებას იღებდა, რაც *ius honorarium*-ით განსაზღვრული იყო.[509]

II. Libertini (გააზატებულები)

Libertus, libertinus – გააზატებული; patronus – პატრონი; obsequium – პატივისცემა; operae libertorum – პატრონისათვის გაწეული მომსახურება; ingenus – თავისუფლად შობილი.

---

[506] Gai.,1.19. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 13.

[507] Gai.,1,25-27. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 15.

[508] praetor fideicommissarius – საგანგებო პრეტორი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 257; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 263.

[509] D.40.5.26.7. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 1. книги XXXVII-XL. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005. 597.

იუსტინიანეს ინსტიტუციების პირველი წიგნის III თავის 5 პუნქტსა და V თავში გააზატებულთა სტატუსია განმარტებული.

III თავის 5 პუნქტის თანახმად: „თავისუფალთა შორის კი მრავალი განსხვავება არსებობს, ვინაიდან ისინი ან დაბადებით თავისუფალნი არიან, ან – გააზატებით".[510] V თავი მთლიანად გააზატებულთა სტატუსს ეხება:[511] „გააზატებულნი არიან ის პირები, რომლებიც კანონიერი მონობიდან განთავისუფლდნენ. ხოლო გააზატება კი თავისუფლების მიცემაა, ვინაიდან ვიდრე ვინმე მონობაშია, იგი (სხვის) ხელსა და ხელისუფლებას ექვემდებარება, ხოლო გააზატებული (ამ) ხელისუფლებიდან თავისუფლდება. ამ ვითარებას დასაბამი ეძლევა ხალხის სამართლიდან, ვინაიდან ბუნებითი სამართლის თანახმად, ყველა თავისუფალი იბადება; რადგან მონობა არ არსებობდა, მონის განთავისუფლებაც (გააზატებაც), უცნობი იყო... გააზატება მრავალნაირად ხდებოდა: სახელდობრ, ან წმინდა კონსიტუციით წმინდა სახალხო კრებებზე, ან ვინდიქტით, ან მეგობრების წინაშე, ან წერილით, ან ანდერძით, ან სხვა ნებისმიერი სახით უკანასკნელი ნების გამოვლენით..."

თავისუფლად შობილი რომაელი მოქალაქეებისაგან, გააზატებულნი საჯარო უფლებების მოცულობით განსხვავდებოდნენ. კერძო სამრთლის მიხედვით, მათი მდგომარეობის თავისებურებას, ყოფილი ბატონის და მისი ოჯახის მიმართ, გარკვეული დამოკიდებულება განაპირობებდა.

საკუთარი პატრონის მიმართ გააზატებულებს პატივისცემა მართებდათ, რაც საჯარო საქმეებში თანადგომასა და მომსახურების გაწევას გულისხმობს. ცხადია, მსგავსი შეზღუდვები არ ვრცელდებოდა იმ მონებზე, რომელთაც თავისუფლება ანდერძის საფუძველზე ჰქონდათ მოპოვებული. როგორც წესი, *obsequium* პატრონის დაღმავალი ხაზის ნათესავებზეც ვრცელდებოდა. ლიბერტს არ შეეძლო: 1. საკუთარი პატრონის ან მისი შვილების *crimen publicum* ჩადენაში დადანაშაულება;[512] 2. ხოლო პატრონის ან მისი

[510] Inst. Iust.1.3.5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 17.

[511] იქვე, 18-19.

[512] D.48.2.8. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 19.

მემკვიდრეების სასამართლოში (*in ius vocatio*) გამოძახება მხოლოდ პრეტორის თანხმობით შეიძლებოდა.[513]

პატრონისათვის გაწეული მომსახურება შრომითი საქმიანობით გამოიხატებოდა: გარკვეული დროის განმავლობაში, საზეიმო ფიცის ძალით, გააზატებულს, საკუთარი ოსტატობის ფარგლებში, ბატონისათვის სასარგებლო შრომის შესრულება ევალებოდა. გააზატებულის მიმართ, მებატონის მიერ თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებმა (უზომო ვალდებულებების დაკისრებამ, თავისუფლების სანაცვლოდ ძვირფასი საჩუქრების მოთხოვნამ) პრეტორ რუტილიუსის უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც მან, ქრ. შობამდე 118 წ. გამოცემულ ედიქტში, შეიტანა დებულება, რომლის თანახმადაც, ნორმალურ შემთხვევაში, სამართლებრივ დაცვას მხოლოდ პატრონის უფლება – *operae*-ზე[514] ექვემდებარებოდა. სასამართლო დაცვა *actio societatis*-ს საფუძველზე, იმ გარემოებებზეც ვრცელდებოდა, როცა გააზატებულსა და მის მეპატრონეს შორის არსებული *obsequium*-ის შესახებ შეთანხმება ირღვეოდა და მათ შორის ლიბერტის მთელი ქონების მომცველი ამხანაგობის[515] ხელშეკრულება წარმოიშობოდა.[516] მოგვიანებით, პრეტორმა, პატრონის სასარგებლოდ, ანდერძის საწინააღმდეგოდ სამკვიდროს ფლობა[517] დაადგინა, იმ შემთხვევისთვის, თუ გააზატებული უშვილოდ გადაგვარდებოდა ან საკუთარ შვილებს მემკვიდრეობის უფლებას ჩამოართმევდა. თუ ლიბერტი მომსახურების გაწევის თაობაზე, პატრონისათვის საზეიმოდ მიცემულ ფიცს დარღვევდა, ყველა შემთხვევაში, გააზატებულის სამკვიდრო ქონებიდან პატრონი ნახევარ წილს იღებდა.

---

[513] D.2.4.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 156.

[514] operae – თავისუფალი ადამიანებისათვის ღირსეული, ინტელექტუალური საქმიანობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 233; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 265.

[515] societas – ამხანაგობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 297-298; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 265.

[516] D.38.2.1.1. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 1. книги XXXVII-XL. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 207.

[517] bonorum possessio contra tabulas – ანდერძის საწინააღმდეგოდ სამკვიდროს ფლობა.

XII დაფის კანონების ინტერპრეტაციის საფუძველზე, პრეტორული დადგენილების გარეშეც, უანდერძოდ გარდაცვლილი გააზატებულის ქონება პატრონს *adgnatio*-ს უფლებით გადაეცემოდა.

Lex Papia Poppea,[518] მდიდარი გააზატებულის მიმართ შემდეგ მოთხოვნებს ადგენდა: 1. თუ გააზატებული 100 ათას სისტერციის ღირებულებაზე მეტ ქონებას ფლობდა (ანუ იგი ძალიან მდიდარი იყო), მას პატრონის სასარგებლოდ სამკვიდროს ნახევრის გადაცემა ევალებოდა (თუ მხოლოდ ერთი მემკვიდრე ჰყავდა, ხოლო ორი და მეტი მემკვიდრის ყოლის შემთხვევაში – ქონების 1/3). იმ შემთხვევაში, თუ მას სამი და მეტი შვილი (მემკვიდრე) რჩებოდა, გააზატებული ამ მოვალეობიდან თავისუფლდებოდა; 2. *Adgnatio* უფლების თანახმად, ყველა შემთხვევაში, პატრონი საკუთარი გააზატებული ქალის მეურვედ და მის მემკვიდრედ ხდებოდა; 3. კანონი მეურვეობიდან მხოლოდ ოთხი შვილის გააზატებულ დედას ათავისუფლებდა. პატრონატის ურთიერთობები მამიდან შვილზე გადადიოდა, პატრონის შვილებს გააზატებულის მემკვიდრედ ყოფნა შეეძლოთ. პატრონატის ურთიერთობები სამისდღეშიო ხასიათის იყო. გააზატებულის შვილები თავისუფლადშობილებად[519] ითვლებოდნენ. პრინციპატის პერიოდში, იმპერატორის ნებით, თავისუფლადშობილის სტატუსის მინიჭება გახშირდა (*nalatium restitutio*).[520]

III. Peregrini (უცხოელები)

Commercium – სამოქალაქო ბრუნვა; ius commercii – ცივილური გარიგების დადების უფლება; ius migrandi – რომში გადასახლების უფლება; ius conubii — კანონიერ ქორწინებაში შესვლის უფლება; ius honorum – პასიური საარჩევნო უფლება – თანამდებობებზე არჩევის უფლება; ius suffragii – აქტიური საარჩევნო უფლება; Latini prisci – ძველი ლათინები; Latini coloniarii – კოლონიების ლათინები; Latini Iuniani – გააზატებული, რომელმაც მოქალაქეობა იუნია ნორბანას კანონით მოიპოვა; peregrini nullius civitatis –

[518] lex PapiaPoppea – ქრ. შობამდე 18 წელს მიღებული კანონი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, опрделения, Москва, 1989, 191.

[519] ingénue – თავისუფლადშობილი. იქვე, 152.

[520] D.40.11.1. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 1. книги XXXVII-XL. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Статут, Москва, 2005,693.

უცხოელები, რომლებიც სამოქალაქო თემებს არ მიეკუთვნებიან; iura peregrinorum – ადგილობრივი არარომაული სამართალი; peregrini dediticii – იარაღით დაპყრობილი თემები.

Ius civile სამოქალაქო ექსკლუზიურობა (როგორც მხოლოდ რომის მოქალაქეების უფლება) არამოქალაქეთა[521] განსაკუთრებულ სამოქალაქო-სამართლებრივ სტატუსს განაპირობებდა. მათთან დადებული გარიგებების ნამდვილობა სპეციალური კანონით იყო განსაზღვრული. XII დაფის კანონებით უკვე რამდენიმე სახეობის იურიდიული აქტი იყო გათვალისწინებული, რომელთა გაფორმება უცხოელთა იმ კატეგორიასთან იყო დასაშვები, რომელიც რომაელ ხალხთან მეგობრობის ხელშეკრულებას დებდა. მათვე ენიჭებოდათ სასამართლო განხილვებში მონაწილეობის მიღების უფლება. თანდათანობით, მათი სტატუსის შესაბამისად, უცხოელების ზოგადი კლასიფიკაცია იქნა შემუშავებული.

1. რომის მოქალაქეებთან ყველაზე მეტი სიახლოვით უძველესი ლათინები,[522] ლაციუმის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქების მოქალაქეები, გამოირჩეოდნენ. ისინი რომის ეგიდით შექმნილ ლათინური ლიგის შემადგენლობაში შედიოდნენ, ხოლო ქრ. შობამდე 338 წ. მისი დაშლის შემდეგ, მათ ყველა ის უფლება შეინარჩუნეს, რომლებსაც ქრ. შობამდე 493 წ. ფლობდნენ: ა) ლათინებს (ლიგის ნებისმიერი ქალაქის მცხოვრებს) რომაელებთან *ius civile*-თი გარიგებების დადება, ბ) რომის ტერიტორიაზე დასახლება და რომის მოქალაქედ გახდომა და გ) რომაელებთან კანონიერ ქორწინებაში შესვლა შეეძლოთ.[523]

---

[521] peregrini – თავისუფალი უცხოელი, რომელიც რომში ცხოვრობდა და შეზღუდული უფლებებით სარგებლობდა. მასზედ რომის ius civile (Quiritium) არ ვრცელდებოდა., Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 242-243; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 229; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 77, 178.

[522] latini prisci. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 178; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 228; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 177-178.

[523] Ius commercii, ius migrandi, ius conubii. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 168-170; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 267.

ქრ. შობამდე II საუკუნიდან, რომის რესპუბლიკის პერიოდში, დაპყრობილ მიწებზე რომაელებმა კოლონიები შექმნეს, ხოლო კოლონისტებს ლათინი მოქალაქეების სტატუსი[524] მიანიჭეს. 338 წლის შემდეგ, კოლონიების მოქალაქეებმა განსაკუთრებული სტატუსი – *latini coloniarii* მიიღეს. ამ კატეგორიის პირებს მინიჭებული ჰქონდათ *ius migrandi* და *ius commercii*, მაგრამ *ius conubii*-ს უფლება მათ არ გააჩნდათ. ამავე პერიოდში ის ლათინები, რომლებმაც საკუთარ თემებში უმაღლესი თანამდებობების დაკავება შესძლეს, რომის მოქალაქეობას იღებდნენ და რომში პოლიტიკური კარიერის გაკეთების, ანუ ე.წ. *ius honorum*[525]-ის უფლების მოპოვების შესაძლებლობა ეძლეოდათ. აღნიშნული ვითარების შედეგად, ლათინური ქალაქებისა და კოლონიების პოლიტიკურმა ელიტამ ორმოქალაქეობა მიიღო; თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, რეალურად, ეს ფაქტი ასეთად არ მიიჩნეოდა, რადგან, ჩვეულებრივ, კოლონიების ლათინები რომაული წარმომავლობისანი იყვნენ. თუ ამასვე დავუმატებთ რომის სახალხო კრებებზე (დასწრების შემთხვევაში) ხმის მიცემის უფლებას,[526] რომელიც ლათინური ქალაქებისა და კოლონიების მოსახლეობას ჰქონდა მინიჭებული, ცხადი გახდება, რომ რომაულ და ლათინურ მოქალაქეობას შორის სხვაობა არაარსებითი იყო და ერთი მოქალაქეობის მეორეთი შეცვლა თავისუფლად შეიძლებოდა.

განსხვავების ძირითადი კრიტერიუმი იყო: ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და, აქედან გამომდინარე, გარკვეული სამოქალაქო თემისადმი კუთვნილება. ლათინურ კოლონიაში გადასახლების შემდეგ, რომაელი ლათინი მოქალაქე ხდებოდა, თუმცა რომში დაბრუნება თავისუფლად შეეძლო.

ორი სტატუსის სიახლოვეზე ნათლად მეტყველებს ის წესიც, რომელიც გააზატებულის სამოქალაქო სტატუსს განსაზღვრავდა: 1. კანონიერი ქორწინების შემდეგ, ლათინური სტატუსის მქონე

---

[524] colonii civium Latinorum – ლათინი მოქალაქეების სტატუსი. იქვე.

[525] ius honorum. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 169; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 267.

[526] ius suffragii. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 171; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 267.

გააზატებული (*Latini Aeliani*),[527] რომის მოქალაქეობას თავისუფლად იძენდა (ელიუს სენციუსის კანონით – 30 წლამდე ახალგაზრდები, ხოლო ვესპასიანეს დროიდან – უკლებლივ ყველა); 2. თუ ლათინი რომის მოქალაქეზე იქორწინებდა, ადრიანეს დროს მიღებული სენატუსკონსულტით, ამ ქორწინების შედეგად შობილი ბავშვი რომის მოქალაქე ხდებოდა; 3. კლავდიუსიდან მოყოლებული ტრაიანეს ეპოქამდე, ლათინების მიერ რომის მოქალაქეობის მიღება პრინცეფსის კონსტიტუციებით წესრიგდებოდა.

ახალ ლათინურ თემებში საბაზო სამართლის სისტემად *ius civile* ითვლებოდა,[528] მაშინ, როცა პოლიტიკური სისტემისა და სასამართლო ორგანიზაციის სპეციფიკა ერთნაირი მუნიციპალური კანონით განსაზღვრებოდა. რომის მოქალაქეებსა და ლათინებს შორის წარმოქმნილი ქონებრივი და პირადი ურთიერთობები რომაული სამართლებრივი ინსტიტუტების თანახმად წესრიგდებოდა.

Lex Iunia Norbana საფუძველზე გააზატებული პირების სამართლებრივი სტატუსი მნიშვნელოვანი თავისებურებით ხასიათდებოდა. ამ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ ის პირები, რომლებიც არც ერთ ლათინურ თემს მიეკუთვნებოდნენ და ამრიგად, სამოქალაქო კავშირების სისტემაში, მათი ლათინური სტატუსი ერთგვარ დეფექტურ მდგომარეობაზე მეტყველებდა. რომის მოქალაქეთა მიმართ, *latini Iuniani*[529] არც *ius conubii*-ით და არც აქტიური ან პასიური ანდერძის დატოვების, ან ანდერძით ქონების მიღების,[530] უფლებას ფლობდნენ. დანარჩენ შემთხვევაში, სრული უფლებაუნარიანობა გააჩნდათ (უნივერსალური ფიდეიკომისების მიხედვით, რომის მოქალაქეებიდან სამკვიდროს მიღების უფლებაც კი ჰქონდათ); ლათინების მიმართ, რომის სამართლით დაცული მათი სტატუსი არავითარ შეზღუდვას არ ექვემდებარებოდა. რომის ან ლათინური მოქალაქეობის უფლებებს პროვინციების ძირითადი მოსახლეობა (სამოკავშირეო ომამდე – იტალიაც) არ ფლობდა. პროვინციების სამოქალაქო თემებს რომთან ხელშეკრულებები ჰქონდათ დადებუ-

[527] lex Aelia Sentia – ქრ. შობის 4 წლის კანონი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 182.

[528] lex Irnitana, 93. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 268.

[529] latini Iuniani – lex Iunia Norbana – ქრ. შობის 19 წელს მიღებული კანონი, რომლის საფუძველზე გააზატებულებს latini Iuniani-ს სტატუსი მიენიჭათ. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 192.

[530] testamenti factio – ანდერძით ქონების მიღება.

ლი, რომლებითაც მათი ავტონომიის ხარისხი განისაზღვრებოდა.

ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ: 1. ფორმალურად დამოუკიდებელ თემებს – *civitates peregrinae liberae et foeredatae*; 2. დამოკიდებულ თემებს – *civitates nostro iure obstictae*, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფოდნენ: ა) ავტონომიის უფლებების მქონედ; ბ) დაპყრობილ თემებად, რომლებიც უშუალოდ რომის პროვინციული ადმინისტრაციის გამგებლობაში შედიოდნენ. ავტონომიური თემების მოქალაქეებზე მათივე, ადგილობრივი სამართალი ვრცელდებოდა.[531]

დაპყრობილი თემების მოსახლეობა, ანუ სამოქალაქო თემის მიღმა მყოფი უცხოელები, რომაელი ნაცვლის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, რომლის *imperium*-ზე ფორმალური შეზღუდვებიც კი არ ვრცელდებოდა. თუმცა, პრაქტიკულად, მათ მიმართ მაინც ადგილობრივი სამართლის ნორმებს იყენებდნენ. ნებისმიერ პერეგრინს შეეძლო რომაელი პროვინციული მაგისტრატის სასამართლოს იურისდიქცია მოეთხოვა და მისი საქმე ამ პროვინციაში მოქმედი, *ius gentium*-ის, ან *ius honorarium*-ის სამართლის ნორმების მიხედვით განიხილებოდა.

212 წელს იმპერატორ კარაკალას ედიქტის (*Constitutio Antoniniana*)[532] მიღების შემდეგ, პირთა სტატუსის თვალსაზრისით, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. აღნიშნული ედიქტით, იმპერიის მთელ მოსახლეობას რომის მოქალაქეობა მიენიჭა. ყველა სახის *civitates peregrinae* გაუქმდა და *ius civile* ხმელთაშუა ზღვის აუზის სამართლის ძირითად სისტემად იქცა. თუმცა, აღმოსავლეთის პროვინციებში, სადაც მაღალგანვითარებული ადგილობრივი სამართლებრივი კულტურა ჰქონდათ, ჯერ კიდევ ადგილობრივი სამართლის ნორმებს იყენებდნენ. რომის მოქალაქეობა ენიჭებოდა სოფლის იმ მოსახლეობას, რომელიც არც ერთ თემში შედიოდა.

---

[531] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 100-102.

[532] D.1.17. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 91.

IV. Personae alieni iuris (სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირები)

Personae in potestate – დაქვემდებარებაში მყოფი პირები; in manu – ქმრის ან მისი paterfamilias-ის ხელისუფლებაში ყოფნა; in mancipio – სხვა პირისათვის მანციპირებული, ხელქვეითი პირი; paterfamilias – ოჯახის უფროსი; persona aliena iurus – სხვისი ხელქვეითი პირი; persona sui iuris – თვითხელისუფლების პირი; filius familias – ოჯახის ვაჟიშვილი; filiae familias – ოჯახის ქალიშვილი; filiae loco (cum manu ტიპის ქორწინებისას, ცოლს ოჯახის უფროსთან მიმართებით შვილიშვილის სტატუსი ჰქონდა, ხოლო ქმართან მიმართებით – ქალიშვილის).

Sequitur de iure personarum alia divisio. Nam quaedam personae sui iuris sunt, quaedam alieno iuri subiectae sunt – პირთა უფლებების სფეროში სხვაგვარ დაყოფას იყენებენ. ვინაიდან ზოგი პირი თვითხელისუფლების, ზოგიც სხვისი უფლების ხელქვეითია.[533]

Rursus earum personarum, quae alieno iur, subiectae sunt, aliae in potestate, aliae in manu, aliae in mancipio sunt – შემდეგ, იმ პირთა შორის, ვინც სხვისი ხელისუფლების მორჩილია, ერთნი ოჯახის უფროსის ხელისუფლებაში, მეორენი ქმრის ხელისუფლებაში, სხვები კი განკარგვით ხელისუფლებაში იმყოფებიან.[534]

იუსტინიანეს ინსტიტუტების პირველი წიგნის VIII თავში[535] განმარტებულია დამოუკიდებელი და სხვებზე დამოკიდებული პირების მდგომარეობა: „პირთა უფლებების სხვაგვარ დაყოფას იყენებდნენ. ვინაიდან ზოგი პირი საკუთარი უფლების მქონე (ე.ი. თავისუფალი) იყო, ზოგიც სხვის უფლებას ექვემდებარებოდა; მეორე მხრივ, მათგან, ვინც სხვის უფლებას ექვემდებარებოდა, ზოგი

[533] Inst. Iust.1.8. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 22.

[534] Gai,1.48-49. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 20.

[535] Inst. Iust.1.8. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 22-23.

მშობლის ხელისუფლებაში იმყოფებოდა, ზოგი კი – ბატონებისა (მონათმფლობელობის)."

მონები სხვის ხელისუფლებაში[536] იმყოფებოდნენ; მონაზე ბატონის ხელისუფლება ხალხის სამართალს (*potestas iuris gentium*) მიეკუთვნება. ოჯახის თავისუფალი წევრები – ვაჟიშვილები და ქალიშვილები, დაღმავალი ხაზით სხვა ნათესავები, ოჯახის უფროსის ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ; ბავშვებზე ხელისუფლება[537] *ius civile*-ს ინსტიტუტი იყო (*ius proprium civium Romanorum*).[538]

კანონიერი მეუღლე, რომელმაც *conventio in manu*[539] განახორციელა, ქმრის ხელისუფლებაში იმყოფებოდა. თუ მისი ქმარი საკუთარი ოჯახის უფროსის ხელისუფლებაში იყო, მაშინ ცოლი, ერთდროულად, საკუთარი ქმრისა და მისი ოჯახის უფროსის ხელისუფლებაში შედიოდა; ამით მას ოჯახში ქმრის ქალიშვილისა და ოჯახის უფროსის შვილიშვილის ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული.

ქმრის ხელისუფლებაში გადასვლით, ქალი საკუთარი ოჯახის უფროსის ხელისუფლებიდან თავისუფლდებოდა და სხვა პირის ხელისუფლებაში გადადიოდა. თუ ქალი თვითხელისუფალი პირი იყო, ქორწინების შემდეგ სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირი ხდებოდა.

In mancipio იმყოფება სხვა ოჯახის უფროსისადმი მანციპირებული ხელქვეითი პირი (ჩვეულებრივ, მიყენებული ზარალის

---

[536] in potestate – სხვის ხელისუფლებაში ყოფნა. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 238.

[537] patria potestas – ბავშვებზე ხელისუფლება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 239, 253; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 238-243; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 75.

[538] Gai.,1.55. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 46.

[539] in manu – ქმრის ან მისი paterfamilias-ის ხელისუფლებაში ყოფნა კანონიერი ქორწინების — iustum matrimonium-ის შედეგად. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 238, 245-247; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 77.

ანაზღაურების მიზნით[540]). ასეთი პირის შვილები საკუთარი ოჯახის უფროსის – პაპის ხელისუფლებაში იმყოფებიან, ანუ ხელისუფლებაში მყოფი პირი, იმავდროულად, პოტენციურად საკუთარი ოჯახის უფროსის *in potestate*-ში იმყოფება. მანციპაცია და მამის ხელისუფლება ერთმანეთს ბრუნვადი (სამოქალაქო ბრუნვისადმი მიკუთვნებული) და სტატიკური უფლებამოსილების სახით შეეფარდებოდა. სხვის ხელისუფლებაში ყოფნა პირის საჯარო უფლებებზე გავლენას ვერ ახდენდა,[541] თუმცა კერძო სამართლის სფეროში მის უფლებაუუნარობის განმსაზღვრელი იყო.

სხვის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს საკუთრება არ გააჩნიათ, მათ მიერ შეძენილი რაიმე ნივთი, ოჯახის უფროსის სასარგებლოდ შეძენილად ითვლებოდა. ასეთ პირებს დამოუკიდებლად არ შეეძლოთ ისეთი იურიდიული გარიგების დადება, რომელიც მათ მდგომარეობას დაამძიმებდა (მაგალითად, გასხვისება, საკუთარ თავზე ვალდებულებების აღება). ასეთი აქტების ნამდვილობისათვის სავალდებულო იყო ოჯახის უფროსის ნების გამოვლენა (*auctoritas*). ხელისუფლებაში მყოფი პირი ქორწინებაში მხოლოდ ოჯახის უფროსის[542] თანხმობის შემდეგ შედიოდა. ოჯახის უფროსი, ავტომატურად, ხდებოდა მის ხელისუფლებაში მყოფი პირის (თავისუფლის ან მონის) მიერ, ხანდაზმულობით შეძენილი ქონების[543] მფლობელი.

რომის სამართალში უფლებაუნარიანობის აღნიშნული შეზღუდვა მხოლოდ კერძო საწყისს ეფუძნებოდა და წინასახელმწიფოებრი-

---

[540] Gai.,1.140. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 43.

[541] D.1.6.9. რომის სამართლის ძეგლები. ულპიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. ნიგნი პირველი. ნიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 96.

[542] paterfamilias – ოჯახის უფროსი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 239; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 861; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л. Кофанов, Москва, Статут, 2005, 238; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 75.

[543] usucapio – ხანდაზმულობით შეძენილი ქონება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 320-322.

ვი ეპოქის სოციალური ორგანიზაციის – პატრიარქალური ოჯახის[544] ხაზით ჩამოყალიბების პრინციპებისათვის იყო დამახასიათებელი. ადამიანს, გენეოლოგიურად, საკუთარი თავი გარკვეული ჯგუფის ნაწილად მიაჩნდა და საკუთარი მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების სისწორეს წინაპართა ნებას უსადაგებდა. წინაპართა სულებსა და ცოცხლად მყოფთა შორის მედიატორად, ოჯახის ყველაზე უხუცესი და, შესაბამისად, წინაპრებთან ყველაზე ახლოს მყოფი – ოჯახის უფროსი[545] იყო. წინაპართა კულტისა და საოჯახო სიწმინდეთა[546] მცველი, შესაბამისად, წინაპრის საქმეებისა და ოჯახის წევრთა საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი იყო. შიდასაოჯახო სოციალურ სივრცეში ამ პატარა ლიდერის ავტორიტეტი ოჯახზე მის პირად ძალაუფლებად – *patria potestas*, აღიქმებოდა; ოჯახის წევრებს, ოჯახის უფროსის მიმართ, მორჩილება და პატივისცემა ჰმართებდათ. იგივეს ითხოვდა დადგენილი მართლწესრიგიც.

კლასიკური გაგებით, ოჯახის წევრები სხვის ხელისუფლებაში მყოფ პირებად, ან იურიდიულად სხვის ხელისუფლებას დაქვემდებარებულ, ან ხელქვეით პირებად[547] მოიხსენებიან.

შიდასაოჯახო სოციალურ სივრცეში ოჯახის უფროსი თვითხელისუფალ პირად – *persona sui iuris*-ად[548] წარმოგვიდგებოდა.

---

[544] familia – პატრიარქალური ოჯახი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 129-130; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 235-236; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 75.

[545] adgnatus proximus – გარდაცვლილი წინაპრის კულტის მიმართ ყველაზე ახლობელი ცოცხლად-დარჩენილი ნათესავი. Inst. Iust.3.2.5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 145; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003,627-628.

[546] sacra familiares – ოჯახის სიწმინდე. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 236;

[547] personae alieni iuris – სხვის ხელისუფლებას დაქვემდებარებული, კანონიერ ქორწინებაში თავისუფლად შობილი პირი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 244; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 238; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 77.

[548] persona sui iuris – თვითხელისუფალი პირი. Бартошек М., Римское право,

ოჯახის უფროსი საკუთარ ხელისუფლებასა და უფლებას მორჩილებდა, იმავდროულად, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და დამოუკიდებელი პიროვნება იყო. ხელისუფლებაში მყოფთა სტატუსი, მათი თვითღირებულება შეფარდებითი იყო და მხოლოდ ოჯახის უფროსის სამართალსუბიექტობის ანარეკლს წარმოადგენდა.

ულპიანეს აზრით, *potestatis verbum communiter accipiendum est tam in filio quam in servo* – სიტყვა *potestas* (ხელისუფლება) განზოგადებული მნიშვნელობით უნდა გავიგოთ როგორც ხელისუფლებაში მყოფი ვაჟიშვილის, ისე მონასთან მიმართებით.[549]

შვილების მიმართ გამოყენებული სიტყვა – *liberi*[550] იმ პირვანდელ ვითარებას ასახავდა, როცა ისინი, ხელისუფლების საერთო საფუძველზე, მონების მსგავსად განიხილებოდნენ; მათ შორის სხვაობა მხოლოდ საჯარო სამართლით დასტურდებოდა, რომლის თანახმადაც, *liberi,* ანუ შვილები, სიტყვასიტყვით თავისუფალს ნიშნავდა.

საოჯახო ერთეულის – *potestas,* ცნება საოჯახო სტრუქტურის ყველა დონეზე ვრცელდებოდა, ანუ ეს იყო ზოგადი ცნება, რომელიც ხელისუფლებაში მყოფ პირთა ყველა სახის მდგომარეობასა და გარემოებას მოიცავდა. *In potestas*-ად ყოფნა არა მხოლოდ მორჩილებას, არამედ, გარკვეული დამოუკიდებლობის მქონე, სოციალური ერთეულისადმი კუთვნილებასაც ნიშნავდა. *In potestate* ან *cum potestate* პირებს რომაელები უპირისპირებდნენ იმათ, ვინც *potestate*-დან გამორიცხული, ან, საერთოდ, მის მიღმა იყო. ეს ვითარება იურიდიულ კონსტრუქციაშიც აისახა და შემდეგს გულისხმებოდა: ოჯახიდან გასვლას თან სდევდა თვითხელისუფლების შეძენა და უფლებაუნარიანობის შემცირება (*capitis deminutio minima*).

Sui iuris პირად ქცევის შემდეგ (თუმცა, საკუთარი *familia*-ს

Понятия, термины, определения, Москва, 1989, 244; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 238; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 77.

[549] D.15.1.1.5. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2003, 321.

[550] liberi – კანონიერ ქორწინებაში შობილი თავისუფალი ადამიანი, შვილები დაყ ველა დაღმავალი ხაზის ნათესავი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 204.

მილმა) პირი არა იმდენად საკუთარი ოჯახის უფროსის მიმართ დამოუკიდებლობას იძენდა, რამდენადაც მფარველობასა და სოციალურ სტაბილურობას კარგავდა, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ, გარკვეული ავტონომიური ერთეულისადმი, კუთვნილების პრინციპს უკავშირდებოდა.

V. Capitis deminutio (უფლებაუნარიანობის დამცრობა)

Status libertatis – თავისუფალი მდგომარეობა; status civitatis – მოქალაქეობა; status familiae – ოჯახისადმი კუთვნილება; capitis deminutio maxima, media, minima – უფლებაუნარიანობის სრული, ნაწილობრივი, მინიმალური დამცრობა; peculium castrense – საბანაკო პეკულიუმი; bona materna – დედის ქონება; adfinitas – მოყვრობა.

რომის სამართალი პირის სამ სტატუსს განასხვავებდა: *status libertatis*[551], *status civitatis*,[552] *status familiae*,[553] ანუ ესენი რომის ის მოქალაქეები იყვნენ, რომლებიც იმ ოჯახს ეკუთვნოდნენ, რომელშიც დაიბადნენ და სამივე სტატუსს ფლობდნენ; საკუთარი ოჯახის უფროსის ხელისუფლებიდან გასული და ოჯახის მილმა მყოფი პირები ორ სტატუსს, ხოლო თავისუფალი უცხოელები მხოლოდ ერთ სტატუსს ფლობდნენ. *Patria potestas* და პატრიარქალური ოჯახი – *familia* წმინდა რომაული ინსტიტუტებია.

იუსტინიანეს ინსტიტუციების I წიგნის IV თავში[554] მოცემული

---

[551] status libertatis – თავისუფლების სტატუსი, რომელიც მხოლოდ თავისუფლად შობილ ან გააზატებულ პირს ენიჭებოდა და მისი დაკარგვა მონად ქცევას ანუ სამართალსუბიექტობის დაკარგვას ნიშნავდა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 300-301; Мануэль Хссус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 227; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 77.

[552] status civitatis – რომის მოქალაქის სტატუსი, რომელსაც განსაკუთრებულ ვითარებაში თავისუფლადშობილ უცხოელსაც ანიჭებდნენ. იქვე.

[553] status familiae – საოჯახო მდგომარეობის სტატუსი, ოჯახში რომელიც პირის მდგომარეობას განსაზღვრავდა. შრული საოჯახო სტატუსი მხოლოდ persona sui iuris-ს ჰქონდა. იქვე.

[554] Inst. Iust.1.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები.

განმარტების თანახმად, „თავისუფლად (თავისუფალ პირად) დაბადებულია ის, ვინც დაბადებისთანავე თავისუფალია, გინდ იგი ორი თავისუფლად დაბადებული [პირის] ქორწინებისგან დაიბადოს, გინდაც – ორივე გააზატებულის და გინდაც – ერთი თავისუფლად დაბადებულის და მეორე გააზატებულის. ხოლო, თუ ვინმე თავისუფალი დედისა და მონა მამისგან იბადება, იგი მაინც თავისუფალ [პირად] იბადება, ზუსტად ისევე, როგორც ის, ვინც თავისუფალი დედისა და უცნობი მამისგან დაიბადა, რადგან იგი [კანონიერი] ქორწინების გარეშე ჩაისახა. მეორე მხრივ, საკმარისია, რომ დედა თავისუფალი იყოს იმ დროს, როდესაც [ბავშვი] იბადება, თუნდაც [იგი. მან] მხევლად ყოფნისას ჩასახოს, და პირიქით, თუ თავისუფალმა ჩასახა და შემდეგ მხევლად გამხდარმა დაბადა, დადგენილია, რომ ის, ვინც იბადება, თავისუფალი დაიბადოს, ვინაიდან დედის უბედურებამ არ უნდა ავნოს მას, ვინც მუცლად არის...

1. ხოლო თავისუფლად დაბადებულს არ ავნებს ის [გარემოება], რომ იგი მონობაში იყო და შემდეგ იქნა განთავისუფლებული (გააზატებული), რადგან მრავალჯერ დაადგინეს, რომ გააზატება დაბადების მდგომარეობას არ ვნებს“.

პირის სამი სტატუსის თანადროულად, არსებობდა უფლებაუნარიანობის დამცრობის სამი ხარისხიც: *capitis deminutio maxima, media et minima.*[555] დიგესტებში უფლებაუნარიანობის დამცრობის აღნიშნული ხარისხების შესახებ წერია: „იმ სამი მდგომარეობის – თავისუფლება, მოქალაქეობა, ოჯახი – მიხედვით, რომელთაც ჩვენ ვფლობთ, არსებობს უფლებაუნარიანობის დამცრობის სამი ხარისხი: სრული, ნაწილობრივი და მინიმალური. ყველა მათგანის, ანუ თავისუფლების, მოქალაქეობისა და ოჯახის სტატუსის დაკარგვით, უფლებაუნარიანობის ყველაზე დიდი დამცრობა ხდება; მოქალაქეობის დაკარგვისას, რადგან თავისუფლება შენარჩუნებულია, უფლებაუნარიანობის საშუალო დამცრობა ხდება; ხოლო თავისუფლებისა და მოქალაქეობის შენარჩუნებისას, თუ მხოლოდ

ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 17.

[555] Gai.,1.158-162. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 47-48; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 227.

საოჯახო სტატუსი იკარგება, მაშინ უფლებაუნარიანობის დამცრობა მინიმალურად ითვლება".[556]

Caput[557] – უფლებაუნარიანობას ნიშნავდა და უშუალოდ ადამიანის ერთიანი კოლექტივის წევრობაზე მიუთითებდა. ტერმინი – *capitis deminutio,* ითარგმნება, როგორც „ერთი თავით შემცირება" და საზოგადოებრივი კავშირის წევრობის შეწყვეტაზე მიუთითებდა (ცვლილების არსი სწორედ ეს იყო).

თავდაპირველად, *capitis deminutio*-ს მხოლოდ ორ საფეხურს განასხვავებდნენ: *maxima* და *minima*, რაც უშუალოდ თავისუფლებისა და მოქალაქეობის ინსტიტუციონალური ურთიერთკავშირის პირობებს შეესაბამებოდა. პირი, რომელიც ჯგუფიდან გამოვიდოდა, სტატუსს იცვლიდა, რადგან მასზე ჯგუფური პრივილეგიები ვეღარ გავრცელდებოდა. საზოგადოებრივი კავშირებიდან გამოდევნა, კი პირს ჯგუფში დადგენილი ნორმების მოქმედების მილმა ტოვებდა და მის დაუცველობას განაპირობებდა. უფლებაუუნარობის ორი ხარისხის არსებობა ორ სოციალურ კავშირზე – თემსა და ოჯახზე მიუთითებდა. მათდამი კუთვნილება პირის სამართლებრივი სტატუსის სისრულეს უზრუნველყოფდა, სტატუსთა იერარქია კი სამოქალაქო თემისადმი ოჯახის მორჩილებაზე მეტყველებდა. მოგვიანებით უფლებაუნარიანობის დამცრობის კიდევ ერთი საფეხური – *capitis deminutio media,* ანუ *status civitatis*-ის დაკარგვა დამკვიდრდა.

იმავდროულად, ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ, სტატუსის შეცვლა *capitis deminutio minima*-ს გარეშეც შეიძლებოდა; ოჯახის უფროსის დაღმავალი ხაზის ნათესავები (შვილები, *cum manu* ქორწინებაში მყოფი მეუღლე), თვითხელისუფალნი (*persona sui iuris*) ხდებოდნენ და აღნიშნულ ოჯახში ყველა უფლებას ინარჩუნებდნენ. თუ ოჯახის ერთი წევრი მეორე ოჯახში ქმრის ხელისუფლებაში გადასვლით, ან შვილად აყვანის[558] გზით, კვლავ

---

[556] D.4.5.11. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 497-503.

[557] caput – ადამიანი, ინდივიდი (თავისუფალი); capitis deminutio – სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 60-61; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005,102-106.

[558] adoptio – persona alieni iuris-ის შვილად აყვანა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 22-23.

ხელისუფლებაში მყოფად რჩებოდა, იმის მანიშნებელი იყო, რომ მისი სტატუსი არ შეცვლილა. თუმცა, ოჯახის შეცვლა ძველ ოჯახთან უშუალოდ დაკავშირებული უფლებების, მემკვიდრეობითი, სამეურვეო და სხვა უფლებების, დაკარგვას ნიშნავდა. სხვა ოჯახში ანალოგიური უფლებების მოპოვება მხედველობაში არ მიიღებოდა. ოჯახისადმი კუთვნილება არა მარტო დადებით უფლებამოსილებებს უზრუნველყოფდა, არამედ პირის სტატუსსაც ადგენდა. პრაქტიკულად კი, ეს შემდეგს ნიშნავდა: საოჯახო სოლიდარობას, ერთი ოჯახის ყველა წევრთა ურთიერთპასუხისმგებლობასა და სამართალსუბიექტობის ერთობლიობას.

VI. Persona (პირი)

რომის სამართალში პირის (*persona- ნიღაბი*) ცნებით, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ტიპური, უნივერსალური იდეა აღინიშნებოდა. ყველა შემთხვევაში, პირი ურთიერთობების მონაწილე პირის იურიდიულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა.

ადამიანური არსება ფიზიკურ პირად (*persona*) მას შემდეგ მიიჩნეოდა, რაც: 1. ჩვილი დედის სხეულს გამოეყოფოდა, 2. დაიბადებოდა ცოცხალი, 3. ადამიანის იერსახით და 4. ფიზიკურად საკმარისად ჩამოყალიბებული.[559]

დედის საშოში მყოფი ბავშვი (*nasciturus, venter, partus nondum editus*) არა ფიზიკურ პირად, არამედ დედის სხეულის ნაწილად მიიჩნეოდა.[560] ახალი დროის იურისტების ფორმულირების თანახმად, იგი იყო დედის საშოში მყოფი ჩვილი, რომელსაც ყველა ის უფლება (სოციალური სტატუსი, მემკვიდრედ ყოფნა) ჰქონდა, რაც დაბადებისთანავე ენიჭებოდა (*nasciturus pro iam nato habetur, quoties de commodis eius agitur*). აღნიშნული უფლებების დასაცავად, ჯერ კიდევ არდაბადებულ ბავშვს, ქონების განმკარგველად მზრუნველი[561] ენიშნებოდა. ამის გამო, შესაძლოა, შვილი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გამხდარიყო. მაგალითად, ფეხმძი-

---

[559] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 88.

[560] იქვე.

[561] curator ventris – ახალშობილის მზრუნველი. იქვე.

მობის პერიოდში დედას მის გამოსაკვებად სარჩო[562] ენიშნებოდა. იურიდიული თვალსაზრისით, დედის სხეულისაგან შვილის განცალკევებას მნიშვნელობა არ ჰქონდა შემდეგ ვითარებათა გამო: 1. იუსტინიანეს თანახმად, ჩვილის სიცოცხლისუნარიანობის დასადგენად ახალშობილის დაყვირება საკმარისად ითვლებოდა. პირის ცნების დასადგენად სიცოცხლის ხანგრძლივობა მხედველობაში არ მიიღებოდა; 2. ნორმალურად მიჩნეული ადამიანის სხეულისაგან (სხეულის ნაწილების უჩვეულო რაოდენობა, სიამის ტყუპები და სხვა) უმნიშვნელო გადახრა, ახალშობილისათვის პირის სტატუსის ჩამორთმევის საფუძვლად არ მიიჩნეოდა. ძველ რომაელებს საგაგებოდ არ დაუდგენიათ ის ნაკლოვანებები, რომელთა საფუძველზეც ადამიანი მახინჯად[563] უნდა მიჩნეულიყო. ზოგიერთი იურისტის აზრით, უჩვეულო თავის ფორმის მქონე ჩვილი მახინჯად ითვლებოდა; 3. ახალშობილის სამართლის სუბიექტად მიჩნევის თვალსაზრისით, სადავო ვითარება იყო, როცა ბავშვის სათანადო განვითარების დონე ექსპერტთა დასკვნას საჭიროებდა. ასე, მაგალითად, მუცლის მოწყვეტის შედეგად ცოცხლადშობილი ბავშვი პირად ვერ ჩაითვლებოდა; სამაგიეროდ, დღენაკლული, მაგრამ სათანადოდ განვითარებული ჩვილი, პირად ითვლებოდა.[564]

რომის სამართლის თანახმად, დადგენილი იყო იურიდიული მნიშვნელობის მქონე არსებითი ხასიათის სხვაობები პირის მიმართ. კერძოდ, ეს იყო: სქესი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნათესაური კავშირი, სამოქალაქო თემისადმი კუთვნილება და საცხოვრებელი ადგილი.

ა) Sexus (სქესი)

რომის სამართალი მხოლოდ ორ საპირისპირო სქესს, მამრობითსა და მდედრობითს, აღიარებდა. შესაბამისად, არასრულყოფილი სქესობრივი მონაცემების მქონე პირებს[565] იმ სქესს აკუთვნებდნენ,

---

[562] alimenta – სარჩო. იქვე.

[563] monstrum – მახინჯი. იქვე, Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 89.

[564] იქვე.

[565] hermaphroditae – არასრულყოფილი სქესობრივი მონაცემების მქონე პირები. იქვე, 92.

რომლისადმი მიდრეკილებაც ინდივიდში უფრო ჭარბობდა. საჯარო სამართლისაგან განსხვავებით (საიდანაც მომდინარეობდა ქალის უუნარობა სამეურვეო საქმიანობის თვალსაზრისით), ადამიანთა სქესობრივ სხვაობას კერძო სამართალი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. რომის სამართალი მხედველობაში იღებდა ქალის, შედარებით სწრაფ მოწიფულობას და აქედან გამომდინარე, ქალის სრულწლოვანების ასაკად 12 წლის ასაკს ადგენდა. იმავდროულად, რომის სამართლით ქალს შედარებით ნაკლები დამოუკიდებლობა ენიჭებოდა, რადგან, საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, მამაკაცისაგან განსხვავებით, ქალი ნაკლებად იცნობდა სამართალს, რაც მას ხელს უშლიდა საკუთარი უფლებების დაცვაში. ამის გამო, ზოგჯერ, ქალს სამუდამო მეურვეობასაც კი უწესებდნენ.

ბ) Aetas (ასაკი)

რომის სამართლით, ადამიანის ქმედუნარიანობა, ძირითადად, ასაკის საფუძველზე განისაზღვრებოდა. ჩვეულებრივ, ნების გამოვლენის უნარი ადამიანში თანდათანობით ვითარდებოდა და ყოველი ადამიანი ამ ვითარებას განსხვავებულად განიცდიდა. ამიტომ, სამართლით დადგინდა ის ორი, ტიპური და საყოველთაოდ აღიარებული ასაკობრივი ეტაპი, შეძლებისდაგვარად რომ ასახავდა ადამიანის გონებრივი და ფიზიკური განვითარების დონეს, ანუ არასრულწლოვანების ასაკი (*impuberes*, ანუ *pupilli*)[566] და სრულწლოვანების ასაკი (*puberes*).[567] თავის მხრივ, თითოეული მათგანი კიდევ ორ პერიოდად დაყვეს:

1. არასრულწლოვანების ასაკი იყოფოდა: ა) შვიდ წლამდე ასაკის (*infantes, qui fari non possunt*) ბავშვები, რომლებიც სრულიად ქმედუუნარონი იყვნენ; ბ) ვაჟები 14 წლის ასაკამდე და გოგონები 12 წლის ასაკამდე (*qui fari possunt, ე.წ. infantia maiores*, პროკულიანეს თანახმად, რასაც იუსტინიანეც დაეთანხმა). აღნიშნული ასაკის ორივე პირი რაიმეს შესაძენად – ქმედუნარიანად, მაგრამ

---

[566] impuberes, populi – არასრულწლოვანი პირი (გოგონა 12 წლის ასაკამდე, ვაჟი – 14 წლის ასაკამდე). Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 93.

[567] puberes – სრულწლოვანი პირი (ქალიშვილი 12 წლის ასაკიდან, მამაკაცი – 14 წლის ასაკიდან). იქვე.

ვალდებულებების დასადებად, ქონების გასასხვისებლად, ანდერძით მემკვიდრეობის განსაკარგავად – ქმედუუნაროდ მიიჩნეოდა.

2. სრულწლოვანების ასაკი (*puberes*) ვაჟებისათვის – 14, ხოლო გოგონებისათვის 12 წელი მიიჩნეოდა. ძველი რომაული სამართლით, სრულწლოვანი მამაკაცები სრულად ქმედუნარიანნი, ქალები კი ნაწილობრივ ქმედუნარიანნი იყვნენ და ამიტომ მანციპაციის დამოუკიდებლად განხორციელებისა და ანდერძის დატოვების უფლება არ ჰქონდათ. მოგვიანებით, 25 წლამდე სრულწლოვანებს (*minores viginti quinque annis*) ზოგი უპირატესობა მიეცათ. მაგალითად, *restitutio in integrum*. ოჯახის უფროსის ხელისუფლებაში არმყოფ არასრულოვნებს (*minores*) კი გარკვეული სახის მეურვეობა (*cura*) ან მზრუნველობა (*tutela*) ენიშნებოდა.

სქესის განურჩევლად სრულწლოვანების ორ პერიოდს განასხვავებდნენ: ა) არასრულყოფილ სრულწლოვნებს (*puberes minores*), რომლებიც მამის ხელისუფლებაში არყოფნის შემთხვევაში სრულად უფლებაუუნაროთა (*infantia maiores*) მდგომარეობას იძენდნენ და შეძენის, ვალდებულების აღების, მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე პასუხისგების უფლება არ ჰქონდათ. თუმცა პირთა აღნიშნული კატეგორია (*impuberes infantia*-სა და *maiores*-გან განსხვავებით) ანდერძით მემკვიდრეობით გადაცემისა და ფიცის დადების უპირატესობით სარგებლობდა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, 20 წელს გადაცილებული ვაჟები და 18 წელს გადაცილებული ქალიშვილები, იმპერატორის რესკრიპტით, სრულწლოვანებას იძენდნენ (*veniam aetatis impetrare*); ბ) 25 წელს გადაცილებული პირები (*puberes maiores legitimae aetatis*) სრული მოცულობით სრულწლოვანებად ითვლებოდნენ. ზოგადი წესის თანახმად, კანონით მათ სრული ქმედუნარიანობა ენიჭებოდათ.

გ) Sanitas (ჯანმრთელობა)

პირის ქმედუნარიანობაზე უშუალო გავლენას ახდენდა დაავადება[568] (ფართო გაგებით, გადახრა ადამიანის სხეულის ნორმალური განვითარებიდან). განასხვავებდნენ ფიზიკურ და სულიერ

[568] sanitas – ჯანმრთელობა. Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 95.

დაავადებას: ა) ფიზიკურ დაავადებად მიიჩნეოდა სხეულის არანორმალური მდგომარეობა ან რაიმე ფიზიკური ნაკლი (*vitium*: ყრუ-მუნჯი, ბრმა, კასტრატი, ან ცალკეულ ორგანოთა დაავადება (*morbus*), უშვილობა[569]). ქმედუნარიანობის თვალსაზრისით, აღნიშნულ პირთა მიმართ, გარკვეული შეზღუდვები არსებობდა; მაგალითად, ყრუ-მუნჯი ვერ დადებდა ისეთ გარიგებას, რომლის დროსაც საკუთარი ნების სიტყვიერი გაცხადება იყო აუცილებელი ან მეორე მხარის პირობის მოსმენა. კასტრატს არ შეეძლო ქორწინება და შვილება; ბ) ფსიქიკურ დაავადებად ჭკუასუსტობა[570] და შეურაცხადობა[571] მიიჩნეოდა. სულით ავადმყოფი, ანუ შეურაცხადი სრულიად ქმედუუნარო იყო. რამდენადაც სულიერ დაავადებას ახასითებდა გამონათების პერიოდები,[572] მათი ქმედუნარიანობა შეიძლება აღდგებილიყო.

რომის სამართლით შეზღუდული ქმედუნარიანობის კატეგორიას უგუნურები[573] და გულუბრყვილოები[574] მიეკუთვნებოდნენ. ასეთი პირები სავსებით ქმედუნარიანნი იყვნენ, მაგრამ საკუთარი უგუნური ქმედებით მიღებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ შეეძლოთ. აქედან მიეცა დასაბამი გამოთქმას *stultis non succurritur* – უგუნურებას გამართლება არა აქვს.

დ) Gentilitas (ნათესაობა)

რომის სამართალი ნათესაობის ორ სახეს განასხვავებდა: ბუნებრივ, სისხლისმიერსა და წმინდა იურიდიულ ნათესაობას.[575]

1. ბუნებრივი ნათესაობით (*naturalis cognatio* ან, უბრალოდ, *cognatio*) იგულისხმებოდა სისხლით ნათესაობა, რომელიც სქესობრივი კავშირის შედეგად წარმოიშობოდა და შთამომავლობა მოყვებოდა. განსხვავებული ტიპის სქესობრივი კავშირის (საქორწინო, ნატურალური, კონკუბინატი და ა.შ.) შედეგებიც განსხვავებული იყო. ა)

---

[569] spadones – უშვილობა. იქვე.
[570] dementes – ჭკუასუსტობა. იქვე, 96.
[571] furiosi – შეურაცხადობა. იქვე.
[572] lucida intervalla – გამონათების პერიოდები. იქვე.
[573] stulti – უგუნურები. იქვე.
[574] simplices – გულუბრყვილოები. იქვე.
[575] naturalis cognatio et adgnatio – ბუნებრივი ნათესაობა და იურიდიული (სამართლებრივი) ნათესაობა. იქვე, 95-100.

რომის სამართალი განასხვავებდა კანონიერ ქორწინებას,[576] რომლის დროსაც, *ius civile*-თი ორივე მხარეს კანონიერი ქორწინების (*ius connubii*) უფლება მოეთხოვებოდა. კანონიერი ქორწინების შედეგად შობილი ბავშვები[577] მამის ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ და იურიდიულად სხვის ხელისუფლებაში მყოფ პირებად მიიჩნეოდნენ; ბ) ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დაუცველად დადებულ ქორწინებას, ნატურალური ქორწინება[578] ეწოდებოდა. შესაბამისად, ასეთი ტიპის ქორწინება, კანონიერი ქორწინებისაგან შედეგებითაც განსხვავდებოდა. იუსტინიანეს კანონმდებლობა ორივე ტიპის ქორწინებას აღიარებდა.

დაქორწინებულ მეუღლეთა ნათესავებს (*adfinitas*)[579] შორის, ვიდრე მათი ნათესავი წყვილი ქორწინებაში იმყოფებოდა, ყოველგვარი სქესობრივი ურთიერთობა იკრძალებოდა. მათი განქორწინების შემთხვევაში, ასეთი აკრძალვა უქმდებოდა.

2. ქალსა და მამაკაცს შორის მუდმივი თანაცხოვრების სახით სქესობრივი კავშირის შემთხვევაში, იგულისხმებოდა, რომ მამაკაცს დაქორწინება სურდა (*affectio maritalis*), ხოლო ქალს დაქორწინება ქმრის ხელისუფლებაში შეუსვლელად (*dignitas uxoris*), ანუ კონკუბინატის პირობად წყვილის ისეთი კავშირი ითვლებოდა, რომლის დროსაც ცოლი და შვილები (*liberi naturales*) ქმრის ოჯახში არ შედიოდნენ. რომის სამართლით ასეთი კავშირი დასაშვებად მიიჩნეოდა.

3. იურიდიული თვალსაზრისით, სქესობრივი კავშირი მონასა და თავისუფალ ქალს შორის (*contubernium*) იმით განსხვავდებოდა, რომ აღნიშნული კავშირის შედეგად შობილი ბავშვები რომის მოქალაქეები ხდებოდნენ, თუ ქალი არ იქნებოდა მონად დასჯილი, იმის გამო, რომ ის სამჯერ იყო გაფრთხილებული შეეწყვიტა უკანონო კავშირი მონასთან.

---

[576] matrimonium iustum ან iustae nuptiae – კანონიერი ქორწინება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 213-215, 228.

[577] filii legitimi – კანონიერი ქორწინების შედეგად შობილი ბავშვები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 134.

[578] matrimonium non legitimum – ნატურალური ქორწინება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 213-215.

[579] adfinitas – მოყვრობა. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 204-205.

4. მამაკაცსა და თავისუფალ, გასათხოვარ ქალს[580] შორის დროებითი სქესობრივი კავშირის შედეგად შობილი ბავშვები მოუწესრიგებელი სქესობრივი ურთიერთობის შედეგად შობილებად მიიჩნეოდნენ (*spurii, vulgo concepti, vulgo quaesiti*), რის გამოც, მათი მამის დადგენა შეუძლებელი იყო. *Liberi naturalis*-გან განსხვავებით, მეძავის უკანონო შვილებს მამის მემკვიდრედ ყოფნის უფლება არ ჰქონდათ.

5. მამაკაცსა და სხვის მეუღლესთან სქესობრივი კავშირის, მრუშობის[581] შედეგად შობილ ბავშვებს, იურიდიული თვალსაზრისით, არასრულყოფილნი, არასრულფასოვანნი (*adulterini*) ეწოდებოდათ.

6. სქესობრივი კავშირი პირდაპირი ხაზის ნათესავებსა და მოყვრებს შორის, სისხლაღრევითი სქესობრივი კავშირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავებს (*incestus iure gentium, incestae ac nefariae nuptiae, damnatus coitus*), ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში იკრძალებოდა.

7. ნათესაობა შემდეგი პირობების საფუძველზე განისაზღვრებოდა: ა) ბავშვები საკუთარი დედისა და მისი ნათესავების მიმართ, სისხლისმიერ ნათესავებად ითვლებოდნენ, მშობლებს შორის სქესობრივი კავშირის იურიდიული ფორმის (ანუ ქორწინების თუ ქორწინების გარეშე) მიუხედავად. განსხვავებული ვითარება იყო ბავშვებსა და მათ მამას შორის ნათესაური კავშირის დადგენისას. კერძოდ, მათ შორის ნათესაობის დასადგენად სავალდებულო პირობად ბავშვების კანონიერ ქორწინებაში დაბადება და მამის მიერ მათი აღიარება მიიჩნეოდა. ბავშვები *filii legitimi*-ს სტატუსს, მხოლოდ აღნიშნულ პირობათა დაკმაყოფილების შემთხვევაში იძენდნენ. ასე რომ, ქორწინების გარეშე შობილ ბავშვებს, იურიდიული თვალსაზრისით, მამა და მამის მხრიდან ნათესაობა, არ ჰყავდათ. თუმცა რომის სამართლით კონკუბინატის შედეგად შობილ ბავშვებს (*liberi naturales*) მამის მიმართ *alimenta* და კანონისმიერი საგანგებო მემკვიდრეობის უფლება ენიჭებოდათ.

რომის სამართლის თანახმად, ნათესაობის რამდენიმე სახეს გა-

---

[580] stuprum – თავისუფალ, გასათხოვარ ქალთან მრუშობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 303.

[581] adulterium – გათხოვილ, ოჯახის დედასთან მრუშობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 25.

ნასხვავებდნენ: 1. პირდაპირი,[582] აღმავალი[583] და დაღმავალი[584] ხაზის ნათესაობას, ანუ ნათესაობა იმ პირთა შორის, რომელთაგანაც ერთნი წარმოიშობოდნენ მეორეთაგან. ნათესაობის აღმნიშვნელი ხაზისაგან განასხვავებდნენ 2. გვერდითი ხაზის ნათესაობას,[585] ანუ ნათესაურ კავშირს საერთო მესამე პირისაგან ჩამომავალთა შორის. გვერდითი ხაზის ნათესავებს ორ ჯგუფად ყოფდნენ: ა) სრულყოფილ (ღვიძლი და-ძმა – *germani consangvinei*) და ბ) არასრულყოფილ (ნახევარი და-ძმა, რომელთაგანაც მამით ერთნი *consangvinei*-ებად, ხოლო დედით ერთნი *uterini*-ებად იწოდებოდნენ) ნათესავებად. 3. რთული და მარტივი ნათესაობა. რთულ ნათესავებად ის პირები მიიჩნეოდნენ, რომლებიც ორი ძმის ორ დაზე ქორწინების შედეგად იყვნენ შობილნი.

ახლა განვიხილოთ არა ბუნებრივი, არამედ წმინდა იურიდიული ნათესაობა, ანუ ნათესაობის მეორე დიდი საფუძველი.

წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, ნათესაობად მიიჩნეოდა იმ პირთა ერთობა (*adgnatio*), რომელნიც საერთო მამის – *paterfamilias*, ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ. ასეთი ნათესაობა ერთიან ცივილურ ოჯახს ეფუძნებოდა. *Paterfamilias*-ს მის ხელისუფლებაში მყოფ პირებთან ერთად (*persona alieni iuris*) ოჯახს ჰქმნიდა, ვიწრო გაგებით, (*familia proprio iure*), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (*posthumi*) ოჯახის წევრები, მოგვიანებით შობილ პირებთან ერთად, წარმოადგენდნენ ოჯახს, ამ სიტყვის ფართო გაგებით (*familia communi iure, familia agnatorum*). აგნატური ნათესაობა შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო კოგნატურ ნათესაობასთან (კანონიერ ქორწინებაში შობილი და ლეგიტიმური შვილი).[586] თუმცა, ზოგჯერ,

---

[582] recta – პირდაპირი ნათესაობა. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 204.

[583] linea superior/ascendens – აღმავალი ხაზის ნათესაობა. იქვე; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 98.

[584] linea inferior/descendes – დაღმავალი ხაზის ნათესაობა. იქვე; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 98-99.

[585] linea transversa – გვერდითი ხაზის ნათესაობა. იქვე; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 99.

[586] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 99.

ასეთი კავშირის არსებობა არ შეინიშნებოდა (მაგალითად, *agnatio*-დ მიიჩნეოდა შვილად აყვანა მშვილებესა (*arrogator*) და შვილად აყვანილს (*arrogatus*) შორის; ასევე, *cognatio – paterfamilias* და მის ემანციპირებულ ვაჟიშვილს შორის). აღნიშნული მაგალითი ეჭქვეშ აყენებს პროფ. ბარონის განმარტებას: *sunt agnati, qui per virilis sexus personas cognatione iuncti sunt, quasi a parte cognati.*[587] ნათესაობის ორივე სახეს თანაბარი იურიდიული მნიშვნელობა მხოლოდ იუსტინიანეს კანონმდებლობით მიენიჭა, რის შედეგადაც, თანაბარი სამემკვიდრეო უფლებები და მეურვედ ყოფნის მოვალეობა დადგინდა. უძველეს *ius civile*-თი მარტივ *cognatio*-ს არავითარი იურიდიული შედეგი არ მოჰყვებოდა. გვიანდელი რესპუბლიკის პერიოდიდან *cognatio* ნათესაობას სამართლებრივი შედეგების დადგომის უფლება მიეცა, ხოლო აღნიშნული ნათესაური სამართლებრივი აღიარება უშუალოდ აისახა პრეტორულ ედიქტებში, იმპერატორის კანონებსა და განსაკუთრებით, იუსტინიანეს კანონმდებლობაში. *Cognati* ნათესავები იგივე უფლებებს იძენდნენ, რაც, *ius civile*-თი აგნატ ნათესავებს ჰქონდათ. აქედან შემდეგ იურიდიულ დებულებას მიეცა დასაბამი: თუ აგნატია, მაშინ კოგნატიცაა – *qui est agnatus, et cognatus est.*[588]

ე) საქალაქო თემისადმი (civitas) კუთვნილება და საცხოვრებელი ადგილი (domicilium)

აპენინის ნახევარკუნძულის ტერიტორია განსაზღვრული რაოდენობის საქალაქო თემებად[589] იყოფოდა. ქალაქი და მის გარშემო მდებარე სასოფლო დასახლებები პოლიტიკურ კავშირს ქმნიდა. კლასიკური პერიოდის იურისტები რომის იმპერიაში შემავალ პროვინციებსაც იმავე პრინციპით განიხილავდნენ. ამრიგად, ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ხალხი, ჩვეულებრივ, რომელიმე საქალაქო თემის წევრიც იყო.

1. საქალაქო თემისადმი კუთვნილება ეფუძნებოდ: ა) საქალაქო თემის მოქალაქეობის უფლებას (*origos, domus* – სამშობლო). აღნიშნული უფლება შეიძინებოდა: მოქალაქესთან კანონ-

[587] იქვე.
[588] იქვე, 100.
[589] civitates respublicae – საქალაქო თემები.

იერ ქორწინებაში მყოფი პირის მიერ ბავშვის გაჩენით ან მოქალაქის მიერ ბავშვის გაჩენით (*origo, nativitas*), საქალაქო თემის წევრის მიერ პირის შვილებით (*adoptio*), პირის საქალაქო თემის წევრად მიღებით (*allectio*) და მონის გააზატებით (*manumissio*);[590] ბ) საცხოვრებელ ადგილს[591] პირი რაიმე საქმიანობის განსახორციელებლად და სხვა პირებთან ურთიერთობების დასამყარებლად ირჩევდა. თუმცა შერჩეულ ადგილზე მუდმივად ყოფნა სავალდებულო არ იყო. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ქალაქისადმი კუთვნილებას *incolae*[592] ეწოდებოდა, ხოლო საცხოვრებელი ადგილის საკუთარი ნებით შერჩევას *domicilium voluntarium.*[593] თუ საცხოვრებელი ადგილის არჩევას სამართლის ნორმა ადგენდა, მას *domicilium necesarium* ეწოდებოდა. ჯარისკაცების, მოხელეების, ცოლების, მამის ხელისუფლებაში მყოფი შვილების საცხოვრებელი ადგილის შეცვლა პირის თავისუფალ ნებაზე ან სამართლებრივ ნორმაზე იყო დამოკიდებული[594]. კანონით დაშვებული იყო რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის ქონა ან, საერთოდ, მისი უქონლობა. ასეთი ცხოვრების წესი მოხეტიალე ადამიანებისათვის იყო დამახასიათებელი.

2. განსაზღვრული საქალაქო თემისადმი კუთვნილება ადგენდა:[595] ა) საქალაქო ვალდებულების შესრულების მოვალეობას (*munera*); ბ) საქალაქო ხელისფულების მოთხოვნებისადმი (სასამართლო ქვემდებარეობის პრინციპის დაცვა) და გ) კონკრეტულ ქალაქში მოქმედი სამართლისადმი პირის მორჩილებას (*lex originis, lex domicilii*).

---

[590] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 100.

[591] domicilium – საცხოვრებელი ადგილი. იქვე, 101.

[592] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 150.

[593] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 101.

[594] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 101.

[595] იქვე

ვ) Adfinitas (მოყვრობა)

ძველ რომში ცნობილ, ნათესაურ კავშირს, რომელიც არსებობდა მეუღლეების ნათესავთა შორის, მოყვრობა[596] ეწოდებოდა. ამ კავშირის არსებობა იმ თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი, რომ ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნეოდა, რადგან კრძალავდა *incestum*-ს, აგრეთვე, გარკვეულწილად, ხელს უშლიდა ზოგიერთი სარჩელის პროცესუალურ დასაბუთებას. მეუღლე მეორე მეუღლის ნათესავთა მოყვრად იმავე ხარისხში ითვლებოდა, რა ხარისხის ნათესაური კავშირიც არსებობდა მათ შორის. კერძოდ, სიძე იყო სიმამრისათვის პირდაპირი ხაზის პირველი ხარისხის მოყვარე, რადგან ასეთივე ხარისხის ნათესაური კავშირი არსებობდა მის ცოლსა და სიმამრს შორის.

VII. Colonus (კოლონი)

Colonus – კოლონი; servi terrae – „მიწის მონა"; coloni adscripticii – საგადასახადო რეესტრში შეტანილი კოლონები; dominus fundi – მიწის ნაკვეთის ბატონი.

III საუკუნეში, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების პირობებში, დამოკიდებული მოსახლეობის განსაკუთრებული კატეგორია – მიწაზე მიმაგრებული გლეხობა (*coloni*)[597] წარმოიშვა. თავდაპირველად, მიწაზე მიმაგრების პროცესი მხოლოდ იმპერატორის მიწაზე მონების, გააზატებულებისა და მოიჯარეთა (*coloni*) შრომის გამოყენებას ითვალისწინებდა. ამით მათ საკუთარი ნებით სამე წასვლა ეკრძალებოდათ. კოლონატის ინსტიტუტის იურიდიული გაფორმება IV საუკუნის ბოლოს დასრულდა. აღნიშნული

[596] adfinitas – მოყვრობა. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 204-205.

[597] colonus – ფაქტიურად, ნახევრადთავისუფალი მიწათმოქმედნი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ სახელმწიფოს მინებსა და მსხვილ ლატიფუნდიებში. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 74-75; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 283-284; Морев М.П., Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 155-171.

ინსტიტუტის ფარგლებში მოხდა, პროფესიულ კავშირებსა[598] და ადგილობრივ საბჭოებში,[599] მემკვიდრეობითი წევრობის ზოგადი პრინციპის დამკვიდრება და ასეთ გაერთიანებათა კუთვნილი ქონების აღწერა ფუნქციის მიხედვით. ამავე დროს, იმპერატორების თეოდოსიუს I-ის, არკადიუსისა და ჰონორიუსის კონსტიტუციამ *coloni*-ს სტატუსი მიწის მონად განსაზღვრა: *„Licet conditione videantur ingenui, servi tamen terrae ipsius cui nati sunt aestimentur"* – მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავისუფლადშობილნი არიან, ისინი იმ მიწის მონებად განიხილებიან, სადაც დაიბადნენ[600]. კოლონის ქონებას *peculium*-ი ეწოდებოდა, რომლის გასხვისება, მემამულის თანხმობის გარეშე, დაუშვებელი იყო. იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში კოლონებს, საგადასახადო რეესტრში, მიწასთან ერთად აღნუსხავდნენ. V საუკუნის II ნახევარში გამწვავებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში, კოლონების ამ კატეგორიის მდგომარეობა, პრაქტიკულად, მონობისაგან არ განსხვავდებოდა. კოლონს მამულის მესაკუთრის თანხმობის გარეშე მიწის ნაკვეთის მიტოვება, მესაკუთრეს კი ამ მიწებიდან კოლონების განდევნა ეკრძალებოდათ. მესაკუთრეს მხოლოდ კოლონების ერთი მამულიდან მეორეში გადაყვანის უფლება ჰქონდა. სტატუსის შეზღუდვა ადმინისტრაციული მიზნით იყო განპირობებული: სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით, კოლონსა და მამულის მესაკუთრეს შორის ურთიერთობები ქირავნობის ხელშეკრულებით[601] ან საიჯარო ხელშეკრულებით[602] წესრიგდებოდა. თუ მათ შორის დადებული ხელშეკრულების პირობები საგადასახადო რეესტრში იყო გატარებული, ამ ურთიერთობების თვითნებური, ან თუნდაც, ურთიერთშეთანხმებითი მოშლა, მხარეებს არ შეეძლოთ. მესაკუთრის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევა სასამართლო წესით ისჯებოდა, ვინაიდან სასამართლო პროცესზე კოლონი დამოუკიდებელ მხარედ გამოდიოდა.

---

[598] collegia, corpora – პროფესიული კავშირები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 76-77.

[599] curia – ადგილობრივი საბჭო. იქვე, 96.

[600] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 283.

[601] locatio conductio operarum – ქირავნობის ხელშეკრულება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 207-208.

[602] locatio conductio rei – საიჯარო ხელშეკრულება. იქვე.

კოლონის მდგომარეობა მემკვიდრეობითი იყო. ა) კოლონატის წარმოშობის საფუძვლები იყო: 1. თუ ერთ-ერთი მშობელი კოლონი იყო, ბავშვი დედის მდგომარეობას იღებდა; 2. თუ პირი 30 წლის განმავლობაში კოლონი იყო, ხანდაზმულობის ვადის ძალით, იგი მიწაზე მიმარგებას ექვემდებარებოდა. ბ) კოლონატის შეწყვეტის პირობები იყო: 1. მემამულეს კოლონისადმი საკუთარ უფლებაზე უარის თქმა, მხოლოდ მიწაზე უარით (*peculium*-ის გადაცემასთან ერთად მონის გააზატების მსგავსად) შეეძლო. ეს იყო კოლონატის ურთიერთობის შეწყვეტის მთავარი პირობა; 2. თუ კოლონი, 30 წლის განმავლობაში, თავისუფალი პირის სტატუსით ცხოვრობდა, მისი გათავისუფლება ხანდაზმულობით ხდებოდა; 3. თუ კოლონი 30 წლის განმავლობაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს წევრი – დეკურიონი იყო, კოლონატი წყდებოდა; 4. თუ მიწის მესაკუთრის თანხმობით, კოლონი ეპისკოპოსობას მიიღებდა ან მონაზონი გახდებოდა, კოლონატი წყდებოდა.

VIII. Universitates (იურიდიული პირები)

Pagus – სასოფლო თემი; sodales – თანამესუფრეთა კავშირი; collegium – პროფესიული გაერთიანება; lex collegii – გაერთიანების წესდება; actor – კოლეგიის წარმომადგენელი; arca – კოლეგიის ხაზინა; universitas – ადგილობრივი თემი; municipium – მუნიციპალიტეტი; persona certa – განსზღვრული პირი; fiscus – საიმპერატორო ხაზინა; aerarium populi Romani – რომაელი ხალხის ხაზინა; ius fisci – ფისკალური (საგადასახადო) სამართალი; beneficium – ბენეფიციუმი, საეკლესიო (სატაძრო) ქონება; piae causae – სამლოცველო.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ სუბიექტად შეიძლება არა მარტო ფიზიკური პირი იყოს, ანუ ცალკეული ადამიანი, არამედ ადამიანთა გაერთიანება, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობაში ერთვებოდა როგორც ერთიანი მთელი და ამ უკანასკნელის შემადგენელი ცალკეული სუბიექტებისაგან, თვისობრივად განსხვავდებოდა. კერძო პირთა უფლებებით აღჭურვილი, სოციალური ერთეულის სახით, რომის სამართლის სუბი-

ექტებად გამოდიოდნენ: პროფესიული და რელიგიური კავშირები (*collegia, sodalicia, societates, corpora*),[603] თვითმმართველობის მქონე ადგილობრივი სამოქალაქო თემები, სახელმწიფო ხაზინა.

კერძო ასოციაციების თავისუფლება ჯერ კიდევ XII დაფის კანონებით იყო დადგენილი, რომელიც მათ წესდებებს (*lex collegii*) შიდასავალდებულო ძალას ანიჭებდა, თუმცა, იმ პირობით, რომ ისინი კანონის მოთხოვნას არ ეწინააღმდეგებოდნენ. ამ ნორმის წყაროდ სოლონის კანონს მიიჩნევდნენ, რომლის ტექსტშიც როგორც ძველი, ისე კლასიკური ეპოქის ცნობილი კოლეგიების სახეობები იყო ჩამოთვლილი: სასოფლო თემი, მეომართა და თანამესუფრეთა გაერთიანება, რელიგიური და დამკრძალავი კავშირები, რომელთა უმრავლესობაც ღარიბ მოსახლეობაში არსებობდა, ვინაიდან გლეხებს დაკრძალვისათვის საჭირო სახსრები არ ჰქონდათ; მათ რიცხვს ასევე საწარმოო და სავაჭრო კორპორაციები მიეკუთვნებოდა.

მოგვიანებით, კანონმდებლობით კერძო გაერთიანებების თავისუფლება არაერთგზის შეიზღუდა, ვიდრე ავგუსტუსის კანონით (*lex Iulia de collegiis*), კოლეგიათა დასაშვები სახეების ჩამონათვალი არ დადგინდა. ამგვარი გაერთიანებების შექმნის შეზღუდვა საიმპერატორო კონსტიტუციებითა და სენატუსკონსულტებითაც გაგრძელდა. კორპორაციებს სასამართლოში გამოსვლის უფლება ჰქონდათ. ამ მიზნით ინიშნებოდა კორპორაციათა წარმომადგენელი, რომლის კომპეტენციას კოლეგიის გადაწყვეტილება განსაზღვრავდა. კოლეგიის პასუხისმგებლობა სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის საერთო ქონებისა და ხაზინის მოცულობით განისაზღვრებოდა.

თითქმის მსგავსი სისტემა გამოიყენებოდა ადგილობრივი თემების მიმართაც, რომლებიც, ასევე, კორპორაციის (*universitas*) საერთო ქონების სუბიექტად გამოდიოდნენ, მაგრამ მათი ქონება კორპორაციაში შემავალი ცალკეული პირის კერძო ქონებისაგან განსხვავდება.

---

[603] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 114-129; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 230-234; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 87-91; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 296-301; Морев М.П., Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 188-202.

თანასაკუთრების უფლების შესაბამისად, თემის კუთვნილი მონა თემის მოქალაქეთა მონა არ იყო. იგი მთელი თემის საერთო საკუთრებად განიხილებოდა, კერძოდ, მისთვის შეეძლოთ მოეთხოვათ ჩვენების მიცემა თემის ცალკეული მოქალაქის წინააღმდეგ.

თემის მიერ გააზატებულს, მაგისტრატის თანხმობის გარეშე, ცალკეული მოქალაქის სასამართლოში გამოძახება შეეძლო, ვინაიდან მისი პატრონი მთლიანად თემი იყო და არა თემის ცალკეული მოქალაქე. თავდაპირველად, ადგილობრივ სამოქალაქო თემს პატივს მიაგებდნენ როგორც კოლექტივს, რაც ტერმინოლოგიაშიც აისახა: *municipium* ნაცვლად მას, როგორც კერძო სამართლის სუბიექტს, ხშირად *municipes*[604] ეწოდებოდა, რაც პირის *certa persona*-ად დადგენის პროცედურას ართულებდა და თემის მემკვიდრედ[605] დანიშვნას შეუძლებელს ხდიდა.

იურიდიული პირის განსაკუთრებულ სახეობას საიმპერატორო ხაზინა წარმოადგენდა, ხოლო მოგვიანებით – მთელი სახელმწიფო ქონება. რომაელი ხალხის ქონებას პრინცეფსის საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ქონებისაგან განასხვავებდნენ; რომაელი ხალხის ქონება[606] იურიდიული პირი არ იყო და სამოქალაქო ბრუნვაში არ მონაწილეობდა. სამაგიეროდ, სხვა სუბიექტების მსგავსად, პრინცეფსს შეეძლო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ჩაბმა, გარიგების დადება, მოსარჩელედ ან მოპასუხედ გამოსვლა არა მხოლოდ როგორც პირადი საკუთრების მქონე კერძო პირს (*patrimonium principis*), არამედ როგორც რომის სახელმწიფოს წარმომადგენელ საჯარო პირსაც. არსობრივად, ხაზინა განსაკუთრებული სამართლებრივი ფორმის სახელმწიფო საკუთრება იყო და კერძო საკუთრების სპეციალური რეჟიმით წესრიგდებოდა, რითაც მთელი რომაელი ხალხის საკუთრებას ემიჯნებოდა. დომინატის დამყარებისთანავე აღნიშნული განსხვავება გაუქმდა, რადგან საერთო-სახალხო ხაზინა (*aerarium populi Romani*) საიმპერატორო ხაზინას (*fiscus*) შეერწყა.

პრინცეფსის გარდაცვალების შემდეგ, *res fiscales* რომის სახელმწიფოს სათავეში მყოფ პრინცეფსის მემკვიდრეს (მონა-

---

[604] municipes – მუნიციპალი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 220-221.

[605] heres – თემის მემკვიდრე. იქვე, 141-143.

[606] res populus Romanus – რომაელი ხალხის ქონება.

ცელეს) გადაეცემოდა, ხოლო პრინცეფსის პირადი ქონება – მის პირად მემკვიდრეებს (ოჯახის წევრებს) ეკუთვნოდა. სახაზინო ქონების მმართველად სპეციალური პირი – *procuratores* ინიშნებოდა. მოგვიანებით, ხაზინა სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად განიხილებოდა, იურიდიული პირად, რომლის თავისებურება ადმინისტრაციული ხასიათის უპირატესობად განიხილებოდა.

ხაზინის სამართლებრივი რეჟიმი სამართლის განსაკუთრებულ დარგად – *ius fisci* ჩამოყალიბდა;[607] იმ სასამართლო განხილვას, რომელშიც ხაზინა ერთ-ერთ მხარედ გამოდიოდა (*causae fiscales*), სპეციალური სასამართლო მაგისტრატი, ექსტრაორდინალური სასამართლო პროცესის წესით წარმართავდა.

313 წ. მიღებული, მილანის (მედიოლანის) ედიქტის შემდეგ, განსაკუთრებულ იურიდიულ პირად ქრისტიანული ეკლესია იქცა, რომელსაც მის მორწმუნეთაგან დამოუკიდებელ სუბიექტად განიხილავდნენ. თანდათანობით, საეკლესიო ქონება დამოუკიდებელი იურიდიული პირის ნიშნებს იძენდა, რომელიც, საბოლოოდ, შუა საუკუნეებში მოწესრიგების საგანგებო სუბიექტად (*beneficium*) ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, არსებობდა საეკლესიო ქონების განსაკუთრებული სახეობა, სამწყსოს მიერ საქველმოქმედო მიზნით შეწირული ქონება – *piae causae*, რომლის მართვა საეკლესიო ქონების მართვისაგან განსხვავდებოდა და სამოქალაქო ბრუნვაში უფლებაუნარიან და ქმედუნარიან პირად გამოდიოდა. აღნიშნული ქონება არაფრით განსხვავდებოდა, თანამედროვე კერძო სამართლით განსაზღვრული, ფონდების სამართლებრივი რეჟიმისაგან.

IX. წარმომადგენლობა

Dominus negotii – მარწმუნებელი; procurator – რწმუნებული; actiones adiecticial qualitatis – დამატებითი თვისების სარჩელები; actio de peculio – პრეტორული სარჩელი პეკულიუმის შესახებ; actio de in rem verso – ოჯახის უფროსის მიმართ შეტანილი სარჩელი, თუ ხელისუფლებაში მყოფი პირის მიერ შეძენილი ქონება paterfamilias-ის ქონებად ჩაითვალა; excercitor – ხომალდის მეპატრონე; institor

[607] D.49.14. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 259-291.

– მმართველი; actio excercitoria – მეპატრონის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი, რომელიც ხომალდის მეთაურად მყოფი მისი მონის მიერ დადებულ ხელშეკრულებას ეხება; actio institoria – მეპატრონის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი, რომელიც, მეურნეობის მოურავად მყოფი, მისი მონის მიერ დადებულ ხელშეკრულებას ეხება; actio quod iussu – კრედიტორის მიერ მებატონის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი, რომელიც საკუთარი ბატონის სახელით, მონის მიერ დადებულ ხელშეკრულებას ეხება; par condicium creditorum – კრედიტორების თანაბარი მდგომარეობა; ratihabitio – რწმუნებულის ქმედების მოწონება.

გარიგების დადება სამართლის სუბიექტს უშუალოდ ყოველთვის არ შეეძლო. ზოგჯერ მას სხვა პირის საკუთარ წარმომადგენლად[608] გამოყენება ესაჭიროებოდა. ასეთი ვითარება შემდეგ შემთხვევებში წარმოიშობოდა: 1. როცა სამართლის სუბიექტი დათქმულ ადგილზე არ იმყოფებოდა (თუმცა, საქმე სასწრაფოდ უნდა გადაწყვეტილიყო) ან 2. როცა ვითარება სტატუსის ხარვეზს – ქმედუუნარობას უკავშირებოდა და უფლებამოსილ სუბიექტს ნებელობითი ქმედებით მისი განხორციელება არ შეეძლო. პირველ შემთხვევაში, საკითხი ეხებოდა ნებაყოფლობით წარმომადგენლობას, ხოლო მეორე შემთხვევაში – აუცილებელ ან კანონერ წარმომადგენლობას. კერძოდ, ჭკუასუსტი მზრუნველობას იძულებითი წესით, ხოლო მცირენლოვანი ბავშვი და ქალი – მეურვეობას ექვემდებარებოდნენ.

წარმომადგენლობის ცნებაში იგულისხმებოდა: მარწმუნებლის სახელითა და მის სასარგებლოდ, რწმუნებულის მიერ დადებული გარიგების შედეგი უშუალოდ მარწმუნებელს ეხებოდა. ამ გარიგებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები არა რწმუნებულს, არამედ მარწმუნებლს ეკუთვნოდა. აღნიშნული ინსტიტუტი რომის სამართლისათვის უცხო იყო. პირდაპირი წარმომადგენლობისაგან განსხვავებით, ბრუნვის (ობიექტურად არსებული) მოთხოვნის დაკმაყოფილება მოადგილეობის მეშვეობით შეიძლებოდა. მოადგილე საქმეს საკუთარი სახელით აწარმოებდა, გარიგების დადებით უფლებებს და მოვალეობებს იძენდა, თუმცა, იმავდროულად, მათი

[608] procurator – წარმომადგენელი, რწმუნებული. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 261; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 301.

სხვა პირისათვის გადაცემა ევალებოდა. ასეთ შემთხვევაში, საქმე ირიბ წარმომადგენლობას (ან მოადგილეობას) ეხებოდა, რომელიც წარმომადგენლობა არც იყო, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. რომის სამართალში მოადგილისა და მარწმუნებლის ურთიერთობას დავალების ხელშეკრულება[609] ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოება[610] შეიძლება ეწოდოს. რომის სამართლით ასეთი ურთიერთობები, როცა ერთი პირის მიერ დადებული გარიგება შედეგს მეორე პირის სასარგებლოდ იძლეოდა, წარმომადგენლობის ინსტიტუტს საეთოდ არ უკავშირდებოდა. წარმომადგენლობად, ასევე, ვერ იქნება მიჩნეული ოჯახის უფროსისა და დაქვემდებარებული პირების (*in potestate*) ურთერთობები, ვინაიდან ამ უკანასკნელთა მიერ შეძენილი უფლებები და მოვალეობები უშუალოდ მათი ოჯახის უფროსს ეხებოდა მაშინაც კი, როცა ხელისუფლებაში მყოფნი საკუთარი სახელით ან ოჯახის უფროსის ნებართვის გარეშე მოქმედებდნენ.

პეკულიუმი[611] იყო მებატონის მიერ მონისათვის ან ოჯახის უფროსის მიერ მის ხელისუფლებაში მყოფი პირისათვის გამოყოფილი ქონება, რომლის ფარგლებშიც, ხელისუფლებაში მყოფ პირს საკუთარი სახელით გარიგებების დადების უფლება ჰქონდა. პეკულიუმის შესახებ მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიზანი ქონების ამ სახეობის რაობის ფორმალური განსაზღვრა იყო. ოჯახის ბიუჯეტი ოჯახის უფროსს უნდა გაეყო და ამის შესახებ მესამე პირებისათვის ეცნობებინა. პეკულიუმის დადგენა ჭკუასუსტსა და მცირეწლოვანს არ შეეძლოთ, ვინაიდან პეკულიუმის გამოყოფა განიხილებოდა ისეთ იურიდიულ აქტად, რომელსაც რეალური შედეგი მოჰყვებოდა. პეკულიუმის დადგენისას სავალდებულო იყო ნივთების მატერიალურად გადაცემა (*traditio*) ან, თუნდაც, გადაცემის ცერემონიის იმიტირება. პეკულიუმის ოდენობის გაანგარიშებისას, ოჯახის უფროსის მიმართ ხელისუფლებაში მყოფ პირთა ვალები მიიღებოდა მხედველობაში.

ულპიანეს თანახმად, „*Peculium autem Tubero quidem sic definit, ut*

[609] mandatum – დავალების ხელშეკრულება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 212.

[610] negotiorum gestio – დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოება. იქვე, 223-224.

[611] peculium – პეკულიუმი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 241-242.

Celsus libro sexto digestorum refert, quod servus domini permissu separatim a rationibus dominicis habet, deducto inde si quid domino debetur" – პეკულიუმს ტუბერონი ისევე განმარტავს, როგორც ცელსუსი დიგესტების VI წიგნში: პეკულიუმი არის ის, რასაც მონა, ბატონის ნებართვით ფლობს, მებატონის შემოსავლების გარდა და იმ ვალის გამოკლებით, რაც მონას მებატონისაგან მართებს".[612]

რესპუბლიკის პერიოდის ბოლოს პეკულიუმის აღნიშნული ცნება განხილვის საგნად იქცა. ცნობილია, რომ სერვიუსი პეკულიუმის ამ ცნებას შემდეგს უმატებდა: მონის ვალი, მონის ბატონის ხელისუფლებაში მყოფთა მიმართ, თვით მონის ბატონის მიმართ ვალს უტოლდება და ასევე, პეკულიუმის მოცულობის განსაზღვრისას გამოკლებული უნდა იქნეს.

პრინციპატის ეპოქაში, გარიგების დადებისას, ოჯახის ვაჟიშვილი პასუხისმგებელი პირადად ხდებოდა. თუმცა, ვალის გადახდაზე უარის შემთხვევაში, კრედიტორებს ვალის ასანაზღაურებლად იმ ქონების მოთხოვნის უფლება არ ჰქონდათ, რომელსაც *ius civile*-თი *alieni iuris* პირი არ ფლობდა.

მოვალის მიერ ვალის ინდივიდუალურად გადახდის შესაძლებლობა ოჯახის უფროსის უკმაყოფილებას იწვევდა, რადგან იგი უფლებამოსილი იყო მის ხელისუფლებაში მყოფი პირის ვალი თავად გადაეხადა და იგი კვლავ თავის ხელისუფლებაში დაეტოვებინა.

აღნიშნულის მიღწევა ჯერ კიდევ წინაკლასიკურ ეპოქაში, პეკულიუმის შესახებ პრეტორული სარჩელით იყო შესაძლებელი. ამ სარჩელის ფორმულის საფუძველზე (*in factum concepta formula*), ხელისუფლებაში მყოფი პირის (თავისუფალის ან მონის) მიერ დადებულ გარიგებებზე, პეკულიუმის მოცულობის გათვალისწინებით, პასუხს ოჯახის უფროსი აგებდა; პასუხისმგებლობას თან ახლდა ოჯახის უფროსის წინააღმდეგ სარჩელი – *actio iudicati de peculio*, იმ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე, რომელიც გამოტანილი იყო მისი ხელისუფლებაში მყოფი პირის წინააღმდეგ. ეს იყო პასიური უფლებამოსილება. თუ სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირი, ბატონის თანხმობის გარეშე, რაიმე ქონებას შეიძენდა, აღნიშნული შენაძენი იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა პეკულიუმად, თუ ამას ოჯახის უფროსი მოიწონებდა. თუ შეძენი-

[612] Ulp., 29 ad ed., D.15.1.5.4. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2003, 309.

ლი ქონება ამ უკანასკნელის საკუთრება ხდებოდა, სარჩელით *actio de in rem verso*, შენაძენზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. ანალოგიურ შემთხვევად განიხილებოდა თუ სხვის ხელისუფლებაში (*in poteste*) მყოფი პირი ხომალდის მეთაური ან მისი მეპატრონე ხდებოდა; ასევე, თუ მას საწარმოს მოურავობა-მმართველობა ევალება. გარიგებების საფუძველზე მიღებული სარგებელი ოჯახის უფროსის ანგარიშზე ირიცხება. ამგვარი გარიგების თანახმად, კრედიტორებს, სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირების მიმართ, უფლება ჰქონდათ ოჯახის უფროსის წინააღმდეგ მთელი ვალის ფარგლებში სარჩელი – *ac.'o excercitoria* და *actio institoria*, შეეტანათ. ასეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება *paterfamilias*-ს, თუ *in potestas* პირი მისი ბრძანებით მოქმედებდა; ასეთ შემთხვევაში, იგი პასუხს *actio quod iussu*-თუ აგებდა. თუმცა ამ ურთიერთობის არსი პირდაპირი წარმომადგენლობის ცნებისაგან პრინციპულად განსხვავდება: როცა სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირი ოჯახის უფროსის სახელით არ მოქმედებდა, მაშინ შეძენა მათ შორის არსებულ დაქვემდებარებით ურთიერთობებს შეესაბამებოდა; ოჯახის უფროსის პასუხისმგებლობა კი პრეტორის ჩარევის შემდეგ დგებოდა.

პეკულიუმის შემთხვევაში, სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირი გარიგებას ოჯახის უფროსის ხარჯზე არ დებდა, რაც წარმომადგენლობის იდეას გამორიცხავდა. დაბოლოს, პეკულიუმით ოჯახის უფროსის პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება იმ ვალის გამოკლებით, რომელიც, მის ხელისუფლებაში მყოფს, *paterfamilias*-გან ემართა; აქედან გამომდინარე, ოჯახის უფროსი, *in potestas* პირის პეკულიუმის მიმართ, პრივილეგირებულ კრედიტორად ხდებოდა. დანარჩენი კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილება პრეტენზიის წაყენების რიგითობის გათვალისწინებით, ანუ *prior tempore, potior iure*[613] ხდებოდა. გამონაკლისი ის შემთხვევა იყო, როცა სავაჭრო საქმიანობის განსახორციელებლად, ოჯახის უფროსი პეკულიუმს უშუალოდ ითვალისწინებდა. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორები *actio tributoria*-ს უფლებას იძენდნენ, რომლის მეშვეობით, *paterfamilias*-ს ვალის გადახდას, საკუთარი მოთხოვნების პროპორციულად, თანაბარ პირობებში – *par condicium creditorum*, აიძულებენ.

[613] prior tempore, potior iure – ვინც უფრო ადრე; ვისაც მეტი უფლება აქვს. Патинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, ЮРист, 1996, 318.

თავი VI. ძველი რომის საოჯახო სამართალი

I. Familia et gentilitas (ოჯახი და ნათესაობა)

Familia – ოჯახი; paterfamilias – ოჯახი მამა, ოჯახის უფროსი; adgnatio – ოჯახის უფროსის ხელისუფლებაში მყოფი ნათესავი; adgnatus proximus – უახლოესი აგნატი ნათესავი; patria potestas – მამის ხელისუფლება; cognatio – სისხლით ნათესაობა.

თანამედროვე გაგებით, ოჯახი ისეთი სოციალური ინსტიტუტია, რომლითაც ქალსა და მამაკაცს შორის საქორწინო კავშირი, მშობლებსა და შვილებს შორის სისხლით ნათესაობა, მათი ურთიერთსანაცვლო უფლებები და მოვალეობები იგულისხმება. ამრიგად, ოჯახი ნათესაური კავშირით ან ქორწინებით დაკავშირებულ პირთა ერთობლიობაა.

რომის სამართალში ქორწინების ორი ოფიციალური დეფინიცია იყო: 1. „ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ღვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა"[614] და 2. „ხოლო ქორწინება (*nuptiae*) ანუ ცოლქმრობა (*matrimonium*) არის მამაკაცის და ქალის კავშირი, რომლის არსი ერთობლივ ცხოვრებაში მდგომარეობს"[615].

მ. ბარტოშეკი ნაშრომში „რომის სამართალი" ოჯახის საკმაოდ ვრცელ განმარტებასა იძლევა. მისი თქმით, ოჯახი მთელი საოჯახო ქონებისა და ოჯახის წევრების ერთობლიობაა. რომაული ოჯახის მეურნეობის ძირითადი ქონება თავდაპირველად, ოჯახის ყველა თავისუფალ წევრს თანაბრად ეკუთვნოდა, მოგვიანებით – მხოლოდ ოჯახის უფროსს, მამასახლისს. რომაულ ოჯახს ყველა ის პირი და მთელი ის ქონება წარმოადგენდა, რომელიც რომის საოჯახო მეურნეობას ქმნიდა. ოჯახში იმ მონათა ერთობლიობაც

---

[614] D.23.2.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძე, თბილისი, 2001, 10-11.

[615] Inst. Iust.1.9.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძე, თბილისი, 2002, 23-24.

შედიოდა, რომელიც ოჯახის უფროსს ეკუთვნოდა და საოჯახო-სამეურნეო საქმიანობას ასრულებდა.[616]

რომაული სამოქალაქო სამართლით აგნატური ოჯახი ეს იყო საოჯახო თემი, რომლის განმსაზღვრელი და ერთიანობის განმაპირობებელი გახლდათ ნათესაობა მამის მხრიდან, ხოლო ფორმალური საფუძველი – ხელოვნურად შექმნილი იურიდიული ურთიერთობა, რომლის გაუქმებაც მარტივად იყო შესაძლებელი. ხალხთა ანუ *ius gentium*-ით ოჯახი განსხვავებულად განიმარტებოდა. კერძოდ, ოჯახი კოგნატური კავშირი, ანუ ნათესაობა იყო, რომელიც სისხლისმიერ კავშირს ეფუძნება. ოჯახის საფუძველი იყო ბუნებრივი და არა იურიდიული ურთიერთობა.

ძველი რომაული ცივილური სამართალი მხოლოდ აგნატურ ნათესაობას ითვალისწინებდა. მოგვიანებით, იმპერატორის კანონმდებლობიდან გამომდინარე, კოგნატური ნათესაობა პრეტორმაც აღიარა და საბოლოოდ ურთიერთობის კოგნატური პრინციპი დამკვიდრდა.

ამრიგად, რომის საოჯახო სამართალი შემდეგი სახის ნათესაურ კავშირებს აღიარებდა: 1. აგნატურ ნათესაობას – ოჯახის ყველა წევრი (ცოლი, შვილები, შვილიშვილები, რძლები და ა.შ.) ოჯახის მამრობითი სქესის უფროსის ხელისუფლებაში იყო; 2. კოგნატური, ანუ სისხლით ნათესაობა – გარდა ზემოჩამოთვლილი პირებისა, ოჯახის წინაპრებთან ნათესაური კავშირით ყველაზე ახლოს მდგომი მამრობითი სქესის აგნატი ნათესავიც მოიაზრებოდა.

ნათესაობის ორი – კანონისმიერი და ბუნებრივი სახის ურთიერთშეთანხმება საგანგებო სქემას ეფუძნებოდა.

ამრიგად, რომაული ოჯახი პატრიარქალური იყო, ანუ მის სათავეში თითქმის შეუზღუდავი უფლებით აღჭურვილი ოჯახის უფროსი იდგა, ხოლო რომაული ქორწინება – პატრილოკალური, ანუ ცოლი ქმრის ან მისი ოჯახის უფროსის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა.

---

[616] Бартошек М., Римское право. Понятия, термины, определения, Москва, 1989, 129-130.

II. Sponsalia et nuptiae (ნიშნობა და ქორწინება)

Ius conubii – ქორწინების უფლება; persona sui iuris – თვითხელისუფალი პირი; persona alieni iuris – სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირი; matrimonium cum manu mariti – ქორწინება ქმრის ხელისუფლებით; matrimonium sine manu mariti – ქორწინება ქმრის ხელისუფლების გარეშე; confarreatio – ქორწინების საზეიმო რიტუალი; sponsalia – ნიშნობა; nuptiae – ქორწინება; deductio domum – ქალის „სახლში შეყვანა"; matrona – გათხოვილი ქალბატონი; uxor – მეუღლე, ცოლი; struptum – სქესობრივი კავშირი თავისუფალ მამაკაცსა და გაუთხოვარ ქალს შორის.

ოჯახის ინსტიტუტს რომაელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. საოჯახო ურთიერთობებს რომაელი იურისტები კანონმდებლობით აწესრიგებდნენ, რითაც რომაელი მოქალაქეების ნახალისებას ცდილობდნენ და მათ ერთგვარად ოჯახის შესაქმნელად განაწყობდნენ.

რომის სამართალში განასხვავებენ სამი სახის საოჯახო ხელისუფლებას, რომელთაც სამი სახის ქონებრივი ურთიერთობა შეესაბამება. ესენია: 1. მეუღლეთა ურთიერთობა (საოჯახო-ქონებრივი ურთიერთობების სამართალი), 2. მამისა და შვილების ურთიერთობა (მამის ქონებრივი ურთიერთობების სამართალი) და 3. მეურვისა და სამეურვეო პირის ურთიერთობა (სამეურვეო ურთიერთობების სამართალი). შესაბამისად, საოჯახო სამართალი სამ ნაწილად იყოფა: 1. საქორწინო სამართალი, 2. მამის ხელისუფლების სამართალი და 3. სამეურვეო სამართალი.

რომაელებმა ქორწინებასა და ბავშვების რაოდენობას იგივე პრეროგატივები მიანიჭეს, რაც მოხუცებულებს ეკუთვნოდათ; დაქორწინებულებს, რომლებსაც ყველაზე მეტი შვილი ჰყავდათ, პატივთა მიღებისას და ამ პატივთა გამოყენებისასაც უპირატესობა ეძლეოდათ; კონსული, რომელსაც მეტი შვილი ჰყავდა, საპატიო ნიშნებს პირველი ღებულობდა, შეეძლო პროვინციის არჩევა; სენატორი, რომელსაც ყველაზე მეტი შვილი ჰყავდა, სენატორთა სიაში პირველი იწერებოდა, სენატში თავის აზრს პირველი გამოთქვამდა; დეკურიონს, რომელსაც ყველაზე მეტი შვილი ჰყავდა, პრივილეგიის თანახმად, უფლება ეძლეოდა საკუთარი აზრი

პირველს გამოეთქვა; ქალი, რომელიც ოთხ ან მეტ შვილს გააჩენდა, დაქვრივების შემთხვევაში მეურვეობისაგან თავისუფლდებოდა. ამასთან, იძულებითი ღონისძიებებიც არსებობდა; მაგალითად, ქრ. შობამდე 18 წელს მიღებული კანონის *lex Iuliaea et Papia Poppaea*-ს თანახმად, „რომაელები ვალდებულნი არიან 25-დან 60 წლამდე ქორწინებაში ცხოვრობდნენ [ქალები 20-დან 50 წლამდე] და იყოლიონ არანაკლებ 3 შვილი [გააზატებულებმა 4 შვილი]; ქვრივები და განქორწილებულები ხელმეორედ უნდა დაქორწინდნენ: ქვრივები 2 წლის, ხოლო განქორწინებულები – 18 თვის განმავლობაში".[617] დაუოჯახებლობის შემთხვევაში 65 წელს მიღწეულ მამაკაცსა და 50 წელს მიღწეულ ქალს კანონი სასჯელის სახით ჯარიმას აკისრებდა.

ოჯახის შესაქმნელად გარკვეული წინაპირობები იყო დადგენილი: 1. ქორწინების უფლება. დასაქორწინებელ პირებს რომაული სამართლით აღიარებული ქორწინების უფლება – ius conubii უნდა ჰქონოდათ. ამ უფლებით მხოლოდ რომაელი მოქალაქეები სარგებლობდნენ, ხოლო უცხოელებს საგანგებოდ ანიჭებდნენ; 2. ნათესაური (როგორც აგნატური, ისე კოგნატური) კავშირის არქონა. როგორც წესი, ქორწინება ეკრძალებოდათ: ა) ერთი ოჯახის უფროსის ხელისუფლებაში შემავალ პირებს და ბ) მეურვესა და მეურვეობაში მყოფ პირებს; 3. მექორწინეთა ასაკი. რომში ქორწინება ძალიან ადრეულ ასაკში ხდებოდა. ჩვეულებრივ, ქალიშვილებისათვის საქორწინო ასაკად მინიმუმ 12 წელი, ხოლო ვაჟებისათვის 14 წელი იყო დადგენილი.

რომაელები განასხვავებდნენ ქორწინების ორ სახეს – სრულუფლებიან და არასრულუფლებიან ქორწინებას. სრულუფლებიანი ქორწინება მხოლოდ რომაელ მოქალაქეთათვის იყო ნებადართული; აღნიშნული ტიპის ქორწინება ორი სახის იყო: 1. თუ ცოლი ქმრის ხელისუფლებაში გადადიოდა, მას „ოჯახის დედა", ქალბატონი ეწოდებოდა; 2. თუ იგი მამის ხელისუფლებაში რჩებოდა, მას „ცოლი", „მეუღლე" ეწოდებოდა.

ძველი რომაული ტრადიციის თანახმად, ქორწინება რამდენიმე სახის რიტუალის დაცვით ტარდებოდა. უძველესი პერიოდის რომში არსებობდა საზეიმო რელიგიური რიტუალი – *confarreatio*, რომელსაც ათი ქურუმი აღასრულებდა და მხოლოდ პატრიციები-

[617] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 191.

სათვის იყო ნებადართული. რიტუალის დროს საპატარძლო და საქმრო წმინდა პურს ტეხდნენ და ქურუმების მითითებებს ასრულებდნენ. რესპუბლიკის პერიოდისათვის ნიშანდობლივი იყო საპატარძლოს სიმბოლური ყიდვა,[618] რასაც ქორწინებაზე თანხმობა წინ უსწრებდა ან მოსდევდა. სხვა შემთხვევებში საქორწინო რიტუალების დაცვა, გარდა ქალის „სახლში შეყვანისა", სავალდებულო არ იყო.

ტრადიციულად, ქორწინებამდე იმართებოდა ნიშნობა.[619] ფლორენტინუსის თანახმად, „*Sponsalia sunt mentio et repromissio nuptiarum futurarum* – ნიშნობა არის მომავალი ქორწინების დათქმა (ხსენება) და ორმხრივი დაპირება".[620]

თავდაპირველად, ნიშნობა თითოეული დასაქორწინებელი პირის ოჯახის უფროსების შეთანხმებით ხდებოდა. მოგვიანებით კი თავად მექორწინეთა თანხმობით – „არ შეიძლება ქორწინება, თუ არ არის თანხმობა ყველა [მხარისა], ე.ი. იმ პირებისა, რომლებიც ქორწინდებიან და ასევე იმ პირებისა, რომელთა ხელისუფლების ქვეშ ისინი იმყოფებიან".[621]

კანონმდებლობა ერთ გამონაკლისს უშვებდა, როცა ქალიშვილს შეეძლო არ დამორჩილებოდა მამის გადაწყვეტილებას. კერძოდ: „მაგრამ მამის შეწინააღმდეგების უფლება ქალიშვილს მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც მამა მას უღირსი ზნის ან სახელგატეხილ საქმროს აურჩევს".[622]

ნიშნობის დროს საქმროს მხარე საპატარძლოს მშობლებს ნიშნობის ბეჭედს[623] და სხვადასხვა სახის მოძრავ ნივთს გადასცემდა.

---

[618] coemptio – საპატარძლოს სიმბოლური ყიდვა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 72.

[619] sponsalia – ნიშნობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 300.

[620] D.23.1.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძე, თბილისი, 2001, 7.

[621] D.23.2.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2001, 11.

[622] D.23.1.12.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2001, 9.

[623] პატრიციებისთვის – ოქროს, სხვა სოციალური ფენისთვის – შედარებით

რომაელები ქორწინების თარიღს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ და ერიდებოდნენ წარუმეტებლად მიჩნეულ დღეს დაქორწინებას.[624] რადგან ზოგი დღე თუ თვე (მაგალითად, მაისი, ივნისის პირველი ნახევარი) უბედურების მომტანად მიაჩნდათ.[625] ქორწინების დღეს აუსპიცია[626] ტარდებოდა. ქორწილის დღეს პატარძალი ქალიშვილობის პერიოდის ტოგას იხდიდა და მას ბედნიერების ქალ-ღმერთს სწირავდა. შემდეგ პატარძალს თეთრი ფერის გრძელ ტუნიკას აცმევდნენ, წელზე სარტყელს უკეთებდნენ და თავზე მკვეთრი წითელი ფერის თავსაბურავს აფარებდნენ. საქმროს მოსვლის შემდეგ სტუმრების თანდასწრებით საქორწინო რიტუალი ტარდებოდა: საოჯახო კერიაზე მსხვერპლს სწირავდნენ, რის შემდეგაც ლხინი იწყებოდა. იმავე დღეს პატარძალი ქმრის სახლში შედიოდა.

რომის სამართლის თანახმად, ქორწინების ორი ტიპი არსებობდა: 1. ქმრის ხელით (*cum manu mariti*) და 2. ქმრის ხელის გარეშე (*sine manu mariti*). თავდაპირველად, იყო ქმრის ხელით ქორწინება, რომლის თანახმადაც, ქალი გათხოვების შემდეგ მშობლების ოჯახთან იურიდიულ კავშირს კარგავდა და ქმრის ხელისუფლებაში გადადიოდა. თუკი, ქმარი არავის ხელისუფლებაში მყოფი, თავისუფალი პირი იყო, მაშინ ცოლი, შვილების მსგავსად, ქმრის დაქვემდებარებაში ექცეოდა. ამ ტიპის ქორწინებისას ქმრის ხელისუფლება ცოლზე, ფაქტობრივად, განუსაზღვრელი იყო: ქმარს ცოლის მონად გაყიდვა, მისი მოკვლაც შეეძლო. ქონებრივი ურთიერთობების თვალსაზრისით, ცოლს, მონებისა და შვილების მსგავსად, არავითარი უფლება გააჩნდა. ყველაფერი, რაც ქორწინებამდე ცოლს (თუ იგი თავისუფალი პირი იყო) ეკუთვნოდა, ქმრის საკუთრება ხდებოდა. ქორწინების პერიოდში ცოლის საჩუქარი (მაგალითად, მამისაგან მიღებული საჩუქარი) ქმრის საკუთრებაში გადადიოდა. თუ ქმარი სხვას დაქვემდებარებული პირი იყო, მაშინ ცოლი, ქმართან ერთად ქმრის ოჯახის უფროსს ექვემდებარებოდა.

ცოლის ასეთ უუფლებო მდგომარეობას აბალანსებდა ის, რომ

დაბალი ხარისხის ლითონის ბეჭედი, ხოლო მონებისათვის – რკინის ბეჭედი იყო ნებადართული.

[624] Hersch K., The Roman Wedding, (Ritual and Meaning in Antiquity), Cambridge University Press, 2010, 44.

[625] Римские древности, Под ред. И.В. Алферова, Изд. Русич, Смоленск, 2001, 298.

[626] auspicium – ფრინველებსა და ბუნებაზე დაკვირვება, როგორც ღმერთისაგან გამოგზავნილ მინიშნებაზე.

იგი იურიდიულად ქმრის მემკვიდრე იყო.

ქმრის ხელის გარეშე ქორწინების დროს ქმრის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მზითევი ქმრის ქონებას ერწყმოდა და მის საკუთრებად მიიჩნეოდა. ცოლს საკუთრების უფლება არ გააჩნდა და არც მზითევზე ჰქონდა სამართლებრივი უფლება.

ცოლის ქონება ქმრის ან ოჯახის უფროსის საკუთრება იყო. ამიტომ ქმარს (ან ოჯახის უფროსს) ხელშეკრულების დადება და სასამართლო პროცესზე გამოსვლა ცოლისაგან დამოუკიდებლად შეეძლო. ცოლის ცხოვრება საოჯახო მეურნეობის გაძღოლით იფარგლებოდა. ცოლის პიროვნებაზე ქმრის ხელისუფლება არა სამართლით, არამედ საზოგადოებრივი აზრით იზღუდებოდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რომაელი მოქალაქეების ცოლები რეალურად დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ.

ქალს ცოლქმრული ერთგულების დაცვა მკაცრად მოეთხოვებოდა. ცოლის ღალატი ქმარს განქორწინების მოთხოვნის საფუძველსა და მის სასარგებლოდ მზითევის დატოვების უფლებას აძლევდა. ამ შემთხვევაში ღალატი (ქონებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით) ცოლისათვის უფრო მძიმე იყო, ვიდრე ქმრისათვის. ცოლის მიზეზით განქორწინების შემთხვევაში მზითევის ქალისათვის დატოვება ჯარიმის ტოლფასი იყო.

რესპუბლიკის ბოლოს ქმრის ხელისუფლებით ქორწინება ქმრის ხელისუფლების გარეშე ქორწინებით შეიცვალა, რამაც მეუღლეთა ქონებრივ უფლებებზე გავლენა მოახდინა. შესაბამისად, რომაული ოჯახის წევრთა უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა. ოჯახის უფროსის ხელისუფლებისაგან თავდაღწეული ცოლი იურიდიულად არა ქმრის, არამედ მშობლების ოჯახის წევრად მიიჩნეოდა. ამ პერიოდში ქმრის ძალაუფლებაც საგრძნობლად შეიზღუდა.

ქმრის ხელისუფლების გარეშე ქორწინების დროს ქმარს ცოლის პიროვნებასა და მის ქონებაზე უფლება აღარ ჰქონდა, ვინაიდან ცოლი ქმრის ხელისუფლებაში არ იმყოფებოდა. თუ გათხოვილი ქალი დამოუკიდებელი პირი იყო, ე.ი. მამის ხელისუფლებას არ ექვემდებარებოდა და ქორწინებამდე საკუთარი ქონება ჰქონდა, გათხოვების შემდეგ თავის ქონებაზე საკუთრების უფლებას ინარჩუნებდა. ამგვარი სახის ქორწინების პერიოდში, მეუღლეთა ქონება განცალკევებულად რჩებოდა. ქორწინების დროს მზითევი, როგორც ქმრისათვის გადაცემული ქონება, განსაკუთრებული

სამართლებრივი რეჟიმით წესრიგდებოდა. ცოლის ქონების მართვის უფლება ქმარს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუ ამას თავად ცოლი გადასცემდა. „თუმცა მზითევი ქმრის ქონებაში შედის, ის მაინც ცოლს ეკუთვნის".[627]

რესპუბლიკის პერიოდში, როდესაც ოჯახის ინსტიტუტი მნიშვნელოვნად შეირყა, მზითევით მანიპულირების ერთგვარი კანონიერი საფუძველი შეიქმნა. კერძოდ, მამაკაცს შეეძლო დაქორწინებულიყო მხოლოდ მზითევის მიღების მიზნით, რათა იგი საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგა და განქორწინების შემთხვევაში თავისთვის დაეტოვებინა. ამ არასასურველი ფაქტის თავიდან ასაცილებლად ცოლი და მზითევის დამდგენლები ქმარს პირობას ართმევდნენ, რომ განქორწინების ან ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში მზითევი ცოლს დაუბრუნდებოდა.

რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა, ქმრის უფლებების შეზღუდვის მიზნით, გამოსცა კანონი „იულიუსის კანონი სამზითვო მიწის ნაკვეთების შესახებ".[628] ამ კანონით, რომელმაც ქმრის უფლებები მნიშვნელოვნად შეზღუდა, იმპერატორი ორ მიზანს ისახავდა: ერთი, იტალიის ტერიტორიის შემადგენელი მიწის ნაკვეთები გასხვისებისაგან დაეცვა და მეორე, იგი იმედოვნებდა, რომ ამით ქალის უფლებების დაცვას შეძლებდა. ისიც აღსანიშნავია, რომ კანონი უშუალოდ იტალიის ტერიტორიაზე არსებულ სამზითვო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა.

დიგესტებში ულპიანე სამზითვო მიწის ნაკვეთს შემდეგნაირად განმარტავს: „[ტერმინ] „სამზითვო მიწის ნაკვეთში" უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ქალაქის მიწის ნაკვეთები [ე. ი. სახლები], ასევე – სოფლის, რადგან იულიუსის კანონი ყველა ნაგებობას ეხება".[629]

კანონში მზითვად გაცემულ მოძრავ ქონებასა და იტალიის საზღვრებს მიღმა მდებარე მიწის ნაკვეთებზე არაფერი იყო ნათქვამი. ამრიგად, აღნიშნული კანონის თანახმად, ცოლის თანხმობის გარ-

---

[627] D.23.3.75. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2001, 74.

[628] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 190.

[629] D.23.5.13. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2001, 101.

ეშე ქმარს მზითვის, როგორც მთლიანი, ისე ნაწილობრივი გასხვისება ეკრძალებოდა. ამ აკრძალვამ მზითვის, როგორც ქონების, მანამდე არსებული განკარგვის ფორმაში არსებითი გარდატეხა შეიტანა და მისი სამართლებრივი ინსტიტუტის რაობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მოგვიანებით, იგივე აკრძალვა იმპერატორმა იუსტინიანემ პროვინციაში მდებარე სამზითვო მიწის ნაკვეთებზეც განავრცო.

ცოლის თანხმობის გარეშე ქმარს მზითევის გასხვისების უფლება არ ჰქონდა. თუ სამზითვო ქონება ქმრის სამკვიდრო ქონებას ერწყმოდა და ქმარი საკუთარი თავის გაშვილებაზე თანხმობას განაცხადებდა, მაშინ მზითევი გასხვისებას ექვემდებარებოდა. ასევე, თუ მზითევი შეადგენდა მეუღლეთა საერთო ქონებას, რომელსაც ქმართან ერთად კიდევ რამდენიმე თანამფლობელი ჰყავდა და თუ ეს უკანასკნელნი ქონების გასხვისებას მოითხოვდნენ, მაშინ ქმარს უარის თქმის უფლება არ ჰქონდა.

ამრიგად, რომაელი იურისტების მიერ მზითევი, როგორც კერძო საკუთრების ერთ-ერთი სახე, ზუსტად იყო განსაზღვრული. ქორწინების განმავლობაში ცოლ-ქმრის დამოკიდებულება მზითევისადმი საგანგებო სამართლებრივი რეჟიმით წესრიგდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ რომში „ხელის გარეშე" (*sine manu*) ქორწინების გავრცელების პარალელურად, გახშირდა განქორწინებებიც. ბუნებრივია, საზოგადოებაში ქალის ინტერესების დაცვის მოთხოვნილებაც გაჩნდა. ამ ვითარების შედეგი იყო ის, რომ VI საუკუნიდან მოყოლებული საცოლე ან მისი ოჯახის უფროსი საქმროსთან, ან მისი ოჯახის უფროსთან აფორმებდა სტიპულაციას (ხელშეკრულებას), რომლის ძალითაც ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში ქმარს მზითევის დაბრუნება ევალებოდა. აღნიშნულ ხელშეკრულებას *cautio rei uxoriae* ეწოდებოდა. მზითევის დაბრუნების შესახებ სარჩელსაც აქედან მიეცა დასაბამი, რომელსაც *actio ex stipulatu* ეწოდებოდა. მოგვიანებით, მზითევის გამოსათხოვად კიდევ ერთი სახის სარჩელი გაჩნდა.

რომაული სამართალი ქალსა და მამაკაცს შორის ერთადერთ კანონიერ კავშირად ქორწინებას აღიარებდა, თუმცა ძველ რომში ქალისა და მამაკაცის კანონიერი ქორწინებისაგან განსხვავებული სხვა სახის ურთიერთობებიც იყო ცნობილი.

III. Concubinatus (კონკუბინატი)

Concubinatus – ქალისა და მამაკაცის უკანონო თანაცხოვრება; contubernium – მონა მამაკაცისა და მონა ქალის თანაცხოვრება; liberi naturales – „ბუნების შვილები", ბასტარდები.

რომში ქორწინების განსაკუთრებული სახე კონკუბინატი,[630] ანუ ბუნებითი ქორწინება არსებობდა, რომლის შედეგადაც შობილ პირებს ბასტარდები, ანუ „ბუნების შვილები" ეწოდებოდათ. ეს იყო არა შემთხვევითი კავშირი, არამედ ქალისა და მამაკაცის ხანგრძლივი თანაცხოვრება, რომელიც ქორწინების კანონიერ მოთხოვნებს არ პასუხობდა, ანუ როდესაც მათ კანონით გათვალისწინებული, დამაბრკოლებელი გარემოების გამო დაქორწინება არ შეეძლოთ. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქორწინების უფლების არქონა, სოციალური უთანასწორობა[631] და სხვა.

კონკუბინატის დროს მამაკაცის სოციალური მდგომარეობა მხედველობაში არ მიიღებოდა. კონკუბინატის შედეგად დაბადებული ბავშვები მამის კანონიერ შვილებად არ მიიჩნეოდნენ და მამის ხელისუფლებას არ ექვემდებარებოდნენ. კონკუბინატში ქალი კანონიერი ცოლის უფლებებით არ სარგებლობდა. მიუხედავად იმისა, რომ რომაული ოჯახი მონოგამიური იყო, ადრეული რესპუბლიკის პერიოდში ქმარს, კანონიერი ოჯახის პარალელურად, სხვა ქალთან კონკუბინატში თანაცხოვრების უფლებაც ჰქონდა, ხოლო ქალს ქმრის გარდა სხვა მამაკაცთან თანაცხოვრების უფლება არ გააჩნდა.

პოსტკლასიკური პერიოდის რომში კონკუბინატში დაბადებული ბავშვების დაკანონება დასაშვები გახდა. მათ ალიმენტის მიღებისა და შეზღუდული მემკვიდრეობითი უფლებაც ჰქონდათ.

lex Iuliae de adulteriis[632] კანონით აკრძალული იყო *struptum, adulterium* და *incestum*: *Struptum* იყო სქესობრივი კავშირი თავისუფალ

[630] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 81-82.

[631] მაგალითად, ქორწინება სენატორსა და გაზატებულს შორის, lex Iuliae et Papia Poppaea-ს კანონის თანახმად, თავისუფალ რომაელ მოქალაქეს „უღირსი საქციელის" ქალზე დაქორწინება ეკრძალებოდა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 191-192.

[632] იქვე, 190.

კაცსა და გაუთხოვარ ქალს შორის; *adulterium*-ის შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე დაქორწინებული იყო; *incestum* იყო ურთიერთობა იმ ნათესავებს შორის, რომელთაც ერთმანეთზე დაქორწინება კანონით ეკრძალებოდათ. შემთხვევითი და დროებითი სქესობრივი კავშირი მონებთან, მეძავებთან და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან, როგორც წესი, სასჯელს არ ითვალისწინებდა.

Contubernium[633] იყო მონა მამაკაცისა და მონა ქალის კავშირი, რომელიც ფაქტობრივ, თუმცა იურიდიულად აკრძალულ თანაცხოვრებად განიხილებოდა. პოსტკლასიკურ პერიოდში ამგვარი კავშირი, გარკვეულწილად, მოწესრიგებული იქნა სამართლებრივად, როცა *separatio dura,* ანუ *contubernium*-ში მყოფი მონებისა და მათი შვილების სხვადასხვა ადგილსა და სხვადასხვა პატრონისათვის მიყიდვა აიკრძალა.

IV. მზითევი (Dos)

Dos – მზითევი; dos profecticia – ოჯახის უფროსისაგან მიღებული მზითევი; dos adventicia – მესამე პირისაგან მიღებული მზითევი; dos aestimata – შეფასებული მზითევი; actio rei uxoriae – ცოლისათვის მიცემული სარჩელი; dos necessaria – სავალდებულო მზითევი; pactum dotalis – სამზითვო შეთანხმება; dotis promissio – მზითევის დაპირება; dotis dictio – მზითევის დათქმა; dotis datio – მზითევის მიცემა; donatio – ჩუქება; donatio ante nuptias- ქორწინებამდელი საჩუქარი; donatio propter nuptias – საქორწინო საჩუქარი, ქორწინების შემდგომი საჩუქარი; traditio – გადაცემა; stipulatio – დაპირება; parapherna – მზითევს გარდა.

ძველ რომაელთა ყოფაში მზითევს იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ იგი სახელმწიფო ინტერესის საგანს შეადგენდა და მზითევთან მიმართებით, საოჯახო ურთიერთობების გარკვეულ რეგლამენტაციას ადგენდა. იუსტინიანეს დიგესტების თანახმად: „სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ქალები უზრუნვე-

[633] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 91.

ლყოფილნი იყვნენ მზითვით, რომლის მეშვეობით მათ გათხოვება შეუძლიათ".[634]

ქრ. შობამდე III საუკუნიდან მზითევის გაცემა მორალურ ვალდებულებაში გადაიზარდა და სავალდებულო ხასიათი შეიძინა. ერთი მხრივ, ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, ამ პერიოდში *conventio in manu*-ს გარეშე ქორწინებებმა იმატა, მეორე მხრივ კი, განქორწინებათა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ასეთ ვითარებაში მზითევის გაცემის აუცილებლობას საზოგადოება სულ უფროდაუფრო უჭერდა მხარს, რადგან მზითევი ოჯახის მატერიალური საფუძვლის გარანტი იყო. კანონმდებელმაც არ დააყოვნა და მზითევი, როგორც საკუთრების ერთ-ერთი სახეობა, კანონით განსაზღვრა.

მზითევი – ქორწინების შემთხვევაში ქმრისათვის გადაცემული – როგორც მოძრავი, ისე უძრავი – ქონება ჩუქება არ იყო და ამიტომ, მასზე ჩუქების წესები არ ვრცელდებოდა.

იურიდიულ ლიტერატურაში მზითვის ცნება თითქმის ყველა მეცნიერის მიერ იდენტურადაა დეფინიცირებული. ნ. ბოგოლეპოვის თანახმად, მზითევი, როგორც საყოფაცხოვრებო ინსტიტუტი, ოდითგანვე არსებობდა რომში.[635] ჩვეულებრივ, მამა ღირსების საქმედ მიიჩნევდა ქალიშვილი მზითევის გარეშე არ გაეთხოვებინა. ამასთან, არ მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, სამართლით იყო თუ არა განსაზღვრული მზითვის, როგორც ქონების რაობა. ი. ბარონის განმარტებით, მზითევი არის ყოველივე ის, რაც ქმარს (ან მის მამას, თუ იგი კვლავ მამის ხელისუფლებაშია) ცოლისაგან ან მის ნაცვლად სხვა პირისაგან საოჯახო ცხოვრების ხარჯების შესამსუბუქებლად გადაეცემა.[636]

ი. ნოვიცკის თანახმად, ამ ტერმინით აღინიშნება ნივთები ან სხვა რაიმე ქონების ნაწილი, რომელიც გადაეცა ქმარს ცოლისაგან მისი ოჯახის უფროსის ან მესამე პირისაგან საოჯახო ცხოვრების მატერიალური სირთულეების შესამსუბუქებლად.[637]

---

[634] D.23.3.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძე, თბილისი, 2001, 38.

[635] Боголепов Н., Учебник истории римского права, Москва, 1895, 504.

[636] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова, «Юридический центр Пресс», 2005, 823-824.

[637] Римское частное право, под ред. Новицкого И.Б. и И.С. Перетерского,

ზემოაღნიშნულ განმარტებებს თუ შევაჯერებით, მზითვის მეტნაკლებად ამომწურავ დეფინიციას მივიღებთ. ამრიგად, მზითევი არის ქონება, რომელიც საოჯახო ხარჯების შემსუბუქების მიზნით ქმარს ცოლის ან მესამე პირისაგან გადაეცემოდა.

საკუთრივ რომაულ წყაროებში მზითევი განმარტებულია შემდეგნაირად: „მზითევი არის მეუღლის საჩუქარი ქორწინების პერიოდში ხარჯების ასანაზღაურებლად".[638]

იმ ეპოქაში, როდესაც ოჯახი აგნატური ნათესაობის პრინციპს ემყარებოდა და ჯერ კიდევ არსებობდა ქონებრივი დამოკიდებულება ოჯახის უფროსსა და სხვის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს შორის, მას შემდეგ, რაც ოჯახი მომხმარებელთა კავშირად იქცა, განსაზღვრული ოდენობის ქონების შეტანის მოვალეობა (მეუღლეთა თანაცხოვრების მატერიალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად) მხოლოდ ცოლს ეკისრებოდა. ძველ რომში მზითევი ქმრის სრულ საკუთრებაში გადადიოდა, ხოლო განქორწინების შემთხვევაში მის დასაბრუნებლად არავითარი იურიდიული ნორმა არ არსებობდა.

ქმრის ხელისუფლებით ქორწინების დროს საქმროსა და საცოლის ოჯახის უფროსებს შორის, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ცოლი ქმრის ხელისუფლებაში გადადიოდა. მართალია, მზითევი ცოლის ქონება იყო, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ვითარება ქორწინებაში მყოფ ქალს უფლებას მზითევზე არ ანიჭებდა, ვინაიდან სამართლებრივად იგი უუფლებო იყო.

თუ პატარძალი სხვის ხელისუფლებაში მყოფი იყო, მაშინ ჩვეულების თანახმად, მას მზითევს ოჯახის უფროსი აძლევდა. მართალია, ეს ტრადიცია მატერიალურად ახალისებდა ქალის შესვლას ქმრის ოჯახში, მაგრამ, იმავდროულად, იგი მამის ოჯახში მემკვიდრეობის კანონიერ უფლებას კარგავდა. ამასთანავე, ეს ქმრის ოჯახში ქალის პოზიციას განამტკიცებდა.

თავდაპირველად, ცოლი იურიდიულად ხელისუფლებას დაქვემდებარებული პირი იყო და მას ქონების განკარგვის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ ცოლის მზითევი ქმრის საკუთრებაში გადადიოდა და მის ქონებას ერწყმოდა. ქმრის უფლება მზითევზე იმდენად დიდი

Юриспруденция, Москва, 2003, 65-66.

[638] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 393.

იყო, რომ მზითევის დაბრუნება ქმარს, თუნდაც განქორწინების შემთხვევაში (რაც იმ დროს ძალზე იშვიათი იყო), არ ევალებოდა. თუ ქორწინება ქმრის გარდაცვალებით წყდებოდა, ხელისუფლებას დაქვემდებარებული ცოლი, შვილების მსგავსად, იღებდა მემკვიდრეობას, რითაც მას მზითევი უნაზღაურდებოდა.

რომში სამზითვო საგანი შეიძლება ნებისმიერი რამ ყოფილიყო, რასაც ქონებირვი ღირებულება გააჩნდა, ანუ ეს იყო როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. კერძოდ, მანციპირებული თუ არამანციპირებული, სხეულებრივი თუ უსხეულო, მოძრავი თუ უძრავი ნივთი, მაგალითად, მიწა, ფული, პირუტყვი, მონა და სხვა. დ. გრიმის თანახმად, მზითვის ობიექტი შეიძლება ღირებულების მქონე, ნებისმიერი სიკეთე ყოფილიყო. მზითვის გამცემ პირს მზითვად შეეძლო დაედგინა საკუთრების უფლება, *dotis causa*-ს მიმართ სავალდებულო მოთხოვნები განესაზღვრა, ვალი ეპატიებინა და სხვა.

ი. ბარონის თქმით, მზითევის დადგენა სხვადასხვა სახის გარიგებით – გადაცემით, დაპირებით ან საანდერძო დანაკისრით შეიძლებოდა:

1. მზითვის გადაცემა გულისხმობდა, წინასწარი დაპირების გარეშე, სამზითვო ქონების ქმრისათვის დაუყოვნებლივ გადაცემას: ა) თუ მზითევის საგანი იყო სხეულებრივი ნივთები, რომლებზეც საკუთრების უფლება ქმარს უნდა მოეპოვებინა, მაშინ გადაცემა უნდა გამოეყენებინათ; ბ) ქმრისათვის მზითევად შეიძლებოდა სერვიტუტის, ემფითევზისისა და სუპერფიციუმის გადაცემა; გ) ქმრისათვის მზითევად შეიძლებოდა გადაეცათ მოთხოვნა მესამე პირთა წინააღმდეგ, ცესიის ან დელეგაციის სახით; თუ მოვალე თავად ქმარი იყო, მაშინ ვალი უნდა ეპატიებინათ; დ) თუ მზითევის საგანი იყო რაიმე მთლიანი ქონება, მაშინ მისი შემადგენელი ნაწილების მიმართ განსხვავებული გარიგებები გამოიყენებოდა; ე) თუ მზითევის დადგენით მემკვიდრეობისაგან განდგომა ან მემკვიდრეობაზე უარი უნდა გაეთვალისწინებინათ, მაშინ ამგვარი ნების უბრალო გამოვლინებაც კმაროდა.

2. მოგვიანებით, კლასიკურ პერიოდში სამზითვო დაპირება, მზითევის დაპირების ან მზითევის დათქმის სახით, გაიცემოდა. იუსტინიანეს სამართალით, მზითვის დათქმა გაუქმდა. სამაგიეროდ, არაფორმალური ხელშეკრულება დადგინდა.

3. საანდერძო დანაკისრი – ლეგატი ცოლისათვის იმის განსაზღვრით, რომ გასცეს უარნათქვამი ქონება მზითვად, იქნება არა მზითვის დადგენა, არამედ მხოლოდ საბაბი მის დასადგენად.[639]

მზითევის დადგენის რამდენიმე საშუალება არსებობდა:

Dotis promissio (იგივე *stipulatio dotis*) – სტიპულაციური ფორმით ქმრისათვის მზითევის დაპირება.

Dotis dictio – ცალმხრივი სიტყვიერი ვალდებულების განსაკუთრებული ფორმა, რომლითაც განმცხადებელი საქმროს წინაშე კისრულობდა ვალდებულებას შემდეგი ფორმულის წარმოთქმით – მზითვად გადმოგეცემა და სამზითვო ობიექტებს ასახელებდა. ეს ფორმა ნებადართული იყო პატარძლისათვის, მისი მამასახლისისა და მოვალისათვის, ვინც უშუალოდ საქმროსათვის ვალის გადახდის პირობას დებდა. ამგვარი შეთანხმება ძალაში ქორწინების შემდეგ შედიოდა.

მზითვის მიცემა რეალური შეთანხმება იყო. თუ ქორწინება არ მოხდებოდა, მაშინ ქმარს *condictio ob rem dati eausa non secuta*-ით პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. თუ გადაცემა მანციპაციით ან უფლების დათმობით ხდებოდა, მზითევად დასახელებული ნივთები ქმარს დაუყოვნებლივ გადაეცემოდა. გადაცემის, როგორც კაზუალური გარიგების, რეალურ შედეგს ქორწინება განაპირობებდა: თუ ქორწინება არ შედგებოდა, მაშინ მზითევი *rei vindicatio*-ს მეშვეობით უკან გამოითხოვებოდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მზითევად გაღებული შეცვლადი ნივთები თანაბარი ოდენობითა და სათანადო ხარისხით დაბრუნებას ექვემდებარებოდა. დიგესტებში გაიუსი საგანგებოდ აღნიშნავს: „მზითევად მიცემული ის ნივთები, რომლებიც წონით, რაოდენობითა და ზომით განისაზღვრება, ქმრის რისკს წარმოადგენს, რადგან მათ იმ მიზნით აძლევენ, რომ ქმარმა ისინი თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს და განქორწინების შემთხვევაში თავად ან მისმა მემკვიდრეებმა იმავე სახისა და თვისებების (ხარისხის) სხვა ნივთები დააბრუნონ.“[640]

---

[639] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 825-827.

[640] D.23.3.42. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2001, 57.

ხშირ შემთხვევაში სწორედ ქმრის დაინტერესება განპირობებული იყო იმით, რომ მზითევად გაცემული ნივთები, განსაკუთრებით კი პირუტყვი ან ტანსაცმელი, არ შეფასებულიყო. აღნიშნული ნივთების მზითევად გაცემისას, ქმრის განსაკუთრებული სიფრთხილე იმით აიხსნებოდა, რომ განქორწინების ალბათობის შემთხვევაში მას ზედმეტი ხარჯი და მათზე პასუხისმგებლობა არ დაკისრებოდა. ამის თაობაზე ულპიანეც საგანგებოდ მიუთითებს დიგესტებში: „უმრავლეს შემთხვევაში ქმრისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ [მზითევად მიცემული] ნივთები არ იქნას შეფასებული, რათა ამ ნივთების [დაკარგვის, დაზიანების] რისკი მასზე არ გავრცელდეს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც იგი მზითევად პირუტყვს ან იმ ტანსაცმელს იღებს, რომელსაც ცოლი ხმარობს. თუ ნივთები (ე. ი. ტანსაცმელი) შეფასებულია და თუ ცოლმა ის გაცვითა, ისე ხდება, რომ ქმარმა [მზითევის დაბრუნების შემთხვევაში] [ტანსაცმლის] ფასი მაინც უნდა წარმოადგინოს. რამდენადაც მზითევად შეუფასებელ ნივთებს იძლევიან, ამდენად მათი გაუმჯობესებაც და გაუარესებაც ცოლის [ანგარიშში] ითვლება".[641]

ძველ რომში შეფასებული ნივთები მზითევის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენდა და მათ შეფასებულ სამზითვო ნივთებს უწოდებდნენ. მზითევის შეფასება ორი მოსაზრებით ხდებოდა: პირველი, დაედგინათ ის მაქსიმალური ღირებულება, რომლის ფარგლებშიც განქორწინების შემთხვევაში ქმარს მზითევი უნდა დაებრუნებინა და მეორე, განესაზღვრათ გასაყიდი ფასი, ანუ ფულით შეეფასებინათ იმ შემთხვევისათვის, თუ ქმარი ცოლის მოვალე იყო.

რომაული კანონმდებლობის თანახმად, მზითევად გაღებული ნივთიდან ყოველგვარი ნამატი – პირუტყვის, მონის, პროდუქტის თუ სხვა სარგებლის სახით – ქმრის ქონებას ერწყმოდა. სიზუსტის მოყვარულ რომაელებს ყოველი ასეთი შემთხვევა კანონით ჰქონდათ მოწესრიგებული.

მოგვიანებით, როცა ქალიშვილის გამზითევება დედასაც დაევალა, მას გარკვეული მოძრავი ქონების გადაცემა შეეძლო.

მზითევად გაღებული მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ზრუნვის განსაკუთრებულ საგანს შეადგენდა. სწორედ ამიტომ, ქორწინების

[641] D.23.3.10. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, ნინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2001, 45-46.

განმავლობაში სამზითვო მიწის ნაკვეთების გასხვისების წესს სახელმწიფო აწესრიგებდა. თავდაპირველად, ქმარს სამზითვო მიწის ნაკვეთის გასხვისების სრული უფლება ჰქონდა. მოგვიანებით კი, სამზითვო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ქმრის აღნიშნული უფლება მნიშვნელოვნად შეიზღუდა, ხოლო *lex Iuliae de fundo dotali*-ს თანახმად, სამზითვო მიწის ნაკვეთების გასხვისება საერთოდ აიკრძალა.

რომში მზითევად ასევე გაიცემოდა არამატერიალური ქონებრივი სიკეთეც; მაგალითად, ლეგატი.

რომში არსებობდა მზითევის განსაკუთრებული სახე ე.წ. *parapherna*. ეს ტერმინი ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს „გარდა მზითევისა", ანუ იგულისხმება გათხოვილი ქალის საკუთრებაში არსებული ქონება. მზითევის ეს სახეობა მოგვიანებით ქმრის ხელისუფლების გარეშე ქორწინების დროს შეიქმნა და მას, როგორც ქონების კერძო სახეს, გათხოვილი ქალი თავისუფლად განკარგავდა. რომის სამართალში *parapherna*-ს სინონიმებად *bona recepticia*-სა და *res extra dotem*-ს ასახელებდნენ და „ამრიგად, თუ [მზითევად] აძლევენ იმ ნივთებს, რომლებსაც ბერძნები *paraferna*-ს (*paraferua*) უწოდებენ, ხოლო გალები – „პეკულიუმ"-ს..."[642]

როგორც ქონების სახე *peculium* წვრილფეხა საქონლის ჯოგს გულისხმობდა; მოგვიანებით *peculium*-ად მიიჩნეოდა ნებისმიერი სახის ქონება, რომელსაც მეურნეობის გაძღოლის მიზნით, ოჯახის უფროსი გადასცემდა სხვის დაქვემდებარებაში მყოფი პირს.[643]

ქალის მზითევის განკარგვასთან დაკავშირებით რომაელმა იურისტებმა სამართლის ნორმათა მთელი სისტემა შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც, ძალზე კარგად იქნა დამუშავებული მზითვის ინსტიტუტის არსი, როგორც ქორწინების პერიოდში, ისე ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში. მოგვიანებით, სამართლის ნორმათა აღნიშნულ სისტემას რომის სამზითვო სამართალი ეწოდა. თანამედროვე ევროპის მრავალი ქვეყნის (საფრანგეთი, ბელგია, იტალია და ა.შ.) სამზითვო სამართალი სწორედ მის ძირითად დე-

---

[642] D.23.3.9.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, ნინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2001, 44.

[643] peculium – მონისთვისაც შეეძლოთ გადაეცათ. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 241-242.

ბულებებს ეფუძნება.

ამრიგად, მოხმობილი იურიდიული და ისტორიული წყაროების თანახმად, ნათლად დასტურდება ის ფაქტი, რაოდენ ზუსტად იყო იურისტების მიერ განსაზღვრული და მოწესრიგებული მზითვის, როგორც კერძო საკუთრების ერთ-ერთი სახეობის, რაობა და საგანი რომის სამართალში.

V. Adoptio et adrogatio (შვილება)

Adrogatio – შვილება; adoptio – შვილება; filius familia – ოჯახის შვილი; legitimatio – დაკანონება.

რომში შვილად აყვანის ორი სახე არსებობდა: 1. *adoptio* (არათავისუფალი პირის შვილად აყვანა) და 2. *adrogatio* (თავისუფალი პირის შვილად აყვანა).

შვილად აყვანის დროს აუცილებელი იყო რამდენიმე პირობის დაცვა. მაგალითად, არ შეიძლებოდა ერთზე მეტი პირის, სხვის მიერ გააზატებულის, სამოც წლამდე ასაკის პირის შვილება; აკრძალული იყო, რომ ასაკით უმცროსს ასაკით უფროსი ეშვილა, სხვაგან მყოფის ან იმ პირის შვილება, ვინც შვილებაზე თანახმა არ იყო. ობოლის შვილების დროს მისი კოგნატი ნათესავების თანხმობა იყო საჭირო, აგრეთვე, დაიშვებოდა თავისუფალი ქალის და ბრმა პირის შვილება.

შვილების ძველი ფორმა იყო *adrogatio*, რომლის დროსაც *paterfamilias* სხვა *paterfamilias*-ის ხელისუფლებაში გადადიოდა და მისი უფლებამოსილებაც სრულად ექცეოდა მშვილებლის ხელში. შვილად აყვანა კურიის კომიციებში ტარდებოდა და მისი სრული შემადგენლობით მტკიცდებოდა.

Adoptio შვილების ისეთი ფორმა იყო, რომელიც მაგისტრატების ნებართვით დაიშვებოდა და სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირის, ერთი ოჯახიდან მეორეში გადასვლას გულისხმობდა. აღნიშნული პროცედურა პონტიფიკოსების მიერ დადგენილი წესების მიხედვით ტარდებოდა და მესამე პირისათვის სამმაგი მანციპაციის პრინციპიდან გამომდინარეობდა.

კლასიკურ პერიოდში შვილად აყვანა იმპერატორის რესკრიპ-

ტის საფუძველზე ხდებოდა. ამისათვის საჭირო იყო, რომ მშვილებელი 60 წლის ყოფილიყო და საკუთარი შვილები არ ჰყოლოდა.

უკვე კლასიკური პერიოდის რომში, შვილად აყვანის პარალელურად, მოქმედებდა დაკანონება,[644] ანუ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვისათვის კანონიერი შვილის უფლებების მინიჭება.

VI. Divortium (ქორწინების შეწყვეტა)

Divortium – განქორწინება ორმხრივი ნებით; repudium – განქორწინება ცალმხრივი ნებით; divortium sine causa – უსაფუძვლო განქორწინება.

ისტორიულად რომის სახელმწიფოს ევოლუციის ყველა ეტაპზე, ქორწინება ერთი და იმავე საფუძვლითაწყდებოდა. დიგესტების ოცდამეოთხე წიგნში საგანგებოდაა მითითებიული ქორწინების შეწყვეტის სამი კანონიერი საფუძველი: განქორწინება, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება და ერთ-ერთი მეუღლის მიერ თავისუფლების დაკარგვა. თუმცა, ზოგჯერ დაიშვებოდა ქორწინების შენარჩუნება გაძევევის ან გადასახლების შემთხვევაში, როდესაც პირი მოქალაქეობას კარგავდა. მთავარი იყო, რომ მეუღლეებს *affectio maritalis* შეენარჩუნებინათ.

თავდაპირველად, რომის სამართალით განქორწინების მოთხოვნის უფლება მხოლოდ ქმარს და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში ეძლეოდა. კერძოდ, თუ ცოლი ჩაიდენდა ისეთ მძიმე დანაშაულს, როგორიც იყო შვილების მოწამვლა, ღვინის საცავის გასაღების ასლის დამზადება ან მრუშობა.

მოგვიანებით, ქორწინების შეწყვეტა მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით დაიშვებოდა და მას *divortium* ეწოდებოდა.

განქორწინების გაცხადება ხდებოდა ან მაცნის მეშვეობით, ან წერილის გაგზავნით, ან ქრ.შობამდე 18 წ. მიღებული ავგუსტუსის კანონით *lex Iuliae de adulteriis*. აღნიშნული კანონი განქორწინებას მხოლოდ ცოლის ღალატის შემთხვევაში ითვალისწინებდა; თუ მოღალატე ცოლთან ქმარი თანაცხოვრებას განაგრძობდა, ქმარს

[644] legitimatio – დაკანონება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 203.

სასჯელი ემუქრებოდა. ზოგჯერ, განქორწინება ობიექტური მიზეზებითაც დაიშვებოდა. ასე, მაგალითად, ქმრის ქურუმად გახდომის, სამხედრო სამსახურის ან მძიმე დაავადების შემთხვევაში, როცა ნორმალური ცოლქმრული თანაცხოვრება შეუძლებელი იყო. განქორწინების ბუნებრივ საფუძვლად ქალის უშვილობაც მიიჩნეოდა.

რომში ზნეობის დაცემის კვალობაზე, გახშირდა განქორწინებები არასერიოზული მიზეზებით. პრაქტიკაში დამკვიდრდა *cautiones rei uxoriae*, რომლის თანახმადაც, განქორწინების შემთხვევაში, ქმარი მზითევის უკან დაბრუნების ვალდებულებას კისრულობდა. მოგვიანებით, პრეტორმა თავისი ედიქტით ცოლს მიანიჭა *actio rei uxoriae* სარჩელის უფლება. თავდაპირველად, განქორწინების შემდეგ ქმრის გარდაცვალების შემთხვევაშიც. პრეტორის მიერ დანიშნული მოსამართლე[645] საკუთარ თავზე იღებდა იმ ფუნქციას, რომელსაც ადრე ქმრის საოჯახო საბჭო ასრულებდა. საქმე ისაა, რომ სასარჩელო ფორმულა ქმარს ავალდებულებდა ცოლისათვის მზითევიდან მიეცა ის, რაც ცოლს სამართლიანად ეკუთვნოდა. მოსამართლე ამ საქმეს ცენზორის მსგავსად, თავისი ნების თავისუფალი გადაწყვეტილებით განიხილავდა. ასეთ შემთხვევაში, სარჩელის უფლება მხოლოდ ცოლის კერძო პირადი უფლება იყო.

ქორწინების პერიოდში ცოლის მზითევად დადგენილი როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება ქორწინების შეწყვეტის შემდეგ ქმრის საკუთრებაში რჩებოდა; მაგრამ თუ ქმარი განქორწინებას საპატიო მიზეზთა არარსებობის შემთხვევაში მოითხოვდა, კანონი მას ავალდებულებდა თავისი ქონების ერთი ნახევარი განქორწინებული ცოლისათვის გადაეცა, ხოლო მეორე ნახევარი მიწათმოქმედების ქალღმერთ ცერერასათვის შეეწირა.

მოგვიანებით, რესპუბლიკის პერიოდში განქორწინება შესაძლებელი გახდა ორმხრივი და ცალმხრივი მოთხოვნით როგორც ცოლის, ისე ქმრის ინიციატივით. ორმხრივი ნებით განქორწინებას *divortium*[646] ეწოდებოდა, ხოლო ცალმხრივი ნებით – *repudium*.[647]

---

[645] arbiter – პრეტორის მიერ დანიშნული მოსამართლე. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 50.

[646] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 111-112.

[647] repudium – ნიშნობის ცალმხრივად ჩაშლასაც ნიშნავდა. Бартошек М., Римское

დიგესტების ორმოცდამეათე წიგნში ეს ორი ტერმინი ასეა განმარტებული: „განქორწინებასა“ და „რეპუდიაციას“ შორის ის სხვაობაა, რომ „რეპუდიაცია“ შესაძლებელია როგორც ქორწინებამდე, ისე მის შემდეგ, მაგრამ სიტყვით „განქორწინება“ იგულისხმება გათხოვილი ქალი, რადგან „განქორწინება“ ნიშნავს ქონებრივი კავშირის შეწყვეტას მეუღლეებს შორის, რის შემდეგაც თითოეულ მეუღლეს სრული უფლება აქვს წავიდეს იქ, სადაც სურს.“[648]

ცალმხრივი ნებით განქორწინებისას, მოქმედებდა მზითევის განკარგვის შემდეგი წესი: თუ ცოლი იყო თვითხელისუფალი პირი (*persona sui iuris*) იყო, მზითევი რჩებოდა მხოლოდ ცოლს; თუ ცოლი კვლავ მამის ხელისუფლებაში იმყოფებოდა, ანუ *persona alieni iuris* იყო, მაშინ მზითევი, მისი წარმომავლობის მიუხედავად (ანუ *dos profecticia* იყო თუ *dos adventicia*), რეპუდირებულ ცოლსა და მამამისს რჩებოდა; თუ განქორწინება ცოლის ინიციატივით ან მისი მიზეზით ხდებოდა, მაშინ მზითევი ქმარს რჩებოდა.

იუსტინიანემდელი პერიოდის სამართლის თანახმად, მზითევის ბედი ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში არსებითად მზითევის დაბრუნება-არდაბრუნების პირობის დათქმაზე იყო დამოკიდებული. ასეთი დათქმის არარსებობის შემთხვევაში, მზითევს *dos recepticia* ეწოდებოდა და ქმარს მზითევის დაბრუნება[649] ქორწინების შეწყვეტისთანავე ევალებოდა.

აღნიშნული დათქმის არარსებობის შემთხვევაში კი მზითევს *dos non recepticia* ეწოდებოდა, რის გამოც, ქმარს მზითევის დაბრუნება არ ევალებოდა; მაგრამ თუ ქორწინების შეწყვეტა გამოწვეული იყო ცოლის გარდაცვალებით, მაშინ *dos adventicia* ქმარს, ხოლო *dos profectieia* ~~ქმარს~~ რჩებოდა.

იმპერიის პერიოდში ძალზე გახშირდა როგორც *divortium*, ისე *repudium* განქორწინება. ყოველივე ეს დიდ ზნეობრივ ზიანს აყენებდა სახელმწიფოს, მაგრამ თუ ქორწინების შეწყვეტა მაინც გარდაუვალი იყო, საიმპერატორო კანონი განქორწინებისათვის სერიოზულ საფუძველს ითხოვდა. თუ განქორწინება ამ პირობას არ აკმაყოფილებდა, მას უსაფუძვლო განქორწინება ანუ *divortium sine*

право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 273.

[648] D.50.16.191. Digesta Iustiniani, T.IV книги XX-XXVII, Отв. ред. Л.Л. Кофанов, Москва, Статут, 2004, 501.

[649] აუცილებელი ხარჯების გამოკლებით.

causa ეწოდებოდა და განქორწინების ინიციატორს მკაცრი ქონებრივი სასჯელი ეკისრებოდა.

ამითვე იყო განპირობებული იუსტინიანეს მიერ გატარებული ღონისძიებებიც. კერძოდ, იმპერატორის განკარგულებით განქორწინება ორმხრივი შეთანხმებით[650] აიკრძალა; გამონაკლისი იყო ის შემთხვევა, როდესაც, ხორციელი სიყვარულისაგან თავშეკავების მიზნით, მეუღლეები საკუთარი სურვილით შორდებოდნენ ერთმანეთს; მაგრამ თუ ამ პირობას მეუღლეთაგან რომელიმე დაარღვევდა, მას მთელი ქონება ჩამოერთმეოდა შვილების სასარგებლოდ; შვილების არყოლის შემთხვევაში კი ქონება ხაზინის განკარგულებაში გადადიოდა.

ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, მამის მიერ დადგენილი მზითევი, კანონით ქმარს რჩებოდა; თუ ქორწინება ქმრის გარდაცვალებით წყდებოდა, მაშინ მზითევი მხოლოდ ცოლს ან ცოლსა და მამამისს ორივეს ერთად უბრუნდებოდა. პაულუსის თანახმად, „თუ მამამ მზითევი მისცა და შეთანხმება დადო, რომ „ქორწინების განმავლობაში ქალიშვილის სიკვდილის შემთხვევაში მზითევი ქმარს რჩება", მაშინ, ჩემი აზრით, შეთანხმება დაცული უნდა იქნეს, თუნდაც ბავშვები არ არსებობდნენ."[651]

ასეთი გახლდათ ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში რომაელი ხალხის სხვადასხვაგვარი დადგენილება მზითევის განკარგვასთან დაკავშირებით. მზითევზე ქმრის უფლებები თავად სამზითვო საგნის რაობაზე და მხარეთა ნებაზე იყო დამოკიდებული.

ყველაზე ხშირად ქმარს საკუთრებაში სხეულებრივი ნივთები ეძლეოდა და იმავდროულად, სამზითვო საგანთან დაკავშირებით, მისი უფლებები განისაზღვრებოდა.

იმპერიის მეორე ნახევარში, მზითევის პარალელურად, ახალი ინსტიტუტი საქორწინო საჩუქარი[652] დამკვიდრდა. ქმარი ან მის სხვა (კანონით ეს მამას არ ევალებოდა) პირი, მზითევის სანაცვ-

[650] divortium communi consensu – განქორწინება ორმხრივი შეთანხმებით. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 111-112.

[651] D.23.4.12. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2001, 86.

[652] donatio propter nuptiaes – საქორწინო საჩუქარი.

ლოდ, ცოლისათვის განსაზღვრული რაოდენობის ქონებას ადგენდა. საქორწინო საჩუქარი (*donatio propter nuptias*) მზითევის ტოლფასი უნდა ყოფილიყო. ასეთი სამზითვო ქონებიდან ქმრის წილს ცოლი წინასწარ განსაზღვრავდა და ქმარს იმ შემთხვევაში ეძლეოდა, თუ ცოლი ქმარზე ადრე გარდაიცვლებოდა; თავის მხრივ, ქმარიც განსაზღვრავდა სამზითვი ქონების წილს, რომელიც ცოლს იმ შემთხვევაში გადაეცემოდა, თუ ქმარი მასზე ადრე გარდაიცვლებოდა.

განქორწინების ინიციატორი ქმარი საქორწინო საჩუქრის გამოთხოვის უფლებას კარგავდა. თუ მეუღლეებს შვილები არ ჰყავდათ, მაშინ ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, კანონით ცოლს საქორწინო საჩუქარზე არანაირი უფლება არ ჰქონდა; თუ ქორწინებიდან მათ შვილები ჰყავდათ, მაშინ ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, ცოლი აღნიშნულ ქონებაზე უზუფრუქტს იღებდა, ხოლო ქონებაზე საკუთრების უფლებას შვილებთან ერთად ინაწილებდა.

რაც შეეხება ერთ-ერთი მეუღლის მიერ თავისუფლების დაკარგვის მიზეზით ქორწინების შეწყვეტას, (მაგალითად, თუ მეუღლე ჩავარდებოდა ტყვედ) ხუთი წლის გასვლის შემდეგ, ქორწინება შეწყვეტილად ითვლებოდა და ცოლს კვლავ დაქორწინების უფლება ეძლეოდა. ამ შემთხვევაში, ქონებრივი ზარალის ანაზღაურება მეუღლეთაგან არც ერთს არ ეკისრებოდა; თუ გააზატებული ქალი თავის პატრონზე გათხოვდებოდა, მაშინ მას განქორწინების მოთხოვნა ეკრძალებოდა და ამდენად, არც მზითევის მოთხოვნის უფლება ჰქონდა.

ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, ძირითადად, ასეთი გახლდათ ის სხვადა-სხვაგვარი დადგენილება, რითაც რომაელი ხალხი ხელმძღვანელობდა.

VII. Paterfamilias (ოჯახის უფროსი)

Ius vitae et necis – სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება; potestas – მამასახლისის ხელისუფლება; emancipatio – მამის ხელისუფლებიდან გათავისუფლება; patria potestas – მამის ხელისუფლება.

რომის სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებდა პირთა ორ კატეგორიას: არახელქვეით (*sui iuris*) და ხელქვეით (*alieni iuris*) პირებს. ძველ რომში მთელი სამოქალაქო საზოგადოების წყობა პირთა აღნიშნულ დაყოფას ეფუძნებოდა.

რომაული ოჯახის სათავეში ოჯახის უფროსი, მამასახლისი იდგა, რომელსაც რომაელები *paterfamilias*-ს უწოდებდნენ. მის დაქვემდებარებაში შედიოდა ყველა *alieni iuris* პირი: ცოლი (რომელსაც ქალიშვილის მდგომარეობა ჰქონდა – *loco filiae*), ვაჟიშვილები და მათი ცოლები, რომლებიც ქმრის ხელისუფლებაში იყვნენ (ისინი შვილიშვილის სტატუსით სარგებლობდნენ *loco nuptis*), ქალიშვილები და მონები. თავდაპირველად, ოჯახის უფროსის უფლებამოსილება შეუზღუდავი იყო და ცოლზე, შვილებზე, მონებზე თუ ნივთებზე ერთნაირ ხელისუფლებას ახორციელებდა; დროთა განმავლობაში მამასახლისის ხელისუფლება დაიხვეწა და რამდენიმე ძირითადი სახე გამოიკვეთა. 1. ხელისუფლება ცოლზე (*manu*); 2. ხელისუფლება შვილებზე (*patria potestas*); 3. ხელისუფლება მონებზე (*dominica potestas*). შესაბამისად, აღნიშნულმა ხელისუფლებამ თანდათანობითი დიფერენციაციის შედეგად, განსხვავებული სახელდებები მიიღო: *manu mariti* (ხელისუფლება ცოლზე), *patria potestas* (ხელისუფლება შვილზე), *dominica potestas* (ხელისუფლება მონებზე) და ა.შ. მოგვიანებით, იმპერატორ იუსტინიანეს სამართლით მამასახლისის ხელისუფლება შეიზღუდა. როცა მისი, როგორც ოჯახის უფროსის უფლებამოსილება მხოლოდ მონებსა და მის ხელქვეით მყოფ შვილებზე ვრცელდებოდა.

რომაულ ოჯახში ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს ოჯახის უფროსი[653] ცვლიდა. მისი ძალაუფლება საკმაოდ ფართო იყო: იგი

[653] Inst. Iust. 1.9. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 23-24.

განკარგავდა ოჯახის მთელ ქონებას, განაგებდა ოჯახის წევრთა ბედს და ა.შ.

1. გაყიდვის უფლება. ოჯახის ვაჟიშვილის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მონად გაყიდვა. აღნიშნულს XII დაფის კანონების თანახმად, მესამე გაყიდვის შემდეგ შვილი მამის ხელისუფლებიდან თავისუფლდებოდა; 2. ზარალის ასანაზღაურებლად გადაცემა. მამას უფლება ჰქონდა ხელქვეითი ვაჟიშვილი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გადაეცა დაზარალებულისათვის და თავად ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულიყო. აღნიშნული უფლება იუსტინიანეს კანონმდებლობით აიკრძალა; 3. ჩვილის გადაგდების უფლება. კლავდიუსის ეპოქაში დაიშვებოდა, რომ მამას ახალშობილზე უარი ეთქვა და გადაეგდო. ეს ქრისტიანთა მხრიდან კრიტიკის საფუძველი გახდა და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებოდა, თუ ჩვილი მახინჯი დაიბადებოდა.

აღნიშნული ძალაუფლება იმდენად დიდი იყო, რომ მას ოჯახის წევრის სიკვდილით დასჯის უფლებას კი ჰქონდა (სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება – *ius vitae et necis*). ყველაფერი, რასაც შვილები იძენდნენ, მამას ეკუთვნოდა.

აღნიშნული წესის პარალელურად, საზოგადოებაში არსებობდა ხალხის ერთგვარი შეხედულება, რომელიც რომაელმა იურისტმა პავლუსმა საგანგებოდ აღნიშნა. ამ თვალსაზრისით, მთელი ქონება მამისა და მისი შვილების საერთო ქონებად ითვლებოდა. თავისთავად, იურიდიული განკარგვის წესზე აღნიშნულ შეხედულებას არავითარი გავლენა არ ჰქონდა.

იუსტინიანეს სამართლის მიხედვით, მამა და შვილები იძენდნენ ყოველივე იმას, რაც მათ ხელში არ გადადიოდა. სრულწლოვანების შემდეგ, მამის ხელქვეით შვილებს შეეძლოთ საკუთარ თავზე ვალდებულებების დამოუკიდებლად მიღება.

კლასიკურ პერიოდში შეიძლებოდა ხელქვეითი შვილების წინააღმდეგ საჩივრის აღძვრა და ვალაუვალობის გამო მათი დასჯა.

მ. ბარტოშეკი ტერმინს *patria potestas* შემდეგნაირად განმარტავს: ოჯახის უფროსის სამისდღეშიო და აბსოლუტური ხელისუფლება როგორც სისხლისმიერ, ისე აყვანილ შვილებზე, მათი ასაკის მიუხედავად.[654]

[654] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 239.

იუსტინიანეს ინსტიტუციებში ნათქვამია: „მამის ხელისუფლება, რომელიც ბავშვებზე გვაქვს, მხოლოდ რომაელი მოქალაქეებისათვის არის დამახასიათებელი; რამეთუ არ არსებობს სხვა ხალხი, რომელსაც ისეთივე ხელისუფლება ჰქონდეს შვილებზე, როგორიც ჩვენ, რომაელებს გვაქვს.“[655]

ოჯახის უფროსი შეიძლება ოჯახის მამრობითი სქესის აღმავალი ხაზის ასაკით უხუცესი წევრი ყოფილიყო, რომელიც რომაული ოჯახის ერთადერთი თვითხელისუფალი (*persona sui iuris*) იყო; მისი გარდაცვალების შემდეგ ერთ-ერთი ვაჟი, (რომელიც მანამდე *paterfamilias*-ის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა) თავად ხდებოდა *paterfamilias*.

თავდაპირველად, *paterfamilias*-ს თითქმის აბსოლუტური ძალაუფლება ოჯახის ყველა წევრსა და მთელ საოჯახო ქონებაზე უპირობოდ ვრცელდებოდა. სიცოცხლის განმავლობაში იგი მხოლოდ ჩვეულებისა და ზნეობის ნორმებით იზღუდებოდა. მოგვიანებით, მამის ძალაუფლება კანონითაც და ცხოვრების წესითაც შესუსტდა.

ოჯახის ყველა თავისუფალი წევრი ოჯახის უფროსის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, ხოლო ცოლის დაქვემდებარება ორმაგი ხასიათისა იყო: ერთი მხრივ, იგი ქმრის ხელისუფლებას (*manu mariti*), მეორე მხრივ კი, ოჯახის უფროსის (*paterfamilias*) ხელისუფლებას ექვემდებარებოდა.

ამგვარი ხელისუფლების არსი თავად მისი ბუნებით აიხსნებოდა და ოჯახის უფროსის პასუხისმგებლობას უკავშირდებოდა.

მამის ხელისუფლების წარმოიშობოდა:[656]

1. კანონიერ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა ვაჟიშვილის ან ქალიშვილის დაბადებით; 2. დაკანონებით; 3. შვილებით.

მამასახლისის აბსოლუტური ხელისუფლების (*patria potestas*) რამდენიმე სახე არსებობდა:

---

[655] Inst. Iust.1.9. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 23-24.

[656] Gai.,1.55-56. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 21-22; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, Ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 238.

1. პირის სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება მამასახლისის უმთავრესი უფლება იყო, რომელიც მან კლასიკურ პერიოდამდე შეინარჩუნა. აღნიშნული უფლება ძალზე ულმობელი უფლება იყო; ეს უფლება დიონისე ჰალიკარნასელის თანახმად, „სხვა ძველი ხალხების მიერ ტირანულად იყო მიჩნეული". რომაელების ამ უფლების რეალურად გამოყენებისათვის აუცილებელად მიიჩნევდნე საოჯახო საბჭოს მოწვევას. ცენზორს უფლება ჰქონდა ჩარეულიყო მამის გადაწყვეტილებაში. ოჯახის უფროსისადმი დაქვემდებარებულ პირთა სასიკვდილოდ გამეტება უშუალოდ მისი ფუნქცია იყო და საჯარო ხელისუფლებას ეხება, როცა ოჯახის უფროსი დაქვემდებარებულ პირს სჯიდა, ამ დროს მას დისციპლინარული მოსაზრებები ამოძრავებდა.

კონსტანტინეს დროს მამასახლისის ზემოხსენებული უფლება შეიზღუდა; 395 წლიდან კი მას თვითნებურად უმიზეზოდ დაქვემდებარებული პირების სიკვდილით დასჯა აეკრძალა. მკაცრი ღონისძიებების გამოყენება მას აეკრძალა. *Vitae necisque potestas* აკრძალვა იუსტინიანეს კოდექსით დასტურდება.

2. ოჯახის მამას უფლება ჰქონდა ახალშობილი შვილად არ ეღიარებინა. საერთოდ, ოჯახის წევრად და მამის ძალაუფლებაში მყოფ პირად მხოლოდ მამასახლისის მიერ აღიარებული შვილის ხდებოდა. სხვა შემთხვევაში (მაგალითად, აშკარა სიმახინჯისას) ბავშვს თავიდან იცილებდნენ.

3. დაქვემდებარებაში მყოფი პირები ოჯახის უფროსს შეეძლო ზარალის ანაზღაურების ან უბრალოდ, მუშა ხელის გაქირავების მიზნით, მესამე პირებისათვის მანციპაციით გადაეცა (*mancipio dare*).[657] ეს პრაქტიკა რომში ოდითგანვე იყო ცნობილი.

XII დაფის კანონების ინტერპრეტაციის საფუძველზე პონტიფიკოსებმა დადგინეს, რომ კანონში, რომელშიც მოცემულია სიტყვა *filius* მამრობითი სქესის ხელქვეითი პირები იგულისხმებიან და არა დაღმავალი ხაზის ცალკეული პირები და ქალები, რომლებიც *paterfamilias* ხელისუფლებისგან ერთჯერადი მანციპაციით თავისუფლ-დებოდნენ.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, რომში დაიშვებოდა ვაჟიშვილის მანციპირება; რაც შეეხება ქალიშვილს, რჩევის სახით,

[657] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 239.

კანონმდებელი აცხადებდა, რომ ჯობდა ქალიშვილის მანციპაციისაგან ოჯახის უფროსს თავის შეეკავებინა, რათა მომავალში მისი გათხოვება არ გაძნელებოდა.

ამრიგად, პრაქტიკულად ოჯახის უფროსის მიერ მანციპაციის გამოყენება პოსტკლასიკური პერიოდის წყაროებში *noxae deditio* აღარ იხსენიებოდა, ხოლო იუსტინიანეს ინსტიტუციებით იგი გაუქმებულად ცხადდებოდა.

ემანციპაცია იყო წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შვილების ან შვილიშვილების გათავისუფლება მამის ხელისუფლებიდან. ვაჟიშვილის შემხვევაში, ემანციპაცია სამჯერ გამოიყენებოდა, ქალიშვილის მიმართ – მხოლოდ ერთხელ. ვაჟიშვილის მესამე ემანციპაციის შემდეგ, ნდობით აღჭურვილი პირის მიერ მამისათვის შვილის დაბრუნების შედეგად, მამა *parens manumissor*-ი (შვილს ან შვილიშვილს თავის ხელისუფლებიდან განმათავისუფლებელი მშობელი) ხდებოდა. ემანციპაციის შედეგად, ემანციპირებული პირი *sui iuris* ხდებოდა, მაგრამ მის შვილებზე *emancipatio* არ ვრცელდებოდა.

კონსტანტინეს პერიოდიდან მოყოლებული, შვილების უმადურობის შემთხვევაში, მამას შეეძლო უარი ეთქვა შვილების *emancripacio*-ზე. ქრ.შობის VI საუკუნიდან, იმპერატორის რესკრიპტით, არმყოფი შვილების მიმართ ემანციპაციის გამარტივებული ფორმა ან სათანადო დაწესებულებაში მამის უბრალო განცხადება გამოიყენებოდა. ჩვეულებითი სამართლით, მამის ხელისუფლების შეწყვეტის ერთ-ერთი ფორმა იყო ვაჟიშვილის მიერ საკუთარი მეურნეობის შექმნა ან ქალიშვილის გათხოვება.

პოსტკლასიკურ პერიოდში ემანციპაციის აღნიშნული ფორმა მნიშვნელოვნად გამარტივდა: დასავლეთ რომის იმპერიაში არსებული წესის თანახმად, კურიის წინაშე, შვიდი მოწმის თანდასწრებით, მამა აცხადებდა ვაჟის გათავისუფლების შესახებ, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერიაში იმპერატორის რესკრიპტი გამოიცემოდა, ვიდრე 531 წელს ეს არაფრის მთქმელი და მიუღებელი რთული წესი იმპერატორმა იუსტინიანემ საბოლოოდ არ გააუქმა და შესაბამის თანამდებობის პირებთან განცხადების გაკეთება საკმარისად მიიჩნია.

ამრიგად, ძველ რომში მამის ხელისუფლების შეწყვეტას შემდეგი საფუძვლები განაპირობებდა:

1. ოჯახის უფროსის გარდაცვალება. თუ მის ხელისუფლებაში შვილი და შვილიშვილი იყო, მაშინ მამის ხელისუფლება შვილთან და არა შვილიშვილთან მიმართებაში წყდებოდა; 2. დაქვემდებარებულიშვილის გარდაცვალება; 3. მამის მიერ გარკვეული სახის დანაშაულის ჩადენა: ბავშვის მიგდება, უზნეო ცხოვრებისაკენ ქალიშვილის ბიძგება, სისხლისაღრევითი ქორწინების დადება; 4. ხელქვეითი პირის მიერ გარკვეული სასულიერო თუ საერო წოდების მიღება; 5. ემანციპაცია.

VIII. Tutela et cura (მზრუნველობა და მეურვეობა)

Tutela – მზრუნველობა; cura – მეურვეობა; tutela mulierum – მზრუნველობა ქალებზე; tutela impuberum – მზრუნველობა ბავშვებზე; auctoritas – განკარგვის ძალაუფლება, ქმედუნარიანობა; fraus – მზაკვრობა, ვერაგობა; actio tutelae – სარჩელი მზრუნველობაზე; tutela legitima – კანონისმიერი მზურველობა; tutela testamentaria – ანდერძისმიერი მზრუნელობა; tutela dativa – მზრუნველობა მაგისტრატის გადაწყვეტილებით; cura furiosi – მეურვეობა ჭკუასუსტზე; cura prodigi – მზრუნველობა მფლანგველზე.

Tutor და *curator* – ორივე ამ ინსტიტუტით იგულისხმებოდა ყურადღება, მზრუნველობა როგორც პიროვნების, ისე ქონების მიმართ.

Tutela არასრულწლოვნებსა და ქალებზე წესდებოდა, ხოლო *cura* სულით ავადმყოფებზე, მფლანგველებზე, მცირეწლოვნებზე, ავადმყოფებზე, ზოგჯერ არასრულწლოვნებზე.

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა მისი დაბადების მომენტიდან წარმოიშობოდა და ემპირიულად დგინდებოდა. ცნობილი რომაელი იურისტის ლაბეონის მიმდევრები ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის წარმოშობის აუცილებელ, სავალდებულო მომენტად ბავშვის ყვირილს მიიჩნევდნენ; მაშინ, როდესაც მეორე სკოლის წარმომადგენელთა აზრით, საამისოდ სიცოცხლის ნებისმიერი ნიშნის გამოვლინებაც კმაროდა. იურიდიული თვალსაზრისით, ადამიანის მსგავსი ადამიანის – *monstrum* – დაბადება მნიშვნელოვან მოვლენად არ მიიჩნეოდა. პაულუსი წერს: „დაბადებით

თავისუფალ ბავშვად არ ითვლება ის, ვინც ადამიანთა მოდგმის ჩვეულებრივისაგან განსხვავებული გარეგნობით იბადება, მაგალითად, როდესაც ქალი რაღაც გონჯსა და მახინჯს შობს, მაგრამ ნაყოფი, რომელსაც სხეულის ნაწილები გამრავლებული აქვს, რამდენადმე სრულყოფილად ითვლება და ამიტომ მას დაბადებით თავისუფალთა კატეგორიას მიაკუთვნებენ."[658]

თუმცა, თუ ნორმიდან გამონაკლისი დასაშვები იყო, როცა მაშინ მახინჯი იურიდიული გაგებით პირად განიხილებოდა. აიმს შესახებ რომაელი იურისტი ულპიანე წერს: „შესაძლოა დაიბადოს კითხვა: თუ ქალი ამქვეყნად მოავლენს მახინჯს ან დამბლადაცემულს, რომელიც უჩვეულო სახის ან ხმის გამო ცხოველს უფრო ჩამოჰგავს, ვიდრე ადამიანს, ჩაითვლება თუ არა იგი მშობელ დედად? უფრო გონივრულია საკითხი გადაწყდეს დადებითად, რადგან ამის გამო ვერც მამას დაადანაშაულებენ და ვერც დედას, რომლებიც, თავიანთი მხრივ, შეძლებისდაგვარად, აკმაყოფილებდნენ საკუთარ მოვალეობებს; ხოლო ის, რაც მოხდა, უბედური შემთხვევის გამო, ამისათვის პასუხი დედას არ მოეთხოვება".[659]

მართალია, ბავშვის ჩასახვის მომენტს მისი სტატუსის განსაზღვრის მიზნით ექცეოდა ყურადღება, მაგრამ თავად ჩანასახი სამართლის სუბიექტად არ მიიჩნეოდა. თუ ნაყოფის არსებობა ზოგჯერ ადამიანის ბუნებრივ არსებობას უთანაბრდებოდა – „ვინც მუცლად არის, თითქმის მთელი სამოქალაქო სამართლით [უკვე] დაბადებულად განიხილება."[660] ორსული ქალის მოთხოვნით პრეტორი მუცლად მყოფ ბავშვს უნიშნავდა მზურნველს, რომლის ფუნქცია იყო იმ ქონების მართვა, რომელსაც დაბადების შემთხვევაში ბავშვი მიიღებდა.

თავდაპირველად, მზრუნველის დანიშვნა არასრულწლოვანებს ქონების გასხვისებისა და ხელშეკრულებით მოვალეობების მიღების შესაძლებლობას არ ართმევდა; მაგრამ თუ ისინი ამით დაზარალ-

---

[658] D.1.5.14. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 90.

[659] D.50.16.135. Digesta Iustiniani, T.IV книги XX-XXVII, Отв. ред. Л.Л. Кофанов, Москва, Статут, 2004, 487.

[660] D.1.5.26. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 92.

დებოდნენ, მაშინ რესტიტუციის უფლებას მიიღებდნენ.

დაბოლოს, მზრუნველობას დაქვემდებარებული არასრულწლოვნები დიოკლეტიანემ საკუთარი ქონების გასხვისების უფლებაუუნაროდ გამოაცხადა. აქედან გამომდინარე, ქონებაზე ხელშეკრულების დადება მხოლოდ იმ პირობით შეეძლოთ, თუ ამით მათი ქონებრივი მდგომარეობა არ უარესდებოდა.

მცირეწლოვანი პირი სრულწლოვანების მიღწევამდე ქმედუუნარო იყო. ამის გამო, გარიგებებში მონაწილეობისათვის მას მეურვედ ზრდასრული მამაკაცი (*tutela impuberum*), ხოლო *sui iuris* ქალს (ასაკის მიუხედავად) *tutela mulierum* ენიშნებოდა.

იმისთვის, რომ მეურვეობაში მყოფ პირს იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება განეხორციელებინა, მეურვის თანხმობა და მის მიერ დამოწმებული აქტი იყო საჭირო. გარიგების დამდები იყო მეურვე.

სრულწოვან ქალს ანდერძის შესადგენად, უძრავი ქონების გასასხვისებლად, უზუფრუქტის დასადგენად, ასევე *stipulatio*-სა და *acceptilatio*-ს განსახორციელებლად მეურვე ესაჭიროებოდა. მცირეწლოვანის მიერ მეურვის გარეშე დადეული გარიგება, როგორც *obliogatio naturalis*, გვიან პერიოდს განეკუთვნებას და მართალია ასეთი გარიგების ნამდვილობას არ უარყოფდა, მაგრამ არც ბათილად მიიჩნევდა.

წინაკლასიკურ პერიოდში, თუ ქალის მეურვე იყო არა აგნატი ნათესავი, მაშინ მას სიმბოლური ფუნქცია ჰქონდა, რამეთუ იგი, თავისივე ნების საპირისპიროდ, შეიძლება პრეტორს ეიძულებინა *auctoritas* (*auctor fieri*) მიეცა.

მაშასადამე, ფაქტობრივად, მეურვის ინსტიტუტი ქმედუნარიანობის ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოიყენებოდა და განისაზღვრებოდა ფორმალურად, ხოლო სამეურვეო პირის ფსიქოლოგიური ასპექტი მეორეხარისხოვანი იყო.

თავდაპირველად, მეურვეობის საფუძველი ნდობა და პირადი კავშირები იყო, რაც სამოქალაქო ურთიერთობაში ერთ მთლიან პირად აღიქმებოდა. მეურვე მფლობელობასა და საკუთრებას იძენდა, ხოლო ნივთებს უშუალოდ სამეურვეო პირის ინტერესებიდან გამომდინარე ასხვისებდა; თუ სამეურვეო პირის ქონებიდან მეურვე რაიმეს თავის სასარგებლოდ შეიძენდა, მაშინ იგი ანალოგიაზე დაფუძნებული პრეტორის სარჩელით საკუთრების ან ფუ-

ლის დაბრუნების შესახებ პასუხს აგებს.

მეურვის მიერ ნდობის დარღვევა მზაკვრობად განიხილებოდა და დასჯადად ცხადდებოდა. რომაელი იურისტი ულპიანე მეურვის პასუხისმგებლობის საფუძვლად ასახელებს ბოროტ განზრახვას, რაც ვლინდებოდა არაკეთილსინდისიერებით, წუწურაქობით, მოტყუებით ან მისი ნივთების მითვისებით, რაც სამეურვეო პირს ზიანს აყენებდა.[661] ტერმინების *dolus* – ბოროტი განზრახვა და *fraus* – ანგარება, მზაკვრობა, პარალელურად გამოიყენებოდა ტერმინი *corrupta fides* .[662]

მეურვისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება *cognitio*-ს ფორმით ხდება. მეურვე, რომელიც განზრახ და თაღლითურად მიაყენებდა ზიანს სამეურვეო პირს და *cognitio*-ს წარმოებაში მისი ბრალი დადასტურდებოდა, მაგისტრატი ასეთ მეურვეს არასანდო პირად გამოაცხადებდა და მეურვეობის უფლებას ართმევდა.

სავარაუდოდ, არქაულ პერიოდში სასამართლო პროცესი *legis actio sacramento in personam*-ის ფორმით წარიმართებოდა. *Accusatio suspecti tutoris*-ი ანდერძით დანიშნული მეურვის მიმართ გამოიყენებოდა. მეურვეობის დასრულების შემდეგ, კანონიერ მეურვეს ბოროტი ქმედებებისათვის სარჩელით *actio rationibus distrahendis*-ით პასუხი მოეთხოვებოდა. აღნიშნული სარჩელი XII დაფის კანონებს ეფუძნებოდა. ყოფილი მეურვე ორმაგად ისჯებოდა.[663] მეურვის ქმედება ღალატად მიიჩნეოდა და დანაშაულის კვალიფიკაცია ეძლეოდა.

წინაკლასიკურ პერიოდში დადგინდა *bonae fidei*-ს ერთ-ერთ უძველეს სარჩელთაგანი – *actio tutelae*, რომლითაც მეურვეობასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ზარალის ანაზღაურება ხდებოდა; მათ შორის, ყოფილი სამეურვეო პირის მიერ მეურვისათვის მიყენებული ზარალისაც. ამ შემთხვევაში, ყოფილი მეურვე იღებდა სარჩელს *actio tutelae contraria* ყოფილი სამეურვეო პირის წინააღმდეგ.

---

[661] D.26.10.1.2. Digesta Iustiniani. T.IV книги XX-XXVII, Отв. ред. Л.Л. Кофанов, Москва, Статут, 2004, 663.

[662] corrupta fides – ნდობადაკარგული პირი.

[663] D.27.3.2.2. Digesta Iustiniani, T.IV книги XX-XXVII, Отв. ред. Л.Л. Кофанов, Москва, Статут, 2004, 725.

ქრ.შობამდე 210 წ. ატილიუსის კანონით,[664] უმეურვეოდ დარჩენილ პირებს, მეურვეს მაგისტრატი უნიშნავდა. იუსტინიანეს დროს, მაგისტრატის გადაწყვეტილებით დანიშნული მეურვეს, კლასიკური პერიოდის ანდერძით დანიშნული მეურვის მსგავსად, *tutor datives* ეწოდებოდა. აღნიშნული სამეურვეო ურთიერთობები რეგულირდებოდა სარჩელით *actio tutelae*.

წინაკლასიკური პერიოდის იურისტები მეურვის დანიშვნის რამდენიმე საფუძველს ასახელებდნენ. კვინტუს მუციუსი მეურვეობის ხუთ სახეს განასხვავებდა, სერვიუს სულპიციუსი – სამს (1. *tutela testamentaria*, 2. *tutela legitima* და 3. *tutela dativa*), ლაბეონი მხოლოდ ორს (1. *tutela impuberum* და 2. *tutela mulierum*). გაიუსის თანახმად, მეურვეობის იმდენივე გვარი იყო, რამდენიც სახე.

მეურვეობის უძველესი ფორმა იყო *tutela legitima*, რომლის თანახმადაც, ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ არასრულწლოვნები და ქალები *sui iuris* პირები ხდებოდნენ და მათ მეურვედ უახლოესი აგნატი ან კოგნატი ნათესავი ენიშნებოდათ.

მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლები იყო: 1. საერთო საფუძველი იყო: სამეურვეო პირი გარდაცვლება, სრულწლოვნობის მიღწევა, *persona sui iuris* სტატუსს მოპოვება, ავადმყოფი სამეურვეო პირი გამოჯანმრთელება, მფლანგველის შემთხვევაში კი – მისი გამოსწორება; 2. მეურვის გარდაცვალება, მეურვის უფლების დაკარგვა (ასეთ შემთხვევაში ახალი მეურვე ინიშნებოდა); 3. სამეურვეო პირის გარდაცვალება, მეურვის ულირსი საქციელი.

რომის სამართალში, სამეურვეო ინსიტიტუტის მსგავსად, არსებობდა ერთი ინსტიტუტიც, რომელსაც ახალი დროის იურისტები *protutor*-ის ინსტიტუტს უწოდებდნენ. *Protutor, procurator* სამეურვეო პირის ქონებას განკარგვად, მისი აქტების განხილვის დროს მხედველობაში მიიღებოდა *protutor*-ის დამოკიდებულება სამეურვეო პირსა და მესამე პირებთან.

1. სამეურვეო პირთან მიმართებით, *protutor* საკუთარ თავს ავალდებულებდა და უფლებებს იძენდა *negotiorum gestor*-ის სახით; სამეურვეო პირსა და *protutor*-ს შორის სარჩელს *action protutela edirecta* და *contraria* ეწოდება; 2. მესამე პირებთან მიმართებით, *protutor*-ს სამეურვეო პირად გამოსვლის უფლებამოსილი არ ჰქონ-

[664] lex Atilia – ატილიუსის კანონი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 184.

და; ამიტომ *protutor*-ის მიერ დადებული გარიგებით მესამე პირების მიმართ სამეურვეო პირს ვალდებულება არ ეკისრებოდა. თუ *protutor* საზიანო გარიგებას დადებდა, მაშინ მესამე პირისათვის ზარალის ანაზღაურება ეკისრებოდა.

არქაული პერიოდის სამართლის თანახმად, თავისუფალი პირები, რომლებიც ქონებას ფლობდნენ, მაგრამ მისი დამოუკიდებლად მართვა არ შეეძლოთ, ყოველი შემთხვევისათვის, დაცვას საჭიროებდნენ. ასეთ პირებად მიჩნეულნი იყვნენ: ასაკის გამო – არასრულწლოვანები, სქესის გამო – ქალები, ქმედუუნარობის გამო – ჭკუასუსტები და მფლანგველები. ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ, არასრულწლოვანი და ქალი მეურვეობას, ხოლო ჭკუასუსტი და მფლანგველი, მათი ქმედუუნარობის აღიარებისთანავე, მზრუნველის მეთვალყურეობას ექვემდებარებოდნენ.

ქალების მიმართ მეურვეობის ინსტიტუტის გაუქმება დაკავშირებულია, ავგუსტუსის ეპოქაში მიღებულ ***lex Iuliae et Papia Poppea***-სთან, რომლის თანახმად, ქალი თავისუფლდებოდა მეურვეობიდან, თუ თავისუფლადშობილ, ქვრივ *matrona*-ს აღსაზრდელად და სარჩენად სამი მცირეწლოვანი შვილი, ხოლო გააზატებულს – ოთხი მცირეწლოვანი შვილი რჩებოდა. იმპერატორ კლავდიუსის მმართველობის პერიოდში საერთოდ გაუქმდა ***tutela mulierum legitima***. დაბოლოს, იმპერატორ დიოკლეტიანეს დროიდან მოყოლებული, აღნიშნული ინსტიტუტი საერთოდ გაქრა.

ამრიგად, მეურვე იყო ანდერძით დანიშნული პირი ან ახლო ნათესავი, რომელიც მემკვიდრეობის მართვას თავის თავზე იღებდა. თავდაპირველად, სამეურვეო პირის ქონება ოჯახში იყო და მეურვის მიერ იმართებოდა.

როდესაც აგნატური ოჯახის უწინდელი რაობა დაიკარგა, მეურვეობამ და მზრუნველობამ სამეურვეო პირის დაცვითი ხასიათი შეიძინა და საზოგადოებრივი მოვალეობად განიხილებოდა; ქალებზე მეურვეობის გაუქმების შემდეგ, ორი ინსტიტუტი – მეურვეობა და მზრუნველობა საბოლოოდ შეერწყა ერთმანეთს.

თავი VII. რომის სანივთო სამართალი

ძველ რომში ადამიანებს შორის ნივთების[665] თაობაზე წარმოქმნილი ურთიერთობები სანივთო სამართლით წესრიგდებოდა, რომლითაც ცალკეულ პირთა ან პირთა ჯგუფებისათვის ნივთების კუთვნილების ფორმა და მათი სრული განკარგვის დადგენა ხდებოდა. ნივთზე საკუთრების უფლების[666] საფუძველზე, ნივთის მიმართ მის მესაკუთრეს აბსოლუტური სამართლებრივი პოზიცია ჰქონდა. ნივთზე საკუთრების უფლების შესახებ გამართულ სასამართლო პროცესზე[667] მესაკუთრეს, ნებისმიერ მესამე პირზე – მათ შორის, იმავე ნივთზე რაიმე სხვა უფლების მქონეზეც კი, გაცილებით მყარი სამართლებრივი მდგომარეობა ჰქონდა. ამიტომ საკუთრების უფლებით ყოველგვარი სამართლებრივი შეზღუდვის გარეშე, ნივთზე პირის აბსტრაქტული საკუთრების უფლება[668] სრული მოცულობით იგულისხმებოდა. მაშასადამე, მხოლოდ მესაკუთრეს შეეძლო ეთქვა, რომ მას ნივთზე საკუთრების უფლება ენიჭებოდა.[669] თუმცა, ნივთზე უფლებასა და ნივთის უშუალო ფლობას რომაელი სამართალმცოდნეები (*prudentes*) ყველა შემთხვევაში როდი განასხვავებდნენ ერთმანეთისგან.[670] ფაქტია, ნივთის კუთვნილების ფორმები მხოლოდ საკუთრების უფლებით არ ამოიწურებოდა. ნებისმიერი ნივთი მთელი რიგი ისეთი თვისებებით ხასიათდებოდა, რომელთა გამოყენება სხვა პირებს – არამესაკუთრეებსაც შეეძლოთ. აღნიშნული უფლებები უშუალო ობიექტს უკავშირდებოდა და სრულიად რეალური, ნებისმიერი სხვა პირისათვის სავალდებულო და მნიშვნელოვანი იყო.

სანივთო სამართლით ნივთზე სუბიექტის პირადი ნებისა და

---

[665] res, rem. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 274.

[666] dominium – ნივთზე საკუთრების უფლება. იქვე, 113-114.

[667] in rem – ნივთის საკუთრებაზე გამართული პროცესი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 33.

[668] proprietas – ნივთზე პირის აბსტრაქტული საკუთრების უფლება. იქვე, 113-114, 263.

[669] meum esse aio – ნივთი მხოლოდ მას ეკუთვნის. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 334.

[670] იქვე.

მისი განკარგვის შესაძლებლობის დადგენა ხდებოდა. მიუხედავად იმისა, ინდივიდი პირთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ყველაზე სრულყოფილად ნების ავტონომიურობა, ნივთის გამო რეალურ სამართლებრივ ურთიერთობებში პირის ინდივიდიალურ სუბიექტად ჩაბმით ვლინდებოდა.[671] აქედან გამომდინარე, სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით, სანივთო ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგება ხელს უწყობდა ინდივიდის პოზიციის განმტკიცებასა და მისი ნების ავტონომიურობის აღიარებას.

I. ქონება

Familia pecuniaque – მონებისა და საქონლის ერთობლიობა; familia – მთელი ქონება; patrimonium – მამული.

რომაელები თანდათანობით იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სამეურნეო დანიშნულების ერთიანი ქონებრივი კომპლექსი არსებობდა. მოქალაქეთა ქონების ყველაზე ძველი განსაზღვრება (მონებისა და საქონლის ერთობლიობა[672]) XII დაფის კანონებშია[673] მოცემული. მოგვიანებით კი, *familia*-დ მთელი ქონება აღინიშნებოდა. ქონების ცნება ცივილური სამართლით დამკვიდრდა, რომელიც ოჯახის უფროსის შრომით იყო მოპოვებული. მას მამული ეწოდებოდა და შესაბამისი საკულტო მოვალეობების გათვალისწინებით, მემკვიდრეებს გადაეცემოდა.[674]

პრეტორულ სამართალში ზოგჯერ გვხვდება ტერმინი „მამის“ და „პაპის“ ქონება. თუმცა ქონებაში იგულისხმებოდა ყოველივე ის, რაც აღნიშნული პირის კუთვნილება იყო, მიუხედავად იმისა, ქონება მან შეიძინა თუ მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული. მესაკუთრის სიცოცხლეში მისი სიკეთე (ქონება), კრედიტორისათვის ვალის გადახდის გარანტიას წარმოადგენდა.

---

[671] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 298.

[672] familia pecuniaque – მონებისა და საქონლის ერთობლიობა. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 92-93.

[673] Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2009, 66-68.

[674] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 93.

II. Res (ნივთები)

Res divini iuris – ღვთაებრივი სამართლის ნივთები; res humani iuris – ადამიანთა სამართლის ნივთები; res sacrae – წმინდა ნივთები; res religiosae – სათაყვანებელი ნივთები; religiosus locus – სათაყვანებელი ადგილები; ius sacrum – საკრალური სამართალი; res privatae – კერძო ნივთები; bona – ბრუნვაში არსებული ქონება; res publicae – საჯარო ნივთები; res nullius – არავის ნივთები; in bonis esse – ბრუნვიდან ამოღებული ნივთები; res in commercio – ბრუნვაში არსებული ნივთები; res extra commercium – ბრუნვიდან ამოღებული ნივთები; res in usu publico – საჯარო სარგებლობის ნივთები; sacrum – საკულტო ნივთები.

გაიუსის თანახმად, გარდა ქონებისა, არსებობდა ისეთი ნივთიც, რომელიც ასევე იურიდიულ ურთიერთობებსა და უფლებებს წარმოადგენდა. *Summa itaque rerum diviso in duos articulos diducitur: nam aliae sunt divini iuris, aliae humani*[675] – ამრიგად, ნივთები, ძირითადად, ორ კატეგორიად იყოფოდა: ღვთაებრივი სამართლის ნივთებად და ადამიანთა სამართლის ნივთებად. ღვთაებრივ, ბუნებრივ ძალად მთელი საზოგადოების მიერ აღიარებული შეხედულებები მოიაზრებოდა. ამდენად, თითოეული ინდივიდის ნება ღვთაების ნებას ექვემდებარებოდა. ამა თუ იმ ნივთის ღვთის კუთვნილებად აღიარებით, აღნიშნული ნივთი თავისუფალი ნების ქმედების სფეროს აღარ განეკუთვნებოდა და მისი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღება ხდებოდა. ბრუნვაში არსებული ნივთების სახით, აღნიშნული ნივთები არავის ეკუთვნოდა:[676] *Quod autem divini iuris est, id nullius in bonis est* – ის, რაც ღვთაებრივ სამართალს მიეკუთვნება, არ შეიძლება ვინმეს ქონებაში იმყოფებოდეს.[677] ღვთაებრივი სამართ-

[675] Gai., 2.2. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2011, 57; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 300-301; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 97-99; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 336-337.

[676] Gai., 2.9. იქვე, 58.

[677] Gai., 2.3. იქვე, 57; D.1.8.1pr. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. ნიგნი პირველი. ნიგნი მეორე. გამოსცა ნ.

ლის ნივთების კატეგორიას რომაელები მიაკუთვნებდნენ წმინდა ნივთებსა და სათაყვანებელ ნივთებს.[678] საჯარო გადაწყვეტილების საფუძველზე, ნივთების პირველი კატეგორია ღვთაების კუთვნილებად მიიჩნეოდა,[679] ხოლო მეორე კატეგორიას განეკუთვნებოდა ისეთი ნივთები, რომლებიც ადამიანის საქმიანობით სათაყვანებელ ადგილებად მიიჩნეოდა, ანუ ეს იყო წინაპართა საფლავები.[680] ნივთის წმინდა ნივთად აღიარებისათვის მხოლოდ კერძო ინიციატივა არ კმაროდა, ხოლო ნივთის სათაყვანებლად აღიარება კი, მხოლოდ კვირიტულ მესაკუთრეს (*dominus*) შეეძლო.[681] ღვთაებრივი სამართლის ნივთები მხოლოდ საკრალური სამართლით მოწესრიგებას ექვემდებარებოდა და სამოქალაქო სამართლის ნორმები მათზე არ ვრცელდებოდა. ამიტომ პროვინციებში, სადაც მიწა *dominium ex iure Quiritium*-ის ობიექტი არ იყო, სასაფლაოები სათაყვანებელ ადგილებად არ მიიჩნეოდა, თუმცა, ფაქტობრივად, მაინც ასეთებად ითვლებოდა.[682]

Hae autem quae humani iuris sunt, aut publicae sunt aut privatae – ხოლო ის ნივთები, რომლებიც ადამიანთა სამართალს განეკუთვნება, საჯარო ან კერძო ნივთებად იყოფა.[683] ნივთების ამ კატეგორიათა პარალელურად არსებობდა ისეთი ნივთები, რომელთაც საზოგადოების წევრები კერძო პირთა სახით ფლობდნენ. *Privatae sunt quae singulorum hominum sunt* – კერძოა ის ნივთები, რომლებიც ცალკეულ ადამიანებს ეკუთვნის.[684]

ტერმინი *singulus* (*privatus* უძველესი ექვივალენტი) ამ ცნების არსს ყველაზე ზუსტად ასახავდა: ეს იყო ინდივიდი, დანარჩენ სუბიექტთაგან განცალკევებული პირი. აღნიშნული ცნებით, ყურადღება ცალკეული სუბიექტის დამოუკიდებელ როლსა და მის ავტონომიურობაზეა გამახვილებული, რაც სამართალზე დაფუძნებ-

---

სურგულაძემ. თბილისი. 2012, 108-109.

[678] Gai., 2.5. იქვე, 57

[679] D.1.8.6.3; D.1.8.9pr.1. იქვე, 110-111.

[680] Gai.,2.6. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2011, 57; D.1.8.6.4. იქვე, 110-111.

[681] Gai., 2.7. იქვე; D.1.8.6.4. იქვე.

[682] Gai., 2.7. იქვე.

[683] Gai., 2.10. იქვე, 58.

[684] Gai., 2.11. იქვე.

ული საზოგადოების, სოციუმის, მთავარ სუბიექტად თავისუფალ ინდივიდს ამკვიდრებდა.

აღნიშნული მოსაზრება სამოქალაქო ბრუნვის, როგორც კავშირების სისტემის ახსნა-განმარტებაში აისახა. ბრუნვაში არსებული ქონება[685] – ის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ობიექტი იყო, რომლის ინდივიდუალურად განკარგვაც ხელისუფლების პრეროგატივად იქცა.

Quae publicae sunt, nullius videntur in bonis esse: ipsius enim universitatis esse creduntur -ის ნივთები, რომლებიც საჯაროა, ვინმეს ბრუნვადი ქონება ვერ იქნება, მათ როგორც თემის საკუთრებას ისე განიხილავენ.[686] ცნებას *nullius in bonis*[687] გაიუსი იყენებს არა მხოლოდ საღვთო სამართლის ნივთებისა და საჯარო ნივთების, არამედ იმ კერძო ნივთების აღსანიშნავად, რომელთაც აქტუალური მესაკუთრე არ ჰყავდათ (არავის ნივთები), ანუ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე არსებული ქონება. გაიუსი წერდა: *...modo videamus de rebus: quae vel in nostro patrimonio sunt vel extra nobstrum patrimonium habentur* – ...ახლა განვიხილოთ ნივთები: ისინი ან ჩვენი მფლობელობის სფეროში არიან, ან ჩვენი მფლობელობის სფეროს მიღმა.[688]

თუმცა, ცნებაში „ჩვენი ქონება" (*in nostro patrimonium*) იგულისხმებოდა ადამიანთა სამართლის ნივთების კატეგორიის ის ნივთებიც, რომლებიც განსაკუთრებული წესით განკარგვას ექვემდებარებოდა, ანუ ბრუნვიდან ამოღებული ქონება.

ნივთთა გამიჯვნა „ჩვენს ქონებაში და ჩვენი ქონების მიღმა" („*extra nostrum patrimonium*") მხოლოდ გაიუსთან გვხვდება. სხვა სამართალმცოდნეები განასხვავებდნენ ბრუნვაში არსებულ და ბრუნვიდან ამოღებულ ნივთებს. რომაელი იურისტი ცელსუსი ყიდვა-გაყიდვის კონტექსტში ბრუნვიდან ამოღებულ ნივთებს სათაყვანებელი ნივთების საპირისპიროდ მიიჩნევდა: *...ut sacra et re-*

---

[685] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 130.

[686] Gai.,2.11. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 58.

[687] Gai.,2.9. იქვე; D.1.8.1pr. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 108-109.

[688] Gai.,2.1. იქვე, 57.

ligiosae loca aut quorum commercium no sit, ut publicae, quae non in pecunia populi, sed in publico usu habeantur, ut est campus Martius – როგორც წმინდა და სათავყვანებელი მიწები ან ისეთი, რომლებიც ბრუნვიდან არიან ამოღებული; როგორც საჯარო ნივთები, რომლებიც ხალხის ქონებას არ განეკუთვნება, მარსის მოედნის მსგავსად, საჯარო სარგებ-ლობას ექვემდებარებიან.[689]

საჯარო სარგებლობის ნივთები ბრუნვიდან ამოღებულ ნივთებად ითვლებოდა (მათ რიგს განეკუთვნებოდა, სახელმწიფოსა და კერძო პირებს შორის გარიგებების დადებისას გამოყენებული, ბრუნვიდან ამოღებული ნივთები). საჯარო ნივთების კატეგორიის ნივთთა შორის არსებული განსხვავება, გაიუსის აზრის საპირისპიროა, რადგან ყველა საჯარო ნივთს, ღვთაებრივი სამართლის ნივთების მსგავსად, არავის ნივთების კატეგორიად მიიჩნევდნენ. სინამდვილეში კი, მათ შორის სხვაობა არ არსებობდა.

გაიუსის მგავსად, რომაელი იურისტის მარციანეს თანახმად, ღვთაებრივი სამართლის ნივთები არავის ბრუნვადი ქონება არ შეიძლება იყოს[690] და კუთვნილების სუბიექტების მიხედვით (იერარქიული სისტემით), ნივთებს შემდეგ ჯგუფებად ყოფდა: *Quaedam naturali iure communia sunt omnium, quaedam universitatis, quaedam nullius, pleraque singulorum, quae variis ex causis cuique adquiruntur* – ბუნებითი სამართლის მიხედვით, ზოგიერთი ნივთი არის ყველასთვის საერთო, ზოგი, როგორც მთლიანი, განეკუთვნება ერთს, ზოგიერთი – არავის, ხოლო ნივთების დიდი ნაწილი ეკუთვნის კერძო პირებს და ამ ნივთების შეძენა სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით ხდება.[691] ბუნებითი სამართლის თანახმად, ნივთების პირველ კატეგორიას განეკუთვნება ჰაერი, ზღვა, ზღვის ნაპირი, გამდინარე წყალი, ხოლო თვით მდინარეს, მარციანე საჯარო ნივთად მიიჩნევდა.[692] ამ კატეგორიის ნივთების საყოველთაო კუთვნილებას, ის ცალკეულ პირთა საკუთრების უფლებას უპირისპირებდა.[693]

---

[689] D.18.1.6 pr. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов, Москва, Статут, 2004, с.561.

[690] In nullius bonis sunt – არავის ბრუნვადი ქონება. D.1.8.6.2. რომის სამართლის ძეგლები. ოსტრინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. ნიგნი პირველი. ნიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 110.

[691] Marc., 3 inst., D.1.8.2.pr. იქვე, 109.

[692] D.1.8.2.1. იქვე, 109.

[693] D.1.8.6.pr. – Solum dominus. იქვე, 110.

§1. Res extra commercium (ბრუნვიდან ამოღებული ნივთები)[694]

1. ჰაერი, გამდინარე წყალი, ზღვა და მთელი სიმდიდრე; 2. საჯარო ნივთები; ამ ნივთების ძირითადი მეპატრონე რომაელი ხალხი იყო; 3. საერთო საზოგადოებრივი გამოყენების ნივთები (გზები, მდინარეები); 4. საკულტო ნივთები.

ცალკეული სამოქალაქო თემის ნივთთა[695] რიგს განეკუთვნებოდა თეატრები და სტადიონები – სამოქალაქო თემების საერთო ნივთები[696] ანუ *res in publico usu*. ნივთის ინდივიდუალურ კუთვნილებას საზოგადოებრივი ერთეულების კუთვნილებისაგან, გაიუსის მსგავსად, მარციანეც განასხვავებდა. გაიუსის მიერ შემოთავაზებული ნივთთა კლასიფიკაციის კრიტერიუმის უნივერსალურობა (*in bonis esse*), შეესაბამება იმას, რომ სისტემატიზაციის საფუძველში დევს ნივთის კუთვნილების იდეა (ამ იდეის ყველაზე ადეკვატურ ფორმაში), ანუ ინდივიდუალური საკუთრება.

რომაელი იურისტი ცელსუსი,[697] *in pecunia populi*-ზე საუბრისას, კომერციული საქმიანობისათვის განკუთვნილ საჯარო ნივთებს სახელმწიფოს ინდივიდუალიზებული საკუთრების ობიექტებად განიხილავდა.

---

[694] Gai.,2.9. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 58; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 300-301; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 96; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 336-340.

[695] Res quae universitatis sunt – ცალკეული სამოქალაქო თემის ნივთები. D.1.8.6.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 110.

[696] D.1.8.6.1. communia civitatum – სამოქალაქო თემების საერთო ნივთები. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 110.

[697] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 340.

§2. Res corporales et res incorporales

(სხეულებრივი და უსხეულო ნივთები)

გაიუსი ნივთების კიდევ ერთ კატეგორის გამოყოფდა – სხეულებრივსა[698] და უსხეულო[699] ნივთებს.[700] სხეულებრივია ის ნივთები, რომელთა შეგრძნებაც შესაძლებელია გრძნობის ორგანოებით,[701] უსხეულო ნივთები კი არ შეიგრძნობა (*quae tangi non possunt*). *Res incorporales*-ის ნივთების მაგალითად *Gaius*-ს მოჰყავდა მემკვიდრეობა, უზუფრუქტი და ვალდებულებები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ *res incorporales* კატეგორიაში *Gaius*-ი არ ასახელებდა საკუთრების უფლებას: რომაელი იურისტები ვერ ასხვავებდნენ საკუთრების უფლებას ნივთზე და საკუთრივ ნივთებს, რის გამოც საკუთრების უფლებას ისინი მიაკუთვნებდნენ სხეულებრივი ნივთების[702] კატეგორიას.

§3. Res mobiles et res immobiles (მოძრავი და უძრავი ნივთები)

რომის სამართლით, ნივთთა მოძრავ და უძრავ ნივთებად დაყოფას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა – ორივე სახის ნივთები

---

[698] res corporales – სხეულებრივი ნივთები. Gai.,2.12-13. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 58; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 298; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 93-94; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 358-360.

[699] res incorporales – უსხეულო ნივთები. Gai.,2.14. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 58.

[700] Gai., 2.13-14. იქვე; Gai.,2.28-37. იქვე, 61-63; Inst. Iust. 2.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძე, თბილისი, 2002, 65.

[701] quae tangi possunt- გრძნობის ორგანოები.

[702] corpora – სხეულებრივი ნივთები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 92.

ერთი და იგივე იურიდიული ნორმებით იყო დაცული.[703] უძრავ ნივთებს განეკუთვნებოდა არა მარტო მიწის ნაკვეთი (*praedia, fundi*) და მიწის წიაღი, არამედ მიწის ზედაპირზე სხვისი ან მესაკუთრის შრომით შექმნილი სიკეთე, რომელიც მიწის ზედაპირის ხელოვნურ ან ბუნებრივ ნაწილად ითვლებოდა. ამ ნივთებზე ვრცელდებოდა წესი მიწის ზედაპირზე შექმნილის *superficies soli* თაობაზე, რომელიც მიწის ზედაპირისაგან ისევე განუყოფელი იყო, როგორც მიწის ზედაპირის საჰაერო სივრცე მოიაზრებოდა მის ნაწილად.

მოძრავი ნივთები (*res mobiles an per re moventis*) ავეჯი, საყოფაცხოვრებო საგნები, მონები, ცხოველები იყო. პრინციპატის პერიოდში ნივთების ასეთმა დაყოფამ უფრო ფართო, აშკარა სახე და მკვეთრი ხასიათი მიიღო. ამ დროისთვის უძრავ ნივთებზეც საბოლოოდ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული უფლებები, კერძოდ: სუპერფიციუმი, ემფითევზისი. უფლებების შეძენა მფლობელობის ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრით (2 წელი უძრავ ნივთებზე, 1 წელი მოძრავ ნივთებზე) ხდებოდა. თანაც ყველა უძრავ ნივთზე ერთნაირი სამართლებრივი რეგლამენტაცია როდი იყო დადგენილი. კერძოდ, მიწის ნაკვეთები ადგილმდებარეობისა და სამეურნეო დანიშნულების მიხედვით განსხვავებულად წესრიგდებოდა. ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ ქალაქის განაშენიანებასა[704] და სოფლად მდებარე სამეურნეო მიწის ნაკვეთებს (*praedia rustica*): მინდორი, საძოვარი, ტყე, სასოფლო ქოხები, ასევე იტალიისა და პროვინციის მიწის ნაკვეთები

[703] Gai.,2.15. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 59; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 303-304; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 99.

[704] praedia urbana – ქალაქის განაშენიანება.

§4. Familia et pecunia

უძველესი რომაული სამართლით, ქონება გამიჯნული იყო ორ სახედ – *familia* და *pecunia.*[705] *Familia*[706]-თი ოჯახის უფროსის ხელისუფლებას დაქვემდებარებული ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთე მოიაზრებოდა. *Pecunia*-საგან განსხვავებით, *familia* სტატიკურობით ხასიათდებოდა. კერძოდ, ოჯახის თავისუფალი წევრები[707] ანუ ისინი, რომლებიც *familia*-ში შედიოდნენ, მაგრამ არ იყვნენ მონები (*nullius sunt*), ბრუნვის ობიექტებს არ წარმოადგენდნენ, ვინაიდან ისინი ნივთებად (*res*) არ მიიჩნეოდნენ. *Familia* სასაფლაოებსა და საოჯახო წმინდა ადგილებს (*res extra commercium*) მოიცავდა.

Pecunia-ს[708] განეკუთვნებოდა ნივთთა ის კატეგორია, რომელიც სამართლებრივი აქტების ობიექტი იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *pecunia* იყო *familias*-ს შემადგენელი ის ქონება, რომელიც, სხვა ადამიანებთან (სხვა საოჯახო ჯგუფის წევრებთან), ნებაყოფლობითი ურთიერთობის საფუძველზე, სასაქონლო ბრუნვაში იყო ჩართული. კერძოდ, მონა იმ შემთხვევაში იყო *pecunia*, თუ საკუთარი ბატონის მამასახლისთან (*paterfamilias*) დადებული გარიგების ობიექტი ხდებოდა, ხოლო მეურნეობაში დაკავებული მონები, *familia*-დ იწოდებოდნენ. ამრიგად, *familia-pecunia-ს* აღნიშნული ვარიაცია, სხვადასხვა ურთიერთობის გათვალისწინებით (როგორც *in patria potestas* და როგორც *res*), ობიექტისათვის ნიშანდობლივ მრავალ ფუნქციებზე მეტყველებდა. *Familia-ს* სახით არსებული საოჯახო

---

[705] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 302-303.

[706] D.50.16.195-196. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 501-505; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва. Статут, 2005, 302; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 340.

[707] liberi – ოჯახის თავისუფალი წევრები. D.43.1.1 pr. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 273; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 340.

[708] pecus – პირუტყვი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 241; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 302.

კომპლექსი გამოხატავდა ოჯახის უფროსის მდგომარეობას[709] საოჯახო სტურქტურაში, ხოლო *pecunia* მიუთი-თებდა იმ განკარგვით უფლებამოსილებაზე, რომელიც ოჯახის უფროსს გააჩნდა საოჯახო ცხოვრების ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის დროს.

§5. Res mancipi et res nec mancipi

(მანციპირებადი და არამანციპირებადი ნივთები)

Res mancipi – მანციპირებადი ნივთები; res nec mancipi – არამანციპირებადი ნივთები; mancipium – მანციპაცია.

რომის სამართლის მიხედვით, ნივთების დაყოფას მანციპირებად და არამანციპირებად ნივთებად[710] არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაც იმას მოწმობდა, რომ სამართლებრივი ფორმა ინდივიდუალური ნების გამოვლინებას ითვალისწინებდა მაშინაც კი, როცა ნების გამოვლენა, რეალურად, ჯგუფის ინტერესს გამოხატავდა.

ტერმინით *res mancipi*[711] აღინიშნებოდა ის ნივთები, რომლებიც მანციპაციის აქტს (*mancipium*) ექვემდებარებოდა. ეს იყო უძველესი რიტუალი, რომლის დროს იყენებდნენ სპილენძის ნატეხსა და სასწორს (*per aes et libram*). კლასიკურ ეპოქაში ამ რიტუალს მანციპაცია[712] ეწოდა. მისი მიზანი იყო მანციპირებადი ნივთების[713] განკარგვისათვის (საკუთრებაში გადასასვლელად), აუცილებელი სა-

---

[709] status – მდგომარეობა.

[710] Gai.,2.14ა,18. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 58-59; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 301-302; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 94-96; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 342-345.

[711] Gai.,2.14 ბ, 15. იქვე, 58-59.

[712] mancipatio – მანციპაცია. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 211-212.

[713] res mancipi – მანციპირებადი ნივთები. იქვე, 275.

განგებო საზეიმო რიტუალის ჩატარება, რადგან ასეთი ნივთების[714] შემძენი მხოლოდ რომის მოქალაქე (*cives*) შეიძლება ყოფილიყო და აღნიშნული გზით წარმოშობილი საკუთრების უფლება მხოლოდ რომაული საკურთების უფლებას[715] გულისხმობდა, კერძოდ: მანციპაციას (*mancipatio*) ან ნივთის დათმობას მაგისტრატის წინაშე (*in iure cessio*). რაც შეეხება არამანციპირებად ნივთებს,[716] მათი გასხვისება, მათზე საკუთრების უფლების შეძენის მიზნით, მარტივი მფლობელობის გადაცემით (*traditio*) ხდებოდა. ნივთების აღნიშნული კლასიფიკაცია მათი გასხვისების წესს განაპირობებდა.[717] ასეთ ნივთებს გაიუსი მანციპაციასთან კავშირში განიხილავდა. ულპიანესათვის მიკუთვნებულ, პოსტკლასიკური პერიოდის ერთ-ერთ ტექსტში მანციპირებად და არამანციპირებად ნივთთა თითქმის სრული ჩამონათვალია მოცემული: *Omnes res aut mancipi sun taut nec mancipi. Mancipi res sunt praedia in Italico solo, tam rustica, quails est fundus, quam urbana, qualis domus: item iura praediorum rusticorum, velut via iter actus aquaeductus: item servi et quadrupedes, quae dorso collove domantur, velut boves muli equi asini. Ceterae res nec mancipii sunt. Elefanti et cameli, quamvis collo dorsove domentur, nec mancipi sunt, quoniam bestiarum numero sunt* – ყველა ნივთი მანციპირებადი ან არამანციპირებადია. მანციპირებადი ნივთებია: იტალიის მიწაზე არსებული მამულები, როგორც სასოფლო მინდვრების სახით, ისე საქალაქო, სახლის სახით; ასევე სასოფლო მამულებზე ფეხ-

---

[714] Gai.,2.19;22. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 59-60.

[715] dominium ex iure Quiritium – რომაული (კვირიტული) საკუთრების უფლება, რომლის სუბიექტები მხოლოდ რომის მოქალაქეები იყვნენ. აღნიშნული უფლების შეძენა მანციპაციით ან პრეტორის წინაშე, კვაზი-სასამართლო პროცესის დროს, უფლების დათმობით (in iure cessio) ხდებოდა. Gai.,2, 23-26ა. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 60-61.

[716] Gai.,2.16-19. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 59.

[717] Gai.,1.120. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 37.

ით ან სატრანსპორტო საშუალებით გავლის, პირუტყვის გადარეკის, წყლის მილების გაყვანის უფლებები; მონები და ის ოთხფეხა ცხოველი, რომელიც მოთვინიერებულია და მიჩვეულია უნაგირის დადგმას ან უღელში შებმას, კერძოდ, კამეჩი, ვირი, ცხენი, ჯორცხენი. ყველა დანარჩენი ნივთი არამანციპირებადია. მართალია, აქლემი და სპილო მოთვინიერებასა და უღელში შებმას ექვემდებარება, მაგრამ მაინც არამანციპირებადი ნივთებია, ვინაიდან გარეულ ცხოველებს განეკუთვნებიან.[718]

§6. Genus et species (გვარობითი და ინდივიდუალური ნივთები)

Genus – გვარობითი ნივთები; species – ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები; res quae (primo) usu consumuntur – მოხმარებადი ნივთები; არამოხმარებადი ნივთები; individeus, indiviseus – განუყოფელი ნივთები; მარტივი, რთული და შედგენილი ნივთები; pars rei – ნივთის ნაწილი; მთავარი ნივთი; არამთავარი ნივთი; accessio – საკუთვნებელი; fructus – ნაყოფი.

აღნიშნული დაყოფის მსგავს ლოგიკას ექვემდებარებოდა ნივთების შემდეგი დაყოფაც: 1. *species* – თავისთავად ღირებული ნივთები (*res mancipi* და საავტორო ნაკეთობები) და 2. *genera* – ის ნივთები, რომელთა ღირებულება, მათი გვარისა და ოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა (ფული, მასობრივი წარმოების ნივთები, ნედლეული).[719] რომის სამართალში ნივთთა დაყოფის აღნიშნული სისტემა მკაცრად განსაზღვრული არ იყო, ხშირ შემთხვევაში ნივთები შეცვლადი და შეუცვლადი სახით იყო წარმოდგენილი. თანამედროვე მეცნიერებაში აღნიშნული ტერმინოლოგია ჯერ კიდევ ფონ სავინის დროიდან გვხვდება, თუმცა ნივთების აღნიშნული დაყოფა კონცეპტუალურად განსხვავებულ საფუძველს ემყარებოდა. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები (*species*)

[718] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 343.

[719] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, отвст. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 299; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 100-101; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 346-349.

მათი მეპატრონის პიროვნულ თვისებებზე (ნიშნებზე) მიუთითებდა. სამოქალაქო ბრუნვაში ამ ნივთების მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობას პიროვნული ინტერესი განაპირობებდა, რაც ნივთების მეპატრონეს, თავად ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას ანიჭებდა, მეპატრონის ნების გარეშე ნივთების დაყოფა ან მათი შეცვლა არ დაიშვებოდა.

რომაელი იურისტის იულიანუსის თანახმად: *In stipulationibus alias species, alias genera deducuntur. Cum species stipularum, necesse est inter dominos et inter heredes ita dividi stipulationem, ut partes corporum cuique debebuntur. Quotienes autem genera stipularum, numero fit inter eos divisio...* – ზოგჯერ სტიპულაციის საგანი შეიძლება იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, ზოგჯერ კი – გვარობითი ნივთი. როცა ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთებს გვპირდებიან, სტიპულაციის საგანი რამდენიმე პირსა და რამდენიმე მემკვიდრეს შორის ისე უნდა გაიყოს, რომ თითოეულს სტიპულაციის საგნის ნაწილი შეხვდეს, ხოლო როცა გვარობით ნივთებს გვპირდებიან, მათი გაყოფა რაოდენობის მიხედვით მოხდება.[720]

ნივთების გამო წარმოშობილი ურთიერთობის ფორმალიზაციის შედეგად, ორი კრიტერიუმის გაიგივებამ, ნებელობითი კრიტერიუმი თანდათანობით ობიექტურმა შეცვალა. აქედან გამომდინარე, ნივთებზე საუბრისას, რომაელი კლასიკოსები სულ უფრო ხშირად ამახვილებდნენ ყურადღებას ისეთ ნივთებზე, რომელთა ღირებულებაც წონით, რიცხვითა და ზომით განისაზღვრება – *res quae pondere numero, meunsura consistunt* (*an continentur, an valent*).[721]

რომაელი იურისტი პაველუსი წერდა: *Mutui datio consistit in his*

[720] D.45.1.54pr. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XL-VIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 61.

[721] Gai.,3.90. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 146; D.12.1.21. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2004, 23; D. 23.3.42. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2001, 57; D.30.30 pr. Digesta Iustiniani. T. V. Полутом 1. книги XXVIII-XXXII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 349; D.35.2.1.7. Digesta Iustiniani. T. V. Полутом 2. книги XXXIII-XXXVI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2004, 349; D.44.7.1.2. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 531.

rebus, quae pondere numero mensura consistent, quoniam eorum datione possumus in creditum ire, quia in genere suo functionem recipiunt per solutionem quam specie: man in ceteris rebus ideo in creditum ire non possumus, quia aliud pro alio invito creditori solvi non potest – სესხად გაიცემა მხოლოდ ის ნივთები, რომლებიც წონით, ზომით ან რიცხვით განისაზღვრება; ამ ნივთების საკუთრებაში გადაცემით, შესაძლებელია საკრედიტო შეთანხმების დადება, ვინაიდან გადახდის დროს, ამ ნივთების სანაცვლოდ იმავე გვარის და არა სახეობის ნივთები გადაიცემა; სესხის გარიგების ამავე წესით დადება სხვა ნივთების მიმართ არ შეიძლება, რადგან, ამ შემთხვევაში, კრედიტორისათვის, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ერთი ნივთის ნაცვლად სხვა ნივთის გადახდა, შეუძლებელი იქნებოდა.[722]

აღნიშნული ტექსტით შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ: 1. შეცვლადი ნივთი, ანუ ისეთი ნივთი, რომლის შეცვლაც იმავე ნივთით შესაძლებელი იქნება ვალდებულების შესრულებისას და 2. შეუცვლელი ნივთი,[723] რომლის შეცვლაც, ჩვეულებრივ, შეუძლებელია და კვლავ საკუთარი გვარისა და სახეობის ფარგლებში რჩება. ნივთების ამ ბოლო კატეგორიას *species* ეწოდებოდა. იმავე გვარის ნივთების დაბრუნების შესაძლებლობა ასეთი ნივთების გამოყენების აუცილებლობას (*fungi*) მოწმობდა. აღნიშნული სპეციფიკურობა, ნივთების ახალი კლასიფიკაციის თვალსაზრისით, *genera-species* დაპირისპირების შეცვლის საფუძველს განსაზღვრავდა. ამ კლასიფიკაციით, ნივთები იყოფოდა მოსახმარ და მოუხმარ ნივთებად. თუმცა, რომაელების აზრით, გვარობითი[724] ნივთების შესანახად[725] გადაცემა იმავე ნივთის დაბრუნების მოთხოვნით, შესაძლებელი იყო.[726] გვარობითი ნიშნით განსაზღვრული ნივთები სამეურნეო მიზნით გამოყენებისას, ინდივიდუალური ნიშნით

---

[722] D.12.1.2.1. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 23.

[723] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 299; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008 100-101; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 346.

[724] fungibiles – გვარობითი.

[725] depositum – შენახვა.

[726] D.16.3.24. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 435.

განსაზღვრულ ნივთებად იქცეოდა, მაგრამ მათი, როგორც გვარობითი ნივთების გამოყენების მოთხოვნა კვლავ ძალაში რჩებოდა.

ასეთივე ობიექტურ კრიტერიუმს ეფუძნებოდა ნივთების კიდევ ერთი კლასიფიკაციაც: გაყოფადი და გაუყოფადი ნივთები.[727] ბუნებაში ყველა ნივთი უსასრულობამდე გაყოფადია, სამართლებრივი თვალსაზრისით კი, გაყოფადია მხოლოდ ის ნივთი, რომლის ნაწილები, ნივთის გაყოფის შემდეგ, ნივთის თვისებას და ფუნქციას ინარჩუნებენ. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები ყოველთვის გაუყოფადია.

ნივთების აღნიშნული დაყოფა ყოველთვის განსხვავდებოდა ნივთების *genera-species* დაყოფისაგან, ვინაიდან ის ნივთის ინდივიდუალურ განსაზღვრულობას უგულებელყოფდა და მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმს განეკუთვნებოდა. გაყოფად ნივთებს რომაელები აღნიშნავდნენ აღწერილობით: *res quae divisionem recipit,*[728] ხოლო განუყოფლობა აღინიშნებოდა ორი ტერმინით: *individuus et indivisus*. ბოლო ცნება ნივთის აქტუალურ მდგომარეობაზე მიუთითებდა, ხოლო პირველი – თვით ნივთის დაყოფის შეუძლებლობაზე.

რომაელი იურისტის პომპონიუსის თხზულებაში ნივთების კლასიფიკაციის კიდევ ერთი კრიტერიუმია მოცემული: *Tria autem genera sunt corporum, unum, quod continetur uno spiritu et Graece... vocatur, ut homo tignum lapis et similia: alterum, quod ex contingentibus, hoc est pluribus inter se cohaerentibus constat, ut aedificium navis armarium: tertium, quod ex distantibus constat, ut corpora plura soluta, sed uni nomini subiecta, veluti populus legio, gre* – არსებობს სხეულთა სამი სახეობა: პირველი განსაზღვრულია მხოლოდ სულადობით; ბერძნულად მას ერთობლიობა ეწოდება, მათ რიცხვს მიეკუთვნება მონა, მორი, ქვა და ა.შ; მეორე, მომიჯნავე, ანუ ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ნივთისაგან შედგება და იწოდება ნაერთად, ასეთია შენობა, გემი, კარადა; მესამე, ცალკეული ნივთისაგან შემდგარი რამდენიმე განცალკევებული სხეული, თუმცა, ერთი სახელდების

---

[727] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 298-299; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 101-102; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 349.

[728] D.45.1.4.1. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Стату, 2005, 33-35.

მქონე, მაგალითად, ხალხი, ლეგიონი, ჯოგი.[729]

აღნიშნულ კლასიფიკაციაში, რომაელებმა ნივთების კიდევ სამი: მარტივი, რთული და შედგენილი ნივთების სახე გამოყვეს.[730]

რომაელმა სამართალმცოდნეებმა საგანგებოდ განაცალკევეს *pars rei*[731] ანუ ნივთის ის ნაწილი, რომელიც სამართლებრივად ერთი მთელის ისეთი ელემენტი იყო, რომლის გარეშე ნივთის მთლიანობის რაობა იკარგებოდა, თანაც, აღნიშნული ნაწილი მატერიალურად მთელთან დაკავშირებული შეიძლება არ ყოფილიყო და მათ შორის მხოლოდ ფუნქციური კავშირი არსებობდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაწილი მთელის კუთვნილება იყო და მთლიანი ნივთის მიმართ დადებული გარიგება, აუცილებლად ნივთის ნაწილზეც ვრცელდებოდა. სამართლებრივად შედგენილი ან კრებითი ნივთის ნაწილი, შეიძლება მთელი ნივთისაგან განსხვავებული სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი გამხდარიყო. მაგალითად, საკეტის გასაღების გასხვისება საკეტზე უფლების გადატანას იწვევდა, მაგრამ არა პირიქით. ზოგ შემთხვევაში წილის ან კვოტისაგან [732] უნდა განვასხვავოთ მთელის განუყოფელი ნაწილი (*pars pro indiviso*), რომელიც სამართლებრივი ასპექტით წმინდა აბსტრაქტული ცნებაა. საკეტი და მისი გასაღები ყოველთვის შენობის ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კონკრეტულ მომენტში შენობისაგან განცალკევებით ინახება. ხოლო მიწაში ჩაფლული ქვევრები არა სახლის ნაწილი, არამედ მარნის ნაწილებია.[733] თუმცა ნიადაგი-

[729] D.41.3.30pr. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 121

[730] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 299; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 102-103; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 349-352.

[731] Ulp., 32 ad ed. D.19.1.17pr. Digesta Justiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 679; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 239; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 352.

[732] portio – კვოტა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 250; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 352.

[733] D.18.1.76pr. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 595; D.19.1.17pr. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 679.

დან ამოღებული მიწა, ქვიშა, თიხა ან მოჭრილი ნარგავი ნაკვეთის ნაწილებად არ ითვლება.[734]

უძრავი ნივთების კატეგორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია მიწის ნაკვეთის ნაწილისა[735] და მიწის დასამუშავებელი ინვენტარის[736] ურთიერთშეპირისპირება, რომელიც, მყარად ნაგები შენობისაგან განსხვავებით, სტაციონარული სამრეწველო უძრავი ქონება არ იყო.[737] მიწის დასამუშავებელი ინვენტარი დამატებითი ნივთების კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლის მართვის წესი ძირითადი ნივთის განკარგვის წესს არასოდეს ემთხვეოდა. აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნებოდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მონა, მხვნელი ხარები, გუთანი, მოსავლის ასაღები, მოსავლის შესანახი და გადასამუშავებელი იარაღები.[738]

კლასიკურ პერიოდის რომის სამართალში ნივთების ცნება ფართო გაგებით გამოიყენებოდა და არა მარტო გარე სამყაროს მატერიალურ საგნებს მოიცავდა, არამედ მათზე იურიდიულ უფლებებსაც.

---

[734] D. 19.1.17.6. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2004, с.681; D.18.1. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Отв.ред. Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 559; D.10.4.5.2. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 547; D.50.16.241. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 521.

[735] pars fundi – მიწის ნაკვეთის ნაწილი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 138; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 353.

[736] instrumentum fundi – მიწის დასამუშავებელი ინვენტარი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 154; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 353.

[737] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 103-104; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 353.

[738] D. 33.7.8 pr. Digesta Iustiniani. T. V. Полутом 2. книги XXXIII-XXXVI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 87-89; D.16.1. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 377; D.25.1.1pr. Digesta Iustiniani. T. IV. книги XX-XVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 497.; D.26.1. Digesta Iustiniani. T. IV. книги XX-XXVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 545-553.

§7. გაყოფადი და გაუყოფადი ნივთები

განასხვავებდნენ გაყოფად და გაუყოფად ნივთებს. გაყოფადი იყო ისეთი ნივთები, რომელთა გაყოფის შედეგად მათი გვარი (*gens*) და ფასეულობა არ იცვლებოდა. ასეთი ნივთის თითოეული ნაწილი ერთ მთლიანს წარმოადგენდა, თუმცა, უწინდელ ნივთთან შედარებით, ნაკლები ზომის იყო: *pro parte divisa*. მატერიალური დაყოფის გარდა, რომის სამართალი ასევე ნივთზე უფლების გაყოფას, ე.წ. იდეალურ წილს იცნობდა. ასეთ შემთხვევაში, მატერიალურად გაუყოფად ნივთზე უფლება რამდენიმე პირს, ნივთის საფასურის წილის შესაბამისად, ერთდროულად ეკუთვნოდა. კერძოდ, 1/2, 1/3 და ა.შ. თანასაკუთრების (ანუ ერთ ნივთზე რამდენიმე პირის თანადროული საკუთრების უფლება) უფლების შეწყვეტისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნივთის იურიდიულ გაყოფადობა-გაუყოფადობას: მხოლოდ სამართლებრივი გაყოფის შესაძლებლობისას დაიშვებოდა ნივთის ნატურალური გაყოფა ყოფილ თანამესაკუთრეთა შორის. მეორე შემთხვევაში ნივთი ერთ-ერთი მათგანის საკუთრებაში რჩებოდა, ხოლო დანარჩენი პირები ფულად კომპენსაციას იღებდნენ.

§8. გამოყენებადი და გამოუყენებადი ნივთები

გამოყენებადი იყო ისეთი ნივთი, რომელიც, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, პირველივე მატერიალური გამოყენების შემდეგ ნადგურდებოდა.[739] მაგალითად, ფული ანგარიშის გასწორების შემდეგ მესაკუთრისათვის დაკარგულად მიიჩნეოდა. გამოუყენებადი[740] იყო ისეთი ნივთი, რომელიც გამოყენების შედეგად არ ნადგურდებოდა (მაგალითად, ძვირფასი ქვა). ამავე კატეგორიას განეკუთვნებოდა ისეთი ნივთები, რომლებიც თანდათანობითი განადგურდებით ფასს კარგავდა და დანიშნულებით აღარ გამოიყენებოდა.

[739] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 274; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 101; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 348-349.

[740] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 101; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 348-349.

§9. მარტივი და რთული ნივთები[741]

მარტივი იყო ისეთი ნივთი, რომელიც მატერიალურად ერთ მთლიანობას ქმნიდა. მაგალითად, მონა, ქვა, მორი. რთული იყო ისეთი ნივთი, რომელიც შედგება ერთმანეთთან მატერიალურად დაკავშირებული სხვადასხვა ელემენტისაგან, რომელთაც ერთი მთლიანი ნივთის სახელი ჰქონდათ. მაგალითად, ნაგებობა, ხომალდი, ავეჯი. რთული ნივთების ნაწილები ერთ მთლიან ნივთში არ იკარგებოდა, რადგან ერთ მთლიანობად შექმნამდე, ცალკეული ნივთების სახით, სხვადასხვა პირის კუთვნილებაც კი შეიძლება ყოფილიყო.

ცალკე განიხილებოდა მატერიალურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული ნივთის ერთობლიობა, რომელთაც საერთო დანიშნულების საფუძველზე ერთი სახელწოდება ჰქონდათ. მაგალითად, ჯოგი, ლეგიონი. ეს იყო ნივთების დროებითი სამეურნეო ან კორპორაციული გაერთიანება. ასეთ შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობის საგანი მხოლოდ ერთი მთელის შემადგენელი ცალკეული ნივთები იყო, მაგრამ ბრუნვის მოთხოვნიდან გამომდინარე, ამ ნივთებზე სრული უფლების დამკვიდრებაც დაიშვებოდა. მაგალითად, ჯოგის მესაკუთრეს შეეძლო მოეთხოვა უფლება მთელ ჯოგზე, თუ იგი ჯოგის უდიდეს ნაწილზე საკუთრების უფლებას დაამტკიცებდა.

§10. ძირითადი და დამატებითი ნივთები[742]

დამატებით ნივთად (*res accessorium*) ითვლებოდა ისეთი ნივთი, რომელიც ძირითად ნივთზე გარკვეული წესით დამოუკიდებული და მისგან იურიდიულად დამოკიდებული იყო. დამატებითი ნივთის ყველაზე გავრცელებული სახე იყო ნაყოფი, ნივთის ნაწილი და საკუთვნებელი. იურიდიულად ნივთის ნაწილი დამოუკიდებლად

[741] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 102-103; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 349-350.

[742] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 103-104; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 353-354.

არ მიიჩნეოდა. თუ იურიდიული გარიგების საგანი მთლიანი ნივთი იყო, მაშინ გარიგების შედეგები მის ყველა ნაწილზე ვრცელდებოდა. ნივთის ნაწილი დამოუკიდებელი გარიგების საგანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ მისი მთლიანი ნივთისაგან განცალკევება შეიძლებოდა.

§11. საკუთნებელი (Accessio)[743]

საკუთნებელი იყო ისეთი ნივთი, რომელიც ძირითად ნივთს არა მატერიალურად, არამედ ეკონომიკურად უკავშირდებოდა. ძირითადი ნივთი სრულად არ მიიჩნეოდა, თუ მისგან საკუთნებელი განცალკევებული იყო. საკუთნებელი დამოუკიდებლადაც არსებობდა, ოღონდ სამეურნეო (ეკონომიკური) შედეგი ორივეს ერთად გამოყენებით მიიღებოდა (კლიტე და გასაღები); ვინაიდან საკუთნებელი დამოუკიდებლადაც არსებობოდა, დამოუკიდებელი უფლების საგანიც შეიძლება გამხდარიყო. თუმცა, თუ დაინტერესებულ პირთა შორის არ არსებობდა სპეციალური დათქმა, ძირითად ნივთზე გავრცელებული სამართლებრივი ურთიერთობები საკუთნებელზეც მოქმედებდა, რასაც შემდეგი აფორიზმის გავრცელება მოჰყვა: საკუთნებლი ძირითადი ნივთის ბედს იზიარებს.

§12. Fructus (ნაყოფი)

Fructus – ნაყოფი; fructus pendentes – ჩამოკიდული ნაყოფი; fructus separati – განცალკევებული ნაყოფი; fructus percepti – შეგროვებული და ათვისებული ნაყოფი; fructus consumpti – გამოყენებული ნაყოფი; instrumnetum fundi – ინვენტარი.

Fructus[744]-ში იგულისხმებოდა ნაყოფის მომცემი ნივთი, რომ-

[743] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 20-21; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 354.

[744] fructus – ნაყოფი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 137; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 304-305; Чезаре Санфилиппо, Курс римского частного права, Учебник, Москва,

ლის ექსპლუატაციის შედეგადაც მატერიალური სიკეთე წარმოიქმნებოდა (ნამატი, მოსავალი). ნაყოფზე უფლება ნაყოფის მომცემი ნივთის უფლებაზე დამოკიდებული, მაგრამ მისი იდენტური არ იყო. ნაყოფის მომცემი ნივთის კეთილსინდისიერი მფლობელი ნაყოფის მესაკუთრე ხდებოდა. ნაყოფის მომცემი ნივთის გასხვისებისას, ყოველთვის ნაყოფზე საკუთრების უფლების შენარჩუნება დაითქმებოდა.

დროის ფაქტორის გათვალისწინებით, ნაყოფის ცნებით ყოველთვის იგულისხმებოდა ნაყოფის შემდეგი ფორმები: 1. ჩამოკიდული ნაყოფი;[745] 2. განცალკევებული ნაყოფი;[746] 3. შეგროვებული და ათვისებული ნაყოფი;[747] 4. გამოყენებული ნაყოფი.[748]

ყველა შემთხვევაში, განუყოფელი ნაყოფი „დედანივთის" ნაწილი იყო. განცალკევება (*separatio*) მითვისებისაგან (*perceptio*) შემდეგით განსხვავდებოდა: ნაყოფის მომცემი ნივთი შეიძლება ყოფილიყო იმ არამესაკუთრის ხელში, რომელსაც ნაყოფის მოკრეფის უფლებამოსილება ჰქონდა (მოიჯარე). იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი (ქურდი) ნაყოფს განაცალკევებდა, ნივთის მესაკუთრე ნაყოფის მესაკუთრე არ ხდებოდა,[749] ხოლო ნაყოფის მითვისებით[750] ნივთით მოსარგებლე ნაყოფის მესაკუთრე ხდებოდა.

ასეთ ექსტრაორდინალურ ღონისძიებებს მაგისტრატები მიმართავდნენ, როგორც მხედართა თხოვნით, ისე საკუთარი შეხედულებით.

Норма. 2008, 104-105; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 356-358.

[745] fructus pendentes – ჩამოკიდული ნაყოფი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 137.

[746] fructus separati – განცალკევებული ნაყოფი. იქვე.

[747] fructus percepti – შეგროვებული და ათვისებული ნაყოფი. იქვე.

[748] fructus consumpti – გამოყენებული ნაყოფი. იქვე.

[749] D.7.1.12.5. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 207.

[750] perceptio – მითვისება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 242.

III. საკუთრება

§1. საკუთრების უფლება

უძველეს რომაულ სამართალში საკუთრების აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი არ არსებობდა.[751] ვინმეს ხელისუფლებაში არსებული რაიმე ნივთის აღსანიშნავად, ყველა შემთხვევაში, ბატონობის აღმნიშვნელი ძალზე ძველი ტერმინი *dominium* (ზმნა მოთვინიერებიდან) გამოიყენებოდა.[752] ცივილური, კვირიტული საკუთრების უძველეს სახეს *dominium ex iure Quiritium*[753] ეწოდებოდა.

საკუთრების უფლების მატარებელს შეუზღუდავი უფლება ჰქონდა და ნივთის (გასხვისება, დატვირთვა) გამოყენებისა და განკარგვის შესაძლებლობას აძლევდა.[754] ნივთზე კერძო მესაკუთრის უფლება უცხო პირების ჩარევას გამორიცხავდა. კლასიკურმა იურისპრუდენციამ ნივთზე საკუთრება მიიჩნია პირის შეუზღუდავ და განსაკუთრებულ უფლებად, რომელიც არსობრივად შეზღუდვას არ ექვემდებარებოდა და აბსოლუტურ უფლებად მოიაზრებოდა. იუსტინიანეს სამართლით, ნივთზე საკუთრებას სრულ ძალაუფლებად[755] მიიჩნევდნენ: *Cum autem finitus fuerit usufructus, revertitur scilicet ad proprietatem et ex eo tempore nudae proprietatis dominus incipit plenam habere in re potestatem* – ხოლო, როდესაც უზუფრუქტი

---

[751] თუმცა, ეხვდებით ექვს სხვადასხვა ტერმინს, რომლებიც ქონების გარკვეულ ნაირსახეობებზე საკუთრების უფლების განსხვავებულ სახეებს აღნიშნავდნენ: dominium, proprietas, patrimonium, bona, familia, pecunia.

[752] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 306-307; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 216-217; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 377-381.

[753] Gai., 4.16. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 186-187.

[754] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 343; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 216.

[755] plena in re potestas – ნივთზე საკუთრების სრული ძალაუფლება. Inst. Iust. 2.4,4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 68.

მთავრდება, იგი, რასაკვირველია, ისევ საკუთრებას უბრუნდება (უერთდება), და ამ დროიდან პირს, რომელსაც ნივთზე ლიტონი საკუთრების უფლება ჰქონდა, მასზე სრული საკუთრება უჩნდება. კლასიკოსების მიერ აღიარებული და კანონით განმტკიცებული, ნივთზე მესაკუთრის ბატონობის სრული უფლება, კლასიკოსი იურისტების აზრით, საკუთრების უფლების არსს, მის შემადგენელ ნაწილებად შლიდა. კერძოდ, პავლუსის თანახმად,[756] საკუთრების უფლების არსებითი ნაწილი (*pars dominii*) სარგებლობისა[757] და ნაყოფის მიღების უფლება[758] იყო.

მიწის კერძო საკუთრების უფლება უძველესი დროიდან იზღუდებოდა. იმპერიის ეპოქაში იურისტებმა საკუთრების ცნება დააზუსტეს, რადგან ამ უფლების გაგება ყოველთვის განსაკუთრებულ საფუძველს ითხოვდა და მნიშვნელოვან შედეგებს იწვევდა. საკუთრების უფლების მტკიცება მესაკუთრეს არ ევალებოდა და პირიქით, სავალდებულო იყო საკუთრების შეზღუდვის საფუძვლების მკაცრად განსაზღვრა, კერძოდ: 1. ყოველ მეორე დღეს, მიწის მესაკუთრე ვალდებული იყო საკუთარ მიწის ნაკვეთზე შეეშვა მეზობელი, მეზობლის ეზოში დარგული ხიდან ჩამოვარდნილი ნაყოფის ასაკრეფად; 2. მესაკუთრეს არ ევალებოდა ეთმინა მეზობლის შენობის ნაწილი, თუ მისი ნაკვეთის საზღვარს მეზობლის შენობის ნაწილი გადმოყურებდა, ან თუ მეზობლის კედელი ნახევარ ფუტზე მეტად იყო გაწეული მის ნაკვეთზე; 3. გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, მესაკუთრეს თავის ნაკვეთზე უნდა გაეტარებინა ყველა ის პირი, ვინც მისი ნაკვეთის მეზობლად მდებარე სასაფლაოზე მიდიოდა.

§2. საკუთრების უფლების შინაარსი

საგულისხმოა, რომ პროვინციაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, საკუთრების უფლების დახასიათებისას, შესაძლებელია დადგინდეს

---

[756] D. 7.1.4. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2002, c199

[757] usus – სარგებლობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 320.

[758] ususfructus – ნაყოფის მიღების უფლება. იქვე, 322-323.

ის სამართლებრივი ფორმულა, რომელიც ასახავს „საკუთრების“ ცნების შინაარსს:[759] *uti, frui, habere, possidere*. ამრიგად, სარგებლობა, ნაყოფის მიღება და განკარგვა წარმოადგენს ნივთის გამოყენების სამ საშუალებას.

Uti – იყო ნივთიდან რაიმე სარგებლის მიღების უფლება, მისი გაცვლის ან ნივთის მოხმარების განზრახვის გარეშე, რაც მხოლოდ იმ ქონების მიმართაა შესაძლებელი, რომელიც მოუხმარ ქონებას წარმოადგენდა.

Frui – სარგებლობის იმ აქტებს განეკუთვნებოდა, რომლებიც, დედა ნივთის მიერ პერიოდულად შექმნილი ნაყოფის მოხმარებას გულისხმობდა, ძირითადი ნივთის არსის შეუცვლელად. *Habere* (ზმნა „ვიქონიო“-დან წარმოიშობა) გაგებული უნდა იქნას, როგორც რეალური შედეგის მქონე ფლობა.[760] „მიიჩნეოდა, რომ რაიმეს ის ფლობს,[761] ვისაც აღნიშნულის მიმართ სარჩელის წარდგენა შეუძლია, ვინაიდან *habetur* (ფლობენ) მხოლოდ იმას, რისი გამოთხოვაც *rei vindicatio*-ს მეშვეობით არის შესაძლებელი.“[762] *Possidere* მიეკუთვნება *possessio*-ს, ანუ ნივთის ფაქტობრივი ფლობის ვითარებას, რომელსაც პრეტორი საკუთარი ინტერდიქტების (ბრძანების) მეშვეობით იცავდა.

§3. Communio (condominium – თანასაკუთრება)

საკუთრების უფლების განსაკუთრებულობა, რომაელ იურისტებს აიძულებდა ერთსა და იმავე ნივთზე რამდენიმე პირის საკუთრების უფლება[763] დაეშვათ. მათ აღიარეს თანამესაკუთრეთა

[759] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 310-311.

[760] Ulp.,15 Sab. D.50.16.164.2. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 495.

[761] habere – ფლობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 141.

[762] Ulp., 9 ad leg. Iul.et Pap. D. 50.16. 143. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 491.

[763] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 314-316; Санфилиппо

თანამფლობელობის უფლება ანუ ნივთის ერთობლივი მფლობელობა და ნივთით სარგებლობა. ნაყოფიც მათ მიერ იდეალური წილებით შეიძინებოდა. თუ ნივთით სარგებლობა დადგენილი წესების ზღვარს სცილდებოდა, მაშინ ყველა მფლობელისა და მოსარგებლის თანხმობა იყო საჭირო. თანასაკუთრებას[764] *condominium*-ი ეწოდებოდა. ჯერ კიდევ ძველი რომაელი იურისტი ცელსუსი[765] აღნიშნავდა, რომ: *Et ait (scil. Celsus) duorum quidem in solidum dominium vel possessionem esse non posse: nec quemquam partis corporis dominum esse, sed totius corporis indiviso pro parte dominium habere* – და (ცელსუსი) ამბობდა, რომ საკუთრება ან მფლობელობა სოლიდარულად არ შეიძლება ორ პირს ეკუთვნოდეს: და, რომ არც ერთი არის [საერთო] სხეულის ნაწილის მესაკუთრე, თუმცა ფლობს მთელი (განუყოფელი) სხეულის მიმართ საკუთრების წილს.

თანასაკუთრების ვითარება ნებაყოფლობით ან შემთხვევით წარმოიშობოდა. თანასაკუთრება ნებაყოფლობით წარმოიშობა ამხანაგობის ხელშეკრულების მეშვეობით ან რამდენიმე პირის ნებაყოფლობითი მოქმედებით, კერძოდ, ეს უკანასკნელნი, თანასაკუთრებაში პროპორციული წილების შეტანით, აერთიანებდნენ საკუთარ ქონებას.

ქონების შემთხვევითი გაერთიანება (*communio incidens*), რამდენიმე პირის მიერ, ერთი და იგივე ნივთის შეძენის შედეგად ხდებოდა (მემკვიდრეობა ან ლეგატი, ან იმ რამდენიმე ნივთის ფიზიკური შერწყმის შედეგად, რომელთა განცალკევებაც შეუძლებელი იყო. *confusio* – თხევადი, ხოლო *commixtio* – მკვრივი მასალის დროს).

თანასაკუთრების უძველეს სახე იყო ე.წ. *consortium fratrum* – ძმების კონსორციუმი,[766] რომელიც გარდაცვლილი *paterfamilias* რამდენიმე მემკვიდრეს (*adgnatus et cognatus*) რჩებოდა.

Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 221-223; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 440-444.

[764] communio – თანასაკუთრება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 79-80.

[765] Ulp., 28 ad ed., D.13.6.5.15. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 191.

[766] Gai.,3.154ა. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011,163.

თანასაკუთრებიდან თითოეულ მესაკუთრეს საკუთარი წილის გასხვისება და დატვირთვა შეეძლო. ამავე მოცულობით თანამესაკუთრეებს, მესამე პირის წინაშე, საკუთარი უფლებების დაცვის უფლებაც ჰქონდათ *rei vindicatio*-ს და *actio negatoria*-ს[767] (ვინდიკაციისა და ნეგატორული სარჩელის) მეშვეობით. თანასაკუთრების გაყოფისას, თანამესაკუთრეთა წილები მოსამართლეს საკუთარი შეხედულებისამებრ შეეძლო გამოეყო, მაგრამ გაყოფადი ნივთი სამართლიან ფასად[768] უნდა შეეფასებინა.

§4. საკუთრების შეძენის საშუალებები

რომის სამართლით გათვალისწინებული, ნივთზე ცივილური საკუთრების უფლების შეძენის ფორმების ანუ საშუალებების კლასიფიცირება, რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით იყო შესაძლებელი. გაიუსი ინსტიტუციებსა და *Res cottidianal*-ში, საკუთრების უფლების შეძენის საშუალების კლასიფიკაციას ბუნებითი სამართლის (*ius naturale*), ცივილური სამართლის (*ius civile*) და ხალხის სამართლის (*ius gentium*) საფუძველზე ახდენდა.[769] პირველი საშუალება, ანუ *ius naturale*-თი იყო ის, რომელსაც ყველა ხალხი იყენებდა და რომელიც კაცობრიობასთან ერთად შეიქმნა. ასეთ საშუალებებს ოკუპაცია,[770] ნამატი (ნაყოფი) და ნივთის გადამუშავება[771] წარმოადგენდა. საკუთრების უფლების შეძენის ის საშუალებები, რომლებიც *ius civile*-თი იყო მოწესრიგებული, მხოლოდ რომის მოქალაქეთათვის იყო დამახასიათებელი: *mancipatio, in iure cessio* და *usucapio* (ხანდაზმულობის ვადით). შეძენის ამ განსაკუთრებული საშუალებებიდან (მოქმედებებიდან) გაიუსი გამოჰყოფს ერთო-

---

[767] D. 6.1.6. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 151.

[768] iusto preto aestimare – სამართლიანი ფასი.

[769] Gai., 2.65-79. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 69-72; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 223-239.

[770] occupatio – ოკუპაცია. Gai., 2.66. იქვე, 69.

[771] specificatio – ნივთის გადამუშავება. Gai., 2.79. იქვე, 72.

ბლივ შეძენას, ანუ მთლიანი მოცულობით ან სამკვიდრო ქონებიდან განხორციელებულ შეძენას (*adquirere per universitet*). შეძენის აღნიშნულ საშუალებებს განეკუთვნება: 1) *ius civile*-სა და *ius preatorium*-ის საფუძველზე სამემკვიდრეო უფლებებში შესვლა; 2) სხვისი მამულის შესყიდვა;[772] 3) შვილად აყვანა.

საკუთრების უფლების შეძენის განსხვავებულ საშუალებებს გამოყოფს *Ulpianus; mancipatio, traditio, in iure cessio, adiudicatio, lege.*[773]

რომანისტიკის დოქტრინა ყველაზე ხშირად იყენებს საკუთრების უფლების შეძენის კლასიფიკაციას, თავდაპირველ და ნაწარმოებ საშუალებებად დაყოფის პრინციპიდან გამომდინარე.

საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველი საშუალებები გულისხმობდა, ნივთის დაუფლების მიზნით, ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებიც სხვა მესაკუთრის ნებაზე დამოკიდებული არ იქნებოდა. ხოლო საკუთრების უფლების შეძენის ნაწარმოები საშუალებებით მხედველობაში ის ფაქტი მიიღებოდა, რომ ნივთს მანამდე სხვა მესაკუთრესთან ჰქონდა კავშირი. ნივთის თავდაპირველი მესაკუთრე ნივთზე ყველა უფლებას კარგავდა მას შემდეგ, რაც აღნიშნულ ნივთს სხვა, ახალი მეპატრონე შეიძენდა, ანუ საკუთრების უფლების შეძენის ნაწარმოები საშუალებებით ნივთზე, ერთი მესაკუთრის უფლებები, მეორე მესაკუთრეს გადაეცემოდა, გამსხვისებლისა და შემძენის ურთიერთსანაცვლო, ნებელობითი ხასიათის მოქმედების შედეგად (*transferre dominio*).

როდესაც საკუთრების უფლების შეძენის საშუალებებზე ვსაუბრობთ, მიზანშეწონილია, გავითვალისწინოთ რომაული *Instituciones*[774] დებულებები და ჯერ საკუთრების უფლების შეძენის ის საშუალებები შევისწავლოთ, რომლებსაც *ius gentium* იცნობდა, შემდეგ კი *ius civile*-თი დადგენილი შეძენის საშუალებები.

---

[772] emptio bonorum – სხვისი მამულის შესყიდვა.

[773] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 340.

[774] Inst. Iust. 2.1.11. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 55.

ა) **Occupatio (ოკუპაცია)**

fera bestia – გარეული მხეცები; mansuefactae – მოშინაურებული, ან მოთვინიერებული ცხოველები.

Occupatio[775] იყო ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის ყველაზე ძველი და უნივერსალური საშუალება, რომელსაც რომაელი იურისტები *ius gentium*-ის ინსტიტუტად მიიჩნევდნენ. *Occupatio* შეიცავდა, ნადირობისა და თევზჭერის შედეგად, შეძენილ ნივთებს და ისინი ჩვეულებრივ ფლობად[776] ითვლებოდა.[777] გარდა ამისა, *occupatio* მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ნივთი არავისი კუთვნილება არ იყო (*res nullius*).

Occupatio[778] შემდეგი საშუალებებით ხორციელდებოდა: ა) გარეულ მხეცებზე,[779] ფრინველებზე[780] ნადირობა და თევზაობა.[781] პირუტყვი შეიძლება მიტაცებული, თუმცა ველური და მაშასადამე, ბუნებრივად თავისუფალი ყოფილიყო. მითვისების საშუალებებიდან გამომდინარე, პირუტყვი სამ კატეგორიად იყოფოდა: 1) გარეული მხეცები,[782] რომლებიც ბუნებრივად თავისუფალნი იყვნენ და რომელთა დაპატრონება ნებისმიერ პირს შეეძლო; 2) მოშინაუ-

---

[775] Gai., 2.65-79. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 69-72; Inst. Iust.2.11-15. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002. 55-56; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 224-225.

[776] possessio naturales – ჩვეულებრივი ფლობა.

[777] Nerva, D.41.2.1.1. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 61.

[778] Gai., 2.67-75. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 70-71; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 374-375; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 341-351; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 223-239.

[779] venatio – გარეული მხეცები.

[780] auspicium – ფრინველები.

[781] piscatio – თევზაობა.

[782] ferae bestiae – გარეული მხეცები, რომლებიც ბუნებრივად თავისუფალნი იყვნენ და რომელთა დაპატრონება ნებისმიერ პირს შეეძლო.

რებული, ან მოთვინიერებული ცხოველები,[783] რომლებსაც ბუნებრივად თავისუფლება კი ჰქონდათ, თუმცა ადამიანის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ და თანაც ადამიანთან დაბრუნების ჩვევაც გაუჩნდათ (*animus revertendi*); 3) შინაური პირუტყვი, რომელზეც მუდმივად ხორციელდება ადამიანის ძალაუფლება. ცხოველებზე ნადირობის უფლება ადამიანის თავდაპირველ და ბუნებით უფლებად (*ius hominis*) ითვლება, ვინაიდან ვიდრე ადამიანი მიწათმოქმედი ან მესაქონლე გახდებოდა, ის ნადირობით ირჩენდა თავს.

ბ) მოწინააღმდეგისათვის წართმეული სამხედრო ნადავლი; გ) ზღვაში ამოზიდული კუნძული და ზღვის მიერ ნაპირზე გამორიყული ნივთები; დ) უწინდელი მესაკუთრის მიერ გადაგდებული ნივთები[784] – ბეითალმანი ქონება.

ბ) Thesaurus (განძი)

„განძი – დაფლული ნივთების გარკვეული რაოდენობაა, რომელთა მიმართ შეუძლებელია მესაკუთრის დადგენა. განძი იმის საკუთრება ხდება, ვინც მას აღმოაჩენს, ვინაიდან ის სხვას არავის ეკუთვნის და პირუკუ, თუ ვინმე, ანგარებით ან შიშით შეპყრობილი, ან ნივთის უკეთ შენახვის მიზნით, დაფლავს ნივთს მიწაში, აღნიშნული ნივთი განძად არ შეიძლება ჩაითვალოს და ამრიგად, შეიძლება ქურდობის საგანიც კი გახდეს".[785]

თავდაპირველად, განძი[786] იმ მიწის ნაკვეთის ნამატად ითვლებოდა, რომელშიც ის იქნა აღმოჩენილი და მისი აღმომჩენი განძის მესაკუთრე ხდებოდა. თუმცა, იმპერატორ ადრიანეს რესკრიპტით (იუსტინიანემაც დაადასტურა) დადგინდა, განძზე არსებული, სა-

---

[783] mansuefactae – მოშინაურებული, ან მოთვინიერებული ცხოველები.

[784] res derelictae – ბეითალმანი ქონება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 274.

[785] Paul., D. 41.1.31.1. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 37; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р. Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 375-376; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 351-355; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 225.

[786] Inst. Iust. 2.1,39. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 63.

კუთრების უფლების თანაბარ წილად გაყოფა მის აღმომჩენ პირსა და იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შორის, სადაც განძი იქნა აღმოჩენილი. თუ განძი დაფლული იყო წმინდა ან რელიგიურ ადგილზე, ის მის აღმომჩენ პირს ეკუთვნოდა მთლიანად. განძის აღმოჩენა შემთხვევითი, წინასწარ დაუგეგმავი მოვლენა იყო.[787]

გ) Specificatio (გადამუშავება)

თუ რომელიმე პირი ქმნის ახალ ფორმას ან ახალ (ადრე არარსებულ) ნივთს[788] სხვა პირისათვის მიკუთვნებული მასალისაგან, გლოსატორთა აზრით, ნივთის გადამუშავებას ჰქონდა ადგილი. *Specificatio*-ს[789] თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა ჯერ კიდევ საბინიანელთა და პროკულიანელთა სკოლების წარმომადგენლების მიერ გამოითქვა. კერძოდ, საბინიანელებს მიაჩნდათ, რომ ახალი ნივთი იმ მასალის მესაკუთრეს ეკუთვნის, რომლისგანაც ეს ნივთი იყო დამზადებული, ხოლო პროკულიანელებს მიაჩნდათ, რომ ნივთის მესაკუთრე მისი შემქმნელი იყო და სწორედ მას ანიჭებდნენ სარჩელის წარდგენის უფლებას, ნივთის ქურდობის შემთხვევაში. „ოქროს შუალედად" მიჩნეული იქნა ის მოსაზრება, რომ თუ შეუძლებელი იყო ნივთისათვის საწყისი მდგომარეობის მიცემა (მაგ. ლარნაკი), ის იმ მასალის მესაკუთრეს ეკუთვნოდა, რომლისგანაც ნივთი იყო დამზადებული და პირუკუ, ნივთი მის დამამზადებელ ხელოსანს ეკუთვნის, თუ შესაძლებელია ნივთისათვის საწყისი მდგომარეობის დაბრუნება.[790]

თუ რაიმე ნივთი მთლიანად შთანთქმულია სხვა ნივთის მიერ,

---

[787] data opera – წინასწარ დაუგეგმავი მოვლენა. Мануэль Хесус Гарсия-Гаррило, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 352.

[788] specium aliquam – ახალი, ადრე არარსებული ნივთი.

[789] Inst. Iust. 2.1,25-38. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002. 58-62; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 377-381; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 355; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 229-230.

[790] Gai.,2.79. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 72.

პირველი ნივთის მესაკუთრე იძენს იმ ნივთსაც, რომელიც მას შეუერთეს.[791] საჭიროა, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ საბოლოო და დროებითი ნამატი. დროებით ნამატს მაშინ აქვს ადგილი, როცა მოგვიანებით შესაძლებელი ხდება ორი შეერთებული ნივთის გაყოფა. აღნიშნულ ვითარებაში დამატებითი ნივთის მეპატრონე უფლებამოსილია წარადგინოს სარჩელი – *actio ad exhibendum* (წარდგენის შესახებ პირადი სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა, რომ მოპასუხეს სასამართლოში წარმოედგინა სადაო ნივთი, ხოლო თუ მოპასუხე უარს ამბობდა ნივთის წარმოდგენაზე, ის დაისჯებოდა, თითქოსდა ნამდვილ დავაში წაგებული მხარის მსგავსად), იმ პირობით, რომ დამატებითი ნივთის გამოცალკევებით არ დააზიანებდა ძირითად ნივთს. მიწების ან სხვა უძრავი ქონების გაზრდის ვითარებაში საჭიროა, გამოვაცალკევოთ სხვა მიწაზე თესვის, მცენარეთა დარგვის ან მშენებლობის წარმოების შემთხვევები. კერძოდ, ამ ვითარებაში მოქმედებდა პრინციპი „*superficies* მისდევს მიწის ნაკვეთს (მის სტატუსს)" – *superficies solo cedit*, ანუ ყველაფერი, რაც სხვის მიწაზეა დარგული, დათესილი ან აშენებული, მიწის ნაკვეთის მეპატრონის საკუთრებაში შედის.

მოძრავი ქონების ნამატის შემთხვევაში უნდა გამოიყოს: 1) ლითონისგან დამზადებული ნივთები, რომლებიც ისეა ერთმანეთთან შედუღებული, რომ შეუძლებელია მათი გამოცალკევება (*ferruminatio*); 2) სხვის ქსოვილში ჩატანებული ძაფი;[792] 3) ნაბდის ტილოს შესაღებად გამოყენებული საღებავი (*tinctura*); 4) სხვის დაფაზე დახატული ნახატისათვის გამოყენებული საღებავი (*pinctura*) (ამ ბოლო შემთხვევის თაობაზე პაულუსი ამბობდა, რომ სურათი ექვემდებარება იმ დაფას, რომელზეც ის არის დაწერილი.[793]

ნამატის ყველა შემთხვევაში, საკუთრების უფლების დაკარგვის გამო, რომაელი იურისტები ითხოვდნენ დაზარალებული მესაკუთრისათვის კომპენსაციის გადახდას, კერძოდ: 1) თუ ის, ვინც აერთიანებს ნივთებს ან გადაამუშავებს მათ, არის დამატებითი

---

[791] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 356-358; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 228-229.

[792] textura – ქსოვილში ჩატანებული ძაფი.

[793] Paul., D. 6.1.23.3. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 161.

ნივთის მესაკუთრე, მაშინ მას, ნივთის დაუფლების შემთხვევაში, შეუძლია *exceptio doli* (მაშინ ეძლევა მხარეს, როცა ჯერ კიდევ არ მომხდარა მოტყუებით დამძიმებული გარიგების აღსრულება) წარუდგინოს ძირითადი ნივთის მესაკუთრეს, მის მიერ წარდგენილი *rei vindicatio*-ს საპასუხოდ, რათა მოითხოვოს კომპენსაცია იმ ნაზარდის გამო, რაც ძირითადი ნივთის მესაკუთრემ მიიღო დამატებითი ნივთის მესაკუთრის შრომის შედეგად.

2) თუ ის პირი, ვინც ახორციელებდა ნივთების გადამუშავებას ან გაზრდას, არის ბოროტი განზრახვით მოქმედი, ძირითადი ნივთის მესაკუთრემ, ან მესამე პირმა, მის წინააღმდეგ უნდა გამოიყენონ შემდეგი სახის სარჩელები: ა) *actio furtis*, იმ მოტივით, რომ თითქოსდა მიტაცებული იყო მასალა ან დამატებითი ნივთი; ბ) *actio cognitio*, იმ პირის სასარგებლოდ, ვისაც ჩამოართვეს ნივთზე საკუთრების უფლება; გ) თუ ნივთების გადამუშავება ან გაზრდა შემთხვევით მოხდა ან მესამე პირის მიერ იქნა კეთილსინდისიერად განხორციელებული (*bonae fidei*), ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელია.

§5. საკუთრების უფლების შეძენა ხელშეკრულებით

საკუთრების გადაცემა დაიშვებოდა მხოლოდ იმ პირებს შორის, რომლებსაც ხელშეკრულებებისა და გარიგებების გზით ქონების შეძენისა და გასხვისების უფლება ჰქონდათ, ასევე, ანდერძის ან კანონისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე.[794]

კლასიკური პერიოდის სამართლით, საკუთრების სახელშეკრულებო შეძენა სამი წესით იყო დასაშვები: *mancipatio, in iure cessio, traditio*.[795] იუსტინიანეს სამართალში მხოლოდ *traditio*[796] იქნა შენარჩუნებული. სახელშეკრულებო წესით საკუთრების უფლების გადასაცემად, აუცილებელი იყო მხარეთა შეთანხმება საკუთრების უფლების შეძენასა და გასხვისებაზე.

---

[794] Inst. Iust. 2.9. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002. 79-83.

[795] Римское частное право, под ред. Новицкого И.Б. и Перетерского И.С., Москва, Юриспруденция, 2002, 152.

[796] Inst. Iust. 2.1.40. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 63.

ა) Mancipatio (მანციპაცია)

კვირიტული საკუთრების შეძენის უძველესი წესი იყო მანციპაცია,[797] რომლის თანახმადაც, ხუთი მოწმისა და მესასწორის თანდასწრებით პირს, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ნივთი რეალურად გადაეცემოდა. ეს იყო ყიდვა-გაყიდვის ერთდროული აქტი, ნივთის არასასამართლო გზით გამოთხოვის მსგავსად. ნივთის ფასის სანაცვლოდ, გამსხვისებელს გადაეცემოდა ლითონის ზოდი, რომლის ასაწონადაც მესასწორეს უხმობდნენ. აღნიშნული წესი მოქმედებდა ნებისმიერი ნივთის შესაძენად, რომელიც *res mancipi*-ის კატეგორიას მიეკუთვნებოდა. თავდაპირველად, გამყიდველის მიერ გადაცემული ლითონი რეალურად იწონებოდა, მოგვიანებით, ამ რიტუალმა სიმბოლური ხასიათი მიიღო. გაიუსის დროს მანციპაცია ფიქციურ გაყიდვად იქცა.[798]

მანციპაციით რეალურად შესაძლებელი იყო ნივთების გაყიდვა განვადებით, ასევე მათი გაჩუქება და მზითევად გატანება, რადგან გარიგების მომენტში გამყიდველისათვის მხოლოდ ღირებულების მცირე ნაწილის გადახდა ხდებოდა. მანციპაციით იგულისხმებოდა, რომ მხარეებს სამოქალაქო ბრუნვაში ჩაბმის უფლება *(ius commercii)* ჰქონდათ, ანუ ისინი რომის მოქალაქენი ან *latini prisci et peregrini* იყვნენ, რომლებსაც *ius commercii* ჰქომდათ მინიჭებული.[799] იმ შემთხვევაში, თუ მანციპირებადი ნივთის გამსხვისებელი მესაკუთრე არ იყო, შემძენის სარჩელის საფუძველზე კანონიერი მესაკუთრე შემძენს ნივთს სთხოვდა. გამსხვისებელს ნივთის ორმაგი ფასის, ანუ მანციპაციის დროს მოთხოვნილ თანხაზე ორჯერ მეტის გადახდა ევალებოდა (ქურდობის[800] ანალოგიურად).

---

[797] Gai.,1.119. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011,36-37; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л. Кофанов, Москва, Статут, 2005, 360-362; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 231-232.

[798] venditio imaginaria – ფიქციური გაყიდვა. იქვე.

[799] XII დაფის (ტაბულის) კანონები. VI დაფა. 1 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К». 2009, 66.

[800] furtum – ქურდობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины,

ბ) in iure cessio

საკუთრების უფლების გადატანის ამ წესით მოჩვენებითი სასამართლო პროცესი იგულისხმებოდა. სასამართლო პროცესი, საკუთრების უფლების თანახმად (გაიუსი),[801] შეძენის მიზანს შეესაბამებოდა. მოჩვენებითი სასამართლო პროცესის მსგავსად, ამ წესით პროცესზე მხოლოდ ის პირები დაიშვებოდნენ, ვისაც რომის სასამართლო პროცესზე დაშვების უფლება ჰქონდა. შემძენი ითხოვდა შესაძენ ნივთს, ხოლო გამსხვისებელი ნივთზე საკუთრებას უარყოფდა ან აღიარებდა. პრეტორი, რომლის თანდასწრებითაც *in iure* წარმოების დროს, ასეთი პროცესი ტარდებოდა, მოსარჩელის უფლებას ადასტურებდა და მხარეთა ნებას სათანადო აქტით ადგენდა.

გ) Traditio (გადაცემა)

Traditio – საკუთრების უფლების გადაცემის ფორმა, რომის სამართლის ნაწილმა, ხალხის სამართალმაც (*ius gentium*) აღიარა.[802] *Traditio*-თი იგულისხმებოდა შემძენისათვის, გამსხვისებლისაგან ნივთის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემა. ნივთის გადაცემის ასეთი ფორმა მხარეთა შორის წინასწარ დადებული შეთანხ-

---

определения, Москва, 1989, 138-139.

[801] Gai.,2.24-25. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 60; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 363; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва. Норма, 2008, 232-233.

[802] Gai.,2.28. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 61; Inst. Iust. 2.1.40. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 63; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изл-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 377-362-367; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 358-360; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 233-234.

მების აღსრულება იყო. კლასიკურ პერიოდში *res mancipi*-ს მიმართ, ტრადიციო არა კვირიტული, არამედ პრეტორული, ბონიტარული საკუთრების შესაძენად გამოიყენებოდა. *Traditio*-თი ნივთზე საკუთრების უფლების შესაძენად სავალდებულო იყო პირობა – *iusta causa possessionis*, რომლის საფუძველზეც ნივთი გადაიცემოდა, ანუ ნივთის გასხვისება-შეძენა ორივე მხარის ნება იყო. აღნიშნული ნება ნივთის გადაცემამდე გამოიხატებოდა, რის შემდეგაც ხდებოდა ნივთის გადაცემა.

§6. საკუთრების უფლების სახეები

ა) Dominium ex iure Quiritium (კვირიტული საკუთრება)

კვირიტული სამართლის მიხედვით, საკუთრების უფლება (*dominium ex iure Quiritium*)[803] სრულუფლებიან რომაელ მოქალაქეებსა და *res commercii*-ის მქონე პირებს ჰქონდათ. რომაული სამართლის თანახმად, გარდა სამართალსუბიექტობისა, საჭირო იყო, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის პირობა ნივთსაც ჰქონოდა. თავდაპირველად, ასეთი ნივთები იყო: *res mancipi* და კვირიტული საკუთრების შესაძენად ხელშეკრულებით დადგენილი ქონების შეძენის ისეთი სპეციალური საშუალებები, როგორიც იყო მანციპაცია. ამ უფლებათა ობიექტს განეკუთვნებოდა ასევე *res nec mancipi*, რომელთა შეძენა განსაკუთრებულ ფორმალობებს არ ითხოვდა.

ბ) პერეგრინების საკუთრება[804]

არარომაელი მოქალაქეები (ლათინები და პერეგრინები) რომს საკუთარი სამშობლოს უფლებით (*origo*) ექვემდებარებოდნენ. რო-

[803] Inst. Iust. 2.4.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 68; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 308; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 219-220.

[804] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 309.

მაული სამართლით, *ius gentium*-ის საფუძველზე, მათ საკუთრების უფლება მხოლოდ მოძრავი ნივთების ბრუნვის სფეროში ჰქონდათ. უცხოელებისათვის საკუთრების შეძენის უფლება მხოლოდ პერეგრინების პრეტორის ედიქტით დაიშვებოდა, „ფიქტიური" სარჩელით, რომელიც უფლების ხშირი დარღვევის აღსაკვეთად ჯარიმას ადგენდა. სავარაუდოდ, უცხოელები მხოლოდ მფლობელობით ინტერდიქტებს სჯერდებოდნენ. *Dominium*-ის მფლობელობა მათ არ შეეძლოთ. თუმცა უცხოელთა ქონება პრეტორის განსაკუთრებული სარჩელებით იყო დაცული. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი პრეტენზიას აცხადებდა იმ ნივთებზე, რომლებსაც უცხოელები ფლობდნენ რომში, ანდა მიწის იმ ნაკვეთებზე, რომლებიც იტალიის ტერიტორიაზე იყო, პრეტორის სარჩელი ფიქციას[805] შეიცავდა და პერეგრინების უფლებებს იცავდა.

გ) პროვინციული საკუთრება[806]

პროვინციულ მიწაზე რომაელი ხალხის საკუთრება დაპყრობის უფლებას ეფუძნებოდა. ეს იყო საჯაროსამართლებრივი ტიპის საკუთრება.[807] პროვინციული საკუთრება, რომელზეც საკუთრების უფლება მტრისათვის წართმეული ტერიტორიის[808] მფლობელობას (*possessio*) ეხებოდა, მხოლოდ *populus Romanus* გააჩნდა. ასეთ მიწას რომაელი იჯარით გადასცემდა კერძო პირებს, რომლებსაც ე.წ. *tributum* ან *stipendium* გადასახადის გადახდა ევალებოდათ. გაიუსის თანახმად, პროვინციაში მდებარე მიწის ნაკვეთი რომაელი ხალხის ან კეისრის საკუთრება (*dominium*) იყო. კერძო პირების ფაქტობრივი საკუთრების უფლება პროვინციების მმართველთა დაცვას ექვემდებარებოდა. პოსტკლასიკურ პერიოდში პროვინციული საკუთრების უფლების წესი მფლობელობის ინსტიტუტს თითქმის შეერწყა, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: 1. ცივილური

---

[805] fictio – ფიქცია. Actio Publiciana – ქრ. შობამდე 70 წელს პრეტორმა პუბლიციუსმა rei vindicatio მიანიჭა ბონიტარულ მესაკუთრეს. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 42.

[806] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 309-310.

[807] res publica – საჯაროსამართლებრივი ტიპის საკუთრება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 275.

[808] ager publicus – მტრისათვის წართმეული ტერიტორია. იქვე, 29-30

და პრეტორული სარჩელების დუალიზმი აღარ არსებობდა, მას შემდეგ, რაც იტალიაში არსებული ყველა ნაკვეთი ტრიბუტით[809] დაიბეგრა, რომაელი მოქალაქეებისა და პროვინციელების საკუთრების უფლებათა არსებული სხვაობაც მთლიანად გაუქმდა. გარდა ამისა, კარაკალამ, 212 წლის ედიქტით იმპერიის მთელ თავისუფალ მოსახლეობას რომის მოქალაქეობა უბოძა, რითაც რომის მოქალაქეები და პერეგრინები უფლებრივად გათანაბრდნენ; 2. ამ პერიოდში მოხდა საკუთრებისა და მფლობელობის შერწყმაც.

დ) Res sua in bonis (ბონიტარული ანუ პრეტონული საკუთრება)[810]

საკუთრების აღნიშნული კატეგორია წარმოიშობოდა იმ შემთხვევაში, როცა პრეტორი ცივილური მესაკუთრის სარჩელისაგან, საკუთარი სარჩელით იცავდა იმ პირს, რომელმაც მანციპირებადი ნივთი შეიძინა. თუმცა, აღნიშნული ნივთის გადაცემა *mancipatio* ან *in iure cessio*-ს ფორმების დაუცველად მოხდა. ასეთ და იმ შემთხვევაშიც, როცა პრეტორული სარჩელით დაცვას ექვემდებარებოდა ისეთი პირი, რომელიც არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ პრეტორს თავისი სარჩელით იგი ასეთად გამოჰყავდა, პრეტორი თითქოსდა მესაკუთრეს *actio Publiciana* ძალით, მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნისაგან იცავდა. ასეთი სარჩელი *rei vindicatio* სარჩელის ანალოგიური იყო.

ე) საკუთრება იუსტინიანეს სამართლით[811]

მიწის ნაკვეთების კვირიტულ და პროვინციულ საკუთრებად დაყოფის გაუქმების შემდეგ, ყოველგვარი გარიგების მიმართ, მიწის ერთიანი საჯარო რეგისტრაცია შემოიღეს.[812] აქედან გამომ-

---

[809] tributum – გადასახადი, ქონებაზე 1%-ანი გადასახადი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 316.

[810] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 308-309; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 220.

[811] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 310; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 220-221.

[812] transcriptis – მიწის ერთიანი საჯარო რეგისტრაცია.

დინარე, იუსტინიანეს კანონმდებლობით, მხოლოდ *dominum ex iure Quiritium* აღადგინეს.

კუთვნილების ისტორიული ნიშნის მიხედვით, რომაელები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ საკუთრების უფლების შეძენის საშუალებებს ცივილური სამართლითა და ხალხის სამართლით.

§7. Usucapio (შეძენა ხანდაზმულობით)

პირი ნივთზე საკუთრების უფლებას მაშინაც იძენდა, თუ იგი გარკვეული დროის განმავლობაში და გარკვეული პირობების დაცვით ფლობდა აღნიშნულ ნივთს. საკუთრების უფლების შეძენის აღნიშნულ საშუალებას ხანდაზმულობით შეძენა (*usucapio*) ეწოდებოდა.[813] ძველი ცივილური სამართლით, ხანდაზმულობით შეძენის ერთ-ერთი სახე იყო *usucapio*, რომლის შემთხვევაში მფლობელობის კანონიერი საფუძველი და კეთილსინდისიერი მფლობელობა სავალდებულო არ იყო. თუმცა ძველთაგანვე ეს წესი ნაქურდალ ნივთებზე არ გავრცელდა. მათი შეძენა ხანდაზმულობით ჯერ კიდევ XII დაფის კანონებმა, შემდეგ ატილიუსის (ქრ.შობამდე III ს.), მოგვიანებით – პლავტიუსის (ქრ.შობამდე 70 წ.) კანონებმა აკრძალეს.

ნივთის ხანდაზმულობით შეძენა მხოლოდ რომაელ მოქალაქეს შეეძლო, თანაც ის *persona sui iuris* უნდა ყოფილიყო.[814] ეს წესი მხოლოდ იტალიურ მიწებზე ვრცელდებოდა. ხანდაზმულობით

---

[813] XII დაფის (ტაბულის) კანონები. VI დაფა. 3 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2009, 66; Gai.,2.41-59. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 64-68; Inst. Iust. 2.6. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 70-74; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 365-369; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 235-239.

[814] D.41.3.1-2. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005,101.

შეძენა არ დაიშვებოდა *res incorporales,*[815] *res extra commercium* და იმ ნივთებზე, რომელთა ხანდაზმულობით შეძენას კანონი კრძალავდა. ასეთები იყო: ნაქურდალი ნივთები,[816] ნაალაფარი,[817] ნაკვეთებს შორის არსებული საგნები და სერვიტუტი. XII დაფის კანონებით იკრძალებოდა ქალის მიერ მეურვის ნებართვის[818] გარეშე გასხვისებული *res mancipi* ნივთების ხანდაზმულობით შეძენა. *Usucapio*-ს ერთ-ერთი მახასიათებელი იყო ნივთის უწყვეტად ფლობა (*possessio*).[819] ხანდაზმულობის ვადა, მფლობელობისა და მისი სამართლებრივი საფუძვლის დარღვევისას, შეწყვეტილად მიიჩნეოდა. *Usucapio*-ს მეორე ნიშანი იყო დრო,[820] რითაც ხანდაზმულობით შეძენის, კანონით განსაზღვრული, ვადა იგულისხმებოდა, კერძოდ: 2 წელი უძრავ და 1 წელი მოძრავ ნივთებზე.[821] იუსტინიანეს სამართლით აღნიშნული ვადები შეიცვალა, კერძოდ: მოძრავ ნივთზე 3, ხოლო უძრავ ნივთზე 30 წელი დადგინდა.[822] პრინციპულად განსხვავდებოდა ე.წ. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა,[823] რომლითაც კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ,

---

[815] D.41.1.43.1. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 45.

[816] res furtivae – ნაქურდალი ნივთები. XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII დაფა. 17 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2009, 73.

[817] res vi possessae – ნაალაფარი. Gai.,2.45. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 64-65.

[818] auctoritas tutoris – მეურვის ნებართვა. XII დაფის (ტაბულის) კანონები. V დაფა. 2 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2009, 65.

[819] D.41.3.5. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 107-109.

[820] tempus – დრო.

[821] Gai.,2,42;54. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 64-67.

[822] Inst. Iust. 2.6. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 70-71.

[823] longi temporis praescriptio – სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 523-265.

ნივთის ვინდიცირებაზე პრეტენზიის მქონე მესაკუთრეს უარს ეუბნებოდნენ მფლობელის მხრიდან შესაგებელი სარჩელის წარდგენით. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 10 წლით განისაზღვრა, თუ მოდავე მხარეები ერთ თემს (*civitas*) ეკუთვნოდნენ და 20 წლით – თუ სხვადასხვა თემის წევრები იყვნენ. გარდა ამისა, მფლობელობა უნდა ყოფილიყო *iusta causa*-ზე დამყარებული და კეთილსინდისიერად მიჩნეული.

§8. საკუთრების უფლების მართლზომიერი შეზღუდვა

მესაკუთრეს შეეძლო ნებაყოფლობით შეეზღუდა თავისი საკუთრების უფლება, თუ სერვიტუტით[824] დატვირთავდა საკუთარ ქონებას. საკუთრების უფლების სხვაგვარი შეზღუდვები კი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სამართლით იყო გათვალისწინებული. თუმცა საკუთრების უფლების შეზღუდვა არ იყო გაერთიანებული რაიმე ზოგადი ხასიათის დებულებით ან გვარობითი კატეგორიით, როგორც ამას თანამედროვე სამართალი ითვალისწინებს ე.წ. იძულებითი ექსპროპრიაციის სახით. ამ პერიოდის ზენონის[825] და იუსტინიანეს კონსტიტუციებში,[826] აგრეთვე მათზე დართულ ინტერპოლაციებში ნახსენები (ერთ მიწის ნაკვეთზე მეორის სასარგებლოდ დადგენილი) შეზღუდვებიც *servitutes* სახელწოდებით იყო ცნობილი.

საკუთრების უფლების შეზღუდვა ხდებოდა: 1. რელიგიური მოსაზრებით. XII დაფის კანონებით იკრძალებოდა გვამების დაკრძალვა და კრემაცია ქალაქის ტერიტორიაზე და მის ირგვლივ, თუ სამარხსა და უახლოეს შენობას შორის მანძილი 60 ფუტზე

[824] servitutes – სხვის ნივთზე არსებული სანივთო უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნივთით სრულ ან ნაწილობრივ სარგებლობას და რომლებიც განუყოფლად არიან დაკავშირებული გარკვეულ მიწის ნაკვეთთან ან გარკვეულ პირთან. Inst. Iust. 2.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 65-67; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 294-296.

[825] CI.8.10.12. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 313.

[826] CI.8.10.13. იქვე.

ნაკლები იყო, ასევე, პონტიფიკოსების თანხმობის გარეშე გვამების ექსგუმაცია;[827] 2. სამშენებლო ნორმების დაცვის აუცილებლობით. კლასიკური სამართალი შეიცავდა ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ შენობა-ნაგებობათა მაქსიმალურ სიმაღლეს, შენობებს შორის მანძილსა და მათ გარეგნულ იერ-სახეს; 3. საზოგადოებრივი გზების გაყვანის აუცილებლობით. XII დაფის კანონები ითვალისწინებდა იმ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა მოვალეობებს, რომლებიც საზოგადოებრივი გზების გასწვრივ იყო განლაგებული.[828] მათ გზების სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობის მიღება ევალებოდათ. თუ საზოგადოებრივი გზა იმდენად დაზიანდა, რომ შეუძლებელი გახდა მასზედ შეუფერხებელი გავლა, მიმდებარე ნაკვეთების დაუდევარ მესაკუთრეებს ევალებოდათ საკუთარ მიწაზე საჭაპანე ტრანსპორტის გატარება;[829] 4. ზღვის ნაპირზე მდებარე მიწის ნაკვეთების მიმართ დადგენილი შეზღუდვა გულისხმობდა მისი მესაკუთრეების მოვალეობას, შეუფერხებლად გაეტარებინათ საკუთარ ტერიტორიაზე მეზღვაურები და მეთევზეები, ნაოსნობისა და მეთევზეობის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით;[830] 5. მიწის წიაღით სარგებლობის მოტივით. კლასიკური სამართალი დასაშვებად მიიჩნევდა მატერიალური რესურსების მოპოვებას მხოლოდ საზოგადოებრივ ტერიტორიებზე და კატეგორიულად კრძალავდა სარენაო საქმიანობას კერძო პირების კუთვნილ ნივთებზე; 6. საზოგადოებრივი აუცილებლობით განპირობებული ექსპროპრიაცია. კლასიკური სამართალი არ ითვალისწინებდა რაიმე ზოგად პრინციპს, რომლის საფუძველზეც მოქალაქისათვის ქონების უსასყიდლო ჩამორთმევა შესაძლებელი იქნებოდა. თუმცა, მაგისტრა-

---

[827] D.11.7.8pr. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 599; XII დაფის (ტაბულის) კანონები. X დაფა. 1 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 76; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 313-314

[828] XII დაფის (ტაბულის) კანონები. VII დაფა. 7 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 69.

[829] D.8.6.14.1. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 381.

[830] D.1.8.5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. ნიგნი პირველი. ნიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 109-110.

ტი, საკუთარი *imperium*-ის ძალით და სენატის თანხმობით, რიგ კონკრეტულ შემთხვევაში, მიმართავდა მოქალაქისათვის ქონების ჩამორთმევას კონფისკაციის სახით, ან მონის მიერ დანაშაულის ჩადენის გამო.

§9. საკუთრების უფლების დაცვა, ინტერდიქტები

retinendae possessionis – გაქვითვითი ინტერდიქტი; recuperandae possessionis – აღდგენითი ინტერდიქტი; adipiscendae possessionis – აღმჭურველი ინტერდიქტი.

მფლობელობის დაცვა სასამართლოს გზით არ ხდებოდა. მფლობელობის დაცვას პრეტორი საკუთარი ინტერდიქტით[831] (ბრძანებით) ახორციელებდა. ინტერდიქტების მეშვეობით პრეტორი მფარველობდა გარკვეულ ფაქტობრივ ვითარებას (*possessio ad interdicta*). ინტერდიქტების კლასიფიცირება რამდენიმე კრიტერიუმით ხდებოდა. კერძოდ, მათი მინიჭების მიზნებიდან გამომდინარე, ინტერდიქტები იყოფოდა: 1. გაქვითვითი ინტერდიქტი,[832] იმ აქტების თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც ზიანს აყენებენ ან ხელს უშლიან მფლობელობის განხორციელებას; 2. აღდგენითი ინტერდიქტი,[833] იმ პირის სასარგებლოდ, ვისი მფლობელობაც იქნა

---

[831] Gai.,4.138-170. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 227-236.

[832] retinendae possessionis – გაქვითვითი ინტერდიქტი. Gai.,4.148. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 229-230; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 317-319.

[833] reciperandae possessionis – აღდგენითი ინტერდიქტი. Gai.,4.154. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 231-232; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 319-321.

ხელყოფილი; 3. აღმჭურველი ინტერდიქტი,[834] რომლის შემადგენლობაში შედიოდა სპეციალური ინტერდიქტი მემკვიდრეობის შესახებ, *quod legatum* (ლეგატის ფლობის გამოთხოვის უფლება პირისაგან, რომელიც მას დაეუფლა მემკვიდრის ნების საწინააღმდეგოდ) ინტერდიქტი და *quorum bonorum* (ინტერდიქტი ენიჭება პრეტორულ მემკვიდრეს, რომელიც მოითხოვდა სამკვიდრო ნივთების მფლობელობაში დაბრუნებას იმ ნებისმიერი პირისაგან, რომელიც ქონებას მემკვიდრის სახით ფლობდა, თუმცა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე) ინტერდიქტი.

საკუთრების უფლების დაცვა სასარჩელო გზით იყო უზრუნველყოფილი. კერძოდ, საკუთრების უფლების დაცვა ხდებოდა სავინდიკაციო,[835] ნეგატორული,[836] მინიჭების შესახებ[837] სარჩელებითა და *actio Publiciana*[838]-ს მეშვეობით.

---

[834] adipiscendae possessionis – აღმჭურველი ინტერდიქტი. Gai.,4.144. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 228-229; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 319-321.

[835] rei vindicatio – სავინდიკაციო სარჩელი. Gai.,4.16-17. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 186-188; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 328-331; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 240-242.

[836] actio negatoria – ნეგატორული სარჩელი. Gai.,4.3. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 183; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 333; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 242-243.

[837] actio exhibitoria – მინიჭების შესახებ სარჩელი. D.50.17.156pr. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 553; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 331.

[838] actio Publiciana – პუბლიციუსის სარჩელი ფიქციით (rei vindicatio-ს მსგავსი და პარალელურად მინიჭებული). Gai.,4.36. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 194; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ.

ა) *Rei vindicatio*-ს მეშვეობით ხდებოდა იმ ცივილური მესაკუთრის მფლობელობის უფლების დაცვა, რომელსაც მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩამოართვეს ნივთის ფლობის უფლება. ცივილურ მესაკუთრეს შეეძლო სავინდიკაციო სარჩელის წარდგენა იმ შემთხვევაში, თუ მის საკურებაში არსებული, ნივთის ფლობის ხელყოფა მოხდებოდა. მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას იმ მოპასუხეს უყენებდა, რომელიც უშუალოდ ფლობდა სადაო ნივთს და თანაც, პრეტორული ინტერდიქტით იყო დაცული. სავინდიკაციო პროცესში მოპასუხეს უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, ვინაიდან სწორედ მოსარჩელეს აწვა მტკიცების ტვირთი იმის თაობაზე, რომ სადაო ნივთზე საკუთრების უფლება მხოლოდ მას ეკუთვნოდა.

როგორც წესი, ამის დამტკიცება ძალზე რთული, ხშირად – შეუძლებელიც იყო. ამიტომ, მტკიცების პროცედურის გამარტივების მიზნით, სარგებლობდნენ *usucapio*-თი (შეძენითი ხანდაზმულობით). თუ მოპასუხე მოიგებდა პროცესს და მის მიმართ მოსამართლეს გამამართლებელი განაჩენი გამოჰქონდა, ნივთი მის მფლობელობაში რჩებოდა, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ უარყოფდა მოსარჩელის საკუთრების უფლებას ნივთის მიმართ. აქედან გამომდინარე, ხშირად სავინდიკაციო პროცესს წინ უსწრებდა იმის განხილვა, თუ რამდენად მართლზომიერად გაიცა პრეტორული მფლობელობითი ინტერდიქტი. თუ სავინდიკაციო პროცესის გამარჯვებული მოსარჩელე ხდებოდა, სასამართლო მას სადაო ნივთს უბრუნებდა. აღნიშნული აქტი მოსამართლის შუამავლობით ტარდებოდა.

ნივთზე მფლობელობის აღდგენა სამი ასპექტის გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო: 1. ნივთის ნაყოფისა და დამატებითი ნაწილების დაანგარიშება; 2. იმ ხარჯების დაცვა, რომლებიც ნივთის მფლობელმა ნივთის მიმართ გასწია; 3. ნივთისათვის მიყენებული ზიანის ან ზარალის შედეგები. სამივე ასპექტის შინაარსზე გავლენას ახდენდა მოსამართლის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, იყო თუ არა ნივთის ფაქტობრივი მფლობელი – მოპასუხე კეთილსინდისიერი ან არაკეთილსინდისიერი (*possessio iusta, possesssio inuista* (*vitiosa*)) შემძენი: ა) ნივთი მესაკუთრეს უბრუნდებოდა, ნაყოფისა და ნამატის ჩათვლით; ბ) მფლობელის მიერ, ნივთის მიმართ, გაწეული ხარჯები სამი კატეგორიით იყო გათვალისწინებული: 1) აუცილე-

---

ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 331-333.

ბელი ხარჯები, რომელთა გაწევა გარდაუვალი იყო, ნივთის შენახვის მიზნით; 2) სასარგებლო ხარჯები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ნივთის გადიდებას ან გაუმჯობესებას; 3) თვითნებური ან ფუჭი ხარჯები, რომელთა მიზანი არ იყო სამეურნეო ეფექტის მიღება და შესაბამისად, არ შეიძლებოდა მათი ხარჯების საფასურში ჩათვლა. კლასიკურ სამართალში, კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეული საჭირო და სასარგებლო ხარჯების ანაზღაურება ნივთის მესაკუთრეს ევალებოდა, თუ ასეთი ხარჯების გაწევა *litis contestatio*-ს დადგენამდე მოხდებოდა.

გ) კეთილსინდისიერი მფლობელი მხოლოდ იმ ზიანის გამო აგებდა პასუხს, რომელიც ნივთს მისი ბრალეული ქმედების შედეგად მიადგა, თუმცა მხოლოდ *litis contestatio*-ს დადგენამდე და არავითარ შემთხვევაში მის შემდგომ. არაკეთილსინდისიერი მფლობელი კი პასუხისმგებელი იყო ნებისმიერ ვითარებაში.

b) *Actio negatoria* (ნეგატორული სარჩელი). ცივილური მესაკუთრე უფლებამოსილი იყო წარედგინა სანივთო სარჩელების მთელი სერია, რათა უარეყო იმ მომიჯნავე უფლებების არსებობა, რომელთა მიზანი ნივთის მიმართ მისი საკუთრების უფლების შეზღუდვა იყო. აღნიშნული კატეგორიის სარჩელები ერთიანი სახელდებით – ნეგატორული სარჩელი გაერთიანდნენ. მესაკუთრეს მტკიცების მოვალეობა ჰქონდა იმ ფაქტის მიმართ, რომ ნივთი სწორედ მისი საკუთრება იყო და მოხდა ამ საკუთრების უფლების შეზღუდვა, ან მისი განხორციელებისათვის ხელშეშლა. მოპასუხე, თავის მხრივ, მოსარჩელის პრეტენზიას დასაბუთებულად უარყოფდა და საპირისპიროს ამტკიცებდა. მოსამართლის გამამტყუნებელი განაჩენის შედეგები გულისხმობდა: 1. სადავო ნივთის გათავისუფლებას რაიმე სახის მომიჯნავე უფლებებისაგან; 2. ნივთი უწინდელ მდგომარეობაში უნდა აღდგენილიყო (ანუ აღდგენილიყო ის ვითარება, რომელიც მესაკუთრის უფლებების დარღვევამდე მოქმედებდა); 3. გამარჯვებული იღებდა ისეთ უზრუნველყოფას, რომელიც სამომავლოდ დაიცავდა მას ნივთის მიმართ რაიმე უფლების დარღვევისაგან.

c) Actio exhibitoria (სარჩელი მინიჭების შესახებ). პრეტორული სარჩელით მოპასუხეს შეეძლო უარი ეთქვა საკუთარი მფლობელობის დაცვაზე, ისევე როგორც იმ მფლობელს, რომელმაც განზრახ დათმო მფლობელობა ნივთის მიმართ. აღნიშნულ ვითარებაში მე-

საკუთრეს, პრეტორის მიერ მინიჭებული დაცვის ორი საშუალება გააჩნდა: 1. უძრავი ქონების მფლობელობის მოთხოვნის შესახებ, გაცემული პრეტორული *interdictum quem fundum* (აღდგენითი ინტერდიქტი, რომელიც მოსარჩელეს მიეცემოდა *rei vindicatio*-ს დროს, იმ ფაქტობრივი მფლობელის წინააღმდეგ, ვინც განზრახ უარს ამბობს (მიწის ნაკვეთის გამო) სასამართლო დავაში მონაწილეობაზე ან რომელმაც განზრახ მოიშორა არასასურველი მფლობელობა); *2. Actio ad exhibendum* – მინიჭების შესახებ სარჩელი, რომლის ძალით სასამართლოში მოპასუხე მხარეს უნდა წარმოედგინა სადაო მოძრავი ნივთი.

პრეტორის მიერ მინიჭებული დაცვის საშუალებით, მოსარჩელე მესაკუთრეს შეეძლო გამოეთხოვა სადაო ნივთი, რასაც ის სასამართლოში ფიცის წარმოთქმით ადასტურებდა (*iusiurandum in litem*) და დამატებით მოპასუხის ქონების დაყადაღება (*mission in bona*), თუ მოპასუხე უარს ამბობდა სასამართლო დაცვაზე.

d) Actio Publiciana. სარჩელის აღნიშნული ნაირსახეობა *rei vindicato*-ს მსგავსი იყო და მის პარალელურად წარედგინებოდა, რადგან მას პრეტორი ბონიტარულ მესაკუთრეს ანიჭებდა, დაკარგული მფლობელობის უკან დაბრუნების შესახებ. პრეტორი ფორმულაში მოსამართლისგან შეძენითი ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შესახებ ფიქტიური ვითარების შექმნას მოითხოვდა. *Actio Publiciana* იცავდა იმ პირს, ვინც ნივთი *traditio*-ს მეშვეობით შეიძინა. *Actio Publiciana* ბონიტარულ მესაკუთრეს ნებისმიერი პირის წინააღმდეგ ენიჭებოდა და სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი ჰქონდა, იმის მიხედვით, თუ ვინ გამოდიოდა მოპასუხის სახით.

IV. Possessio (მფლობელობა)

Possessio – მფლობელობა; quasi possessio – თითქოს მფლობელობა; detentio – პყრობა.

ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა მფლობელობად *possessio*[839] იწოდებოდა. ეს იყო წინააღმდეგობრივი ხასიათის ინსტიტუტი, ვი-

[839] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005 306; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 246-247.

ნაიდან სამართლებრივ და ფაქტობრივ ასპექტებს ერთად მოიაზრებდა. მფლობელობის ობიექტად მიიჩნეოდა მხოლოდ სხეულებრივი ნივთები (*res corporales*), ხოლო სხვა ფაქტობრივი შემთხვევები, რომლებიც განსაკუთრებული ინტერდიქტებით – სერვიტუტებით და სხვა სანივთო უფლებებით (*res incorporales*-თი) იყო დაცული, რომაელი იურისტების განმარტებით, ეს იყო თითქოს მფლობელობა.[840]

უფლების მსგავსად, მფლობელობაც პოზიტიური სამართლით იყო აღიარებული და დაცული. ვიწრო გაგებით, განასხვავებდნენ იურიდიულ მფლობელობასაც, რომლის საფუძველზეც მფლობელობასა და პყრობას[841] ერთმანეთისაგან მიჯნავდნენ. სხეულებრივი ნივთის კუთვნილების ფაქტობრივი ვითარება ინდივიდისათვის ოფიციალური აღიარებისა და დაცვისგან დამოუკიდებლად მიიღებოდა.

მფლობელობის, როგორც იურიდიული ვითარების ფაქტიური ხასიათი, რომის იურიდიულმა მეცნიერებამ განსაზღვრა სამართლებრივი ურთიერთობის ნებელობითი ასპექტის განმარტებით ანუ *corpus*-ით. ნივთთან პირის მატერიალური, სხეულებრივი კავშირის გარდა, განასხვავებდნენ ნივთის ფლობის გადაწყვეტილებას, სურვილს (*animus possidendi*). *Animus* – მფლობელობის, როგორც ფაქტობრივი ურთიერთობის სუბიექტური მხარის კონცეპტუალური განცალკევება, არ უარყოფდა მფლობელობის, როგორც ინსტიტუტის სამართლებრივ ხასიათს. *Animus*-ზე გადატანილი აქცენტი ამ ინსტიტუტის ნებელობით და სამართლებრივ ბუნებას ასახავდა.

მაშასადამე, უგუნურს, მძინარეს, ჩვილს ნივთთან კავშირის გაცნობიერების უნარი არ შესწევდათ და ამიტომ მფლობელობის უფლების შეძენა არ შეეძლოთ.[842] ნებელობითი მომენტის არსებობა მფლობელს ნივთთან მატერიალური კავშირის შენარჩუნების აუცილებლობისა და ვალდებულებისგან ათავისუფლებდა. მფლობელს შეეძლო მესამე პირის მეშვეობით, სხეულით (*corpore*) მფლო-

---

[840] quasi possessio – თითქოს მფლობელობა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 360.

[841] detentio – პყრობა. იქვე, 361.

[842] D.41.2.1.3. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 61; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 246-247.

ბელობა განეხორციელებინა, ასევე, შეენარჩუნებინა მფლობელობა „შიშველი ნებით“ (*solo animo*) მისი, ანუ მესამე პირის არარსებობის შემთხვევაშიც.

რომაელები მფლობელობის ორ სახეობას განასხვავებდნენ:[843] მართლზომიერსა[844] და არამართლზომიერს.[845] არამართლზომიერი მფლობელობა შეიძინებოდა ძალის (*vi*) მეშვეობით, ფარულად (*clam*) და ფაქტობრივად (*precario*). მართლზომიერი მფლობელობა განსხვავდებოდა კეთილსინდისიერი მფლობელობისაგან,[846] როდესაც მფლობელი თავს ნივთის მესაკუთრედ მიიჩნევდა, თუმცა, რეალურად, არ უარყოფდა, რომ ნივთის მესაკუთრე არ იყო. მისთვის საფუძველი ის იყო, რომ ნივთის მფლობელობით იგი ზიანს არავის აყენებდა. კეთილსინდისიერად მფლობელობის განსაზღვრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა *usucapio*-სა[847] და ნაყოფის შესაძენად *separatio*-ს მეშვეობით.

რომაელები განასხვავებენ *possessio civilis* – ცივილური ანუ სატიტულო მფლობელობა (რომელსაც წინ უძღოდა *iusta causa*) და უტიტულო მფლობელობას, რომელსაც ბუნებრივი მფლობელობა (*possessio naturalis*), ანუ პყრობა (*detentio*) ეწოდებოდა.[848] ნივთის ფაქტობრივ ფლობად მფლობელობა (პყრობა) მხოლოდ მაშინ მიიჩნეოდა, თუ წარმოიშობოდა იმ იურიდიული ფაქტის საფუძველზე, რომელიც საკმარისად მიიჩნეოდა მფლობელობის შესაძენად. ეს ფაქტი, როგორც წინა მფლობელთან დადებული გარიგება, შეიძლება მართლზომიერად ეცნოთ (უპატრონოდ დარჩენილი ნივთის ან მტრის ნივთის ხელში ჩაგდება), ან ნივთის არამართლზომიერად მისაკუთრებად, თუ მას უწინდელი მფლობელის ნების საპირისპიროდ იგდებდნენ ხელში. ეს იყო არამართლზომიერი მფლობელობის დასაბამი.

---

[843] D.41.2.3.21. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 71-73.

[844] possessio iusta – მართლზომიერი მფლობელობა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 367.

[845] possessio in iusta (vitiosa) – არამართლზომიერი მფლობელობა. იქვე.

[846] possessio bonae fidei – კეთილსინდისიერი მფლობელობა. იქვე, 368.

[847] Gai.,4.36. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 194.

[848] იქვე, 369-370,

პყრობა არ მიიჩნეოდა მფლობელობად,[849] როცა ნივთის ფლობის ნებას განაპირობებდა ნივთის მფლობელთან დადებული შეთანხმება, ან ფლობის ნება დამოკიდებული იყო იმ პირზე, რომლის კავშირი ნივთთან, მფლობელობის შესახებ დადებული შეთანხმების საფუძვლად მიიჩნეოდა. ამის გამო, რომაელები განასხვავებდნენ საკუთარი სახელით ფლობას[850] და სხვისი სახელით ფლობას.[851]

In possessione (*nomine alieno*) *esse* ფორმულა თან ახლავს დაქვემდებარებული პირების პყრობას, იჯარასა და უზუფრუქტს (ანუ იმ ურთიერთობებს, რომელთა საგანი არ არის თვით ნივთი, საკუთარი ფუნქციონალური დატვირთვით). სხვის ხელისუფლებაში მყოფების მეშვეობით განხორციელებული მფლობელობა *potestas*-ს ეფუძნება, რის გამოც *persona alieni iuris*-ის მიერ დაწყებულ მფლობელობას, მათ *paterfamilias*-ის მიერ შეძენილად თვლიდნენ, მიუხედავად იმისა, კონკრეტულ ვითარებაში, თუ ვინ ფლობდა *paterfamilias*-სი, თუ *persona alieni iuris*-ს (ხელისუფლებაში მყოფი პირი).[852]

მფლობელობის წარმოშობისთვის (*in iusta causa possessionis*) სამართლებრივი საფუძვლის არსებობა განსაზღვრავდა საკუთრებაში ნივთის შეძენის მართლზომიერებას ან ხანდაზმულობას, როცა მფლობელობისა და საკუთრების უფლების შეძენა ერთმანეთს შეესაბამებოდა (*possessio pro suo* – ვფლობ, როგორც საკუთარს).[853]

მფლობელობის, როგორც განსაკუთრებული სანივთო უფლების სპეციფიკა, მფლობელობის დაცვის განსაკუთრებული ხასიათით ვლინდებოდა, რომლის დაცვა არა სასამართლო განხილვის ფორმით, არამედ პრეტორის ბრძანებით, ინტერდიქტული წარმოებით ხორციელდებოდა.[854] მფლობელობის, როგორც სანივთო უფლების

---

[849] Gai.,4.153. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 231.

[850] possessio suo nomine – საკუთარი სახელით ფლობა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 364.

[851] essere in possessione nomine alieno – სხვისი სახელით ფლობა. იქვე.

[852] D.41.2.4. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 73.

[853] D.41.10.1pr. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 163.

[854] Gai.,4.143. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 228; Дождев Д.В., Римское частное право,

დაცვის აუცილებლობას, ადმინისტრაციული და საპოლიციო საშუალების ერთობლიობაც მოწმობდა.[855]

V. Servitutem (სერვიტუტი)

მფლობელობისა და საკუთრების ზემოჩამოთვლილი უფლებების გარდა, რომის სამართლით ნივთების არსის გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, მთელი რიგი უფლებები ჩამოყალიბდა და დადგინდა. აღნიშნულ უფლებათა ობიექტი, ცხადია, იყო სხვისი ნივთები, რის გამოც მათ *iure in re aliena*[856] ეწოდებოდა. ამ უფლებებს ძალზე ადრე მიეცა დასაბამი. მათი თანდათანობითი განვითარების საფუძველზე სხვადასხვა შინაარსის უფლებამოსილებათა გარკვეული ჯგუფი შეიქმნა. კლასიკური ეპოქის დასასრულს, ამ ჯგუფს სერვიტუტის, სუპერფიციუმისა და ემფითევზისის ინსტიტუტები და გირავნობა დაემატა.

§1. სერვიტუტის ცნება და ძირითადი ნიშნები

სერვიტუტი[857] ეწოდებოდა სხვისი ნივთით სრული ან ნაწილობრივი სარგებლობის უფლებას, რომელიც უშუალოდ კონკრეტულ მიწის ნაკვეთს ან კონკრეტულ პირს უკავშირდებოდა, სარგებლის მიღების მიზნით.[858]

სიტყვით *servitus* – „ნივთის მონა", „ნივთით სარგებლობა" ანუ ისეთი ურთიერთობა აღინიშნებოდა, რომლის დროსაც ნივთით, მიწის ნაკვეთით სარგებელს (*praedium serviens*) იღებდა არა მხოლოდ ბატონი, არამედ მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეც. მესა-

---

Москва, Норма, 2003, 373.

[855] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 373.

[856] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 174.

[857] Inst. Iust. 2.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 65-67; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 294-296.

[858] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 408.

კუთრის უფლებას მომსახურე ნივთზე ასევე სერვიტუტი ეწოდებოდა.[1] შემდგომში ტერმინი *servitus* მთელ რიგ მსგავს ურთიერთობებზე გავრცელდა. მომსახურე ნივთის მესაკუთრეს ევალებოდა[859] თავი შეეკავებინა ნივთებზე იმ გარკვეული ზემოქმედებისაგან, რომელსაც ის შეუზღუდავად განახორციელებდა საკუთარ ნივთზე იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირის სანივთო უფლებებისაგან თავისუფალი იქნებოდა. კერძოდ, სერვიტუტით იგულისხმებოდა თავის შეკავება გარკვეული ქმედებისაგან:[860] 1. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ეკრძალებოდა დადგენილ სიმაღლეზე მაღალი შენობის აგება; 2. მას ევალებოდა სხვა პირის ისეთი ქმედების თმენა, რომელიც მესაკუთრეს შეეძლო აღეკვეთა, თუ ნივთი სერვიტუტით არ იქნებოდა დატვირთული, რაც, ფაქტობრივად, იმაზე მიუთითებდა, რომ მესაკუთრემ მეზობელს ნება დართო, რათა მას მისი ნივთით ესარგებლა, მაგალითად, წყალ-სატევამდე საქონლის გადასარეკად. 3. პოზიტიური ქმედებების შესრულების დავალდებულება სერვიტუტით არ შეიძლებოდა, მაგრამ რომის სამართლით არსებობდა კიდევ ერთი სახეობა, რომლითაც სერვიტუტით დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს საყრდენების განახლება-შეკეთება ევალებოდა. 4. სერვიტუტით დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრეს მუდმივად ევალებოდა კარგ მდგომარეობაში ჰქონოდა არა მხოლოდ მიწის ნაკვეთი, არამედ მასზე არსებული ნაგებობაც, რომელზედაც სერვიტუტი სხვა პირს ეკუთვნოდა. 5. ნივთზე საკუთრების უფლება ყველაფერს, მათ შორის სერვიტუტის უფლებასაც მოიცავდა. აღნიშნულის საფუძველზე შეიმუშავეს შემდეგი დებულება – საკუთარი ნივთი არავის ემსახურება (*nemini res sua servit*)[861] ანუ საკუთარ ნივთზე სერვიტუტის უფლება დაუშვებელია. 6. სერვიტუტი – განუყოფელია, ისევე, როგორც მისით სარგებლობა, რაც სერვიტუტის არსს გულისხმობდა. ამიტომ სერვიტუტი მაშინაც განაგრძობდა არსებობას, როდესაც გაბატონებული ან დატვირთული მიწის ნაკვეთი გაყოფას ექვემდებარებოდა: სერვიტუტის არც ნაწილობრივი შეძენა, არც გასხვისება დაიშვებოდა.

---

[859] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 377.

[860] იქვე, 376-377.

[861] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 377.

§2. სერვიტუტების წარმოშობა[862]

I. სერვიტუტის შეძენა ხდებოდა რეალური შედეგის მქონე აქტებით:[863] 1. *mancipatio*-თი, თუ სერვიტუტით დატვირთული იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მამული და 2. *in iure cessio*-თი, თუ სერვიტუტით საქალაქო და სასოფლო მიწები იყო დატვირთული. *Traditio* აღნიშნული მიზნებისათვის გამოუსადეგარი იყო, რადგან სერვიტუტი უსხეულო ნივთების (*res incorporales*) კატეგორიას განეკუთვნებოდა.

II. სერვიტუტის დადგენის განსაკუთრებული საშუალება გამოიყენებოდა მაშინ, როცა მიწის ნაკვეთის განსაზღვრული ნაწილის მესაკუთრის შეცვლა ხდებოდა: გამსხვისებელი, რომელსაც საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთის მეორე ნაწილზე რჩებოდა (რითაც ის, ფაქტიურად, ზარალდებოდა), თავის სასარგებლოდ სერვიტუტის დადგენას ითხოვდა (*exceptio* (*deductio*) *servitutis*). ამ შემთხვევაში, სერვიტუტის დადგენა საგანგებო დათქმით – მანციპაციით ან უფლების დათმობით ხდებოდა.

III. ქრ. შობამდე I საუკუნეში სერვიტუტი ხანდაზმულობით (*usucapio*)[864] დგინდებოდა. თუმცა აღნიშნული წესი *lex Scribonia*-თი[865] გაუქმდა. კლასიკურ ეპოქაში სარგებლობის ხანდაზმულობას მხოლოდ სერვიტუტის არსებობის მტკიცების მნიშვნელობა ჰქონდა. იუსტინიანემ სერვიტუტებზე განავრცო ხანდაზმულობის ვადა (*longi temporis praescriptio*), რომელიც სერვიტუტის დადგენიდან 10 ან 20 წლის შემდეგ შედიოდა ძალაში.

IV. სერვიტუტის მინიჭება სასამართლოს გადაწყვეტილებით, თანასაკუთრების გამოყოფისას.[866]

---

[862] Inst. Iust. 2.3.3-4 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 66-67; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 450-451; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 397-398.

[863] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 432-435.

[864] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005,436-437.

[865] D.41.3.4.28. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 107.

[866] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова

§3. სერვიტუტის სახეები

უძველესი რომაული სამართლის თანახმად, მხოლოდ სასოფლო სერვიტუტი[867] არსებობდა. სერვიტუტის ამ სახით მიწის ერთი ნაკვეთის მესაკუთრე მიწის მეორე ნაკვეთის დაქვემდებარებით, გაბატონებული ნაკვეთის სამეურნეო-ეკონომიკურ მოგებას ღებულობდა. წვრილი მიწათმფლობელები მეურნეობას დამოუკიდებლად ვერ უძღვებოდნენ. მხოლოდ საკუთარი რესურსებით აუცილებელი სამეურნეო საჭიროების დაკმაყოფილება მათ არ შეეძლოთ, ახლომდებარე ნაკვეთებთან მუდმივი კავშირისა და შემოერთების გარეშე.

თავდაპირველად, მიწის ნაკვეთები მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა და სამართლებრივად წესრიგდებოდა. ამ მიზნით შემოიღეს სასოფლო ნაკვეთების სერვიტუტი.[868] მათ რიცხვს განეკუთვნებოდა მიწის ნაკვეთები ნაგებობის გარეშე ან მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების საწარმოებლად, დამხმარე ნაგებობები. მოგვიანებით, როცა ქ. რომი უზარმაზარი იმპერიის ცენტრად იქცა, განაშენიანებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით საქალაქო სერვიტუტი[869] წარმოიშვა. ამის შემდეგ, ქალაქშიც სერვიტუტის ყველა სახე საკმაოდ გავრცელდა. განსხვავებულ მოსაზრებას ეფუძნება პირადი სერვიტუტების[870] დადგენა. თუ

«Юридический центр Пресс», 2005, 435.

[867] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 374.

[868] servitutes praediorum rusticorum – სასოფლო ნაკვეთების სერვიტუტი. D.8.1.3. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 301; D.8.2.20pr. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 317; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, москва, 1989, 294-295; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 376, 378-388.

[869] servitutes praediorum urbanorum – საქალაქო სერვიტუტი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 295; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 388-395.

[870] servitutes personales irregulars – პირადი სერვიტუტები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 294; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 376.

ვინმე სხვა პირისათვის თავისი ნივთის სამისდღეშიო გადაცემას მოისურვებდა, ეს მას პირადი სერვიტუტით შეეძლო. ამ შემთხვევაში ნივთი არამესაკუთრის ინტერესებს ემსახურებოდა. თუმცა, პირადი სერვიტუტი აუცილებლად გულისხმობდა, რომ ნივთის მესაკუთრე ყოველთვის რჩებოდა პირადი სერვიტუტის დამდგენ პირად ან მის მემკვიდრედ.

§4. სასოფლო (საადგილმამულო) სერვიტუტი

ყველა სასოფლო სერვიტუტი უშუალოდ მთავარ ნივთს[871] უკავშირდებოდა. სასოფლო სერვიტუტით მიწის ორი განცალკევებული ნაკვეთი იგულისხმებოდა – ერთი ნაკვეთი ემსახურება მეორეს (*fundus servit funda*). სასოფლო სერვიტუტის არსი ის იყო, რომ უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი ძირითადი მოთხოვნები: 1. სერვიტუტს უნდა დაეცვა მთავარი ნაკვეთი, რათა მას სარგებელი მოეტანა, თუმცა სავალდებულო არ იყო, რომ სერვიტუტის მეშვეობით უშუალოდ გაედიდებინა მთავარი ნაკვეთის შემოსავალი და გაეზარდა მისი ღირებულება; 2. მას უნდა დაეტვირთა მთავარ ნაკვეთთან დაკავშირებული ნაკვეთი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი მომსახურება; 3. თუმცა მათ შორის უშუალო შემხებლობა უნდა ყოფილიყო. ამ წესის არსის თანახმად, ნაკვეთები გვერდიგვერდ უნდა ყოფილიყო.[872]

სერვიტუტის ბუნებრივ რესურსებს მთავარი ნაკვეთის მესაკუთრის მოთხოვნილებები მუდმივად უნდა უზრუნველეყო, რათა თვითნებური და შემთხვევითი *perpetua causa, utilitas perpetua* არ წარმოქმნილიყო. სანამ ასეთი მიზანი იყო, სერვიტუტი არსებობდა. სასოფლო ურთიერთობათა სუბიექტებში რა ცვლილებებიც არ უნდა მომხდარიყო (ნაკვეთის გასხვისების ან მისი მემკვიდრეო-

---

[871] praedium dominans – მთავარი ნივთი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 294-295; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 378-388.

[872] Ulp., 2 inst. D.8.3.1pr. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 327-329; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 378-388.

ბით გადაცემის მიუხედავად), სერვიტუტი განუყოფადი რჩებოდა და მხოლოდ სასერვიტუტო უფლებები ნაწილდებოდა. თუ მთავარი ნაკვეთი რამდენიმე მემკვიდრეზე გადავიდოდა, მაშინ თითოეულ მათგანს მომსახურე ნაკვეთის შესაბამისი წილით სარგებლობის უფლება ჰქონდა – *servitus per partes retinetur*, ანუ თითოეული მისი ნაკვეთის ფართობის შესაბამის წილს იღებდა.

§5. სასოფლო სერვიტუტების სახეები

სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების შესაბამისად დადგენილ სერვიტუტებს *iura praediorum rusticorum* ეწოდებოდა. მათ რიცხვს განეკუთვნებოდა საგზაო და წყლის სერვიტუტებიც, იმ შემთხვევაშიც კი, როცა თითოეული მათგანი საქალაქო მიწის ნაკვეთებისათვის იყო განკუთვნილი. სასოფლო სერვიტუტის ოთხი უძველესი სახე[873] არსებობდა: 1. *iter* – ქვეითად, ცხენით გავლის უფლება; 2. *actus* – საქონლის გადარეკის უფლება; 3. *via* – დატვირთული ურმით ან ოთხთვალათი გავლის უფლება; 4. *aquaeductus* – წყლის გაყვანის უფლება. მოგვიანებით სასოფლო სერვიტუტის რიცხვს მიაკუთვნეს წყლის ამოღების უფლება, წყალსაცავამდე საქონლის გადარეკის უფლება, საქონლის საძოვრად გადარეკის უფლება.

§6. საქალაქო (საადგილმამულო) სერვიტუტები

განაშენიანებული ნაკვეთებისათვის შექმნილ სერვიტუტებს – საქალაქო სერვიტუტები (*iura praediorum urbanorum*)[874] ეწოდა.

[873] Ulp., 2 inst. D.8.3.1pr. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 327-329; Inst. Iust. 2.3.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 65-66; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 378-388.

[874] Gai., 7 ed. prov. D.8.2.2. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2002, с. 309; Inst. Iust. 2.3.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 66; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски,

მათი ძირითადი სახეები იყო: 1. *servitus protegendi* – სხვის ნაკვეთზე სახლის სახურავის გადაწევის უფლება ანუ სხვის საჰაერო სივრცეში შეჭრის უფლება; 2. *servitus tigni immittendi* – სხვის კედელზე საყრდენების დამაგრების უფლება; 3. *servitus oneris ferendi* – სხვის კედელზე ნაგებობის მიშენების ან სხვის საძირკველზე დაშენების უფლება.

მოგვინებით, საქალაქო სერვიტუტებს მიაკუთვნეს: 1. წვიმის წყლის ჩადინება-გადინების უფლება; 2. წყლის ჩაშვების უფლება; 3. საკანალიზაციო არხების მშენებლობა-გაყვანის უფლება; 4. მოთხოვნა, რომ ფანჯრები არ დაეფარათ და დადგენილ სიმაღლეზე მაღალი შენობის აგებით ხედი არ დაერღვიათ.

§7. პირადი სერვიტუტები

ა) Usufructus (უზუფრუქტი)

სხვისი ნივთით სამისდღეშიო სარგებლობის უფლებას პირადი სერვიტუტი ეწოდებოდა.[875] პირადი სერვიტუტების ძირითადი სახე იყო: *usufructus, usus, habitatio, operae servorum vel animalium*. უზუფრუქტი სხვისი ნივთით სარგებლობის ყველაზე გავრცელებული უფლება იყო.[876] პირს, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება ჰქონდა უზუფრუქტუარი[877] ეწოდებოდა. მას შეეძლო ნივთით სარგებლობაც

институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 388-395.

[875] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 408; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 400.

[876] Inst. Iust. 2.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 67-68; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 415; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 400.

[877] Inst. Iust. 2.4.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 68; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 415.

(*uti*) და მისი ნაყოფითაც (*frui*), ოღონდ ნივთი არ უნდა დაეზიანებინა და არც მისი ნაყოფით სარგებლობის უფლება უნდა დაერღვია (მისი სამეურნეო დანიშნულება არ უნდა შელახულიყო).[878] ასეთი უფლების მქონეს ისე უნდა ესარგებლა ნივთით, როგორც ეს კარგ, ყაირათიან მეურნეს ეკადრება, ანუ ნივთით სარგებლობა ყველა წესის დაცვით უნდა მომხდარიყო. ბუნებრივი ნაყოფის მოკრეფის მომენტიდან[879] მისი მესაკუთრე – მოსარგებლე ხდებოდა. ვიდრე უზუფრუქტი მოქმედებდა, მესაკუთრეს ნივთიდან მიღებულ შემოსავალზე უფლება არ ჰქონდა, რადგან მისი საკუთრება მხოლოდ შიშველი საკუთრების უფლება (*nuda proprietas*)[880] იყო, ანუ მესაკუთრეს შეეძლო თავისი საკუთრების უფლება სხვა პირისათვის გადაეცა, დაეტვირთა ის სხვა სერვიტუტით, მაგრამ ამით უზუფრუქტი არ უნდა დაზიანებულიყო. უზუფრუქტის საგანი შეიძლება ყოფილიყო ნივთი,[881] რომლით სარგებლობაც შეიძლებოდა, მათი დაზიანების ან განადგურების გარეშე. უზუფრუქტუარს შეეძლო ეკისრა გარკვეული მოვალეობები,[882] რომლებიც, ფორმალურად, ზეპირი ფორმის ხელშეკრულებით (*stipulatio*) იყო დადგენილი. მას

---

[878] Inst. Iust. 2.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 67; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 415; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 400.

[879] percepio – ნაყოფის მოკრეფა, მიღება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 137, 242; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 416.

[880] Inst. Iust. 2.4.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 68; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 417; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 400.

[881] Inst. Iust 2.4.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 67-68.

[882] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 416-417; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 401.

ყოველთვის უნდა ეზრუნა, რომ ნივთს მუდმივად სარგებელი და შემოსავალი მოეტანა, ფაქიზი და ყაირათიანი მოპყრობით დაეცვა დაზიანებისაგან. ნივთზე ყველა ხარჯს უზუფრუქტუარი იხდიდა, მათ შორის გადასახადებსა და გამოსაღებს.[883] დაბრუნებისას, შემდგომი გამოყენებისა და სარგებლის მოსატანად, ნივთი ვარგისი უნდა ყოფილიყო. ამ მოვალეობათა შესრულების უზრუნველსაყოფად, ანდა უზუფრუქტუარის გარდაცვალების შემდეგ, უზუფრუქტის დასაბრუნებლად, სტიპულაციის მეშვეობით (*cautio usufructuaria*), პრეტორული უზრუნველყოფა დაადგინეს. უზუფრუქტი, იდეალური წილის სახით, რამდენიმე პირის კუთვნილება შეიძლება ყოფილიყო. საკუთრების არსებობის შემთხვევაში (*partes pro indiviso, usufructus*) სხვა დანარჩენ ნაწილებზე, ერთი რომელიმე წილით, სარგებლობაც დასაშვები იყო. ეს იყო ერთადერთი სერვიტუტი, რომლის დროსაც ასეთი დაყოფა შეიძლებოდა. როგორც პირადი სერვიტუტი, მემკვიდრეობით გადაცემასა და გასხვისებას, უზუფრუქტი არ ექვემდებარებოდა. თუმცა პირადი სარგებლობის (მაგრამ არა უფლების) გასხვისება დასაშვები იყო. უზუფრუქტუარის გარდაცვალების შემდეგ უზუფრუქტი წყდებოდა და სარგებლობის საგანი მის მემკვიდრეს მესაკუთრისათვის უნდა დაებრუნებინა.[884]

ბ) პირადი სერვიტუტების სხვა სახეები

სხვისი ნივთით შეზღუდული მოცულობით სარგებლობის უფლების ფორმას *usus*[885] ეწოდებოდა. ასეთ მოსარგებლეს ნაყოფიდან იმდენი ეძლეოდა, რამდენიც მას ესაჭიროებოდა საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.[886] მოსარგებლეს არც

---

[883] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 401.

[884] Inst. Iust 2.4.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 68.

[885] Inst. Iust. 2.5.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 69; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, Ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 409.

[886] Ulp. 17. Sab. D.7.8.12.1. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2002, 283-285.

თავისი უფლების სხვისთვის გადაცემა შეეძლო და არც ამ უფლების სხვისთვის გაყოფა. მოსარგებლეს შეეძლო სარგებლობის უფლება თავისი ახლობლებისათვის მიეცა.[887] თუმცა, დასაშვები იყო, რომ *usus* რამდენიმე პირის კუთვნილებაც ყოფილიყო, მაგრამ მოსარგებლის მოვალეობები არ იყოფოდა.

სხვის სახლში ან სახლის ნაწილში სამისდღეშიო ცხოვრების უფლებას *habitatio*[888] ეწოდებოდა. უფლებამოსილ პირს შეეძლო თავად ეცხოვრა სახლში ან გაექირავებინა. სხვისთვის ამ უფლების უსასყიდლოდ დათმობა დაუშვებელი იყო. *Usufrustus* და *habitatio,* სერვიტუტისაგან (სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება), ძალზე ვრცელი უფლებებით გამოირჩეოდა. ეს იყო თითქმის საკუთრების მსგავსი უფლება, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, მემკვიდრეობით გადაიცემოდა და გასხვისებაც შეიძლებოდა.

სხვისი მონით ან ცხოველით სამისდღეშიო სარგებლობის უფლებას *operae servorum vel animalium*[889] ეწოდებოდა. აღნიშნულის გაქირავება დასაშვები იყო.

§8. სერვიტუტის შეწყვეტა[890]

1. პროცესუალური ფორმით უფლებამოსილი პირის მიერ მესაკუთრისათვის საკუთარი უფლების დათმობით (*in iure cessio*); 2.

[887] D.7.8.4pr. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2002, с. 281

[888] Inst. Iust. 2.5.2.5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 69-70; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 422-423; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 409.

[889] Inst. Iust. 2.5.3-4 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 69-70. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 409.

[890] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005,438-441; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 399-400.

გაქვითვითი ხანდაზმულობით: პირადი სერვიტუტი – მისი შეუსრულებლობის[891] შემთხვევაში, უძრავი ქონებასთან დაკავშირებით – 2 წლის შემდეგ იქვითებოდა, ხოლო მოძრავი ქონების შემთხვევაში – 1 წლის შემდეგ. იუსტინიანეს სამართლის მიხედვით, შესაბამისად, 10 და 20 წლის შემდეგ; 3. თუ მომსახურე ნაკვეთის მესაკუთრე შეიძენდა საკუთრების უფლებას მთავარ ნაკვეთზე, ორი უფლების შერწყმით[892] სერვიტუტი წყდებოდა (*nemini* (*nulli*) *res sua servit*). სასოფლო სერვიტუტის მსგავსად, პირადი სერვიტუტის შემთხვევაში, ერთი უფლებამოსილი პირის საკუთრებისა და სამისდღეშიო სარგებლობის უფლების შერწყმას ასეთივე შედეგი ჰქონდა; 4. პირადი სერვიტუტის ობიექტზე რაიმე არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, რაც პირადი გამოყენების არსებით შეცვლას იწვევდა, სერვიტუტი წყდებოდა (მაგალითად, შენობის დანგრევა); 5. უფლებამოსილი პირის გარდაცვალება ან მისი უფლებაუნარიანობის დამცრობა (*capitis deminutio*), პირად სერვიტუტზე იგივე გავლენას ახდენდა; 6. სანივთო სერვიტუტი (როგორც ნებისმიერი სანივთო უფლება) თვითმომსახურე ნივთის განადგურების შემთხვევაში წყდებოდა, ხოლო პირადი სერვიტუტი – მისი არსებითი შეცვლით.

§9. სერვიტუტის დაცვა[893]

მესაკუთრის მსგავსად, სერვიტუტზე უფლებამოსილ პირს, როგორც არსებული, ისე სამომავლო უფლებების დარღვევისგან, თავის დაცვა და წართმეული სერვიტუტის – *usufructus* დაბრუნების მოთხოვნა შეეძლო. ასევე, მისი უფლებების დამრღვევი ვითარების აღმოფხვრაც.[894] თავდაპირველად, მის სარჩელს *vindicatio servi-*

[891] non usus – შეუსრულებლობა. Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 440.

[892] confusio -შერწყმა. იქვე.

[893] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 395-396.

[894] Ulp., 17 ed. D.8.5.2.1. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2002, с. 359; D.39.1.9. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 1. книги XXXVII-XL. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 373; D.43.27.1.5. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 437.

tutis[895] ეწოდებოდა, მოგვიანებით კი – *actio confessoria.*[896] იუსტინიანეს სამართლით, ასეთი სარჩელი გაიცემოდა ყველა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც უფლებამოსილ პირს მისი უფლებების განხორციელებაში ხელს უშლიდა, იმის მიუხედავად, მომსახურე ნივთი დამრღვევს ეკუთვნოდა, თუ არა. *Actio confessoria*-ს მიზანი იყო მესაკუთრისათვის *actio negatoria*-ს ტოლფასი უფლებები მიენიჭებინა. სასარჩელო მოთხოვნის მიზანი სასოფლო ან პირადი სარგებლობის შესაბამისი მდგომარეობის აღდგენა იყო, რათა სამომავლოდ უზრუნველეყო ყოველგვარი დარღვევისა და ზიანის ანაზღაურებისაგან პირის დაცვა.

§10. დაცვის სხვა საშუალებები

პრეტორული ედიქტით სასოფლო სერვიტუტის დაცვის სხვა, მფლობელობითი ინტერდიქტის[897] ანალოგიური, საშუალებები – *interdicta utilita de aquae, de rivis, de fonte aqua haustus* (წყლის, საგზაო და წყლის დასალევად, წყალსატევზე გასასვლელი ინტერდიქტი)[898] დადგინდა. კლასიკურ სამართალში ნახსენებია კეთილსინდისიერი მფლობელის სარჩელი (*actio Publiciana*), რომელიც *actio confessoria*-საგან განსხვავებით, სერვიტუტების გამარტივებული დაცვისას გამოიყენებოდა. იუსტინიანეს სამართლით, კონფესორული სარჩელი გაიცემოდა იმ სერვიტუტების დასაცავად, რომლებიც ნივთის გადაცემით (*traditio*), სარგებლობის პასიური დაშვებით[899] და მფლობელობითი ხანდაზმულობით[900] იყო დადგენილი.

---

[895] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 327.

[896] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 36.

[897] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 396-397.

[898] D.43.20.1.19-23 Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 371.

[899] pati-patientia – სარგებლობის პასიური დაშვება.

[900] longe possessio – მფლობელობითი ხანდაზმულობა.

VI. Surepficies et emphyteusis (სუპერფიციუმი და ემფითევზისი)

§1. სუპერფიციუმი

სუპერფიციუმი[901] და ემფითევზისი,[902] ანუ სხვისი ნივთით სარგებლობის სამემკვიდრეო და განკარგვითი უფლებები, შენობასთან ერთად სხვისი მიწით სარგებლობის (სუპერფიციუმი) და დამუშავების (ემფითევზისი) უფლებას ადგენდა. ორივე ინსტიტუტის ელემენტები რომისა და პროვინციული სამართლით ერთდროულად ყალიბდებოდა, ხოლო სხვის ნივთზე უფლების ძალა და მნიშვნელობა ამ ინსტიტუტებმა გაცილებით გვიან, პრეტორული სამართლის გავლენით შეიძინა. ქირავნობისა და იჯარისაგან, სუპერფიციუმი და ემფითევზისი ყველა სახის დარღვევისაგან, ამ უფლებების დაცულობით განსხვავდებოდა, რადგან იჯარა და ქირავნობა ვალდებულებითი ურთიერთობები იყო და მათი დაცვა მხოლოდ პირადი ხასიათისა იყო.

ფართო გაგებით, სუპერფიციუმით (*surepficies*)[903] აღინიშნებოდა ყოველივე ის, რაც ადამიანის მიერ იყო შექმნილი, მდებარეობდა მიწის ზემოთ ან მიწის ქვეშ და უშუალო კავშირში იყო მიწის ზედაპირთან. ეს იყო განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობა, რომლითაც იგულისხმებოდა სხვის მიწაზე აშენებული ნაგებობის ხანგრძლივად სარგებლობის უფლება. ამ უფლების მემკვიდრეობით გადაცემა და განკარგვა კანონით დაიშვებოდა. მიწის ნაკვე-

[901] Gai.,2.73-76. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 71; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 459-462; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 411-412.

[902] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 451-458; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 410-411

[903] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 460; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 411.

თის დამქირავებელი (სუპერფიციარი) შენობას თავისი ხარჯით აგებდა. ნაგებობაზე საკუთრების უფლება მიწის მესაკუთრეს ენიჭებოდა. წესის თანახმად, ყველაფერი, რაც მიწის ზედაპირზე იყო და მიწას უკავშირდებოდა, მიწის მესაკუთრეს ეკუთვნოდა. თუმცა სუპერფიციალური ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შენობით სარგებლობის უფლება მხოლოდ სუპერფიციარს ენიჭებოდა. კლასიკოსი იურისტები სუპერფიციუმს სხვის ნივთზე უფლებად[904] განიხილავდნენ, მისი გადაცემა ერთი პირიდან მეორეზე დაიშვებოდა, იმის მიუხედავად, მიწაზე საკუთრების უფლება უწინდელ მესაკუთრეს ჰქონდა შენარჩუნებული, თუ სხვა პირზე იყო გასხვისებული. ისტორიულად, სუპერფიციუმის შესახებ შეთანხმება წარმოიშვა სახელმწიფოს ან ქალაქის კუთვნილი მიწების მიმართ (*loca publica*), რომელთა გაყიდვაც არ დაიშვებოდა. ეს იყო საჯაროსამართლებრივი ხასიათის შეთანხმება. ნაგებობის ასაშენებლად გაცემული მიწის ნაკვეთის საფასურად დადგენილ ვადაში დამქირავებელი, სახელმწიფოს სასარგებლოდ ქირას, მიწის გადასახადს[905] იხდიდა.

ამრიგად, ეს იყო ვალდებულებითი ხასიათის ურთიერთობა, რომელიც შემდგომში პრეტორმა განავითარა და ნივთზე უფლების მნიშვნელობა (*ius in re*) შესძინა.[906] ამის შემდეგ სუპერფიციუმი განიხილებოდა, მიწის ზედაპირისაგან იურიდიულად გამოცალკევებულ ნივთად, რომელიც ასევე განცალკევებულ სამართლებრივ წესს ექვემდებარებოდა. სუპერფიციუმზე ინტერდიქტი სუპერფიციარს პრეტორმა მიანიჭა (*interdictum de siperficies*), *uti possidentis* ინტერდიქტის მსგავსად, მესამე პირებისაგან სარგებლობის უფლების დაცვის მიზნით.[907] პრეტორის დაპირების თანახმად, სუპერფიციარს (საკუთრების დასაცავად გაცემული სარჩელის მსგავსად) ნივ-

[904] ius in re aliena – სხვის ნივთზე უფლება. Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 460.

[905] solarium – მიწის გადასახადი. იქვე, 459.

[906] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 460.

[907] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 461; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 412.

თზე სარჩელი ეძლეოდა. ეს სარჩელი ნაგებობის მფლობელობის დაკარგვის შემთხვევაში გაიცემოდა. სუპერფიციარი ვალდებული იყო, დადგენილი ვადის განმავლობაში, მიწის მესაკუთრისათვის მიწის რენტა გადაეხადა.[908] აღნიშნული გადასახადი არა მარტო მიმდინარე, არამედ ყველა ძველ და წლების განმავლობაში დაგროვებულ გადაუხდელ გადასახადებსაც მოიცავდა. გარდა ამისა, სუპერფიციარი სახელმწიფო გადასახადებსა და გამოსაღებს იხდიდა. სუპერფიციარისათვის უფლებამოსილების თვითნებურად წართმევა მესაკუთრეს არ შეეძლო. თუ იგი დროულად არ გადაიხდიდა გადასახადებს, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე, საკუთრების უფლების დასაცავად სარჩელს აღძრავდა.

§2. ემფითევზისი

იუსტინიანეს კომპილაციებში ტერმინი *ager emphyteuticarius* სხვა ცნების *ager vectigalis*-ის სინონიმად გამოიყენებოდა. თუმცა, კლასიკური პერიოდის იურისტებმა ამ ცნებებს სხვადასხვა მნიშვნელობა მიანიჭეს.

ემფითევზისი[909] არის სხვისი მიწის ნაკვეთით (გამონაკლის შემთხვევაში ნაგებობით) სარგებლობისა და ამ ნაკვეთიდან ნაყოფის მიღების სრული სანივთო, სამემკვიდრეო და გასხვისებადი უფლება. ემფითევზისი გარკვეული საიჯარო გადასახადის გადახდის გარდა, რაიმე სახის შეზღუდვას არ აწესებდა იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე მიწის ნაკვეთის პირვანდელ მდგომარეობას არ გააუარესებდა.

ა) *Ager vectigalis*.[910] ხშირ შემთხვევაში იტალიის ქალაქებს სახელმწიფო და ქურუმთა კოლეგიები საკუთარ ნაკვეთებს იჯარით

[908] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 461.

[909] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 453; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 410.

[910] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 451-452.

გადასცემდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ სასოფლო-სამეურნეო, ვაჭრობის ან სამრეწველო საქმიანობის განსახორციელებლად იურიდიულ პირებს ნაკლები შესაძლებლობები ჰქონდათ. ასეთი იჯარა საკმაოდ ხანგრძლივი ვადით გაიცემოდა, ზოგჯერ სამუდამოდაც, რადგან მოიჯარეს საკუთარი ვალდებულებების გადაცემა მემკვიდრეობითაც შეეძლო. იჯარის მთავარი პირობა საიჯარო გადასახადის[911] დროულად და უპირობოდ გადახდა იყო. მესამე პირებისაგან საკუთარი უფლებების დასაცავად მოიჯარეს, შუამავლობის გასაწევად ნაკვეთის მეპატრონისათვის უნდა მიემართა, ვინაიდან მოიჯარე სანივთო უფლებებს არ ფლობდა. იურიდიული პირის მდგომარეობა, ფიზიკურ პირთან შედარებით, გაცილებით მძიმე და არაქმედითი იყო. აქედან გამომდინარე, სანივთო უფლებების დასაცავად, უფრო მიზანშეწონილად მიიჩნიეს, თუ დაცვის უფლებებს მოიჯარე დამოუკიდებლად მოიპოვებდა და მეპატრონის შუამავლობაზე დამოკიდებული არ იქნებოდა.[912] ამ მიზნით (სავარაუდოდ, *responsa prudentum*-ით და არა პრეტორული ედიქტის საფუძველზე), მოიჯარეს მიენიჭა *actio in rem* (*vectigalis actio*),[913] რითაც მისი საიჯარო უფლებები სანივთო უფლებად (*ius in re aliena*) იქცა. გარდა ამისა, მას წარმოშობილი მფლობელობის განხორციელებაც მოეთხოვებოდა.

აღნიშნულის საფუძველზე, მოიჯარე საიჯარო ნაკვეთიდან მიღებულ ნაყოფსაც იძენდა, თანაც ნაყოფის *separatio*-ს მომენტიდან. მისი ეს უფლება გასხვისებადი და სამემკვიდრეო გახდა. რამდენიმე უფლებამოსილ პირს ნაკვეთის რეალურ ნაწილებად დაყოფა აღარ შეეძლო. მოუსავლიან წლებში მოიჯარეს საიჯარო გადასახადის შემცირების მოთხოვნაც შეეძლო.

ბ) *Ager emphyteuticarius*.[914] რომის სახელმწიფო მოხელეთა მიერ დადგენილი ემფითევზისის ინსტიტუტი მიზნად ისახავდა საშუალო დონის საგლეხო მიწათმფლობელობის შექმნას. ამ მიზნით, ქრ.

---

[911] vectigal – საიჯარო გადასახადი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 323.

[912] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 451.

[913] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 44.

[914] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 452-453.

შობის II საუკუნიდან მოყოლებული, პროვინციაში მდებარე აუთვისებელი მიწის ის უზარმაზარი ფართობი, რომელსაც მთლიანად მონარქია, ან იმპერატორი კერძო საკუთრებით ფლობდა, სამემკვიდრეო-საიჯარო უფლებით მოიჯარეებს გადაეცა დასამუშავებლად. მოგვიანებით, იჯარის ეს ფორმა საეკლესიო ნაკვეთების, პროვინციული ქალაქებისა და დიდგვაროვანთა სამფლობელოების მიმართ გამოიყენეს. ემფითევტისა და იტალიის *ager vectigalis*[915] მოიჯარის უფლებები იდენტური იყო. ემფიტევტას სხვის ნივთზე სანივთო უფლებები (*ius praedii*) ენიჭებოდა, თუმცა სხვისი ნივთით სარგებლობის ამ ორ კატეგორიას შორის განსხვავება მაინც იყო: მოუსავლიან წლებში ემფითევტას საიჯარო გადასახადის შემცირების მოთხოვნა არ შეეძლო. ემფითევტასათვის მინიჭებული გაყიდვის უფლება უპირატესი შესყიდვის უფლებით იყო შეზღუდული.

დროის კვალობაზე, საბოლოოდ, აღნიშნული სხვაობები, პრაქტიკულად, აღმოიფხვრა. იუსტინიანეს კანონმდებლობით *ager vectigalis*, უშუალოდ, *ager emphyteuticarius*-თან გაიგივდა.[916] თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე არ მოულწევია იმ კანონს, რომლის საფუძველზეც მათი გაიგივება მოხდა.

ემფითევტას მიწის ნაკვეთით სარგებლობისა და მიწის ნაკვეთიდან მიღებული ნაყოფის შეუზღუდავი უფლება (მაგრამ არა განძის მითვისება) ჰქონდა.[917] ნაკვეთიდან ნაყოფის ან ნამატის გამოყოფისთანავე, მას მათი მიღების უფლება გააჩნდა. მოიჯარეს შეეძლო ნივთის სუბსტანციის შეცვლა, მაგრამ არა მისი გაუარესება.[918] რაკი ეს იყო გასხვისებადი და სამემკვიდრეო უფლება, ნივთის განკარგვა ემფითევტას სიცოცხლეშიც შეეძლო და გარდაცვალების შემდეგაც.[919] გარდა ამისა, საკუთარი უფლებებით სარგებლობის პერიოდში, ნივთზე სერვიტუტების დადგენა და დატვირთვაც (გარდა ცალმხრივი მიტოვებისა (*dere-*

---

[915] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 30.

[916] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 29.

[917] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005,453.

[918] იქვე.

[919] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 453.

lictio) იყო დაშვებული, ანუ ნივთზე უარის თქმა მისი მიტოვების მიზნით). ნებისმიერი სახის დარღვევისაგან ემფითევტას უფლებას იცავს მოსარგებლისათვის (*utiliter*) მინიჭებული მესაკუთრის ყველა სარჩელი: *rei vindicatio, negatoria, confessoria, Publiciana in rem actio*.[920] ასევე, ემფითევტასა და ნივთის მეპატრონეს შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლიდან (გარიგებიდან) გამომდინარე, ურთიერთსანაცვლო პირადი სარჩელი წარმოიშობოდა.

ა) ემფითევტას მოვალეობები

1. ემფიტევტას მოვალეობის[921] თანახმად, მას არ უნდა დაეშვა მიწის ნაკვეთის გაუარესება; წინააღმდეგ შემთხვევაში, იუსტინიანეს კანონით, მეპატრონე მას ემფითევზისს ართმევდა; 2. მას უნდა გადაეხადა მიწის ნაკვეთზე დადგენილი გადასახადი. თუ სამი წლის განმავლობაში აღნიშნულ გადასახადს არ გადაიხდიდა, ნაკვეთის მეპატრონეს უფლება ჰქონდა მისთვის ემფითევზისი ჩამოერთვა; 3. ემფითევტას მიწის ნაკვეთის მეპატრონისათვის უნდა გადაეხადა ყოველწლიური გადასახადი, რომლის ოდენობაც ემფითევზისის დადგენისას განისაზღვრება. ამ მოვალეობისაგან ემფითევტას, იმპერატორ ზენონის კანონით, მხოლოდ ნაკვეთის მთლიანი და არა ნაწილობრივი განადგურება ათავისუფლებდა, რადგან გადასახადით არა სარგებლობის უფლების ანაზღაურება, არამედ მეპატრონის საკუთრების უფლების აღიარება იგულისხმებოდა. ამიტომ, მოუსავლიანობის და სხვა სტიქიური უბედურების დროს გადასახადის შემცირება დაუშვებელი იყო; 4. ნებისმიერი სახის გასხვისების შემთხვევაში ემფითევტას მეპატრონის თანხმობის მიღება ევალებოდა. უარის თქმა მეპატრონეს მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას შეეძლო. ემფითევტაზე დაკისრებული მოვალეობების შეცვლა მხარეთა განსაკუთრებული შეთანხმების შემთხვევაში შეიძლებოდა.

---

[920] იქვე, 454

[921] იქვე, 454-455; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 411.

ბ) ემფითევზისის წარმოშობა[922]

1. მესაკუთრესთან ხელშეკრულების დადებით[923] (თუმცა ამ დროს ნაკვეთის გადაცემა, სავალდებულო არ იყო). ასეთი ხელშეკრულების არსი დიდი ხნის განმავლობაში სადაო იყო: იურისტთა ნაწილი მას საიჯარო ხელშეკრულებად, ნაწილი კი ნასყიდობის ხელშეკრულებად მიიჩნევდა. იმპერატორმა ზენონმა ემფითევზისი არ მიიჩნია განსაკუთრებულ ხელშეკრულებად – *contractus emphyteuticarius*, რომელიც არც ნასყიდობის წესებს ექვემდებარებოდა და არც ქირავნობისას. ამიტომ ემფითევტა, როგორც მყიდველი, პასუხს არ აგებდა, თუმცა, როგორც დამქირავებელი, ნივთის გაუარესების რისკისაგან არ თავისუფლდებოდა; 2. საანდერძო დანაკისრით (ლეგატით), რომელსაც მესაკუთრე *mortis causa-ს* შემთხვევაში უდგენდა საკუთარ მემკვიდრეს; 3. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; 4. სადაო იყო ემფითევზისის წარმოშობა ხანდაზმულობით (*usucapio*).

გ) ემფითევზისის გადატანა

უკვე არსებული ემფითევზისი შეიძლება გადატანილი ყოფილიყო:[924] 1. ემფითევტას მხრიდან ნაკვეთის გადაცემის (*traditio*) მეშვეობით იმ განზრახვით, რომ ნაკვეთის შემძენი ემფითევზისის უფლებასაც იძენდა; 2. ემფითევტას გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეობით ან ლეგატით; 3. სასამართლოს განკარგულებით: ნაკვეთის გაყოფის პროცესისას, ვინაიდან ემფითევზისს დაქვემდებარებული ნაკვეთის რეალურ ნაწილებად გაყოფა მეპატრონის თანხმობის გარეშე, არ დაიშვებოდა. მთელი ემფითევზისი მოსამართლეს ერთ-ერთ მონაწილისათვის უნდა მიენიჭებინა, რათა მას სხვა მონაწილეთათვის შესაბამისი ანაზღაურება გადაე-

---

[922] იქვე, 456; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 411.

[923] Inst. Iust. 3.24.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 189.

[924] Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 457.

ხადა; 4. არსებული ემფითევზისის შეძენა არაუფლებამოსილ პირს ხანდაზმულობის ვადით შეეძლო, რაც ემფითევზისის შეძენის პირვანდელი საშუალება და არა მისი გადატანა იყო.

დ) ემფითევზისის შეწყვეტა

გარემოებანი, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შეწყვეტილიყო[925] ყველა სანივთო უფლება და უფლება სხვის ნივთზე, ემფითევზისის სტატუსზეც ვრცელდებოდა. ასეთ გარემოებად მიჩნეული იყო: 1. მესამე პირის მიერ მიწის ნაკვეთზე შეუზღუდავი საკუთრების უფლების შეძენა ხანდაზმულობით; 2. საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ემფითევტასათვის უფლების ჩამორთმევა ანუ ე.წ. *privati*, თუ ემფითევტა საკუთარ მოვალეობებს დაარღვევდა.

[925] იქვე, 457-458; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 411.

თავი VIII. ძველი რომის მემკვიდრეობითი სამართალი

Mortis causa – გარდაცვალების მომენტი; de cuius – მამკვიდრებელი; successio – მონაცვლეობა; successio legitima – უნივერსალური მონაცვლეობა კანონის ძალით; successio per universitatem, successio in universum ius – უნივერსალური მონაცვლეობა; successio in singulas res – სინგულარული მონაცვლეობა).

სამართლის სუბიექტის გარდაცვალების შემდეგ, მისი ქონება მემკვიდრეობითი სამართლით ნესრიგდებოდა. სამართლის ამ დარგის ძირითადი ცნებით იგულისხმებოდა პირის სიკვდილის[926] შემდეგ მისი სამართლებრივი ვითარების სხვა პირით მონაცვლეობა. განასხვავებენ 1. უნივერსალურ მემკვიდრეობას (*successio per universitatem, in universum ius*),[927] როცა წინამორბედი პირის სამართლებრივი ვითარება მთლიანად სხვა პირზე გადადიოდა და 2. სინგულარულ მემკვიდრეობას (*successio singularis, in singulas res*[928]),

[926] mortis causa – მამკვიდრებლის გარდაცვალება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 219; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 922; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 640-642; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 352-353; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 625; Морев М.П., Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 568.

[927] Gai.,2.97. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 77; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 305; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 640; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 350; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 625; Морев М.П., Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 568.

[928] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 305; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 640; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 625; Морев М.П., Римское право,

როცა მემკვიდრეობის სუბიექტი იძენდა მხოლოდ იმ უფლებების ნაწილს, რომელიც მანამდე მის წინამორბედს ეკუთვნოდა.

I. Ab intestato, successio legitima (კანონით მემკვიდრეობა)

Heres – მემკვიდრე; hereditas – მემკვიდრეობა, სამკვიდრო; hereditatis – მესამე პირისათვის მთელი სამკვიდროს გადაცემის შესახებ; bonorum possessio – პრეტორული ედიქტით განსაზღვრული სამკვიდრო; legatum – ლეგატი; fideicommissum – ფიდეიკომისი; restitutio universum ius defuncti – გარდაცვლილი პირის ერთობლივი სამართლებრივი მდგომარეობა; sacra familares – საოჯახო რელიგიური რიტუალები; familiam habere – ოჯახის უფროსის წოდების მიღება; pecunia et bona – ქონება; ius patroni – პატრონატული სამართალი.

უნივერსალურ მემკვიდრეებად (მონაცვლეებად) ითვლებოდნენ: *in manu* ცოლის ქმარი (ან მისი ოჯახის უფროსი),[929] მშვილებელი *sui iuris* (*adrogatio*-ს შედეგად) შვილად აყვანილის მიმართ.[930]

პირის გარდაცვალების შემდეგ, უნივერსალური მემკვიდრეობა *ius honorarium*-ის საფუძველზე, *ius civile*-სა და *bonorum possessio*-ის მიხედვით ხორციელდებოდა, რასაც მემკვიდრეობა ეწოდებოდა. *Mortis causa*-ს სინგულარული მემკვიდრეობის ჰიპოტეზით იგუ-

---

Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 568.

[929] Gai.,2.139,152; 3.77. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 87, 91, 142. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 625-626.

[930] Gai.,2.141. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 87-88; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 642; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 358; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 630; Морев М.П., Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 571-572.

ლისხმებოდა საანდერძო დანაკისრი (*legatum*)[931] და ფიდეიკომისები (*fideicommissum*)[932] – მემკვიდრისათვის მამკვიდრებლის სანდო დანაკისრი. პერიოდი, როცა ფიდეიკომისი უნივერსალური მემკვიდრეობის საშუალებად გამოიყენებოდა (როცა მამკვიდრებელი მემკვიდრეს აკისრებდა სამკვიდროს გადაცემას მესამე პირისათვის (*restitutio hereditatis*), ხანმოკლე დროით გრძელდებოდა. *Mortis causa*-ს უნივერსალური მემკვიდრეობის ობიექტი იყო მამკვიდრებლის[933] სამართლებრივი მდგომარეობა სრული მოცულობით; მემკვიდრეობით, მხოლოდ მამკვიდრებლის ვალდებულებიდან წარმოშობილი წმინდა, პირადი ხასიათის მოთხოვნები და საჯარიმო სარჩელებით დაცული სამართალდარღვევები (*actiones poenales*) არ გადაიცემოდა.[934]

კერძო სამართლით მოწესრიგებულ ერთობლივ ობიექტს სამკვიდრო მასა[935] ეწოდებოდა. თუმცა, რომის სამართალში მემკვიდრეობის ცნება უფრო ვრცელი იყო, ვიდრე გარდაცვლილის

---

[931] Gai.,2.192-223. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 101-109; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 305; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005 708; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 409; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 663-672; Морев М.П., Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 621.

[932] Gai.,2.246-289. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 115-123; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 305; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 721-723; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 415; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 672-679; Морев М.П., Римское право, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2011, 631-637.

[933] de cuius – მამკვიდრებელი. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 352-353; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 625.

[934] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 627.

[935] universitas, universum ius – სამკვიდრო მასა. იქვე, 644-645; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 627.

უფლებებისა და მოვალეობების მემკვიდრეობით გადასვლა; ამ ცნებით, ასევე, ისეთი ურთიერთობებიც იგულისხმებოდა, რომელიც არ შეიძლებოდა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი[936] ყოფილიყო; (მაგალითად, საოჯახო წმინდა ადგილები და საკულტო ნაგებობები (*sacra familiares*).

უნივერსალური მონაცვლეობა (ცივილური და პრეტორული სამართლის საფუძველზე)[937] ხორციელდებოდა: 1. ანდერძით (*ex testamento*), 2. ანდერძის გარეშე (*ab intestato*), 3. ასევე, (პრეტორული სამართლით) ანდერძის გარეშე (*bonorum possessio contra tabulas*).

ანდერძის გარეშე მემკვიდრეობის მიღების უფლება მემკვიდრეებისათვის სამართლებრივი მოლოდინი იყო, რომელსაც მამკვიდრებლის სიცოცხლეშივე მნიშვნელობა ჰქონდა მესამე პირებისათვის, უპირველეს ყოვლისა, თვით მამკვიდრებლისათვის, რომლის ნებასაც (გარდაცვალების შემდეგ) საკუთარი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, ასეთი მემკვიდრეების უფლებები ზღუდავდა. კერძოდ, ანდერძში მას არ შეეძლო, მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული მემკვიდრეების[938] უგულებელყოფა. მემკვიდრეობა, სამკვიდროს გახსნისა და სამემკვიდრეობის მისაღებად მემკვიდრეების მოწვევის მომენტიდან, მემკვიდრეობაზე უფლებაშეძენილ სამართლებრივ მოთხოვნად[939] განიხილებოდა.

სამკვიდროს გახსნა[940] იურიდიული ფაქტი იყო, რომლითაც

---

[936] res in commercii – სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 274.

[937] Gai.,2.97. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 76; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, Ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 640.

[938] sui heredes – მემკვიდრეები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 306-307.

[939] ius successionis – შეძენილი სამართლებრივი მოთხოვნა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 630.

[940] delatio hereditatis – სამკვიდროს გახსნა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 103; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 926-929,989-994; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 654-656; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 358-360.

მემკვიდრეს სამკვიდროს მიღება შეეძლო. იქმნება თავისებური იურიდიული ვითარება, როდესაც მამკვიდრებლის უფლებებს რეალური სუბიექტი არ ჰყავდა, თუმცა არსებობდა პოტენციური მემკვიდრე, რომლის სასარგებლოდ სამკვიდრო იხსნებოდა.

ამრიგად, მემკვიდრედ მოწვევა[941] სამკვიდროს გახსნის ერთერთი აუცილებელი პირობა იყო. თუ ანდერძით მემკვიდრეები, სამკვიდროს მისაღებად, გარკვეული პირობით მოიწვეოდნენ, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული პირობების რეალიზაციის მომენტიდან სამკვიდრო გახსნილად ითვლებოდა.

Ius civile-ს თანახმად, პირებს,[942] რომლებიც მემკვიდრეობის მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობდნენ, ანუ დაქვემდებარებულ მემკვიდრეებს, ერთდროულად მემკვიდრეობის მიღების უფლებაც ჰქონდათ და მემკვიდრედ ყოფნის მოვალეობაც: მემკვიდრეობაზე უარის თქმის უფლება მათ არ შეეძლოთ. ამრიგად, ისინი აუცილებელ, საკუთარ მემკვიდრეებად[943] მიიჩნეოდნენ. ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ანდერძით მემკვიდრეს მემკვიდრეობა სავალდებულო წესით გადაეცემოდა.

მემკვიდრეობა გარკვეული პირების სასარგებლოდ იხსნებოდა.[944] მათი მოქმედება, სამკვიდროს მიღების მიზნით (*aditio here-*

---

[941] Gai.,2.116-117. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 81; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 145; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 989-994; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 656-661; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 352-357.

[942] Inst. Iust.3.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 142-146; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008
358-360.

[943] heredes sui et necessarii – სავალდებულო მემკვიდრეობა. Gai.,2.152-157. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 91-93; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 657-658; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 358-360.

[944] Inst. Iust.1.14. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები.

ditatis) შემდეგს განაპირობებდა: მამკვიდრებლის უფლებები ახალ სუბიექტს იძენდა, რითაც, ფაქტობრივად, მემკვიდრეობის ვითარება ამოწურულად ითვლებოდა. თანამემკვიდრეობის შემთხვევაში, სამკვიდროს უმემკვიდროდ დარჩენილი წილი სხვა მემკვიდრეებზე ნაწილდებოდა. პოსტკლასიკურ პერიოდში, გამონაკლისის სახით, სამკვიდროს ტრანსმისია[945] დაუშვეს: ანუ იმ შემთხვევაში, თუ ერთ წლამდე ასაკის (ჩვილობის ასაკი) მემკვიდრე, სამკივდროს მიღებამდე გარდაიცვლებოდა, მაშინ მისი სამკვიდრო წილის მიღების უფლება მამამისს გადაეცემოდა, რასაც სამკვიდროს ტრანსმისია ეწოდებოდა. სხვა პირისათვის მემკვიდრეობის უფლების დათმობა მაგისტრატის წინაშე დათმობის საგანგებო ფორმითაც (*in iure cessio hereditatis*) შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში, სამკვიდრო, სამემკვიდრეო უფლების (*ius successionis*) სახით გასხვისდებოდა და მისი შემძენი მემკვიდრე ხდებოდა. სამკვიდროს მიღებამდე, აუცილებელ მემკვიდრეებსა და ანდერძით მემკვიდრეებს სამკვიდროს დათმობის უფლება არ ჰქონდათ.

ცივილური სამართლით, მემკვიდრეობის მისაღებად მემკვიდრის უფლებები დაცული იყო ცივილური სარჩელით (*vindicatio hereditatis*), რომელსაც *hereditatis petitio* ეწოდებოდა. მოთხოვნა *agere in rem per sponsionem* ფორმით უნდა ჩამოყალიბებულიყო და ამის თაობაზე გადაწყვეტილებას ცენტუმვირების სასამართლო იღებდა, რომლის დროსაც პროცესი *legis actio sacramento in personam* ფორმით მიმდინარეობდა. მემკვიდრის უფლებების დაცვის პრობლემატიკამ პრეტორული მემკვიდრეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება განაპირობა.

ქრ. შობამდე I საუკუნის შუახანებიდან, სისხლით ნათესაობის მნიშვნელობის ზრდის კვალობაზე, პრეტორმა სამკვიდრო ქონების მფლობელობაში შეიყვანა ის პირებიც, ვისაც *ius civile*-ს მიხედვით,

---

ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 91-98; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 145; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 989-994; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 656-661; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 352-357.

[945] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 314-315; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 630-631.

სამკვიდრო უფლებები არ გააჩნდა.[946] პრეტორის დასმული შეკითხვის პასუხად, მოსარჩელენი პრეტორულ მემკვიდრეობას უანდერძოდ (*quorum bonorum*) ინტერდიქტით იღებდნენ, რომლითაც სხვა, მესამე პირებისაგან მემკვიდრეობის გამოთხოვა შეეძლოთ. მფლობელობის მოძიების (*interdicta adi piscendae possessionis*) ასეთი ინტერდიქტი სამკვიდრო ქონების მფლობელს ეძლეოდა.

სამემკვიდრეო მონაცვლეობის უძველესი ფორმა, ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა[947] იყო, რომელიც XII დაფის კანონებით წესრიგდებოდა, რის გამო, კანონიერი მონაცვლეობა (*successio legitima*) ეწოდებოდა.

თავისუფლადშობილ რომაელ მოქალაქეებს[948] შორის, თუ ოჯახის უფროსის ანდერძით მემკვიდრეობა არ რჩებოდათ ან თუ ანდერძი ბათილი იყო, სამკვიდრო იხსნებოდა აგნატების, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში, მოგვარეების[949] სასარგებლოდ.

აგნატებს შორის უპირატესობით ოჯახის ნინაპართა სულებთან ყველაზე ახლოს მდგომი პირი (*adgnatus proximus*)[950] სარგებლობდა. თავდაპირველად, ასეთად მოიაზრებოდა იმავე თაობის პირი, როგორიც მამკვიდრებელი იყო (ანუ მისი ძმა), მაგრამ მამის სტატუსის განმტკიცების კვალობაზე, ნათესაური კავშირის საწყისად რეალური მამასახლისი (და არა საერთო წინაპარი) მიიჩნეოდა, ასეთებად კი მამკვიდრებლის უახლოესი აგნატი – მისივე ვაჟიშვილი იყო.

---

[946] Inst. Iust.3.5; 3.6. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 150-155; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 636-638.

[947] ab intestato – ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა. Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 926; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 652; 354.

[948] ingenui – თავისუფლადშობილი რომაელი მოქალაქეები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 152.

[949] gentiles – მოგვარეები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 140.

[950] Inst. Iust.3.2.5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 145; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 627-628.

თუ ოჯახის უფროსს მის დაქვემდებარებაში არავინ ჰყავდა და ისე გარდაიცვლებოდა, რომ ანდერძს არ დატოვებდა, მემკვიდრეებად სხვა აგნატებს (*familia communi iure*) იწვევდნენ.

De cuius-ისა და *adgnatus proximus*-ის ცნებათა თანხვედრის გამო, პონტიფიკოსებმა XII დაფის კანონები, მასში ცვლილების გარეშე, განავრცეს;[951] თუ მამკვიდრებელი ანდერძში მემკვიდრედ თავის დაქვემდებარებულს არ იხსენიებდა, გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის უფროსი მისი ვაჟიშვილი ხდებოდა.

XII დაფის კანონებით, დაღმავალი ხაზის უშუალო ნათესავების არარსებობის შემთხვევაში, მემკვიდრის ადგილს მამკვიდრებლის გვერდითი ხაზის ნათესავი იკავებდა. ნათესაობის სიახლოვე კონკრეტული მამკვიდრებლისგან აითვლებოდა. თუ მას ღვიძლი ძმა (მეორე რიგის ნათესაობა) ჰყავდა, მაშინ იმავე თაობის ბიძაშვილი, როგორც უფრო შორეული ნათესავი (მესამე რიგის ნათესავი), მემკვიდრედ არ მოიწვეოდა.[952]

მეორე რიგის ნათესავები (მამკვიდრებლის გვერდითი აგნატი ნათესავები),[953] კანონის თანახმად, აუცილებელი მემკვიდრეები არ იყვნენ; ამიტომ მემკვიდრეობის მიღება საგანგებო აქტს საჭიროებდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათთვის მემკვიდრეობის ტრანსმისია მაინც არ დაიშვებოდა. თუ მამკვიდრებლის უახლოესი გვერდითი ხაზის ნათესავი სამკვიდროზე უარს ამობობდა ან ისე გარდაიცვლებოდა, რომ მის სასარგებლოდ გახსნილ სამკვიდროს მიღებას ვერ მოასწრებდა, მაშინ მომდევნო რიგის აგნატები სამკვიდროს მისაღებად არ დაიშვებოდნენ. არმყოფ მემკვიდრეთა წილი დანარჩენების წილს ემატებოდა, ხოლო ასეთ პირთა არარსებობის შემთხვევაში, სამკვიდრო სხვა მოგვარეებს გადაეცემოდა. თუმცა, ცივილური სამართლით გათვალისწინეული მესამე რიგის მემკვიდრეების მონაცვლეობის წესი ადრევე გაუქმდა და ნაკლებად ცნობილია.

ამრიგად, *ius civile* მიხედვით, ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა

---

951 XII დაფის (ტაბულის) კანონები. V დაფა. 3-4 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 65.

952 XII დაფის (ტაბულის) კანონები. V დაფა. 4-5 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 65.

953 XII დაფის (ტაბულის) კანონები. V დაფა. 5 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 65.

აგნატურ კავშირს ეფუძნებოდა და ის პირები, რომელთა მიმართაც მინიმალური სტატუსური დამცრობა (*capitis deminutio minima*) განხორციელდა, მემკვიდრეებად არ დაიშვებოდნენ.[954]

ცივილური სამართლის (*ius strictum*) ასეთმა სიმკაცრემ, რომელიც სისხლით ნათესაობის[955] შესახებ საზოგადოებრივ აზრს არ შეესაბამებოდა, მრავალი პრობლემა წარმოშვა. ამიტომ, აგნატური კავშირების არარსებობის მიუხედავად, პრეტორმა უახლოესი ნათესავების მემკვიდრეებად მოწვევა დაუშვა და ანდერძის გარეშე მემკვიდრეთა შვიდი რიგი[956] დაადგინა.

მემკვიდრეების პირველ რიგს გარდაცვლილის როგორც *sui* შვილები (*liberi*), ასევე ემანციპირებული ღვიძლი შვილები განეკუთვნებოდნენ, ასევე ისინი, ვინც, დაბადების შემდეგ, რომის მოქალაქეობა იმპერატორის გადაწყვეტილებით მოიპოვა. გამონაკლისს სხვა ოჯახში შესული პირები (შვილადაყვანილი და ქალები *in manu*) წარმოადგენდა. პირველი რიგის პრეტორული მემკვიდრეები კონკურენციას უშუალოდ *sui heredes* უწევდნენ, რომელთა უპირატეს უფლებას მემკვიდრეობაზე *ius civile* ითვალისწინებდა.

მემკვიდრეთა მეორე რიგს *legitimi* ეწოდებოდა; *ius civile*-ს მიხედვით, მათი უფლება აგნატების მემკვიდრეობის ტოლფასი იყო.

მესამე რიგის მემკვიდრეებს მეშვიდე თაობის ნათესაობამდე ღვიძლი ნათესავები (*cognati*) განეკუთვნებოდნენ. *Unde cognati*-ს მემკვიდრეობაზე პრეტენზიის გაცხადება სხვა ოჯახში გაშვილებულ შვილებსაც შეეძლოთ. *Cognatio*-ს აღიარება ქორწინების კანონიერებაზე დამოკიდებული არ იყო. შვილებს დედის ქონების მემკვიდრეობაც შეეძლოთ და პირიქით. თუმცა, აგნატებთან შე-

---

[954] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 642-643.

[955] cognatio – სისხლით ნათესაობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 72.

[956] Inst. Iust.3.9. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 160-164; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 919-921; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 671-674; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 376-379.

დარებით, მათი მემკვიდრეობა უფრო დაბალი ხარისხის იყო.

პრეტორული სამართლით, მემკვიდრეთა მეოთხე რიგს გააზატებულის პატრონის მეუღლე და მისი შვილები (მათ შორის ემანციპირებულებიც) განეკუთვნებოდნენ. თავად პატრონს გააზატებულის[957] მემკვიდრედ მოწვევის უფლება, აგნატობის საფუძველზე ჰქონდა და ამით ის მხოლოდ გააზატებულის დაქვემდებარებულ მემკვიდრეებს თუ ჩამორჩებოდა.

მეხუთე რიგის მემკვიდრეობას მიეკუთვნებოდა გააზატებულების მემკვიდრეობა *bonorum possessio*, რომელსაც პატრონის პატრონი (თუ კი ასეთი პირი არსებობდა) იღებდა.

მემკვიდრეების მეექვსე რიგს ცოცხლად დარჩენილი მეუღლე განეკუთვნებოდა.

პრეტორული მემკვიდრეების მეშვიდე რიგს პატრონის ნათესავები შეადგენდნენ, რომლებსაც უფლება ჰქონდათ გააზატებულის ბეითალმან ქონებაზე.

პოსტკლასიკურ პერიოდში, *ius civile* ყველა შეზღუდვის თანდათანობითი შემსუბუქებით, კანონით მემკვიდრეობის მიღების პროცესი გამარტივდა. ცვლილებები შეეხო იმ შეზღუდვებსაც, რომლებიც პრეტორულ სამართალში აისახა და იუსტინიანეს სამართლით საბოლოოდ გაუქმდა *adgnatio*-ს უპირატესობა *cognatio*-ს წინაშე, ხოლო მდედრობითი ხაზის ნათესავების მემკვიდრეობითი უფლებები საბოლოოდ გაუთანაბრეს მამრობითი ხაზის მემკვიდრეებს. 543 წელს 118 ნოველით,[958] კანონით მემკვიდრეთა ოთხი რიგი დადგინდა: მემკვიდრეთა პირველ რიგს შვილები და მათი დაღმავალი ხაზის ნათესავები (ნათესაობის რიგითობის მიუხედავად) განეკუთვნებოდნენ, რადგან მემკვიდრედ წარდგენის უფლება შეუზღუდავი იყო; მეორე რიგში აღმავალი ხაზის ნათესავები (მშობლები), ღვიძლი და-ძმა (მათი შვილები) მოიაზრებოდნენ. თავის მხრივ, აღმავალი ხაზით მემკვიდრეობა მამისა და დედის მხრიდან ნათესაობის მიხედვით იყოფოდა; ერთ-ერთი მშობლის არსე-

[957] libertini – გააზატებული. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989 205.

[958] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 675-676; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 645; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 583-584.

ბობა სხვა პირთა მემკვიდრეობას გამორიცხავდა. თუ გვერდითი ხაზის მემკვიდრეები მშობლების კონკურენტებად გამოდიოდნენ, მაშინ სამკვიდრო სულადობის მიხედვით იყოფოდა; მემკვიდრეთა მესამე რიგით ნახევარი და-ძმა მოიაზრებოდა და მათი შვილები, რომელთაც, მათი მშობლების ცოცხლად არყოფნის შემთხვევაში, მემკვიდრეებად იწვევდნენ; კანონით მემკვიდრეთა მეოთხე რიგს სხვა სისხლისმიერი ნათესავები განეკუთვნებოდნენ.

II. Successio testamentaria (ანდერძით მემკვიდრეობა)

Ex testamento – ანდერძით მემკვიდრეობა; ab intestato – კანონით მემკვიდრეობა; ius successionis – სამემკვიდრეო მონაცვლეობის უფლება; delatio hereditatis – სამკვიდროს გახსნა; heres – მემკვიდრე; sui heredes – ხელისუფლებაში მყოფ პირთაგან დასახელებული მემკვიდრეები; hereditatis – სამკვიდროს მიღება; transmissio – სამკვიდროს ტრანსმისია; in iure cessio hereditatis – სამკვიდროს ცესია; hereditas iacens – „დადებული" სამკვიდრო; cretio – სამკვიდროს საზეიმო მიღება; pro herede gestio – მემკვიდრის შესაბამისი ქმედება; bonorom possessio sine tabulis – პრეტორული მემკვიდრეობა ანდერძის გარეშე; bonorum possessio contra tabulas – ანდერძის საპირისპირო პრეტორული მემკვიდრეობა; bonorum possessio edictalis – პრეტორული მემკვიდრეობა ედიქტის საფუძველზე; bonorum possessio decretalis – პრეტორული მემკვიდრეობა დეკრეტით; successio testamentaria – ანდერძით მემკვიდრეობა; testamentum – ანდერძი; ex heredatio – სამკვიდროს ჩამორთმევა; legatum – საანდერძო დანაკისრი; codex – კოდექსი; codicillii – მცირე კოდექსი; petitio (persecutio) fideicommissi – სარჩელი ფიდეიკომისის შესახებ.

ანდერძი[959] პირის უკანასკნელი ნების სამართლებრივად დად-

[959] Inst. Iust.1.10.1.; 1.17. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, 2002, 83, 102-105; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 677-678; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 380.

გენილი და საზეიმო ფორმით შედგენილი გადაწყვეტილება იყო, რომელსაც სავალდებულო ძალა მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ენიჭებოდა.[960]

ანდერძის არსი მამკვიდრებლის მონაცვლის გარკვევა იყო. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ქონება არა უბრალოდ სხვისდებოდა, არამედ ის თავის მაგივრად ასახელებდა სხვა პირს, რომელიც, მისი ამქვეყნად არყოფნისას, მას შეცვლიდა. ამით უნივერსალური და სინგულარული მონაცვლეობა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამოქალაქო ბრუნვაში საკუთარი პოზიციის განკარგვით, მამკვიდრებელი არა მხოლოდ მისი ინდივიდუალური ნებით დადგენილი, მატერიალური საგნების აღიარებული მეპატრონე ხდებოდა, არამედ სრული მოცულობით, ფორმალურად განსაზღვრული ნების წარმმართველიც – ანუ საკუთარი სამართლებრივი უსაფრთხოების სუბიექტური მხარის მეპატრონეც იყო. ინდივიდუალური თავისუფლების ასეთი ხარისხი, სამართლის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებდა და სუბიექტურ და ფორმალურად აღიარებულ ფუნქციათა შორის სხვაობაზე მოწმობდა. რომის საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სამართლის სუბიექტის ევოლუცია სამემკვიდრეო მონაცვლეობის არსისა და მემკვიდრის ფუნქციათა ევოლუციაზეც აისახა, რაზეც რომაული ანდერძის ისტორიული ფორმებიც მეტყველებდა. Zარქაულ პერიოდში, ინდივიდუალური ინტერესების წინა პლანზე წამოწევა და საკუთარი პიროვნების მნიშვნელობის დამკვიდრება, უშუალოდ უკავშირდებოდა ძველი მამასახლისის სწრაფვას – ოჯახის უფროსობა საკუთარი ვაჟიშვილისათვის დაეტოვებინა და ამით, წინაპრებთან ყველაზე ახლოს მდგომი, სხვა აგნატი ნათესავი ჩამოეცილებინა. ასეთი სურვილი სახალხოდ გაცხადებას[961] საჭიროებდა, რაც კურიის წმინდა კრებაზე[962] ფორმალურ დადასტურებასა და

---

[960] Gai.,2.144-149. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 88-90; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 677; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008 380.

[961] testamentus – სახალხოდ გაცხადება.

[962] comitia calata – კურიის წმინდა კრება. Gai.,2.101. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშ-

დამოწმებას ითხოვდა. წმინდა კრებაზე, რომელიც წელიწადში ორჯერ მოიწვეოდა, ოჯახის უფროსს, დაღმავალი ხაზის ნათესავების სასარგებლოდ, მის მიერ გაკეთებული არჩევანის ობიექტური მიზეზები უნდა დაესახელებინა (ზუსტად ისე, როგორც შვილად აყვანის დროს ხდებოდა). რომაელი ხალხის საყოველთაო აზრით, ინდივიდუალური ნების ასეთი ფორმით განზოგადება, საომრად გამზადებული ჯარის წინაშე გაცხადებული ანდერძის (*testamentum in procinctu*)[963] ანალოგი იყო.

ანდერძის მესამე სახის – ანდერძი ლიბრალური რიტუალის (*testamentum per aes et libram*)[964] დასადებად, ხუთი მოწმე და მესასწორე იყო საჭირო. აღნიშნული რიტუალის განსახორციელებლად მოანდერძის ის ხელქვეითები[965] ან მისი მეგობრები, რომლებიც ოჯახს იღებდნენ, მოწმეებად არ დაიშვებოდნენ, რადგან ეს აქტი უშუალოდ მონაწილე პირთა ინტერესებს ეხებოდა. ანდერძი იურიდიულ ძალას იძენდა, მაგრამ ტექსტის გაცხადება არ დაიშვებოდა. ანდერძის ტექსტიანი ფირფიტები ერთად იკვრებოდა

ენები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 77; Inst. Iust.1.10,2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 83; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 678; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 386.

[963] Gai.,2.101,103. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 77-78; Inst. Iust.1.10. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 83-86; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 678; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 386.

[964] Gai.,2.102. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 77; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 677-678; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 386-388.

[965] potestas – ხელქვეითები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 253.

და მათ მოწმეთა ბეჭდებს არტყამდნენ. სულ შვიდი ბეჭედი იყო: ხუთი მოწმეების, ერთი ოჯახის მიმღების და ერთიც მაგისტრატის. ბეჭედთა ამ რაოდენობას ითხოვდა პრეტორი, რათა პრეტორული სამართლით დაცულ საბუთს, ანდერძის ფორმა მიეღო. მოგვიანებით, საბუთზე ხელის მოწერაც სავალდებულო გახდა. მსგავსი ფორმით ანდერძი კლასიკურ ეპოქაში დგებოდა. ანდერძის მთავარ არსობრივ ელემენტს მემკვიდრის დასახელება[966] წარმოადგენდა, რომელსაც გაიუსი მთელი ანდერძის დასაწყისად და დასასრულად მიიჩნევდა. თუ მემკვიდრის დანიშვნას იურიდიული ძალა არ ჰქონდა, ანდერძი მთლიანად ბათილად ითვლებოდა.

მემკვიდრის დასახელებას გლობალური მნიშვნელობა ჰქონდა და იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელი სამკვიდროს თუნდაც მცირე ნაწილს ანდერძით მემკვიდრეს უტოვებდა, *ab intestato* მემკვიდრეების მოწვევა აღარ დაიშვებოდა; გარდა ამისა, რომის სამართალში დამკვიდრდა ცნება „ერთხელ მემკვიდრე, სამუდამოდ მემკვიდრე – *semel heres, semper heres*", რაც შემდეგს ნიშნავდა: მემკვიდრე არც რეზოლუციური პირობით და არც რაიმე ვადით ინიშნენებოდა.[967]

რომის სამართალმა დაადგინა, რომ მამის გარდაცვალებიდან მთვარის ათი თვის განმავლობაში დაბადებული ბავშვი (*postumus*),[968] მამის (*de ciuis*) მემკვიდრე ხდებოდა.

ანდერძით მოანდერძეს სამკვიდროდან ცალკეული ნივთების მესამე პირებისათვის გადაცემაც შეეძლო. ასეთ განკარგულებას საანდერძო დანაკისრი[969] ეწოდებოდა. საანდერძო დანაკისრის

---

[966] heredis institutio – მემკვიდრის დასახელება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 142.

[967] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, 1996, 362.

[968] Gai.,2.130-133. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 84-85; Inst. Iust.1.13.1-2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 91-93; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 250-251 ; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 658-659;

[969] Gai.,2.192-245. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 101-114; Inst. Iust.1.20. რომის

მიზანი ლეგეტარიუსისათვის მოგების მოტანა და არ მემკვიდრის მდგომარეობის გაეუარესება იყო.) თუ საანდერძო დანაკისრი მემკვიდრის დასჯას – (*legatum poenae nomine* (*causa*)) ისახავდა, მაშინ ის ბათილდებოდა. (ამიტომ, სავსებით მართალია მოდესტინუსი, რომლის თანახმადაც, „ლეგატი არის ანდერძით ჩუქება – *legatum est donatio testamento relicta.*"[970] ფლორენტინუსის აზრით, „ლეგატი არის მემკვიდრეობის შემცირება, რითაც მოანდერძეს სურს მესამე პირს გადასცეს იმ ქონების ნაწილი, რასაც მემკვიდრე მთლიანად მიიღებს – *legatum est delibatio hereditatis, qua testator es eo quod universum heredis foret, alicui quid collatum velit*".[971])

(ლეგატის გადაცემა მხოლოდ მემკვიდრეზე შეიძლებოდა, ხოლო ლეგატარიუსისათვის დაკისრებული ვალდებულება ბათილად ითვლებოდა. ლეგატის ძალაში შესვლა განისაზღვრებოდა *heres testamentarius*-ის სასარგებლოდ, უნივერსალური მონაცველობის განხორციელებით. მემკვიდრეობის მიღაბაზე მემკვიდრის ნებაყოფლობითი უარი, ლეგეტარიუსს მოლოდინს უცრუებდა. ქრ. შობის II საუკუნემდე მოანდერძეს, ლეგატების სახით, მთელი სამკვიდროს განკარგვა და მემკვიდრისათვის მხოლოდ პასივების დატოვება შეეძლო. ასეთი ვითარება კრედიტორთა უფლებებს მძიმე ტვირთად აწვა და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მოთხოვნათა მთელ ბრუნვას საფრთხეში აგდებდა. სწორედ ამ დროს გამოიცა *lex Furia testamentaria,*[972] რომლითაც, თუ ლეგატების ღირებულება

სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 110-121; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 200-203; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 1025-1043; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 708; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 408-409.

[970] D.31.36. Digesta Iustiniani. T. V. Полутом 1. книги XXVIII-XXXII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 453.

[971] D.30.116 pr. Digesta Iustiniani. T. V. Полутом 1. книги XXVIII-XXXII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 425-427.

[972] lex Furia testamentaria – ქრ.შობამდე 190 ნელს მიღებული კანონი, რომლითაც ერთ პირს (გარდა მამკვიდრებლის სისხლით ნათესავებისა მემკვიდრეების მე-6 რიგის, მისი მეუღლისა და რძლისა) უკრძალავდა 1000 ასის ოდენობით ლეგათის მიღებას და ადგენდა ჯარიმას მიღებული თანხის ოთხმაგი ოდენობით ანაზღაურების შესახებ. Бартошек М., Римское право, Понятия, термины,

1 000 ასს აღემატებოდა, ლეგატების დატოვება იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც მოანდერძის მეექვსე რიგის კოგნატი ნათესავები მაინც არ იყვნენ, იკრძალებოდა. კანონის გვერდის ავლით შედგენილი ლეგატი, ძალას ინარჩუნებდა, მაგრამ ლეგატარიუსი, მემკვიდრის სასარგებლოდ, ოთხმაგი ჯარიმის გადახდას ექვემდებარებოდა. აღნიშნულმა კანონმა ვერ გაამართლა. მამკვიდრებელს შეეძლო გაეცა უამრავი ლეგატი, რომელიც მთლიანობაში 1 000 არ აღემატებოდა, მაგრამ მემკვიდრეს უსახსროდ ტოვებდა.)

ქრ. შობის 40 წ. *lex Falcidia*[973] გამოიცა, რომლითაც დადგინდა: ნებისმიერ შემთხვევაში, სამკვიდრო მასიდან აქტივების 1/4 მაინც – ე.წ. ფალციდიური მეოთხედის წილი, მემკვიდრეს უნდა დარჩენოდა. ამ კანონით, ლეგატარიუსის მოთხოვნათა ობიექტი მხოლოდ ლეგატის გარკვეული ნაწილი იყო.

კლასიკური რომის სამართლის თანახმად, ლეგატების ოთხი სახე[974] არსებობდა: 1. *Legatum per vindicationem* (ვინდიკაციის მეშვეობით); 2. *Legatum per damnationem* (განაჩენის მეშვეობით); 3. *Legatum sinendi modo* (ნებართვის გზით); 4. *Legatum per praeceptionem* (გამოყოფის მეშვეობით).

ლეგატების უძველესი სახის *legatum per vindicationem* მეშვეო-

определения, Москва, 1989, 188.

[973] Gai.,2.224-228. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 109-110; Inst. Iust.1.22. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 122-124; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 88; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 1044-1045; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 716-717; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 413-414.

[974] Gai.,2.192-223. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 101-109; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 200-202; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 1027; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 709-713; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 409-410.

ბით, მამკვიდრებლის განკარგულებით, ლეგეტარიუსის საკუთრებაში სამკვიდროს ნაწილი გადადიოდა; *legatum per damnationem*-ით, ლეგატარიუსის სასარგებლოდ, მამკვიდრებელი მემკვიდრეს, უშუალოდ, ანდერძით ავალებდა გარკვეული ნივთის საკუთრებაში გადაცემას (*dare*) ან რაიმე ქმედების შესრულებას (*facere, non facere*). პირველ შემთხვევაში ლეგატის ობიექტი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის ნივთი, რომელიც კვირიტული სამართლით გარდაცვალებამდე მამკვიდრებელს ეკუთვნოდა. უშუალოდ ამ ნივთზე ლეგატარიუსი საკუთრებას სრულად იმ მომენტში იძენდა, როცა მემკვიდრე სამკვიდროს მიიღებდა და მემკვიდრის წინააღმდეგ სავინდიკაციო სარჩელის შეტანაც (თუ ლეგატის მოცულობით ფალციდიური მეოთხედის წესი ირღვეოდა, ლეგატის ნაწილი ვინდიკაციას ექვემდებარებოდა) შესაძლებელი იყო. *Legatum sinendi modo*-საც ვალდებულებითი შედეგი ჰქონდა; მოანდერძის ბრძანებით, მემკვიდრეს, ლეგატარიუსისათვის მიკუთვნებული გარკვეული ნივთის ნაღების ნება ეძლეოდა. ლეგატარიუსის უფლებები დაცული იყო *actio incerti ex testamento*-თი. თუ ლეგატის ობიექტი მამკვიდრებლის ნივთზე სერვიტუტი ან უზუფრუქტი იყო, მაშინ მემკვიდრეს *in non faciendo* (მესამე პირისათვის ვალის პატიება ან ლეგეტარიუსისათვის მამკვიდრებლის მიერ იჯარით აღებული ნივთით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება) ენიჭებოდა.

Legatum per praeceptionem-ს რეალური შედეგი ჰქონდა და სამკვიდროდან რაიმე ნივთის წინასწარ გამოყოფას გულისხმობდა, მაგრამ მემკვიდრეთა წილის განსაზღვრისას, ლეგატის ეს ნაირსახეობა მხედველობაში არ მიიღებოდა.

პოსტკლასიკურ პერიოდში ლეგატების სხვადასხვა სახის თანდათანობითი ურთიერთშერწყმით, სინგულარული მონაცვლეობა (*mortis causa*) დადგინდა, რაც ფორმალურ მოთხოვნათა სიმკაცრის შესუსტებით იყო განპირობებული. 529 წ. იუსტინიანემ საბოლოოდ დაადგინა: ფორმის მიუხედავად, ლეგატს, მამკვიდრებლის ნების შესაბამისად, ჰქონდა ძალა, რაც ლეგატებისა და ფიდეიკომისების თითქმის გაიგივებას ნიშნავდა. ამის თაობაზე საგანგებოდ აღინიშნა იუსტინიანეს დიგესტებში „ლეგატებისა და ფიდეიკომისების შესახებ".[975] ფაქტობრივად, ლეგატი და ფიდეიკომისი ყოველმხრივ

[975] D.30. Digesta Iustiniani. T. V. Полутом I. книги XXVIII-XXXII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 363-431.

გათანაბრდა.

იმპერიის პერიოდში, განსაკუთრებული სიტყვიერი ან წერილობითი თხოვნის საფუძველზე, განვითარდა საანდერძო დანაკისრის სხვა ფორმა – ფიდეიკომისები.[976] სიცოცხლის ბოლო წუთებში მამკვიდრებელი მემკვიდრეს მიმართავდა თხოვნით, რომლის თანახმადაც, მემკვიდრეს, რომელიმე პირის სასარგებლოდ, რაიმე ქმედება უნდა შეესრულებინა ან მისთვის რაიმე ნივთი უნდა გადაეცა. თავდაპირველად, ასეთი თხოვნა მხოლოდ *fides* (მემკვიდრის ღირსებაზე) იყო დამოკიდებული და მას იურიდიული ძალა არ ჰქონდა. თუმცა, ავგუსტუსის დროიდან მოყოლებული, ექსტრაორდინალური წესის საფუძველზე, ფიდეიკომისარიუსი უფლებამოსილი შეიქნა წარედგინა *fideicommissi persecutio*, რომელიც, ექსტრაორდინალური სასამართლო პროცესის დამკვიდრებით, თითქმის *actio testamenti*-ს შეერწყა.

ანდერძს ერთვოდა რამდენიმე ფირფიტა ან პერგამენტის ფურცელი, რომელიც მემკვიდრის მიმართ მოანდერძის თხოვნას შეიცავდა, რათა მას მესამე პირის სასარგებლოდ რაიმე გაეკეთებინა. ასეთი მცირე კოდექსი, რომელსაც მოგვიანებით *codicilli*[977] ეწოდა, სამართლებრივად ავგუსტუსის დროს აღიარეს.

მოგვიანებით დადგინდა, რომ თუ კოდიცილებში გამოვლენილი ნება ანდერძის სიტყვებითაც (*codicilii testamento confirmati*)

---

[976] Gai.,2.246-289. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011 ,115-123; Inst. Iust.1.23-24. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 124-132; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 132-133; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 721-725; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 415-418.

[977] Gai.,2.270a, 273. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნუგზარ სურგულაძემ, თბილისი, 2011, 120-121; Inst. Iust.1.25. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 132-133; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 673.

დასტურდებოდა, მაშინ ეს თავად ანდერძით დატოვებული ნების გამოვლინებად ითვლებოდა. გამონაკლისი იყო მემკვიდრის და მეურვის დანიშვნა, რომლის სისწორეც მხოლოდ ანდერძის საფუძველზე მიიჩნეოდა. დადასტურებული კოდიცილების იურიდიული ძალა ანდერძის ნამდვილობაზე იყო დამოკიდებული. თუ კოდიცილები ანდერძით არ იყო დადასტურებული, მაშინ მათ ფიდეიკომისების მნიშვნელობა ჰქონდათ. თუ ანდერძი ბათილი იყო, კოდიცილები ძალაში რჩებოდა და მასში ჩამოყალიბებული თხოვნები და ბრძანებები, კანონის ძალით, მამკვიდრებელს ეკისრებოდა. ფიდეიკომისებთან დაკავშირებულ საქმეებს, თავდაპირველად, კონსულები *extra ordinem* წესით განიხილავდნენ, ხოლო შემდეგ სპეციალური პრეტორების – *praetor fideicommissarius*-ის იურისდიქციას დაუქვემდებარეს. (სარჩელი ფიდეიკომისების შესახებ პირს პირადი სარჩელის სახით წარედგინებოდა.) ფიდეიკომისის ობიექტი სამკვიდროს ნემისმიერი ნივთი იყო, ასევე, მესამე პირთა ნივთები. ფიდეიკომისი არ განსხვავდებოდა *legatum per damnationem*-სგან. მოანდერძეს მემკვიდრისათვის შეეძლო მოეთხოვა, ფიდეიკომისარიუსისათვის სამკვიდროს ნაწილის ან მთელი სამკვიდროს გადაცემა. ამ ორივე შემთხვევაში უნივერსალური ფიდეიკომისი იგულისხმებოდა.

ფიდეიკომისის საგანი შეიძლებოდა მონისათვის თავისუფლების მინიჭებაც[978] ყოფილიყო. თუ მონა მამკვიდრებელს არ ეკუთვნოდა, მაშინ ფიდეიკომისით დატვირთულ მემკვიდრეს მონის გამოსყიდვა და გააზატება ევალებოდა. მაგრამ, თუ მონის ბატონი მონის გაყიდვაზე უარს ამბობდა ან არარეალურად დიდ ფასს ითხოვდა, მაშინ მონის ფიდეიკომისი იქვითებოდა.

[978] libertas fideicommissaria – მონისათვის თავისუფლების მინიჭება. Gai.,2.263-265. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 119; Inst. Iust.1.24.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 131; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 726.

თავი IX. ძველი რომის ვალდებულებითი სამართალი

Obligatio – ვალდებულება; creditor – კრედიტორი; debitor – მოვალე; debitum – ვალი; vades – რწმუნებული, გარანტი; praedes – გარანტის ქონება; nexum – ვალდებულების დადგენა კრედიტორსა და მოვალეს შორის ფორმალური ხელშეკრულების გზით, რომლის ძალით ხელშეკრულების პირობების შესრულების გარანტად გამოიყენებოდა მოვალის პირადი თავისუფლება; vindex – გარანტი, რომელიც იცავდა მოვალის ინტერესებს; solutio per aes et libram – მოვალის განთავისუფლება ვალდებულების შესრულებისაგან იმ ფორმალური აქტის მეშვეობით, რომელიც ვალდებულების საფუძველის საპირისპიროდ იქნა განხორციელებული; sponsio (per aes et libram) – სპილენძისა და სასწორის მეშვეობით ან ფიცით განმტკიცებული რიტუალის განხორციელება; talio – ტალიონი; sponsio – ვერბალური ფორმით ვალდებულების დადგენა, სტიპულაციის უძველესი ნაირსახეობა; Obligationes civiles – ცივილური ვალდებულება; Obligationes honorariae – პრეტორული ვალდებულება; Obligationes naturales – ბუნებითი (ნატურალური) ვალდებულება; oportere – მოვალის მოვალეობა; ex contractu – სახელშეკრულებო ვალდებულება; ex delicto – ზიანის მიყენებიდან წარმოშობილი დელიქტური ვალდებულება; contractus – ხელშეკრულება; quasi ex contractus – თითქოს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება; quasi ex delicto – თითქოს ზიანის მიყენებიდან (დელიქტიდან) წარმოშობილი ვალდებულება; stipulatio poenae – ფულადი ჯარიმის შესახებ მიღწეული განსაკუთრებული შეთანხმება; dare – საკუთრების გადატანა; facere – გარკვეული მოქმედების შესრულება; praestare – უზრუნველყოფა, გარანტიის მიცემა; damnum emergens – აშკარა ზიანი; lucrum cessans – ხელიდან გაშვებული მოგება (სარგებელი); arbitrium boni viri – კეთილსინდისიერი მესამე პირის მოსაზრება, რომელიც არ იწვევს ეჭვს; arbitrium merum – სუბიექტური და, მაშასადამე, არც თუ სარწმუნო მოსაზრება; dare certam rem – გარკვეული ნივთის საკუთრებაში გადაცემა; obligatio certi – შესრულების შეუძლებლობის დადგომა; alternatio – ალტერნატიული ვალდებულება; ius variandi – მოვალის არჩევანის

მიხედვით; obligatio incerti – განუსაზღვრელი ვალდებულება; cum facultate solutionis – შესრულების შეცვლის შესაძლებლობა; genus nusquam perit – გვარობითი ნივთები არასოდეს იღუპება; genus limitatum – გვარობითი ნივთის უკიდურესი ინდივიდუალიზაცია; vis maior, casus fortuitus, casus maior – დაუძლეველი ძალის, ნების გარეშე, ობიექტური ფაქტორების მოქმედება; periculum – საკონტრაქტო რისკის გადანაწილება; dolus – განზრახვა; culpa – ბრალი; custodia – პასუხისმგებლობა ნივთის შენახვაზე; factum debitoris – მოპასუხე საკუთარ მოქმედებაზე პასუხს აგებს განზრახვის გარეშეც; dilegentia – წინდაუხედაობა; imprudentia – ჯერ‌ოვანი ყაირათიანობა; neglegentia – დაუდევრობა; imperitia – გამოუცდელობა; diligentiam praestare – წინდახედულობის უზრუნველყოფა; culpa in abstracto – ბრალი აბსტრაქტული კრიტერიუმებით; culpa in concreto – ბრალი კონკრეტული კრიტერიუმებით; culpa lata – უხეში ბრალეულობა; culpa levis – მსუბუქი ბრალეულობა; perpetuatio obligationis – ვალდებულების მუდმივობა; id quod interest – დადებითი ინტერესი; mora – ვადის გადაცილება; mora solvendi (mora debendi) – შესრულების ვადის გადაცილება; interpellatio – აღსრულების მოთხოვნა; purgatio morae – მოვალის გადაცილების განწმენდა; mora accipiendi – კრედიტორის მიერ გადაცილება; depositio in aedibus sacris – შესანახად ტაძარში მიბარება; in fraudem creditorum – კრედიტორისათვის საზიანო მოქმედება; in integrum restitutio ob fraudem – ვალაუვალი მოვალის მიერ დადებული გარიგების უკუქცევითი ეფექტის მიღწევა უწინდელ მდგომარეობაში აღდგენის ფორმით; interdictum fraudatorium – სპეციალური აღმდგენითი ინტერდიქტი; actio Pauliana – იუსტინიანეს იურისტების მიერ მოხდა in integrum restitutio ob fraudem-ისა და interdictum fraudatorium-ის განსაკუთრებულ სარჩელში გაერთიანება, რომელსაც პაულიუსის სარჩელი ეწოდა, იულიუს პაულუსის საპატივცემულოდ; ad promissio – მესამე პირის დამატებითი სტიპულაცია, რომელიც დაიდება ძირითადი ვალდებულების დადგენისთანავე — პირადი გარანტია; sponsio – პირადი გარანტიის პირველი ისტორიული ფორმა, რომელიც არის მესამე პირის დამატებითი სტიპულაცია ურთიერთობის პასიურ მხარეზე; fideipromissio – პარალელური ad promissio, რომელიც sponsio-სგან განსხვავებით, კეთილი ნებისათვისაც ხელმისაწვდომი იყო; beneficium divisionis – რამდენიმე

გარანტის არსებობის შემთხვევაში, თითოეული პასუხს აგებდა საკუთარი წილის მიხედვით; actio depensi – per formulas პროცესის ფარგლებში რეგრესული მოთხოვნის განხორციელების საშუალება; praeiudicium ex lege Cicereia – განსაკუთრებული წინასწარი სასამართლო განხილვა, რომლის მეშვეობით დაიცვებოდა გარანტის უფლებები; fideiussio – პირადი გარანტიის მესამე სახე, რომლითაც პასუხისმგებლობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა; beneficium cedendarum actionum – სასარჩელო მოთხოვნათა დათმობის პრივილეგია; fiducia cum creditore – კრედიტორთან დადებული ფიდუციალური გარიგება, რომლის დროს მოვალის ნივთი გადადიოდა კრედიტორთან in iure cessio ან per aes et libram რიტუალის მეშვეობით, იმ მიზნით, რომ კრედიტორი (ფიდუციარი) ნივთს თავისთან დაიტოვებდა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან გადასცემდა მოვალეს (ფიდუციანტს) მოსალოდნელი შესრულების მიღების შემდეგ – ვალდებულების რეალური გარანტიის ფორმა; nexum – nexi datio – მოვალესა და მის კრედიტორს შორის დადებული ფორმალური ხელშეკრულება, რომლის ძალით, მოვალე ვალის უზრუნველყოფის მიზნით, პასუხს აგებდა საკუთარი თავისუფლებით; nexi liberatio – nexus – გათავისუფლება ამ ვალდებულებისაგან შეიძლება მომხდარიყო საპირისპირო აქტით, რომელიც ითვალისწინებდა იმავე ფორმალობებს, რაც იყო nexum დროს; pignus datum – datio pignoris – რეალური გარანტიის კიდევ ერთი ფორმა, რომლის დროს დადგინდება გირავნობის რეალური ხელშეკრულება ანუ კრედიტორის მფლობელობაში, ძირითადი ვალდებულების ძალით, გადადის მოვალის ნივთი; actio pignerati-cia – in personam – გირავნობის ურთიერთობებზე დაფუძნებული სარჩელი; hypotheca – გირავნობის დადგენის ფორმა კრედიტორის ხელში მფლობელობის გადასვლის გარეშე; თავდაპირველად pignus et hypotheca შორის განსხვავება მხოლოდ ტერმინოლოგიური ხასიათის იყო და hypotheca როგორც რეალური გარანტიის კონვენციონალური ფორმა, დამკვიდრდა მხოლოდ კლასიკურ პერიოდში; interdictum Salvianum – კრედიტორის მფლობელობაში მიწის ნაკვეთის იმ მოიჯარის ნივთების გადაცემის ინტერდიქტი, რომელმაც გადააცილა საიჯარო რენტის გადახდა; solutio – აღსრულება; solutio per aes et libram – მოვალის მიერ კრედიტორის მხრიდან პირადი თავისუფლების მოპოვება; contrarius consensus – მხარეთა შეთანხ-

მება ხელშეკრულების მოშლის შესახებ; beneficium competentiae – მოვალე პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი ქონებრივი აქტივების ფარგლებში ანუ საკუთარი გადახდისუნარიანობით; locus solutionis – აღსრულება მოსარჩელის არჩევით დადგენილ ადგილას უნდა მოხდეს; datio in solutum – აღსრულების შეცვლა; pactum de non petendo – შეთანხმება მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ; transactio – მომრიგებლური გარიგება; nudum pactum – შიშველი პაქტი, რომელიც არ სარგებლობს სასარჩელო დაცვით; exceptio pacti conventi – ექსცეპცია შემდგარი შეთანხმების შესახებ; pactum transactionis – მომრიგებლური შეთანხმება შეწყვეტდა ვალდებულებას; ope exceptionis – თავდაცვითი მოსაზრების მეშვეობით; conpensatio – ჩათვლა; officium iudicis – მოსამართლის თანამდებობრივი მოვალეობანი; argentarius – ბანკირი; cum compensatione – ჩათვლით; cum deductione – გამოკლებით; concursus causarum – საფუძველთა კონკურენცია; confusio – შერწყმა; novatio – ნოვაცია; delegatio – დელეგაცია; delegens – ერთი პირი – დელეგანტი; delegatus – მეორე პირი – დელეგატი; delegatarius – მესამე მხარე – დელეგატარიუსი; delegatio promittendi – ვალდებულებათა დელეგაცია; delegatio dandi – შესრულებათა დელეგაცია; delegatio nominis – მოთხოვნათა დელეგაცია; delegatio debiti – ვალის დელეგაცია; causa solvendi – ფულადი თანხის გადახდა; cessio – ცესია – სხვა პირზე იდენტური მოთხოვნის გადატანა; cessionarius – ცედენტი – კრედიტორი; cedens – ცესიონარიუსი – მესამე პირი, რომელიც ცედენტის დავალებით პროცესში მოსარჩელედ გამოდის); procurator (cognitor) in rem suam – საკუთარ საქმეში რწმუნებულად გამომსვლელი – ის საქმეს აწარმოებდა საკუთარი სახელით და საკუთარი ინტერესის გამო.

I. ვალდებულების ცნება

ვალდებულება არის სამართლებრივი ბორკილი, რომლის ძალით, ჩვენ იძულებულნი ვართ რაიმე შევასრულოთ ჩვენი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად. *"Obligatio est iuris vinculum, quo necessitate adstringimur alicuius solvendae rei secundum nostrae civitatis iura".*[979]

[979] Inst.Iust.3.13 Pap. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები.

ეს ცნება ისტორიოგრაფიაში არსებითი დისკუსიის საგანი გახდა, რადგან მასში მკვეთრად არის გამოხატული „სამართლებრივი ბორკილების" მნიშვნელობა, რომელიც *obligatio*-ს უძველეს ხასიათთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ერთი პირი, *nexum*-ის იურიდიული აქტის საფუძველზე, მეორე პირის სამართლებრივ ბორკილებში მოექცეოდა ხოლმე ან შედიოდა ამ პირის ხელისუფლებაში. ეს უძველესი და ნაკლებად ცნობილი აქტი დაკავშირებული იყო *mancipatio*-სთან და თვითმანციპაციის პრო·ცედურას წარმოადგენდა, ანუ ერთი პირის შესვლას მეორის ხელისუფლებაში იმ მიზნით, რომ მოხდეს საკუთარი ან სხვისი ვალის გადახდის გარანტირება. პასუხისმგებლობის თითქმის ასეთივე ზომა, ანუ საკუთარი სხეულის სხვა პირის ხელისუფლებაში გადაცემა „ხელის დადების" (*manus iniectio*) პროცედურისათვის იყო დამახასიათებელი. ქრ.შ-მდე 326 წ. *lex Poetelia Papiria*[980] *nexum*-ს აუქმებს და მოვალის პირად მორჩილებას ქონებრივი პასუხისმგებლობით ცვლის, მაშასადამე, პირადი ბორკილები ქონებრივი პასუხისმგებლობით იცვლება.

ამრიგად, ვალდებულება და სარჩელი – ორი ცნება, ორი რეალობა იყო, რომლებსაც რომაელები განუყოფელ მოვლენად მიიჩნევდნენ.[981] ვიდრე რომელიმე პირის მიმართ ვალდებულება არსებობს, კრედიტორს, სავალდებულო მოთხოვნის შესრულების მიზნით, სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლება ენიჭება. არქაული ვალდებულების მიხედვით, ვალის[982] არსებობა, ამ ფაქტის სასამართლოში დამტკიცების შემდეგ, *manus iniectio* პროცედურის შესრულებას იწვევდა. ვალდებულების არქაულ ცნებაში მატერიალისტური წარმოდგენა იყო გაბატონებული, რომ ნივთები ერთმანეთთან ვალდებულების ძალით იყვნენ დაკავშირებული. ნივთის მატერიალისტური წარმოდგენა ვალდებულებას განიხილავდა უფრო როგორც კრედიტორის შესაძლებლობას, ვიდრე როგორც

ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 168.

[980] lex Poetelia Papiria – ქრ. შობამდე 326 წელს მიღებული პეტელიუსის კანონი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 195.

[981] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 414.

[982] debitum (debere) – ვალი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 101.

მოვალის ვალს. ვალდებულების შეძენა[983] ნიშნავს კრედიტორად და არა მოვალედ ყოფნას. ბორკილები, ანუ ორ პირს – მოვალესა და კრედიტორს შორის კავშირი, უძველესი გარიგების *sponsio*-ს დადების შედეგად და ძალით წარმოიშვება. ურთიერთგანცხადების საფუძველზე, მხარეები ერთმანეთს ან წარმომადგენლებს მინიჭების შესრულების ვალდებულებით ბოჭავენ.[984]

ვალდებულება ეწოდება სუბიექტურ იურიდიულ ვითარებას, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის კონკრეტულ მონაწილეთა (მხარეები) პირად კავშირებს ეფუძნება.[985] პირის სასარგებლოდ, გარკვეული ქმედების (მინიჭება) შესრულებით ვალდებულების ძალით, ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე (კრედიტორი) აღჭურვილია ფორმალური შესაძლებლობით მეორე მხარეს (მოვალეს), საკუთარი სარგებლისათვის, მოსთხოვოს გარკვეული ქმედების (ან მინიჭების) შესრულება. კრედიტორის პრეტენზიებს (მოთხოვნებს) შეესაბამებოდა მოვალის მოვალეობა, რომელიც არა კრედიტორისადმი (როგორც ცალკეული პირისადმი), არამედ მთლიანობაში სამართლისადმი (როგორც ქცევის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების სისტემის) მორჩილებაში მდგომარეობს. მოვალის ნება დაკავშირებულია კრედიტორის მიმართ მორჩილებასთან და თავისუფალია იმ თვალსაზრისით, რომ აღიარებით უნდა სარგებლობდეს მხოლოდ კრედიტორის ნორმატიული მოთხოვნა. მოვალისაგან კი შეუძლებელია იმაზე მეტის მოთხოვნა, რაც ქცევის იმ ზოგად სტანდარტებს აღემატება, რომლებიც მსგავსი ტიპის შემთხვევებისათვის არის დადგენილი. კრედიტორის კონკრეტული მოთხოვნა არის მხოლოდ სამართლის იმ საყოველთაოდ აღიარებული მოთხოვნის შესრულება, რომელიც მოქმედებს კონკრეტულ საზოგადოებაში და თითოეულ პირს კრედიტორად ან მოვალედ ყოფნის შესაძლებლობას აძლევს. მოვალის თანამონაწილეობა კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების საქმეში განპირობებულია მისი სამოქალაქო საზოგადოების წევრობით, ანუ მისი სამართალსუბიექტობით. კრედიტორის მოთხოვნა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის ნორმალური მონაწილისადმი, არის ის

---

[983] adquirere obligationem – ვალდებულების შეძენა. იქვე, 23.

[984] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 415.

[985] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 470-471.

სამართლებრივი მოლოდინი, რომლის საგანს წარმოადგენს, სხვა პირის მხრიდან, მინიჭების უზრუნველყოფა. ვალდებულების მეშვეობით, საზოგადოებაში არსებული განაწილებადი ურთიერთობები აბსტრაქტულ ფორმას იძენენ და ამით დაძლეულია ბრუნვის ნატურალური, უშუალოდ საგნობრივი ხასიათი. შეპირებული მინიჭება არა ნაკლები სიკეთეა, ვიდრე აღსრულების გარანტია. ვალდებულების სამართლებრივი ბუნება მოვალის ფორმალურ თავისუფლებას წარმოადგენს, თუმცა იმ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს, რომელიც კრედიტორის მიერ შეძენილი უფლების ექვივალენტური იქნება. კრედიტორის დაკმაყოფილება მოვალის თავისუფალი თანამონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. მოვალის უარი, შეასრულოს სავალდებულო ქმედება, აქცევს მას ზოგადი წესების დამრღვევად და კრედიტორისადმი ფორმალურ მორჩილებას გამოიწვევს.

არქაულ ეპოქაში პასიური მხარის არათავისუფალ მდგომარეობას საყოველთაო ხასიათი ენიჭებოდა მაგიისა და რელიგიის მეშვეობით[986] ან ფიცით განმტკიცებული რიტუალის შესრულებით, რომელსაც თან სდევდა მსხვერპლის შეწირვა (*sponsio*). ეს კი კრედიტორისაგან პოტენციური დამოკიდებულების შექმნას უწყობდა ხელს და მოვალესა და გარანტს ერთმანეთში აიგივებდა. თუ ვალდებულება დადგენილი იქნებოდა *per aes et libram*[987] მეშვეობით, *nexum*-ით – მოვალე კრედიტორის პირად მორჩილებაში შედიოდა, რაც მოვალის მიმართ, ხელის დადების (*manus iniectio*) ფორმასა და მისი კრედიტორის სახლში (*secum ductio*) წაყვანაში გამოიხატებოდა. თავდაპირველად, არქაულ პერიოდში კრედიტორი თვითნებურად უსწორდებოდა მოვალეს, ხოლო XII დაფის კანონების მიღების შემდეგ,[988] პირადი გასწორება განპირობებული იყო სასამართლო მაგისტრატის *addictio*-თი,[989] რომელიც აფიქსირებდა, რომ მოვალ-

---

[986] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 273.

[987] per aes et libram – ლიბრალური აქტი, ანუ სპილენძისა და სასწორის მეშვეობით. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 242.

[988] XII დაფის (ტაბულის) კანონები. VI დაფა. 2 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 66.

[989] addictio – მაგისტრატის გადაწყვეტილების ერთ-ერთი სახეობა – მხარეთა შეთანხმების მონონება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 21-22.

ისათვის დამცველის დანიშვნა (*vindex*) არ მომხდარა. გარდა ამისა, კრედიტორი 30 დღის განმავლობაში ვალდებული იყო მოვალე, საბაზრო დღეებში, გამოეყვანა სავაჭრო მოედანზე, რათა მას, შეძლებისდაგვარად, ვინმე გამოსარჩლებოდა. თუ მოვალეს დამცველი არ გამოუჩნდებოდა, კრედიტორი მასზე სრულ ძალაუფლებას იძენდა და ამის შემდეგ შესაძლებელი იყო მოვალის, ტიბროსის ნაპირებს გაღმა, მონად გაყიდვა (*trans Tiberium*). თუ მოვალეს გამოუჩნდებოდა დამცველი, ის იხდიდა მოვალე პირის ვალს (*iudicatum*) და ამის შემდეგ დამცველის მდგომარეობა უტოლდებოდა კრედიტორის სტატუსს. გამოსყიდული მოვალე (*depensus*) შედიოდა დამცველის ხელისუფლებაში და მისი მორჩილებიდან გათავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ ლიბრალური ფორმის – *solutio per aes et libram*, მეშვეობით.

Sponsio[990] – ეს არის სტიპულაციის, ვალდებულების ვერბალურ ფორმაში დადგენის უძველესი ფორმა. ამ დროს ვალი და მოვალეობა ერთ პირს ეკისრება. თუ ეს პირი არ შეასრულებს მოთხოვნას, მიყენებული ზიანის ანაზღაურება სპონსორისკენ (გარიგების მხარე) იქნება მიმართული და ამისათვის გამოიყენება *legis actio per iudicis postulationem* (შემოკლებულ იქნა მხოლოდ *actiones in personam* მიმართ, კერძოდ, XII დაფის კანონების ძალით, ვერბალური კონტრაქტებიდან აღმოცენებული სარჩელების მიმართ (*sponsio, stipulatio*)). თუ მოპასუხე უარს ამბობდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაშინ მოსარჩელე (ყოველგვარი ფორმალობების გარეშე) პრეტორს შესთავაზებდა მოსამართლის დანიშვნას (*iudex, arbiter*)).

II. ვალდებულებათა კლასიფიკაცია

რომის სამართალში ვალდებულებათა კლასიფიკაცია იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი ხასიათი ექნებოდა ვალდებულების აღიარებას სამართლის სისტემის მიერ[991]. ამის შესაბამ-

[990] sponsio. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 300.

[991] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 281-282; Дождев Д.В., Римское частное право. Москва, Норма, 2003, 475-476.

ისად, ვალდებულება იყოფოდა შემდეგ ჯგუფებად: 1) *obligationes civiles* (ცივილური ვალდებულება); 2) *obligationes honorariae* (პრეტორული ვალდებულება); 3) *obligationes naturales* (ნატურალური ვალდებულება).[992]

საწყის სტადიაზე არსებობდა მხოლოდ ის ვალდებულებები, რომლებიც ცივილური სარჩელებით იყო უზრუნველყოფილი. *Gaius* თვლიდა,[993] რომ „სარჩელი არის პირადი, თუ ჩვენ წარეუდგენთ მას იმ პირს, რომელიც ჩვენს წინაშე მოვალეა რაიმე კონტრაქტის ან დელიქტის ძალით; ანუ, როცა ჩვენ მოვითხოვთ იმას, რაც უნდა მოგვცენ, გაგვიკეთონ ან მოგვანიჭონ (*dare, facere, praestare oportare*)." ტერმინი – *oportere*, ცივილური სამართლის მიხედვით, ყოველთვის ვალის მიმართ გამოიყენება.[994]

იმ ურთიერთობებში, რომლებსაც პრეტორი იცავს, საუბარია იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც დადგება *actiones teneri*-ის საფუძველზე. კლასიკური სამართლის პერიოდში, იურისპრუდენციის გამოყენების ფარგლების გაფართოებამ, ვალდებულებად მიიჩნია პირებს შორის წარმოშობილი ის ურთიერთობებიც, რომლებსაც პრეტორული სარჩელები იცავდნენ. ქრ. შ-მდე I ს.-დან მოყოლებული, პრეტორებმა *in factum* სარჩელების მთელი სისტემა იმ პირთა დასჯის მიზნით შეიმუშავეს, რომლებიც ბოროტი განზრახვით მოქმედებდნენ. ძირითადად, აღნიშნული სარჩელები საჯარიმო ხასიათის იყო. მათი ერთი ნაწილი უნდა განვიხილოთ, როგორც ვალიდან წარმოშობილი სარჩელი, მეორე ნაწილი – როგორც კეთილი სინდისის სარჩელი ან სარჩელი დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების შესახებ, ან როგორც დეპოზიტის გამო აღმოცენებული სარჩელი. თუმცა, არ არსებობს ვალდებულება, რომელსაც რაიმე პირადი სარჩელი არ შეესაბამებოდეს. ასეთ ვალდებულებას პრეტორული ვალდებულება[995] ეწოდებოდა.

---

[992] D. 20.1.5pr. Digesta Iustiniani. T. IV. книги XX-XXVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 23.

[993] Gai.,4.2. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 183.

[994] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 415.

[995] obligationes honorariae – პრეტორული ვალდებულება Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 281-282; Дождев Д.В., Римское

ნატურალური ვალდებულება მონების მიერ დაიდებოდა, მოგვიანებით კი, იმ პირების მიერ, რომლებიც *paterfamilias* ხელისუფლებაში შედიოდნენ.[996] ამ ვალდებულებებს სასარჩელო დაცვა არ გააჩნდათ, რის გამოც იურიდიული შედეგები წარმოიშობოდა: თუ ხელისუფლებაში მყოფი პირის ვალი უკვე გადახდილი იყო, მაშინ ვალის თანხის უკან დაბრუნება, არასავალდებულო ქმედების შესრულების მოტივით (*solutio retentio*[997]), დაუშვებელი გახლდათ. შესაძლოა, *obligatio naturales* ცნება იულიანუსის დროს დამკვიდრდა და მომდევნო პერიოდის იურისტები ახსენებენ მას როგორც ისეთ ვალდებულებას, რომელმაც საკუთარი სახელწოდება შეიძინა საყოფაცხოვრებო ენაში მისი, გარკვეულწილად, ბოროტი გამოყენების შედეგად.

ისეთი მნიშვნელოვანი ეფექტის გარდა, როგორიც მიღებული ანაზღაურების თავისთან დატოვებაა, ნატურალურ ვალდებულებას სხვა შედეგიც გააჩნდა: 1) ნატურალური ვალდებულების შედეგად წარმოშობილი ვალი, ცივილური ვალდებულების მიმართ, შეიძლებოდა ჩათვლილიყო; 2) ეს ვალი შეიძლებოდა ნოვაციის ობიექტი გამხდარიყო, და მაშინ მათი ცივილურ ვალდებულებაში კონვერტირება მოხდებოდა; 3) ეს ვალი *delegatio et constitutem* ობიექტი შეიძლება ყოფილიყო; 4) ამ ვალის გარანტირება მარწმუნებლის მიერ გირაოსა ან იპოთეკის მეშვეობით შეიძლება მომხდარიყო; 5) ნატურალური ვალდებულების გათვალისწინება სავალდებულო იყო პეკულიუმის მოცულობის გაზრდის ან შემცირების დროს; 6) მონის ან ხელისუფლებაში მყოფი პირის მიერ შესრულებული შენაძენი კანონიერ საფუძვლად ჩაითვლება, საკუთრების უფლების ხანდაზმულობის ვადით (*usucapio*) შეძენის დროს. იუსტინიანეს დროს, ნათესაურ კავშირებსა და მორალურ პრინციპებზე დამყარებული ვალდებულებები, რომლებსაც სასარჩელო დაცვა გააჩნდათ,

---

частное право, Москва, Норма, 2003, 475-476 .

[996] Gai.,3.119ა. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 153; Бартошек М., Римское право. Понятия, термины, определения, Москва, 1989, 230; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 417-419.

[997] solutio retentio – გადახდილის დაკავება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 230,299.

არაჩვეულებრივ ნატურალურ ვალდებულებად ითვლებოდა. მას ის ეფექტიც გააჩნდა, რომ გადახდილის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელი იყო. მათ რიცხვში შედიოდა, ისეთი შესასრულებლად არასავალდებულო მოთხოვნები, როგორიც იყო: ზოგიერთი ნათესავისათვის საარსებო სარჩოს მიცემა; პარტნიორისათვის მომსახურების გაწევა, თუ გააზატებულმა ამის შესახებ სპეციალური ფიცი არ დადო; ცოლისათვის მზითვის დადგენა, აგრეთვე, კანონიერი მემკვიდრისათვის სამკვიდროდან კანონიერი წილის[998] გამოყოფის ვალდებულება; ნათესავთა დაკრძალვის ხარჯების გაწევა.

III. ვალდებულების შინაარსი

ვალდებულება გადაცემის (*dare*), შესრულების (*facere*) და მინიჭების (*praestare*) მოვალეობაში (*oportere*) მდგომარეობს.[999]

1) გადაცემა ნიშნავს: რაიმე ნივთის მესაკუთრედ ქცევას ან სანივთო უფლების დადგენას, აგრეთვე რაიმე მომსახურების გაწევას; 2) შესრულება ნიშნავს: ყველა მოქმედებას, რომელიც გარკვეული მოქმედების შესრულებას გამოხატავს ან მოქმედებაზე უარის თქმას,[1000] ან ნივთის მისი მესაკუთრისათვის გადაცემას;[1001] 3) მინიჭება ნიშნავს: რაიმეს გარანტირებას ან უზრუნველყოფას და ამისათვის საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას (მარწმუნებელს[1002] შეეხება). როცა საუბარია ვალდებულების საგანზე, მინიჭება ხასიათდება შემდეგი რეკვიზიტებით: მინიჭება უნდა იყოს შესრულებადი, კანონიერი, ზუსტად განსაზღვრული და ქონებრივი ხასიათის მატარებელი.

ვალდებულება შეიძლება იყოს გაყოფადი და განუყოფელი:[1003] 1) გაყოფადია ისეთი ვალდებულება, რომელიც ნაწილ-ნაწილ ან პროპორციულად შეიძლება შესრულდეს და ამ დროს არ იცვლება მისი ეკონომიკური დანიშნულება. გაყოფადი ვალდებულება შეი-

---

[998] legitima – კანონიერი მემკვიდრისათვის სამკვიდროდან კანონიერი წილი.

[999] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 416-417.

[1000] facere an non facere – მოქმედება ან მოქმედებაზე უარის თქმას. იქვე.

[1001] reddare – ნივთის მისი მესაკუთრისათვის გადაცემა. იქვე.

[1002] praedes – მარწმუნებელი. იქვე.

[1003] იქვე. 417.

ძლება რამდენიმე კრედიტორსა და მოვალეს შორის გადანაწილდეს; 2) თუ ვალდებულების გაყოფა შეუძლებელია, მას განუყოფელი ვალდებულება ეწოდება. ჩვეულებრივ, გაყოფადია ისეთი ვალდებულება, რომლის მიხედვით შესაძლებელია რაიმეს გადაცემა (*dare*), ვინაიდან საკუთრება და სანივთო უფლებათა დიდი ნაწილი სწორედ გაყოფადი ხასიათისაა. რაიმეს შესრულების ვალდებულება (*facere*) ყოველთვის განუყოფელია. განუყოფელი ნივთის მინიჭების ვალდებულებას სოლიდარული ხასიათი აქვს,[1004] ვინაიდან ვალდებულების სუბიექტთა სიმრავლის შემთხვევაში (რამდენიმე კრედიტორი და მოვალე), ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება თითოეულ კრედიტორს გააჩნია, ისევე როგორც ნებისმიერ მოვალეს ევალება მისი შესრულება.

IV. ვალდებულების წყარო

Obligatio-ს, როგორც ცივილური სარჩელით დაცული, სუბიექტური იურიდიული ვითარების თავდაპირველ მნიშვნელობაში, ვალდებულებათა კლასიფიკაცია აისახა, მათი წარმოშობის (წყაროს) მიხედვით (*causa obligationem*) – პირადი (ვალდებულებითი) ეფექტის მქონე იურიდიული ფაქტები. ამის შესაბამისად, ვალდებულებათა წყარო იყოფა: საკონტრაქტო ვალდებულებად[1005] და დელიქტურ ვალდებულებად.[1006] გაიუსის აზრით,[1007] ასეთი კლასიფიკაცია არის *summa divisio* (ვალდებულებათა მთავარი დაყოფა). თუმცა, ეს კლასიფიკაცია პირადი ხასიათის სუბიექტური იურიდიული ვითარების ტიპიზაციის გარკვეულ ეტაპს ასახავს და ამიტომ ვერ იქნება ამომწურავი.

[1004] in solidum – სოლიდარული ხასიათი. იქვე.

[1005] ex contractu – საკონტრაქტო ვალდებულება. Gai.,3.89. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 146.

[1006] ex delicto – დელიქტური ვალდებულება. იქვე..

[1007] Gai.,3.88. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 146.

Contractus et delictum, როგორც ვალდებულების მოდელური წყაროების გამოყოფა, ინტერესთა იმ ფორმალიზაციასთანაა დაკავშირებული, რომელსაც ადგილი ქრ.შ-მდე I საუკუნეში ჰქონდა. ვალდებულებათა ორ ნაირსახეობად (*species*) დაყოფას შეესაბამება *actiones in personam* სარჩელების ქონებრივ[1008] და საჯარიმო[1009] სარჩელებად დაყოფა.

ვალდებულებათა ორწევრიანი კლასიფიკაციის კონსერვაციამ მისი შესაძლო სრულყოფა განაპირობა. აღმოსავლური იურიდიული სკოლის პროფესორებმა განავრცეს ვალდებულების წყაროთა ჩამონათვალი და მიუთითეს, რომ კონტრაქტებისა და დელიქტების გარდა, არსებობდნენ კვაზი კონტრაქტები[1010] და კვაზი დელიქტები.[1011] ამრიგად, გაიუსისა და იუსტინიანეს შეხედულებათა გათვალისწინებით, რომის სამართალში ვალდებულებათა ოთხწევრიანი დაყოფა დამკვიდრდა, მათი წარმოშობის საფუძვლის მიხედვით; კერძოდ, შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით: *aut obligationes ex contractu aut quasi ex contractu, aut ex maleficio, aut quasi ex maleficio.*

მაშასადამე, განასხვავებენ: 1. კონტრაქტებს; 2. კვაზი კონტრაქტებს; 3. დელიქტებს; 4. კვაზი დელიქტებს.

1) კონტრაქტი[1012] არის ვალდებულებითი ხელშეკრულება, რომელიც უკვე უძველეს *ius civile*-ში არსებობდა. კონტრაქტები ოთხი სახის იყო. კონტრაქტების დამახასიათებელი ნიშანი – ე. წ. *causa civilis* იმაში მდგომარეობდა, რომ ან უნდა წარმოთქმულიყო გარკვეული სიტყვები (*verbum*), ან უნდა გამოყენებულიყო წერილობითი ფორმა (*literae*), ან კრედიტორის მიერ გარკვეული ქმედება უნდა შესრულებულიყო (*res*), ან კონტრაჰენტებს შორის არაფორმალური შეთანხმება (*consensus*) უნდა მომხდარიყო. ამიტომ, გა-

---

[1008] rei persecutoriae – ქონებრივი სარჩელი. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003. 477.

[1009] poenales – საჯარიმო სარჩელი. იქვე.

[1010] quasi ex contractu – კვაზი კონტრაქტები. Inst. Iust. 3.13 Pap. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 168.

[1011] quasi ex delicto – კვაზი დელიქტები. იქვე.

[1012] Gai.,3.89. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძე,. თბილისი, 2011, 146.

ნასხვავებენ ოთხი სახის ხელშეკრულებას: 1) ვერბალური – ზეპირი ფორმის; 2) ლიტერალური – დაწერილი ფორმის;[1013] 3) რეალური – გარკვეული მოქმედების (*res*) შესრულების აუცილებლობით; 4) კონსესუალური – შეთანხმებითი კონტრაქტები.

კონტრაქტების პირველი ორი სახეობა ფორმალურ ხელშეკრულებებს, ბოლო ორი – არაფორმალურ, ანუ მატერიალურ ხელშეკრულებებს განეკუთვნება.

§1. ვერბალური კონტრაქტი

ვერბალური კონტრაქტი[1014] იდებოდა იმ პირობით, რომ კონტრაჰენტებს შეეძლოთ საუბარი და მოსმენა, ანუ არ იქნებოდნენ ყრუ-მუნჯები და ისინი ერთ ადგილას – ხელშეკრულების დადების დროს – იქნებოდნენ. კლასიკურ სამართალში ცნობილია ვერბალური კონტრაქტის სამი ნაირსახეობა: 1) *stipulatio*, 2) *dotis dictio* და 3) *operarum iurata promissio*.

1) *Stipulatio* ზეპირი ფორმით იდებოდა. სტიპულატორი, *reus stipulatori,*[1015] უშუალოდ, ზეპირად დაუსვამდა შეკითხვას მეორე პირს – *promissor, reus promittendi,*[1016] რომელიც ასევე ზეპირად სცემდა პასუხს. თავდაპირველად, სიტყვათა წარმოთქმა სამართლით იყო განსაზღვრული, თუმცა მოგვიანებით მხარეებს, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეეძლოთ სიტყვების შერჩევა. სტიპულაციის შინაარსი ისეთივე მრავალფეროვანი იყო, როგორც საერთოდ ვალდებულების შინაარსი. სტიპულაციას შეეძლო ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულების ასახვა, თუმცა იმ პირობით, რომ ეს ცალმხრივი ქონებრივი ფასეულობის მქონე ხელშეკრულე-

[1013] Inst.Iust. 3.21. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 184.

[1014] Gai.,3.92-93. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 147; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 90.

[1015] reus stipulatori – ერთი კონტრაჰენტი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 279.

[1016] promissor, reus promittendi – კონტრაჰენტი. იქვე, 262.

ბა იქნებოდა: ფულის გადახდა, სხვა ნივთების გადაცემა, სამუშაოს შესრულება და სხვა ამგვარი რამ.

2) *Dotis dictio*[1017] იყო *dos* ზეპირი დადგენა სიტყვებით *tot nurami tibi doti sunt*; 3) *Sponsio, stipulatio*;

Sponsio[1018] – თავისი არსით არის საზეიმო ვითარებაში დადებული გარიგება, რომელიც შეიცავს დაპირებასა და ფორმალურ შეკითხვას (ერთი მხრივ) და პასუხს (მეორე მხრივ) გულისხმობს. მეცნიერებაში კვლავ მიმდინარეობს დავა *sponsio*-ს წარმოშობისა და მისი *stipulatio*-სთან კავშირის შესახებ.

Stipulatio,[1019] როგორც აბსტრაქტული აქტი სხვადასხვა სახის კომერციული გარიგების დასადებად გამოიყენებოდა და ამავე დროს, ეს ინსტიტუტი შეიძლება რომაული იურიდიული აზრის უდიდეს აღმოჩენად ჩაითვალოს. გაიუსის მიერ შემოთავაზებული, ვალდებულების დიდაქტიკური კლასიფიკაცია ცდილობდა გაეთანაბრებინა კონტრაქტების ყველა კონკრეტული ტიპი და შეერწყა ისინი ზოგად ფორმებთან – სტიპულაციასთან, რომელიც ყველა სახის შეთანხმების მიმართ, ფორმის მინიჭებისათვის გამოიყენებოდა.

იურისტები მოწმობენ, რომ უძველესი *sponsio* ყველა სახის აღთქმისათვის გამოიყენებოდა, ანუ ღვთაებისათვის მსხვერპლშეწირვის დაპირებისას, *sponsalia* – ანუ ქორწინების დადების საზეიმო დაპირებისას, აგრეთვე, საერთაშორისო შეთანხმების დადებისას. *Sponsio* არის *votum*-ის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ანუ ის ფორმულა, რომლის მეშვეობით: პირველი, *sponsio – iuris civilis* აქტია, რომელიც მხოლოდ რომის მოქალაქეთა (*cives*) წრეში

[1017] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 98; Барон Ю., Система римского гражданского права, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2005, 523; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 320.

[1018] Gai.,3.92-93. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 147; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 301.

[1019] Gai.,3.97-100, 102-105. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 148-150; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 300-303.

გამოიყენებოდა, მაშინ როცა *stipulatio – ius gentium* ინსტიტუტია[1020] და მისი გამოყენება ხდებოდა, რომის მოქალაქეთა და უცხოელებს შორის, გარიგების დადების დროს, რის გამოც მან გარიგების სტრუქტურასა და მნიშვნელობაზე დიდი გავლენა იქონია. მეორე, თუ *sponsio*-ს იურიდიული ფორმალიზმი ახასიათებდა, ხოლო მისი რეკვიზიტები ყოველთვის მკაცრად დაიცვებოდა (იქამდეც კი, რომ თუ რამდენიმე სარიტუალო ფრაზას არ წარმოთქვამდნენ ან მათ სხვა ფრაზებით შეცვლიდნენ, აქტი ბათილად ცხადდებოდა), *stipulatio*-ს ისტორიული ევოლუციის შედეგად, იურიდიულ-რელიგიური ფორმალიზმი განზე დგებოდა და გზას უთმობდა ახალ, შედარებით მოქნილ ფორმებს. გარდა ამისა, თუკი *sponsio*-სა და *stipulatio*-ს საზეიმო სტრუქტურებს მივიღებთ მხედველობაში, ისინი განიხილება როგორც *conceptio verborum*[1021] და აბსტრაქტული აქტი; ორივე სახის გარიგება *obligatio verbis*[1022] კატეგორიას განეკუთვნება. სავარაუდოდ, სტიპულაცია ჯერ პრეტორმა აღიარა, ხოლო შემდეგ ცივილური სამართლის სფეროში გამოიყენებოდა. რაც შეეხება სტიპულაციის მიერ წარმოშობილ სარჩელებს, *legis actiones*[1023] ეპოქაში, *spitulatio certi*[1024] *legis actio per condictionem*[1025] სარჩელით იქნებოდა დაცული. თუ მოპასუხე უარყოფს მოსარჩელის მოთხოვნას ყოველგვარი ფორმალობების გარეშე, ის პრეტორს მოსამართლის დანიშვნას მოსთხოვს. აღნიშნული სარჩელი, *legis actio sacramento in personam*-თან შედარებით, უფრო პროგრესული იყო და მოსარჩელეს საკრამენტალური გირაოს შეტანაზე უარის

[1020] იქვე; Мануэль Хесуо Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 523-524.

[1021] conceptio verborum – სიტყვების ერთობლიობა.

[1022] obligatio verbis – ზეპირი ვალდებულება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 230.

[1023] legis actiones – ლეგისაქციური სარჩელი.

[1024] spitulatio certi – განსაზღვრული ფულადი თანხა, ან განსაზღვრული ნივთების სიმრავლე. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 301.

[1025] legis actio per condictionem – აბსტრაქტული ცივილური მოთხოვნების დაკმაყოფილების გაადვილება, რომლის დროს მოსარჩელე უბრალოდ სთავაზობს მოპასუხეს, რომელიც მის მოთხოვნას უარყოფს, 30 დღის ვადაში (die condicto – აქედან ნარმოიშვა სარჩელის სახელწოდება) კვლავ პრეტორთან გამოცხადდეს, რათა მან მოსამართლე დანიშნოს. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 203.

თქმის შესაძლებლობას აძლევდა, თუ მისი უფლება კრედიტზე *sponsio*-დან გამომდინარეობდა.

ა) Stipulatio et obligatio verbis-ის კლასიკური სტრუქტურა

Stipulatio როგორც *obligatio verbis*-ი, ეფუძნება გარკვეული ფრაზების (*verbum*) წარმოთქმას, კერძოდ – შეკითხვა (*interrogatio*) და პასუხი (*sponsio*): "*Spondes mihi dare centum? Spondeo*" (მპირდები, რომ მომცემ 100 მონეტას? გპირდები).[1026] კლასიკურ სამართალში დამკვიდრდა ფრაზების, ანუ სიტყვების (*verbum*) მავალებითი მნიშვნელობის პრინციპი. პომპონიუსი[1027] სტიპულაციას განსაზღვრავს როგორც „სიტყვიერ ფორმულას (*conceptio*), რომლის თანახმად, ერთი პირი, რომელიც მეორის შეკითხვას პასუხობს, ვალდებულია მისცეს ან შეასრულოს ის, რასაც მას სთხოვენ".[1028] გაიუსიც ამტკიცებდა,[1029] რომ ვერბალური კონტრაქტი დაიდებოდა შეკითხვისა და პასუხის მეშვეობით. ზეპირი ვალდებულება არ მოითხოვს რეკვიზიტების დიდ სიმრავლეს. თუმცა, მათი მკაცრი შესრულება სავალდებულო ხასიათს იძენს.

1. სტიპულაციის მთავარი ნიშანია მისი ზეპირი ხასიათი. ორივე მხარეს ერთმანეთის გაგება უნდა შეეძლოს, ანუ მხარეები ყრუმუნჯები არ უნდა იყვნენ. ჟესტები და წერილობითი დოკუმენტები მხარეთა ზეპირ განცხადებებს ვერ შეცვლიან, ამიტომ ყრუ და მუნჯი ერთმანეთთან ვალდებულებას სტიპულაციის მეშვეობით ვერ დადებენ. ამავე დროს, თავისუფალია სტიპულაციის დადების ენა: *verbum* შეიძლება წარმოითქვას ლათინურ ან ბერძნულ ენებზე. რომაელი იურისტი საბინუსი თარჯიმნის მონაწილეობასაც დასაშ-

---

[1026] Gai.,3.92-93. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 147.

[1027] D.45.1.5.1. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 37.

[1028] D.45.1.5.1. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 37.

[1029] Gai.,3.92 რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2011, 147.

ვებად მიიჩნევდა.[1030]

2. ზეპირი ვალდებულების დასადებად სავალდებულოა ორი მხარის პირადი მონაწილეობა და პროცედურის ჩატარების უწყვეტობა. გაიუსი ამტკიცებდა,[1031] რომ ვერბალური კონტრაქტის დადება დაუშვებელია, თუნდაც ერთი მხარის არ არსებობის შემთხვევაში; იგივეს მოითხოვდა პავლუსიც.[1032] ამის გარდა, აუცილებელ მოთხოვნას უწყვეტ რეჟიმში მოქმედება (*unitas actus*) წარმოადგენდა, იმ ასპექტში, რომ *interrogatio et responsio* ერთმანეთის მიყოლებით უნდა განხორციელდეს, დროში წყვეტის გარეშე.

3. გარდა ამისა, სავალდებულოა *interrogatio et responsio* შორის აზრობრივი შესაბამისობა და შესიტყვება. ადამიანი დებს პირობას ბუნებრივ ძალებს საჩუქარი უძღვნას და ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ღვთაება შეასრულებს მის თხოვნას ან გასცემს იმ წყალობას, რომლის შესახებ მას შესთხოვს პირი. *Reus voti* (აღთქმის მიხედვით, მოპასუხე პირი), ღვთაების მიმართ, გარკვეულ ვალდებულებას საკუთარ თავზე იღებს; როცა უზენაესი ძალები შეასრულებენ მის თხოვნას, ის *voti damnatus*-ად გადაიქცევა და მას ევალება დანაპირების შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ღვთაება მის მიმართ შურს იძიებს. *Sponsio*-დან წარმოშობილი საკრალური ვალდებულება, *votum*-ის ფარგლებში, მოითხოვს იმავე ელემენტების არსებობას, რაც ცივილური ვალდებულებისათვის არის დამახასიათებელი. ვოტირებადი პირი საკუთარ თავზე იღებს რაიმე ვალდებულების შესრულებას და თავისუფლდება მისგან, ვალდებულების შესრულების შემდეგ.[1033]

ტიტუს ლივიუსისა და გაიუსის გადმოცემით, *sponsio* გამოიყენებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში: კერძოდ, ანტიკურმა ტრადიციამ რამდენიმე შემთხვევა დააფიქსირა, როცა რომაელი ჯარების სარდლობა, ამა თუ იმ, მტრულად განწყო-

---

[1030] D.45.1.1.6. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 31

[1031] Gai.,3.136. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2011, 158.

[1032] D.45.1.34.2. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 119.

[1033] Ulp. D.50.12.2. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 431.

ბილ ხალხთან *foedus* (სამშვიდობო ხელშეკრულების) გაფორმების უშედეგო მცდელობის შემდეგ, *sponsio* (დაპირებას) დებდა იმის შესახებ, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიცირებას მოახდენდა თვით სენატი. ასეთი *sponsio*-ს ერთ-ერთი ნათელი მაგალითია კონსულ პოსტუმუსის მიერ სამნიტების ტომთან დადებული სამშვიდობო ზავი, კავდინუსის ხეობაში რომაელთა დამარცხების შემდეგ. ტიტუს ლივიუსი აღნიშნავდა,[1034] რომ ასეთი *sponsio*-დან ნარმოიშვებოდა, ერთდროულად, საკრალური და იურიდიული ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრებოდა თვით *sponsor*-ს, რომლის მიმართ *deditio*[1035] პროცედურა გამოიყენებოდა. ქრ. შ-მდე 136 წ. კონსულმა მანცინუსმა, *sponsio*-ს მეშვეობით, საზავო ხელშეკრულება გააფორმა ნუმანციელთა ტომთან, თუმცა ეს ხელშეკრულება არ იყო რატიფიცირებული სენატის მიერ, რის გამოც მანცინუსი მტრისათვის უნდა გადაეცათ (*deditio*). საბოლოოდ, მის მიღებაზე თვით ნუმანციელებმა უარი თქვეს.[1036]

ყველაზე გავრცელებული თეორიის თანახმად,[1037] *sponsio*, თავდაპირველად, ვალდებულების უზრუნველყოფის უძველესი სახეობა იყო. *Sponsor* მოვალე არ იყო, მას მხოლოდ მარწმუნებლობა ევალებოდა. *Sponsor*-ი, მოვალის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობისას, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა. ამ თეორიის თანახმად, რომელიც *sponsio*-ს (პირადი გარანტიის) – თავდაპირველი ფუნქციიდან გამომდინარეობს, ფორმა *verbis* (ზეპირი ფორმა), მოგვიანებით, გამოიყენებოდა როგორც ზოგადი პრინციპი, რომელიც, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოვალის მიმართ ვალდებულებითი ბორკილების დადებას გულისხმობდა მა-

---

[1034] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 522.

[1035] deditio – მტრისათვის გადაცემის.

[1036] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 522-523.

[1037] Gai.,3.119. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 152; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 523; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 319.

შინ, როცა ტერმინი – *sponsor,* კვლავ გამოიყენებოდა მარწმუნებლის აღსანიშნავად. *Spondere*-ს და *sponsio*-ს ცნებები, ზოგადად, მოვალის დავალდებულების აქტს აღნიშნავდნენ.

თუმცა, *sponsio*-სა და *stipulatio*-ს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იყო, რამდენიმე პარამეტრის მიხედვით.

რომაულ იურისპრუდენციაში შეინიშნება გარკვეული ევოლუცია: შეკითხვასა და პასუხს შორის ფორმალურ შესატყვისობას ცვლის შინაარსობრივი შესატყვისობა, კერძოდ, ევოლუცია *verbum*-დან *voluntas*-კენ, ანუ სიტყვიდან ნებისაკენ (თანხმობისაკენ).

ბ) სტიპულაციის შინაარსი და მისი სახეები

სტიპულაციის დადებისას, მის შინაარსსა და ნაირსახეობას განსაზღვრავს მასტიპულირებადი პირი, მაშინ, როცა მოვალე პირი უბრალოდ შემოთავაზებულ შინაარსსა და ნაირსახეობას იღებს.

1) ვალდებულების დადებისას გასათვალისწინებელია სამომავლო და უცნობი მოვლენებისადმი დამოკიდებულება, რომელთა დადგომა თვით ვალდებულების არსებობას განსაზღვრავს. 2) ვალდებულების დადება შეიძლება გარკვეული დროით გადაივადოს: მანამ, ვიდრე არ იქნება შესრულებული პირობა ან არ ამოინურება ვადა, ვალდებულება არარსებულად ითვლება, ხოლო, თუ ფულადი ვალი დროზე ადრე დაიფარა, ის შეიძლება გამოთხოვნილ იქნას, როგორც „არასავალდებულო". თუკი არსებობს პირობის შესრულების იმედი, მაშინ ვალდებულება განიხილება, როგორც არსებული იმ ასპექტში, რომ აღნიშნულ ვითარებაში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ნოვაციას, თავდებობასა და ვალის გაქვითვას – *acceptilatio*[1038] მეშვეობით. 3) ვალდებულება პირობის შესრულების მომენტიდან წარმოიშვება და მისი ვალდებულებითი ეფექტი სტიპულაციის დადების დროზე არ ვრცელდება. თუ ვალდებულება წარმოიშვა, ის შეიძლება შეწყდეს შესაგებლით, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულების დროებლივი შეზღუდვის შესახებ

[1038] acceptilatio – მიღება; ვერბალური ან ლიტერალური კონტრაქტიდან ვალის გაქვითვის საზეიმო აქტი მის საპირისპირო ფორმაში. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 20; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва. Статут, 2005, 537; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 545.

შეთანხმებას ადგილი ჰქონდა ან დაითქვა ვალდებულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში. 4) თუ სტიპულაცია შესრულების რამდენიმე ვადის არსებობას გულისხმობს, მაშინ ის დაიყოფა იმ წილების ოდენობის მიხედვით, შესრულების რამდენი ვადაც არის მითითებული. 5) ვალდებულება სტიპულაციაში მითითებულ ადგილას უნდა შესრულდეს. მოსარჩელე, რომელიც სხვა ადგილას ითხოვს შესრულებას, შეიძლება აღმოჩნდეს მოთხოვნის გადამეტების[1039] ვითარებაში. ხოლო, თუ ვალდებულების შესრულების ადგილი მითითებული არ არის, მოსარჩელეს შეუძლია ნებისმიერ ადგილას მოითხოვოს მისი შესრულება.

გ) Acceptilatio (ვალის გადახდის აღიარება)

Acceptilatio არის საკრედიტო ვალდებულების გაქვითვის აბსტრაქტული და ზეპირი (*verbis*) ფორმა. ეს ფორმა სტიპულაციის მიერ არის წარმოშობილი და მის საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა. თავდაპირველად, *acceptilatio* იყო რეალური გადახდის აღიარება და მიღება. მოგვიანებით, ის გადაიქცა სავალო ვალდებულებათა შეწყვეტის ზოგად ფორმად, იმის მიუხედავად, შესრულდებოდა თუ – არა სავალო ვალდებულება.

Acceptilatio, როგორც ფორმალური და კანონიერი აქტი, არც ვადებს და არც პირობებს გულისხმობდა. *Acceptilatio*-ს შედეგად წყდებოდა მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც *stipulatio*-ს დადების შედეგად წარმოიშვებოდა. ერთი პირის მიერ მეორის მიმართ არსებული სხვადასხვა ვალი, რომელიც, შესაძლოა, არც კი ყოფილიყო მხოლოდ ვერბალური ვალდებულებებიდან წარმოშობილი, ერთადერთ ლოკალურ *stipulatio*-ში (*novatio*) შეიძლებოდა გაერთიანებულიყო და წარმოიშვებოდა ისეთი ვალდებულება, რომელიც *acceptilatio*-ს მეშვეობით გაიქვითებოდა. ასეთ ლოკალურ *acceptilatio*-ს *stipulatio Aquiliana*[1040] ეწოდა, მისი შემქმნელის, რესპუბლიკური პერიოდის იურისტის — გაიუს აქვილუს გალიუსის სახელიდან გამომდინარე.

[1039] pluris petitio – მოთხოვნის გადამეტება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 224-225.

[1040] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 224-20; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 318.

დ) სტიპულაციის დასასრული

კლასიკური *stipulatio* აბსტრაქტული და ზეპირი აქტი იყო და მისი დაქვეითება ორი პარალელური მიმართულებით – ფორმისა და საფუძვლის მიხედვით მიმდინარეობდა. არარომაული იურიდიული პრაქტიკის გავლენით, სტიპულაციამ დაკარგა პირვანდელი სტრუქტურა და თანდათანობით, ლიტერალური კონტრაქტის ფორმა შეიძინა.

Stipulatio-ში, ჩვეულებრივ, *testatio* დროს, მამტკიცებელი დოკუმენტი გამოიყენებოდა.[1041] თუმცა პოსტკლასიკური სამართლის ევოლუციამ სტიპულაციურ დოკუმენტს ვალდებულების დადგენის ხასიათი მიანიჭა, რაც აღმოსავლური პროვინციების სამართლებრივი ნორმების შესაბამისობად მიიჩნევა. უკვე ციცერონის დროს *stipulatio* წერილობითი ფორმით დგებოდა: *cautio stipulatoria* (*stipulatio*-ს შესახებ დოკუმენტი) (*testatio* – წერილობითი მოწმეობა, მოწმეების მიერ ხელმოწერილი) ან *chyrographa*[1042] (საკუთარი ხელით ჩაწერილი, სავალო ვალდებულება (ხელწერილი) იურიდიული აქტის ჭეშმარიტი განხორციელების შესახებ, თანაც მოწმეების გარეშე). ეს ფორმები მტკიცებულების მარტივ საშუალებად ითვლებოდა. რომაული სამართლისა და აღმოსავლური ტრადიციების ურთიერთგავლენის შედეგად (იმპერატორ კარაკალას 212 წ. ედიქტის შემდეგ), სტიპულაცია კონტრაქტების ზოგად პუნქტად იქცა. სტიპულაციის ვერბალური ფორმა მხოლოდ იგულისხმებოდა, თუმცა სინამდვილეში *stipulatio*-ს უძველესი ზეპირი ფორმა წერილობითი ფორმით შეიცვალა.

იმპერატორი იუსტინიანე საკუთარ სამართლის წიგნთა კრებულში ორი ტენდენციის მიმდევარი იყო: იგი ტრადიციულ, კლასიკურ სამართალს პატივს მიაგებდა და არსებულ, მოქმედ სამართალს ზედმიწევნით მისდევდა და ავითარებდა. ერთი მხრივ, ის საკუთარ ინსტიტუციებში[1043] კლასიკური სამართლის იურისტთა

[1041] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005. 538.

[1042] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 538; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 68.

[1043] Inst. Iust. 3.15-20. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი

თხზულებებს გადმოსცემს და გაიუსის მსჯელობას სტიპულაციის, როგორც ვერბალური (*verbis*) ვალდებულების შესახებ, იზიარებს; მეორე მხრივ, დროის მოთხოვნის შესაბამისად, ადგენს, რომ მხოლოდ 2 წლის ვადაშია შესაძლებელი *exceptio doli*;[1044] ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ვალდებულების დამდგენი წერილობითი დოკუმენტი სავალდებულო ძალას იძენდა.

სტიპულაციის აბსტრაქტული ხასიათი დოკუმენტზე გადადის, თუ ის კანონით დადგენილ ვადაში არ იქნა გაპროტესტებული. I. Inst.3.21 შემუშავებულ იქნა *obligatio litteris* შესახებ ახალი წარმოდგენა: „დღესაც ასე ხდება: როცა მე საჩივარი არ შემიძლია სხვა ხერხით შევიტანო, მე ვალდებულებას წერილობითი ფორმით ვიყენებ და მისგან ის კონდიქცია წარმოიშვება, რომელიც ზეპირ ვალდებულებას შეწყვეტს".[1045] ითვლებოდა, რომ ვალდებულება და *condictio,* როგორც სარჩელი, რომელიც ვალდებულებას იცავს, წარმოიშვება არა სიტყვებიდან, არამედ წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე. *Conceptio verborum*[1046] იუსტინიანეს მიერ აღიქმებოდა როგორც *mera subtilitas*[1047]და მან გადაწყვიტა, რომ იურიდიული შედეგები დოკუმენტის საფუძველზე უნდა წარმოიქმნას. ამრიგად, *stipulatio,* როგორც აბსტრაქტული იურიდიული აქტი კვდება და მის ადგილს აბსტრაქტული დოკუმენტი იკავებს.

ე) Transcriptio nominum (საკრედიტო ვალდებულებების გადაწერა)

„ვალდებულება წერილობითი არის, თუ, მაგალითად, ის შემო-

დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 171-184.

[1044] exceptio doli – ინტერდიქტულ წარმოებაში მოსარჩელეს შეეძლო *exceptio*-ს წინააღმდეგ საპირისპირო აზრის გამოთქმა, ანალოგიურად, იმ ახალი გარემოებების საფუძველზე, რომლებიც სავალდებულო ძალას ართმევდნენ ექსცეპციას. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 123.

[1045] Inst. Iust. 3.21. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 184.

[1046] conceptio verborum – სიტყვიერი გადაწყვეტილება.

[1047] mera subtilitas – უდიდესი იურიდიული სიმახვილე. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 539.

სავალ-გასავლის წიგნებში შეიტანება. ეს ჩანაწერი ორგვაროვანია: ან ნივთიდან პირისაკენ, ან პირიდან პირისაკენ. ნივთიდან პირისაკენ ჩანაწერს მაშინ აქვს ადგილი, როცა ის, რაც შენ ჩემი გმართებს ნასყიდობის, ქირავნობის ან ამხანაგობის ხელშეკრულების მიხედვით, მე შენს სახელზე ჩავწერე როგორც ჩემთვის გასაცემი. ვალის ჩაწერას საანგარიშო წიგნში პირიდან პირისაკენ მაშინ აქვს ადგილი, როცა ის, რაც მე მერგება ტიციუსისაგან, მე წიგნში შემაქვს როგორც შენთვის გადახდილი თანხა, ანუ თითქოს ტიციუსის ვალი შენზე გადმოინერება".[1048] გაიუსის ინსტიტუციებში[1049] საუბარია წერილობითი გარიგების შესახებ, რომელიც მდგომარეობდა ვალდებულების დამდგენ ჩანაწერში. ასეთ ჩანაწერს *paterfamilias* ან უფრო ხშირად ბანკირი საკუთარ საბუღალტრო წიგნში ახორციელებდა. ძველ დროში შემოსავლებისა და გასავლების საბუღალტრო წიგნები[1050] არსებობდა, რომლებშიც *acceptum* გრაფაში ჩაიწერებოდა შემოსული და მიღებული, ხოლო *expensum* გრაფაში – გასული და გაცემული თანხები. ეს საბუღალტრო ჩანაწერები ვალდებულებას უწინდელი ვალდებულების ახალ ვალდებულებით შეცვლის მეშვეობით აყალბებდნენ. ახალი ვალდებულება წარმოიშვებოდა ახალი საბუღალტრო ჩანაწერით.

ამრიგად, ხდებოდა ვალდებულების განახლება (*novatio*), ანუ უწინდელი ვალდებულების შეწყვეტა და მისი ახალი ვალდებულებით შეცვლა. არსებობდა ვალის გადაწერის (*transcriptio*) ორი ნაირსახეობა: 1) ნივთიდან პირზე; 2) პირიდან პირზე.[1051]

Transcriptio, ისევე, როგორც *stipulatio*, აბსტრაქტული იურიდიული აქტი იყო, *ius civile* ჩარჩოებში მოქცეული, თუმცა, სტიპულაციისაგან განსხვავებით, ის განუსაზღვრელი ნივთის მინიჭებით ვერ დაიდებოდა და აგრეთვე, ვადისა და პირობის დადგენას არ გულისხმობდა. საბუღალტრო ჩანაწერების შემცველი წიგნები ვალდებულების წარმომშობ იურიდიულ დოკუმენტებად ითვლებოდა,

---

[1048] Gai.,3.128-130. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 157.

[1049] იქვე.

[1050] codex accepti et expensi – შემოსავლებისა და გასავლების საბუღალტრო წიგნები.

[1051] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 540-541.

რის გამოც, მათ მიმართ ცენზორული ინსპექტირება ხორციელდებოდა. ვერბალურ კონტრაქტთან შედარებით, ლიტერალური კონტრაქტის ძირითადი უპირატესობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ხელშეკრულების დადებისას, ორივე მხარის ადგილზე ყოფნა არ იყო საჭირო, რაც კიდევ უფრო ამარტივებდა სავაჭრო ბრუნვის განხორციელებას. ლიტერალური კონტრაქტის შეუსრულებლობა ითვალისწინებდა *actio certi* წარდგენას. ლიტერალური კონტრაქტები ფართოდ გამოიყენებოდა ქრ. შ-მდე I – ქრ. შ-ის I საუკუნეებში და გაიუსის ეპოქაში თითქმის გამოვიდნენ ხმარებიდან. Inst.Iust.[1052] მათ შესახებ მხოლოდ წარსულ დროში საუბრობენ, რადგან ისტორიულ წარსულად მიიჩნევიან. საბუღალტრო ჩანაწერის განსაკუთრებულ ტიპად საკასო წიგნიდან წარმოშობილი კრედიტები ითვლებოდა. მათზეც გაიუსი საუბრობს:[1053] „სხვა მნიშვნელობა სესხის სამახსოვრო ჩანაწერებს[1054] ჰქონდათ. ეს ჩანაწერები წარმოშობენ არა წერილობით, არამედ სანივთო ვალდებულებას, ვინაიდან არავითარი მნიშვნელობა გააჩნიათ მანამ, სანამ ვინმეს გარკვეული ფულადი თანხა არ გადაეცემა, ხოლო ფულის გადაცემა სწორედ სანივთო ვალდებულებას წარმოშობს."

ვ) Chyrographa (სუბიექტური) და Syngrapha (ობიექტური საკრედიტო დოკუმენტები)

გაიუსი წერდა,[1055] რომ *chyrographa et syngrapha* – იყო უცხოელებისათვის დამახასიათებელი წერილობითი საბუთები, რომლებიც პირველი ან მესამე პირის სახელით დგებოდა და რომლებშიც ცხადდებოდა, რომ „ვინმე პირი არის სხვა პირის მოვალე ან მას რაიმე უნდა გადასცეს". ერთ-ერთ ტექსტში წერია, რომ *chyrographum* ვალის აღიარების ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც

[1052] Inst. Iust. 3.21. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 184.

[1053] Gai.,3.131-132. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 157-158.

[1054] nomina arcaria – სესხის სამახსოვრო ჩანაწერები. იქვე.

[1055] Gai.,3.134.იქვე, 158; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 542.

კრედიტორის განკარგულებაში რჩება და მოწმობს გარიგების დადების შესახებ.

Syngraphum მესამე პირის სახელით უნდა შედგეს, ორ ეგზემპლარად და დაინტერესებული მხარეების მიერ იქნას ხელმოწერილი. თითოეული მხარე საკუთარ ეგზემპლარს ინახავდა, რაც გარიგების დადების შესახებ მტკიცებულებას წარმოადგენდა. აღმოსავლეთში გაბატონებული სამართლებრივი ურთიერთობების გავლენით, ამ დოკუმენტებმა აღიარება რომშიც მოიპოვეს და მტკიცებულების უტყუარ საშუალებას წარმოადგენდნენ.

ზ) ბათილი და არარა სტიპულაციები

იმისათვის, რომ სტიპულაცია აღიარებულ იქნას რომის *ius civile* მიერ, სავალდებულოა ისეთი რეკვიზიტების არსებობა, რომლებსაც ქმედუნარიანობასთან, ფორმასა და შინაარსთან ჰქონდათ ურთიერთობა. ბათილი სტიპულაციებს შორის შეიძლება ორი ძირითადი კლასი გამოვყოთ: 1) არარაა სტიპულაციები,[1056] თუ ამგვარი გარიგებისათვის დამახასიათებელი სავალდებულო რეკვიზიტები არ არსებობენ; 2) ბათილი სტიპულაციები,[1057] რომლებიც ფორმალური თვალსაზრისით ნამდვილ სტიპულაციად ითვლება, თუმცა არ წარმოქმნიან ვალდებულებას რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო. არარა სტიპულაციასთან დაკავშირებული ვითარება განსხვავდება ბათილი სტიპულაციისაგან: რადგან ბათილი სტიპულაციის დროს, თუმცა კი სტიპულაციას ადგილი ჰქონდა. ის ვალდებულებას არ წარმოშობდა.

ბათილი და არარა სტიპულაციის შემთხვევები: 1. სტიპულაციის შეუძლებლობა: დაინტერესებულ მხარეთა ქმედუნარიანობის ხარვეზები. სტიპულაციას ვერ დადებდა ყრუ, მუნჯი და უგუნური. მონას სტიპულირება შეეძლო, დაპირებას კი მაშინ მისცემდა, როცა საკუთარ თავზე ნატურალურ ვალდებულებას იღებდა. *In patria potestas* პირების მიმართ აღიარებულია მათი უფლება, საკუთარ თავზე ვალდებულება აიღონ. 2. შეკითხვისა

[1056] nullius momenti est – არარა სტიპულაციები. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 542.

[1057] inutilis – ბათილი სტიპულაციები. იქვე.

და პასუხის ერთმანეთისადმი შეუთავსებლობა (არარაობა). ეს შეიძლება მოხდეს: ა) სტიპულაციის საგნის მიმართ. „სტიპულაცია მაშინ ითვლება არარად, როცა ვინმე არ პასუხობს დასმულ შეკითხვას. ან თუ მე ვასტიპულირებ უპირობოდ, შენ კი მპირდები გარკვეული პირობით". „არარად ითვლება სტიპულაცია, თუ მისი ობიექტი შეუძლებელია, ან *stipulatio* ხორციელდება შეუსრულებელი პირობით";[1058] ბ) მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სტიპულაცია. „სტიპულაცია არარად ითვლება, თუ ჩვენ ვასტიპულირებთ, რათა რაიმე გადაეცეს მესამე პირს, რომლის ხელისუფლების ქვეშ ჩვენ არ ვიმყოფებით. აქედან ისმის შეკითხვა, ნამდვილია თუ არა ის სტიპულაცია, რომელიც დაიდება საკუთარი თავისა და იმ მესამე პირის მიმართ, რომლის ხელისუფლებაში ჩვენ არ ვიმყოფებით."[1059]

სტიპულაციის ბათილობა:[1060] დაპირება შესრულების შესახებ გარდაცვალების შემდეგ: „დაბოლოს, ბათილია ის სტრუქტურა, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაიდო: შენ მპირდები, რომ მომცემ ჩემი სიკვდილის შემდეგ, ან შენი სიკვდილის შემდეგ". და პირიქით, ნამდვილია შემდეგ ფორმაში დადებული სტიპულაცია: „შენ მპირდები, რომ მომცემ ჩემი გარდაცვალების მომენტში ან შენი გარდაცვალების მომენტში?" ანუ ისე, რომ ვალდებულების შესრულება გადატანილი იყოს სტიპულატორის ან პირობის მიმცემის გარდაცვალების მომენტისათვის. ამრიგად, სტიპულაციით წარმოშობილი ვალდებულების მემკვიდრეზე გადატანა არასწორად ითვლებოდა. სტიპულაციის საგნის მიმართ არსებული ბათილობა დგება: ა) თუ სტიპილაციის საგანი უკანონო ან უღირსია, ან სტიპულაცია მოცემულია მსგავსი ხასიათის პირობით; ბ) თუ, თავდაპირველად, სტიპულაციის შესრულება შესაძლებელი იყო, შემდეგ კი მისი შესრულება შეუძლებელი გახდა; გ) თუ შეცდომის გამო შეუძლებელია განისაზღვროს სტიპულაციის ობიექტი,

---

[1058] Gai.,3.102. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 149; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 543.

[1059] Gai.,3.103. იქვე, 150.

[1060] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 544.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სტიპულირებულ იქნა ის ნივთი, რომელიც განისაზღვრება გვარობითი ნიშნით; ხოლო, თუ შეუძლებელია განისაზღვროს ნივთის გვარობითი ნიშანი, ვალდებულება არ წარმოიშვება; დ) თუ სტიპულაციური ვალდებულება მიღებულია არასრულწლოვანი პირისა ან ქალის მიერ, მათი მეურვის სანქციის გარეშე.[1061]

§2. განუსაზღვრელი ობიექტის სტიპულაცია

სტიპულაციური დაპირება, განხორციელებული ისეთი საგნის მიმართ, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში იქნებოდა განსაზღვრული, ბათილად ითვლება.[1062] და პირიქით, ის სტიპულაციები, რომელთა საგნები რაიმე აქტით მაინც იყო განსაზღვრული, ნამდვილად ითვლება. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ: 1. გვარობითი ნიშნის მქონე საგნის შესახებ სტიპულაცია: დაპირების მიმცემმა მოვალემ უნდა მიუთითოს ნივთზე და ის გამოჰყოს, ნივთთა განსაზღვრული და განუსაზღვრელი გვარობითობის, რიცხვიდან; 2. ალტერნატიული სტიპულაციები: მოვალე ვალდებულია დამოუკიდებლად აირჩიოს ვალდებულების საგანი სხვადასხვა კლასის ნივთებს შორის, მასტიპულირებადი კრედიტორი შეიძლება მოელაპარაკოს იმის შესახებ, რომ ის თვითონ აირჩევს ობიექტს, და თუ მოვალე არ შეასრულებს საკუთარ ვალდებულებას, მის წინააღმდეგ წარადგენს *actio certi*-ის *actio incerti*-ის მაგივრად, განუსაზღვრელი ობიექტის შესახებ. ალტერნატიულმა სტიპულაციამ უნდა დაიცვას კრედიტორი ნივთის შემთხვევითი დაღუპვისაგან, რაც გაათავისუფლებს მოვალეს ვალდებულებისაგან; 3. საჯარიმო სტიპულაცია.

ერთ (უკვე დადებულ) სტიპულაციას შეიძლება მეორეც დაუმატო, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სხვადასხვა საგნებს გულისხმობენ:[1063] წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე სტიპუ-

[1061] auctoritas tutoris: Gai.,3.115-117. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 152-153.

[1062] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов. Москва, Статут, 2005, 545.

[1063] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 545-546.

ლაცია არარად ჩაითვლება (Pomp.) პომპონიუსი წერდა, რომ „ის, ვინც ორჯერ დაპირდება ერთი და იგივეს, არ არის ვალდებული შეასრულოს დაპირება ერთ ჯერზე მეტად".[1064]

საჯარიმო სტიპულაცია დამატებით სტიპულაციურ დაპირებას გულისხმობს, რომელიც ფულის განსაზღვრული თანხის გადახდას ვარაუდობს. თანაც, გადახდა უწინდელი ვალდებულების შეუსრულებლობით იყო განპირობებული. ამრიგად, სახეზეა ერთი – ძირითადი ვალდებულება, რომელიც მოქმედებას განაგრძობდა და მეორე ვალდებულება, რომელიც განპირობებულია პირველის შესრულებით. თუ მოვალე შეასრულებს პირველ ვალდებულებას, მან აღარ უნდა შეასრულოს მეორე, ხოლო მოვალე, თუ არ შეასრულებს დანაპირებს, მაშინ მან ჯარიმა უნდა გადაიხადოს; თუმცა, მას კრედიტორის წინააღმდეგ *exceptio doli* წარდგენა შეუძლია, თუ მასტიპულირებადი პირი მის წინააღმდეგ, ძირითადი ვალდებულებისაგან გამომდინარე, სარჩელს წარადგენდა.

§3. Novatio (ნოვაცია)

„ნოვაცია არის ძველი ვალის ახალ ცივილურ ან ნატურალურ ვალდებულებაში ტრანსფორმირება (გარდაქმნა), როცა წარმოიშვება ახალი ვალდებულება, რომელიც ძველს წყვეტს. სახელწოდება „ნოვაცია" წარმოიშვა სიტყვიდან „ახალი" და ახალი ვალდებულების (წარმოქმნისაგან).[1065] სტიპულაცია, რომელიც იდენტური საგნის მიმართ წარმოშობს ახალ ვალდებულებასა და ამავე დროს, ძველ ვალდებულებას შეწყვეტს, საკუთარ თავში რაიმე სიახლეს უნდა შეიცავდეს. ვალდებულების განახლება მოხდება როგორც პირების, ისე ვალდებულების საგნის (ობიექტის) მიმართ:[1066]
1. პირების მიმართ ნოვაციას ჰქონდა ადგილი, როცა იცვლება კრედიტორის ან მოვალის პიროვნება. ამ შემთხვევაში, შესაბამის-

[1064] D.45.1.18. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 41.

[1065] Ulp. D.46.2.1. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 207.

[1066] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 546-548.

ად, საუბარია აქტიური ან პასიური დელეგაციის შესახებ. აქტიური დელეგაცია ყოველთვის მესამე პირისათვის რაიმე დავალების[1067] მიცემას გულისხმობდა. მოვალის შეცვლა ახალი მოვალის მხრიდან კრედიტორის მიმართ დაპირების მიცემას გულისხმობდა, რომ ის უწინდელი მოვალის დავალიანებას[1068] დაფარავდა; 2. ვალდებულებას ობიექტის (საგნის) მიმართ მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა სტიპულაცია დაიდება იმავე პირების მიერ, თუმცა ახალი ობიექტის მიმართ. ამ დროს ადგილი ჰქონდა: ა) საფუძვლის შეცვლას: თუ ახალი დაპირება არ მიეკუთვნება სტიპულაციიდან წარმოშობილ ვალდებულებას, ვინაიდან ეს სტიპულაცია დადებულია ახალი გარემოების მიმართ (ნასყიდობა, იჯარა, დავალება); ბ) ვალდებულების მახასიათებლების შეცვლას: იცვლება ვალდებულების შესრულების პირობები და ვადები, აგრეთვე, შესრულების ადგილი.

ფორმალურად, ნოვაციის განხორციელება ახალი სტიპულაციის დადებით ხდება, თუმცა ნოვაცია შეიძლება საკრედიტო ვალდებულების ხელახალი გადაწერით (*transcriptio nominum*) მოხდეს.[1069] ამ შემთხვევაში, წერილობითი გარიგების აბსტრაქტული ხასიათი ახალი ვალდებულების წარმოშობას გულისხმობდა, უწინდელი ვალდებულების ნამდვილობის მიუხედავად.

ახალი სტიპულაციის ფორმა ნამდვილად უნდა მოწმობდეს იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა უწინდელი ვალდებულების განახლებას.[1070] მას შემდეგ, რაც ზეპირი სტიპულაციები წერილობითი დოკუმენტებით შეიცვალა, ნოვაცია ვალდებულების შეცვლის განზრახვაზე (*animus novandi*) დამოკიდებული გახდა. იუსტინიანე[1071], ამ განზრახვის (*animus*), წერილობითი ფორმით გამოხატვას მოითხოვდა და მიუთითებდა, რომ ვალდებულებითი ეფექტის მქონე, ნებისმიერი გარიგება შეიძლება ნოვირებულ იქნას, თუ უწინდელი ვალდებულების, შესაბამის შეწყვეტას ექნება ადგილი.

[1067] iussum – მესამე პირისათვის რაიმე სახის დავალება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 162.

[1068] expromissio – მოვალის დავალიანება. იქვე, 128.

[1069] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 548.

[1070] იქვე.

[1071] Inst.Iust.3.29.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 202.

ნოვაციურ ეფექტთა შორის ვალდებულების საგნის შეცვლაც იგულისხმებოდა. 3. პირთა სიმრავლე და სოლიდარობა.

სტიპულაციის აქტში, ჩვეულებრივ, მასტიპულირებადი კრედიტორი და დაპირების მიმცემი მოვალე იღებდნენ მონაწილეობას. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა გარიგებაში რამდენიმე მასტიპულირებადი და დაპირების მიმცემი პირი ერთდროულად მონაწილეობდა. ამას სტიპულაციის სუბიექტთა სიმრავლე ეწოდებოდა.[1072] პირთა სიმრავლე შემდეგს გულისხმობდა: თავდაპირველი სიმრავლე არსებითად განსხვავდებოდა პირთა თანმიმდევრული შეცვლისაგან, ანუ, როცა ერთნი სტიპულაციას დებდნენ, ხოლო გარიგების შესრულებაზე პასუხისმგებლობა სხვა პირებს ეკისრებოდათ. ასე ხდებოდა მაშინ, როცა ადგილი ჰქონდა ან მასტიპულირებადი, ან დაპირების მიმცემი პირების მემკვიდრეობითობას, როცა ან ერთის, ან მეორის გარდაცვალების შემდეგ, ვალდებულების შესრულება მათ შთამომავლობაზე მემკვიდრეობით გადადიოდა.

სუბიექტთა სიმრავლის პირობებში, დაპირების რეჟიმი იმაზე იყო დამოკიდებული, ვალდებულება გაყოფადი იყო თუ – განუყოფელი. თუ ვალდებულება გაყოფადია, მაშინ იგულისხმება, რომ ის იყოფა იდეალურ წილებად. ამ შემთხვევაში, ესა თუ ის კერძო კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს კრედიტის მხოლოდ საკუთარი ნაწილი, ხოლო მოვალე ვალდებულია, გაქვითოს ვალის მხოლოდ საკუთარი წილი. თუ ვალდებულება განუყოფელია, მაშინ საჭიროა სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპის გამოყენება: ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, თანაც სრული მოცულობით. თუმცა, ამ უფლებით აღიჭურვება მხოლოდ ერთი – რომელიმე კრედიტორი. ვალდებულება წყდება მაშინ, როცა ერთ-ერთი კრედიტორი წარადგენს სარჩელს და მოვალის მიმართ იწყება *litis contestatio*[1073] პროცედურა. ზუსტად ასევე, ნებისმიერი მოვალე ვალდებულია გაქვითოს მთელი ვალი: ამავე დროს, თუ ერთი მოვალე გადაიხდის მთელ ვალს, სხვა თანამოვალეები ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან. სოლიდარობას მაშინაც ჰქონდა ადგილი, როცა სტიპულაცია (ფორმალურად მაინც) ერთიანი, ოღონდ ვალდებულება – გაყოფადი იყო

[1072] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 548-549.

[1073] litis contestatio – დავის საგნის დადგენა.

და გარიგებაში მონაწილეობდა, მასტიპულირებადი და დაპირების მიმცემი, პირთა სიმრავლე. აქტიური სოლიდარული ვალდებულება მაშინ წარმოიშვება, როცა რამდენიმე მასტიპულირებადი კრედიტორის[1074] შეკითხვაზე პასუხს იძლევა ერთი დაპირების მიმცემი მოვალე (*promitto* – გპირდები). პასიური სოლიდარული ვალდებულება წარმოიშვება მაშინ, როცა ერთი სტიპულატორი თითოეულ დაპირების მიმცემ პირს თანმიმდევრულად ეკითხება და ისინიც ან ყველა ერთად, ან სათითაოდ (თანმიმდევრულად) მას პასუხობენ.

ვალდებულება შეწყვეტილად ითვლება, თუ ერთ-ერთი სტიპულატორი ვალდებულების შესრულებას მიიღებდა ან ერთ-ერთი დაპირების მიმცემი გაქვითავდა მას, ან თუ ერთ-ერთი მათგანი წარადგენდა სარჩელს სტიპულაციის შესახებ, რის გამოც *litis contestatio* პროცედურა განხორციელდება.

§4. რწმუნებულება ანუ პირადი უზრუნველყოფა

უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ: ა) ის რწმუნებულება, რომელსაც რწმუნებული გასცემს დაპირების მიმცემის სასარგებლოდ (*adpromissio*) და რომელიც ახალი მოვალის ან თანამოვალის მხრიდან დაპირების მიცემას გულისხმობდა და ბ) ახალი ადსტიპულატორი (*adstipulatio*) კრედიტორის ჩარევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისეთი სტიპულაციის შემთხვევაში, რომელიც გარდაცვალების შემდეგ უნდა შესრულდეს.[1075] *Adpromissio* წარმოიშვება ისეთი სტიპულაციის შემთხვევაში, რომელშიც რწმუნებული იგივეს ჰპირდება, რასაც მოვალე უწინდელ სტიპულაციაში ჰპირდებოდა. ახალი ვალდებულების თანახმად, წარმოიშვება ახალი ვითარება – პასიური სოლიდარობა, როცა მასტიპულირებად კრედიტორს შეუძლია არჩევანის გაკეთება: სარჩელი ძირითადი მოვალის, თუ მისი წარმომადგენლის მიმართ იქნეს შე-

[1074] correi stipulandi – მასტიპულირებადი კრედიტორი Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 93.

[1075] Gai.,3.115-117. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 152-153; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 550-552.

ტანილი. სტიპულაციის გამო ორი სახის პირადი რწმუნებულება არსებობდა: *sponsio et fideipromissio*. განსაკუთრებული სტრუქტურა და ხასიათი *fideiussio*-ს გააჩნდა. ეს წარმომადგენლობა *fideipromissio* წარმოშობის შემდეგ გავრცელდა, თუმცა კლასიკურ პერიოდში მას ფართოდ გამოიყენებდნენ. იუსტინიანეს სამართალში მხოლოდ *fideiussio* შემორჩა. მასში პირადი რწმუნებულების უწინდელი ფორმები იყო შერწყმული.

სტიპულაციის გამო, პირადი რწმუნებულების კლასიკური ფორმები (მემკვიდრეობით არ გადაეცემოდა) შემდეგი თვისებებით ხასიათდებოდნენ: 1. *Sponsio*: ეს იყო, არქაულ ცივილურ სამართალში დამკვიდრებული, საკუთარი თავის დავალდებულების, ზოგადი ფორმა. *Sponsio* გამოიყენებოდა იმ სტიპულაციების უზრუნველსაყოფად, რომლებიც მხოლოდ რომაელ მოქალაქეებს შორის დაიდებოდა ხოლმე; 2. *Fideipromissio*: დაპირება, რომელიც ნდობაზე (*fides*) იყო დაფუძნებული და მისი გამოყენება პერეგრინებისა და უცხოელების წრიდან გამოსულ წარმომადგენლებსაც შეეძლოთ. ისეთი დაპირების შემთხვევაში, რომელიც პირადი გარანტიით მიეცემოდა, კრედიტორი უფლებამოსილი იყო სარჩელი ერთი რწმუნებულის, ხოლო შემდეგ მოვალის წინააღმდეგ შეეტანა, რადგან ამ შემთხვევაში ორ – ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ვალდებულებას ჰქონდა ადგილი, თუმცა ერთი და იგივე საგნის მიმართ. ერთ-ერთი მათგანის მიმართ, ვალდებულების შესრულება ან *litis contestatio* პროცედურის განხორციელება, რწმუნებულის ვალდებულების შეწყვეტას უწყობდა ხელს; 3. *Fideiussio*.

Fideiussio[1076] პირადი რწმუნებულების ყველაზე გავრცელებული და სრულყოფილი ფორმა იყო, რომელიც გამოიყენებოდა *ex contractus* ყველა სახის ვალდებულების მიმართ, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როცა საუბარი ცივილური და ნატურალური ვალდებულებების უზრუნველყოფას ეხებოდა. *Fideiussio* – სტიპულაციის მსგავსი და *fides*[1077] დაფუძნებული ზეპირი ფორმის – იურიდიული აქტია: *fideiussor* იგივეს ჰპირდება, რასაც ძირითადი მოვალე. ვინაიდან *fideius-*

[1076] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 133. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 552-553.

[1077] fides – პირადი პატიოსნება და ღირსება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 131.

sio დროს, რწმუნებულის მიერ მიღებულ სტიპულაციურ ვალდებულებას არ ჰქონდა ადგილი, არც ნოვაციური ეფექტი წარმოიშვება და არსებობას განაგრძობს გარანტიამიცემული წერილობითი ვალდებულება. პირადი რწმუნებულების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, *fideiussio*: 1. გადაეცემა მემკვიდრეებს; 2. არ გააჩნია ხანდაზმულობის ვადა (შეწყვეტისათვის). *Fideipromissio* მსგავსად, ეს გარიგება ხალხის სამართლის (*ius gentium*) სფეროს მიეკუთვნება და მისი დადება უცხოელებსაც შეუძლიათ. ფიდეიუსორი – რწმუნებული პასუხს აგებდა ძირითადი მოვალის ყველა ვალდებულების მიმართ. ფიდეიუსორისა ან ძირითადი მოვალის მიმართ განხორციელებული *litis contestatio* პროცედურა ვალდებულების შეწყვეტას იწვევდა. მსგავსი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, *fideiussio* რწმუნებულება მხოლოდ იმ თანხაზე ვრცელდება, რომელიც კრედიტორს არ შეუძლია გამოითხოვოს ძირითადი მოვალისაგან მისი გადახდაუუნარობის (ვალაუვალობის) გამო.[1078]

ფიდეიუსორს არ გააჩნდა იმ მოვალის მიმართ რეგრესული სარჩელის (მოთხოვნის დათმობის შესახებ) წარდგენის უფლება, რომლის ნაცვლად მან გადაიხადა ვალი. რომაელმა იურისტებმა გადაწყვიტეს, რომ ფიდეიუსორს მოვალის მიმართ დავალების ხელშეკრულებიდან სარჩელის წარდგენის[1079] უფლება უნდა მიენიჭოს, თუ მან მოვალისაგან ვალის გადახდის დავალება მიიღო ან წარადგინოს სარჩელი დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოების შესახებ,[1080] თუ მან ვალი საკუთარი ინიციატივით გადაიხადა. იმპერატორ ადრიანეს კონსტიტუციამ *fideiussio*-ს მიმართ პასუხისმგებლობის გადანაწილების პრინციპი გაავრცელა.

§5. Intercessio (ინტერცესია)

ზოგადად, ინტერცესია პირადი გარანტიის მიცემას გულისხმობდა. ეს ტერმინი იურისპრუდენციამ ქრ. შ.-მდე 46 წელს შეი-

---

[1078] fideiussio indemnitatis – გადახდაუუნარობა (ვალაულობა). Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 133.

[1079] actio mandati – სარჩელის წარდგენა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 33, 41.

[1080] actio negotiorum gestorum – სარჩელი დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოების შესახებ. იქვე, 41.

მუშავა, როცა გამოიცა შესაბამისი *SC Velleianum*.[1081] ინტერცესიის (*intercessio*) უფლება მხოლოდ მამაკაცებს მიენიჭათ, კერძოდ, ბანკირებს, საკუთარი პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით. რომაელი იურისტი კალისტრატუსი წერდა: „სავალდებულოა განისაზღვროს, რომ ქალები ვერ დაკავდებიან ბანკირის პროფესიით, რადგან ეს მამაკაცის საქმეა".

სენატორული აკრძალვის შესაბამისად, რომაელმა იურისტებმა სხვისი ვალის მიმართ პირადი რწმუნებულების, ანუ *intercessio*-ს – შემდეგი სახეები განსაზღვრეს: 1. სხვისი ვალის სანივთო გარანტიით უზრუნველყოფა; 2. სოლიდარული მოვალის პოზიციაზე შედგომა; 3. თვით მოვალის ადგილის დაკავება (ადგილმონაცვლეობით), იმ პირობით, რომ შეწყდება მოვალის ვალდებულება (*expromissio*); 4. საკუთარ თავზე რაიმე ვალდებულების აღება, იმ მიზნით, რომ ის საკუთარ თავზე მესამე პირს არ აეღო (ინტერცესია გაჩუმების შესახებ).

§6. პირადი რწმუნებულება იუსტინიანეს სამართალში

იუსტინიანეს სამართალში *fideiussio*-მ *sponsio et fideipromissio* მთლიანად შეცვალა, ხოლო რწმუნებულება, მთლიანობაში, განიხილებოდა როგორც სუბსიდარული და დამატებითი, ძირითადი ვალდებულების მიმართ.[1082] *Litis contestatio* შემწყვეტი ეფექტის არსებობის გამო, ვალდებულება არსებობას განაგრძობდა უპირველესად მოვალის, აგრეთვე, მისი რწმუნებულის მიმართ. იუსტინიანემ რწმუნებულს შემდეგი პრივილეგიები მიანიჭა: 1. ვალდებულებიდან გათავისუფლების პრივილეგია: კრედიტორს, უპირველესად, სარჩელი ძირითადი მოვალის წინააღმდეგ უნდა შეეტანა: რწმუნებულს შეეძლო ვალის გადახდაზე უარი ეთქვა, თუ ძირითადი მოვალე გადახდაუნარიანი იყო; 2. გაყოფის პრივილეგია (უპირატესობა): კრედიტორს საკრედიტო ვალდებულების გაყოფა შეუძლია იმ ყველა გადახდაუნარიან რწმუნებულს შორის, რომელიც ასე-

[1081] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 290.

[1082] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 554.

თად, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის, მიიჩნევა; 3. სარჩელის ხელახალი დათმობის უპირატესობა: ვალის გამქვითავი რწმუნებული, ნებისმიერ შემთხვევაში, უფლებამოსილია წარადგინოს ის სარჩელი, რომელიც ადრე მოვალის მიმართ კრედიტორს ენიჭებოდა; ასეთი მოთხოვნის დათმობის შესახებ სარჩელს, რეგრესული სარჩელი ეწოდებოდა.

§7. Operarum iurata promissio

Operarum iurata promissio, გააზატებულები, თავისუფლების მოპოვებისას, ჩვეულებრივ, პატრონს, სტიპულაციისა ან ფიცით დადებული დაპირებით, რაიმე მომსახურების განხორციელებას ჰპირდებოდნენ.

§8. Nomen transcripticium (ლიტერალური კონტრაქტი)[1083]

Nomen transcripticium (ლიტერალური კონტრაქტი) იუსტინიანეს დროში თითქმის გამოვიდა ხმარებიდან. ლიტერალური კონტრაქტი დაიდებოდა ფულადი სესხების *codex expensi et accepti* (შემოსავალ-გასავლების წიგნი), რომელშიც რომაელები, თვეში ერთხელ, მიმდინარე ჩანაწერების რვეულებიდან ძირითად მონაცემებს გადაწერდნენ ხოლმე.

§9. Re (რეალური კონტრაქტები)

იუსტინიანეს სამართალმა ორი სახის რეალური კონტრაქტები იცოდა: ე.წ. *contractus nominati et contractus innominati* (შესაბამისად, სახელიანი, სახელის მითითებით და უსახელო ხელშეკრულებები).

1. *Contractus nominati*: ზოგიერთი რეალური კონტრაქტი (კერძოდ, რომლებიც *in genere* (იმავე წესით) ან *in specie* (კერძო,

[1083] Inst.Iust. 3.21. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 184.

კონკრეტულ პირობებში) რაიმეს დაბრუნებისაკენ იყო მიმართული. ასეთ კონტრაქტებს განეკუთვნებოდა: სესხი (*mutuum*);[1084] *commodatum;*[1085] *depositum;*[1086] გირავნობის ხელშეკრულება (*pignus*), რომლებიც იურიდიული გარიგებების ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენდნენ. სწორედ ამის გამო იურიდიული გარიგების აღნიშნული სახეობა ჯერ კიდევ რესპუბლიკის პერიოდში *contractus nominati* სახელწოდებით მოიხსენიებოდა. ამ ხელშეკრულებებს იურიდიული ძალა გააჩნდათ, თუმცა მიღებული ნივთის უკან დაბრუნების დაპირება, არაფორმალური ხასიათის იყო.

2. *Contractus innominati* (უსახელო კონტრაქტები). თუ ერთი პირი მეორის სასარგებლოდ რაიმე მოქმედებას ასრულებდა და ამავე დროს, არაფორმალური შეთანხმება არსებობდა იმის თაობაზე, რომ მოვალე ზემოქმედებას განახორციელებდა, რესპუბლიკური სამართლით დადგინდა, რომ მოქმედების მიმღების მიმართ ვალდებულება არ წარმოიშვებოდა. ამრიგად, თუ მოქმედების მიმღები ნებაყოფლობით არ შეასრულებდა დანაპირებს, წინა ქმედების განმახორციელებელ პირს, მისგან მხოლოდ მიღებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეეძლო[1087], ვინაიდან, წინა მოქმედების განმხორციელებელი პირი, მოტყუვდა საკუთარ მოლოდინში, ზემოქმედების თაობაზე. ესეც არ კმაროდა და მისი არჩევანის უფლება იმდენად შეუზღუდავი იყო, რომ მას მიღებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეეძლო არა მარტო მიმღების გაუმართავობის გამო, არამედ, ზოგჯერ, ზემოქმედების შეუძლებლობის შემთხვევაში[1088]

[1084] mutuum (mutui datio) – სესხის ხელშეკრულება. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 221.

[1085] commodatum – ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის უსასყიდლოდ სესხად გადაცემა სარგებლობის მიზნით და იმ პირობით, რომ მისი დაბრუნება ნატურით უნდა მოხდეს. იქვე, 79.

[1086] depositum – პირისათვის ნივთის დეპონირება; დეპონენტის ინტერესების შესაბამისად, ნივთის შესანახად გადაცემა, 106.

[1087] condictio ob causam datorum – სარჩელი, ვინმეს მიერ შესრულების, უკან დაბრუნების შესახებ, ვინაიდან არსებობდა შესრულების შედეგის მოლოდინი, რომელიც არ დამდგარა — განხორციელებულა. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 84.

[1088] condictio ob causam non secatum – ზემოქმედების შეუძლებლობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 84.

და მართებული, თუმცა მრავალი იურისტის მიერ სადაოდ მიჩნეული, თვითნებობის გამო (ე.წ. *ius poenitendi*), უმალ ნებაყოფლობითი ზემოქმედება შეწყვეტდა, თუ არა *ius poenitendi*. ამ კატეგორიას მიკუთვნებულმა ხელშეკრულებებმა, უმეტესწილად, ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაკუთრებული სახელწოდება (მათ უსახელო კონტრაქტები ეწოდათ) ვერ მოიპოვეს და ამიტომ, ისინი ოთხ დიდ კატეგორიად დაიყო: *Permutatio*[1089] – *do ut des* (გაძლევ, რათა მომცე);[1090] *do ut facias* – (გაძლევ, რათა გამიკეთო);[1091] *facio ut des* – (ვაკეთებ, რათა მომცე);[1092] *facio ut facias* – (ვაკეთებ, რათა გამიკეთო).[1093] ამ კონტრაქტებმა თანდათანობით შეიძინეს იურიდიული ძალა: პავლუსიც კი არ აღიარებდა უსახელო კონტრაქტების მესამე კატეგორიას. თუმცა სხვა კლასიკოსი იურისტები ოთხივე კატეგორიის კონტრაქტების ნამდვილობას აღიარებდნენ.

§10. Consensu (კონსესუალური კონტრაქტები)[1094]

არაფორმალური შეთანხმებით,[1095] უძველესი *ius civile* ძალით, წარმოიშვებოდა ოთხი ნამდვილი ვალდებულება: *emptio-venditio*

[1089] იქვე, 244.

[1090] იუსტინიანეს კოდექსით, შესაგებელი დაკმაყოფილების პირველი ფორმაა, რომელიც ფულის ან ქონების, ფულადი ან ქონებრივი დაკმაყოფილების დაპირების ქვეშ, გადაცემის დროს გამოიყენებოდა და უსახელო კონტრაქტის ერთ-ერთი ნაირსახეობა იყო.

[1091] იუსტინიანეს კოდექსით, შესაგებელი დაკმაყოფილების მეოთხე ფორმა, რომელიც *facio ut des* (მესამე ფორმის) სანინააღმდეგო და ამავე დროს უსახელო კონტრაქტის ერთ-ერათი ნაირსახეობა იყო.

[1092] იუსტინიანეს კოდექსით, შესაგებელი დაკმაყოფილების მესამე ფორმა) – უსახელო კონტრაქტის ერთ-ერთი ნაირსახეობა.

[1093] იუსტინიანეს კოდექსით, შესაგებელი დაკმაყოფილების მეორე ფორმა – უსახელო კონტრაქტის ერთ-ერთი ნაირსახეობა.

[1094] Inst.Iust. 3.22. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 184-185; Gai., 3. 135-138. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 158-159

[1095] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 86.

– ყიდვა-გაყიდვა; *locatio conductio* – ქირავნობა; *societas* – ამხანაგობა; *mandatum* – დავალების ხელშეკრულება. კონსესუალური შეთანხმების დროს, კანონიერი ძალის მქონე (*nudas contractus*) ხელშეკრულების დადებისათვის, სავსებით საკმარისია *concensus* არაფორმალური გამოხატვა. ეს ხელშეკრულებები (პოსტკლასიკურ პერიოდში კი – ყველა სავალო ხელშეკრულება) მათთან შერწყმული ყველა ვალდებულებითურთ, არაფორმალური ურთიერთშეთანხმებით[1096] შეიძლებოდა გაუქმებულიყო.

სხვა არაფორმალური შეთანხმებები (*pactum*) ვალდებულებებს არ წარმოშობდნენ, მათ შორის ნატურალურსაც, გარდა ერთი – *pactum usurarum*, რომელიც ნატურალურ ვალდებულებას ქმნიდა. სამართალგანვითარების შემდგომმა ეტაპმა, იუსტინიანეს კოდიფიკაციამდე პაქტების მიმართ ცოტა რამ თუ შეცვალა.

V. Re (რეალური კონტრაქტები)

Mutuum, mutui datio, pecunia credita – სესხის ხელშეკრულება; foenus nauticum, pecunia traiecticia – საზღვაო სესხი; commodatum – სესხი; depositum – შენახვის ხელშეკრულება; sequestratio – სეკვესტრაცია; fiducia – ფიდუციალური ხელშეკრულება; pignus datum – გირავნობის ხელშეკრულება; iudicia bonae fidei – კეთილსინდისიერი მართლმსაჯულების აღსრულება; actio bonae fidei – კეთილსინდისიერი სარჩელები.

Re[1097] კონტრაქტების კატეგორია მათი დადების ფორმის მიხედვით განისაზღვრებოდა: მხარეთა შეთანხმების გარდა, ვალდებულების წარმოშობისათვის, მოვალისათვის ნივთის გადაცემა იყო

[1096] contrarius consensus; mutuus dissensus – არაფორმალური ურთიერთშეთანხმება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 221.

[1097] იქვე, 90; Gai., 3. 91; 155-162. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 146-147; Inst.Iust. 3.14. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 169-171.

სავალდებულო. ეს მოთხოვნა ძველ მაგიურ წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული, რომელთა მიხედვით, სხვის ნივთთან თვით შეხებაც კი, ნივთის აღიარებული მეპატრონის მიმართ, პირად დამორჩილებას იწვევდა.

ნივთის მპყრობელის პასუხისმგებლობა ნივთის მიღების ძალით – *re teneri* იყო განსაზღვრული და მას, დელიქტური ხასიათის ვითარებაშიც ჰქონდა ადგილი (მაგალითად, *furtum rei* – ქურდობის დროს); ასეთივე პასუხისმგებლობა პირს საერთო საკუთრების (თანასაკუთრების)[1098] დროს ეკისრებოდა, როცა მის მონაწილეებს შორის, ავტომატურად, ვალდებულებითი ურთიერთობები წარმოიქმნებოდა ხოლმე. ვალდებულების კლასიკური ცნების დამკვიდრების შემდეგ, რეალური კონტრაქტების სპეციფიკური ფორმა მოვალისათვის თავისებურ გარანტიად იქცა, ვინაიდან გარიგება მხოლოდ მაშინ ითვლებოდა დადებულად და ვალდებულება წარმოშობილად, როცა შეთანხმების ობიექტი მოვალის ხელში გადავიდოდა.

§1. Mutuum, mutui datio – (სესხი)

Mutuum, mutui datio (სესხი) – *ius civile*-ს ინსტიტუტი იყო. სესხის ხელშეკრულებით წარმოიშვებოდა ცალმხრივი ვალდებულება: მოვალე (სესხის მიმღები, მსესხებელი) საკუთრებაში იძენდა, კრედიტორის (გამსესხებლის) კუთვნილ, გვარობით ნივთს (*genus*) და ვალდებული იყო დაებრუნებინა,[1099] შესაბამისი ნივთების ასეთივე ოდენობა. კრედიტორისაგან მიღებული ნივთის მესაკუთრე მოვალედ ხდება და საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუძლია მისი განკარგვა. სესხის ხელშეკრულების ობიექტი იყო არა კონკრეტული ნივთი, არამედ მისი მსგავსი გვარობითი (*genus*) ნივთები, ამიტომ ნასესხები ნივთის შემთხვევითი დაღუპვა წარმოშობილი ვალდებულების შეწყვეტას არ გამოიწვევდა. კრედიტორის მხარეზე მაშინვე წარმოიშვება *actio certi*-ით (ძველად — *legis actio per condictionem*) დაცული მოთხოვნის უფლება: *actio certae creditae*

[1098] res communes – თანასაკუთრება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 274.

[1099] dare oportere – დაბრუნების ვალდებულება. იქვე, 98; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 314-315.

pecuniae[1100] ან *condictio certae rei.*[1101]

"*Deposui apud te decem <milia> postea permisi tibi ut: Nerva Proculus etiam antequam moveantur, condicere quasi mutua tibi haec posse aiunt, et est verum, ut et Marcello videtur:animo enim coepit possidere. Ergo transit periculum ad eum, qui pecuniam mutuam rogavit et poterit ei condici*"[1102] – მე მოგეცი შენ შესანახად 10 000 და შემდეგ ნება დაგრთე გამოგეყენებინა ეს თანხა: ნერვა და პროკულუსი ამბობდნენ, რომ მანამდეც კი, ვიდრე ეს თანხა დახარჯული იქნებოდა, მე შემიძლია მისი უკან გამოთხოვა კონდიქციური სარჩელის მეშვეობით, როგორც სესხად მოცემული და აღნიშნული დებულება სწორი იყო, როგორც ამას მარცელუსიც მიიჩნევდა: ვინაიდან მან, განზრახვის მეშვეობით, ფულის მსესხებლის წინააღმდეგ შესაძლებელი ხდება კონდიქციური სარჩელის წარდგენა.

ვინაიდან ვალის მოცულობა გამსესხებლისაგან მიღებული თანხის მოცულობას ზუსტად შეესაბამებოდა, სესხი მხოლოდ უპროცენტო შეიძლებოდა ყოფილიყო.[1103] პროცენტის დარიცხვა მხოლოდ აღსრულების გადაცილების (გადავადების) შემთხვევაში დაიშვებოდა. პროცენტის (*usurae*) დარიცხვა შესაძლებელი იყო, ხელშეკრულების დადების დროს, სპეციალური სტიპულაციის – *stipulatio usurarum* მეშვეობით; წინააღმდეგ შემთხვევაში პროცენტის შესახებ შიშველი შეთანხმება – *nudum pactum* მხოლოდ *obligatio naturales* წარმოშობდა.[1104]

საჯარო ხელისუფლება მევახშეთა უსაზღვრო სიხარბის შეზ-

[1100] actio certae creditae pecuniae – განსაზღვრული ფულადი თანხის შესახებ სარჩელი, რომელიც, სხვადასხვა ქმედითი ღონისძიებების მეშვეობით, სასარჩელო წარმოების დაჩქარებას უზრუნველყოფდა და ამ გზით ფულადი მეურნეობის, კერძოდ სესხის, განვითარებას უწყობდა ხელს. ეს სარჩელი მხოლოდ სესხის ხელშეკრულებიდან წარმოიშვებოდა. იქვე, 83-84; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 197.

[1101] condictio certae rei – გარკვეული ნივთის ან სხვა ცვლადი ნივთების (და არა ფულის) გარკვეული სიმრავლის უკან დაბრუნების შესახებ. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 83-84.

[1102] Ulp., D.12.1.9.9. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 29.

[1103] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 552.

[1104] D.46.3.5.2. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 229.

ღუდვას ცდილობდა და საკანონმდებლო წესით, სესხზე მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის დადგენას აფიქსირებდა. უკვე XII დაფის კანონებმა (VIII, 18ა) დაადგინა მაქსიმალური 12% (*foenus unciarum*).[1105] ამ საკანონმდებლო მოთხოვნის დამრღვევ მევახშეთა მიმართ, გამოიყენებოდა ჯარიმა, მიყენებული ზიანის ოთხმაგი ოდენობით და ხელის დადებაც იყო დასაშვები (*legis actio per manus iniectionem*).[1106] პრინციპატის პერიოდში პროცენტის ნორმალური ოდენობა წლიურ 12%-იან განაკვეთს, ანუ თვეში 1%-ს შეადგენდა. ამრიგად, ისეთი სტიპულაცია, რომელიც უფრო მეტ პროცენტს ითვალისწინებდა, არარა იყო. იუსტინიანეს კანონმდებლობით, ქრისტიანული ზნეობის გავლენით, მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი ორჯერ შემცირდა და მხოლოდ 6%-ს შეადგენდა.

§2. Foenus nauticum, pecunia traiecticia (საზღვაო სესხი)

foenus (პროცენტი)

Foenus nauticum (საზღვაო ან სახომალდო სესხი, რომლის დროს კაპიტალის დაღუპვის რისკი გამსესხებელს აწევს; თუმცა მას ნებისმიერი პროცენტის მოთხოვნა შეეძლო (იუსტინიანეს დროს არაუმეტეს 12%) განსაკუთრებული შეთანხმების ძალით, რომელიც, გარკვეულწილად, სადაზღვეო პრემიას შეიცავდა და მხოლოდ დანიშნულების ადგილზე ხომალდის ჩასვლის შემდეგ გაიცემოდა).[1107]

ფულადი სესხები ან სხვა *genus* ნივთები შესაძლებელი იყო განსაკუთრებული საკრედიტო შეთანხმების ობიექტებად გადაქცეულიყო. ასეთი შეთანხმება საზღვაო ვაჭრობის პრაქტიკით იქნა განპირობებული, როცა კრედიტორს, ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი აწევებოდა და მას სარჩელის შეტანა მხოლოდ მოვალის ხომალდის პორტში დაბრუნების შემდეგ შეეძლო. თუმცა, ამავე დროს, ხელშეკრულება განსაზღვრული ოდენობის პროცენტის (*foenus*) დარიცხვასაც ითვასლისწინებდა. ივარაუდებოდა, რომ მოვალე – ვაჭარმა, სესხად აღებული თანხით, მომგებიანი საზღ-

[1105] Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 73.
[1106] იქვე.
[1107] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 553-555.

ვაო-სავაჭრო ოპერაცია განახორციელა და ამიტომ, შემოსავალიც კრედიტორთან ერთად უნდა გაენაწილებინა. *Periculum*[1108] კრედიტორზე იმ მომენტიდან გადადიოდა, როცა ხომალდი ზღვაში შეეშვიდოდა[1109] და აღნიშნული მდგომარეობა მანამ გრძელდებოდა, ვიდრე მოვალე უკან დაბრუნებისას, ვადას არ გადააცილებდა.[1110] აღნიშნული ხელშეკრულება *societas unius rei* (*negotii*), (საერთო კომერციული მიზნის მისაღწევად შექმნილი ერთობლივი საწარმო) თავისებურ ნაირსახეობას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, საკონტრაქო რისკის გადანაწილება კრედიტორისათვის წამგებიანი იქნებოდა: მოვალე (ვაჭარი) რისკავდა საკუთარი ხომალდით, შრომას გასწევდა და წაგება-მოგების განაწილებაში მონაწილეობდა.

კრედიტორის მოთხოვნის დაცვა უზრუნველყოფილი იყო სპეციალური სარჩელის – *actio pecuniae traiecticiae,* მეშვეობით,[1111] რომელიც, სავარაუდოდ, პერეგრინების პრეტორმა დააწესა. ამის გარდა, ჩვეულებრივ (ლაბეონის აზრით, – Labeo, D.22.2.9),[1112] *stipulatio poenae* დაიდებოდა, რომლითაც კრედიტორის ინტერესები ნივთის, მოვალის ბრალეული ქმედებით, დაღუპვის შემთხვევაში იყო დაცული.

§3. Commodatum (სესხი)

Commodatum – სესხის ხელშეკრულება, რომელიც ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის, დროებით უსასყიდლო სარგებლობაში, გადაცემას გულისხმობდა; actio contraria – შესაგებელი სარჩელი; furtum usus – სარგებლობის უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება; actio commodati – სესხის ხელშეკრულებიდან წარდგენილი სარჩელი.

[1108] საკონტრაქტო რისკი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 243.

[1109] D.22.2.3. Digesta Iustiniani. T. IV. книги XX-XXVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 231.

[1110] Pap. D.22.2.4pr. Digesta Iustiniani. T. IV. книги XX-XXVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 231.

[1111] D.15.1.3.8. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 308.

[1112] D.22.2.9 Digesta Iustiniani. T. IV. книги XX-XXVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 235.

სესხის ხელშეკრულების მიხედვით, სამეურნეო სარგებლობისათვის მოუხმარი, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი (*species*), დროებით უსასყიდლო სარგებლობაში, სხვა პირს გადაეცემოდა.[1113] თუ სესხად მოხმარებადი ნივთი გაიცემოდა, მაშინ მისი დანიშნულებისამებრ გამოყებება დაუშვებელი იყო, მაგალითად, როცა ეგზოტიკური ხილი სესხად გაიცემოდა არა საკვებად, არამედ მხოლოდ საზეიმო მაგიდის მოსართავად, განსაკუთრებული პომპეზურობისთვის ან საჩვენებლად, იკრძალებოდა, მისი საკვებად გამოყენება. გარდა ამისა, ლაბეონი მიიჩნევდა, რომ სესხად გაიცემოდა მხოლოდ მოძრავი ნივთები, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, სარგებლობას (*usus*) და არა სესხს (*commodatum*) ექნებოდა ადგილი. აღნიშნული შეზღუდვა კასიუსმა დაძლია.[1114]

სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება, პოტენციურად, ორმხრივი იყო: ჩვეულებრივ, ამ ხელშეკრულებაში კრედიტორი იყო სესხის გამცემი; თუმცა, თუ სესხის მიმღებმა, ნივთის შესანახად და გასაუმჯობესებლად, გარკვეული ხარჯები მაინც გასწია, მას კრედიტორის მიმართ, შესაგებელი სარჩელის[1115] მეშვეობით, ზიანის ანაზღაურების უფლება ენიჭებოდა. მეორე მხრივ, სესხის გამცემს, დადგენილ ვადამდე, გასესხებული ნივთის დაბრუნების მოთხოვნა არ შეეძლო. მას ამის უფლება მაშინაც არ ჰქონდა, როცა მსესხებელი დასახული სამეურნეო მიზნის მიღწევის შესაძლებლობას დაკარგავდა (მაგალითად, როდესაც მორები იყო გასესხებული, რომლებიც სახლის გასამაგრებლად იყო გათვალისწინებული). ასეთ შემთხვევაში, კომოდატარიუსს *actio contraria*-ზე უფლება[1116] ენიჭებოდა.[1117] *Commodatum* ხელშეკრულების მთა-

---

[1113] სესხის მიმღები, commodatarius – კომოდატარიუსი. Inst.Iust. 3.24.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 169-170; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 79; Сапфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 316-317.

[1114] D.13.6.1.1. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 183.

[1115] actio commodati contraria – შესაგებელი სარჩელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 79.

[1116] შესაგებელი სარჩელი მესამე პირთა წინააღმდეგ. იქვე.

[1117] D.13.6.17.3. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 197.

ვარი განმასხვავებელი ნიშანი სარგებლობის უსასყიდლობა გახლდათ, ვინაიდან ის მეგობრულ ურთიერთობებს (*amicitia*) ეფუძნებოდა. თუ კომოდატარიუსი ნივთის მეპატრონეს ნასესხებს უნაკლო მდგომარეობაში დაუბრუნებდა, *commodatum*-დან წარმოშობილი ვალდებულება შეწყვეტილად ითვლებოდა. მსესხებლის უფლებამოსილებათა ფარგლები მკაცრად იზღუდებოდა ნივთით სარგებლობის მიზნებით: თუ ის ნივთით არაჯეროვნად ან სხვაგვარად სარგებლობდა, ვიდრე ეს ხელშეკრულებაში იყო მითითებული, ის *furtum usus*[1118] სჩადიოდა. ვინაიდან *commodatum* გამსესხებლის ინტერესებსაც შეესაბამებოდა, ის პასუხს აგებდა არა მარტო *dolus*, არამედ *culpa*-ს გამოც.

Commodatum ხელშეკრულებიდან წარმოქმნილ სარჩელს ორი ფორმულა ჰქონდა: *in ius et in factum concepta.*[1119] *In ius* ფორმულა განეკუთვნებოდა *iudicia bonae fidei*[1120] ტიპს და მის *condemnatio*-ში შემდეგი იყო დადგენილი: ყველაფერი, რაც ამ საქმის გამო უნდა მიეცეს, განხორციელდეს კეთილსინდისიერად. *In factum concepta* ფორმულა იყო *stricti iuris* სარჩელი.[1121] თუმცა, ამ ტიპის სხვა სარჩელებისაგან განსხვავებით, მისი *condemnatio* შემდეგს ადგენდა: რა ეღირებოდა აღნიშნული ნივთი და არა რა ღირს აღნიშნული ნივთი?

როგორც ჩანს, პერეგრინების პრეტორი (ქრ. შ-მდე II საუკუნეში) აღნიშნული სარჩელის დადგენისას, ითვაისწინებდა საზოგადოებაში უკვე ჩამოყალიბებული, გამსესხებლისა და მსესხებლის ურთიერთობების მომწესრიგებელი, *bona fides* პრინციპზე დაფუძნებული ნორმების აუცილებლობას, ვინაიდან ეს კრიტერიუმები შემუშავებულ იქნა ფიდუციალური გარიგების[1122] ფარგლებში.

[1118] furtum usus – სარგებლობის უფლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას – ქურდობას. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 138.

[1119] Gai.,4.47. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 198.

[1120] iudicia bonae fidei – კეთილსინდისიერი მართლმსაჯულება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 132, 173; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 314.

[1121] stricti iuris – სარჩელი, რომლის გადაწყვეტის დროს, სასამართლო, ზედმიწევნით ზუსტად, იცავდა კანონის ან ხელშეკრულების მოთხოვნებს. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 173.

[1122] fiducia cum amico – ფიდუციალური გარიგები. Бартошек М., Римское право,

§4. Depositum (შენახვის ხელშეკრულება)

Depositum – შესანახად გადაცემა; amicitia – მეგობრობა; neglegentia – დაუდევრობა; pecunia obsignata – დანომრილი ფული; crimen perfide – ვერაგობის დანაშაული.

Depositum ხელშეკრულების მიხედვით, უხრწნელი, მოძრავი ნივთი სხვა პირს შესანახად გადაეცემოდა. ვალდებულება პოტენციურად ორმხრივია: ჩვეულებრივ, კრედიტორად გამოდიოდა დეპონენტი (შესანახად მიმცემი); თუმცა, შესანახად მიმღებმა (დეპოზიტარიუსმა) დეპონენტისაგან ნივთის შენახვისა და მოვლის ხარჯების ანაზღაურება შეიძლება შესაგებელი სარჩელის – *actio depositi contraria,* მეშვეობით მოითხოვოს.

Depositum პრინციპულად უსასყიდლო ხელშეკრულებაა და ის მეგობრობას (*amicitia*) ეფუძნება. დეპოზიტარიუსი შესანახად მიბარებულ ნივთს არ ფლობდა, თუმცა მის პყრობას ახორციელებდა.[1123] ის მოვალე იყო შეენახა ნივთი და ამ ნივთით სარგებლობის უფლება არ ჰქონდა;[1124] წინააღმდეგ შემთხვევაში დეპოზიტარიუსი *furtum usus*-ს ჩაიდენდა.

დეპოზიტარიუსი ვალდებული იყო დეპონენტისათვის დაებრუნებინა შესანახად მიცემული ნივთი, ყოველგვარი ნაკლის გარეშე და პირველივე მოთხოვნით. *Periculum*[1125] დეპონენტს აწვა და იმის მიუხედავად, გვარობითი (*genus*) იყო თუ არა, *depositum*-ის ობიექტად ქცეული ნივთი, ის მაინც *species*-ად განიხილებოდა, ხოლო მისი დაღუპვა ან გაქრობა დეპოზიტარიუსს პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა. დეპოზიტარიუსი პასუხს მხოლოდ

Понятия, термины, определения, Москва, 1989, 133.

[1123] D.16.3.17.1. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 431.

[1124] Gai.,3.196. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, ნინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 174; Inst.Iust. 3.24.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, ნინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 170; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 315-316.

[1125] ნივთის განადგურების ან დაზიანების რისკი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 243.

dolus-ის გამო აგებდა. მხოლოდ პოსტკლასიკურ პერიოდში დადგინდა პასუხისმგებლობა *culpa lata*-ს[1126] ან *magna neglegentia*-ს[1127] გამო. დაუდევრობა (*neglegentia*) არ წარმოშობდა დეპოზიტარიუსის პასუხისმგებლობას შეუსრულებლობის გამო.[1128] თუ შენახვის ხელშეკრულების ობიექტი აღწერილი ფული (*pecunia obsignata*) იყო და თუკი დეპოზიტარიუსი დათქმულ დროში თანხას ვერ აბრუნებდა, მაშინ მას პროცენტი ერიცხებოდა. ხოლო, თუ ფულის მესაკუთრე თანახმა იყო, რომ დეპოზიტარიუსს შესანახად მიცემული ფულით ესარგებლა, მათი ურთიერთობა სესხის ხელშეკრულებაში გადადიოდა იმ მომენტიდან, როცა დეპოზიტარიუსი ფულს დაეუფლებოდა და მას გამოიყენებდა.[1129] შენახვის ხელშეკრულების გამო წარდგენილ სარჩელს[1130] ორი ფორმულა ჰქონდა: *in ius et in factum conceptae*.[1131] *In ius*-ი *bonae fidei* სარჩელების კატეგორიაში შედიოდა და შესაბამისი *intentio*-ც ჰქონდა; *in factum conceptae*[1132] მკაცრი სამართლის სარჩელი იყო.[1133] აღნიშნულ სარჩელში საბრალდებო გადაწყვეტილება დეპოზიტარიუსის მხარეზე არსებული *dolus malus*-ზე იყო დამოკიდებული. *Dolus malus*-ზე მითითება

[1126] culpa lata – უხეში შეცდომა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 94.

[1127] magna neglegentia – უხეში დაუდევრობა. იქვე, 222.

[1128] D.44.7.1.5. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 533.

[1129] D.12.1.9.9. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 29.

[1130] actio depositi – შენახვის ხელშეკრულების გამო წარდგენილ სარჩელს. Gai.,3.195. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 174; Inst.Iust. 3.24.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 170; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 38.

[1131] Gai.,4.47. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 198.

[1132] in factum conceptae. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 33.

[1133] actio stricti iuris – მკაცრი სამართლის სარჩელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 173.

პერეგრინების პრეტორის მიერ შემოღებულ სარჩელში, საშუალებას იძლეოდა, *ius gentium*-ის აღნიშნული ინსტიტუტი, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ, *fides* პრინციპზე დამოკიდებული გამხდარიყო.

§5. Fiducia (ფიდუციალური ხელშეკრულება)

Fiducia cum amico – ფიდუციალური შეთანხმება მეგობართან; fiducia cum creditore – ფიდუციალური შეთანხმება კრედიტორთან; fiduciarius – ფიდუციალური ნივთის მიმღები პირი; fiducians – ფიდუციანტი, ნივთის მიმცემი, კრედიტორი; remancipatio – ნივთის დაბრუნება ხდებოდა საპირისპირო მანციპაციის გ ზით.

ფიდუციალური ხელშეკრულება[1134] *mancipatio*-ს ან *in iure cessio*-ს (სასარჩელო დათმობა, ყველა კვირიტული უფლებების შეძენისა და დათმობის ფორმალური და აბსტრაქტული ხერხი) ფორმით, სხვადასხვა მიზნების მისაღწევად იდებოდა.[1135] გაიუსი ფიდუციალურ შეთანხმებათა ორ ნაირსახეობას გამოჰყოფდა: მეგობართან – *fiducia cum amico* და კრედიტორთან – *fiducia cum creditore* (*contracta*).

პირველ შემთხვევაში, ფიდუცია შენახვის, *commodatum* (სესხი), დავალების ხელშეკრულებებს აფორმებდა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ფიდუცია ვალდებულების რეალური გარანტიის დადგენას ემსახურებოდა. აღნიშნულის ფუნქციონალური დიფერენცირება მეორეხარისხოვანია, რადგან კონტრაქტის სტრუქტურა, ყველა შემთხვევაში, ერთგვაროვანია. ნივთის მიმღები პირი – *fiduciarius* (ფიდუციარიუსი), ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე ხდება და მოვალეა, გარკვეული პირობების დადგომისას, ნივთი კრედიტორისათვის (*fiducians – fiduciants*) დაებრუნებინა. ნივთის დაბრუნება საპირისპირო მანციპაციის – *remancipatio*, ფორმით ხდებოდა.

[1134] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, Ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 559-561.

[1135] Gai.,2.60. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 68; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 33; Сапфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 314.

ვინაიდან *fiducia cum creditore fiducia cum amico*-საგან ფორმით არ განსხვავდებოდა, ფიდუციანტის მოთხოვნა, ყველა შემთხვევაში, ერთგვაროვანი სარჩელით – *actio fiduciae* იყო დაცული. აღნიშნული სარჩელი, *bonae fidei* სარჩელთა შორის, ერთ-ერთი უძველესი და შინაარსობრივად უნივერსალური იყო.

§6. Pignus datum (გირავნობა)

რეალური გირავნობის დროს, მოუხმარი ნივთი გირაოს მიმღები პირის მფლობელობაში იმ პირობით გადადიოდა, რომ მან გირაოს მიმცემ პირს ნივთი უნდა დაუბრუნოს ძირითადი ვალდებულების შესრულებისთანავე. გირაოსთან მიმართებაში ძირითადი ვალდებულების კრედიტორი მოვალე ხდება, ხოლო ძირითადი ვალდებულების მოვალე – კრედიტორია.

გირავნობის ხელშეკრულებიდან[1136] წარმოშობილი ვალდებულება აქცესორული ხასიათისაა და ის შეწყდება ძირითადი ვალდებულების შეწყვეტისთანავე, რადგან ამ ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად ითვლება, აგრეთვე, – კრედიტორის მიერ შესრულების გადაცილების შემთხვევაში.

გირაოს მიმღებ პირს გირაოდ მიღებული ნივთით სარგებლობა ეკრძალებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, *furtum usus* ექნებოდა ადგილი. თუმცა, თუ გირაოს მიმცემი პირი ძირითადი ვალდებულების მოთხოვნებს ვერ შეასრულებდა, გირაოს მიმღები პირი უფლებამოსილი იყო გირაოდ მიცემული ნივთის ხარჯზე საკუთარი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და ის მესამე პირისათვის (*ius distrahendi*) მიეყიდა. გირაოს მიმცემი პირის მოთხოვნა ძირითადი ვალდებულების შესრულებით იყო განპირობებული, რომელიც სწორედ გირაოდ მიცემული ნივთით არის უზრუნველყოფილი. ამგვარი პო-

[1136] Inst.Iust. 3.24.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 170-171; Gai.,3.200. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 175; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 245-246; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 317.

ტესტატური (ნებიდან გამომდინარე) პირობის შესრულების შედეგად, გირაოს მიმცემი, გირაოს მიმღები პირის წინააღმდეგ, *actio pigneraticia* (*in personam*) – სარჩელის წარდგენის უფლებას იძენდა. აღნიშნული სარჩელი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ გარაოს მიმღებისაგან იმ ნამეტის ანაზღაურებას მოითხოვდა, რომელიც მან გირაოდ მიცემული ნივთის გაყიდვის შედეგად მიიღო. ეს ვითარება კი, ლოგიკურად, *in ius* ფორმულის შემცველი სარჩელის წარდგენას გულისხმობდა.

გირაოს მიმღები *actio pigneraticia contraria* სარჩელის წარდგენის უფლებას ფლობდა, რათა ნივთის შენახვის ხარჯები აენაზღაურებინა.

§7. კეთილსინდისიერი სარჩელები და ხელშეკრულებები

Actio bonae fidei et iudicia bonae fidei[1137] მოსამართლეს, ფართო უფლებამოსილების ფარგლებში, შეეძლო მოსარჩელეს მოთხოვნის შედარება კეთილსინდისიერების კრიტერიუმებთან.[1138] მეურვეობისა და მზითვის საკითხების გამო წარდგენილი, კეთილსინდისიერი სარჩელების გარდა, ყველა სარჩელი, რომელიც *ex fide bona* ფორმულას შეიცავდა, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელად ითვლებოდა. ამის შესახებ გაიუსი წერდა: კეთილი სინდისის სასამართლოების განსჯადობას მიეკუთვნებოდა ის სარჩელები, რომლებიც ნასყიდობის, ქირავნობის, სხვისი საქმეების წარმოების, დაეალების, შენახვის, ფიდუციალურ ხელშეკრულებებს ეხებოდა.[1139] ასეთი სარჩელების წარდგენა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ხდებოდა ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც, *ius gentium*-ის ფარგლებში, პერეგრინების პრეტორის მფარველობის

[1137] actio bonae fidei et iudicia bonae fidei – კეთილსინდისიერი სარჩელების წარდგენა კეთილსინდისიერ სასამართლოში.

[1138] oportere ex fide bona – მოთხოვნის კეთილსინდისიერების კრიტერიუმებთან შედარება.

[1139] Gai.,4.62. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 204; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 555-556.

ქვეშ იდებოდა. კეთილსინდისიერი სარჩელებისადმი მიძღვნილი, მუდმივი ედიქტის XIX-ე ტიტულში, ფიდუციალური კონტრაქტების შემდეგი სახეებია მითითებული: *fiducia; depositum; societas, emptio-venditio, mandatum.*

VI. ბრალი ხელშეკრულებაში

კეთილსინდისიერებაზე დამყარებული ხელშეკრულებების შესრულება კონტრაჰენტებისგან განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვდა.

კლასიკური პერიოდის იურისპრუდენციამ ბრალეული ქმედება განსაზღვრა *diligentia*-ად, ანუ ასეთი ქმედება არაჯეროვან მზრუნველობად მიიჩნია.[1140] *Diligentia*-ს კრიტერიუმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისეთ ვალდებულებებში, რომლებიც დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოების ხელშეკრულებიდან იყო წარმოშობილი, თუმცა მოგვიანებით ეს კრიტერიუმი ყველა ურთიერთობაზე გავრცელდა, სადაც სავალდებულო მოთხოვნად სწორედ *bona fides* ითვლებოდა. მზრუნველობის ან მცდელობის არარსებობა კონტრაქტის შესრულების დროს „სახელშეკრულებო ბრალად" შეირაცხა.

„სახელშეკრულებო ბრალი" დელიქტებში არსებული „არასახელშეკრულებო ბრალისაგან" იმით განსხვავდებოდა, რომ ეს უკანასკნელი ზიანის მიყენებას ნიშნავდა და ზიანის მიყენებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებას განაპირობებდა. რომაელი იურისტები ბოროტ განზრახვას (*dolus*) ახასიათებდნენ როგორც გააზრებულ განზრახვას ან სურვილს იმოქმედო ისე, რომ ხელშეკრულების პირობების შესრულება შეუძლებელი იყოს.

გაუფრთხილებლობით ბრალს მაშინ აქვს ადგილი, თუ რაიმე მოქმედება არაჯეროვნად არის შესრულებული[1141] ან თუ რაიმე მოქმედების შესრულების შესაძლებლობა[1142] დაკარგულია. ბრალეუ-

[1140] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 556-559.

[1141] culpa in faciendo – არაჯეროვნად შესრულება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 94; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 557.

[1142] culpa in non faciendo – მოქმედების შესრულების შეუძლებლობა. იქვე.

ლად ითვლება პირი, რომელიც კეთილსინდისიერად არ მოქმედებდა ან რომელმაც კეთილსინდისიერი *paterfamilias*-ათვის დამახასიათებელი ყაირათიანობა არ გამოიჩინა. ბრალის საკითხი დგება არა მარტო შეუსრულებლობის, არამედ შესრულების გადაცილების (ვადის გადაცილების) შემთხვევაში, რის გამოც ბრალეული მხარე დაზარალებულს პირგასამტეხლოს უხდიდა. როცა საუბარი იყო იმ მოძრავი ნივთის შენახვის ვალდებულებაზე, რომელიც შემნახველს ნივთის მესაკუთრისათვის უნდა დაებრუნებინა, იურისტები პასუხისმგებლობას ნივთის შენახვის გამოც ადგენდნენ (*custodia*). კერძოდ, გაიუსი,[1143] პასუხისმგებლობის ამ სახეს ტიპური შემთხვევების მაგალითზე განიხილავდა: მკერავმა, სესხის მიმღებმა პასუხი უნდა აგონ მათთვის მიბარებული ნივთის დატაცების გამო.

ინფამირებადი სარჩელების შემთხვევაში პასუხისმგებლობა *dolus*-ის (განზრახვის) გამო დგებოდა, ხოლო *actio bona fidei* ბრალეულს *culpa*-ს (ბრალი) გამოც სჯიდა. მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში არ დგებოდა პასუხისმგებლობა, როცა დაუძლეველ ძალას ან კონტრაჰენტის ნებისაგან დამოუკიდებლად (მისი კონტროლის ფარგლებს მიღმა) შექმნილ ვითარებას ჰქონდა ადგილი.[1144]

იურისტები აგრეთვე საუბრობდნენ დაუძლეველ ძალაზე (*vis maior*) ან დაუძლეველ გარემოებაზე, რომელსაც ვერ შეებრძოლები ადამიანური ბუნების სისუსტის გამო.[1145] დაუძლეველი ძალის ვალდებულების ცნება, როგორც ბუნებრივ მოვლენებს (წყალდიდობა, მიწისძვრა, სიკვდილი), ისე იურიდიულ ფაქტებს (ნივთის წმინდა ქონებაში გადაცემა, რის შედეგად ის *res extra commercium*-ად იქცევა) მოიცავდა. აღნიშნული ცნება სხვა პირთა მოქმედებებსაც მოიცავდა, კერძოდ, მძარცველთა შემოჭრა ან მონათა გაქცევა (სავალდებულო იყო მათი კრედიტორისათვის დაბრუნება).

რომაელი იურისტები, აგრეთვე, *periculum* მიუთითებდნენ, ანუ

[1143] Gai.,3.205-206. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 177.

[1144] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 557.

[1145] D.44.7.1.4. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 541; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 558.

ნივთის დაღუპვის რისკის შესახებ, როცა ბრალეული ქმედება არ არსებობდა. რისკი, როგორც წესი, ნივთის მესაკუთრეს აწვა. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, რისკი იმ პირსაც აწვა, ვინც მოვალე იყო დაებრუნებინა ნივთი ან იმ პირს, ვინც ნივთის ბედს მესამე პირის მოქმედებაზე დამოკიდებულად ხდიდა.

VII. Consensu (კონსესუალური ხელშეკრულება)

მხარეთა მარტივი შეთანხმებიდან წარმოშობილი ხელშეკრულების ცნება, რომელიც რაიმე სახის ფორმალობებს არ მოითხოვდა, კლასიკური პერიოდის იურისპრუდენციის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ხელშეკრულების ფორმალობებისაგან გათავისუფლებამ და მისი მხოლოდ *fides* პრინციპებზე დაფუძნებამ, ხელშეკრულების უნივერსალური მოდელის შექმნას შეუწყო ხელი. ნებისმიერ ფორმაში გამოხატული თანხმობა (უსიტყვო, მხოლოდ მოქმედებით), რომელიც ხელშეკრულების დადებას განაპირობებდა, კონსესუალურ ხელშეკრულებას (*consensu*) დაედო საფუძვლად. ამ ხელშეკრულების დადებისას აღარ იყო საჭირო მხარეთა სავალდებულო დასწრება და ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საკმარისი იყო თანხმობის წერილობითი ფორმით ან წარმომადგენლის მეშვეობით გამოხატვა.

Gai.,(3.136) კონსესუალურ ხელშეკრულებებს ფორმალურ შეთანხმებებს (*verbis et litteris*) უპირისპირებდა. იუსტინიანეს ინსტიტუციებში[1146] *consensu* შეპირისპირებულია *re*-სთან (რეალურ ხელშეკრულებებთან): *Consensu fiunt obligationes in emptionibus – venditionibus locationibus conductionibus, societatibus, mandatis.*

1. Ideo autem istis madis consensu dicitur obligatio contrahi, guia neque scriptura neque praesentia omnimodo opus est, ac ne dari quicquam necesse est, ut substantiam capiat obligatio, sed sufficit eos qui negotium gerunt consentire.

[1146] Inst.Iust. 3.22 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 184-185; Gai.,3.135-137. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 158-159.

2. Unde inter absentes quoque talia negotia contrahuntur ueluti per epistulam aut per nuntium.

3. Item in his contractibus alter alteri obligatur de eo, quod alterum alteri ex bono et aequo praestare oportet, cum alioquin in verborum obligationibus alius stipuletur, alius promittat. კონსესუალურ ვალდებულებებს ადგილი აქვთ ყიდვა-გაყიდვის, ამხანაგობის, ქირავნობის დადების დროს.

1. ამბობენ, რომ ვალდებულება დაიდება ამ შემთხვევაში შეთანხმების მეშვეობით იმიტომ, რომ საჭირო არ არის წერილი ან კონტრაჰენტების ყოფნა. ზუსტად ასევე არ არის საჭირო გადაცემა, რათა ვალდებულება ნამდვილად ჩაითვალოს. არამედ საკმარისია მხოლოდ იმ პირთა თანხმობა, რომლებიც გარიგებას დებენ.

2. აი, რატომ არის შესაძლებელი ასეთი ვალდებულების დადება ადგილზე არ მყოფი კონტრაჰენტებს შორისაც: მათ შეუძლიათ ერთმანეთს მისწერონ ან წარმომადგენლის მეშვეობით შეთანხმდნენ.

3. ასეთ ვალდებულებებში თითოეული მხარე, მეორის წინაშე, სამართლიან მოქცევას კისრულობს, მაშინ, როცა ვერბალურ ვალდებულებებში ერთი მხარე არის სტიპულატორი, მეორე – დაპირების მიმცემი.

კონსესუალური ხელშეკრულების წარმოშობას იურისტები *ius gentium*-ს მიაწერდნენ, რომელიც რომაელებსა და უცხოელებს შორის ურთოერთობებს აწესრიგებდა. *Ius gentium*-ს პერეგრინების პრეტორი[1147] კურირებდა. მოგვიანებით, *consensus*-ი *ius civile*-შიც შეიტანეს, რამაც რომის მოქალაქეებს შორის მის გამოყენებას შეუწყო ხელი.

ხელშეკრულების აღნიშნული სახის თავისებურებად მისი ორმხრივობა ითვლებოდა, ანუ *consensu* მისი მონაწილე მხარეებისათვის, ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს წარმოშობდა, რომელთა დაცვა ისეთი სარჩელებით იყო შესაძლებელი, რომლებსაც ორივე მხარე იყენებდა ვალდებულებების დამრღვევი პირის მიმართ.

ამრიგად, კონსესუალური კონტრაქტის დადებისას, საკონტრაქტო ვალდებულების წარმოშობისათვის საკმარისია მხარეთა შორის შეთანხმების (*consensus*) მიღწევა და არ მოითხოვება სხვა ფორ-

[1147] praetor peregrinus – პერეგრინების პრეტორი. Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 570.

მალობანი.[1148] კონსესუალური ხელშეკრულების დადება ადგილზე არმყოფ პირებსაც შეუძლიათ (*inter absentes*), მაგალითად, წერილის ან მაცნეს მეშვეობით.[1149] შეთანხმების მიღწევის ნიშნად გამოდგებოდა, მაგ., ყიდვა-გაყიდვის დროს *arra* (ბე) მიცემა.

Mod., D.17.2.4:[1150] *Societatem coire et re et verbis et per nuntium posse non dubium non est.* (უეჭველია, რომ ამხანაგობის ხელშეკრულების დადება ჩვენ შეგვიძლია ნივთის გადაცემით, სიტყვებით და მაცნეს მეშვეობითაც კი).

თითოეულ მხარეს საკუთარი ვალდებულება (თუ მის შესახებ მოთხოვნა უკვე შევიდა ძალაში) კეთილსინდისიერად უნდა შეესრულებინა, რათა მეორე მხარის წინააღმდეგ სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა ჰქონოდა. ამ მოთხოვნას ის პრინციპი ამყარებდა, რომ კონსესუალური ხელშეკრულებები ვალდებულებათა ფუნქციონალური ორმხრივობით გამოირჩეოდა (სინალაგმატურობა).[1151] გამონაკლისს მხოლოდ დავალების ხელშეკრულება წარმოადგენდა, რომელიც პოტენციურად ორმხრივი იყო. ყველა კონსესუალური კონტრაქტი *negotia bonae fidei*-ს (კეთილსინდისიერი გარიგებები) კატეგორიას წარმოადგენდა.

§1. Emptio-venditio (ყიდვა-გაყიდვა)

Emptio – venditio – ყიდვა-გაყიდვა; merx – საქონელი; pretium – გასაყიდი ფასი; vacua possessio – წყნარი მფლობელობა; arra – ბე; emptio rei speratae – მომავალი ნივთის ყიდვა; emptor – მყიდველი; venditor – გამყიდველი.

[1148] იქვე.

[1149] Gai.,3.136; რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 158; D.44.7.2 Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, с.533; Inst.Iust.3.22.1-2 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძე,. თბილისი, 2002, 185.

[1150] D.17.2.4. Digesta Iustiniani. T. IIIкниги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 507.

[1151] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 268.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება[1152] აფორმებდა შეთანხმებას ნივთის სასყიდლიანი შეძენის შესახებ. რომის სამართალში გამყიდველის მოვალეობა იმაში მდგომარეობდა, რომ მყიდველისათვის გარკვეული ნივთი – *merx* (საქონელი) – წყნარ მფლობელობაში[1153] გადაეცა, ხოლო მყიდველის მოვალეობაში, ფულის გარკვეულ თანხაზე, საკუთრების უფლების გადატანა – ფასის გადახდა (*pretium*) იგულისხმებოდა. ყიდვა-გაყიდვა არის კონსესუალური კონტრაქტი, რომლის მეშვეობით ერთი მხარე – გამყიდველი მოვალეა ნივთით დაუბრკოლებელ მფლობელობაში შეიყვანოს მეორე მხარე – მყიდველი, რომელიც, თავის მხრივ, მოვალეა გამყიდველს გადაუხადოს ფულის გარკვეული ოდენობა. ამ კონტრაქტის წარმოშობა გაყიდვის უძველეს ფორმას, კერძოდ, გაცვლას, ანუ ერთი ნივთის მეორეთი, მარტივ შეცვლას ეფუძნება. თანდათანობით, ისტორიულმა ევოლუციამ ის გამოიწვია, რომ ფასი არა ლითონის წონით, არამედ იმ ვითარებით გამოიხატა, რომელსაც *mancipatio*-ს რიტუალის დროს იყენებდნენ, როცა კერძო საკუთრებაში მანციპირებადი ნივთების გადაცემას ეხებოდა საქმე. არამანციპირებადი ნივთების[1154] ყიდვისას, ხელის მეშვეობით გაცვლას ჰქონდა ადგილი, რომელიც ნივთის ფასზე გაცვლას გულისხმობდა.

უეჭველია, რომ კლასიკურ ხანაში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, როგორც კონსესუალური კონტრაქტი, ხალხის სამართალის (*ius gentium*) მიხედვით ვითარდებოდა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩეოდა, რაც არსებითად განასხვავებდა მას საკუთრების უფლების გადაცემის სხვა საშუალებებისაგან:[1155] 1. ამ ხელშეკრულებით წარმოშობილი ურთიერთობის ორმხრივი და ურთიერთდაკავშირებული ხასიათი. საუბარი იყო ორი ურთიერთ-

---

[1152] Inst.Iust. 3.23 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 185-188; Gai.,3.139-147. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 159-161.

[1153] vacua possessio – წყნარი მფლობელობა. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 268.

[1154] res nec mancipi – არამანციპირებადი ნივთები.

[1155] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 591.

დაკავშირებული გარიგების შესახებ, რომელსაც იცავდა ორი სხვადასხვა სარჩელი: ყიდვის (*emptio*) – გაყიდვის (*venditio*) შესახებ, საიდანაც გამომდინარეობს სარჩელების დასახელებაც: *actio empti – actio venditi*;

2. აღნიშნული ურთიერთობის ვალდებულებითი ხასიათი: ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულება იქმნებოდა მხოლოდ მხარეების მიმართ და ნივთზე ან ფასზე არ გადადიოდა. შესაძლოა, ურთიერთობის აღნიშნული ხასიათი იქიდან გამომდინარეობდა, რომ ისტორიულად ყიდვა-გაყიდვა ორი დამოუკიდებელი *stipulatio*-ს დაკავშირების შედეგად წარმოიშვა.

ა) ყიდვა-გაყიდვის შემადგენელი ელემენტები იყო: 1) მხარეთა ურთიერთშეთანხმება, 2) ხელშეკრულების საგანი (ნივთი) და 3) ფასი.

აღნიშნული კონტრაქტი სინალაგმატურია:[1156] ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, მხოლოდ ორმხრივად და თითოეულ მხარეს, თანაბრად შეუძლია სარჩელის წარდგენა, თუმცა იმ პირობით, რომ თითოეული მათგანი საკუთარი ვალდებულების შესრულებას უკვე შეუდგა. ამ ასპექტთან დაკავშრებულია ბეს (*arra*) ინსტიტუტი.[1157]

რომის სამართალში ბე სულაც არ იყო ვალდებულების დადების რეალური გარანტია (როგორც ამას ბერძნულ სამართალში იყენებდნენ). *Arra* ნივთის ფასის იმ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის გადახდა ხელშეკრულების დადების დროს ხდებოდა, იმის დასტურად, რომ შეთანხმება მხარეებს შორის მიღწეული იყო (*"argumentum est emptionis et venditionis contractae"*[1158]). ბეს შეტანის მომენტიდან, მყიდველს გამყიდველის წინააღმდეგ, მის მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულების შესახებ, სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის უფლება ენიჭებოდა.

ყიდვა-გაყიდვის საქონლად ნებისმიერი *in commercio*, სხეულებრივი და უსხეულო – *res corporales et res incorporales* – ნივთი გამოიყენებოდა. სერვიტუტის ყიდვისას, შეძენის ობიექტი სერვი-

---

[1156] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 268.

[1157] arra – ბე. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 51.

[1158] Gai.,3.139. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 159.

ტუტის დადგენის უფლება იყო, ხოლო გამყიდველის მოვალეობა იმაში მდგომარეობდა, რომ სასერვიტუტო უფლების აღმოცენება, მისი შემძენის მხარეზე დაეშვა.[1159] დადგენილი სერვიტუტის შეძენა, ნივთის გარეშე, შეუძლებელია. ხოლო დადგენილი უზუფრუქტის ყიდვა არა თვით უზუფრუქტის შეძენას, არამედ *uti – frui* უფლების მოპოვებას გულისხმობდა, რომელიც მემკვიდრეობითაც კი გადაეცემოდა.[1160]

ყიდვა-გაყიდვის ობიექტი შეიძლება მომავალი ნივთიც გამხდარიყო: მიწის ნაკვეთიდან მიღებული ნაყოფი, პირუტყვის ნამატი და სხვა. ინტერპრეტატორებმა ასეთ გარიგებას *emptio rei speratae* უწოდეს.

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმება

Paul.,: "*Est autem emptio iuris gentiam et ideo consensu peragitur et inter absentes contrari potest et per nuntium et per litteras*" (ყიდვა მიეკუთვნება ხალხის სამართალს და ამიტომ, შეთანხმების მეშვეობით ხორციელდება და ყიდვის ხელშეკრულება, შესაძლებელია, განხორციელდეს არმყოფ პირთა შორის ან მაცნეს, ან წერილის მეშვეობით).[1161]

თანხმობის გამოხატვა[1162] ნებისმიერი ფორმით იყო შესაძლებელი, ხოლო, თუ წერილობითი ფორმა გამოიყენებოდა, მას მხოლოდ მტკიცებულების მნიშვნელობა ჰქონდა. რომაელი იურისტები გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ განზრახვას, ანუ ნებას ანიჭებდნენ. შეცდომის (შეცდომაში შეყვანის) საკითხის გადაწყვეტას, ისინი საკუთარ მრავალრიცხოვან კაზუსებში ცდილობდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ შეცდომაში შეყვანა ხელშეკრულების საგანს (*error in corpore*) ეხებოდა, ანუ თუ გამყიდველის ნება ერთი საგნის გაყიდვისაკენ იყო მიმართული, ხოლო მყიდველის ნება სხვა

[1159] D.19.1.3.2. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор. Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 657.

[1160] D.18.6.8.2. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 643.

[1161] D. 18.1.1.2. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2004, 561.

[1162] Мануэль Хесус Гарсия-Гаррідо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 592-593.

საგნის შეძენისაკენ, ან თუ მხარეთა ნება გასაყიდი საგნის ფასის მიმართ განსხვავდებოდა, იურისტები მიიჩნევდნენ, რომ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ხელშეკრულებაც დადებულად არ ჩაითვლებოდა. ხოლო, როცა საქმე ნივთის ხარისხის (*error in substantia*) შესახებ მყიდველის შეცდომაში შეყვანას ეხებოდა, მაშინ შეთანხმების მისაღწევად არსებული წინააღმდეგობა დაძლეულად მიიჩნეოდა და ხელშეკრულების ნამდვილობა ეჭვგარეშე იყო. თუმცა, გამყიდველი მოვალე იყო მყიდველისათვის აენაზღაურებინა ის ზიანი, რომელიც ამ უკანასკნელს ნაკლოვანი ნივთის შეძენის გამო მიადგა, მითუმეტეს, რომ მისთვის ნივთის ხარვეზის შესახებ არ იყო ცნობილი. სამაგიეროდ, იულიანუსი თვლიდა, რომ თუ ნივთის არსებითი ხარისხის შესახებ ორივე მხარე შეცდომაში იყო შეყვანილი, ხელშეკრულება ბათილად უნდა ჩათვლილიყო.

იულიანუსის აღნიშნული მოსაზრება პოსტკლასიკური პერიოდის რომაელმა იურისტებმა შეცვალეს და ჩამოაყალიბეს ახალი ზოგადი წესი: ხელშეკრულება არარად მიიჩნეოდა, თუ ერთ-ერთი მხარე შეცდომაში იყო შეყვანილი გასაყიდი ნივთის არსის (*substantio*) გამო.

ბ) ***Res*** **(ნივთი)**[1163]

სავაჭრო ხელშეკრულების ჯეროვან საგნად საქონელი (*res*) გამოდიოდა. საქონელი, გარკვეული სახის, ცვალებადი ნივთებით იყო წარმოდგენილი. დასაშვები იყო მომავალი ნივთების ყიდვა-გაყიდვა, რომელთა შემდეგი ნაირსახეობების გამიჯვნა ხდებოდა: ა) მომავალი ნივთის ყიდვა:[1164] ამ შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულებას ნივთის არსებობის ფაქტს უქვემდებარებდნენ: თუ საყიდელი ნივთი ჯერ არ არსებობს, არც მისი ფასის გადახდაა სავალდებულო; მაგ., ჯერ არ აღებული მოსავალი.

ბ) *Emptio spei* (იმედის ყიდვა): იმის იმედი, რომ არსებული ნივთი იყო ხელშეკრულების საგანი, ხოლო იმის რისკი, ნივთი ნამდვილად არსებობდა თუ – არა, სწორედ მყიდველს აწვა, რომელსაც, ნები-

[1163] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 593-594.

[1164] emptio rei speratae – მომავალი ნივთის ყიდვა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 119.

სმიერ შემთხვევაში, ნივთის შესაძენი ფასის გადახდა ევალებოდა. აღნიშნული ხელშეკრულების საგნის წრეში შევიდა *res mancipi*, თუმცა *mancipatio*-ს გამოყენების გარეშე და აგრეთვე, *res incorporales* ნივთების კატეგორია და უფლებები ნივთზე. სხვა ნივთის გაყიდვაც ნამდვილად მიიჩნეოდა. თუმცა, ბათილი იყო მყიდველის საკუთრებაში არსებული ნივთის გაყიდვა,[1165] აგრეთვე, ის ნივთები, რომლებიც გარდაცვლილს ეკუთვნოდა, თუ პირი, ხელშეკრულების დადებამდე, ან მისი დადების მომენტში, გარდაიცვლებოდა.

გ) ფასი

ძველ რომში პრინციპატის პერიოდის დასაწყისში, საბინიანელთა და პროკულიანელთა სკოლებს შორის დოქტრინული ხასიათის დავა წარმოიშვა:[1166] საბინიანელები თვლიდნენ, რომ ნებისმიერი ნივთი, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში, ფასის დანიშნულებას ასრულებდა; პროკულიანელთა აზრით, ნივთის ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ ფულის მეშვეობით უნდა განხორციელდეს. სწორედ ამ მოსაზრებამ მოიპოვა აღიარება და მომავალში იუსტინიანეს კანონმდებლობითაც განმტკიცდა.

კლასიკური პერიოდის სამართალში ფასის განსაზღვრა სავალდებულო მოთხოვნად იქცა.[1167] თანაც, ფასის განსაზღვრა მესამე პირის ნებაზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. იუსტინიანეს აზრით, გაყიდვა მაშინაც შეიძლება ნამდვილი იყოს, როცა გასაყიდი ნივთის ფასის დადგენა მესამე პირს დაევალა.[1168] ნივთის ფასი ნამდვილად უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყიდვა-

[1165] Pomp., D.18.1.16–18. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 569.

[1166] Inst.Iust. 3.23.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 186-187; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 594-595.

[1167] Gai.,3.140-141. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 159-160.

[1168] Inst.Iust. 3.23.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 186.

გაყიდვას კი არა, ჩუქებას ექნებოდა ადგილი, ვინაიდან გამსხვისებელსა და შემძენს შორის შეთანხმების მიღწევა, რომ ეს უკანასკნელი მეორე მხარეს ნივთის საფასურს არ გადაუხდიდა, მხოლოდ ჩუქების დროსაა შესაძლებელი. კლასიკური პერიოდის იურისტები ფასის სამართლიანობასა და მის ადეკვატურობას ნივთის ღირებულების მიმართ მკაცრად არ ითხოვდნენ. აღნიშნული მოთხოვნა მხოლოდ იუსტინიანეს სამართალში ჩნდება. მასში საუბარი იყო იმ ახალი წესის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად აზიანებდა უძრავი ქონების გამსხვისებლის ინტერესებს, როცა მას ქონების გასხვისებას ღირებულების ნახევარზე უფრო დაბალ ფასში ავალებდნენ. ამ შემთხვევაში, გამსხვისებელი სასამართლოს გზით უფლებამოსილი იყო პირი ეშალა მეორე მხარისათვის, თუ ეს უკანასკნელი დამატებით ფასს არ გადაიხდიდა.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დაცვა ორი კეთილსინდისიერი სარჩელის მეშვეობით ხდებოდა: *actio empti et actio venditi*.[1169] ყიდვა-გაყიდვიდან წარმოშობილი სარჩელის ძალით, შემძენი გაყიდული ნივთის მისთვის გადაცემას ითხოვდა. გარდა ამისა, მას შეეძლო გამყიდველისაგან მოეთხოვა ნივთის უპირობო ფლობის უზრუნველყოფა[1170] და სარჩელის ძალით, საკუთარი თავისა და ნივთის დაცვის უზრუნველყოფა, თუ ნივთის გამყიდველი მისი მესაკუთრე არ იყო. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ნივთი ნაყოფს ან ნამატს იძლეოდა, გამყიდველი მოვალე იყო ისინი მყიდველისათვის გადაეცა. ამრიგად, აღნიშნული სარჩელის მეშვეობით, ნივთის გასაყიდი და შესაძენი ფასისა და საჭიროების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდებოდა.

დ) მყიდველისა და გამყიდველის მოვალეობანი

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში, მხარეთა მოვალეობების განსაზღვრა, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ხდებოდა.[1171] იმის მიუხედავად, რომ თითოეულ მხარეს ერთმანეთი-

---

[1169] Inst.Iust. 3.23.5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 188; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 119.

[1170] habere licere – ნივთის უპირობო ფლობის უზრუნველყოფა. იქვე, 141.

[1171] Бартошек М. Римское право. Понятия, термины, определения. Москва. Юридическая литература. 1989. 118-119; Inst.Iust. 3.23. რომის სამართლის ძე-

საგან დამოუკიდებელი მოვალეობები გააჩნდათ, ამ მოვალეობებს მაინც ურთიერთდაკავშირებულად მიიჩნევდნენ, რადგან თვითონ ხელშეკრულება ორმხრივი იყო. პრაქტიკის მდიდარ მონაცემებზე დაყრდნობით, რომაელმა იურისტებმა დაამკვიდრეს ის პრინციპი, რომელიც ორივე მხარეს უნდა მკაცრად დაეცვა, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებისას: *bona fides et aequitas*. სწორედ ამიტომ, მოსამართლე მხარეთა ქმედების შეფასების შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ფართო უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი.

მყიდველის მოვალეობაში ნივთის შესაძენი ფასის გადახდა შედიოდა, ანუ მას გამყიდველისათვის საკუთრებაში იმ მონეტების გადაცემა ევალებოდა, რომლებშიც ნივთის ღირებულება იყო გამოხატული. გარდა ამისა, გამყიდველის მოვალეობაში შედიოდა: 1. მყიდველისათვის გაყიდული ნივთის გადაცემა (*tradere*). ასეთი გადაცემა ნივთის უპირობო განკარგვის (*habere licere*) და არა მასზე მხოლოდ საკუთრების გადატანის (*dare*) უზრუნველყოფას გულისხმობდა. უეჭველია, რომ *bona fides*-ში გათვალისწინებული იყო, რომ გამყიდველი ყველა ღონეს იხმარდა, რათა მყიდველი შეძენილი ნივთის მესაკუთრე გამხდარიყო. იუსტინიანეს სამართალში განმტკიცდა ნორმა, რომლის ძალით, ნივთზე საკუთრების უფლება არ გადაიცემოდა მანამ, ვიდრე მყიდველი ნივთის საფასურს არ დაფარავდა ან გამყიდველს საკმარის გარანტიას არ მისცემდა საფასურის გადახდის თაობაზე, ან თუ გამყიდველი მყიდველის კეთილსინდისიერებას არ მიენდობოდა. 2. გამყიდველი პასუხს აგებდა *dolus* (ბოროტი განზრახვის), ხოლო კლასიკურ პერიოდში – *culpa* (ბრალის გამო), საკუთარი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. თუ გაყიდულ მოძრავ ნივთს ვინმე მოიპარავდა, გამყიდველი, *custodia*-ს გამო, ისჯებოდა. *Custodia*-ს გამო პასუხისმგებლობა გამყიდველს მაშინ ეხსნებოდა, თუ მყიდველი გამყიდველის მიერ შემოთავაზებულ ნივთზე უარს იტყოდა. 3. პასუხისმგებლობა ევიქციის გამო მაშინ დგებოდა, როცა მყიდველი სასამართლო პროცესს ნივთის ნამდვილ მესაკუთრესთან წააგებდა.

გლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 185; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 119; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 596-597.

4. გამყიდველი პასუხისმგებელი იყო ნივთის ფარული ნაკლის გამო.

ე) Periculum (ნივთის დაღუპვის (განადგურება-დაზიანება) რისკი).[1172]

როცა გაყიდული ნივთი დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით ნადგურდებოდა, მისი შედეგები მყიდველს აწვა (*periculum est emptoris*).[1173] აღნიშნული დებულება შემდეგნაირად უნდა იქნას გაგებული: თუმცა მყიდველი ნაყიდ ნივთს კარგავდა, ნივთის შესაძენი ფასის გადახდა მას მაინც ევალებოდა. ამ დებულებას მნიშვნელოვანი განმარტება ესაჭიროება: გამყიდველის პასუხისმგებლობა ნივთის დაუზიანებლად შენახვისათვის მკვეთრად არის შეზღუდული დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით, რაზეც პასუხს მყიდველიც აგებდა. ამის შესახებ მხარეებს თვით კონტრაქტში უნდა გაეკეთებინათ დათქმა. დადგენილი წესი არ გამოიყენებოდა, თუ ნივთი ექსპროპრიაციას დაექვემდებარებოდა ან მისი ბრუნვიდან ამოღება მოხდებოდა. რისკი მყიდველზე მხოლოდ მაშინ გადავა, როცა ნივთის გაყიდვა მოხდება; ნივთის გაყიდვას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა გასაყიდი ნივთის საგანი, ხარისხი და რაოდენობა ცნობილია; დადგენილია მისი ფასი და გაყიდვა მარტივად (უპირობოდ) განხორციელდა.[1174] *Digesta*-ს ამავე ტექსტის თანახმად, თუ ნივთის გაყიდვა გარკვეული პირობებით მოხდა, ნივთი გაყიდულად არ ითვლება მანამ, ვიდრე მოხდება დათქმული პირობების შესრულება.

ვ) Evictio (ევიკცია)

ევიკციას მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა მყიდველი ნივთს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კარგავდა იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც ნივთის ნამდვილი მესაკუთრე იყო.[1175]

[1172] Inst.Iust. 3.23.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 187.

[1173] იქვე, 3.23.3ა. გვ. 187-188.

[1174] Paul, D.18.6.8 pr. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 643.

[1175] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 119; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски,

ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მყიდველმა ნივთი შეიძინა იმ პირისაგან, რომელიც თავს ნივთის მესაკუთრედ ასაღებდა ხანდაზმულობის ვადის (*usucapio*) ამოწურვის გამო, თუმცა საკუთრების უფლების შეძენისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ იყო გასული. მესაკუთრის მიერ წარდგენილი *actio vindicatio* მოთხოვნის შესასრულებლად, მყიდველს შეძენილი ნივთი მესაკუთრისათვის უნდა დაებრუნებინა ან მისთვის ნივთის საფასური გადაეხადა. ევიქციის შემთხვევაში გამყიდველის ვალდებულება – მყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თავდაპირველად, კონსესუალური ხელშეკრულებიდან არ წარმოშობილა. არქაულ პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარანტია *mancipatio*-დან განვითარდა და *actio auctoritatis* ძალით, მანციპაციის გზით, ნივთის გამსხვისებელს მიყენებული ზიანის ორმაგი ოდენობის ანაზღაურება ევალებოდა. ხოლო, როცა მანციპაცია აბსტრაქტულ მოქმედებად იქცა, საგარანტიო სტიპულაცია გავრცელდა და მისი მეშვეობით, გამყიდველის წინააღმდეგ *actio ex stipulatu* (სარჩელი სტიპულაციდან) წარდგენა იყო შესაძლებელი. ევიკციის მიმართ პასუხისმგებლობის გამორიცხვის საშუალებად გარკვეული შეთანხმება[1176] ან ხელშეკრულების განსაკუთრებული ნაირსახეობა ითვლებოდა. იმისათვის, რომ ევიქციის გამო გამყიდველის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო, მყიდველი მოვალე იყო გამყიდველისათვის განეცხადებინა არსებული მოთხოვნის ან სასამართლო პროცესის შესახებ,[1177] რათა მისგან დახმარება მიეღო ან სასამართლო განხილვის დროს გამყიდველს დაცვის საშუალება ჰქონოდა.

ზ) ნივთის დაფარული ნაკლი

გამყიდველი გაყიდული ნივთის ფარული ნაკლის ან დეფექტის გამო აგებდა პასუხს.[1178] თუ მანციპაციის გზით (*mancipatio*), ნივთის

институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 606-608.

[1176] pacta de non praestanda evictione – ევიკციის მიმართ პასუხისმგებლობის გამორიცხვის საშუალებად გარკვეული შეთანხმება.

[1177] litem denuntiare – სასამართლო პროცესი.

[1178] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 119.

გაყიდვისას, მანციპირებადი პირი ნივთის ხარისხის, მიწის ნაკვეთის ფარდობის ან ნაკლის არარსებობის შესახებ ცრუ განცხადებას გააკეთებდა, მოტყუებულ მყიდველს მიეცემოდა საბაბი, რომ მას გამყიდველის წინააღმდეგ *actio auctoritatis* ან *actio de modo agri* (სარჩელი მიწის ნაკვეთის მოცულობის შესახებ) სასამართლოში შეეტანა. არქაული პერიოდიდან მოყოლებული, გაყიდვის აქტს ემატებოდა სტიპულაცია, რომელიც გარანტიას იძლეოდა იმის შესახებ, რომ ნივთს გარკვეული თვისებები ან რაიმე ნაკლი, ან კონკრეტული დეფექტები ჰქონდა. გამყიდველი პასუხისმგებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად არსებობდა ნაკლი, რომლის შესახებ მან დამალა ან უარყო სტიპულაციაში, რაც, ჩვეულებრივ, *evictio*-სთან ერთად გამომჟღავნდებოდა.

ციცერონის დროიდან მოყოლებული,[1179] იურისპრუდენციამ აღიარა, რომ *bona fides* პრინციპის შესაბამისად, გამყიდველი პასუხს აგებდა ყველა იმ ნაკლზე, რომელიც მან მყიდველს წინასწარი განზრახვით დაუმალა. გამყიდველი, აღნიშნულ შემთხვევაში, პასუხს აგებდა იმის მიუხედავად, *stipulatio*-ს ჰქონდა თუ არა ადგილი. დამალული ნაკლის გამო პასუხისმგებლობა შემდეგი პირობების არსებობისას დგებოდა: 1. საუბარი უნდა იყოს არსებითი ნაკლის შესახებ, რის გამოც ნივთის ღირებულება ან მონის სარგებლიანობა, ან გაყიდული პირუტყვის ფასი მკვეთრად მცირდებოდა; 2. ნაკლი აუცილებლად დაფარული უნდა იყოს, რადგან, თუ ნაკლი აშკარაა და ყველასათვის ცნობილი იყო, დაუშვებელია პასუხისმგებლობის შესახებ საუბარი; 3. ნაკლი უნდა წარმოშობილიყო მანამ, ვიდრე მყიდველი ნივთს შეიძენდა და თანაც, მყიდველს ამის შესახებ არ უნდა სცოდნოდა.

თუ გამყიდველმა ნათლად არ განაცხადა ნივთის ნაკლის შესახებ ან, თუ ნივთის გაყიდვის შემდეგ იქნა აღმოჩენილი, მისი ფარული ნაკლი, ედილის ედიქტით, მყიდველს მიენიჭა უფლება გამყიდველის წინააღმდეგ ორი სარჩელი წარედგინა: 1) *actio redhibitoria*[1180] (ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ჩაშლის შესახებ), ნივთისა და საქონლის ფასის უკან დაბრუნების გზით და 2) *actio aestima-*

[1179] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 609.

[1180] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 42-43.

toriá[1181] (სარჩელი ფასის დაკლების შესახებ), რომლის ძალით გაყიდული ნივთის ფასი მკვეთრად მცირდებოდა, ნივთის ფარული ნაკლის შესაბამისად.

ქრ. შ. I საუკუნის იურისპრუდენციამ, სავარაუდოდ, აღიარა, რომ ნივთის დაფარული ნაკლის გამო, მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურებულიყო *actio empti* (სარჩელი ნივთის ყიდვის შესახებ) გზით. ამ სარჩელის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის არ იყო დროში შეზღუდული და დაზარალებულ მხარეს ნებისმიერ დროს შეეძლო აღნიშნული სარჩელის წარდგენა. იუსტინიანეს სამართალში ედილის სარჩელები ნივთების ყველა კატეგორიაზე თანაბრად გავრცელდა.

თ) Arra (ბე)

Arra-ს ინსტიტუტი[1182] ელინური ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას (*arrhabon*) განეკუთვნებოდა.

ძველმა რომაულმა საკონტრაქტო პრაქტიკამ აღნიშნული ფენომენი გადმოიღო ყიდვა-გაყიდვისა და ქირავნობის ხელშეკრულებების სფეროში. კლასიკური ეპოქის სამართალში *arra* ხელშეკრულების დადების დადასტურებისათვის გამოიყენებოდა (*arra confirmatoria*).[1183] საკმაოდ სადაოა ბეს ინსტიტუტი იუსტინიანეს სამართალში.[1184] ერთი მხრივ, სავარაუდოდ, მისი მხოლოდ მტკიცებულებითი ხასიათის მნიშვნელობა დასტურდება, რომელიც მას კლასიკური პერიოდის სამართალში მიენიჭა; მეორე მხრივ — ბე ხელშემკვრელი მხარეებისათვის ალტერნატივას წარმოადგენდა,

---

[1181] იქვე, 35.

[1182] Inst.Iust. 3.23.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 185; Gai.,3.139. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 159; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005. 614.

[1183] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 51.

[1184] Inst.Iust. 3.23.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 185.

რათა მათ დაედოთ, ელინურ სამართალში გავრცელებული, ბეს შესახებ შეთანხმება, რომლის ძალით, ხელშეკრულების ცალმხრივად ჩამშლელ მხარეს გარიგების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა (ე.წ. საჯარიმო ბეს სახით).

თუ ბეს მიმცემი ხელშემკვრელი მხარე საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე უარს იტყოდა, ის ბეს კარგავდა და პირიქით, თუ ბეს მიმღები მხარე, ცალმხრივად ჩაშლიდა ხელშეკრულებას – მიღებული ბეს საფასურს ორმაგად გადაიხდიდა.

§2. Mandatum (დავალების ხელშეკრულება)

Mandatum – დავალების ხელშეკრულება; procurator – რწმუნებული, პროკურატორი; dominus negotii – მარწმუნებელი, პრინციპალი.

Mandatum (დავალების ხელშეკრულება)[1185] – უსასყიდლო კონსესუალური კონტრაქტია, რომლის მეშვეობით *dominus negotii* (მარწმუნებელი, პრინციპალი), *procurator*-ს (რწმუნებულს, პროკურატორს) რაიმე მოქმედების შესრულებას ან გარიგების დადებას ავალებდა, საკუთარი, ან მესამე პირის ინტერესების შესაბამისად.

ა) ***Mandatum*** დამახასიათებელი ნიშნები:[1186] 1. დავალების ხელშეკრულება – კონსესუალური კონტრაქტი იყო, ანუ ვალდებულების წარმოშობა კონტრაჰენტების შეთანხმებას ეფუძნება. ამიტომ, დავალების მიღება შესაძლებელი იყო ან მაცნეს მეშვეობით, ან წერილის გამოგზავნის გზით. პავლუსის აზრით, დავალების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულება შეიძლება გადაივადოს ან რაიმე პირობის შესრულებაზე

[1185] იქვე, Inst.Iust. 3.26. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002. 193-196; Gai.,3.155-162. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 163-165.

[1186] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 571-572.

იყოს დამოკიდებული;[1187] 2. *Mandatum* – უსასყიდლო კონტრაქტია. „დავალება არარად ითვლებოდა, თუ უსასყიდლო არ იყო, ვინაიდან ის მოვალეობიდან, ან მეგობრობიდან გამომდინარეობს, ხოლო საფასურის გადახდა მოვალეობას ეწინააღმდეგება; თუ შემოდის ფული, მაშინ საქმე განიხილება, როგორც ქირავნობა".[1188] ასეთი დებულების მიუხედავად, მაინც დაიშვებოდა, რწმუნებულის მიერ ანაზღაურების მიღება, უპირატესად, მადლიერების ნიშნად და არა როგორც შემხვედრი მინიჭება; 3. აუცილებელი პირობა იყო მარწმუნებლის ან მესამე პირის ინტერესებითა და სახელით მოქმედება. დაუშვებელია საკუთარი სახელით რაიმე დავალების შესრულება ან მოქმედება; 4. დავალების ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება ყოფილიყო რაიმე მოქმედება ან იურიდიული ხასიათის გარიგება, ან სხვა ნებისმიერი მოქმედება, მხოლოდ იმ პირობით, რომ უსასყიდლობის მოთხოვნა დაცული იქნებოდა მაშინაც კი, თუ რწმუნებულს ანაზღაურების საშუალებად ქონება ქირავნობაში ექნებოდა გადაცემული. დავალების ობიექტი არ უნდა ატარებდეს აკრძალულ ხასიათს და კეთილსინდისიერებას ეწინააღმდეგებოდეს; დავალება შეიძლება შეეხოს იმ ქონებას, რომელიც ნაწილობრივ რწმუნებულის საკუთრებაში იმყოფებოდა.

ბ) *Mandatum*-დან წარმოშობილი სასარჩელო განაცხადი[1189] კეთილსინდისიერი სარჩელის (*bonae fidei*) ნაირსახეობა იყო და მის საფუძველზე დასჯილი პირი *infamia*-თი (უღირსობა) ისჯებოდა.[1190] აღნიშნული სარჩელი მარწმუნებლის მიერ რწმუნებულს იმ მიზნით წარედგინებოდა, რომ ამ უკანასკნელს დავალების ხელშეკრულებით განხორციელებული ქმედების სრული ანგარიში უზრუნველყო და მარწმუნებლისათვის რწმუნებით გათვალისწინებული ყველა სახის შემოსავალი გადაეცა.

გ) *Procurator* (რწმუნებული, პროკურატორი) – დავალების

[1187] D.17.1.1pr.–3. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов.Москва, Статут, 2004, 443.

[1188] D.17.1.1.4. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2004, 443.

[1189] actio mandati – სასარჩელო განაცხადი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 41.

[1190] Gai., U, 182; Inst. Iust. 4.16.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 261.

ხელშეკრულების შემთხვევაში, უძველესი დროიდან დადგინდა ზოგადი ხასიათის რწმუნებულება, რომელსაც რწმუნებული (*procurator*) ასრულებდა. პროკურატორი ის პირი იყო, რომელსაც, ჩვეულებრივ, გააზატებულთა რიგებიდან ირჩევდნენ. მას მარწმუნებლის ქონების მართვა[1191] ევალებოდა, რითაც ის იმ პროკურატორისაგან განსხვავდებოდა, რომელსაც მხოლოდ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა დაევალა.[1192] პრეტორი აღიარებდა პროცესუალური წარმომადგენლის[1193] ფიგურას, რომელსაც ის პროცესში მხარის რწმუნებულად განიხილავდა. ყოველთვის, როცა ქონების მართვის დავალებას ჰქონდა ადგილი, კლასიკური პერიოდის რომაელი იურისტები ორი სახის სარჩელის: *mandatum*-ის საფუძველზე და *negotiorum gestio*-დან (დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოებიდან) კონკურენციას განასხვავებდნენ. იუსტინიანეს კრებულში მეურვეობა დავალების ხელშეკრულებაშია არეული. თუმცა, ზოგჯერ, მარწმუნებელი მოკლებული იყო ამ უფლებამოსილებას, ხოლო პროკურატორი ქონების მართვას, ფაქტობრივად, საკუთარ თავზე იღებდა და მაშინ მას დავალების გარეშე სხვისი საქმეების მმართველად მიიჩნევენ.[1194] სწორედ ამის გამო, ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ ნამდვილ პროკურატორს (ანუ იმ პირს, ვინც დავალების სახით, მიიღო სხვისი საქმეების მართვა) და იმ პირს, ვინც დავალების გარეშე მოქმედებდა (მისი მოქმედება, სამართლავად გადაცემული მეურნეობის, მეპატრონის მოწონებას მოითხოვდა).

დ) მხარეთა მოვალეობანი – რწმუნებულის მოვალეობა მისგან მოითხოვდა:[1195] 1) დავალების შესრულებას მარწმუნებლის მითითების შესაბამისად და, გარიგების დასადებად საჭირო, რწმუნების ბუნებიდან გამომდინარე; 2) მარწმუნებელს წარუდგინოს ანგარიში განხორციელებული მოქმედების შესახებ და მის სასარგებლოდ გადაიტანოს, მის მიერ დადებული გარიგების იურიდიული შედეგი; 3) მარწმუნებლის წინაშე პასუხი აგოს *dolus* და *culpa*

[1191] procutator omnium bonorum – მარწმუნებლის ქონების მართვა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 261.

[1192] procurator unius rei- კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა. იქვე.

[1193] procurator ad litem – პროცესუალური წარმომადგენლი. იქვე.

[1194] negotiorum gestor – დავალების გარეშე სხვისი საქმეების მმართველი.

[1195] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 574-575.

გამო, ვინაიდან დავალების ხელშეკრულება ეფუძნებოდა *bona fides* პრინციპებს და მხოლოდ მარწმუნებლის ინტერესებს იცავდა. მარწმუნებელი, თავის მხრივ, პასუხს აგებდა იმ ხარჯებზე, რომლებიც რწმუნებულმა გაიღო დავალების შესრულების გამო, მათ შორის, აღნიშნული დავალების შესრულების დროს, მიყენებული ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით.

ე) დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა – დავალების ხელშეკრულების მოქმედება წყდებოდა:[1196] 1) თუ რწმუნებული დავალების შესრულებას ჯერ არ შესდგომია: ა) მარწმუნებლის მიერ უფლებამოსილებათა უკან გამოწვევის გზით, რასაც მაშინ ჰქონდა ძალა, თუ რწმუნებული გამოწვევის შესახებ გაფრთხილებული იყო; ბ) რწმუნებულის მიერ დავალების შესრულებაზე უარის თქმით; 2) თუ დავალების შესრულება დაწყებული იყო, მარწმუნებელი მოვალე იყო ანგარიში გაეწია დავალების შედეგებისათვის, ხოლო რწმუნებული მოვალე იყო დაესრულებინა დავალების შესრულება; 3) მარწმუნებლის ან რწმუნებულის გარდაცვალებით. მარწმუნებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრეების მიმართ, რწმუნებულს სარჩელის წარდგენის უფლება ენიჭებოდა იმ საბაბით, რომ მემკვიდრეებმა მას არ შეატყობინეს მარწმუნებლის გარდაცვალება, მის მიერ დავალების შესრულების პერიოდში.

ვ) Mandatum pecuniae credendae (ფულადი სესხის მინიჭების შესახებ მიცემული დავალება) – ასეთი დავალების არსი შემდეგში მდგომარეობდა:[1197] რწმუნებული, მესამე პირის სასარგებლოდ, ფულადი თანხის გარკვეულ ოდენობას სესხად გასცემდა ან კრედიტს ხსნიდა. ასეთ ვითარებაში, მარწმუნებელსა და მესამე პირს შორის სესხის ხელშეკრულება იდებოდა. მარწმუნებელი, პრაქტიკულად, მოვალის გარანტად გამოდიოდა, ვინაიდან, ამ უკანასკნელის მხრიდან, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, მარწმუნებელი რწმუნებულის წინაშე პასუხს *actio mandati contraria*-ს[1198] საფუძველზე აგებდა.

[1196] იქვე, 575-576.

[1197] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 576.

[1198] შესაგებელი სარჩელი დავალების ხელშეკრულებიდან. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 41.

§3. Societas (ამხანაგობის ხელშეკრულება)

Societas omnium bonorum – ამხანაგობის მონაწილეთა მთელი ქონების გაერთიანება; societas unius negotiationis – unius rei – მხოლოდ კომერციული საწარმოს ან ქონების გაერთიანება.

ა) Societas[1199]

Societas – კონსესუალური კონტრაქტი, რომლის მიხედვით ორი ან მეტი მონაწილე, ურთიერთვალდებულებას იღებდა, ქონების ან სამუშაოს გაერთიანების გზით, ეწარმოებინათ ერთიანი საქმე და ერთმანეთში გაენაწილებინათ მიღებული მოგება და განცდილი დანაკლისი.

1. *Societas* ნამდვილობის პირობები:[1200] ა) როგორც კონსესუალური კონტრაქტი, *societas* დაიდება, ნებისმიერი ფორმით გამოხატული, შეთანხმების გზით. სტაბილური კავშირის დამყარება შესაძლებელი იქნებოდა ხანგრძლივი და უწყვეტი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში. წყაროები მოწმობენ, რომ ამხანაგობის შესაქმნელად საჭირო იყო, მისი მონაწილე მხარეების განზრახვა; ბ) სავალდებულო იყო დათქმული ქონების ან სამუშაოს გაერთიანება. აღნიშნული მოთხოვნა ყველასათვის თანაბრად სავალდებულო არ იყო. ზოგიერთისათვის საკმარისი იყო მხოლოდ საქმიანობის განხორციელება;[1201] გ) ამხანაგობის თითოეული მონაწილის საქმიანობა მხოლოდ მთლიანად ამხანაგობის მიმართ ჰქმნიდა უფლე-

---

[1199] Inst.Iust. 3.25. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 191-193; Gai.,3.148-154ა. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 162-163; Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 297-298; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 582-590.

[1200] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 582-583.

[1201] Gai.,3.149. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 162.

ბებსა და მოვალეობებს, თუმცა შენაძენი და სარგებელი მის თითოეულ მონაწილეზეც ვრცელდებოდა. საუბარი იყო შიდასახელშეკრულებო კავშირზე და როგორც კორპორაციისა და ასოციაციის შემთხვევაშიც, ამხანაგობის მიმართ იურიდიული პირი არ არსებობდა.

2. ამხანაგობის ხელშეკრულებიდან აღმოცენებული სარჩელი – (*actio pro socio*)[1202] *bonae fidei* სარჩელების კატეგორიას მიეკუთვნებოდა და მას იმ შემთხვევაში იყენებდნენ, როცა მოსაწესრიგებელი იყო ამხანაგობის მონაწილეთა შორის არსებული დავალიანება, რომელიც ამხანაგობის მოქმედების შედეგად წარმოიშვებოდა. სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ბოროტი განზრახვის შედეგი იყო, *infamia*-ს იწვევდა. თუმცა, ამხანაგობის მონაწილე პირი პასუხისმგებელი მხოლოდ საკუთარი შემოსავლების ფარგლებში იყო. *Societas* არსებობის დროს შეძენილი, საერთო საკუთრების გაყოფა, საერთო საკუთრების გაყოფის შესახებ წარდგენილი სარჩელის საფუძველზე ხდებოდა.

ბ) ძმების კონსორციუმი

ამხანაგობის ყველაზე ძველი ფორმა იყო ძმების კონსორციუმი,[1203] რომელიც ოჯახის მამამთავრის გარდაცვალების შემდეგ დგებოდა. მასში ოჯახში დარჩენილი ყველა ძმა შედიოდა. აღნიშნული ამხანაგობა სოლიდარობის პრინციპების დაცვით წესრიგდებოდა და საერთო მონის გააზატება ან საერთო საკუთრების გასხვისება ოჯახის ნებისმიერ წევრს შეეძლო. საოჯახო ამხანაგობის არქაული ტიპი მალევე ქრება, თუმცა ის კლასიკური პერიოდის უნივერსალურ ამხანაგობაზე ახდენს გავლენას.

1. ამხანაგობის სახეები:[1204] ა) უნივერსალური ამხანაგობა, ანუ მთელი ქონების გაერთიანებით შექმნილი *societas* (*societas omnium bonorum*). ასეთ ამხანაგობაში შედიოდა მთელი არსებული და სამომავლო ქონება. საოჯახო *consortium* მსგავსად, იგი ძმობის

[1202] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 42.

[1203] იქვე, 297.

[1204] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 584-585.

ურთიერთობების ზოგიერთ ნიშანს ინარჩუნებდა; ბ) გარკვეული საქმიანობის განსახორციელებლად შექმნილი ამხანაგობა.[1205] მისი ობიექტი შეიძლება ყოფილიყო ერთი კონკრეტული ან რამდენიმე ერთგვაროვანი საქმე იმ პირობით, რომ აღნიშნული საქმიანობის მიზანი კანონიერი იყო. ამხანაგობის აღნიშნული ნაირსახეობისათვის სავალდებულო არ იყო ამხანაგობის ქონების მიმართ საერთო საკუთრების გავრცელება.

2. ამხანაგობის მონაწილეთა მოვალეობები:[1206] ა) ამხანაგობის წევრმა ამხანაგობას უნდა გადასცეს შეთანხმებით გათვალისწინებული ქონება და იმოქმედოს *bona fides* პრინციპების შესაბამისად; ბ) ამხანაგობის წევრი მოვალეა საერთო ფონდში შეიტანოს ნებისმიერი შენაძენი და უფლებამოსილია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას, საკუთარი საქმიანობის პროცესში, მიადგა; გ) იგი პასუხს აგებს *dolus* და *culpa* გამო. იუსტინიანეს სამართალში გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობა *culpa in concreto*-ს გამო, ანუ მხოლოდ საკუთარი ქონების მიმართ ყაირათიანი დამოკიდებულებისათვის.

3. ამხანაგობის შეწყვეტა – „*Societas solvitur ex personis, ex rebus, ex voluntate, ex actione*": ამხანაგობის შეწყვეტის მიზეზი შეიძლება იყოს პირები, ნივთები, ნება და მოქმედება.[1207]

1. პირთა მიზეზით: პირის გარდაცვალების ან ამხანაგობის წევრის მიმართ *capitis deminutio maxima et media* შედეგად. გარდაცვალებაში ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის ქონების გაყიდვა იგულისხმება, თუ ის ვალაუვალ მოვალედ გამოცხადდებოდა. 2. ნივთების გამო: როცა მიღწეულია ამხანაგობის მიზანი ან დაკარგული, ან ბრუნვიდან ამოღებულ იქნა ამხანაგობის საერთო ქონება. 3. ნების მიზეზით: როცა დათქმული ვადა დგებოდა; ამხანაგობის ყველა წევრის ერთსულოვანი თანხმობით, ან ერთ-ერთი მათგანის მიერ უარის თქმის ან ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში. 4. მოქმედების საფუძველზე: როცა სტიპულაციის შედეგად, ან

[1205] societas unius rei; societas unius negotiationis – გარკვეული საქმიანობის განსახორციელებლად შექმნილი ამხანაგობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 297.

[1206] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 585-586.

[1207] Ulp., D.17.2.63. 10 (15). Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 541.

სასამართლო პროცესის მეშვეობით შეიცვლებოდა თვით ამხანაგობის საფუძველი.

§4. Locatio – conductio (ქირავნობა, იჯარა).

Locator – მეიჯარე; conductor – მოიჯარე, იჯარადარი; locatio – ქირავნობა; conductio – იჯარა; locatio conductio rei – იჯარით აღება; საცხოვრებელი სახლის დაქირავება; locatio conductio operis – ნარდობა (გადაზიდვების ჩათვლით); locatio conductio operarum – სამუშაო ძალის ქირავნობა.

ა) იჯარა – კონსესუალური კონტრაქტი[1208] იყო, რომლის თანახმად, ერთი მხარე, კერძოდ მეიჯარე (*locator*) ნივთს ან სამსახურს დროებით გადასცემდა მეორე მხარივ, ანუ მოიჯარეს (*conductor*) განკარგულებაში. მოიჯარე, თავის მხრივ, „იღებდა" ნივთს და მეიჯარეს სასარგებლოდ „უკუმინიჭებას" ახორციელებდა ნატურალური რენტის ან ფულადი გადასახადის სახით. რომაელები ამ კონტრაქტში ორ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებას გულისხმობდნენ: ქირავნობასა (*locatio*) და იჯარას (*conductio*); ორივე ვალდებულებას სპეციალური სარჩელი იცავდა. ეს სარჩელები ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებიდან აღმოცენებულ სარჩელს ჰგავდა და მათი შესრულება მსგავსი იურიდიული ნორმებით იყო მოწესრიგებული.

1. იჯარის ხელშეკრულების ძირითადი ნიშნები[1209] იყო: ა) იჯარა კონსესუალური კონტრაქტი: *"locatio-conductio* – არის ბუნებრივი ხელშეკრულება, რომელიც ყველა ხალხმა აღიარა (კონტრაქტად), არა სიტყვების, არამედ ყიდვა-გაყიდვის მსგავსად, შეთანხმების მეშვეობით დადებულად[1210] – *Locatio et conductio cum naturalis sit et omnium gentium, non verbis, sed consensu contrahitur, sicut emptio et venditio*; ბ) ხელშეკრულება იმაში მდგომარეობდა, რომ რაიმე ნივთი ან

[1208] Inst.Iust. 3.24. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 188-190.

[1209] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 618-619.

[1210] Paul., D. 19.2.1. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 707.

სამუშაო დროებით, საიჯარო ფასის ან ანაზღაურების სანაცვლოდ, მეორე პირს განკარგულებაში გადაეცემოდა; გ) ამ ხელშეკრულების მიზანი სხვადასხვანაირი იყო. შესაბამისად, საიჯარო ურთიერთობებიც მრავალფეროვანი იყო. საიჯარო ხელშეკრულების ყველაზე ძველი ნაირსახეობა ნივთების ქირავნობა იყო: მოძრავი ნივთების, პირუტყვის ან უძრავი ქონების დაქირავება. საიჯარო ურთიერთობების კლასიკური რეჟიმი აღნიშნული ეპოქის სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს პასუხობდა. ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებისა და ქალაქში არსებული საცხოვრებელი სახლების დაქირავება (იჯარით აღება) გავრცელდა.

კლასიკურ ეპოქაში, ძირითადად, მონის შრომა გამოიყენებოდა. საიჯარო ურთიერთობები ორი სახის სარჩელს წარმოშობდა: ***in ius et bonae fidei*** კატეგორიიდან: ა) იჯარით გადაცემულიდან წარმოშობილი სარჩელი,[1211] მეიჯარის (*locator*) სასარგებლოდ, რათა მას შესძლებოდა, იჯარით გადაცემული ნივთის უკან დაბრუნება ან მოიჯარეს (*conductor*) მხრიდან, საკუთარ თავზე აღებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მოთხოვნა; ბ) სარჩელი ქირავნობაში მიღებულის შესახებ,[1212] რომელიც მოიჯარეს სასარგებლოდ იყო დადგენილი, რათა მეიჯარესაგან მასზედ დაკისრებული მოვალეობების შესრულება მოეთხოვა.

2. საიჯარო ურთიერთობების სახეები – *Locatio-conductio*-ს ურთიერთობები ორ ნაირსახეობად[1213] იყოფა: 1) ნივთების იჯარა, რაც მომსახურების ქირავნობასაც გულისხმობდა; 2) ნარდობა.

ნივთების იჯარა (*locatio-conductio rei*) და მომსახურების ქირავნობა (*locatio-conductio operarum*).

ამ ხელშეკრულების თანახმად, მეიჯარე უძრავი ან მოუხმარი მოძრავი ქონებით სარგებლობის უფლებას მოიჯარე პირს უთმობდა. მიწის ნაკვეთების მოიჯარეს – კოლონი, ხოლო საცხოვრებელი სახლების მოიჯარეს – ინკვილინუსი ეწოდებოდა. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების იჯარას განკარგავდა ცენზორი,

---

[1211] actio locati – გადაცემულიდან წარმოშობილი სარჩელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 41.

[1212] actio conducti – სარჩელი ქირავნობაში მიღებულის შესახებ. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 41.

[1213] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 619.

რომელიც ამ ნაკვეთებს იჯარით, ჩვეულებრივ, საჯარო აუქციონის გზით, ხუთწლიანი ვადით (*lustrum*) გასცემდა.

ხელშემკვრელი მხარეების მოვალეობაში შედიოდა: 1. მეიჯარე (*locator*)[1214] მოვალე იყო: მოიჯარეს განკარგულებაში „გადაეცა" ნივთი და მისთვის ნივთით სარგებლობის და მისგან ნაყოფის მიღების უფლება მიენიჭებინა. მოიჯარე ნივთის უბრალო მპყრობელად, ანუ ნატურალურ მფლობელად ითვლებოდა,[1215] რომელიც ნივთს მეიჯარეს სახელით განკარგავდა და რომლის მიმართ მას მხოლოდ კონტრაქტიდან წარმოშობილი, ვალდებულება გააჩნდა. თუ მეიჯარე ნივთს გაყიდდა, მყიდველს შეეძლო ნივთის ფლობის გამოთხოვა, საიჯარო ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, „გაყიდვა წყვეტს იჯარის ხელშეკრულებას" – წესის თანახმად.[1216] აღნიშნულ ვითარებაში, მეიჯარე მიყენებული ზიანის გამო მოიჯარის წინაშე აგებდა პასუხს. 2. იჯარით გაცემული ნივთის სათანადო მდგომარეობაში შენახვა, საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, რათა მოიჯარეს აღნიშნული ნივთით ნორმალური სარგებლობის საშუალება მიეცეს. ნივთის სათანადოდ შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები მეიჯარემ უნდა გაიღოს, თუ დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული. მეიჯარეს აწვა *periculum*-ის გამო პასუხისმგებლობა, დაუძლეველი ძალის გარემოებათა დადგომის შემთხვევაში. 3. მეიჯარე მოიჯარესათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის გამო აგებდა პასუხს.

მოიჯარე (*conductor*)[1217] მოვალე იყო:

1. განუხრელად შეეტანა საიჯარო გადასახადი. გადასახადის გადახდა მყარად განსაზღვრული, ფულადი თანხით ხდებოდა. თუმცა, გადასახადის გადახდა მიღებული ნაყოფის ნაწილის, ანუ ნატურალური ფორმითაც ხდებოდა. 2. ნივთით ესარგებლა, მისი ბუნებრივი თვისებებისა და ბუნებრივი დანიშნულების შესაბამისად. მოიჯარე *culpa*-ს გამო იმ შემთხვევაში აგებდა პასუხს, თუ მან არაჯეროვნად ისარგებლა ნივთით ან ის არამიზნობრივი დანიშ-

---

[1214] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 207.

[1215] Ulp. D.10.3.7.11. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 525.

[1216] emptio tollit locatum – გაყიდვა წყვეტს იჯარის ხელშეკრულებას.

[1217] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 207.

ნულებით გამოიყენა. ამის გარდა, მოიჯარე პასუხს აგებდა ნივთის შენახვისათვის (*custodia*) გამო, ნივთის ქურდობის (*furtum*) გამო. 3. საიჯარო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მეიჯერასათვის ნივთი სათანადო მდგომარეობაში დაებრუნებინა.

3. საიჯარო ხელშეკრულება წყდებოდა: ა) თუ განსაზღვრული იყო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 1. საიჯარო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ; 2. მოიჯარის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში, თუ ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა;[1218] ბ) თუ საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ იყო დადგენილი: 1. მოიჯარეს ან მეიჯარეს მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში; 2. ხელშეკრულების შეწყვეტას ხელშემკვრელი მხარის გარდაცვალება არ იწვევდა, რადგან კონტრაქტი მემკვიდრეებზე „გადადიოდა". სამუშაო ძალის ქირავნობა[1219] მონების გაქირავების პრაქტიკიდან იღებდა დასაბამს; აღნიშნული ხელშეკრულების საგანი – ფიზიკური შრომა იყო, რომელსაც ფულადი საფასურის გადახდის სანაცვლოდ ახორციელებდნენ. რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმი თავისუფალი პროფესიის პირებისათვის იყო გათვალისწინებული. ციცერონი ხელოვნებას, ანუ საქმიანობას (*operae*) ორ ჯგუფად: თავისუფალ და არათავისუფალ საქმიანობად ჰყოფდა. თავისუფალი პროფესიის პირები საკუთარი საქმიანობისათვის, გასამრჯელოს სახით, საჩუქრებს ან ნაბოძვარს იღებდნენ, რომელსაც ჰონორარი[1220] ეწოდებოდა.

ბ) Locatio conductio operis[1221] (ნარდობის ხელშეკრულება)

მოცემულ შემთხვევაში საუბარი, დამკვეთის მხრიდან (*locator*), გარკვეული სამუშაოს შესრულების დაკვეთას ეხებოდა: დამკვეთი, აღნიშნული მიზნით, სამუშაოების მწარმოებელს (*conductor*) გარკვეულ ნივთს გადასცემდა. სამუშაოს დასრულების შემდეგ მონარდეს ფულად ანაზღაურებას უხდიდნენ, ხოლო სამუშაოს დამკვეთი დამზადებულ ნივთს იღებდა. მონარდე არ იყო ვალდე-

[1218] Gai., D. 19.2.25.2pr. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 729.

[1219] locatio conductio operarum – სამუშაო ძალის ქირავნობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 208.

[1220] honor – პატივი.

[1221] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 208.

ბული პირადად შეესრულებინა შეკვეთა და ამიტომ, ქვემონარდის გამოყენება დასაშვები იყო. ამ უკანასკნელის მოვალეობაში შედიოდა, სამუშაოს დამკვეთისათვის, შესრულებული სამუშაოს (*facere*) მთლიანად და არა – ნაწილობრივ გადაცემა. დამკვეთის მოვალეობაში შედიოდა მონარდის სამუშაოსათვის საჭირო მასალით უზრუნველყოფა მთლიანად ან ნაწილობრივ. ხოლო თუ მონარდე დამკვეთს საჭირო მასალით მთლიანად უზრუნველყოფდა, მაშინ სახეზე იქნებოდა არა ნარდობის, არამედ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

სამუშაოს შესრულება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით უნდა მომხდარიყო, ტექნიკური ნორმატივების შესაბამისად (რათა არ დადგინდეს ტექნიკური დეფექტი) და დადგენილ ვადაში.

Periculum (ნივთის დაღუპვის რისკი), ფორსმაჟორულ ვითარებაში, მენარდეს ანვა. წრლო, თუ ზიანის ბრალეულად მიმყენებელი მონარდე იყო, პასუხისმგებლობაც მასვე ეკისრებოდა. სამუშაოს დაქირავებას ადგილი წარმოებისა და მომსახურების სხვადასხვა სფეროში (ტვირთის გადაზიდვა, მშენებლობა, სხვადასხვა ნაწარმის წარმოება, სარემონტო სამუშაოები, ავადმყოფის მოვლა) ჰქონდა.

VIII. Quasi ex contractu (კვაზი კონტრაქტები)

ფსევდო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების[1222] ცნება შემოღებულ იქნა იუსტინიანეს ინსტიტუციებში.[1223] თუმცა, ჯერ კიდევ კლასიკური პერიოდის იურისპრუდენცია ვალდებულების წყაროთა შორის განასხვავებდა კონტრაქტულ და დელიქტურ, აგრეთვე, თითქოს კონტრაქტულ ვალდებულებებს, კერძოდ, სხვისი საქმის დავალების გარეშე წარმოებას[1224] და არასავალდებულოს გადახდას,[1225] შეცდომით შესრულებულის გადახდას.

[1222] quasi ex contractu – ფსევდო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები. Inst.Iust. 3.27. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 197-199.

[1223] Inst.Iust 3. 27. იქვე

[1224] negotiorum gestio – სხვისი საქმის დავალების გარეშე წარმოება. იქვე, 3.27.1., 197.

[1225] solutio indebiti – უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულე-

§1. Negotiorum gestio

(სხვისი საქმის დავალების გარეშე წარმოება)

Utiliter gerere (gestio) – მიზანი იყო მესაკუთრის სამეურნეო სარგებელი; prohibitio – მესაკუთრეს შეეძლო საკუთარ საქმეებში ჩაურევლობის მოთხოვნა; actio negotiorum gestorum.

Dominus negotii (სხვისი საქმის წარმოება) დავალების[1226] არსებობის გარეშე, ზოგჯერ, პოტენციურად ორმხრივი, ვალდებულების წარმოშობის წყარო ხდებოდა. აღნიშნული ვალდებულება *actio negotiorum gestorum*-ით[1227] იყო დაცული: *dominus negoti*-ის, ნებაყოფლობითი პროკურატორისაგან მის მიერ გაწეული სამსახურის შესახებ ანგარიშის მოთხოვნა შეეძლო, ხოლო *negotiorum gestor*-ი – მოითხოვდა ხარჯების ანაზღაურებას შესაგებელი სარჩელის[1228] მეშვეობით.

Negotiorum gestio ძირითადი ნიშნები (რეკვიზიტები):[1229] 1.სავალდებულო იყო, რომ წარმოების ობიექტი ნამდვილად ყოფილიყო სხვა პირის საქმე; 2. *gestor*-ს შეგნებული უნდა ჰქონოდა აღნიშნული ფაქტი, ანუ *animus alieni negotia gerendi*-ს (განზრახვა აწარმოოს სხვა პირის საქმეები); 3. *gestio*-ს მიზანი მესაკუთრის (*dominium negotii*) სამეურნეო სარგებელში უნდა მდგომარეობდეს – *utiliter gerere*; 4. უსასყიდლო მომსახურება.

აღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში, მესაკუთრე ვალდებული იყო მიეღო *gestor* მიერ გაწეული სამუშაო, იმის მიუხედავად, თუ სამუშაოს პრაქტიკული შედეგები არარად იქცეოდა, შემთხვევითობის ან დაუძლეველი ძალის ზემოქმედების გამო.

იმ შემთხვევაში, როცა მესაკუთრე არ იყო დაინტერესებული

ბას. იქვე, 3.27.6., 199.

[1226] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 333-334; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 604-607.

[1227] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 41; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 334; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 606-607.

[1228] actio negotiorum gestorum contraria – ხარჯების ანაზღაურებას შესაგებელი სარჩელის. იქვე

[1229] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 334; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 605.

მომსახურების გაწევაში, მას შეეძლო საკუთარ საქმეებში ჩარევა[1230] აეკრძალა, რადგან დათვური სამსახური *negotiorum gestio*-დ ვერ იქნება მიჩნეული.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოება დაცული იყო *actio negotiorum gestorum* (სარჩელით), რომელსაც ორი ფორმულა ჰქონდა: *in ius concepta et in factum concepta*. პირველი ფორმულა *bona fides* პრინციპს ეფუძნებოდა და შეიცავდა *intentio*-ს და შესაბამისს *condemnatio*-ს, რომელიც საშუალებას იძლეოდა მოსარჩელის დადებითი ინტერესი *condemnatio*-ში[1231] გათვალისწინებულიყო.

ნებისმიერ შემთხვევაში, ნებაყოფლობითი პროკურატორის პასუხისმგებლობა სუბიექტური ფაქტორებით განისაზღვრებოდა: *dolus et culpa*.[1232]

§2. Solutio indebiti (უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ფსევდო ხელშეკრულება)[1233]

Condictio indebiti – კონდიქციური სარჩელი შესრულების მოთხოვნის შესახებ, ვალის არსებობის შემთხვევაში; condictio sine causa – კონდიქციური სარჩელი გადაცემულის გამოთხოვნის შესახებ, მართლზომიერი საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში; condictio ob turpem causam – კონდიქციური სარჩელი მანკიერი საფუძვლით გადაცემულის შესახებ; condictio ob rem dati re non secuta – კონდიქციური სარჩელი საკუთრებაში გადაცემული ნივთის გამოთხოვის შესახებ, როცა მოსალოდნელი მინიჭება არ დამდგარა (როგორც გაცვლისას, მისი do ut des კონტრაქტად აღიარებამდე).

I. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულება შეცდომით, ფსევდო-კრედიტორის სასარგებლოდ, განხორციელე-

---

[1230] prohibitio – ჩარევა. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 334; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 606.

[1231] quanti ea res erit – რა ეღირება ეს ნივთი.

[1232] D. 3.5.3.9; 3.5.10. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 371, 381.

[1233] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 299; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 335; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 607-610.

ბულ შესრულებას და შემსრულებლის მხარეზე ცივილური მოთხოვნის აღმოცენებას გულისხმობდა, რათა ამ უკანასკნელს უკან გამოეთხოვა შესრულების შედეგი. დაზარალებულ პირს ფსევდო-კრედიტორისაგან კონდიქციური სარჩელი (*condictio*) იცავდა. უსაფუძვლოდ გამდიდრებული ფსევდო-კრედიტორის ვალდებულება იმასთან იყო დაკავშირებული, რომ მან თავის სასარგებლოდ შესრულების შედეგები შეცდომით შეიძინა, რითაც, ობიექტურად, გააუარესა შეცდომით შემსრულებლის მდგომარეობა.

Pomp., D.12.6.14 თვლიდა, რომ: *„Nam hoc natura aequum est neminem cum alterius detrimento fieri locupletiorem"* (ვინაიდან ბუნების მოთხოვნებს პასუხობდა, რომ არავინ გამდიდრებულიყო სხვისი მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე) და *„Quod indebitum per errorem solvitur, aut ipsum aut tantundem repetitur"* (ის, რაც შეცდომით, ვალის არარსებობის პირობებში, იყო მინიჭებული, უკან გამოითხოვება ან ნატურით, ან იმავე მოცულობით).[1234]

საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების, შემდეგ ნაირსახეობებს განასხვავებდნენ:[1235] 1. *Condictio indebiti* – კონდიქციური სარჩელი შესრულებულის უკან გამოთხოვის შესახებ, ვალის არარსებობის შემთხვევაში; 2. *Condictio sine causa* – კონდიქციური სარჩელი, მართლზომიერი საფუძვლის არარსებობის პირობებში, გადაცემული სიკეთის უკან გამოთხოვის შესახებ; 3. *Condictio ob turpem causam* – კონდიქციური სარჩელი, (არამართლზომიერად) მანკიერი საფუძვლით, გადაცემულის შესახებ; 4. *Condictio ob rem dati re non secuta* – კონდიქციური სარჩელი საკუთრებაში გადაცემული ნივთის უკან გამოთხოვის შესახებ, როცა მოსალოდნელი მინიჭება არ განხორციელებულა (როგორც *permutatio* (გაცვლა) დროს ხდებოდა, მისი *do ut des* (უსახელო კონტრაქტი) ცნობამდე).

საკუთრივ *condictio indebiti*-ს, გააჩნია შემდეგი რეკვიზიტები:[1236] 1. ვალის არარსებობა (არც ნამდვილის და არც მოჩვენებითის);

[1234] Pomp., D.12.6.14. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Стату,. 2004, 105.

[1235] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 335; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 608.

[1236] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 332-333; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 608.

2. მხარეთა შეცდომა ვალის არარსებობის შესახებ, ანუ ვალის არარსებობაში ცრუ დარწმუნება.

თუ არარსებული ვალი შეგნებულად სრულდებოდა, მინიჭებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელი იყო; თუ შესრულება არაკეთილსინდისიერად იყო მიღებული, ფსევდო კრედიტორი ქურდობას სჩადიოდა და პასუხს *actio furti et condictio ex causa furtiva* მიხედვით აგებდა.

Condictio sine causa იმ შემთხვევაში მიეცემოდა, თუ: 1. მინიჭება, რომელიც განხორციელდა აბსტრაქტული გარიგების ან *delegatio* (კრედიტორების შეცვლა) გზით, მოხდა *iusta causa*-ს (სამართლებრივი საფუძველი) გარეშე; 2. მინიჭების მართლზომიერი საფუძველი გაჰქრა.[1237] მაგ., *datio ob dotem* (გასხვისება მზითევის დადგენის მიზნით) დროს გამსხვისებელი უფლებამოსილი იყო *condictio sine causa*-ზე იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი ქორწინება არ შედგებოდა.

Condictio ob turpem causam იმ შემთხვევაში იქნება მინიჭებული, თუ: 1. საკუთრების უფლების გადატანის საფუძველი კეთილ ზნეს არღვევდა.[1238] თანაც, მანკიერი განზრახვა[1239] მხოლოდ სარგებლის მიმღების მხარეზე უნდა შეინიშნებოდეს.[1240] მაგ., როცა ფულადი თანხა იმ მიზნით არის გადახდილი, რომ მკვლელობა ყოფილიყო ჩადენილი (შეკვეთილი მკვლელობა).[1241]

IX. Pacta (პაქტები)

Pactum – პაქტი; exceptio pacti conventi – სასარჩელო უარყოფის ფორმით დაცული, კერძო შეთანხმება; ex patre rei – მხოლოდ მოპასუხის მხარეზე გამომჟღავნებული დაცვის უარყოფითი შედეგი;

[1237] D. 12.7.4. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 141.

[1238] contra bonos mores – საკუთრების უფლების გადატანის საფუძველი კეთილ ზნეს არღვევდა.

[1239] turpitudo – მანკიერი განზრახვა.

[1240] D. 12.5.4.2. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 97.

[1241] D.12.5.2. Digesta Iustiniani. T. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 97.

ex patre actoris – მოსარჩელეს მხარეზე სასარჩელო დაცვის შესაძლებლობის ზემოქმედება; *pacta adiecta in continenti* – ძირითადი კონტრაქტის დადების მომენტში, დამატებული შეთანხმება; *pacta adiecta ex intervallo* – შეთანხმება, დადებული გარკვეული დროის გასვლის შემდეგ; *pacta nuda* – შიშველი ან სასარჩელო დაცვის გარეშე დარჩენილი პაქტები, რომლებიც მხოლოდ *exceptio*-თვის საფუძველს ქმნიდა; *pacta vestita* – შემოსილი პაქტები – სარჩელიანი დაცვით უზრუნველყოფილი შეთანხმებები; *pacta praetoria* – პრეტორის მიერ შექმნილი და სარჩელით დაცული ახალი სამართლებრივი ფიგურები და ვალდებულებები; *pacta legitima* – პოსტკლასიკურმა სამართალმა სხვა სასარჩელო ვალდებულებებიც შექმნა, რომლებიც დაცვის უფლებას იმპერატორის კანონმდებლობით იძენდნენ; *constitutum debiti* – თავისუფალ ფორმაში დაპირების მიცემა, გარკვეულ ვადაში ვალის შესრულების შესახებ; *actio de pecunia constituta* – სარჩელი ვალის აღიარებიდან, *in factum* კრედიტორს იმ მოვალის წინააღმდეგ მიეცემა, რომელმაც არ შეასრულა *constitutum* – დაპირება; *receptum arbitri* – მხარეთა წინადადებით, საკუთარ თავზე მომრიგებელი მოსამართლის როლის აღება, როცა მხარეებმა ერთმანეთთან არასასარჩელო შეთანხმება დადეს იმის შესახებ, რომ მათი დავა არბიტრს განეხილა – *compromissum*; *receptum argentrarii* – *constitutum debiti alieni* – მესამე პირის ვალის, როგორც ვალდებულების გარანტიის, განსაკუთრებული ფორმის დადასტურების შესაძლებლობის განსაკუთრებული შემთხვევა, როცა ბანკირი – *argentarius*, თავისუფალ ფორმაში, საკუთარ თავზე იღებდა მისი კლიენტის მოვალეობას, მესამე პირს გადაუხადოს აღნიშნული კლიენტის ვალი; *receptum nautarum, cauponum, stabulariorum* – განსაზღვრავს ხომალდის (*nauta*), სასტუმროს ან დუქნის (*caupo*), ქარვასლის ან საჯინიბოს (*stabularius*) მეპატრონეთა პასუხისმგებლობას, მგზავრების, ან მდგმურების ნივთების ხელშეუხებლობის გამო.

რომის სამართალში გარიგებების მიმართ დადგენილი ფორმალური მოთხოვნები და კონტრაქტების მკაცრი ტიპიზაცია იმას განაპირობებდა, რომ მხარეთა შორის დადებული მარტივი შეთანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევდა ვალდებულებით ეფექტს, თუ *causa obligationis* (ვალდებულების საფუძველი) ერთ-ერთ კონსესუ-

ალურ კონტრაქტს შეესაბამებოდა. მხოლოდ პრეტორმა მიანიჭა, თავისუფალ ფორმაში დადებულ, *pactum* – (შეთანხმებას)[1242] იურიდიული აღიარება, რაც სპეციალურ ედიქტში "*De pactis et conventionibus*" აისახა:[1243] "*Pacta conventa, quae neque dolo malo, neque adversis leges, plebiscita, senatusconsulta, edicta, decreta principum neque quo fraus cuicorum fiat facta erunt, servabo*" (მე მივცემ დაცვას იმ პაქტებს, რომლებიც არ არის დადებული ბოროტი განზრახვით და კანონების, პლებისციტების, სენატის დადგენილებების, ედიქტების და პრინცეპსის დეკრეტების საწინააღმდეგოდ და აღნიშნული (ნორმატიული აქტებიდან) რომელიმეს გვერდის ავლით). თავისუფალ ფორმაში დადებული კერძო შეთანხმების დაცვა, სასარჩელო უარყოფის ფორმაში – *exceptio pacti conventi* ხორციელდებოდა, ანუ ნეგატიური იყო და მხოლოდ მოპასუხეს მხარეზე[1244] გამომჟღავნდებოდა ხოლმე, ვინაიდან, *causa obligationis* არარსებობა, სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას დაუშვებლად მიიჩნევდა: „*Sed cum nulla subest causa, propter conventionem hic constat non posse constitui obligationen: igitur nuda pactio obligationem non parit, sed parit exceptionem*" (თუმცა, როცა არარსებობს რაიმე კანონიერი საფუძველი, გადაწყვეტილია, რომ მსგავსი შეთანხმების საფუძველზე, ვალდებულების დადგენა დაუშვებელია. მაშასადამე, შიშველი პაქტები ვალდებულებას ვერ ჰქმნიან. თუმცა სასარჩელო უარყოფის უფლების წარმოშობას ხელს უწყობენ).[1245] მიუხედავად ამისა, ის დამატებითი შეთანხმება, რომლის დადების მიზანს გარიგების შინაარსის მოდიფიცირება წარმოადგენდა, ძირითადი ვალდებულების უშუალოდ დადგენის მომენტში, თვით გარიგების სტრუქტურაში (პირობა, ვადა) შედიოდა და ზეგავლენას ახდენდა

[1242] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 236-237; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 332-333; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 600-604.

[1243] D.2.14.7.7. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 211.

[1244] exparta rei – მოპასუხე მხარე.

[1245] Ulp,4ad, ed.,D..2.14.7.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 209.

სასარჩელო დაცვის საშუალებაზე – *ex parte actoris.*[1246]

ასეთი გავლენა განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო იმ გარიგებების მიმართ, რომლებიც *iudicia bonae fidei* მეშვეობით დაიდებოდნენ, როცა მოსამართლის შეხედულება და კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპებისადმი შესაბამისობის მოთხოვნა, ფორმალურ სასარჩელო უარყოფას ცვლიდა. ასეთ შემთხვევაში, *pactum* შინაარსი უშუალოდ ძირითადი გარიგებიდან წარმოშობილ სასარჩელო მოთხოვნაში შედიოდა. ულპიანე თვლიდა: *"Quin immo interdum format ipsam actionen, ut in bonae fidei iudiciis: solemus enim dicere pacta conventa inesse bonae fidei iudiciis. Sed hoc sic accipiendum est, ut si quidem ex continenti pacta subsecuta sunt, etiam ex parte actoris insint: si ex intervallo, non inerunt, nec valebunt, si agat, ne ex pacto actio nascatur"* (მაშინ რატომ ახდენდს (პაქტი) ზოგჯერ გავლენას თვით სასარჩელო მოთხოვნაზე, როგორც ეს კეთილსინდისიერი სარჩელების დროს ხდება ხოლმე: ჩვენ ხომ მივეჩვიეთ იმაზე საუბარს, რომ დამატებითი შეთანხმება შედის კეთილსინდისიერი სარჩელების შინაარსში).[1247] თუმცა, აღნიშნული ისე უნდა აღვიქვათ, თუ პაქტები უმალვე იქნენ დამატებული ძირითადი ხელშეკრულებისადმი, მათ ძალა თვით მოსარჩელეს მხარეზეც კი გააჩნიათ; ხოლო, თუ პაქტები (დამატებული) იქნენ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ისინი გარიგებაში არ შედიან და მათ სარჩელის წარდგენის დროს არ ექნებათ ძალა, ვინაიდან პაქტიდან სასარჩელო მოთხოვნა არ წარმოიშვება. *Pacta adiecta in continenti*[1248] განსხვავდება *pacta adiecta ex intervallo*[1249] იმით არის არსებითი, რომ აქ ადგილი ჰქონდა იმ პრინციპის სიმკაცრეს, რომელითაც შიშველი შეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოშობდა. როცა *pactum* უშუალოდ შედის *bonae fidei* გარიგების სტრუქტურაში, ის ძირითადი კონტრაქტის ნაწილი ხდება და ამით მას განცალკევებული შეთანხმების თვისება

[1246] ex parte actoris – მოსარჩელეს მხარეზე.

[1247] Ulp.4 ad ed.,D.2.14.7.5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 209-210.

[1248] ძირითადი კონტრაქტის დადების მომენტში მიღწეული შეთანხმება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 236; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 332; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 602.

[1249] გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დამატებული შეთანხმებისაგან. იქვე.

ეკარგება.

Pacta nuda[1250] უნდა განვასხვავოთ თავისუფალ ფორმაში დადებული ისეთი შეთანხმებებისაგან, რომლებმაც, დროთა განმავლობაში, სასარჩელო დაცვის უფლება შეიძინეს ან *ius honorarium* (ე.წ. *pacfa praeforia*)-ით,[1251] ან პოსტკლასიკური საიმპერატორო კანონმდებლობის[1252] ძალით. *Pacta praetori*-ს რიცხვს ვალის დადასტურება[1253] მიეკუთვნება და ის სხვადასხვა ფიგურა, რომელიც პასუხისმგებლობას წარმოშობდა, საკუთარ თავზე ვალდებულების აღების შემთხვევაში (*recepta*); *pacta legitima*-ს ჯგუფს კი ჩუქება და ვალდებულებითი ეფექტის მქონე მზითვის დადგენა მიეკუთვნება.

Constitutum debiti თავისუფალ ფორმაში მიცემულ დაპირებას წარმოადგენდა, რომ მოვალე არსებული ვალის გადახდას გარკვეულ ვადაში შეასრულებდა. ვალი ფულადი თანხით ან მოსახმარი ნივთების სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. დაიშვებოდა არა მარტო საკუთარი ვალის,[1254] არამედ მესამე პირის ვალის[1255] დადასტურება, რაც ვალდებულების შესრულების გარანტიის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა.

Constitutum debiti უწინდელ ვალდებულებას არ განაახლებდა, თუმცა *exceptio pacti conventi* – სახით, დადგენილ ვადამდე, შესრულების მოთხოვნის წინააღმდეგობას უქმნიდა, აგრეთვე, აადვილებდა ვალის ანაზღაურებას დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ: კრედიტორს ენიჭებოდა პრეტორული სარჩელი *in factum* – *actio de pecunia constituta* სარჩელი ვალის აღიარებით, რომელიც კრედიტორს იმ მოვალის წინააღმდეგ მიეცემა, რომელმაც არ შეასრულა *constitutum* – დაპირება. იმპერატორმა იუსტინიანემ *actio de pecunia constituta* იმ მოთხოვნებზეც გაავრცელა, რომელთა ობიექტს მხოლოდ ფულადი ან მოხმარებადი ნივთები არ შეადგენდნენ.

[1250] pacta nuda – შიშველი პაქტებიდან. იქვე.

[1251] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 236; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 332-333; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 602.

[1252] pacta legitima – პოსტკლასიკური საიმპერატორო კანონმდებლობა. იქვე.

[1253] constitutum debiti – ვალის დადასტურება. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 333; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 602-603.

[1254] constititum debiti propri – საკუთარი ვალი. იქვე

[1255] constitutum debiti alieni – მესამე პირის ვალი. იქვე

Reseptum arbutri[1256] ნიშნავდა მხარეთა წინადადებით, საკუთარ თავზე მომრიგებელი მოსამართლის როლის აღებას, თუ ამ მხარეებმა არასასარჩელო შეთანხმება დადეს იმის შესახებ, რომ მათ დავას არბიტრი[1257] განიხილავდა. მომრიგებელი მოსამართლის როლის ამღები პირი, ვალდებული იყო განეხილა საქმე და გამოეტანა ამ საქმეზე გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტორი მას საჯარიმო სანქციებს[1258] დააკისრებდა. პასუხისმგებლობის აღნიშნული სახე პრეტორული ედიქტის სპეციალური რუბრიკით იყო გათვალისწინებული.[1259]

Receptum argentarii – constitutum debiti alieni[1260] განსაკუთრებული შემთხვევა იყო, როცა ბანკირი[1261] თავისუფალ ფორმაში, მესამე პირის მიმართ მისი კლიენტის ვალის გადახდას საკუთარ თავზე იღებდა. ბანკირი ვალდებულების შესრულებისათვის პასუხს აგებდა სპეციალური სარჩელის – *actio recepticia*, საფუძველზე. თანაც, *constitutum*-ისაგან განსხვავებით, ბანკირის პასუხისმგებლობა კლიენტის მხარეზე ვალის ჭეშმარიტ არსებობაზე არ იყო დამოკიდებული. იუსტინიანეს დროს *reseptum argentarii* მთლიანად *constitutum debiti alieni* ფიგურას გაუტოლდა.

Receptum nautarum, cauponum, stabulariorum[1262] განსაზღვრავდა ხომალდის (*nauta*), სასტუმრის ან სამიკიტნოს (*caupo*), ქარვასლისა ან საჯინიბოს (*stabularius*) მეპატრონეთა პასუხისმგებლობას მათი მგზავრების, ან მდგმურების ქონების ხელშეუხებლობის გამო.[1263] *Locatio conductio* (ქირავნობა) და *depositum* (შენახვა) ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ცივილური სარჩელებისაგან განსხვავე-

---

[1256] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 333; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 603.

[1257] compromissum – არბიტრის მიერ საქმის განხილვის შესახებ მხარეთა არასასამართლო გზით შეთანხმების მიღწევის შედეგად.

[1258] multae – საჯარიმო სანქციები.

[1259] D.4.8.3.1-2. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 537.

[1260] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 603.

[1261] argentatius – ბანკირი. Бартошек М. Римское право. Понятия, термины, определения. Москва. Юридическая литература. 1989. 50-51; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 603.

[1262] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 603.

[1263] D.4.9.1.2. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 575.

ბით, *receptum*-ის გამო პასუხისმგებლობა საკუთარ თავში უფრო *custodia*-ს,[1264] ვიდრე *culpa* – შეიცავდა და ლაბეონის აზრით, მხოლოდ მაშინ გათავისუფლდებოდა ამ პასუხისმგებლობიდან, თუ დაამტკიცებდა, რომ დაუძლეველი ძალის ზემოქმედებას[1265] ჰქონდა ადგილი.[1266]

ამრიგად, დასკვნის სახით უნდა განიმარტოს, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ, სამართალგანვითარების თვალსაზრისით, კონსესუალური კონტრაქტების შემდგომი განვითარების საქმეში მცირეოდები ცვლილებები შეიტანა: 1. მან ზოგიერთ *pactum*-ს სასარჩელო დაცვის უფლება მიანიჭა: ნაწილობრივ იურისტების სამართლის, ნაწილობრივ კი – პრეტორული და საიმპერატორო კანონშემოქმედების საფუძველზე. კერძოდ, იურისტების სამართალი იცავდა *pacta adiecta in conventi*, რომლებიც უშუალოდ *bonae fidei* გარიგებების დროს დაიდებოდა, ანუ მათი გაფორმებოს მომენტში. პრეტოტული სამართალი იცავდა ე.წ. *pacta praetoria*-ს, ხოლო იმპერატორის კანონები იცავდა ე.წ. *pacta legitima*-ს (*pactum dotis* – მხარეებს (მეუღლეებს) შეეძლოთ მზითვის შესახებ, წვრილმანი საკითხების დათქმა სპეციალური შეთანხმებით გაეფორმებინათ, თუმცა იმ პირობით, რომ ისინი დოტაციური რეგლამენტაციის ძირითად პრინციპებს დაიცავდნენ (კერძოდ, არ გაუარესდებოდა ცოლის მდგომარეობა და ქმარიც შემოსავლის წყაროს არ დაკარგავდა, *pactum donationis* და 500 სოლიდი – შეთანხმება იმ ნივთების სამომავლო ჩუქების შესახებ, რომელთა საერთო ღირებულება 500 სოლიდზე ნაკლებს შეადგენდა (ოქროს მონეტები) და იუსტინიანეს კანონმდებლობა, ნივთის გადაცემის შესახებ მოთხოვნის უშუალო საფუძველს წარმოადგენდა; 2. თუ *pactum* მიმართული იყო ურთიერთმოქმედებისაკენ და ერთ-ერთმა მხარემ შეასრულა დაპირებული მოქმედება, წარმოიშობოდა უსახელო[1267] რეალური კონტრაქტი: *do ut des, do ut facias, facio ut des, facio ut facias*; 3. იმპერატორმა ზენონმა დაადგინა კონსესუალური კონტრაქტის – *contractus emphyteuticarius* ახალი ნაირსახეობა.

[1264] მოვალეობა გამოიჩინო განსაკუთრებული ყაირათიანობა, რომელიც პასუხისმგებლობის უფრო მაღალ ხარისხს წარმოშობს.

[1265] damnum fatale – დაუძლეველი ძალის ზემოქმედებას.

[1266] D.4.9.3.1. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 577.

[1267] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 329-331; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 592-600.

X. Delictum (დელიქტი)

Delictum – დელიქტი; *crimen* – დანაშაული; *vindicta* – შურისძიება; *talio* – ტალიონი; *infamia* – შეურაცხყოფის მიყენება – უღირსად მიჩნევა; *noxae deditio* – სამართალდამრღვევის დაზარალებულისათვის გადაცემა; *actio de pauperie* – სხვისი ცხოველის მიერ მიყენებული ზიანიდან წარმოშობილი სარჩელი; *furtum* – ქურდობა; *furtum usus* – სარგებლობის უფლების მოპარვა; *furtum possessionis* – მფლობელობის უფლების მოპარვა; *furtum proprietatis* – საკუთრების უფლების მოპარვა; *furtum manifestum* – ნაქურდალით ხელში ქურდის დაკავება; *furtum nec manifestum* – დაფარული ქურდობა; *actio furti* – საჯარიმო პასიხისმგებლობა ქურდობისათვის, რომელიც *per formulas* პროცესის ჩარჩოებში ხორციელდებოდა; *furtum oblatum* – ნაქურდალის დამალვა; *furtum conceptum* – აშკარა ქურდობას უტოლდებოდა ის გარემოება, როცა ნაქურდალი ნივთი აღმოჩნდებოდა სარიტუალო ჩხრეკვის ჩატარების დროს; *crimina extraordinaria* – იმპერატორის კანონმდებლობით დადგენილი ქურდობის დანაშაული, რომელიც ძალზედ მკაცრ სასჯელს იწვევდა – სიკვდილის დასჯის ჩათვლით; *crimen expilatae hereditatis* – სამკვიდროს მოპარვა; *rapina* – ძარცვა; *actio vi bonorum raptorum* – ძარცვა იდევნებოდა პრეტორ ლუკულუსის მიერ ქრ. შ-მდე 76 წ. შემოღებული სარჩელით, რომელიც გულისხმობდა, ძალის გამოყენებით, ნაძარცვი ქონების ამოღებას; *damnum iniuria datum* – ზიანის მართლსაწინააღმდეგო მიყენება; *actiones legis Aquiliae* – *per formulas* პროცესის ფარგლებში წარმოშობილი სარჩელი, რომელიც *lex Aquilia*-ს თავებზე იყო დაფუძნებული; *actio servi corrupti* – მონის გარყვნის თაობაზე შეტანილი სარჩელი; *dolo malo vi hominibus armatis coactive damnum datum* – ქრ. შ.-მდე I საუკუნეში პრეტორმა შემოიღო სპეციალური სარჩელი შეიარაღებულ პირთა ჯგუფის დევნის შესახებ, რომელმაც ზიანის განზრახვით მიყენება ჩაიდინა; *iniuria* – პიროვნების შეურაცხყოფა; *membrum ruptum* – ასოთმიღება; *os fractum* – სხეულის მძიმე დაზიანება (ძვლის მოტეხა); *iniuria* – პიროვნების ნებისმიერი შეურაცხყოფა; *lex Cornelia de iniuriis* – ქრ. შ.-მდე 81 წ. შემოღებული კანონით, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული, განსაკუთრებით მძიმე სამართალდარღვევები, განიხილებოდა როგორც *crimina* – დანაშაული; *quaestio*

de iniuriis – პრინციპატის პერიოდში cognito extra ordinem ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძო სარჩელის ალტერნატივად, ჩამოყალიბებული საჯარო სამართალწარმოება; convicium adversus bonos mores – პატიოსანი ქცევების საწინააღმდეგო გამოხტომები, რომლებშიც მუქარა ან სხვა უხამსი სიტყვები იგულისხმებოდა; adtemplata puditicia – შეურაცხყოფილი უმანკოება, რომელიც, მაღალი წრის ქალების მიმართ, თავდასხმაში, ან, ორივე სქესის მცირეწლოვანთა მიმართ, უხეშ მოქცევაში იგულისხმებოდა; edictum de effusis et deiectis – პრეტორი ედიქტით აწესებდა პასუხისმგებლობას ფანჯრიდან რაიმეს გადაგდების ან გადაქცევის გამო; actiones populares – სარჩელი, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო წარედგინა იმის გამო, რომ მრავალბინიანი სახლის მობინადრემ, ან ნებისმიერმა მესამე პირმა ფანჯრიდან რაიმე ისროლა ან გადააქცია, რითაც სხეულებრივი დაზიანება მიაყენა გამვლელს, ან ფანჯრებს ქვეშ მდგარ პირს; edictum de positum – გულისხმობდა გამვლელთათვის მხოლოდ საფრთხის შექმნას; culpa in eligendo – დაუდევრობა თანამშრომელი პირის შერჩევის დროს.

§1. Delictum ცნება და პირობები

დელიქტი[1268] ისეთი აკრძალული ქმედება იყო, რომელიც ვალდებულების წარმოშობას იწვევდა. ყოველგვარი დელიქტი გულისხმობდა:[1269] ა) მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას (და არა მარტივ წინდაუხედაობას); მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა შეიცავდეს, ზოგადი წესით, *dolus*-ს (ფარული, ბოროტი განზრახვა), ხოლო ერთ შემთხვევაში (*damnum iniuria datum*) – *culpa*-ს (გაუფრთხილებლობა, გაუფრთხილებელი ბრალი, გაუფრთხილებელი გადაცდომა); დელიქტუნარიანი შეიძლება იყოს მხოლოდ შერაცხადი პირი; ბ) *Delictum* რაიმე ადამიანური სიკეთის ხელყოფას ან დაზიანებას გულისხმობდა (სხეული, თავისუფლება,

[1268] Inst. Iust. 4.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 204.

[1269] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 104-105.

ქონება, პატივი და ღირსება).

Delictum, როგორც კერძო ხასიათის სამართალდარღვევა, დაზარალებულის მხარეზე ორგვარი ხასიათის ინტერესს წარმოშობდა: ზიანის მიმყენებლის დასჯის სურვილსა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების აუცილებლობას.[1270] აქედან გამომდინარე, *ex delicto*-დან კრედიტორი ფლობდა ორ მოთხოვნას, რომლებიც, კუმულაციურად, ორი ტიპის სარჩელებით იყო დაცული: საჯარიმო სარჩელით[1271] და არასაჯარიმო სარჩელით,[1272] რომლის მეშვეობით ხდებოდა ქონერბრივი ინტერესის დაკმაყოფილება.

ამრიგად, ჯარიმის გადახდის ვალდებულება იმას გულისხმობდა, რომ *ius civile*-ს მიხედვით, ზოგიერთი ქმედება (ე.წ. *delicta privata*[1273]) ისჯებოდა არა სისხლის სამართლის წესით, არამედ – დაზარალებული მხარის სასარგებლოდ, ჯარიმის გადახდევინებით, რომელსაც ეს უკანასკნელი სამოქალაქო სარჩელის წარდგენის მეშვეობით მოითხოვდა; იმპერიის ხანაში, პირველად, *delicta privata* სფეროში დაზარალებული მხარე არჩევანის წინაშე იყო დაყენებული: ან მოეთხოვა კერძო ჯარიმის გადახდა სამოქალაქო სარჩელის საფუძველზე, ან მოეთხოვა ხელმყოფის სისხლის სამართლის წესით დასჯა ე.წ. *crimen extra ordinarium*-ის გამო, ხოლო მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ მაშინ ხორციელდებოდა, თუ ქონებრივი ზარალის მიყენებას ჰქონდა ადგილი.

რომის სამართლის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობდა, რომ სამართალდამრღვევი კერძო პირის ინიციატივის საფუძველზე იდევნებოდა და მას ჯარიმის გადახდა დაზარალებული პირის სა-

---

[1270] Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 337; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 610.

[1271] actio poenalis – საჯარიმო სარჩელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 34; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 427-428; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 337; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 610.

[1272] actio rei persecutoria – არასაჯარიმო სარჩელით. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 34; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 427; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 610.

[1273] delicta privata – კერძო სამართალდარღვევა. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 337.

სარგებლოდ ეკისრებოდა. სწორედ ამაში მდგომარეობდა *delictum*-ის (კერძო სამართალდარღვევის) *crimen*-გან (სისხლის სამართლის დანაშაულისაგან) განსხვავება, ვინაიდან ეს უკანასკნელი არა კერძო პირის ინტერესებს ხელყოფდა, არამედ მთელი საზოგადოების წინააღმდეგ იყო მიმართული. სამართლის წყაროთა უდიდესი ნაწილი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ძველ რომში განსაკუთრებული ყურადღება *delicta privata*-ს ეთმობოდა, რაზეც თვით სასამართლო განხილვებიც მეტყველებდა, რომელთა ინიციატორები კერძო პირები გახლდათ. თუმცა, სისხლის სამართლის დანაშაულიც ცალკეულ მოქალაქეთა ინიციატივის საფუძველზე იდევნებოდა: *quivis de populo*[1274] – ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო სისხლის სამართლის პროცესის აღძვრა, საჯარო სასამართლო განხილვების[1275] წესის შესაბამისად; ამ დროს ჯარიმის გადახდევინება რომაელი ხალხის სასარგებლოდ ხდებოდა. სამართალდარღვევისათვის დადგენილი სამართლებრივი დევნის დისპოზიციურობა რომაული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კერძო ავტონომიისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ დონეს ასახავდა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში საჯარიმო დევნის კერძო პირის ინტერესად მიჩნევა ცალკეული ინდივიდის აქტიურ მონაწილეობასთან იყო დაკავშირებული, რის გამოც, დაზარალებული პირის ქონებრივი ინტერესი საზოგადოებაში დადგენილი ქცევის წესების მხოლოდ ერთ სახეობას წარმოადგენდა, რომელსაც სამართალდამრღვევი პირის წინააღმდეგ იყენებდნენ თვით ინდივიდების კერძო მოთხოვნებიდან გამომდინარე და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით. თითოეული მოქალაქის მიერ მართლწესრიგის დაცვა, საკუთარ თავში, თითოეული მოქალაქის სამართლებრივ აქტიურობას იმ საკითხთან მიმართებით შეიცავდა, რომ ყველა სამართალდამრღვევს საკუთარ დანაშაულზე პასუხი უნდა ეგო. ძველი რომის საზოგადოება მიიჩნევდა, რომ ნებისმიერი სამართალდარღვევა თითოეული მოქალაქის ავტონომიას, მის სამართლებრივ თავისუფლებას ხელყოფდა და შესაბამისად, სამართალდამრღვევიც მოქალაქის სასარგებლოდ ისჯებოდა. ფორმალიზაციის (სამართლებრივი შუალობის) აუცილებელი ხარისხი

[1274] quivis de populo – ნებისმიერი ხალხიდან. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 611.

[1275] ordo iudiciorum publicorum – საჯარო სასამართლო განხილვები.

ჯარიმის ფულადი ხასიათით მიიღწევა – ე.ი. ღირებულების საყოველთაო ექვივალენტის ფორმით.

სამართალში დამკვიდრდა შეხედულება, რომ უძველეს დროში სამართალდარღვევისათვის დაზარალებული მხარე ხელმყოფის წინააღმდეგ შურისძიებას (*vindicta*) ახორციელებდა, რომელიც თანდათანობით კომპოზიციის (სამართალდარღვევის გამო ხელმყოფთან კომპენსაციის (*pactio*) შესახებ შეთანხმება, რომელსაც ეს უკანასკნელი დაზარალებულის ოჯახს უხდიდა) სისტემით შეიცვალა.[1276]

აღნიშნული წარმოდგენა მთლად ზუსტად ვერ ასახავს ურთიერთობათა მოგვარების ნამდვილ სურათს, ვინაიდან კერძო შურისძიება არასამართლებრივ მოვლენად განიხილება. თუმცა, პასუხისმგებლობის ამ განუვითარებელ ფორმაში, უკვე საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოგვარების აუცილებლობა იყო გამოხატული.

ფორმალური თანასწორობისა და წარმოდგენათა თანაზომიერების სამართლებრივი პრინციპი, პირველად, ტალიონის (*talio*) სისტემაში პოვებს გამოხატულებას და განისაზღვრება შემდეგი პრინციპით: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ".[1277] დამნაშავის ადეკვატური დაზიანებით დაკმაყოფილებულია არა მარტო შურისძიების გრძნობა – ტანჯვის ანაზღაურება და მიყენებული ზიანის სახით შედარებითი თანასწორობის აღდგენა, არამედ ურთიერთობათა ზოგადი ჰარმონიაა აღდგენილი. ასეთი შურისძიება, მისი უხეში ნატურალიზმის მიუხედავად, თანაზომიერების კრიტერიუმიდან გამომდინარეობდა: შურისმაძიებელი საყოველთაო სამართლიანობის იარაღად გვევლინება. ძველად შურისძიების იდეა რელიგიურადაც იყო გაფორმებული და ამგვარად, საზოგადოებრივ ურთიერთობებში მისი საყოველთაო ავტორიტეტის აღიარების აუცილებლობა ხდებოდა. ხელმყოფი განიხილებოდა არა მარტო ზიანისა და საყოველთაო შფოთის წყაროდ, არამედ ცოდვილად, იმ პირად, რომელმაც საკუთარი ქმედებით თავი საყოველ-

---

[1276] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 426; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 611.

[1277] Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 426; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 611.

თაოდ აღიარებული ნორმებისა და წესრიგის სისტემის ფარგლებს გარეთ ჩაიყენა. ამის გამო, მას უფრო დაბალი (უღირსი) ბედის ადამიანად მიიჩნევდნენ და მის წინააღმდეგ მოქმედებდა სტატუსი: *sacer* (ღმერთისადმი მიძღვნილი) – კანონგარეშედ გამოცხადებული; *improbus intestabilisque* (უღირსი და მანკიერი) ნდობადაკარგული პირი, რომელსაც მოწმეობის უფლება ჩამოერთვა. მას შემდეგ, რაც ხელმყოფი თანაცხოვრების ზოგად წესებს დაარღვევდა, ის საკუთარ თავს კარგავდა და საკუთარი პიროვნების საფუძვლებს ანგრევდა.

კლასიკურ ეპოქაში ის პირი, რომელიც სამართალდარღვევას ჩაიდენდა, არსებითად, სამართალსუბიექტობის თვალსაზრისითაც იზღუდებოდა და ამის გამოხატულება ინფამია[1278] (უღირსობა, უპატიებელი ქმედება, სახელის შერცხვენა) იყო, რომელიც საჯარიმო სარჩელს შეფარდებული პირის მიმართ გამოყენებოდა.

ცოდვად ის სამართალდარღვევაც განიხილებოდა, რომელსაც ხელისუფლებაში მყოფი პირი ჩაიდენდა და ეს ქმედება საყოველთაო სირცხვილად იმ ოჯახის მიმართ მიიჩნეოდა, რომლის წევრი იყო აღნიშნული პირი. ამიტომ, ოჯახი მის მოკვეთას ცდილობდა. ოჯახიდან მოკვეთა *capitis deminutio minima* იწვევდა და სამართალდამრღვევი, პრაქტიკულად, დაუცველი რჩებოდა. მოკვეთის გარდა, სამართალდამრღვევი დაზარალებულის მორჩილებაში გადადიოდა, რითაც უძველეს დროში პასუხისმგებლობის იდეა იგულისხმებოდა ხოლმე. ამიტომ, სამართალდამრღვევ პირს, რომელიც *paterfamilias*-ის ხელქვეითი იყო, სამართალდარღვევის კომპენსაციის პირობით,[1279] დაზარალებულ მხარეს გადასცემდნენ. თუმცა, მამამთავარს, კომპენსაციის გადახდის გზით (*poena*), სამართალდარღვევის პირადი ასპექტის ნეიტრალიზება შეეძლო, რომელიც დაზარალებულ მხარეს უნაზღაურდებოდა. ამგვარად, ხელისუფლებაში მყოფი პირის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა და საჯარიმო მოვალეობის სახით იყო აღქმული,[1280] მაშინ, როცა *noxae deditio* – აღსრულების ფაკულტატურ შეცვლას წარმოადგენდა. პირადი პასუხისმგებლობის უძველეს სახეს შემდეგი წესი წარმოადგენდა:

[1278] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 612.

[1279] noxae deditio – სამართალდარღვევის კომპენსაციის პირობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 102-103.

[1280] in obligatione – საჯარიმო მოვალეობის სახით აღქმა.

noxa caput sequitur.[1281] აღნიშნული წესის თანახმად, ნოქსალური პასუხისმგებლობა, სამართალდარღვევის გამო ეკისრება არა იმ პიროვნებას, დელიქტის ჩადენის მომენტში, ვისი ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა პირი, არამედ იმ *paterfamilias*-ზე გადადიოდა, რომელსაც ბრალდებული პირი სარჩელის შეტანის მომენტში ექვემდებარებოდა.

მსგავსი წესი XII დაფის კანონების მიერ გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევაშიც, როცა, ზიანის (*pauperies*) მიმყენებელი იყო, *res mancipi*-ს კატეგორიაში შესული მოშინაურებული ცხოველი: *actio de pauperie*-თი მეპატრონე ვალდებული იყო დაზარალებულისათვის ზარალი აენაზღაურებინა ან მისთვის ზიანის მიმყენებელი ცხოველი გადაეცა. *Actio de pauperie*-ის მიხედვით, ცხოველის უეცარი სიშმაგე პასუხისმგებლობის რეკვიზიტად ითვლებოდა, თუნდაც მისი ბუნება სულაც არ იყო ასეთად ცნობილი და მისთვის მშვიდი მოქმედება იყო დამახასიათებელი.

პასუხისმგებლობა ცხოველის საქციელის გამო დგება და *obligatio propter rem*-ს წარმოადგენდა; თუმცა, ეს პრინციპი იმის აღიარებას ემყარება, რომ ასეთ ცხოველებს გარკვეული ნება გააჩნიათ, ისინი მათი პატრონის მოთხოვნებს ემორჩილებოდნენ, რაც არსებით პირობად მიიჩნეოდა *res mancipi* ნივთების მიმართ.

§2. Furtum (ქურდობა)

ქურდობის, როგორც სხვისი მოძრავი ქონების მართალსაწინააღმდეგო მითვისების ცნება, რომის იურიდიულ აზროვნებაში საკმაოდ ადრე, ჯერ კიდევ რესპუბლიკურ ხანაში ჩამოყალიბდა და მასში თავმოყრილი იყო სამართალდარღვევათა ფასართო წრე, რომლებიც დაკავშირებული იყო ქონებრივი ზიანის მიყენებასა ან სხვა პირის ხარჯზე, მართლსაწინააღმდეგო გამდიდრებასთან. თანდათანობით, *damnum iniuria datum*[1282] ცნების ჩამოყალიბებით (შემოღებულ იქნა ქრ. შ-მდე 286 წ. *lex Aquilia*[1283] და აღნიშნული

[1281] noxa caput sequitur – შურისძიება პიროვნებას თან სდევდა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 227.

[1282] damnum iniuria datum – მართლსაწინააღმდეგო ზარალის მიყენება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 98.

[1283] იქვე, 183.

კანონის გამოყენების სფეროს გაფართოებასთან ერთად, მითუმეტეს, რომ *ius civile* და *ius praetorium* აყალიბებდა *delictum* ახალ სახეობებს, *furtum*[1284] მნიშვნელობა მკვეთრად შეიზღუდა, თუმცა, თანამედროვე გაგებით, ქურდობის ცნებასთან შედარებით, კვლავ ძალზე ფართო მნიშვნელობას ინარჩუნებდა. მასში სხვისი ქონების ძალისმიერი მითვისების გარდა – ძარცვა (*rapina*), ისეთი სახის ქმედებანიც შევიდა, როგორიც იყო: 1. *Furtum usus,*[1285] როცა სესხის ან შესანახად გადაცემული ნივთის მიმღები გადაამეტებდა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს სხვისი ნივთით სარგებლობის ან მისი პყრობის მიმართ; 2. *Furtum possessionis,*[1286] როცა გირაოს მიმცემი პირი, თვითნებურად დაეუფლებოდა გირაოში მიცემულ ნივთს (გაიუსი, ამ ვითარებაში, ნორმალურ ქურდობას ხედავდა – *furtum rei* და ამბობდა, რომ აქ ნივთის მესაკუთრე საკუთარი ნივთის ქურდობას სჩადიოდა – *furtum suae rei.*[1287]); 3. *Furtum proprietatis,*[1288] როცა უზუფრუქტუარიუსი ნივთის სამეურნეო დან-

---

[1284] Inst. Iust. 4.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 204; Gai., 3.182. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 170; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 428-434; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 613-617; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 338-340.

[1285] Furtum usus – სარგებლობის უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება. Gai.,3.196. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 174; Inst. Iust. 4.1.7. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 206.

[1286] Furtum possessionis – მფლობელობის უფლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა. Gai., 3.200,204. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, ,175, 176; Inst. Iust. 4.1.10. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 207.

[1287] Gai., 3.204. იქვე, 176.

[1288] furtum proprietatis – საკუთრების უფლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა.

იშნულების შეცვლას ახდენდა.

Paul., D.47.2.1.3[1289] ჩამოაყალიბა ქურდობის ცნება: "*Furtum est contrectatio rei fraudulosa lucri faciendi gratia vel ipsius rei vel etiam usus eius possessionisve*" (ქურდობა არის ნივთის ამოღება, ჩადენილი მოტყუებით და გამდიდრების მიზნით, იქნება ეს თვით ნივთის (ამოღება, მისით სარგებლობა, თუ მისი დაუფლება).

ქურდობის შემადგენლობისათვის არსებითი პირობები იყო: 1) თვით ნივთის სასარგებლო თვისებების მითვისება, ნივთის მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ; 2) მისგან სარგებელის მიღება; 3) მიზანმიმართულად: *animus furandi* – ამ დელიქტის აუცილებელ სუბიექტურ რეკვიზიტად მიიჩნეოდა.[1290] თუმცა, ამავდროულად, მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველი ქურდობის კლასიფიკაციისათვის არ იყო საკმარისი; სავალდებულოა, აგრეთვე, მატერიალური მოქმედების, სხვისი ნივთის დატაცების განხორციელება (*contrectatio*). უკვე XII დაფის კანონები განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან აშკარა ქურდობას, როცა ქურდი ნაქურდალით ხელში იქნებოდა დაკავებული – *furtum manifestum* და ფარულ ქურდობას – *furtum nec manifestum*.[1291] პირველ შემთხვევაში, ქურდი გაიროზგებოდა და დაზარალებულის ხელისუფლებაში გადაეცემოდა (თავდაპირველად, უშუალოდ, მოგვიანებით – სასამართლო მაგისტრატის *adictio*-ს საფუძველზე). ქურდი დაზარალებულის მონად ცხადდებოდა (*veteres*). *Furtum nec manifestum* შემ-

---

Gai., 3.195. . რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 174; Inst. Iust. 4.1.6. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 206.

[1289] Paul., D. 47.2.1.3 Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 379.

[1290] D.47.2.33. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 401.

[1291] Gai., 3.183. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 171; Inst. Iust. 4.1.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 204.

თხვევაში, გათვალისწინებული იყო ჯარიმა ნაქურდალის ორმაგი ღირებულების ოდენობით. XII დაფის კანონები აშკარა ქურდობასთან იმ მდგომარეობას ათანაბრებდნენ, როცა ნაქურდალი ნივთი სარიტუალო ჩხრეკის დროს აღმოჩნდებოდა – *furtum conceptum*,[1292] რაც ნაქურდალის გადამალვის შედეგიც შეიძლება ყოფილიყო – *furtum oblatum*.[1293] ამ შემთხვევაში, XII დაფის კანონები ჯარიმის სამმაგ ოდენობას ითვალისწინებდნენ.

ქურდობის ოთხი დასახელებული ნაირსახეობიდან (ეს სისტემატიზაცია ჯერ კიდევ მაზურიუს საბინუსმა და სერვიუს სულპიციუსმა შეიმუშავეს) ლაბეონი მხოლოდ პირველ ორ ნაირსახეობას ცნობდა და *furtum conceptum et furtum oblatim*-ის დამოუკიდებელი შემადგენლობის მნიშვნელობას უარყოფდა.[1294]

Per formulas პროცესის ფარგლებში, ქურდობისათვის საჯარიმო პასუხისმგებლობა დადგენილი იყო *actio furti* (*manifesti* ან *nec manifesti*)[1295] მეშვეობით. აღნიშნულ სარჩელს გაქურდულ პირს ანიჭებდნენ, თანაც არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, ეს პირი იქნებოდა თუ – არა ნივთის მესაკუთრე ან მფლობელი. ამის მიუხედავად, მოქმედებდა პრინციპი, რომ სარჩელი უნდა მისცემოდა ნივთის ხელშეუხებლად შენარჩუნებაში დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.[1296]

[1292] Gai.,3.186. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 172; Inst. Iust. 4.1.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 205.

[1293] Gai.,3.187. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 172; Inst. Iust. 4.1.4 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 205.

[1294] Gai.,3.183. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 171.

[1295] Inst. Iust. 4.1.4, 13-16 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 205-206, 208-211.

[1296] D.47.2.77.1. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 437-439.

§3. Rapina (ძარცვა)

Prudentes, ძალის გამოყენებით, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო ამოღებას *rapina* (ძარცვას)[1297] უწოდებდნენ და მას კვალიფიციურ ქურდობად მიიჩნევდნენ: პაპინიანე *rapina*-ს *furtum manifestum*-ის შემადგენლობას მიაკუთვნებდა.[1298] ძარცვა ქრ. შ. 76 წ. პროკონსულ ლუკულუსის მიერ შემოღებული სარჩელით – *actio vi bonorum raptorum*[1299] იდევნებოდა. სარჩელის შეტანა დანაშაულის ჩადენიდან ერთი წლის განმავლობაში იყო შესაძლებელი. ჯარიმა, ამოღებული ქონების, ოთხმაგ ოდენობას გულისხმობდა.[1300] ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მხოლოდ მიყენებული ზიანის მარტივი ანაზღაურება (*in sinplum*) იყო დასაშვები.

სარჩელის პრეტორული ხასიათის მიუხედავად, ძარცვას – კლასიკოსები, ხოლო მოგვიანებით იუსტინიანეს კანონმდებლობა, მაინც დელიქტად, კერძო (ცივილური) სამართალდარღვევის ერთერთ სახედ მიიჩნევდნენ.[1301] ძარცვას ქურდობისაგან ქმედების

[1297] Gai.,3.209. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 172; Inst. Iust. 4.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი. 2002, 212; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 617-618; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 340.

[1298] D.47.2.81.4. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 441.

[1299] actio vi bonorum raptorum – სარჩელი ძალის გამოყენებით ამოღებული ქონების შესახებ. Gai., 3.209. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 178; Inst. Iust. 4.2.1-2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 212-213.

[1300] D.47.82 pr. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 441.

[1301] Gai., 3.209. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 178; D. 47.8.1. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, с.463-465; D.2.10. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები.

ფარულობის არარსებობა განასხვავებდა.[1302] კლასიკოსთა ნაწილი ძარცვის გამო შეტანილ სარჩელს შერეულად მიიჩნევდა.[1303] ეს შეხედულება შემდგომში იუსტინიანემაც გაიზიარა.[1304]

§4. Damnum iniuria datum (ზიანის მართლსაწინააღმდეგო მიყენება)

ქმედების აღნიშნული შემადგენლობა, განზოგადების ძალზედ მაღალ დონეს მოითხოვდა, რის გამო, უძველეს ეპოქაში ის უცნობი იყო. XII დაფის კანონები რამდენიმე სპეციფიკურ ჰიპოთეზას გულისხმობდა, რომელთა შორის ცნობილია ხეების თვითნებური გაჩეხვა, სხვისი მონისათვის მიყენებული დაზიანება.[1305] მართლსაწინააღმდეგოდ მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობამ დამოუკიდებელი ახსნა-განმარტება ქრ. შ.-მდე 286 წ. მიღებულ აკვილიუსის კანონში (*lex Aquilia*)[1306] შეიძინა. კანონი სამი თავისაგან შედგებოდა: მეორე თავი გულისხმობდა დამატებითი კრედიტორის დევნას (*manus iniectio* – მოვალეზე „ხელის დადება“ –

შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 180-183; D.4.2.14.2. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 421.

[1302] D.47.9.5. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 1. книги XLV-XLVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2005, 481.

[1303] Gai.,4.8. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 184.

[1304] Inst.Iust.4.6.19. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ. თბილისი, 2002, 230. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003,621.

[1305] os fractum – სხვისი მონისათვის მიყენებული დაზიანება. იქვე, 621.

[1306] Inst.Iust.4.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 214-218; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 445-450; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 618-621; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 340-342.

ფორმით), სტიპულაციიდან წარმოშობილი ვალის გამო ძირითადი კრედიტორის სანინააღმდეგოდ *acceptilatio* (ვერბალური ან ლიტერალური ვალდებულებიდან წარმოშობილი ვალის საზეიმო გაქვითვა მის საპირისპირო ფორმაში. კლასიკურ ეპოქაში ამ საჭიროების დაკმაყოფილება *actio mandati (in ius, in personam, incerta, bonae fidei* – დავალების ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი სარჩელი, როგორც წესი ურთიერთანგარიშსწორების შესახებ) მეშვეობით მოხდა.[1307] პირველი თავი სხვისი მონის ან პირუტყვის მკვლელობის გამო პასუხისმგებლობას გულისხმობდა, რაც განადგურებული ნივთის ღირებულების უმაღლეს ფასს შეადგენდა ერთი წლის განმავლობაში. მესაკუთრისათვის ჯარმის გადახდის მოვალეობა[1308] სანქციონირებული იყო *manus iniectio* მეშვეობით.

მესამე თავი ნებისმიერი ნივთის ყოველგვარ დაზიანებას ეხებოდა: ბრალეულს (კვლავ *manus iniectio* მუქარით) მესაკუთრისათვის ჯარიმის გადახდის მოვალეობა ეკისრებოდა ნივთის უმაღლესი ფასის ოდენობით, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში.[1309]

Per formulas პროცესის ფარგლებში *in ius* სარჩელები წარმოიქმნა, რომლებიც აკვილიუსის კანონის ცალკეულ თავებზე იყო დაფუძნებული – *actiones legis Aquiliae*. თუ მოპასუხე საკუთარ ბრალეულობას უარყოფდა, მისი პასუხისმგებლობა ორმაგდებოდა, თუ არა – სარჩელის ფორმულა მოსამართლეს მოუწოდებდა უშუალოდ განეხორციელებინა *aestimatio,*[1310] მოპასუხის აღიარების[1311] საფუძველზე.[1312] ამ შემთხვევაში, *in simplum* მინიჭებას ჰქონდა

[1307] Gai.,3.216. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 179-180.

[1308] damnas esto dare – D.9.2.2,pr. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 391-393; Gai.,3.210. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 178.

[1309] Gai.,3.218. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 180.

[1310] aestimatio – ნივთის ღირებულების შეფასება.

[1311] confessio – მოპასუხის აღარების.

[1312] D.9.2.23.10; 26. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 407,409

ადგილი: სანქციის საჯარიმო ხასიათი იმაში მდგომარეობდა, რომ მხედველობაში მიიღებოდა ნივთის არა ნომინალური ღირებულება, არამედ მისი უმაღლესი ფასი უკანასკნელი წლის ან თვის განმავლობაში. აკვილიუსის კანონის საფუძველზე პასუხისმგებლობის შეფარდება სუბიექტურ ხასიათს ატარებდა: *iniuria*-ში (მართლსაწინააღმდეგოდ), უკვე რესპუბლიკის ხანაში, იგულისხმება როგორც ბრალეული ქმედება – *culpa* და არა მხოლოდ ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის ობიექტური კავშირი, ისევე დაუდევრობაც – *culpa levissima*.[1313] ბრალეული ქმედება შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზეც იდევნებოდა. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღებოდა *in iure*, ანუ *ius civile* სასარჩელო სისტემის ფარგლებში, მიყენებული ზიანი. აკვილიუსის კანონით გათვალისწინებული იყო მხოლოდ პირდაპირი დაზიანების შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობა. ასეთი დაზიანების მიყენება შესაძლებელი იყო ბრალეულის ფიზიკური მოქმედების შედეგად: *damnum corpore corpori datum.*[1314] სხვა შემთხვევაში პრეტორი, საკუთარი *decretum* საფუძველზე დაზარალებულ მხარეს მიანიჭებდა *in factum* ან *actiones utiles (actiones ad exemplum)* სინონიმი. მათ პრეტორი იძლეოდა, თითოეულ ახალ შემთხვევაში, ანალოგიით და უკვე გამოყენებული ფორმულის გავრცელების მეშვეობით, რომლებიც ანალოგიის გამოყენებას ეფუძნებოდნენ – *ad exemplum legis Aquiliae*. გადაწყვეტილების მიღება აღნიშნულ ქმედებაზე ლამის შემთხვევითობას წარმოადგენდა. ამიტომ იურისტების მოსაზრებებმა, აღნიშნულ საკითხზე, პრეტორულ ედიქტში ასახვა ვერ ჰპოვეს.

ქრ. შ-მდე I ს-ში პრეტორმა შემოიღო სპეციალური სარჩელი, რომლის საფუძველზე იდევნებოდა პირთა ჯგუფის მიერ მიყენებული განზრახი დაზიანება – *dolo malo vi hominibus armatis coactisve damnum datum.*

სარჩელი მიყენებული ზიანის ოთხმაგ ანაზღაურებას გულისხმობდა, თუ სარჩელი ბრალეული მხარის წინააღმდეგ დაზიანებიდან ერთი წლის ვადაში იქნებოდა წარდგენილი და მარტივ ანაზღაურებას (*in simplum*), თუ ამ ვადის გადაცილება მოხდებოდა.[1315]

[1313] D.9.2.44 pr. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 429

[1314] damnum corpore corpori datum – ზიანი, რომელიც სხეულს სხეულით მიადგა.

[1315] Дождев Д.В., Римское частное право. Учебник для ВУЗов. Москва. Норма,

§5. Iniuria (პიროვნების შეურაცხყოფა)

XII დაფის კანონებმა პირადი შეურაცხყოფის[1316] სამი ჰიპოთეზა გამოჰყვეს:

1: *Membrum ruptum* (ასოთმიღება),[1317] *os fractum* (მოტეხილი ძვალი, სხეულის მძიმე დაზიანება)[1318], *iniuria* – პიროვნების ნებისმიერი შეურაცხყოფა.[1319] ქმედების შემადგენლობის გაურკვეველობა და განზოგადების სხვადასხვა ხარისხი ყველა შემთხვევაში იმაზე მიუთითებდა, რომ XII დაფის კანონებმა გააერთიანა სამართალდარღვევის რეგულირების მრავალსაუკუნოვანი და სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი გამოცდილება. კერძოდ, ასოთმიღების დროს, კომპოზიციის შესაძლებლობის გვერდით, ნორმალურ სასჯელად, ტალიონის (*talio*) პრინციპით გათვალისწინებული შურისძიებაც მიიჩნეოდა. დანარჩენ შემთხვევებში, სამართალდამრღვევის მიმართ, ჯარიმა იყო გათვალისწინებული: *os fractum*-

---

2003, 621.

[1316] Inst.Iust.4.4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 218-222; Gai.,3.220. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 181; Мануэль Хесус Гарсия-Гарридо, Римское частное право: казусы, иски, институты, ответ. ред. Л.Л.Кофанов, Москва, Статут, 2005, 460-461; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 621-622; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 342-343.

[1317] Inst.Iust.4.4.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 219; Gai.,3.217,221. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 180, 181.

[1318] Inst.Iust.4.4.2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 219; Gai.,3.221. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 181.

[1319] Inst.Iust.4.4.6. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 219-220.

ის გამო 300 ასი, ხოლო *iniuria*-ს შემთხვევაში – 25 ასი.

ქრ. შ-მდე 81 წ. მიღებული *lex Cornelia de iniuriis*[1320] მიხედვით, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული, განსაკუთრებით მძიმე სამართალდარღვევის შემთხვევაში, ქმედება *crimina*-დ (დანაშაულად) მიიჩნეოდა და *iudicia publica*-ს ძალით იდევნებოდა. პრინციპატის ეპოქაში, *cognitio extra ordimen* ფარგლებში, შემოღებულ იქნა *quaestio de iniurii*-ის,[1321] როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე კერძო სარჩელის საჯარო ალტერნატივა. XII დაფის კანონებით გათვალისწინებული ჰიპოთეზების (რომლებიც დაჯარიმებასაც გულისხმობდნენ), რეკუპერატორთა (*recuperatores*) სასამართლო განხილვას გადაეცა.[1322] მათ მიერ შეფარდებული ანაზღაურება, *bonum et aequum*-ის (კეთილდღეობა და სამართლიანობა) საფუძველზე, შეფასებას ექვემდებარებოდა. აღნიშნული, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ნაკლებად მძიმე ხელყოფა, საერთო სარჩელის – *actio iniuriarum aestimatoria*[1323] წარდგენით იდევნებოდა, რომელიც პრეტორულ ედიქტში ქრ. შ-მდე II საუკუნეში იქნა გათვალისწინებული. *Iniuria* – ცივილური დელიქტი იყო.[1324] თუმცა, დაცვის პრეტორული ხასიათი იმაში აისახა, რომ *actio iniuriarum, intentio*-ს იყო მოკლებული: *demonstratio*-ს მაშინვე *condemnatio* მოსდევდა, რომელიც რეკუპერატორთა სასამართლოს მოუწოდებდა ისეთი განაჩენის გამოტანას, რომელშიც მითითებული იქნებოდა მოსარჩელეს მიერ დასახელებული თანხა (*aestimatio*). აღნიშნული შეფასება ფორმულაში იყო მითითებული და შესაძლო მინიჭების მაქსიმალურ ზღვარს ასახავდა (*taxatio*). სარჩელის წარდგენის უფლება პიროვნულ შეურაცხყოფასთან იყო დაკავშირებული და მემკვიდრეობით არ გადაეცემოდა.[1325] ზოგადი *iniuria*-ს გარდა,

[1320] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 186.

[1321] quaestio de iniurii – საკითხები პიროვნების შეურაცხყოფის შესახებ.

[1322] Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 622.

[1323] actio iniuriarum aestimatoria – განაწყენების შესახებ შედარებითი სარჩელი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 40.

[1324] Gai.,3.182. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 170.

[1325] Gai.,4.112. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო

პრეტორული ედიქტი *actio iniuriarum* სამართლებრივ საფუძვლად კიდევ სამ ჰიპოთეზას ითვალისწინებდა. ეს ჰიპოთეზები პირადი შეურაცხყოფის, როგორც პიროვნების პატივისა და ღირსების შემლახველი ქმედების ცნების პერმანენტულ დამკვიდრებას გამოხატავდნენ: 1. *convicium adversus bonos mores,*[1326] რომლის მიხედვით იდევნებოდა მუქარა და ბილწსიტყვაობა; 2. *adtemptata puditicia,*[1327] რომელსაც დიდგვაროვანი ქალბატონის მიმართ თავდასხმას ან უხეშ მოპყრობას, აგრეთვე, ორივე სქესის მცირეწლოვანი ბავშვის მიმართ, აღნიშნული ქმედების განხორციელებას მიეკუთვნებოდა; 3. *ne quid infamandi causa fiat,*[1328] რომელიც მორალური ზიანის ყველა შესაძლო შემთხვევას გულისხმობდა, რომლის დროსაც პატივისა და ღირსების ხელყოფას ჰქონდა ადგილი.

XI. Quasi ex delicto (კვაზიდელიქტები)

თითქოს დელიქტიდან (*obligationes quasi ex delicto*)[1329] წარმოშობილი ვალდებულებები, იუსტინიანეს ინსტიტუციების სისტემატიზაციის შესაბამისად, ბრალეული ქმედების ჰიპოთეზას შეიცავდნენ. ასეთი ვალდებულებები პრეტორული სარჩელის მეშვეობით იდევნებოდა. აღნიშნული ვითარების შერჩევის კრიტერიუმი დღემდე უცნობია.

მოსამართლე, სასამართლო პროცესის საკუთარი თავის წინააღმდეგ წარმმართველად, ითვლებოდა (*iudex qui litem suam fecerit*) იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტილება,[1330] მხარეების მიერ მოყვანილი ფაქტების ან ფორმულის მიმართ წინააღმდეგობა-

---

ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 219.

[1326] convicium adversus bonos mores – კეთილი ჩვეულების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმები. Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 622.

[1327] adtemptata puditicia – შელახული უმანკოება. იქვე.

[1328] ne quid infamandi causa fiat – დაე, არ განხორციელდეს ქმედება სახელის გატეხვის მიზნით. იქვე.

[1329] Inst.Iust.4.5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, .222-224; Дождев Д.В., Римское частное право, Москва, Норма, 2003, 622-624; Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Москва, Норма, 2008, 344-345.

[1330] sententia — მოსამართლის პირადი მოსაზრება – გადაწყვეტილება.

ში მოდიოდა, აგრეთვე, მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლო განხილვის დროს, თუ დადგენილი წესრიგის ნებისმიერ განზრახ დარღვევას ექნებოდა ადგილი (*dolo malo*[1331]).[1332] დაზარალებული თავს იცავდა *in factum* სარჩელის მეშვეობით, რომელშიც *condematio* მოსამართლეთა თანაზომიერი შეხედულებისაგან დამოკიდებულებაში იყო ჩაყენებული (*in bonum et aequum* – სიკეთე და სამართლიანობა).

პრეტორული სარჩელი შეიცავდა მუხლს, სახლის ფანჯრიდან გადაღერილი ან გადაყრილი ნივთების გამო, პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც *in factum condematio*-სთან ერთად გულისხმობდა სარჩელს მიყენებული ზიანის ორმაგი ოდენობით (*in duplum*) ანაზღაურების შესახებ.[1333]

აღნიშნულ ვითარებაში, თავისუფალი ადამიანის დაღუპვის შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო ფიქსირებული ჯარიმა 50 ათასი სისტერციის ოდენობით, ხოლო სხეულებრივი დაზიანების შემთხვევაში, მოსამართლის გადაწყვეტილებით დაზიანების თანაზომიერი ჯარიმის გადახდა იყო დადგენილი. პასუხისმგებლობა გათვალისწინებული იყო ობიექტური ფაქტის არსებობის გამო, იმის მიუხედავად, თვით მცხოვრებმა, თუ მესამე პირმა ჩაიდინა აღნიშნული ქმედება. სარჩელი შედიოდა ე.წ. *actiones populares*[1334] კატეგორიაში და მისი წარდგენის უფლება ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა მინიჭებული.

გამვლელთათვის მარტივი საფრთხის შექმნის გამო, პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა *edictum depositum*,[1335] რომლის მიხედვით *habitator* (სახლის დამქირავებელი) 10 სოლიდის მოცულობით ნებისმიერი მოქალაქის წინაშე პასუხს აგებდა *actio in factum* (იგივე *actio*

1331 D.5.1.15.1. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2002, 27.

1332 Inst.Iust.4.5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 222.

1333 Inst.Iust.4.5.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 222-223.

1334 Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 40.

1335 D.9.4.5-6. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 449-451.

populares) მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ სახლის სახურავზე ან ლავგარდანზე (კარნიზზე) ისეთი საგანი იქნებოდა დამაგრებული, რომლის შემთხვევით ჩამოვარდნისას, შესაძლებელი იყო ზიანის მიყენება. პასუხისმგებლობის ობიექტური ხასიათი შემსუბუქებულ იქნა ნოქსალური პასუხისმგებლობის (ცოლის გარდა, *paterfamilias in patria potestates* მიერ ჩადენილი დელიქტის ან კვაზიდელიქტის გამო, რომელსაც დაზარალებული *paterfamilias* წინააღმდეგ წარადგენდას) დაშვებით იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებრივი საფრთხის შექმნაში ბრალეულად მონა იქნებოდა მიჩნეული.[1336]

მესამე პირის ქმედების გამო პასუხისმგებლობა გათვალისწინებული იყო *actio furti et actio damni adversus nautas caupones stabularios*[1337] მიხედვით, რომლებიც პრეტორულ ედიქტში *actio furti et actio legis Aquilia*-სთან შესაბამისობაში არიან მოყვანილი. ხომალდის, სასტუმროსა და ქარვასლის მეპატრონე *in duplum* პასუხს იმ შემთხვევაში აგებდა, თუ ვინმე მოსამსახურეთა ან მასთან მცხოვრებთა შორის (მგზავრების ან მოგზაურთა გარდა), ქურდობას ჩაიდენდა ან მგზავრს, ან მდგმურს ქონებრივ ზიანს მიაყენებდა.[1338] შუა საუკუნეებში ასეთი სახის ქმედება პასუხისმგებლობას გულისხმობდა, თანამშრომელთა შერჩევისას, ბრალეული დაუდევრობის გამო,[1339] თუმცა ანტიკურ ხანაში პასუხისმგებლობა ბრალის გარეშეც დგებოდა – მესამე პირის ქმედების გამო. თუ ქურდობას მონა ჩაიდენდა, მისი ბატონი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა მაშინ, თუ *noxae deditio* (მონის გადაცემა) განახორციელებდა, დაზარალებული პირის სასარგებლოდ.

[1336] Inst.Iust.4.5.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, 222-223.

[1337] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 40.

[1338] Inst.Iust.4.5.3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2002, .223-224.

[1339] culpa in eligendo – ბრალეული დაუდევრობის გამო მიყენებული ზიანი.

თავი X. ძველი რომის სისხლის სამართალი

ძველი რომის სისხლის სამართალმა, კერძო სამართლის მსგავსად, განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო: მარტივი კვირიტული ქცევის წესებიდან მოყოლებული, იმპერიის ხანის კანონმდებლობამდე.

პირველი, არქაული ხანის ძველი რომის სისხლის სამართალი საერთო სამართლის,[1340] ჩვეულებებისა[1341] და ღვთაებრივი საკრალური ნორმების[1342] თანამშრომლობითა და პაექრობით ხასიათდებოდა. ამ პერიოდში ერთმანეთს კონსერვატიული და პროგრესული საწყისი ებრძოდა. გვაროვნული ჩვეულებები რომაელი თემის[1343] მიერ მდუმარე თანხმობის ფორმით (*usus consuetudo*) ყოველგვარი ჩანაწერის გარეშე აღიქმებოდა და ამიტომ ამ ჩვეულებებს დაუწერელი სამართალი[1344] ეწოდებოდა. *Consuetudo*-ს კანონის[1345] თანაბარი სამართლებრივი ძალა გააჩნდა და ის ამ უკანასკნელთან ერთად, დადებით სამართალს[1346] ქმნიდა.

არქაული (უძველესი) პერიოდი – საკრალური ნორმებისა და იუსტიციის ბატონობის ეპოქა იყო. რელიგიური თვისების დანაშაულს მიეკუთვნებოდა: ქალღმერთ ვესტას ქურუმი ქალების მიერ 30 წლის ასაკამდე ქალწულობის ფიცის დარღვევა, პატრონის მიერ კლიენტის წინაშე ნაკისრი მოვალეობების შეუსრულებლობა, ფიცის, სასაზღვრო სამანების მოშლა. თვით სასამართლო წარმოება საიმედოდ იყო გახვეული საიდუმლოების საფარველში და მხოლოდ ქურუმები[1347] ადგენდნენ სამართალწარმოებისათვის მისაღები

[1340] ius – საერთო სამართალი. Бартошек М. Римское право. Понятия, термины, определения. Москва. Юридическая литература. 1989. 163-172; Paul., D.1.1.11. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 62-63.

[1341] mos – ჩვეულებები. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 219.

[1342] fas – ღვთაებრივი საკრალური ნორმები. იქვე, 130.

[1343] civitas Romani – რომაული თემი. იქვე, 69-70.

[1344] ius non scriptum – დაუწერელი სამართალი. იქვე, 165.

[1345] lex – კანონი. იქვე, 178-179.

[1346] ius positivum (scriptum) – დადებითი (დაწერილი) სამართალი. იქვე, 166.

[1347] pontifices – ქურუმები. იქვე, 249.

დღეების კალენდარსა და მასში შესულ საიდუმლო მონაცემებს საიმედოდ ინახავდნენ. მხოლოდ მათ იცოდნენ სარჩელის წარდგენის[1348] და სარჩელის წარსადგენად აკრძალული[1349] დღეები და მკაცრად ასაიდუმლოებდნენ მათ. ოფიციალური მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ დადგენილ დღეებში იყო შესაძლებელი, როცა მოდავე მხარეებს ქურუმი სანუკვარ სიტყვებს უცხადებდა: *do, dico, addico* (სამართალს ვიძლევი, გადაწყვეტილებას ვიღებ, დავაში გამარჯვებას ვანიჭებ).

ყოველივე ზემოთქმულის შესახებ ცნობებს ტიტუს ლივიუსიც იძლეოდა: დაწერილი წიგნების, საყოველთაოდ აღიარებული ედიქტების არარსებობის პირობებში, იურიდიული გარიგებებისა და პროცესების ცოდნა *pontifices* საიდუმლო მეცნიერებად იქცა; დიდი პროცესუალური მნიშვნელობის კალენდრის შესახებ ზუსტი ცნობები მხოლოდ მათ ჰქონდათ.

Pontifices მიერ მონოპოლიზებული აღმოჩნდა, იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი, რომაელი თემის მომავლის წინასწარმეტყველების ფუნქცია, რაც ტომთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგებაზე არსებით გავლენას ახდენდა. მით უმეტეს, რომ ასეთი ურთიერთობების მოგვარება ღვთაებრივი, საკრალური ნორმების (ღვთის მოწმედ მოწვევა, ომის გამოცხადების შემთხვევაში გასისხლიანებული შუბის სარიტუალო სტყორცნა მომიჯნავე ტომის ტერიტორიაზე და სხვ.) და არა საერო სამართლის მეშვეობით ხდებოდა.

რელიგიური დოგმებისა და აკრძალვების დამრღვევს[1350] მკაცრი ორმაგი და ორგვარი სასჯელი ელოდა: მის მიმართ შურისძიება თემის სიმშვიდის დარღვევისა და ღმერთების განრისხების გამო ხდებოდა. ერთდროულად რელიგიური და საერო დევნა[1351] ძალზედ მკაცრი იყო. ღვთაებრივი საკრალური ნორმების (*fas*) მგმობელი

[1348] dies fasti – სარჩელის წარდგენის დღეები. იქვე, 108-109.

[1349] dies nefasti – სარჩელის წარსადგენად აკრძალული დღეები. იქვე.

[1350] homo sacer – რელიგიური დოგმებისა და აკრძალვების დამრღვევი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 86.

[1351] sacratio capitis (poena capitalis) – საერო დევნა. იქვე, 60-61; Gai.,3.188. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 172.

შესაბამისი ტაძრის სასარგებლოდ ქონების კონფისკაციასა[1352] და ექსორიას (გაძევებას) ექვემდებარებოდა, რის შემდეგ მას, როგორც უცხო ტომელსა და მტერს – ნებისმიერი პირი (თანამოძმე ან უცხოელი) დაუსჯელად გაუსწორდებოდა. სამართალდარღვევის სხვადასხვა სახე, რომელიც მოგვიანებით სისხლის-სამართლებრივ ქმედებად იქნა მიჩნეული, თავდაპირველად ან საკრალური, ან კერძო ხასიათის *delictum* წარმოადგენდა: მაგალითად, ქურდობა, სხეულის დაზიანება, რომელთა ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ შურისძიება, ტალიონის პრინციპი[1353] მოქმედებდა.

სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროებში შეუზღუდავად ბატონობდა თვითგასამართლება (თავდასხმის მოგერიება) და დამნაშავის მიმართ დანაშაულის ჩადენის ადგილზე თვითგასწორება: „თუ ღამის საათებში ქურდობის ჩამდენი (ადგილზე) იქნება მოკლული, (მისი) მკვლელობა მართლზომიერად ჩაითვლება“ (XII დაფის კანონები, VIII ტაბულა).[1354] თავდამსხმელის, ადგილზე თვითგასწორების პრინციპით, დასჯის პრაქტიკა არათუ მართლზომიერ ქმედებად, არამედ საზოგადოების ინტერესებისა და ოფიციალური ხელისუფლების მოთხოვნათა დაცვად ითვლებოდა.

არქაულ პერიოდში ყველა სამართალდარღვევა ორ კატეგორიად იყოფოდა: 1) პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული:[1355] ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა, სხვისი ქონების დაზიანება ან განადგურება და სხვა; 2) პოლიტიკური, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული:[1356] ჯანყი, სახელმწიფოს ღალატი, რომის სამხედრო მოწინააღმდეგისათვის დახმარების აღმოჩენა, ცეცხლის წაკიდება, ცრუმოწმეობა, ხელისუფლებისადმი შეიარაღებული (ძალადობრივი) წინააღმდეგობის გაწევა და სხვა. სამართალდარღვე-

---

[1352] consecratio bonorum – ქონების კონფისკაცია. იქვე, 86.

[1353] ius talionis (talio) – შურისძიება, ტალიონის პრინციპი მოქმედებდა. იქვე 308.

[1354] XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII დაფა. 12 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 73.

[1355] delictum privatum (კერძო) parricidium – პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 104-105.

[1356] delictum publicum (საჯარო) perduellio – პოლიტიკური, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. იქვე.

ვის პირველ კატეგორიას სპეციალური თანამდებობის პირები[1357] იძიებდნენ; ხოლო მეორე – დანაშაულის საქმეებზე, გამოძიება Rex-ის[1358] შეხედულებისამებრ, წარმოებდა: მას დამოუკიდებლად შეეძლო საგამოძიებო და სასამართლო ფუნქციების განხორციელება, ან საქმის გამოძიება განსაკუთრებული სასამართლო გამომძიებლისათვის[1359] დაევალებინა.

არქაული პერიოდის სისხლის სამართლის ერთ-ერთ თავისებურებას ის გარემოება წარმოადგენდა, რომ *populus Romanus* (*cives*) ე. წ. *provocatio* ანუ *comitia curiata*-ს მიმართ აპელირების უფლება მოიპოვეს იმ განაჩენის მიმართ, რომელიც *duumviri perdullionis* ან *consul*-ის მიერ იქნებოდა გამოტანილი, სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ. აღნიშნული ვერდიქტი აღსრულებას არ ექვემდებარებოდა, ვიდრე აპელაციის შედეგები ცნობილი არ იქნებოდა. ამრიგად, რომაულ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა დაცვის საჯარო პროცედურები, რომელთა გამოყენება სამართლიანობისა (*aequitas*) და კეთილსინდისიერების პრინციპების (*bona fides*) დამკვიდრებას განაპირობებდა.

არქაულ პერიოდში ძველი რომის სისხლის სამართლის განვითარების მწვერვალად XII დაფის კანონები[1360] გვევლინება, რომელშიც, უშუალოდ, სისხლის სამართლის ნორმები, განხილულია მხოლოდ ორ – VIII და IX დაფაში. თუმცა, ნორმების ასეთმა სიმწირემ, საზოგადოების მზარდი ინტერესების შესაბამისად, სამართალდარღვევათა დიდი ნაწილის სწორედ დანაშაულად[1361] დაკვალიფიცირებას ვერ შეუშალა ხელი. აღნიშნულმა საკანონმდებლო ძეგლმა საფუძველი ჩაუყარა არა მარტო *ius positivum* (დაწერილი, პოზიტი-

---

[1357] quaestores parricidii – სპეციალური თანამდებობის პირები. კონსულის თანაშემწე. D. 1.2.2.23. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 69.

[1358] Rex — რომაელი ხალხის წინამძღოლი, ბელადი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 271-272.

[1359] duomviri perduellionis – განსაკუთრებული სასამართლო გამომძიებლი. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 115.

[1360] Leges duodecim tabularum – XII დაფის კანონები. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 56-79.

[1361] crimina – დანაშაული. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 67.

ური სამართალი), არამედ იგი ერთდროულად *ius publicum et ius privatum* მთავარ წყაროდ მიიჩნეოდა და, ამავდროულად, *ius scriptum* (დაწერილი გონი) იყო.

XII დაფის კანონების ნორმების არსებობა იმაზე მეტყველებდა, რომ საჯარო ქცევის წესები, უცილობლად, გაბატონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: თუმცა, ჯერ კიდევ დიდი იყო გვაროვნული წესების გავლენა.

კერძო შურისძიება[1362] ნელა, თუმცა განუხრელად უთმობდა ადგილს საზოგადოებრივ სასჯელს.[1363] განაგრძობენ თანაარსებობას *talio* (შურისძიება, ტალიონის პრინციპი) და ფულადი ჯარიმა, *provocatio ad populum* და დამნაშავის სიკვდილით დასჯა, ასოთმიღებითი სასჯელი და *Res publica* (რესპუბლიკური სულისკვეთება) და სასჯელის ბარბაროსული სახეები, რომელთა მიზანი ადამიანის (პიროვნების) დაშინების იდეა იყო (მაიმუნთან, ძაღლთან ან გველთან ერთად ტომარაში ჩასმული დამნაშავის წყალში დახრჩობა, მაღალი ხიდიდან თავდაყირა გადაგდება[1364], ფეხების მოკვეთა[1365] და, განსაკუთრებით ოდიოზური სასჯელი – ტარპეას კლდიდან (*Saxum Tarpeium*)[1366] ქურდი მონის გადაგდება.[1367] ტარპეას კლდე იმდროინდელი რომის ცენტრში, კაპიტოლიუმის ბორცვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ციცაბო დაღმართი იყო. სიკვდილით დასჯის აღნიშნული ადგილი ახლოს მდებარეობდა ქ. რომის ცენტრალურ მოედანთან, სადაც მართლმსაჯულების აღსრულება ხდებოდა. დამნაშავის დასჯაში მონაწილეობას იღებდა არა მხოლოდ დაზარალებული მხარე, არამედ მოედანზე შემთხვევით მოსული ბრბო. თავდაპირველად, ტარპეას კლდე იყო მხოლოდ დამნაშავეთა დასჯის ადგილი, ხოლო მოგვიანებით, ამ ადგილიდან ხრამში უდანაშაულო ადამიანებსაც – ფიზიკური დეფექტის მქონე პირებს[1368] ისროდნენ.

[1362] vindicta privata – კერძო შურისძიება. იქვე, 35, 328.

[1363] vindicta publica – საზოგადოებრივი სასჯელი. იქვე.

[1364] praecipitium – მაღალი ხიდიდან თავდაყირა გადაგდება.

[1365] pedis abscessio – ფეხების მოკვეთა.

[1366] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 282.

[1367] XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII დაფა. 14 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 73.

[1368] monstrum – ფიზიკური დეფექტის მქონე პირები. Бартошек М., Римское

XII დაფის კანონების VIII დაფაში[1369] საუბარი იყო, ყველა *delictum*-ის, რამდენიმე კატეგორიად დაყოფის შესახებ; თუმცა, პირველყოვლისა უნდა გამოვყოთ: 1. *iniuria* (პიროვნების წინააღმდეგ) და 2. *furtum* (საკუთრების წინააღმდეგ) მიმართული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. თავის მხრივ, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედება, კანონის შესაბამისად, ორ კატეგორიად კვალიფიცირდებოდა: 1. *iniuria verbalis* – სიტყვიერი შეურაცხყოფა (პასკვილის ფორმაში – *carmen famotum* ან საჯარო შეურაცხყოფა – *ountare*); 2. *iniuria realis* – ფიზიკური შეურაცხყოფა: ცემა, გვემა, სხეულის დაზიანება.

VIII დაფის ფრაგმენტები იმ სისხლის სამართლებრივ ნორმებს შეიცავენ (დღემდე ბრწყინვალეს), რომლებშიც გამოხატულია სახელმწიფოს რეაქცია, ქონების დატაცების დანაშაულის მიმართ. ქურდობა[1370] აუცილებლად იყო დაკავშირებული ანგარებით მოტივთან (ლამის სახელმძღვანელო დონის დებულებაა, რომლის შესახებ Gai. წერდა),[1371] წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდებოდა, როგორც პიროვნების წინააღმდეგ მიმართული კერძო წყენა. თუმცა, რომაული კანონმდებლობა განიხილავდა მესაკუთრისათვის ზიანის მიყენებას ნივთის მიტაცების (დაუფლების) ნიშნების გარეშე, კერძოდ: ცხენით გასეირნება დათქმულ ადგილზე უფრო შორი მანძილით, გირავნობის საგნით სარგებლობა, რომლებიც ქურდობის ცნებით იყო მოცული. *Leges duodecim tabularum*-ში ძალზედ დაწვრილებით არის დიფერენცირებული ქურდობის გამო პასუხისმგებლობის საკითხი: 1. დროის მიხედვით: დღისით[1372] და ღამით[1373] ჩადენილი ქურდობა. პირველ შემთხვევაში ხელმყოფი

право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 218.

[1369] XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII დაფა. 3 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 71.

[1370] furtum – ქურდობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 138-139.

[1371] Gai.,3.195, 202. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 174, 176.

[1372] furtum diurnum – დღისით ქურდობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 138; XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII დაფა. 13 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 73.

[1373] furtum nocturnum – ღამით ქურდობა. Бартошек М., Римское право, Понятия,

პირის მიმართ გამოიყენებოდა სხეულებრივი სასჯელი და დაზარა-ლებულის მამულში მონად გამწესება,[1374] მეორეში კი – გათვალისწინებული იყო დამნაშავის მიმართ დაუყოვნებლივი თვითგასწორების გამოყენება; 2. სუბიექტის გათვალისწინებით — განსხვავებული წესით ისჯებოდა ქურდობის ჩამდენი თავისუფალი რომაელი,[1375] მონა[1376] (სიკვდილით სჯიდნენ) და არასრულწლოვანი პირი (გაროზგვით ისჯებოდა); 3. განასხვავებდნენ აშკარა[1377] და ფარულ ქურდობას[1378], თანაც – ბოლო ვარიანტი საკმაოდ მსუბუქად ისჯებოდა. დამნაშავე, ჯარიმის სახით, ნაქურდალის მხოლოდ ორმაგ ღირებულებას იხდიდა.

იმპერიის (პოსტკლასიკური) პერიოდი ტრადიციულად *ius gentium*-ის აყვავების ხანასთან არის გაიგივებული. ამას რამდენიმე გარემოება უწყობდა ხელს, რომელთა შორის, ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლებოდა: რომის იმპერიის გეოგრაფიული მოცულობა და ამით განპირობებული მისი ადგილი ანტიკური სამყაროს კულტურულ ცხოვრებაში, მსოფლიო ვაჭრობის განვითარება, პოლიტიკური ცენტრის აღმოსავლეთისაკენ გადატანა, ხოლო განსაკუთრებულ მოვლენად, მაინც, პრეტორთა სამართალშემოქმედებითი საქმიანობა შეიძლება მივიჩნიოთ.

რომის სისხლის სამართლის განვითარების მესამე ეტაპის ნოვაციად შემდეგი სახის მიღწევები უნდა მივიჩნიოთ: ა) დანაშაულის სუბიექტური მხარის შესახებ მოძღვრების გავრცობამ ბრალის, კიდევ ერთი ფორმის — გაუფრთხილებლობის, ჩამოყალიბებას შეუ-

---

термины, определения, Москва, 1989, 138; XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII დაფა. 12 ტიტული. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 73.

[1374] addictio – მონად გამწესება. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, 2009, 21-22.

[1375] cives – თავისუფალი რომაელი. იქვე, 69.

[1376] servi – მონა. იქვე, 392-394.

[1377] furtum manifestum – აშკარა ქურდობა. Gai.,3.183-184. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 171.

[1378] furtum nec manifestum – ფარული ქურდობა. Gai.,3.185, 190. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 172-173.

წყო ხელი. გაუფრთხილებლობა,[1379] განზრახვასა[1380] და პასუხსმგებლობის მიღმა დარჩენილ შემთხვევას[1381] შორის, შუალედურ ადგილს იკავებდა; ბ) მოსაუბრე და მრჩეველი იურისპრუდენციის წიაღში ყალიბდება დანაშაულის მცდელობის[1382]ცნება, რომლის მიმართ, შემსუბუქებული სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენება იყო მიზანშეწონილი; გ) დანაშაულის ჩვეული და გავრცელებული სახეების[1383] გვერდით, თანდათანობით გეხვდება დანაშაულის ახალი სახეები,[1384] კერძოდ: ქრისტიანობის გმობა, ფიცის გატეხვა, მუცლადმყოფი ნაყოფის მოშორება; დ) სისხლის სამართლის მეორე ინსტიტუტის – სასჯელის ფარგლებში სიახლეს წარმოადგენდა ზემოქმედების ძალზედ რთული და მრისხანე, ხშირად ბარბაროსული სასჯელის სისტემა, კერძოდ: გადასახლება უფლებების ჩამორთმევით,[1385] გადასახლება აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების გარეშე;[1386] მაღაროებში კატორღული სამუშაოების წარმოება.[1387] სასჯელის მიზანი დამნაშავის დაშინება და მისთვის სამაგიეროს მიზღვა არ იყო; ე) მუდმივი არმიის შემოღებასთან ერთად, სამართალშეფარდებით ბრუნვაში, სამხედრო დანაშაულიც შემოდის, კერძოდ: ბრძოლის ველზე იარაღის დაკარგვა, მხედართმთავრის, ან უფრო დაბალი რანგის სამხედრო მეთაურის, შეურაცხყოფა, მოწინააღმდეგის სასარგებლოდ ღალატის ჩადენა; ვ) იმპერატორის აბსოლუტური ხელისუფლების პირობებში, სასჯელის ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა საჯარიმო სანქცია, კერძოდ – ქონების კონფისკაცია. აღნიშნული სასჯელის მიზანი

[1379] culpa – გაუფრთხილებლობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989 94.

[1380] dolus – განზრახვა. იქვე, 112.

[1381] casus – პასუხსმგებლობის მიღმა დარჩენილი შემთხვევა. იქვე, 58.

[1382] conatus – დანაშაულის მცდელობა. იქვე, 84.

[1383] crimina legitima – დანაშაულის ჩვეული და გავრცელებული სახეების გვერდით. იქვე, 67.

[1384] crimina extraordinaria – დანაშაულის ახალი სახეები. იქვე.

[1385] interdictio aquae et ignis – გადასახლება უფლებების ჩამორთმევით. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 155.

[1386] deportatio in insulam – გადასახლება აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების გარეშე. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 106-107.

[1387] condemnatio in metallum – მაღაროებში კატორღული სამუშაოების წარმოება. იქვე, 82.

იყო მუდმივად მზარდი სამოხელეო აპარატის შესანახად დამატებითი შემოსავლის წყაროს მობილიზება, რამაც რომის იმპერიაში მეტად თავისებური შედეგი გამოიღო: დაშინებული სენატორები და მხედრების წოდების წარმომადგენლები, თვითონვე ცდილობდნენ, საკუთარ მემკვიდრეებად იმპერატორები დაესახელებინათ, რათა თავიდან აეცილებინათ ქონების კონფისკაციის მწარე ხვედრი, ვინაიდან ქვეყანა ერთეულების თვითნებობამ და სამართლებრივმა ქაოსმა მოიცვა.

I. მოძღვრება სისხლის სამართლის კანონზე მისი წარმოშობის შესახებ საკითხის დასმით იწყება

ძველი რომაელებისათვის, რომლებსაც მხოლოდ მარტივი სისხლის-სამართლებრივი დებულებები გააჩნდათ, აღნიშნული საკითხი სულაც არ იყო უბრალო გართობა ან თუნდაც, თეორიული ან ისტორიული აზროვნების განყენებული სფერო. დღეს აღიარებულია, რომ „ოფიციალური“, „არსებული“ სისხლის სამართალი ყველა ხალხის ცხოვრებაში მაშინ იწყებს ჩამოყალიბებას, როცა ხალხი სახელმწიფოებრივი განვითარების გარკვეულ დონეს აღწევს, ვინაიდან სახელმწიფო მოიაზრება ცივილურ უნივერსალურ მოვლენად. რასაკვირველია, ადამიანთა შორის კონფლიქტებს საზოგადოებრივი ცხოვრების გვაროვნულ-ტომობრივ ეტაპზეც ჰქონდა ადგილი, რის შესახებაც უამრავი მითი და ლეგენდა, განადგურებისაგან ზედმიწევნით დაცული, რელიგიური დოგმები მეტყველებენ. სახელმწიფოებრივი და ტომობრივი საწყისები, პირადი და საზოგადო-სახელისუფლო ინტერესები საუკუნეების მანძილზე თანაარსებობას განაგრძობდნენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც გაძლიერდა ცალკეული მიწების ერთ განსაკუთრებულ ორგანიზმად – სახელმწიფოდ გაერთიანების ტენდენცია და სავალდებულო გახდა ერთიანი სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, საჯარო საწყისი უპირობოდ იმარჯვებს ძველ საგვარეულო და სათემო ჩვეულებებზე და ჩვეულებითი სამართალი გამოიყენება მმართველობის მზა ინსტრუმენტის სახით.

ადამიანთა ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, საჭირო წესების არსებობის აუცილებლობა ძველმა რომაელებმა

სამი მნიშვნელოვანი გარემოებით გაამართლეს: შეთანხმებულობით, აუცილებლობითა და ჩვეულებით.[1388] სავარაუდოდ, ამ დებულების პირველი ელემენტი მიმართულია სამოქალაქო სამართლისადმი, ხოლო ბოლო ორი – სისხლის სამართალს განეკუთვნება. ლათინები იძულებულები იყვნენ პატივი მიეგოთ წინაპართა ჩვეულებისადმი, ვინაიდან წინასახელმწიფოებრივი პერიოდი არც ისე შორს იყო. აქედან გამომდინარე, გასაგებია შემდეგი დებულების არსი: ჩვეულება ცვლის კანონს და ჩვეულებით სამართლად იწოდება[1389] ან ჩვეულება კანონის საუკეთესო განმარტებაა.[1390] თითოეული თემის მიერ დამოუკიდებლად, სახელმწიფოებრივი ორგანოების გარეშე, შექმნილი დებულების მიმართ განსაკუთრებული მორჩილება და პატივისცემა, რომაელებმა პრინციპებად და უტყუარ ჭეშმარიტებად გადააქციეს: შეუძლებელია მოვიყვანოთ წინაპართა მიერ დადგენილი ყველა ნორმის დასაბუთება.[1391]

საჭვოა შეიქმნას ისეთი კანონი, რომელიც თითოეულისათვის იქნება მოხერხებული, ხოლო, თუ ის კარგია უმრავლესობისათვის, მაშინ ის – სასარგებლოა.[1392]

[1388] omne ius aut consensus fecit, aut necessitas constituit, aut firmavit consuetudo – მთელი სამართალი შემოღებულია შეთანხმებით, ან დადგენილია აუცილებლობით, ან განმტკიცებულია ჩვეულებით. Ulp., D.1.3.40. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. ნიგნი პირველი. ნიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 85.

[1389] inveterata consuetudo pro lege non immerito custoditur et hoc est quod dicitur moribus constitutum – ჩვეულება ცვლის კანონს და ჩვეულებით სამართლად იწოდება. Iul., D.1.3.32.1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. ნიგნი პირველი. ნიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 84.

[1390] optima est legum interpres consuetudo – ჩვეულება კანონის საუკეთესო განმარტებაა. Paul. D.1.3.37. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. ნიგნი პირველი. ნიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 85.

[1391] Non omnium quae a maioribus constituta sunt ratio reddit potest – შეუძლებელია მოვიყვანოთ წინაპართა მიერ დადგენილი ყველა ნორმის დასაბუთება. Iul. D.1.3.20. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. ნიგნი პირველი. ნიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 82.

[1392] Vix ulla lex fieri potest quae omnibus commoda sit, sed si maiori parti prospiciat, utilis est – საეჭვოა შეიქმნას ისეთი კანონი, რომელიც თითოეულისათვის იქნება მოხერხებული, ხოლო, თუ ის კარგია უმრავლესობისათვის, მაშინ ის – სასარგე-

2) სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობის მთავარ დანიშნულებას, ლათინები სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებაში (თანაც, არ გამორიცხავდნენ ადამიანთა სოციალური ენერგიის, სასარგებლო მიმართულებით იძულების წესით წარმართვას) ხედავდნენ. მათი აზრით, დაუცველი პერსონები თავს უსაფრთხოდ უნდა გრძნობდნენ აგრესიული მეზობლების წინაშე, ვინაიდან კანონები იმისათვის იქმნებოდა, რომ, უფრო ძლიერს თავი ყოვლისშემძლედ არ ეგრძნო (*inde dafae leges ne fortior omnia posset*). ამისათვის კანონები ხელისუფლებას უფლებამოსილებას ანიჭებენ განეხორციელებინა ბრძანება, აკრძალვა, უფლების მინიჭება, დასჯა (*legis virtus haec est imperare vetare permittere punire – Mod. D. 1. 3. 7*[1393]).

3) რომაელებმა ადრევე უარყვეს სისხლის აღების ჩვეულება, ვინაიდან საკუთარი მწარე გამოცდილებით, გააცნობიერეს, რომ გრძნობების მოთოკვის აღნიშნული ხერხი, თემის ჭეშმარიტად თვითგანადგურების საშუალებაა. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა კერძო პირს ჩამოართვეს ინიციატივა და დაჰპირდნენ მას, რომ საზოგადო მორჩილების სანაცვლოდ, კერძო პირი, ნებისმიერ შემთხვევაში, სამართლებრივად და სამართლიანად დაცული იქნებოდა (მაშინაც კი, როცა დაზარალებული აგრესორს ალალბედად ჩაბარდებოდა).

იურიდიული უფლებების დარღვევა[1394] ასეთად რჩება მაშინაც, როცა წინააღმდეგობის გაწევას არ ჰქონდა ადგილი. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობდა დიდებული აზრი იმის შესახებ, რომ კოლექტიური წესრიგი და სიმშვიდე, ზოგადსავალდებულო ნორმებზე დიდად იყო დამოკიდებული. ხოლო ცალკეული პირები, მიუხედავად იმისა, რომ მათ საყოველთაო აღიარება მოიპოვეს, არ არიან უფლებამოსილი ერთპიროვნულად შეუფარდონ პირს სასჯელი, რადგან მათ მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრული

ბლოა. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 397.

[1393] Mod., D.1.3.7. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. ნიგნი პირველი. ნიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 81.

[1394] Ab assuetis non fit iniuria – იურიდიული უფლებების დარღვევა. Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 103.

სამართლიანობისა და მართლმსაჯულების კრიტერიუმები, ადვილად შესაძლებელია, ეჭვის ქვეშ დადგეს ან შეირყვნას კიდეც, რაც ქვეყანაში ქაოსის გამომწვევი მიზეზი გახდება. საყოველთაოდ აღიარებული ზოგადი წესებისადმი ერთსულოვანი რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ ხალხისა და იურიდიულ შეგნებაში დამკვიდრდა ამაყი გამოთქმა: *prius vitiis laboravimus, nunc legibus* – (ადრე ჩვენ მანკიერებით ვიყავით დათრგუნული, ახლა კი – კანონებით ვართ).[1395] მმართველობის საჯარო და მუდმივი სისტემა, რომელიც მკვეთრ საწყისებს ეფუძნებოდა, მოწოდებული იყო შეეცვალა უსაფუძვლო რწმენა პიროვნების უტყუარობის მიმართ (რექსის, იმპერატორის, მაგისტრატის უძლეველობა და სამართლიანობა, ვინაიდან: კანონი უფრო სამართლიანია, ვიდრე ადამიანი;[1396] კანონით განხორციელებული განკარგულება უფრო მძლავრი და სამართლიანია, ვიდრე ადამიანის მიერ განხორციელებული დადგენილება;[1397] და კანონით მინიჭებული დაცვა უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანების მიერ.[1398]

4) იურიდიული რომი კანონის შინაარსის ნაწილში ხელმძღვანელობდა მეტად მარტივი მცნებით: პატიოსნად იცხოვრე, სხვას არაფერი დაუშავო, თითოეულს მიანიჭე ის, რაც მას ეკუთვნის.[1399] მორალისტებმა აღნიშნულ დებულებაში, შესაძლოა, „ზნეობრიობის ოქროს წესიც“ დაინახონ და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან, გვაროვნული წყობიდან, სახელმწიფოებრივად მოწყობილი, საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე, ხორციელდებოდა კოლექტიური პასუხის-

---

[1395] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 319.

[1396] aequior est dispositio legis quam hominis – კანონი უფრო სამართლიანია, ვიდრე ადამიანი. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 76.

[1397] fortior efaequior est dispositio legis quam hominis – კანონით განხორციელებული განკარგულება უფრო მძლავრი და სამართლიანია, ვიდრე ადამიანის მიერ განხორციელებული დადგენილება. იქვე, 172.

[1398] fortior est custodia legis quam hominis – კანონით მინიჭებული დაცვა უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანების მიერ. იქვე.

[1399] praecepta iuris sunt haec honeste vivere alterum non laedere suum cuique tribuere – პატიოსნად იცხოვრე, სხვას არაფერი დაუშავო, თითოეულს მიანიჭე ის, რაც მას ეკუთვნის. Ulp., D.1.1.10. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2012, 62.

მგებლობიდან, ცალკეული ადამიანის ინდივიდუალური პასუხისმგებლობისაკენ ისტორიული გადასვლა, რის გამოც სოციალური რეგულირების ფორმები იცვლებოდა.

სწორედ ამ გარდამავალ ეპოქაში, დაახლოებით ქრ. შ-მდე I ათასწლეულის შუა ხანებში, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსხვავებულ კულტურულ რეგიონებში, ყალიბდებოდა ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის იდეები, რის უპირველეს გამოვლინებად „ზნეობრიობის ოქროს წესი" უნდა მივიჩნიოთ. ამრიგად, რომაულმა კანონმდებლობამ, საკუთარ დებულებებში, განამტკიცა კაცობრიობის სულიერი განვითარების შედეგები, შეინარჩუნა მშვიდობის ძირითადი მცნებები („მახაბხარატა" — ქრ. შ-მდე V ს, კონფუძის მოძღვრება – ქრ. შ-მდე VI-V სს.; ბუდიზმი – ქრ. შ-მდე VI-V სს და სხვა). ყოველივე ზემოაღნიშნულმა, გავლენა მოახდინა სისხლის სამართლის რამდენიმე პრინციპის ჩამოყალიბებაზე: 1. სჯობს დანაშაული დაუსჯელი დარჩეს, ვიდრე დაისაჯოს უდანაშაულო პირი;[1400] 2. არავის შეუძლია გაიუმჯობესოს საკუთარი მდგომარეობა სამართალდარღვევის (დანაშაულის) ჩადენის გზით;[1401] 3. დანაშაული არ შეიძლება დარჩეს დაუსჯელი;[1402] 4. დასჯადია მოქმედება, წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა, რჩევა-დარიგებანი.[1403]

როცა რომის სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე ვმსჯელობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სისხლის სამარ-

---

[1400] satius esse impunitum reliqui facinus quam innocenten damnari – Traianus et Ulpianus – სჯობს დანაშაული დაუსჯელი დარჩეს, ვიდრე დაისაჯოს უდანაშაულო პირი. Ulp., D. 48.19.5.2. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 167.

[1401] Nemo ex suo delicto meliorem suam condicionem facere potest – არავის შეუძლია გაიუმჯობესოს საკუთარი მდგომარეობა სამართალდარღვევის (დანაშაულის) ჩადენის გზით. Ulp. D.50.17.134.1. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 549.

[1402] Neque impunita maleficia esse oporfeat – დანაშაული არ შეიძლება დარჩეს დაუსჯელი. Iul. D.9.2.5.1.2. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2002, 393-395.

[1403] Aut facta puniuntur aut dicta aut scripta aut consilia – დასჯადია მოქმედება, წარმოთქმული და დანერილი სიტყვა, რჩევა-დარიგებანი. D. 48.19.16pr. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 179-181.

თლის კანონის სავალდებულო შეფარდებისა და გამოყენების გარკვეული წესი: ანუ ის, რაც თანამედროვე კანონით და იურიდიული მეცნიერებით მიიჩნევა სისხლის სამართლის მოქმედებად დროში, სივრცეში, პირთა წრის მიმართ და ექსტრადიციად, ძველმა რომაგლებმა დანაშაულის ჩადენის ადგილთან,[1404] სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ტერიტორიასთან დაკავშირებით, ძალზედ მოკლე ფრაზებით გამოხატეს: დანაშაული თან ითრევს ადამიანს[1405] – აღნიშნული პოზიციის ახსნა-განმარტება უფრო განსჯადობის ტერიტორიული პრინციპის სასარგებლოდ გამოიყენება. ახლა ჩამოვაყალიბოთ ძვ. რომაული უფრო ზუსტი მითითებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოქმედებასთან დაკავშირებით: *debet quis iuri subiacere ubi delinquit* (პირი უნდა დაექვემდებაროს დანაშაულის ჩადენის ადგილზე მოქმედ კანონს[1406]); *statuta suo clauduntur territorio, nec ultra territorium disponut* (კანონი იზღუდება საკუთარი ტერიტორიით, ის არ მოქმედებს საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ[1407]); *ubi quis delinquit ibi punientur* (პირმა, სადაც ჩაიდინა დანაშაული, იქვე უნდა დაისაჯოს[1408]).

დანაშაულის ჩადენის ადგილისგან განსხვავებით, ძველი რომაელები დროის პოზიტივს უფრო ერთგვაროვნად აყალიბებდნენ: *lex prospicit, non respicit* (კანონი მხოლოდ წინ იცქირება, ის საპირისპირო მიმართულებით არ მოქმედებს[1409]); *lex de futuro; iudex de praeterito* (კანონი მოქმედებს სამომავლოდ, მოსამართლე განიხილავს წარსულს[1410]). სისხლის სამართლის უკუქმედების ძალა[1411]

[1404] locus criminis – დანაშაულის ჩადენის ადგილთან. Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2003, 113.

[1405] crimen trahit personam – დანაშაული თან ითრევს ადამიანს. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 114.

[1406] იქვე, 129.

[1407] იქვე, 373.

[1408] იქვე, 385.

[1409] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 245.

[1410] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 242.

[1411] nunc pro tunc – სისხლის სამართლის უკუქმედების ძალა. Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 114.

უკვე ცნობილი იყო, თუმცა მხოლოდ უკიდურეს ზომად განიხილებოდა, ძალზედ იშვიათ შემთხვევებში: კანონი, რომელსაც უკუქმედების ძალა გააჩნია, იშვიათად და დიდი სიფრთხილით გამოიყენება, რადგან იანუსის ადგილი არ არის სამართალში.[1412]

სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობის, სწორი და ერთგვაროვანი გამოყენების აუცილებელ და უცვლელ, პირობად მისი ახსნა-განმარტება ითვლება, რაც საზოგადოებაში არსებულ მღელვარებას ყველაზე უკეთ დააცხრობს. ძვ. რომში სისხლის სამართლის კანონის საჯარო ახსნა-განმარტება რომაელი იურისტების აქტიური მონაწილეობით ხორციელდებოდა. თუ რომაელი პონტიფიკოსები, საკუთარ თავს, ღმერთების ნების განმცხადებლებად მიიჩნევდნენ და არ ზრუნავდნენ საკუთარი კონსულტაციების მოტივაციაზე, საერო იურისტები არა თუ მოტივირებულ კონსულტაციებს იძლევიან, არამედ სამართლის ნორმების ახსნა-განმარტებას[1413] ახდენენ და ცდილობენ ჩასწვდნენ არამარტო ცალკეული ნორმის არსს, არამედ შეისწავლონ რომის სამართლის სისტემა მთლიანობაში და დაადგინონ სამართლის ძირითადი პრინციპები. სისხლის სამართალში დამკვიდრდა იურიდიული პრეზუმფციის შემუშავება და გამოყენება.

სისხლის სამართლის პრეზუმფცია გულისხმობდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში „ადგილი აქვს კეთილსინდისიერებას, თუ არ დადგინდა ბოროტი განზრახვა“ ან „თითოეული ჩვენთაგანი კეთილსინდისიერ პირად ითვლება, თუ არ დამტკიცდა საპირისპირო მდგომარეობა“ (Paul.).[1414]

[1412] leges quae retrospiciunt raro, et magna cum cautione sunt adhibendae neque enim Ianus locatur in legibus – კანონი, რომელსაც უკუქმედების ძალა გააჩნია, იშვიათად და დიდი სიფრთხილით გამოიყენება, რადგან იანუსის ადგილი არ არის სამართალში. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 240.

[1413] interpretatio – ახსნა-განმარტება.

[1414] Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 116

II. სისხლის სამართლის პრინციპები

იმ მრავალრიცხოვანი სამართლებრივი საშუალებებიდან, რომლებიც მოწოდებული არიან განამტკიცონ საზოგადოებრივი თანაცხოვრება, გამოიყოფა ისეთები, რომლებსაც გენერალური (ზოგადსავალდებულო) მნიშვნელობა და ღირებულება გააჩნიათ და რომლებიც კერძო სამართლის ნორმების შინაარსსა და ტონალობას კოორდინირებენ, სასამართლო პრაქტიკას აკეთილშობილებენ, სამართლებრივ იდეოლოგიას ასახავენ. ამ სამართლებრივი რეგლამენტის სახელწოდებაა – სამართლის პრინციპი, რომელიც კერძო მოთხოვნებს განამტკიცებდა. სამართლის პრინციპების როლი და მნიშვნელობა შეიძლება ერთი ფრაზით ჩამოვაყალიბოთ: სამართლის პრინციპი არის იდეასა და სინამდვილეს შორის არსებული კომპრომისი.

§1. კანონიერების პრინციპი

კანონიერება – ზოგადსამართლებრივი იდეალია, რომელიც, ყოველგვარ გამონაკლისებს, მთლიანად უარყოფდა. ძვ. რომაელებმა შთამომავლობას ერთგვაროვანი სამართლებრივი მაქსიმები დაუტოვეს სახელმძღვანელოდ: *fiat iustitia, pereat mundus* (მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს, მთელი სამყაროც რომ დაიღუპოს)[1415] და *dura lex, sed lex* (კანონი მკაცრია, მაგრამ ეს კანონია[1416]). კანონიერების საყოველთაო პრინციპის დამკვიდრებამ, თვითნებობის, ანალოგიით მართლმსაჯულების განხორციელების, უსამართლო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების აღმოფხვრას შეუწყო ხელი. რომაელებმა თავიდან აიცილეს კანონიერების რეჟიმის დარღვევა და, კანონის მკაცრ და მშრალ ერთგვაროვნებას, მიანიჭეს უპირატესობა ინდივიდუალური მიდგომების მიმართ, რაც, მომდევნო თაობების იურისტებისათვის, თავისებურ გაფრთხილებად, მოწოდებად იქცა.

[1415] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 168.

[1416] იქვე, 141.

§2. მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი

მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი არის ისეთივე მუდმივი იდეა, როგორც მუდმივია თვით ბუნება. ადამიანებმა დიდი ხანია დაიჯერეს და განუხრელ ჭეშმარიტებად მიიღეს, გარშემო მყოფთა ინდივიდუალიზმი, ან მთელი სამყაროს უფერული ერთგვაროვნება.

Ulp. (D. 50.17.32) ამბობდა: ... *quod adius naturale affinet, omnes homines aequales sunt* (...ბუნებითი სამართლის მიხედვით, ყველა ადამიანი თანასწორია).[1417] თუმცა, სამართალი (და განსაკუთრებით, სისხლის სამართალი) პოლიტიკურ დოქტრინებს ექვემდებარება, ცვლის მემკვიდრეობის საკითხების რეგლამენტაციას და ცდილობს, ქონებრივ სანქციებსა და თავისუფლების ჩამორთმევას შორის მოძებნოს ალტერნატივა.

ზოგადად, ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სფერომ, კასტობრივი კუთვნილების არსებობა, ყველაზე მეტად განიცადა. პირველებმა აღნიშნული ვითარება სწორედ რომაელმა იურისტებმა შენიშნეს. მათი აზრით, ერთი მხრივ, კანონი ყველასათვის ერთი პირით საუბრობდა[1418] და თანასწორობა სამართ-ლიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა.[1419] მაგრამ, მეორე მხრივ, პირველივე კრიტიკული ვითარების არსებობამ, რომაელი იურისტები დააეჭვა და მათ გამოთქვეს ასეთი მოსაზრება: *qui non habet in aere luat in corpore, ne quis peccetur impune* (ის, ვისაც საფულეში გროში არ უდევს, უნდა დაექვემდებაროს სხეულებრივ სასჯელს, რადგან კანონის დამრღვევი დაუსჯელი არ დარჩეს).

ამრიგად, უფრო ზუსტი იქნება, აღნიშნული პრინციპი, ჩამოყალიბდეს შემდეგი ცნებით: ყველა პირი კანონისა და სასამართლოს წინაშე არის თანასწორი, ყოველგვარი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის მიუხედავად, ასაკისა და შერაცხადობის, ანუ იმ შემადგენლობის ნიშნების გარდა, რომლებიც დანაშაულის სუბიექტისათ-

---

[1417] Ulp., D.50.17.32. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 529.

[1418] lex uno ore omnes alloquitur – კანონი ყველასათვის ერთი პირით საუბრობდა. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 246.

[1419] prima pars aequitatis aequalitas – თანასწორობა სამართლიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა. იქვე, 318.

ვის არის დამახასიათებელი. სისხლის-სამართლებრივი რეგულირების სფეროში, სწორედ დანაშაულის შემადგენლობა, ადამიანთა იურიდიული თანასწორობის უზრუნველყოფის ყველაზე საიმედო და გამოცდილი ინსტრუმენტი იყო. ამრიგად, დანაშაულებრივ ქმედებებში ბრალდებული პირები გათანაბრებული და სტანდარტიზებული არიან.

§3. ბრალეულობის პრინციპი

ბრალეულობის პრინციპი ძველ რომაულ დეფინიციაში დაახლოებით ასე ჟღერდა: *ubi culpa est, ibi poena subesse debet* (სადაც ბრალია, იქვე სასჯელიც უნდა იყოს).[1420] ბრალის პრინციპის არსებობა განპირობებული იყო სამი ფაქტორით: ა) ბრალი ჰუმანური იარაღი იყო, ზიანის მომტანი ქმედების ჩამდენი, ნებისმიერი ავტორის დასჯის წინააღმდეგ, მათ შორის ისეთი პირების დასჯის წინააღმდეგ, ვინც საზოგადოებრივი ზნეობით არ იყო გამართლებული; ბ) ბრალი – სამართლებრივი მიზნების მიღწევის აუცილებელი პირობაა, რაც მხოლოდ ხელისუფლებასა და დამნაშავეს შორის გააზრებული დიალოგის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი (განზრახული ჩანაფიქრისა და ნებელობითი განხორციელების შესახებ, ამ აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართლიანი დასჯის შესახებ, გამოსწორებისა და ვალის გადახდის შესახებ და სხვა); გ) ბრალი – პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის დამატებითი კრიტერიუმია. ბრალეულობის მოთხოვნა ხელისუფლების მიერ, მიმართულია მხოლოდ ბრალის კონდიციური მატარებლებისადმი, რომელთა ქვეშ იგულისხმება გარკვეული ასაკის მიღწევა (რომელიც უსაფრთხო საზოგადოებრივ მოქმედებას უზრუნველყოფს) და ბიოლოგიური მაჩვენებლები (ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ადეკვატურად აღქმის, უნარის მქონე ნებისმიერი ფიზიკური პირი).

ამრიგად, ასაკი და შერაცხადობა ბრალისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მთავარი წინაპირობაა. ბრალი – დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ნიშანია, რომელიც,

[1420] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 383

ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმეზე, მტკიცების საგანს წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს. მრავალი საუკუნის განმავლობაში ბრალეულობის პრინციპი დაკავშირებული იყო ფაქტების სწორ ასახვასთან, ქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობის (საშიშროების) გაგებასთან. მართლწინააღმდეგობისა და დანაშაულის აკრძალვის შეგნებას არ აქვს იურიდიული მნიშვნელობა. კანონის არცოდნა არავის ეპატიება[1421] – რომაელებმა ეს პრინციპი გაითავისეს ძველთაგანვე. რომის ხელისუფალნი, რომის სენატისა ან მაგისტრატების იურიდიულად მნიშვნელოვან და ზოგადსავალდებულო აქტებს, საყოველთაო გაცნობისათვის ფორუმის მოედანზე გამოფენდნენ ხოლმე, *tabulae publicae* სახით, ან დამატებით გაახმოვანებდნენ კიდეც.

§4. სამართლიანობის პრინციპი

სამართლიანობის პრინციპი უძველეს ზოგადსაკაცობრიო იდეალსა და იმედს გამოხატავდა. როგორც ნებისმიერი მორალური მოთხოვნა, სამართლიანობა განსხვავდება შინაარსობრივი მოქნილობით. თითოეული ეპოქა და თითოეული საზოგადოებრივი წყობა სამართლიანობის საკუთარი გაგების მიმართ, გარკვეულ იმედებს გამოხატავდა. ძველმა რომაელებმა მალევე გააცნობიერეს, რომ ყველასათვის მისაღები კანონი საერთოდ არ არსებობს და ამიტომ საჭიროა, განსაკუთრებული კოეფიციენტების შემუშავება. რომაელებმა აქცენტი სამართლიანობაზე[1422] გადაიტანეს, რომელიც, მათი აზრით, მკაცრი კანონიერების ერთადერთი და მუდმივი ოპონენტია. მათი შეხედულებით, მხოლოდ სამართლიანობა იყო ზესამართლებრივი იმპერატივი, გადამრჩენი ინსტრუმენტი, რომელიც სისხლის სამართალს ადამიანებისათვის მისაღებად აქცევდა. რომაელებმა ზნეობრივი იურიდიული ჩიხიდან ერთადერთ გამოსავლად *perpetuae lex* მიიჩნიეს. სწორედ ამან განაპირობა რომაელთა ღვთაებრივი აღტკინება სამართლიანობის მიმართ: სამართალი ან-

[1421] Ignorantia legis neminem excusat – კანონის არცოდნა არავის ეპატიება. იქვე, 192.

[1422] aequitas – სამართლიანობა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 26-27.

გარიშს უწევს სამართლიანობის მოსაზრებებს;[1423] კანონი პატივისცემით ეკიდება სამართლიანობის მოთხოვნებს,[1424] ან სამართალი სამართლიანობით ტკბება.[1425] ძველი რომის იურისტთა ზნეობრივი მონაპოვრების ძირითადი კალაპოტი კანონის სამართლიანობაზე გაშუქება იყო, რითაც მათ დაამტკიცეს, რომ მორალური კრიტერიუმი ბინიერზე უფრო მაღალია და ამიტომ ხელისუფლების მისწრაფებანი არასრულყოფილია.

იურისტები კანონმდებლობისაგან ზომიერებას მოითხოვდნენ: კანონისათვის მნიშვნელოვანი ის არის, რაც სამართლიანობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.[1426] აქვე იყო პრეტორების მიმართ მოწოდება, რომ მათ კანონის კერძო წესებში გამოეძებნათ სამართლის სულისკვეთება ზოგადად *(aequitas naturalis preferenda est rigori iuris* – ბუნებრივი სამართლიანობა უფრო სასურველია, ვიდრე კანონის სიმკაცრე);[1427] *iudex aequitatem semper spectare debet* (მოსამართლეს სამართლიანობა მუდამ მხედველობაში უნდა ჰქონდეს).[1428] რომის სამართალში სამართლიანობის პრინციპის კერძო ახსნა-განმარტებად შემდეგი დათქმა ითვლებოდა: *nemo bis punitur pro eodem delicto, nemo debet bis puniri uno delicto* (არავინ შეიძლება ორჯერ დაისაჯოს ერთი და იმავე დანაშაულისათვის[1429]).

§5. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი

პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი ჩადენილი ქმედებისათვის, ნელ-ნელა, ხელისუფლების განმტკიცებისა და ცენტრალიზაციის კვალობაზე და მის ხელში სადამსჯელო ფუნქციების გადასვლასთან ერთად, სისხლის აღების ჩვეულების,

[1423] ius respicit aequitatem – სამართალი ანგარიშს უწევს სამართლიანობის მოსაზრებებს.. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 235.

[1424] lex respicit aequitatem – კანონი პატივისცემით ეკიდება სამართლიანობის მოთხოვნებს. იქვე, 245.

[1425] lex aequitate gaudet – სამართალი სამართლიანობით ტკბება. იქვე, 242.

[1426] tantum habent de lege, quantum habent de iustitia – კანონისათვის მნიშვნელოვანი ის არის, რაც სამართლიანობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. იქვე, 377.

[1427] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 76.

[1428] იქვე, 224.

[1429] იქვე, 270.

ცხოველების დასჯის, სისხლის სამართლის თემურ-კოლექტიური პასუხისმგებლობის უარყოფის პარალელურად იკაფავდა გზას. ძველ რომაელებს აღნიშნული პრინციპი მოუწოდებდა დანაშაულის შედეგები მემკვიდრეებზე არ გაეერცელებინათ.[1430] ასევე ერთმნიშვნელოვანია კიდევ ერთი ანონიმური სენტენცია – *nemo punitur pro alieno delicto* (არავინ დაისჯება სხვისი დანაშაულისათვის[1431]).

Ulp.D.16.3.1.18 აზრით, სამართალდარღვევისა და ზიანის მიყენებისათვის პასუხს აგებდა პირადად სამართალდამრღვევი (*et delicta et noxae caput seguuntur*).[1432] თუმცა, ძვ. რომაულმა იდეოლოგიურმა და სამართლებრივმა კონსტრუქციებმა ამ პრინციპიდან გამონაკლისიც დაუშვეს: კერძოდ, Ulp. (D.48.4.11) თვლიდა: *„Crimen extinguiturrimen mortalitate, nisi forte quis maiestatis reus fuit"* (დანაშაული დაიფარება დამნაშავის სიკვდილით, თუმცა ერთი გამონაკლისით: თუ სახელმწიფო ღალატს არ ჰქონდა ადგილი).[1433] ამრიგად, სახელმწიფოს მოღალატე ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში პასუხს მისი მემკვიდრე აგებდა და ის სასჯელისათვის უნდა გამზადებულიყო.[1434] ამავე სერიიდან შეიძლება გამოვყოთ ნორმები სხვისი ბრალეულობის გამო პასუხისმგებლობის შესახებ: მეპატრონის პასუხისმგებლობა მოსამსახურის სამართალდარღვევისათვის,[1435] ანუ ადამიანის პასუხისმგებლობა მონისა ან შვილის სამართალდარღვევისათვის.[1436]

[1430] in heredes non solent transire actiones quae poenales ex maleficio sunt – სადამსჯელო ხასიათის სარჩელები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის ფაქტიდან წარმოიშვება, არ გადადის მემკვიდრეობით. Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 135.

[1431] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 275.

[1432] Ulp.D.16.3.1.18. Digesta Iustiniani. Т. III. книги XII-XIX. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 409.

[1433] Ulp., D.48.4.11. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. Т. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 39.

[1434] Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 136.

[1435] iniuria servi dominum pertingit – მეპატრონის პასუხისმგებლობა მოსამსახურის სამართალდარღვევისათვის. Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 135.

[1436] ob alterius culpam tenetur, sive servi, sive liberi – ადამიანის პასუხისმგებლობა

§6. დასჯადობის გარდაუვალობის პრინციპი

სასჯელის გარდაუვალობის პრინციპი რომაელებმა ბუნებრივ სამართლიანობად მიიჩნიეს, რადგან, მათი აზრით, ეს პრინციპი მნიშვნელოვან პრევენციულ საშუალებად, თითქმის აქსიომად, მიიჩნეოდა.

უპირველეს ყოვლისა, ეს მოთხოვნა დამნაშავის ანტისაზოგადოებრივ გამოხტომაზე რეაგირების ამოცანას დაუკავშირდა: დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.[1437] განსაკუთრებით მიესალმებოდნენ იმ აზრს, რომ დანაშაულსა და სასჯელს შორის ურყევი კავშირი არსებობდა და სამაგიეროს მიზღვის გარდაუვალობას წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

Ulp. (D.4.5.2.3)[1438] თვლიდა, რომ არავინ შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან ჩადენილი სამართალდარღვევის გამო (*nemo delictis exuitur*[1439]). სისხლის-სამართლებრივი ქმედებისათვის სასჯელის გარდაუვალობის პრინციპი, ყველაზე ხშირად, ახალი დანაშაულის ჩადენისაგან თავის არიდების ზრუნვით ან დანაშაულისაგან თავდაცვის აუცილებლობით იყო განპირობებული.

რომაელები საუბრობდნენ სახელმწიფო ინტერესების შესახებ;[1440] იმის შესახებ, რომ დაუსჯელობა მუდამ წაახალისებდა დამნაშავეთ (*impunitas cotinuum affectum tribuit delinquendi*[1441]), რომ დაუსჯელობა მუდმივად აცდუნებს პირს დანაშაულის ჩადენისაკენ (*spes impunitatis continuum affectum tribuit delinquendi*).[1442]

მონის ან შვილის სამართალდარღვევისათვის. იქვე.

[1437] neque impunita maleficia esse oporteat – დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. Iul. D.9.2.51.2. . Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 431-433.

[1438] Ulp., D.4.5.2.3. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2002, 499.

[1439] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 271.

[1440] interest reipublicae ne maleficia remaneant impunita – სახელმწიფოს ინტერესებშია, რომ დამნაშავენი დაუსჯელი არ დარჩნენ. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 275.

[1441] იქვე, 195.

[1442] იქვე, 371.

III. დანაშაული რომის სამართალში

დანაშაული (თანამედროვე გაგებით), როგორც სისხლის სამართლის ცნება და ინსტიტუტი, რომაულ იურისპრუდენციაში ვერ ჩამოყალიბდა.[1443] სავარაუდოდ, მათზე გავლენა მოახდინა, მკაცრად თეორიული ხასიათის და მშრალი, სწორად ჩამოყალიბებული დეფინიციების მიმართ, რომაელთა საყოველთაო სიძულვილმა. წინასწარ შემოწმებული თვისებების გათვალისწინებით – რომაელები უპირატესობას ბრძანებების ზუსტ და მოკლე ფორმულებს, ქცევის რეცეპტებს ანიჭებდნენ. ძვ. რომმა უკვე იცოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და გადაცდომის (*commissum*), სამართალდარღვევისა (*delictum*) და საკუთრივ დანაშაულის (*crimen*) დიფერენცირება.[1444]

დანაშაული, თავის მხრივ, იყოფოდა სხვადასხვა სახეებად: 1. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;[1445] 2. ძალადობრივი დანაშაული;[1446] 3. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;[1447] 4. თანამდებობრივი დანაშაული[1448] და სხვა.

აღნიშნული ეპოქის დანაშაულის კერძო სახეები შემდეგნაირად იყოფოდა: ა) სახელმწიფო საკუთრების დატაცება, გაფლანგვა;[1449] ბ) თავისუფალი ადამიანის, მართლსაწინააღმდეგოდ, მონად

[1443] Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 143.

[1444] იქვე, 144.

[1445] vis publica ანუ de maestate – სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. იქვე.

[1446] devi – ძალადობრივი დანაშაული. იქვე.

[1447] raptus – rapina-ს სინონიმი. ადამიანის გატაცება, კერძოდ – ქალის, მისი მშობლების ნების საწინააღმდეგოდ. იმპერატორმა კონსტანტინემ ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სიკვდილით დასჯა დაანესა, ვინაიდან დანაშაულის ეს სახე crimen publicum-ად დაკვალიფიცირდა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 269.

[1448] ambitus – თანამდებობრივი დანაშაული – საარჩევნო პერიოდში გამოყენებული ნებისმიერი ხასიათის კორუფციული გარიგება. იქვე, 46.

[1449] peculatos – სახელმწიფო საკუთრების დატაცება, გაფლანგვა. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 241.

გაყიდვა;[1450] გ) რომის მოკავშირეების ქონების მიტაცება;[1451] დ) შხამით მოწამვლა;[1452] ე) დაქირავებული მკვლელობა – ანგარებით მკვლელობა;[1453] ვ) განზრახ მკვლელობა;[1454] ზ) სახელმწიფოს ღალატი;[1455] თ) ქურდობა;[1456] ი) ცილისწამება;[1457] კ) ცრუმოწმეობა;[1458] ლ) თაღლითობა;[1459] მ) შეურაცხყოფა;[1460] ნ) ცემა, გვემა[1461] და სხვა.

რომაელმა იურისტებმა, პირობითად, სავარაუდოდ, აღიარეს მართლწინააღმდეგობა დანაშაულის აუცილებელ ნიშნად: Ulp. (D. 50. 16. 131 pr)[1462] თვლიდა, რომ დაუშვებელია სასჯელის არსებობა დანაშაულის გარეშე (*poena sine fraude esse non potest*).

რომაელებმა განსაზღვრეს დანაშაულის კატეგორიზაციის[1463] ჩანასახებიც: 1. *minora crimina* – ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაული; 2. მათ მიერ განისაზღვრა დანაშაულებრივი აქტის დასრულების მომენტის დადგენის აუცილებლობა (*flagrans crimen*).

[1450] plagium – თავისუფალი ადამიანის, მართლსაწინააღმდეგოდ, მონად გაყიდვა. იქვე, 247.

[1451] repetundae – რომის მოკავშირეების ქონების მიტაცება. იქვე, 273.

[1452] veneficia – შხამით მოწამვლა. იქვე, 325.

[1453] sicaria – დაქირავებული მკვლელობა, ანგარებით მკვლელობა. იქვე, 297.

[1454] homicidium – განზრახ მკვლელობა. იქვე, 144.

[1455] perduellio – სახელმწიფოს ღალატი. იქვე, 242.

[1456] furtum – ქურდობა. იქვე, 138-139.

[1457] calumnia – ცილისწამება. Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 59.

[1458] falsum – ცრუმოწმეობა. იქვე, 129.

[1459] captio ან fraus – თაღლითობა. იქვე, 60.

[1460] convicium – შეურაცხყოფა. იქვე, 92.

[1461] verberatio – ცემა, გვემა. იქვე, 325.

[1462] Ulp.,D. 50. 16. 131 pr. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 487.

[1463] Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 144.

დანაშაული წარმოადგენს გარკვეულ ფსიქოფიზიოლოგიურ ერთობლიობას, ანუ ბრალი არის აზრებსა და ქმედებას, სულსა და სხეულს, განზრახვასა და შედეგს შორის არსებული უწყვეტი კავშირი.[1464] პირის შინაგანი სულიერი სამყაროს ის მცირედი ნაწილი, რომელიც დანაშაულებრივ აქტს უშუალოდ ასახავდა და ხსნიდა და ბუნებრივად იწვევდა კანონმდებლისა და იურისტის ინტერესებს, დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარედ იწოდებოდა. აღნიშნული ცნება ცნობილი იყო რომაელი იურისტებისათვის, რომლებიც მას *mens rea*-ს (სულიერი საქმე) უწოდებდნენ. თანამედროვე მეცნიერება *mens rea*-ში გამოჰყოფს მიზანსა (ავტორისათვის სასურველი შეცოდების შედეგი) და მოტივს (შეგნებული ან გაუაზრებელი შინაგანი აღტკინება), თუმცა დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის მთავარ კომპონენტს მაინც ბრალი წარმოადგენს. ბრალის გარეშე მიყენებული ზარალი სისხლის-სამართლებრივი წესით არ იდევნება და ისჯება. ძველმა ლათინებმა იმთავითვე მოახდინეს დანაშაულის კლასიფიცირება შემთხვევით, განზრახ და ემოციებზე დამყარებულ ქმედებად: *Marcianus* (D.48.19.11.2)[1465] აზრით, ადამიანები სამართალს განზრახ, გრძნობების მოწოლით ან შემთხვევით არღვევენ (*delinquitur aut proposito aut impetu aut casu*). ნებისმიერი სამართალდამრღვევი ფსიქიურად ინდივიდუალურია, ხოლო ნებისმიერი დანაშაული, აგრეთვე, სამყაროს ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ასახვის სფეროს წარმოადგენს და ამავდროულად, დანაშაულში თვით სამართალდამრღვევის პიროვნებაა გამოხატული.

დანაშაულის სუბიექტური მხარისა და ბრალის შესახებ ცოდნას ძველი რომაელები სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენცირებისათვის იყენებდნენ. მათ მიერ მოძიებულ იქნა დანაშაულებრივი ფსიქოლოგიის ახალ-ახალი გამყოფი ხაზები, რის შედეგად დამკვიდრდა მტკიცება, რომ დანაშაულის სხვადასხვა სახე ერთმანეთისაგან განსხვავდება განზრახვით და მიზნებით (*voluntas et propositum distinguunt maleficia*). აგრეთვე მოხდა თანამე-

[1464] იქვე, 145.

[1465] Marc., D.48.19.11.2. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 177.

დროვე იურიდიული სულისკვეთებისათვის ნაცნობი ცნებების – თანაბარი ბრალი,[1466] წინასწარ შეცნობილი განზრახვა[1467] – კულტივირება. სწორედ აქედან გამომდინარეობს მითითება უხეში გაუაზრებლობისა და ზიანის განზრახი მიყენების შესახებ – უხეში დაუდევრობა განზრახვას უთანაბრდება[1468] ან – უხეში გაუფრთხილებლობა განზრახვის თანაბარია.[1469]

ამრიგად, იმდროინდელ სისხლის-სამართლებრივ კონსტრუქციებში უკვე იყო განზრახვის, გაუფრთხილებლობისა და დაუდევრობის ადგილი. დამნაშავის ინტელექტუალურ-ნებელობითი ძალისხმევა და შესაძლებლობანი, სისხლის სამართლის სფეროში, მხედველობაში ორი მიმართულებით მიიღებოდა: ჩადენილი ქმედებისადმი (მოქმედება ან უმოქმედობა) ფსიქიკური დამოკიდებულებით და ამ ქმედების შედეგებით. თუმცა, ძველ რომაულ საკანონმდებლო ტექსტებსა და ტრაქტატებში არ იყო პირდაპირი მითითება ბრალის ორი ფორმის — განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შესახებ, მაგრამ უკვე არსებობდა მითითება იმის შესახებ, რომ ალკოჰოლი დიდ გავლენას ახდენდა დანაშაულის ჩადენაზე, კერძოდ: ვინც ჩაიდენდა დანაშაულს სიმთვრალეში, დაისჯებოდა მაშინ, როცა ფხიზელი იყო.[1470] ძველრომაულმა სამართალმცოდნეობამ სწრაფად გაიაზრა, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაემიჯნათ შემთხვევა და შეცდომა. ულპიანეს აზრით: ა) შემთხვევის (დაუძლეველი ძალის) გამო პასუხს არავინ აგებს;[1471] ბ) არავითარ ადამიანურ ნინდახედულობას შეუძლია შემთხვევისაგან დაცვა.[1472]

[1466] par delictum – თანაბარი ბრალი. Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 147.

[1467] malitia praecogitata – წინასწარ შეცნობილი განზრახვა. იქვე.

[1468] lata culpa dolo aequiparatur – უხეში დაუდევრობა განზრახვას უთანაბრდება. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 117.

[1469] magna culpa dolus est – უხეში გაუფრთხილებლობა განზრახვის თანაბარია. იქვე, 252.

[1470] qui peccat ebrius, luat sobrius – ვინც ჩაიდენდა დანაშაულს სიმთვრალეში, დაისჯებოდა მაშინ, როცა ფხიზელი იყო. იქვე, 336.

[1471] casus a nullo praestatur – შემთხვევის (დაუძლეველი ძალის) გამო პასუხს არავინ აგებს. D.50.17. 23. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 527-529.

[1472] fortuitos casus nullum humanum consilium providere potest – არავითარ ადამიანურ ნინდახედულობას შეუძლია შემთხვევისაგან დაცვა. Ulp. D.4.4.11.5. Digesta Iustiniani. T. I. книги I-IV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут,

შეცდომას კი *error*-ს უწოდებდნენ. შეცდომა სხვადასხვაგვარი შეიძლება ყოფილიყო, კერძოდ: რომაელები იურიდიულ და ფაქტობრივ შეცდომებს განასხვავებდნენ. განსხვავების არსი კი მეტად სწორხაზოვანი იყო: ფაქტის არცოდნა საპატიოა, ხოლო სამართლის არცოდნა (არავითარ შემთხვევაში) არავის ეპატიება.[1473] აღნიშნულის თაობაზე მნიშვნელოვანია Paul. მოსაზრება: სამართლის არცოდნა ყველასათვის საზიანოა, ფაქტის არცოდნა არ არის საზიანო.[1474]

§1. შერაცხადობა

ბრალი სამართალდამრღვევის ჯანსაღი ფსიქიკის მოქმედებას გულისხმობს: თუ პირი ფსიქიურად დაავადებულია (ჭკუასუსტობით ან გონებაჩლუნგობით) გამოირიცხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და პირი მხოლოდ იძულებით სამედიცინო მკურნალობას დაექვემდებარება, შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში. რომაელმა იურისტებმა, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის და სამედიცინო დახმარების მიზნით, სამართალშეფარდებით ბრუნვაში შემოიღეს შეურაცხადობის ცნება, რომელიც დღემდე გამოიყენება თანამედროვე სამართალში.

საკუთრივ იურიდიული წესები მეტად სწორხაზოვანია: *Modestinus* აზრით, უჭკუო საკმარისად დასჯილია უჭკუობით,[1475] ანუ ფსიქიურად ავადმყოფი პირების მიერ ჩადენილი ექსცესების გამო, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შეფარდება შეუძლებელი

2002, 469.

[1473] ignorantia facti excusat, ignorantia iuris (haund) non excusat – ფაქტის არცოდნა საპატიოა, ხოლო სამართლის არცოდნა (არავითარ შემთხვევაში) არავის ეპატიება. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 192.

[1474] regula est iuris quidem ignorantia cuique nocere, facti vero ignorantium non nocere – სამართლის არცოდნა ყველასათვის საზიანოა, ფაქტის არცოდნა არ არის საზიანო. Paul., D.22.6.9pr. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. IV. книги XX-XXVII. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2004, 265.

[1475] sufficit furore ipso furiosum puniri – უჭკუო საკმარისად დასჯილია უჭკუობით. Mod., D.48.9. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 95.

იყო. თანაც, იმ პერიოდში, მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული, ფსიქიატრიული კლინიკების არსებობა წარმოუდგენელი იყო, რის გამოც, სულით ავადმყოფი პირი ბოლომდე „თავისუფალი" იყო და იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებას არ ექვემდებარებოდა. რომის სამართალში არც საკანონმდებლო წესით გადაწყვეტილი შეურაცხაობის დეფინიცია არსებობდა, რომელიც ღირსეულ სამედიცინო და ბიოლოგიურ საფუძველს დაეფუძნებოდა. ამის გამო შეურაცხადი და სულით ავადმყოფი პირების განსხვავება მარტივი წესით ხდებოდა: შეურაცხადია ის, ვინც შეცდომებს საკუთარ სახელში აკეთებდა.[1476]

§2. დანაშაულის ობიექტური მხარე

სუბიექტური შერაცხვის, ბრალის შესახებ მოძღვრების, შეცდომისა და შეურაცხადობის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ძველი რომაელებისათვის დანაშაულის ადვილად დამამტკიცებელ მოწმეობას მაინც მისი გარეგანი, ობიექტური ნიშნები (მახასიათებლები) წარმოადგენდა, რომლებიც უფრო ძლიერ არგუმენტად ითვლებოდა, ვიდრე სიტყვები (*facta sunt potentiora verbis*).

რომაელი იურისტები თვლიდნენ, რომ მხოლოდ აზრების გამო პირის დასჯა შეუძლებელი იყო, რომ განზრახვა არ იყო დასჯადი.[1477] ამ დროიდან მოყოლებული, ქმედება და მისი შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვანი გარეგანი კოორდინატების გარემოცვაშია (დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, გარემოება, იარაღი, საშუალება და სხვა) მოქცეული, დანაშაულის იმ ენერგეტიკულ ბირთვს წარმოადგენენ, რომელიც დანაშაულის შემადგებლობის ობიექტური მხარის სახელწოდებით არის ცნობილი. ძალზედ პრიმიტიულად იყო გადაწყვეტილი დანაშაულის დამთავრების

[1476] fatuus praesumitur qui in proprio nomine errat – შეურაცხადია ის, ვინც შეცდომებს საკუთარ სახელში აკეთებდა. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 166.

[1477] cogitationis poenam nemo patitur – აზრების გამო პირის დასჯა შეუძლებელი იყო, რომ განზრახვა არ იყო დასჯადი. Ulp., D.48. 19. 18. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 183.

საკითხი. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გაიუსის მოსაზრებანი ქურდობის დამთავრებასთან დაკავშირებით: ზოგიერთების აზრით, ქმედება მთავრდება, თუ დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს იქნება წასწრებული; სხვები თვლიან. ...თუ ის წასწრებულია დანაშაულის ადგილზე; მესამენი ...ვიდრე ქურდი არ წაიღებს ნივთს იქ, სადაც ჩაიფიქრა, დაბოლოს, სხვები თვლიან...როცა ქურდს ნივთით ხელში ხედავენ.[1478]

§3. დანაშაულის ჩადენის სტადიები

რომაელმა იურისტებმა არ იცოდნენ, თანამედროვე გაგებით, დანაშაულის მომზადების ცნება, მათ ვერ შეძლეს დამთავრებული დანაშაულის, როგორც დამოუკიდებელი სტადიის, გამოყოფა და ვერ ჰყოფდნენ დანაშაულის შეცადებას (მცდელობა) ცალკეულ ნაირსახეობად (როგორც თანამედროვე სისხლის სამართალშია). დამთავრებულ ხელყოფას უპირისპირდებოდა მხოლოდ შეცადება, რომელსაც რომაელებმა ყველაზე მეტი სენტენცია მიუძღვნეს. მათი ნაწილი სადღეისოდ ჩვენთვის მიუღებელი და საზიანოც კი არის, კერძოდ: *in lege Cornelia dolus pro facto accipitur*[1479] (კორნელიუსის კანონის თანახმად (ადამიანის მკვლელობის), მცდელობა მკვლელობას უთანაბრდება (Paul. D.48.8.7);[1480] *In atrocioribus delictis punitur affectus licet non sequitur effectus* (უფრო მძიმე დანაშაუ-

[1478] manifestum furtum quidam id esse dixerunt, quod dum fit deprehenditur. Alii vero ulterius, quod eo loco deprehenditur ubi fit. ... Alii ... donec perferret eo, quo perferre fur destinasset. Alii ...quandoque eam rem fur tenens visus fuerit – ზოგიერთების აზრით, ქმედება მთავრდება, თუ დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს იქნება წასწრებული; სხვები თვლიან. ...თუ ის წასწრებულია დანაშაულის ადგილზე; მესამენი ...ვიდრე ქურდი არ წაიღებს ნივთს იქ, სადაც ჩაიფიქრა, და, ბოლოს, სხვები თვლიან...როცა ქურდს ნივთით ხელში ხედავენ, Gai., 3,84. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, 2011, 144-145.

[1479] Бартошек М., Римское право, Понятия, термины, определения, Москва, 1989, 186.

[1480] Paul. D.48.8.7. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XL-VIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005. 89.

ლის მცდელობა მაინც დასჯადია, თუნდაც შედეგი არ ყოფილიყო დამდგარი).[1481]

§4. დანაშაულში თანამონაწილეობა

რომაულმა წარჩინებულმა საზოგადოებამ ძალზედ ადრე გააცნობიერა დანაშაულის ჯგუფური ფორმების მომეტებული საფრთხე, არსებული წესრიგისადმი კორპორაციული წინააღმდეგობის განსაკუთრებული საშიშროება (მეზობელ ტომებთან პერმანენტული ბრძოლა, *plebs*-ის პოლიტიკური ბუნტი, მონათა გახშირებული აჯანყებები, პროვინციებში არსებული მღელვარება).

ყოველივე ზემოთქმულმა, დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ, მოძღვრების აქტიურ განხილვას შეუწყო ხელი. დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემა, კანონმდებლობაში, დაცვით რეაქციად იქცა.

თანამედროვე სისხლის სამართლი, დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობას, შემდეგი ქმედებებისათვის ადგენს: უშედეგო წამქეზებლობისათვის; ამავე დროს, თანამედროვე სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობა, განსაკუთრებულად იხილავს დანაშაულში თანამონაწილეობის ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: ექსცესის ინდივიდუალიზირებული სტატუსი: ორგანიზატორის, წამქეზებლის, დამხმარის მიერ დანაშაულებრივ ქმედებაზე ნებაყოფლობით უარის თქმა; როლების განცალკავება; თითოეული თანამონაწილეს მიმართ, სასჯელის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გამოყენება და სხვა.

აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, რომაელები საკმაოდ სწორხაზოვნად იქცეოდნენ: მათ დაინახეს, რომ ჯგუფური ხელყოფის დროს, შედეგის დადგომა, საბოლოო ჯამში, ამსრულებლის ფინალურ ძალისხმევაზე იყო დამოკიდებული და სწორედ ამსრულებელს მიიჩნევდნენ ჯგუფური დანაშაულის მთავარ ღერძად, მთავარ დამნაშავედ: სადაც არ არის მთავარი ბრალეული (ამსრულებელი), იქ არც თანამონაწილეობაა,[1482] ან დაუშვებელია

[1481] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 197.

[1482] ubi non est principalis, non potest esse accessorius – სადაც არ არის მთავარი

თანამონაწილის ბრალდება უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენაში, ვიდრე მთავარი ბრალეულის დანაშაულებრივი ქმედება.[1483]

თანამონაწილეობა ჯერ კიდევ არ იყო დაჩრდილული შემხებლობის ინსტიტუტით. სამაგიეროდ, უკვე მოხდა, ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის, ქმედების დროის მიხედვით, იურიდიული შეზღუდვა: მთავარ დამნაშავეს არავის უწოდებენ, ამსრულებლის, ან იმ პირის გარდა, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილას იმყოფებოდა და დანაშაულის ჩადენისაკენ აქეზებდა, ან ამაში მას ეხმარებოდა.[1484]

როგორც ჩანს, იმის მიუხედავად, რომ თანამონაწილეობის სუბიექტური საფუძვლებისადმი უკვე არსებობდა საყოველთაო ლტოლვა, დანაშაულის ან დამნაშავის დაფარვა არასრულყოფილად იყო ჩამოყალიბებული; საუბარი ეხება მხოლოდ დამხმარეს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორი იყო ამსრულებლის ძალისხმევა, თუმცა, არაფერია ნათქვამი, დამხმარესა და ამსრულებელს შორის არსებულ ურთიერთშეთანხმებაზე.[1485]

აპენინებზე ჩამოყალიბებულ სისხლის სამართალში გარკვეული წარმატებებიც გვხვდება: გამოყოფილია და გამოიყენება დანაშაულში თანამონაწილის ცნება[1486]; ფართოდ გავრცელდა დებულება, რომელსაც დღეს, ზიანის შუალობით მიყენებას ვუწოდებთ – ის, ვინც მოქმედებს სხვისი მეშვეობით, თვითონ უშუალოდ მოქმედების ჩამდენად ითვლება.[1487]

ბრალეული (ამსრულებელი), იქ არც თანამონაწილეობაა. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 384.

[1483] accessorius (თანამონაწილეობა) sequitur naturam sut principalis (თანამონაწილეობა თანსდევს მთავარ ბრალეულს) – დაუშვებელია თანამონაწილის ბრალდება უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენაში, ვიდრე მთავარი ბრალეულის დანაშაულებრივი ქმედება. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 65.

[1484] nullus dicitur felo principalis nisi actor, aut qui praesens est, abettans aut auxilians actorem ad feloniam faciendam – მთავარ დამნაშავეს არავის უწოდებენ, ამსრულებლის, ან იმ პირის გარდა, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილას იმყოფებოდა და დანაშაულის ჩადენისაკენ აქეზებდა, ან ამაში მას ეხმარებოდა იქვე, 290.

[1485] Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 157.

[1486] particeps criminis – დანაშაულში თანამონაწილის ცნება. იქვე.

[1487] qui per alium facit per seipsum facere videtur – ის, ვინც მოქმედებს სხვისი მეშვეობით, თვითონ უშუალოდ მოქმედების ჩამდენად ითვლება. Латинские

პოზიტიური მოვლენა თვით თანამონაწილეთა კლასიფიცირება იყო, ამა თუ იმ ფიგურის შედარებითი მნიშვნელობის განსაზღვრით. განსაკუთრებული სასჯელი სწორედ წამქეზებელს ეკისრებოდა: ის ყოველთვის უფრო ბრალეული იყო, ვიდრე ამსრულებელი (*plus peccat autor quam actor*), კერძოდ: ულპიანეს აზრით, წააქეზე — უფრო ბოროტი განზრახვითია, ვიდრე მორჩილებისადმი იძულება.[1488]

§5. დანაშაულებრივი ქმედების გამომრიცხავი გარემოებანი

თანამედროვე სისხლის სამართალში, აღნიშნული მოქმედებანი, რომლებსაც დანაშაულებრივი ქმედების გამომრიცხავი გარემოებანი ეწოდება, სუბიექტების მიერ ექსტრემალურ ვითარებაში ხორციელდება: 1. ზიანის მიყენების ვითარება მათ მიერ არ იგეგმებოდა; 2. ამ გარემოებას იძულებითი ხასიათი ჰქონდა და პირს არ შეეძლო, დროის უკმარისობის გამო, საკუთარი საპასუხო მოქმედებების გააზრება, ან სასარგებლო რჩევების მიღება; 3. თუ აღნიშნული პირობების გარდა, საზოგადოებრივად სასარგებლო აქციებსაც ექნება ადგილი (იძულების ქვეშ, ზიანის მიყენების შემთხვევის გარდა), ასეთი ადამიანების მიმართ, ხელისუფლების მხრიდან, შებრალებითი დამოკიდებულების აუცილებლობაზე შეიძლება ვისაუბროთ.[1489]

რასაკვირველია, ყოველივე ზემოაღნიშნული, ჯერ ვერ იქნებოდა რომაულ საზოგადოებაში დამკვიდრებული, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნები თანამედროვე საზოგადოების მონაპოვარია. თუმცა, ზიანის მართლზომიერი მიყენების გარემოებები, მაინც იქნა აღიარებული და ნელ-ნელა გავრცელდა რომაელთა საზოგადოებაში. მათ შესძლეს ერთმანეთისაგან გაემიჯნათ *actus Dei, vis maior, vis divina* (ღვთიური საქმეები) და სოციალური ფორს-მაჟო-

---

юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 336.

[1488] persuadere plus est quam compelli atque cogi sibi parere – წააქეზე – უფრო ბოროტი განზრახვითია, ვიდრე მორჩილებისადმი იძულება. Ulp., D.11.3.1.3. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 581.

[1489] Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 160.

რის გარემოება, რომელსაც აუცილებლობის ცნება მიენიჭა.[1490] ამავდროულად, საზოგადოებაში აუცილებლობის ამსახველი სენტენციებიც დამკვიდრდა, კერძოდ: აუცილებლობა ცვლის კანონს და მის გაუთავებელ სირთულეებს დასცინის (*necessitas vincit legem; legum vincula irridet*);[1491] აუცილებლობა ამართლებს იმას, რისი გაკეთება იძულების წესით მოხდა (*quod necessitas cogit, defendit*);[1492] აუცილებლობა კანონიერად აქცევს იმას, რაც სხვა პირობებში დაუშვებელი იქნებოდა (*quod alias non fuit licitum necessitas licitum facit*)[1493] და არც კი ცნობს საზოგადოების კანონებს (*necessitas non habet legem*).[1494]

ა) აუცილებელი მოგერიება

ძველი რომის სოციალური ფორს-მაჟორთა ჯგუფის სათავეში აუცილებელი მოგერიება იდგა. თანამედროვე სისხლის სამართლის მსგავსად, რომის სამართალში განხილული, აუცილებელი მოგერიების შესახებ მოძღვრების, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია: 1) მართლზომიერების პირობები; 2) ექსცესი; 3) პროვოკაცია; 4) დრო და მხარეთა შესაძლებლობანი. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან თავდაცვის უფლება (განსაცდელში ჩავარდნილი თანამეთემისათვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენით) ადამიანთა თანაცხოვრების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა და ხელისუფლებაც იძულებული იყო მას შეგუებოდა. თანაც, აღნიშნული საზოგადოებრივი მოვალეობა, განმტკიცებული იყო ზნეობრიობით და სახელმწიფომაც დაუშვა საკუთარი უფლებების ნაწილობრივი დათმობა რიგითი წევრის სასარგებლოდ, რათა უზრუნველყო ბოროტმოქმედების აღკვეთა.

1. აუცილებელი მოგერიება ბუნებრივ და კეთილ საქმედ გამოცხადდა: ყოველივე ის, რასაც ადამიანი საკუთარი თავის და-

---

[1490] იქვე, 161.

[1491] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 269.

[1492] იქვე, 342.

[1493] იქვე, 339.

[1494] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 269.

საცავად სჩადის, კანონიერად ითვლება.[1495] აუცილებელი მოგერიების დროს დასაშვებად მიიჩნევა ნებისმიერი შედეგი, მათ შორის თავდამსხმელის მოკვლა;[1496] 2. თავდამსხმელთან შეტაკება გარკვეული პირობებით იზღუდება. ძალადობა შემხვედრ ძალადობას უნდა შეესაბამებოდეს.[1497] ხოლო თავდამსხმელის დაჭრა შესაძლებელია თავდაცვის დროს და არა შურისძიების გამო.[1498] აღნიშნული სენტენცია უნდა იმგვარად აიხსნას, რომ თავდაცვითი ღონისძიებების მართლზომიერება, დროში უნდა დაემთხვეს აუცილებელი მოგერიების დროს და დაუშვებელია მისი გამართლება, თავდასხმის აღკვეთის რაიმე სხვა ინტერესებით (მაგალითად, შურისძიებით); 3. ზიანის მიყენება ყოველთვის როდი ამართლებს (საპასუხო) ზიანის მიყენებას;[1499] 4. დაუშვებელია ძალადობის შენიღბვა სამართლის საფარქვეშ.[1500] 5. ასევე აკრძალულია თავდასხმის პროვოცირება. Paul. თქვიდა, რომ ბოროტი განზრახვა, სამართლის საბაბით, არავისთვის სარგებლის მომტანი უნდა იყოს, ბუნებრივი სამართლიანობის საწინააღმდეგოდ.[1501]

[1495] quod cunque aliquis ob tutelam corporis sui fecerit iure id fecisse videtur – ყოველივე ის, რასაც ადამიანი საკუთარი თავის დასაცავად სჩადის, კანონიერად ითვლება. Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 160.

[1496] homicidium se defendendo – თავდაცვის დროს თავდამსხმელის მოკვლა Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 187.

[1497] vim vi repellere licet, modo fiat moderamine inculpatae tutelae, non ad sumendam vindictam, sed ad propulsandam iniuriam – ძალადობა შემხვედრ ძალადობას უნდა შეესაბამებოდეს., თუმცა ეს ზომიერად უნდა განხორციელდეს, თავდაცვის მიზნით, და არა შურისძიებისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ ზიანის მიყენება. იქვე, 395.

[1498] illum qui vim infert, ferire conceditur, si tuendi dumtaxat, non etiam ulciscendi causa factum sit – თავდამსხმელის დაჭრა შესაძლებელია თავდაცვის დროს და არა შურისძიების გამო. Paul. D.9.2, 45.4. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2002, 429.

[1499] iniuria non excusat iniuriam – ზიანის მიყენება ყოველთვის როდი ამართლებს (საპასუხო) ზიანის მიყენებას. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 216.

[1500] est autem vis legem simulans – ძალადობის შენიღბვა სამართლის საფარქვეშ. იქვე.

[1501] ne cui dolus suus, per occasionem iuris civilis, contra naturalem aequitatem prosit – ბოროტი განზრახვა, სამართლის საბაბით, არავისთვის სარგებლის მომტანი უნდა იყოს, ბუნებრივი სამართლიანობის საწინააღმდეგოდ. Paul. D.44.4.1.1. Digesta Iustiniani. T. VI. Полутом 2. книги XLI-XLIV. Ответ. редактор Л.Л. Кофанов.

ბ) დამნაშავის დაკავება

დამნაშავის დაკავებისა და სათანადო ორგანოებში გამწესების ღონისძიებანი, დანაშაულებრიობასთან ბრძოლის ყველაზე ბუნებრივი და აბსოლუტურად აუცილებელი ელემენტი იყო ნებისმიერ ქვეყანაში. დანაშაულში ეჭვმიტანილთა იძულებითი დაკავების დროს მათ შესაძლოა, ზიანიც მიაყენონ. ამავე გზით განვითარდა დანაშაულში ეჭვმიტანილთა იძულებითი დაკავება რომის სისხლის სამართალში. ამ მხრივ ნიშანდობლივია შემდეგი სენტენცია: ნებადართულია ქურდის ადგილზე მოკვლა, თუ სხვაგვარად შეუძლებელია მისი დაკავება.[1502]

გ) ადამიანისათვის ზიანის მიყენების შემთხვევები, ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების გავლენით

გამამართლებელი მნიშვნელობა, იძულებითი მოქმედების მოტივით, შეიძლება მიენიჭოს ადამიანისათვის ზიანის მიყენების შემთხვევებს, ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების გავლენით. თანამედროვე კანონმდებლობით, ძალადობა უნდა იყოს გარდაუვალი (დაუძლეველი), რითაც, მსხვერპლად ქცეული, პირი კარგავს შემოქმედებითი მოქმედების შესაძლებლობას და მას საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ[1503] მოქმედებას აიძულებენ. უეჭველია, რომ, ამ მხრივ, უპირატესობა ფიზიკურ იძულებას ენიჭება, რომელიც ადამიანის ორგანიზმთან უშუალო კონტაქტით ხორციელდება ცემის, გვემის, გაკოჭვის ან სხვა ხერხების მეშვეობით.

ფიზიკური ძალადობის გამოყენებით პირს მოქმედების შესაძლებლობა ერთმევა: მას აღარ შეუძლია თვითდაჭრის, გაგუდვის იმიტაციის, თვითმკვლელობის განხორციელება. რომაელი იურისტები ნაკლებ მნიშვნელობას ფსიქიკურ ძალადობას, ან ძალადობის მუქარას ანიჭებდნენ. ამ შემთხვევაში, კანონმდებლობა ნების პარალიზების განსაკუთრებულ მტკიცებულებებს მოითხოვდა, ვინაიდან

Москва, Статут, 2005. 497.

[1502] furem, si aliter capi non posset, occidere permittunt – ნებადართულია ქურდის ადგილზე მოკვლა, თუ სხვაგვარად შეუძლებელია მისი დაკავება. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 177.

[1503] contra voluntas – საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 110.

დაუსაბუთებელი შიში, გამამართლებელი ვერ იქნება.[1504] მხოლოდ მაშინ შეიძლება ვისაუბროთ ზიანის მიყენების გამართლებაზე, როცა, გარეგნული იძულებითი ზემოქმედება, საკმარისად ძლიერი იყო: მოქმედება, რომელიც ჩემი ნების საწინააღმდეგოა, არ არის ჩემი მოქმედება.[1505]

V. სასჯელი

§1. სასჯელის ცნება და მისი მიზნები

რომაელი იურისტების აქსიოლოგიური (სამართლებრივი ფასეულობების შესახებ მოძღვრება) ძიებანი პენალოგიის (სასჯელის შესახებ მოძღვრება) სფეროში, მათი წარმოდგენები სახელმწიფოს სადამსჯელო საქმიანობის შესახებ, საკმაოდ მისაღები აღმოჩნდა თანამედროვე სისხლის სამართლისათვის – მათ განსაზღვრეს სასჯელის გამოყენების პრევენციული და აღმზრდელობითი მიზნები. სწორედ ამგვარად მოქმედებდნენ იმდროინდელი მოსამართლეები. მათ ურჩევდნენ მუდამ სცოდნოდათ, რომ დანაშაულის მიზეზი წარსულს ეკუთვნის, ხოლო სასჯელი სამომავლოდ ინიშნება.[1506] სწორედ ამიტომ მიაჩნდათ მათ უსარგებლოდ რეპრესიული ღონისძიებების მიბმა, უკვე ჩადენილი დანაშაულის გარემოებებსა და შედეგებისადმი; მომავლისკენ ხედვა პასუხისმგებლობის შეფარდებას ნიშნავდა საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. ზოგჯერ, სასჯელის გამკაცრება სახელმ-

[1504] vani timoris iusta excusatio non est – დაუსაბუთებელი შიში, გამამართლებელი ვერ იქნება. Cel. D. 50, 17, 184. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 559.

[1505] actus me invito factus, non est meus actus – მოქმედება, რომელიც ჩემი ნების საწინააღმდეგოა, არ არის ჩემი მოქმედება. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 71.

[1506] causa in praeteritum, poena in futurum confertur – დანაშაულის მიზეზი წარსულს ეკუთვნის, ხოლო სასჯელი სამომავლოდ ინიშნება. Ulp.D.35.1.12. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. V. Полутом 2. книги XXXIII-XXXVI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2004, 283; Латинские юридические изречения. сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 96.

წიფოს ინტერესების შესაბამისად ხდება.[1507] რომაელი იურისტები სასჯელის პრევენციულ დანიშნულებას ცალსახად აღიარებდნენ. იმ დროს გავრცელებული იყო სენტენცია: ბრძენი ადამიანი სჯის არა იმისათვის, რომ გააბათილოს ჩადენილი მოქმედება, არამედ – თავიდან აიცილოს სამომავლოდ.[1508] მკაცრი სასჯელი ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა დანაშაულებრივი საქმიანობის შესაკავებლად, ვიდრე დარწმუნება იმაში, რომ ნებისმიერი ბოროტმოქმედება, გარდაუვალად, დასჯადი იქნება.

ამის გამო, მათ შეიმუშავეს რეცეპტი: დაუსჯელი არ დარჩეს დანაშაული – საზოგადოების ინტერესებშია, რათა არავინ განიზრახოს დანაშაულის ჩადენა.[1509]

თანამედროვე სისხლის სამართალში სასჯელი ის იძულებითი ღონისძიებაა, რომელსაც იყენებენ დამნაშავის მიმართ, მის მიერ ჩადენილი არასასურველი მოქმედების საპასუხოდ.

სასჯელის განუსხვისებელ თვისებას დამნაშავისათვის ტანჯვის მიყენება, გარკვეული უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა წარმოადგენდა. აღნიშნული თვისებების გარეშე, სასჯელი საკუთარ დანიშნულებას დაკარგავდა და მხოლოდ სამაგიეროს მიზღვად, ან პროფილაქტიკურ ღონისძიებად აღიქმებოდა. სისხლის სამართლის სასჯელი, როგორც იძულებითი ღონისძიება, დამნაშავე პირს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას ობიექტურად უწესებდა. თუმცა, ციცერონის აზრით, პრევენციული და პედაგოგიური ძალისხმევის შეჯერებისას, სწორედ აღმზრდელობით ღონისძიებებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მანვე გამოთქვა ცნობილი აფორიზმი: შიში მოვალეობის არამყარი მასწავლებელია.

[1507] poena extenditur quandoque ratione rei publicae – ზოგჯერ სასჯელის გამკაცრება სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად ხდება. Латинские юридические изречения. сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 310.

[1508] nemo prudens punit ut praeterita revocentur, sed ut futura praeveniantur – ბრძენი ადამიანი სჯის არა იმისათვის, რომ გააბათილოს ჩადენილი მოქმედება, არამედ თავიდან აიცილოს სამომავლოდ. Латинские юридические изречения. сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 274.

[1509] cum non remitti poenam facile publice intersit, ne ad maleficia temere quisquam prositiat – დაუსჯელი არ დარჩეს დანაშაული — საზოგადოების ინტერესებშია, რათა არავინ განიზრახოს დანაშაულის ჩადენა. Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 166.

§2. სასჯელის დანიშვნა. დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობის პრობლემა

რომაული კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ დანაშაულის ჩადენისათვის, საბოლოო შედეგი სასამართლო დარბაზში საბრალდებო განაჩენის ფორმით დგინდება. სასჯელის სახეობისა და ზომის შერჩევა ბრალდების მხარის, თვით სასამართლოს და დამცველთა საქმიანობის შედეგია.

ძველი რომის კანონმდებლობა ჯერ ვერ ახდენდა სისხლის სამართლის მასალის დიფერენცირებას ზოგად და კერძო ნაწილებად და პრაქტიკოსი იურისტები *aequitas* მოძიებას, კერძო დელიქტების დონეზე ახორციელებდნენ. მოსამართლის თვალწინ ყოველთვის სამართლიანობა უნდა მდგარიყო.[1510] სამართლიანობა, ხშირ შემთხვევაში, სასჯელის ინდივიდუალიზაციასთან იყო გაიგივებული: კარგი მოსამართლე გადაწყვეტილებას სხვადასხვაგვარად იღებს, საქმის გარემოებათა და მასში მონაწილე პირთა გათვალისწინებით.[1511]

XII დაფის კანონები, სხვა საკანონმდებლო ძეგლებთან ერთად, *lex talionis* ბატონობასთან მყარად ასოცირდება.[1512] „თვალი – თვალისა წილ, კბილი – კბილისა წილ, ფეხი – ფეხისა წილ, განტეხა – განტეხისა წილ" (*membrum pro "membro"*) – პრიმიტიული დებულება საყოველთაოდ მოქმედებდა, თუმცა მხოლოდ კვირიტული სამართლის (*ius Quiritum*) პერიოდში.

განმტკიცებული სახელმწიფო ხელისუფლება (ჯერ კონსულებისა, ხოლო შემდეგ – კეისართა), რომელზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მზარდი ეკონომიკური ბრუნვა, მიგრაციული

[1510] iudex ante oculos aequitatem semper habere debet – მოსამართლის თვალწინ ყოველთვის სამართლიანობა უნდა მდგარიყო. Латинские юридические изречения. сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 224.

[1511] bonus iudex varie ex personis causisque constituet – კარგი მოსამართლე გადაწყვეტილებას სხვადასხვაგვარად იღებს, საქმის გარემოებათა და მასში მონაწილე პირთა გათვალისწინებით, Celsus. D.6.1.38. Digesta Iustiniani. T. II. книги V-XI. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут. 2002, с.169-171

[1512] XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII-IX დაფა. Кудинов. О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2009, 70-78.

ტალღები და დანაშაულის მრავალფეროვნება, იძულებული იყო გაერთულებინა იძულებითი წესები, და მათში საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესები ჩაექსოვა. ეს წესები, თვით დანაშაულის კერძო გარემოებებისა და მისი მონაწილეთა ქმედებისაგან, ძალზედ შორს იდგა.

ინსტიქტებსა და სარიტუალო ღონისძიებებზე დამყარებული იძულებითი ღონისძიებები (*praecipitium* – ტარპეას კლდიდან დამნაშავის გადაგდება და ქვედა კიდურების მოკვეთა) თანდათანობით გამოიდევნა ქონებრივი სანქციებითა და დამნაშავის დაპატიმრებით.

დანაშაული სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას უნდა შეესაბამებოდეს,[1513] კერძოდ: სასჯელი ნებისმიერი სამართალდარღვევისათვის თანაზომიერი უნდა იყოს.[1514] VIII დაფით[1515] დადგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკანონმდებლო დიფერენცირება, დანაშაულის სახის შესაბამისად (ჯარიმა ზედა კიდურების მოტეხვისათვის, ტალიონი – ასოთმიღებისათვის, სიკვდილით დასჯა – ცილისწამებისათვის), ან მისი განსაკუთრებული თავისებურებების გათვალისწინებით (კვალიფიციური შემადგენლობა) – სიკვდილით დასჯა სხვისი ქონებისათვის ცეცხლის განზრახ წაკიდების გამო და მხოლოდ ზიანის მარტივი ანაზღაურება, ცეცხლით გაუფრთხილებლად ზიანის მიყენების შემთხვევაში.

დაბოლოს, დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობის საკითხი. რომაელები, ამ საკითხთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობდნენ მარტივი, თუმცა საკამათო წესით: *ex frequenti delicto augetur poena* (სასჯელი მკაცრდება აღნიშნული სახით დანაშაულის სიხშირის (გავრცელების) გამო).[1516]

[1513] Culpae poena par esto – დაე, სასჯელი ჩადენილ დანაშაულს შეესაბამებოდეს. იქვე, Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003, 117.

[1514] pro mensura cuiusque delicti constituendum est – სასჯელი ნებისმიერი სამართალდარღვევისათვის თანაზომიერი უნდა იყოს. Divus Pius et Claudius D. 48.10.31. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 113.

[1515] XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII დაფა. 2, 3, 10, 23, ტიტულები. Кудинов. О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2009, 71-74.

[1516] Латинские юридические изречения. сост. Темнов Е.И., Москва. Юрист, 1996, 153.

§3. სასჯელიდან გათავისუფლების წესი, შეწყალება

რომის სისხლის სამართალში სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით მკაცრი მოთხოვნები მოქმედებდა. დაუშვებელი იყო რაიმე სახის სისუსტე მართლმსაჯულების მხრიდან, ზოგადსავალდებულო წესებიდან გადახვევა და დამნაშავის მიმართ გამოტანილი სასჯელის აღსრულებაზე, გავლენის მოხდენა: დამთავრებული სამართლებრივი ქმედება არ უქმდება რაიმე შემდგომი მოვლენით,[1517] ანუ პოსტკრიმინალური მოვლენები, დაზარალებულისათვის ფულის დაბრუნება,[1518] მხარეთა მომრიგებლური შეთანხმება,[1519] ვინაიდან საჯარო სამართალი ვერ გაუქმდება ცალკეულ პირთა შეთანხმების შედეგად (*ius publicum privatorum pactis mutari non potest*). მხოლოდ გაუპატიურების დანაშაულის შემადგენლობისათვის დადგინდა გამონაკლისი, თუმცა პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფასური ძალზედ მაღალი იყო – დაზარალებულთან ქორწინების აუცილებლობა, ვინაიდან დამდგარი ქორწინება შთანთქავს მანამდე ჩადენილ დანაშაულს.[1520]

შეწყალება, როგორც ზოგადსავალდებულო წესებიდან ინდივიდუალური გადახვევა და უზენაესი ხელისუფლების ატრიბუტი, დიდი ხნის წინ დადგინდა და დღემდე მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს.

რომაელი იურისტები შეწყალების ინსტიტუტს ძალზედ მიკერძოებულად ეკიდებოდნენ და ამ ინსტიტუტისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებდნენ. კერძოდ:

ა) *Fortior est custodia legis quam hominis* – (კანონით მინიჭებული

[1517] actus perfectus nullo casu superveniente tollitur – დამთავრებული სამართლებრივი ქმედება არ უქმდება რაიმე შემდგომი მოვლენით. იქვე, 71.

[1518] liberata pecunia non liberat offerentem – ფულის დაბრუნება დამბრუნებელს არ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან. იქვე, 246.

[1519] non valet si convenerit, ne dolus praestetur – დაუშვებელია რაიმე შეთანხმებამ აღ-მოფხვრას პასუხისმგებლობა ბოროტი განზრახვისათვის. Ulp. D. 50.17.23. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 227-229.

[1520] matrimonium subsequens tollit peccatum praecedens – დამდგარი ქორწინება შთანთქავს მანამდე ჩადენილ დანაშაულს. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 257.

დაცვა უფრო მყარია, ვიდრე ადამიანის მიერ მინიჭებული);[1521] ბ) *aequior est dispositio legis quam hominis* (კანონი უფრო სამართლიანად წყვეტს, ვიდრე ადამიანი);[1522] გ) *venia facilitas incentivum est delinquendi* (შეწყალების გაადვილება არის დანაშაულის წაქეზება).[1523]

§4. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავისებურებანი

რომის სამართალმა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ზრუნვა გამოიჩინა რომაული საზოგადოების არასრულწლოვანი წევრების მიმართ.[1524] სამართალშემფარდებლების[1525] მიმართ გაცემული, ჩვენამდე მოღწეული რჩევების, დადგენილი წესებისა და სენტენციების დიდი ნაწილი შემდეგს ქადაგებდა: ახალგაზრდა კაცისადმი შემწყნარებლები უნდა ვიყოთ;[1526] ახალგაზრდობა ადვილად ცდება ან ყველა სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღება ახალგაზრდული ასაკი.[1527] გარდა იმისა, რომ ახალგაზრდობის მიმართ შემწყნარებლობა აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა, რომის სამართალმა აკრძალა არასრულწლოვანთა მდგომარეობის გაუარესება სრულწლოვან პირებთან შედარებით: არასრულწლოვანმა შეიძლება გაიუმჯობესოს საკუთარი მდგომარეობა, თუმცა ყოვ-

[1521] იქვე, 172.

[1522] იქვე, 76.

[1523] Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996. 391.

[1524] Бойко А.И., Римское и современное уголовное право., СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2003, 177-179.

[1525] XII დაფის (ტაბულის) კანონები. VIII დაფა. 9 ტიტული. Кудинов. О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К». 2009, 72.

[1526] succurritur minori; facilis est lapsus iuventutis – ახალგაზრდა კაცისადმი შემწყნარებლები უნდა ვიყოთ. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996, 375.

[1527] in omnibus poenalis iudiciis, et aetati et imprudentiae succurritur (ყველა სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღება ახალგაზრდული ასაკი. იქვე, 205.

ლად დაუშვებელია მისი მდგომარეობის გაუარესება;[1528] დაბოლოს პაულუსმა თანამოძმეებს, სისხლის სამართლის ასპექტში, კიდევ ერთი რჩევა მისცა: თითქმის ყველა სისხლის სამართლის პროცესში, ბრალეულობის შემამსუბუქებელ გარემოებას, ახალგაზრდული ასაკი და პირის გამოუცდელობა წარმოადგენს.[1529]

რა თქმა უნდა, ოფიციალურ სისხლის-სამართლებრივ კანონმდებლობაში, ან პრეტორულ სამართალსა და იმდროინდელ სენტენციებში არ საუბრობდნენ ახალგაზრდა და ზრდასრული დამნაშავეების ცალ-ცალკე მოთავსების შესახებ, ხანდაზმულობისა და ნასამართლეობის ვადების შემცირების, სასჯელის ცალკეული სახეების გამოყენებისა და არასრულწლოვანთათვის აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ზომების გამოყენების შესახებ, ვინაიდან ეს საკითხები მხოლოდ მომდევნო ეპოქების მონაპოვარი იყო. თუმცა, ზოგადად, ჰუმანიზმის იდეები არასრულწლოვან დამნაშავეთა დასჯის პრობლემას ნამდვილად შეეხო. რომის სამართლის მონაპოვარი იყო ახალგაზრდის გარდამავალი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინება.

რომის სამართალში არსებობდა ზოგადი წესი, რომ ამ პერიოდში არასრულწლოვანს პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა, ანუ *minor non tenetur respondere durante (aetas legitima)*[1530] ზღვარი 25 წლის ასაკზე მოდიოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამართლის ყველა *minori actati* (არასრულწლოვანი პასუხისმგებლად არ ითვლება საკუთარი არასრულწლოვანების განმავლობაში).[1531]

ძველ რომში ზრდასრულად 16 წლის ასაკის პირი მიიჩნეოდა. ხოლო CI სამართალსუბიექტობის ასაკად 25 წელს ადგენდნენ, გადრა სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიმართ; სისხლის

[1528] meliorem conditionem suam facere potest minor, deteriorem nequaquam – არასრულწლოვანმა შეიძლება გაიუმჯობესოს საკუთარი მდგომარეობა, თუმცა ყოვლად დაუშვებელია მისი მდგომარეობის გაუარესება. იქვე, 258.

[1529] Fere in omnibus poenalibus iudiciis et aetasti et imprudentiae succurritur – თითქმის ყველა სისხლის სამართლის პროცესში, ბრალეულობის შემამსუბუქებელ გარემოებას, ახალგაზრდული ასაკი და პირის გამოუცდელობა წარმოადგენს. Paul. D. 50, 17, 108. Digesta Iustiniani. Digesta Iustiniani. T. VII. Полутом 2. книги XLVIII-L. Ответ. редактор Л.Л. Кофанов. Москва, Статут, 2005, 543.

[1530] Латинские юридические изречения. сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996. 261.

[1531] Бойко А.И. Римское и современное уголовное право, СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс», 2003, 178.

სამართლის პასუხისმგებლობა კი 14 წლის ასაკიდან დგებოდა.[1532] ამავდროულად, კანონმდებლობით განმტკიცდა მცირენლოვნების ასაკი (*aetas infantiae proxima*[1533] – ათწლინახევრის ასაკამდე), რომლის მიმართ ყოვლად დაუშვებელი იყო სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენება. ბოლოს, სქესობრივი სიმწიფის დადგომამდე ასაკობრივი ჯგუფის პირებისათვის (*aetas pubertati proxima*[1534] – ათწლინახევრიდან 14 წლის ასაკამდე) სასამართლო უშვებდა სასჯელის შეფარდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევდა არასრულწლოვანს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობაუნარიან პირად (*doli capax*[1535] – ასაკობრივად უნარიანი ჩადენილი ქმედებისათვის აგოს პასუხი).

[1532] Бойко А.И. Римское и современное уголовное право. СПб. Изд-во Р.Асланова «Юридический центр Пресс». 2003. с.178

[1533] Латинские юридические изречения. сост. Темнов Е.И., Москва. Юрист. 1996. с.77

[1534] იქვე

[1535] იქვე, 137

ბიბლიოგრაფია

1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი პირველი. წიგნი მეორე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2012

2. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001

3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002

4. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2011

5. მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი. ფრანგულიდან თარგმნა და საძიებლები დაურთო დ. ლაბუჩიძემ, თბილისი, 1994

6. პლუტარქე, რჩეული თხზულებები, ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკ. ურუშაძემ, თბილისი, 1975

7. გარიშვილი მ., პერსონალიები რომის სამართალში, თბილისი, 2005

8. დერნბურგი ჰ., პანდექტები, ზოგადი ნაწილი. გერმაულიდან თარგმნა ალ. ანდრონიკაშვილმა, თბილისი, 1928

9. ხოფერია მ., „პიროვნების სამართლებრივი სტატუსი ძველ რომში", ჟურნ. „სამართალი", №4-5, თბილისი, 2000

10. ხოფერია მ., „რომის სამართალში მზითევის განკარგვის წესი ქორწინების პერიოდში", ჟურნ. „სამართალი", №9-10, თბილისი, 2002

11. ხოფერია მ., „მზითევის ბედი ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში", ჟურნ. „სამართალი", №4-5, თბილისი, 2003

12. Гай, Институции /Пер. с латинского Ф. Дыдынского, под ред. В.А. Савельева, Л.Л. Кофанова, Москва, Юристъ, 1997

13. Гай Светоний Транквилл, Жизнь двенадцати Цезарей, пер. с латинского, предисловие и примечания М.Л. Гаспарова, Москва, Правда, 1988

14. Дигесты Юстиниана, Москва, Статут, 2002-2004

15. Памятники римского права, Институции Юстиниана, пер. Д. Расснера, Москва, Зерцало, 1998

16. Плутарх, Избранные жизнеописания, в двух томах, Т I – II, Москва, Правда, 1987

17. Хрестоматия по истории древнего мира, Рим, под ред. акад. В.В. Струве, Т.III, ЗАКОНЫ XII ТАБЛИЦ, Москва, Гос.учебно-педаг. изд. МБ СССР, 1953

18. Барон Ю., Система римского гражданского права в шести книгах, Санкт-Петербург, Юридический центр Пресс, 2005

19. Бартошек М., Римское право. Понятия, термины, определения, Москва, Юридическая литература, 1989

20. Бойко А.И., Римское и современное уголовное право, СПб. изд-во Р. Асланова «Юридический центр Пресс», 2003

21. Брокгауз Ф., Ефрон И., Энциклопедический словарь, Современная версия, Москва, Эксмо, 2006

22. Гарсиа-Гарридо М. Х., Римское частное право: Казусы, иски, институты, перевод с испанского, ответ. ред. Л.Л. Кофанов, Москва, Статут, 2005

23. Дернбург Г., Пандекты, Т.III. Санкт-Петербург, 1911

24. Дождев Д.В., Римское частное право, учебник для ВУЗов, Москва, Норма, 2004

25. Зомм Р., Институции римскаго права, Москва, 1888

26. Зомм Р., Институции, История и система римскаго гражданскаго права, Москва, 1916

27. Кудинов О.А., Комментарии к источникам римского права, Москва, Издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2009

28. Латинские юридические изречения, сост. Темнов Е.И., Москва, Юрист, 1996

29. Морев М. П., Римское право, Учебное пособие 2-е издание, Москва, издательско-торговая корпорация «Дашков и К», 2001

30. Нейхардт А. А., Легенды и сказания Древней Греции и Древнего Рима, Москва, Правда, 1987

31. Пасек Л., Пособие к лекциям по истории римского права, Юрьев, 1907

32. Пухан И., Поленак-Акимовская М., Римское право, Москва, Зерцало, 1999

33. Покровский И.А., История римского права, Москва, Статут, 2004

34. Санфилиппо Ч., Курс римского частного права, Учебник, Перевод с итальянского, под общей ред. проф. Дождева Д.В, Москва, Норма, 2008

35. Римские Древности, под ред. И.В. Алферовой, Смоленск, Русич, 2001

36. Хвостов В., История римского права, Москва, 1919

37. Хвостов В., Женщина и человеческое достоинство, Москва, 1914

38. Gaudemet J., Droit privé romain, Montcherstien, Paris, 2000

39. Gide P. Étude sur la condition privé de la femme dans le droit ancient, Du caractère de la dot en droit romain, Paris, 1885